საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №996

2010 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქცია თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ამ ბრძანების გამოცემამდე გადამხდელებზე გაცემული მკაცრი აღრიცხვის ფორმები ინარჩუნებენ ძალას.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №957 ბრძანება.
2. „ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების, გაუქმების, ჩამორთმევის წესის და ერთიანი რეესტრის წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 17 მარტის №149 ბრძანება.
3. „საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შენახვის რეჟიმის და დაშვების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 4 მაისის №301 ბრძანება.
4. „ელექტრონული ფორმით მიმოწერის/საგადასახადო დეკლარირების და ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების წესის შესახებ“ საქართველო28ოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტროს №1000 ბრძანება.
5. „გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 7 აპრილის 2005 წლის №228 ბრძანება.
6. „წინასწარი საბაჟო გადაწყვეტილების მიღებისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის, ლაბორატორიული დასკვნის წარდგენის, გადაწყვეტილების მიღების ან მიღებაზე უარის თქმის, გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წელი 31 დეკემბერის №959 ბრძანება.
7. „წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 აგვისტოს №687 ბრძანება.
8. „გადასახადის გადამხდელის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ ბანკებსა და საბანკო ოპერაციების განმახორციელებელ სხვა ორგანიზაციებში საბანკო ანგარიშების (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა) გახსნის შესახებ საგადასახადო ორგანოში ცნობის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 10 ივნისის №359 ბრძანება.
9. „შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებული სისტემის შემოღების თობაზე'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის №899 ბრძანება.
10. „ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 5 მარტის №157 ბრძანება.
11. „მოგების გადასახადის დეკლარაციის ფორმის და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 დეკემბრის №1284 ბრძანება.
12. „ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) და მისი წილის მფლობელებზე (წევრებზე) განაწილების შესახებ დეკლარაციის ფორმის და მისი შევსების წესის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 26 ოქტომბრის №683 ბრძანება.
13. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ და განსაკუთრებული პირობების მოქმედებისას საომარი მოქმედებების შედეგად განადგურებული, დაზიანებული ფასეულობის და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული (დარჩენილი) აქტივების ჩამოწერის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარსადგენი განცხადების ფორმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 24 თებერვლის №113 ბრძანება.
14. „საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმის და მისი შევსების წესის შესახებ

ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 30 დეკემბრის №973 ბრძანება.

15. „III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ მატერიალური აქტივების მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 20 ივნისის №534 ბრძანება.

16. „ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის №22 ბრძანება.

17. „საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გადახდილი ანაზღაურების დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 12 თებერვლის №86 ბრძანება.

18. „დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის წესის შესახებ„ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 18 იანვრის №25 ბრძანება.

19. „საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეების ან/და ოპერაციათა ერთობლიობების, რომლებიც არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას, განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 აგვისტოს №504 ბრძანება.

20. „საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) გამოწერისა და წარდგენის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 14 თებერვლის №84 ბრძანება.

21. „დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებზე კომპიუტერული წესით ამობეჭდილი სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შემოღების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 20 ივლისის №558 ბრძანება.

22. „ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვისა და დაბეგვრის კონტროლის ღონისძიებათა შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 14 თებერვლის №87 ბრძანება.

23. „იმპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 აგვისტოს №690 ბრძანება.

24. „უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის და ანგარიშგების წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის №901 ბრძანება.

25. „უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობებისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრთათვის მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის ნულოვანი განაკვეთის გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 28 ოქტომბრის №689 ბრძანება.

26. „საერთაშორისო გადაზიდვების დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის გამოყენებისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 13 ივნისის №603 ბრძანება.

27. „საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვებისას საავიაციო საწვავის, საპოხი მასალებისა და სხვა სამომხმარებლო ტექნიკური საშუალებების საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების და დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1998 წლის 9 ივლისის №175 ბრძანება.

28. „საწვავისა და საპოხი საშუალებების ბორტზე მიწოდების ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების, ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის საბაჟო კონტროლის მიზნით აღრიცხვის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 14 სექტემბრის №1131 ბრძანება.

29. „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე" 1992 წლის 31 ივლისის ხელშეკრულების და „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" 2002 წლის 10 დეკემბრის შეთანხმების ფარგლებში „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დახმარების პროგრამების განხორციელებისას საგადასახადო და საბაჟო შეღავათების გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აპრილის №283 ბრძანება.

30. „დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის №1048 ბრძანება.

31. „აქციზის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე„ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 30 დეკემბრის №961 ბრძანება.

32. „ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკებით ნიშანდების წესის

შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის №897 ბრძანება.

33. „აქციზური მარკის ნომინალური ღირებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 მარტის №222 ბრძანება.

34. „საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 28 მარტის №305 ბრძანება.

35. „აქციზური საქონლის წარმოებისათვის მისართების, გამხსნელებისა და ანტიდეტონატორების არგამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 23 აპრილის №379 ბრძანება.

36. „უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 16 იანვრის №26 ბრძანება.

37. „სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 14 თებერვლის №86 ბრძანება.

38. „ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 მარტის №194 ბრძანება.

39. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 21 იანვარის №31 ბრძანება.

40. „სამორინეს, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოს, ბინგოს, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 17 მაისის №402 ბრძანება.

41. „სამორინეს, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოს, ბინგოს, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 28 მარტის №265 ბრძანება.

42. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების ესკიზის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 26 თებერვალი №143 ბრძანება.

43. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შეძენის, რეგისტრაციისა და დამაგრების, დაზიანებული ნიშნების შეცვლის, აგრეთვე უმოქმედო დაბეგვრის ობიექტების დალუქვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 29 იანვრის №50 ბრძანება.

44. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ყოველკვარტალური დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 1 მარტის №159 ბრძანება.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

კ. ბაინდურაშვილი

ინსტრუქცია

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

კარი I
საგადასახადო აღრიცხვა და კომუნიკაცია

თავი I
საგადასახადო აღრიცხვა

მუხლი 1. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა

1. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა მოიცავს გადასახადის გადამხდელისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებასა და რეგისტრირებული მონაცემების ერთიან კომპიტერულ ბაზაში (საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში) შეტანას.

2. საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვას ექვემდებარება:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან);

ა[1]) დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარმდგენი დაქირავებული პირი;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი;

გ) გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას საგადასახადო ვალდებულება;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) საბიუჯეტო ორგანიზაცია;

ვ) უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, მისი მუდმივი დაწესებულება, არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულება;

ზ) (ამოღებულია – 05.07.2016, №148);

თ) დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია;

ი) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი (გარდა უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებისა), რომელსაც, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მართვის ადგილი გადმოაქვს საქართველოში.

2^1. საბაჟო ორგანოს მიერ ხორციელდება გადასახადის გადამხდელ არარეზიდენტ ფიზიკურ პირთა საგადასახადო აღრიცხვა.

3. ამ მუხლის მე-2 და 2^1 პუნქტებით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელების საგადასახადო აღრიცხვის განმახორციელებელი ორგანოა შემოსავლების სამსახური.

4. საწარმოს/ორგანიზაციის, მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფლის) მიხედვით, ხოლო ფიზიკური პირისა – მის მიერ განცხადებული საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის მიხედვით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 26 მარტის ბრძანება №98 – ვებგვერდი, 26.03.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 06.07.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 17.01.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 15 მარტის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 16.03.2022წ.

მუხლი 2. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის პირობები

1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან) ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე საგადასახადო აღრიცხვის მიზნით მიმართოს შემოსავლების სამსახურს, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

1^1. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „$ა^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო, პირის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარმოდგენისთანავე.

2. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“-„თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელი (გარდა უცხოური საწარმოს/ორგანიზაციისა) ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს შემოსავლების სამსახურს.

2^1. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 28-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული მმართველობითი ფუნქციის განხორციელების დაწყებამდე საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს შემოსავლების სამსახურს. ამასთანავე, ამ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ განცხადების წარმომდგენს უკვე მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, როგორც ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს, მას უნარჩუნდება თავდაპირველი რეგისტრაციისას მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი.

3. ფიზიკურ პირს, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, ან უცხოურ საწარმოს/ორგანიზაციას, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება, საგადასახადო აღრიცხვის მიზნით შეუძლია მიმართოს შემოსავლების სამსახურს. ამასთან, საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადების ფორმაში, სხვა რეკვიზიტებთან ერთად, მიეთითება მისი უცხოეთში საცხოვრებლის/ადგილსამყოფლის მისამართი.

4. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა) უფლებამოსილია წარმოშობილი საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულების დეკლარირებისას და საბანკო დაწესებულებაში გადასახადის გადახდისას, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურების გავლის გარეშე, მიუთითოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო ნომერი).

5. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულების წარმოშობისას ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს შემოსავლების სამსახურს.

6. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვის პროცედურა ხორციელდება „ერთი ფანჯრის“ პრინციპით საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.

7. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 54-ე პუნქტით

განსაზღვრული იურიდიული პირებისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსის მინიჭებას და რეესტრის წარმოებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო.

8. სახელმწიფო რეგისტრაცია/საგადასახადო აღრიცხვა გადასახადის გადამხდელს არ ათავისუფლებს სახელმწიფო რეგისტრაციამდე/საგადასახადო აღრიცხვამდე არსებული საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებებისგან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 26 მარტის ბრძანება №98 – ვებგვერდი, 26.03.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 17.01.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 18.02.2021წ.

მუხლი 3. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესი

1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან) და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი, საგადასახადო აღრიცხვის მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-01 დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს მოქალაქე და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირები – პირადობის ნეიტრალურ მოწმობას ან ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს.

1^1. თუ ფიზიკური პირის გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურს წარედგინება ამ ფიზიკური პირის მიერ გაცემული და სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობა ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინდობილობასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი.

1^2. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „$ა^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის რეგისტრაციის საფუძველია მის მიერ წარდგენილი დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაცია.

1^3. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) საგადასახადო აღრიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის ნაცვლად, შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოსთვის ვიდეოზარით მიმართვის საფუძველზე. საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე ფიზიკური პირის ვიდეოზარით მიმართვა ასევე წარმოადგენს ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის მოთხოვნას. ცალკეულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, ვიდეოზარით მიმართვის ნაცვლად, პირს მოსთხოვოს №I-01 დანართის შესაბამისი განცხადების წარდგენა.

2. გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულება, საგადასახადო აღრიცხვის მიზნით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, № I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამხანაგობის შემთხვევაში, ამავე კანონის შესაბამისად შედგენილ და სანოტარო ან სათანადო წესით დადასტურებული წესდების ასლს, ხოლო სხვა შემთხვევაში – ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ნოტარიულად ან სათანადოდ დამოწმებულ ასლს, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ბ.ა) სახელწოდებას;

ბ.ბ) ყველა მონაწილის ნოტარიულად დამოწმებულ ხელმოწერას, მათი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით/სარეგისტრაციო დოკუმენტით გათვალისწინებულ პირად ნომერს/საიდენტიფიკაციო ნომერს და მისამართს;

ბ.გ) იურიდიულ მისამართს;

ბ.დ) მონაწილეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს;

ბ.ე) ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს);

ბ.ვ) მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესს და პირობებს;

ბ.ზ) მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს;

ბ.თ) ხელშეკრულებიდან გასვლის წესს;

ბ.ი) საქმიანობის ხანგრძლივობას;

ბ.კ) ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს;

ბ.ლ) მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ;

ბ.მ) კანონმდებლობით მოთხოვნილ სხვა დებულებებს;

გ) კრების (სხდომის) ნოტარიულად დამოწმებულ ოქმს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

$გ^1$) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ასლს, ხოლო საწარმოს/ორგანიზაციის, რომელსაც არ აქვს გავლილი

სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი დოკუმენტაციის სათანადოდ დადასტურებულ/დამოწმებულ ასლს – იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დამფუძნებელს/წევრს წარმოადგენს ასეთი პირი;

დ) მინდობილობას, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი და საბიუჯეტო ორგანიზაცია საგადასახადო აღრიცხვის მიზნით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) სადამფუძნებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებულ ასლს;

გ) დებულების/წესდების სათანადოდ დამოწმებულ ასლს;

დ) ინფორმაციას იურიდიული მისამართის შესახებ და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეკვიზიტებს (თუ აღნიშნულ ინფორმაციას არ შეიცავს ამ პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია);

ე) მინდობილობას, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

4. (ამოღებულია – 05.07.2016, №148);

5. უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, მისი მუდმივი დაწესებულება, აგრეთვე არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულება საგადასახადო აღრიცხვის მიზნით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ, ქართულ ენაზე თარგმნილ და სანოტარო წესით დადასტურებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ლეგალიზება/აპოსტილით დამოწმება არ მოითხოვება – მხოლოდ მის ნოტარიულად დადასტურებულ თარგმანს ქართულ ენაზე;

გ) დოკუმენტს, რომელიც უნდა მოიცავდეს სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა და დამფუძნებელთა რეკვიზიტებს (თუ აღნიშნულ მონაცემებს არ შეიცავს სადამფუძნებლო დოკუმენტაცია);

$გ^1$) მუდმივი დაწესებულების შემთხვევაში, ასევე – დოკუმენტს, რომლიდანაც ვლინდება ინფორმაცია საქართველოში არსებული ფაქტობრივი მისამართის და ადგილობრივი ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

დ) ნოტარიულად დამოწმებულ მონდობილობას, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

5^1. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი საგადასახადო აღრიცხვის მიზნით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, $№I-02^1$ დანართის შესაბამისად;

ბ) ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ, ქართულ ენაზე თარგმნილ და სანოტარო წესით დადასტურებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას ან მხოლოდ მის ნოტარიულად დადასტურებულ თარგმანს ქართულ ენაზე – იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის ლეგალიზება/აპოსტილით დამოწმება არ მოითხოვება, და, არსებობის შემთხვევაში, სხვა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება საწარმოს მართვის ადგილის საქართველოში გადმოტანა;

გ) ნოტარიულად დამოწმებულ მონდობილობას, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

შენიშვნა: ამ პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაში მითითებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, განცხადების წარმომდგენი ვალდებულია $№I-02^1$ დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით აცნობოს საგადასახადო ორგანოს ამ ცვლილებების შესახებ.

6. დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია საგადასახადო აღრიცხვის მიზნით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ წერილს, რომელიც შეიცავს მონაცემებს ორგანიზაციის დიპლომატიური სტატუსის და იურიდიული მისამართის შესახებ;

გ) დიპლომატიური პასპორტის ასლს;

დ) მინდობილობას, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

7. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

8. განცხადების მონაცემები შემოსავლების სამსახურის მიერ შეიტანება რეგისტრირებული მონაცემების ერთიან კომპიტერულ ბაზაში (საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში) და გადასახადის გადამხდელის მოწმობაში.

9. გადასახადის გადამხდელს, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული შვიდციფრა (მე-2–მე-7 ციფრის ჩათვლით) დიაპაზონების და გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი ფორმების აღმნიშვნელი კოდების გათვალისწინებით, ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის შეცვლა (გარდა შეცდომით მინიჭებულისა) ან განმეორება (სხვა გადასახადის გადამხდელისათვის მინიჭება) აკრძალულია, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. საგადასახადო აღიცხვის შემდეგ, გადასახადის გადამხდელზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის მოწმობა №I-03 დანართის შესაბამისად.

11. (ამოღებულია – 01.03.2011, №115).

12. გადასახადის გადამხდელს საგადასახადო აღრიცხვაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) გადასახადის გადამხდელი უკვე იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე განცხადებაში ასახული მონაცემები არ შეესაბამება წარდგენილ დოკუმენტებს;

გ) სულყოფილად არ არის წარდგენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

12^1. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს საგადასახადო აღრიცხვაზე უარი შეიძლება ეთქვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით განესაზღვრება ვადა დოკუმენტის ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენისათვის და აღნიშნულ ვადაში გადასახადის გადამხდელის მიერ არ იქნება ან/და არასრულყოფილად იქნება წარმოდგენილი საგადასახადო ორგანოში შესაბამისი დოკუმენტი/ინფორმაცია;

13. საგადასახადო აღრიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წერილობით ეცნობება დასაბუთებული უარი.

14. საგადასახადო ორგანო საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრს აწარმოებს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კოდების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №421 – ვებგვერდი, 02.08.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 26 მარტის ბრძანება №98 – ვებგვერდი, 26.03.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 06.07.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 17.01.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 18.02.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №245 - ვებგვერდი, 23.09.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 15 მარტის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 16.03.2022წ.

დანართი №I-01
(იხილეთ თანდართული რედაქციით)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 15 მარტის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 16.03.2022წ.

დანართი №I-02
(იხილეთ თანდართული რედაქციით)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 06.07.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 15 მარტის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 16.03.2022წ.

დანართი №I-02[1]
(იხილეთ თანდართული რედაქციით)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 17.01.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 15 მარტის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 16.03.2022წ.

მუხლი 4. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა მაღალმთიან რეგიონებში

1. მაღალმთიან რეგიონში საგადასახადო აღრიცხვის მიზნით, ფიზიკური პირის მიერ განცხადება წარედგინება შემოსავლების სამსახურს, რომელშიც მიეთითება განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილი, საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მოთხოვნა.

2. საგადასახადო ორგანო განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა უზრუნველყოფს პირის საგადასახადო აღრიცხვას და გადასახადის გადამხდელის მოწმობის გაცემას.

3. მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ფიზიკური პირი, უფლებამოსილია საგადასახადო აღრიცხვის მიზნით, საგადასახადო ორგანოს განცხადება გაუგზავნოს ფოსტის, ტელეფონის, ფაქსის ან სხვა ელექტრონული საშუალებებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №245 - ვებგვერდი, 23.09.2021წ.

მუხლი 5. საგადასახადო აღრიცხვის უზრუნველყოფა

1. თუ პირი საგადასახადო აღრიცხვის გარეშე ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს მისი საგადასახადო აღრიცხვა.

2. თუ საგადასახადო ორგანოსათვის ცნობილი გახდა პირის საგადასახადო ვალდებულების შესახებ, საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვის მიზნით, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია უზრუნველყოს პირის გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა.

2^1. თუ საბაჟო ორგანოსთვის ცნობილი გახდა არარეზიდენტი ფიზიკური პირის საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებების შესახებ, საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებების აღრიცხვის მიზნით, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია უზრუნველყოს პირის გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა.

3. ამ მუხლის პირველი, მე-2 და 2^1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო/საბაჟო ორგანოს საგადასახადო ან/და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან შესაბამისი სამსახურის მიერ მიწოდებული და დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე მონაცემები შეჰყავს საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში, პირს ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს და ინფორმაციას აქვეყნებს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე, გადასახადის გადამხდელთა რეესტრში.

4. შესაბამისი სამსახურის მიერ მიწოდებული და დასაბუთებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს პირის სააღრიცხვო მონაცემებს: ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელს და გვარს, პირად ნომერს/პასპორტის ნომერს, პირის დაბადების თარიღს, მოქალაქეობას, რეგისტრაციის/საცხოვრებელ მისამართს; იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის რეკვიზიტებს და რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის თარიღს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №309 - ვებგვერდი, 11.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

მუხლი 6. სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება

1. სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ნიშნავს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის, სახელწოდების/სახელის ან/და გვარის, სამართლებრივი ფორმის ან/და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის შეცვლას. ამასთან, გაერთიანების, ამხანაგობის ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის შემთხვევაში (გარდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამხანაგობისა), სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ასევე მოიცავს ამხანაგობის, გაერთიანების ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის მონაწილე პირების (წევრების) შესახებ მონაცემების შეცვლას.

1^1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან) და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-01 დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს მოქალაქე და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირები – პირადობის ნეიტრალურ მოწმობას ან ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს;

გ) თუ სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით – გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის მიერ გაცემულ და სანოტარო წესით დადასტურებულ მინდობილობას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინდობილობასთან გათანაბრებულ დოკუმენტს.

1^2. გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) ყველა წევრის მიერ ხელმოწერილ და ნოტარიულად დადასტურებულ კრების (სხდომის) ოქმს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულება ან კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების განსხვავებულ წესს), სადაც უნდა ფიქსირდებოდეს ცვლილების შესახებ ინფორმაცია.

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრების (სხდომის) ოქმთან ერთად, გადასახადის გადამხდელისგან შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ასევე წევრთა ან მმართველობის/წარმომადგენლობის ორგანოს სხვა გადაწყვეტილების წარდგენა, რომელიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს სუბიექტის სააღრიცხვო მონაცემების ცვლილებას;

გ) ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ნოტარიულად ან სათანადო წესით დადასტურებულ ასლს (ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში);

დ) სხვა შესაბამის დოკუმენტს, რომელიც მოითხოვება კანონმდებლობით ან/და იწვევს სააღრიცხვო მონაცემების ცვლილებას.

1^3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი და საბიუჯეტო ორგანიზაცია, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილებას ან/და დებულებას/წესდებას (დებულების/წესდების ცვლილების შემთხვევაში);

გ) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული პირის პირად რეკვიზიტებს.

1^4. უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, მისი მუდმივი დაწესებულება, აგრეთვე, არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულება, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ, ქართულ ენაზე თარგმნილ და სანოტარო წესით დადასტურებულ ცვლილების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ლეგალიზება/აპოსტილით დამოწმება არ მოითხოვება – მხოლოდ მის ნოტარიულად დადასტურებულ თარგმანს ქართულ ენაზე.

1^5. დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) შესაბამისი ცვლილების განხორციელების დადასტურების თაობაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ წერილს.

1^6. თუ გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით, ამ მუხლის 1^2-1^5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურს წარედგინება უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა.

2. (ამოღებულია - 05.02.2019, №30).

3. (ამოღებულია - 05.02.2019, №30).

4. გადასახადის გადამხდელთა იურიდიული მისამართის ან საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის შეცვლის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში ხორციელდება სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება.

4^1. გადასახადის გადამხდელს სააღრიცხვო მონაცემების ცვლილებაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების თაობაზე განცხადებაში ასახული მონაცემები არ შეესაბამება წარდგენილ დოკუმენტებს;

ბ) სრულყოფილად არ არის წარდგენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

4^2. ამ მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს სააღრიცხვო მონაცემების ცვლილებაზე უარი შეიძლება ეთქვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით განესაზღვრება ვადა დოკუმენტის ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენისათვის და აღნიშნულ ვადაში გადასახადის გადამხდელის მიერ არ იქნება ან/და არასრულყოფილად იქნება წარმოდგენილი საგადასახადო ორგანოში შესაბამისი დოკუმენტი/ინფორმაცია.

5. გადასახადის გადამხდელის იურიდიული მისამართის ან საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის შეცვლის შემთხვევაში მასზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის ახალი მოწმობა.

6. (ამოღებულია – 01.03.2011, №115)

7. თვითმმართველი ერთეულის/ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრის/საზღვრების შეცვლისას საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებში ცვლილებები ხორციელდება ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით.

8. თუ დგინდება გადასახადის გადამხდელის მიმართ საიდენტიფიკაციო ნომრის ხელახლა მინიჭების ფაქტი, ეს უკანასკნელი ექვემდებარება გაუქმებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის ბრძანება №30 – ვებგვერდი, 07.02.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 15 მარტის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 16.03.2022წ.

მუხლი 6^1. გადასახადის გადამხდელის კატეგორია

1. გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ორგანოს მიერ განესაზღვრება სიდიდის შესაბამისი კატეგორია, რომელიც შეიძლება იყოს:

ა) მცირე;

ბ) საშუალო;

გ) მსხვილი.

2. გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესს განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

3. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

3^1. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

4. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

5. (ამოღებულია - 13.06.19, №178).

6. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

7. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

8. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

9. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

10. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

11. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

12. (ამოღებულია - 15.09.2021, №236).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის ბრძანება №30 – ვებგვერდი, 07.02.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის ბრძანება №178 - ვებგვერდი, 14.06.2019წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №404 - ვებგვერდი, 26.12.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 13 ივლისის ბრძანება №160 - ვებგვერდი, 14.07.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 16.09.2021წ.

მუხლი 7. გადასახადის გადამხდელთა საქმიანობის აქტივობის მაჩვენებელი სტატუსი

1. გადასახადის გადამხდელს (მათ შორის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებულ პირს) საქმიანობის აქტივობის შეფასების მიზნით ენიჭება ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:
ა) აქტიური გადამხდელი;
ბ) პასიური გადამხდელი;
გ) არამეწარმე ფიზიკური პირი;
დ) ლიკვიდირებული/გარდაცვლილი გადამხდელი.
2. აქტიური გადამხდელის სტატუსი გადასახადის გადამხდელს ენიჭება ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობის არსებობისას. კერძოდ, თუ:
ა) გადასახადის გადამხდელი ახლად რეგისტრირებულია;
ბ) დაწყებულია გადასახადის გადამხდელის ლიკვიდაცია;
გ) გადასახადის გადამხდელი გაკოტრების რეჟიმშია;
დ) გადასახადის გადამხდელი რეაბილიტაციის რეჟიმშია;
ე) გადასახადის გადამხდელი რესტრუქტურიზაციის რეჟიმშია;
ვ) გადასახადის გადამხდელს წარდგენილი აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული დეკლარაციები/გაანგარიშებები;
ზ) გადასახადის გადამხდელს გადახდილი აქვს გადასახადები;
თ) გადასახადის გადამხდელს უფიქსირდება ბრუნვა საკონტროლო–სალარო აპარატზე;
ი) გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ შედგენილია საგადასახადო, საბაჟო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
კ) დაწყებულია საგადასახადო შემოწმება ან საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი;
ლ) საგადასახადო შემოწმების ან საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგად დარიცხულია გადასახადების ან/და სანქციების თანხა;
მ) გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილია სასაქონლო ზედნადები;
ნ) გადასახადის გადამხდელს აქვს მიღებული (დადასტურებული) ან/და გამოწერილი (მათ შორის დაუდასტურებელი) საგადასახადო (მათ შორის სპეციალური) ანგარიშ-ფაქტურა.
3. თუ არ არსებობს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული არც ერთი პირობა, გადასახადის გადამხდელს ენიჭება პასიური გადამხდელის სტატუსი.
4. არამეწარმე ფიზიკური პირის სტატუსი ენიჭება საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ ყველა ფიზიკურ პირს, გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა.
5. ლიკვიდირებული/გარდაცვლილი გადამხდელის სტატუსი ენიჭება:
ა) გარდაცვლილ ფიზიკურ პირს;
ბ) ლიკვიდირებულ ან რეორგანიზაციის (შერწყმა, გაყოფა) შედეგად გაუქმებულ იურიდიულ ან სხვა პირს.
6. აქტიური ან პასიური გადამხდელის სტატუსის მინიჭება ხორციელდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით, ყოველი წლის 30 ივნისის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბოლო 2 წლის მანძილზე ამ მუხლის მე-2 და მე–3 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.
7. გადასახადის გადამხდელის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შედეგად გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტის, ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში კი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ პირის გარდაცვალების თაობაზე მიწოდებული ინფორმაციის ან/და წარდგენილი გარდაცვალების მოწმობის და განცხადების საფუძველზე, საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებში კეთდება ჩანაწერი – „ლიკვიდირებულია“, „გაუქმებულია რეორგანიზაციის შედეგად“ ან „გარდაცვლილია“ და მიეთითება ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და თარიღი.
8. გადასახადის გადამხდელის მოწმობა ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შედეგად გაუქმების შემთხვევაში – გადასახადის გადამხდელის მიერ, ხოლო პირის გარდაცვალებისას – მემკვიდრის/სამკვიდრო ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ ბარდება საგადასახადო ორგანოს. ლიკვიდირებული/რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებული/გარდაცვლილი გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შემდგომში სხვა პირზე მინიჭება დაუშვებელია.
9. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოდან მიღების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ლიკვიდირებულის სტატუსის მინიჭებას უზრუნველყოფს ამ პირთა მიმართ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებათა განხორციელების გარეშე.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 13 მარტის ბრძანება №75 – ვებგვერდი, 16.03.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს ბრძანება №260 – ვებგვერდი, 14.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

მუხლი 8. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი

1. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მისაღებად ორგანიზაცია №I-04 დანართის შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართავს საგადასახადო ორგანოს.
2. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის მიერ

ორგანიზაციის მონაცემები შეიტანება საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრში და გაიცემა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი №I-05 დანართის შესაბამისი მოწმობა.

3. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში ორგანიზაციას ეგზავნება მოტივირებული წერილობითი პასუხი.

დანართი №I-04

განცხადება

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების თაობაზე

(განცხადების წარმომდგენი ორგანიზაციის სახელწოდება)

(სამართლებრივი ფორმა)

(ძირითადი მიზნები)

(ბოლო წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები)

(ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი)

ფილიალების მისამართები

		20
(რიცხვი)	(თვე)	(წელი)

(ხელმოწერა)

დანართი №I-05

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი

მ ო წ მ ო ბ ა №

(ორგანიზაციის სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა)
(ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი)
(სტატუსი)
(ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი)
(სტატუსის მინიჭების თარიღი და ნომერი)

მოცემული მოწმობის მფლობელი არის ორგანიზაცია, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

		20
(რიცხვი)	(თვე)	(წელი)

(ხელმოწერა)

თავი II
საგადასახადო საიდუმლოება

მუხლი 9. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. საგადასახადო/საბაჟო ორგანო ვალდებულია არ გაახმაუროს გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და ამ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები, მათ შორის:

ა) გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო ან/და საბაჟო დეკლარაციები, რეექსპორტის დეკლარაციები, გაანგარიშებები, ცნობები;

ბ) გადასახადის გადამხდელის წერილები და მასზე გაცემული პასუხები, რომელიც შეიცავს გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციას; გადასახადის გადამხდელის საჩივრები და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები;

გ) გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმების ან საბაჟო კონტროლის ბრძანებები, საგადასახადო შემოწმების ჩატარების ან საბაჟო კონტროლის განხორციელების თაობაზე გაგზავნილი შეტყობინებები, საგადასახადო შემოწმების ან საბაჟო კონტროლის აქტები, საგადასახადო ან საბაჟო სამართალდარღვევის ოქმები, გადასახადის ან/და სანქციის თანხის დარიცხვის ბრძანებები, დარიცხულ თანხებზე გაგზავნილი საგადასახადო მოთხოვნები;

დ) გადასახადის გადამხდელის შესახებ არსებული დაბეგვრის საქმეები, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათები, გადასახადის გადამხდელის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი ინფორმაცია, საგადახდო დავალებები, საინკასო დავალებები;

ე) მონაცემები გადასახადის გადამხდელის მიერ გამოყენებული სასაქონლო ზედნადების (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), სერტიფიკატის, სანებართვო მოწმობის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის და მკაცრი აღრიცხვის სხვა დოკუმენტების შესახებ;

ვ) სხვა ანალოგიური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ცნობებს გადასახადის გადამხდელის შემოსავლების, დაბეგვრის ობიექტის, საწარმოს მიზნების, ხელშეკრულებების, პირადი ან კომერციული საიდუმლოებების შესახებ;

ზ) გადასახადის გადამხდელის შესახებ ბანკებიდან და სხვა პირებიდან/წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაციისა და დოკუმენტების გაუხმაურებლობის ვალდებულება მოქმედებს უვადოდ.

3. კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

ბ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

გ) სტატუსი;

დ) სახელწოდება;

ე) სამართლებრივი ფორმა;

ვ) მისამართი;

ზ) საიდენტიფიკაციო ნომერი;

თ) საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღი;
ი) მარეგისტრირებელი ორგანო;
კ) საგადასახადო დავალიანება;
ლ) ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირები;
მ) დამფუძნებლები;
ნ) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების და ქონებაზე დადებული ყადაღის შესახებ;
ო) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული სხვა საჯარო ინფორმაცია;
პ) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაცია.

4. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია სასაქონლო ზედნადებში მითითებული გამყიდველის/გამგზავნის ან/და მყიდველის/მიმღების ან/და ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირის, მათ შორის, მძღოლის დასახელების/სახელის და გვარის, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომრის, სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის და ტრანსპორტირების თარიღის შესახებ ინფორმაცია გასცეს მხოლოდ აღნიშნულ სასაქონლო ზედნადებში დაფიქსირებული:
ა) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მოიჯარის მომართვის შემთხვევაში;
ბ) ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირის, მათ შორის, მძღოლის მომართვის შემთხვევაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 თებერვლის ბრძანება №33 - ვებგვერდი, 17.02.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 19 მაისის ბრძანება №114 - ვებგვერდი, 21.05.2021წ.

მუხლი 10. საგადასახადო საიდუმლოების დაცვა

1. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია გადასცეს მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრულ პირებს.

2. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია საჯაროდ გაავრცელოს გადასახადის გადამხდელის მიმართ გამოცემული დოკუმენტი, მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გაიცეს სხვა პირზე.

4. დაუშვებელია საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაციის გასაიდუმლოება თვით ამ პირისათვის.

5. გადასახადის გადამხდელის შესახებ არსებული ინფორმაციის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით დამუშავების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდეგში – სამინისტრო) სისტემის თანამშრომლის დაშვება ხდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით, №I-06 დანართის შესაბამისად.

5^1. შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ფიზიკური პირის მიერ გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პირს, თუ ამ ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანება არ აღემატება 1000 ლარს.

5^2. ამ მუხლის 5^1 პუნქტით გათვალისწინებული პირი უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაცია გადასცეს კომერციულ ბანკს. კომერციულ ბანკს უფლება აქვს ფიზიკურ პირს, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ.

5^3. კომერციულ ბანკს ეკრძალება ამ მუხლის 5^2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის სხვა პირისათვის გადაცემა.

6. გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

7. შემოსავლების სამსახურის სისტემის სტაჟიორი უფლებამოსილია სტაჟირების გავლისას გაეცნოს საგადასახადო ან/და საბაჟო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, სტაჟირების პროცესში მიღებული დავალების ფარგლებში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება №304 – ვებგვერდი, 25.05.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №609 – ვებგვერდი, 16.12.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 24 ივნისის ბრძანება №194 - ვებგვერდი, 25.06.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №I-06

შემოსავლების სამსახური

საინფორმაციო სისტემასთან დაშვება

მომხმარებლის გვარი, სახელი:

სტრუქტურული ერთეული/ქვედანაყოფი:	

	პროგრამის სახე	დაშვების სახე

შემოსავლების სამსახურის უფროსი/უფლებამოსილი პირი:	

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ ზემოხსენებული პირი დაშვებულ იქნეს საინფორმაციო სისტემაში სამუშაოდ.

			20
(ხელმოწერა)	(რიცხვი)	(თვე)	(წელი)

შენიშვნა:

დაშვება განხორციელდა:

სისტემის მომხმარე ლის იდენტიფიკატორი	

უფლებამოსილი პირი:	(ხელმოწერა)

თავი III
ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია

მუხლი 11. ელექტრონული რეგისტრაცია

1. შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის კომუნიკაცია (მათ შორის, დეკლარირება) შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის www.rs.ge (შემდეგში – სამსახურის ვებგვერდი) გამოყენებით.

2. სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით – პირის მიერ ელექტრონული ფორმით შედგენილი და წარდგენილი დოკუმენტი/წერილი, ასევე საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით შექმნილი და გაგზავნილი დოკუმენტი/წერილი არ საჭიროებს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას და მას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც წერილობითი ფორმით წარდგენილ/გაგზავნილ, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს/წერილს.

3. ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლა, გარდა ამ მუხლის 3^1 და 3^2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხორციელდება გადასახადის გადამხდელის მიერ ვიდეოზარით მიმართვის ან №I-07 დანართის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, ვიდეოზარით მიმართვის ნაცვლად პირს მოსთხოვოს №I-07 დანართის შესაბამისი განცხადების წარდგენა.

3^1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული სუბიექტებისთვის შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის აქტივაცია ხორციელდება ავტომატურად საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისთანავე, რა დროსაც პირს საჯარო

სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული პორტალის შექმნისთვის დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ეგზავნება ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოსაყენებელი სახელწოდებისა და პაროლის შესახებ ინფორმაცია.

3^2. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის (გარდა ფიზიკური პირისა) შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის აქტივაცია ხორციელდება ავტომატურად საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისთანავე, რა დროსაც პირს „ელექტრონული ფორმით კომუნიკაციის შესახებ“ განცხადებაში დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ეგზავნება ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოსაყენებელი სახელწოდებისა და პაროლის შესახებ ინფორმაცია.

4. ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს:

ა) გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) საგადასახადო/საბაჟო ორგანოსთან საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი (შემდეგში – საკონტაქტო ტელეფონის ნომერი) და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) (ამოღებულია - 21.06.2022, №195);

დ) გადასახადის გადამხდელის/მისი წარმომადგენლის ხელმოწერა.

5. ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის შესახებ გადასახადის გადამხდელის განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის გადაყვანას კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმაზე და მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობებს მას ავტორიზაციის შესახებ. თუ განცხადება არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს უგზავნის წერილობით უარს განცხადების დაკმაყოფილებაზე.

5^1. შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე გადასახადის გადამხდელის ავტორიზაციის წესს განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

6. ელექტრონული ფორმით კომუნიკაციისას გამოსაყენებელი სახელწოდებისა და პაროლის დაკარგვის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ვიდეოზარის/სამსახურის ვებგვერდის/განცხადების მეშვეობით მიმართოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნული სახელწოდების/პაროლის აღდგენის მიზნით.

7. საკონტაქტო ტელეფონის ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი სამსახურის ვებგვერდზე (ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე) მიუთითებს ტელეფონის ახალ საკონტაქტო ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს.

8. გადასახადის გადამხდელთან ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია წყდება მხოლოდ ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე ამ გადასახადის გადამხდელისათვის ლიკვიდირებული/გარდაცვლილი გადამხდელის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში.

9. ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია შესაძლოა შეიზღუდოს/აღდგეს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

დანართი №I-07

საგადასახადო ორგანოს დასახელება
გადასახადის გადამხდელის დასახელება
გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი
გადასახადის გადამხდელის მისამართი

განცხადება
ელექტრონული ფორმით კომუნიკაციის შესახებ

გთხოვთ, გადამიყვანოთ კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმაზე

საგადასახადო ორგანოსთან საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერია ..... და ელექტრონული ფოსტის მისამართია .....

გადასახადის გადამხდელი:

(ხელმოწერა)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №487 - ვებგვერდი, 29.12.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №305 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №416 - ვებგვერდი, 27.12.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 აპრილის ბრძანება №102 - ვებგვერდი, 01.05.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 21 ივნისის ბრძანება №195 - ვებგვერდი, 22.06.2022წ.

მუხლი 11[1]. გადასახადის გადამხდელის საინფორაციო ბარათი

1. გადასახადის გადამხდელი (გარდა უმოქმედო გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისა და ფიზიკური პირისა, რომელიც არ არის მეწარმე ფიზიკური პირი) შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ვალდებულია შეავსოს გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათი.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის:

ა) მოქმედი გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი არის გადასახადის გადამხდელი, რომელიც ახორციელებს ან მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გეგმავს განახორციელოს ისეთი ტიპის საქმიანობა, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის განიხილება როგორც ხარჯის გაწევა ან/და შემოსავლის მიღება, ასევე მიმდინარე ან მომავალ საანგარიშო პერიოდებში შესაძლოა წარმოეშვას საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება;

ბ) უმოქმედო გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი არის გადასახადის გადამხდელი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე მონიშნოს, ასევე შესაბამისი საფუძვლის წარმოშობამდე განაახლოს, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სტატუსი.

4. გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში აისახება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი;

ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) ძირითადი და დამატებითი საქმიანობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

5. საინფორმაციო ბარათის წარმოების წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილებისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები ასახოს გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში.

7. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლო რიცხვისა გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში ასახოს ინფორმაცია იმ დეკლარაციის შესახებ (განახორციელოს შესაბამისი მონიშვნა), რომლის წარმოდგენის ვალდებულება წარმოეშობა მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მიმართ.

8. იმ შემთხვევაში, თუ პირს არ გააჩნია საინფორმაციო ბარათში ასახული დეკლარაციის წარმოდგენის ვალდებულება, იგი ვალდებულია საინფორმაციო ბარათში ასახოს აღშნული ინფორმაცია (გააუქმოს შესაბამისი მონიშვნა) ან შესაბამის საანგარიშო პერიოდში საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი თანხა ნულის ტოლია.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №416 - ვებგვერდი, 27.12.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.01.2022წ.

მუხლი 11[2]. დაქირავებულ პირთა რეესტრი

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დამქირავებელი, ვალდებულია დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია ასახოს „დაქირავებულ პირთა რეესტრში“, რომელსაც აწარმოებს შემოსავლების სამსახური.

2. დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურს წარედგინება ელექტრონულად, შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით.

3. „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ აისახება დაქირავებულ პირთა შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) დაქირავებული პირის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი, მობილური ტელეფონის ნომერი;

ბ) სამუშაო განაკვეთი;

გ) სტატუსი – აქტიური, შეჩერებული, შეწყვეტილი;

დ) სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების თარიღი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის:

ა) აქტიური სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

ბ) შეჩერებული სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელიც დროებით ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც არ იწვევს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტას და ამავდროულად შრომითი

ურთიერთობის შეჩერების პერიოდი აღემატება 90 კალენდარულ დღეს;

გ) შეწყვეტილი სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელთანაც შეწყდა შრომითი ხელშეკრულება.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილებისას დამქირავებელი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები 5 სამუშაო დღის ვადაში ასახოს „დაქირავებულ პირთა რეესტრში“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაქირავებულს ენიჭება სტატუსი – აქტიური, რა დროსაც შესაბამისი ცვლილების რეესტრში ასახვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შრომითი ურთიერთობის განახლების თარიღისა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №331 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 01.02.2021წ.

მუხლი 12. ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია

1. შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის კომუნიკაციისას, გადასახადის გადამხდელს საკონტაქტო ტელეფონის ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართზე ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება მიღებული/გაგზავნილი დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომრის მითითებით. ელექტრონული დეკლარაციის მიღების დადასტურების მიზნით, საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანო გადასახადის გადამხდელს ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე უგზავნის დეკლარაციის სარეგისტრაციო ნომერს ან/და საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე – მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, NI-08 დანართის შესაბამისად.

2. გადასახადის გადამხდელის მიერ ელექტრონული ფორმით წარდგენილი დოკუმენტის სამსახურის ვებგვერდზე დაურეგისტრირებლობის შემთხვევაში (მიუხედავად გამომწვევი მიზეზებისა), დოკუმენტი არ ითვლება საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოს მიერ მიღებულად.

3. საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი სამსახურის ვებგვერდზე ან ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გაცნობისთანავე, რის თაობაზეც საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოს ინფორმაცია მიეწოდება სამსახურის ვებგვერდიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №I-08

	დეკლარაცია მიღებული	**№**			20
(რეგისტრაციის სახე)		(რეგისტრაციის ნომერი)	(რიცხვი) (წელი)	(თვე)	

მუხლი 13. ელექტრონული საჩივარი

1. პირი უფლებამოსილია სამინისტროს სისტემაში ელექტრონული საჩივარი წარადგინოს სამსახურის ან სამინისტროს ვებ-გვერდის საშუალებით, რაც მას არ ართმევს უფლებას დავის განმხილველ ორგანოსთან კომუნიკაცია აწარმოოს წერილობითი ფორმით.

2. სამსახურის ვებგვერდის საშუალებით წარდგენილი ელექტრონული საჩივარი და თანდართული დოკუმენტები ითვლება მომჩივნის მიერ ხელმოწერილად და დანომრილად.

3. პირს ინფორმაცია მის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის ეტაპებისა და განხილვის შედეგების შესახებ მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, რაც არ ათავისუფლებს დავის განმხილველ ორგანოს ვალდებულებისგან, მომჩივანს წერილობით შეატყობინოს საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

4. ელექტრონული საჩივარი ინახება საჩივრების აღრიცხვისა და მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც არის სამინისტროს დავების განხილვის სამსახურსა და შემოსავლების სამსახურში საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით მიღებულ საჩივრებთან დაკავშირებული ელექტრონული საქმისწარმოების ამსახველი მონაცემების ერთობლიობა.

5. საჩივრების აღრიცხვისა და მართვის საინფორმაციო სისტემაში დაცული ინფორმაცია/ დოკუმენტაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალების სახით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

თავი IV
საჯარო ფორმით კომუნიკაცია

მუხლი 14. საჯარო შეტყობინება

1. ოფიციალური დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი/მოადგილე (შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს პირისათვის ელექტრონული და წერილობითი დოკუმენტის საქართველოს

საგადასახადო კოდექსით ან საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით ჩაბარების შეუძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები) ან ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდგომში – აღსრულების ეროვნული ბიურო) უფლებამოსილი პირი.

2. საჯარო შეტყობინება ხორციელდება დოკუმენტის ქსეროასლის, ფოტოასლის ან ტექსტური ასლის სამსახურის ვებგვერდზე – www.rs.ge და სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.mof.ge (შემდგომში – სამინისტროს ვებგვერდი) განთავსებით ან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.nbe.gov.ge განთავსებით და ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

3. დოკუმენტის სამსახურის ვებგვერდზე განთავსებას და ინფორმაციის სხვა საშუალებებით (მათ შორის, გაზეთში) გამოქვეყნებას უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახური, ხოლო სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებას, შემოსავლების სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №573 – ვებგვერდი, 15.11.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

მუხლი 15. საჯარო გადაწყვეტილება

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოსცეს საჯარო გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ.

2. საჯარო გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს:

ა) ყველა ან გარკვეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელთა მიმართ ან/და

ბ) ყველა ან გარკვეული კატეგორიის სამეურნეო ოპერაციების მიმართ ან/და

გ) გარკვეული კატეგორიის დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიმართ.

3. საჯარო გადაწყვეტილების პროექტის ინიციირების უფლება აქვს შემოსავლების სამსახურს ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

4. შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული საჯარო გადაწყვეტილების პროექტი განსახილველად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული საჯარო გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ქვეყნდება

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. დოკუმენტი საჯარო გადაწყვეტილებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მითითებულია, რომ იგი არის საჯარო გადაწყვეტილება.

7. საჯარო გადაწყვეტილება ძალაში შედის მასში მითითებული თარიღიდან.

8. საჯარო გადაწყვეტილება მოქმედებს უვადოდ ან მასში მითითებული ვადით.

9. საჯარო გადაწყვეტილება არ გამოიყენება, თუ შეიცვალა ან გაუქმდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის გამოყენების შესახებაც გამოიცა ეს გადაწყვეტილება.

10. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნოს ან შეცვალოს საჯარო გადაწყვეტილება.

11. საჯარო გადაწყვეტილებაში განხორციელებული ცვლილება უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, როგორც იყო გამოქვეყნებული საჯარო გადაწყვეტილება.

12. თუ პირი მოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და დამატებით გადასახადის/სანქციის დარიცხვა.

13. თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება ორი საჯარო გადაწყვეტილება ან საჯარო და წინასწარი გადაწყვეტილებები, პირი უფლებამოსილია იმოქმედოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების შესაბამისად, თავისი შეხედულებისამებრ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 ივნისის ბრძანება N199 – ვებგვერდი, 30.06.2015წ.

თავი IV[1]

საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ელექტრონული ფორმით გაგზავნა და საჯაროდ გავრცელება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 7 თებერვლის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 10.02.2020წ.

მუხლი 15[1]. საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ელექტრონული ფორმით გაგზავნის და საჯაროდ გავრცელების წესი

1. საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების – შემოსავლების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში – დავების განხილვის საბჭო) გადაწყვეტილება შეიძლება მომჩივანს გაეგზავნოს ელექტრონული ფორმით ან გავრცელდეს საჯაროდ.

2. შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებას მომჩივანს ელექტრონულად უგზავნის შემოსავლების სამსახური, ხოლო დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებას მომჩივანს ელექტრონულად უგზავნის

დავების განხილვის საბჭოს აპარატი.

3. შემოსავლების სამსახურის და დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება მომჩივანს ელექტრონულად ეგზავნება შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (www.rs.ge) გამოყენებით, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.

4. შემოსავლების სამსახურის და დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საჯაროდ გავრცელებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური, მისი შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.rs.ge) განთავსებით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესრულების მიზნით, დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებას დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საჯაროდ გავრცელების შესახებ შემოსავლების სამსახურს ელექტრონული ფორმით გადასცემს დავების განხილვის საბჭოს აპარატი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 7 თებერვლის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 10.02.2020წ.

თავი V. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 21 ივლისის ბრძანება №178 - ვებგვერდი, 22.07.2021წ.

მუხლი 16. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანება №221 – ვებგვერდი, 09.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 21 ივლისის ბრძანება №178 - ვებგვერდი, 22.07.2021წ.

თავი VI
საგადასახადო მოთხოვნა და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

მუხლი 17. საგადასახადო მოთხოვნა

1. საგადასახადო/საბაჟო ორგანო პირს წარუდგენს საგადასახადო მოთხოვნას, თუ არსებობს მისი წარდგენის ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

ა) გადასახადის დარიცხვა, რომლის გაანგარიშება საგადასახადო/საბაჟო ორგანოს ვალდებულებაა;

ბ) გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო/საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის შესახებ გადაწყვეტილება.

2. საგადასახადო მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს:

ა) საგადასახადო მოთხოვნის გამომცემი საგადასახადო/საბაჟო ორგანო და მისი მისამართი;

ბ) საგადასახადო მოთხოვნის გამოცემის თარიღი და ნომერი;

გ) პირის რეკვიზიტები – სახელი და გვარი/დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი;

დ) საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძველი, საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობის აქტის ის ნორმა, რომლის თანახმადაც მოხდა გადასახადის დარიცხვა ან/და საგადასახადო/საბაჟო სანქციის დაკისრება;

ე) საგადასახადო მოთხოვნის შინაარსი – დარიცხული გადასახადის, საურავისა და ჯარიმის ოდენობა, საგადასახადო მოთხოვნის შესრულების ვადა და წესი, შეფარდებული სანქციის სახე (გარდა ჯარიმისა და საურავისა);

ვ) პირის უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის, საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადა და წესი;

ზ) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც პირის მიმართ გამოიყენება საგადასახადო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში;

თ) საგადასახადო/საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი.

3. პირს შეიძლება წარედგინოს შემდეგი სახის საგადასახადო მოთხოვნა:

ა) დარიცხული თანხების შესახებ – №I-09 დანართის შესაბამისად;

ბ) ფიზიკური პირის ქონების გადასახადის თაობაზე – №I-10 დანართის შესაბამისად;

გ) (ამოღებულია – 30.12.2015, №470).

დ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის შესახებ – №I-10^1 დანართის შესაბამისად.

4. საგადასახადო/საბაჟო ორგანო გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნას უგზავნის გამოვლენილ საგადასახადო/საბაჟო სამართალდარღვევაზე ან საგადასახადო შემოწმების/საბაჟო კონტროლის მასალებზე თანხების დარიცხვის შესახებ საგადასახადო/საბაჟო ორგანოს უფროსის/მოადგილის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4^1. გადასახადის ან/და სანქციის გადაანგარიშების შედეგად გადასახადის გადამხდელს ეგზავნება კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნა.

5. საგადასახადო ორგანოს მიერ პირისთვის წარდგენილი საგადასახადო მოთხოვნა ელექტრონული ფორმით აღირიცხება საგადასახადო მოთხოვნის სარეგისტრაციო ჟურნალში, №I-12 დანართის შესაბამისად.

6. სავარაუდო დარიცხვის შემთხვევაში, პირს საგადასახადო მოთხოვნა არ წარედგინება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 16 აპრილის ბრძანება №152 - ვებგვერდი, 16.04.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 16 ივლისის ბრძანება №221 - ვებგვერდი, 17.07.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

შემოსავლების სამსახური

(საგადასახადო/საბაჟო ორგანოს დასახელება)

(საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მისამართი)

საგადასახადო მოთხოვნა №

			20
(რიცხვი)	(თვე)	(წელი)	

გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტები:

(დასახელება/სახელი და გვარი)	(საიდენტიფიკაციო ნომერი)				

(მისამართი)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის		საფუძველზე,
	(მიეთითება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადის/სანქციის დარიცხვა)	
საქართველოს საბაჟო კოდექსის		საფუძველზე,
	(მიეთითება საბაჟო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადის/სანქციის დარიცხვა)	

გადასახდელად დაგერიცხათ (გერიცხებათ):

გადასახადი ან/და სანქცია	თანხა	შენიშვნა

გადასახადი		
ჯარიმა		
საურავი		
სულ:		X

აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნა უნდა შესრულდეს მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში. საგადასახადო მოთხოვნა შესრულებულად ითვლება თქვენ მიერ საგადასახადო მოთხოვნაში აღნიშნული თანხის გადახდის მომენტიდან.

საგადასახადო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

გადასახდელად დარიცხული გადასახად(ებ)ი, რომელთა გადახდის ვადა მოთხოვნის გამოცემის თარიღისათვის არ დამდგარა:

გადასახადი სახე	გადასახად(ებ)ის თანხა	გადასახდელის გადახდის სავადო	შენიშვნა
სულ:		X	X

შეფარდებული სანქციის სახე (გარდა ჯარიმისა და საურავისა):

(გაფრთხილება, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა)

თქვენი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე და 43-ე მუხლებითა და საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-2 თავით. საგადასახადო მოთხოვნა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით, აგრეთვე სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	
საგადასახადო /საბაჟო ორგანოს უფროსი/მოადგილე:	
	(ხელმოწერა)
	მ.ა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 თებერვლის ბრძანება №63 – ვებგვერდი, 29.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 24 მარტის ბრძანება N87 – ვებგვერდი, 25.03.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №I-10

შემოსავლების სამსახური

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(საგადასახადო ორგანოს მისამართი)

საგადასახადო მოთხოვნა №

ფიზიკური პირის ქონების გადასახადის თაობაზე

(რიცხვი) (თვე) (წელი)

გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტები:

(დასახელება/სახელი და გვარი) (საიდენტიფიკაციო ნომერი)

(მისამართი)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ----------საფუძველზე

(მიეთითება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადის/სანქციის დარიცხვა)

20 — წლის საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მიზნით გადასახდელად დაგერიცხათ:

დაბეგვრის ობიექტი			**საგადასახადო შეღვათის შესაბამისი ნორმა**	**დასაბეგრი ბაზა შეღავათს გათვალისწინებით**	**გადასახადის განაკვეთი**	**ქონების გადასახადი(ლარი)**
დასახელება	**მდებარეობა**	**დასაბეგრი ბაზა**				
1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**
ოჯახის წლიური შემოსავლის დეკლარირებული ოდენობა (ლარი)			**სულ ქონების გადასახადი**			

ქონების გადასახადის თანხები გადახდილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 20--- წლის 15 ნოემბრისა.

ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

თქვენი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე და 43-ე მუხლებით.

საგადასახადო მოთხოვნა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით. აგრეთვე, სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, საგადასახადო დავის პერიოდში თქვენს მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოყენებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 254-ე მუხლით დადგენილი წესით.

საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე:

(ხელმოწერა)

ბ.ა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 თებერვლის ბრძანება №63 – ვებგვერდი, 29.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

დანართი №I-10[1]

შემოსავლების სამსახური

ქ. თბილისი, 0114 ვ. გორგასლის ქ. №16

ს
ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ო მ ო თ ხ ო ვ ნ ა N
მესამე პირზე გადახდევინების
მიქცევის შესახებ

,,--“ ,, ------- “ 20-- წ.

(რიცხვი) (თვე) (წელი)

მესამე პირის რეკვიზიტები: _____
(გვარი, სახელი/დასახელება, მისამართი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტები: _____
(გვარი, სახელი/დასახელება, მისამართი)

საიდენტიფიკაციო ნომერი | | | | | | | | | |

საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძველი: **საქართველოს საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლი**
(მიეთითება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა ამ მოთხოვნის წარდგენა)

თქვენ 20-- წლის -- ----------ის მდგომარეობით გერიცხებათ დავალიანება --------- ლარის ოდენობით მიმართ, რომელსაც გააჩნია საგადასახადო დავალიანება --------- ლარის ოდენობით

(საგადასახადო მოთხოვნის შინაარსი (მათ შორის: მესამე პირის დავალიანების ოდენობა გადასახადის გადამხდელის მიმართ, მესამე პირისაგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა).

ამ საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ვალდებული ხართ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოთ ---------- ლარი.

მესამე პირის მიერ საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ამ პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“–„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

თქვენი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე და 43-ე მუხლებით.

,,საგადასახადო მოთხოვნა“ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, ,,საგადასახადო მოთხოვნის“ ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით. აგრეთვე, სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე ----------

(ხელმოწერა)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 16 აპრილის ბრძანება №152 - ვებგვერდი, 16.04.2018წ.

დანართი №I-11 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 თებერვლის ბრძანება №63 – ვებგვერდი, 29.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

დანართი №I-12

საგადასახადო მოთხოვნის სარეგისტრაციო ჟურნალი

№	საგადასახადო მოთხოვნის გამოწერის		გადასახადის გადამხდელის დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	გადასახადის სახე	დარიცხული თანხის ოდენობა		
	№	თარიღი				გადასახადი	საურავი	ჯარიმა
1	2	3	4	5	6	7	8	9

სულ დარიცხული თანხა (გრაფა 7+8+9)	საგადასახადო მოთხოვნის გადამხდელისთვის ჩაბარება	საგადასახადო მოთხოვნა შესრულდა/ ასაჩივრდა	შენიშვნა
10	11	12	13

მუხლი 17[1]. საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირი უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს წერილობითი განცხადება „საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ“ (შემდგომში – განცხადება).

2. განცხადება საგადასახადო ორგანოს წარედგინება მატერიალური ფორმით, დანართი №I-12[1] შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის ან მისი წარმომადგენლის მიერ. თუ განცხადება ხელმოწერილია წარმომადგენლის მიერ, განცხადებას უნდა დაერთოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც პირდაპირ უნდა იყოს მითითებული საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის უფლებამოსილება.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის დადასტურებას, რომ იგი ინფორმირებულია საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შედეგების თაობაზე.

4. განცხადებას უნდა დაერთოს იმ საგადასახადო მოთხოვნის ასლი, რომლის გასაჩივრებაზეც უარს აცხადებს განმცხადებელი.

5. საგადასახადო ორგანო განცხადებას განიხილავს და განცხადებაში მითითებულ საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებულ თანხას ასახავს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, განცხადების რეგისტრირების დღიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა.

6. განცხადებაში მითითებული საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე ასახვის შემდეგ, პირის მიერ განცხადების გამოხმობა აღარ დაიშვება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №185 - ვებგვერდი, 11.08.2020წ.

დანართი №I-12[1]

განცხადება

საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ

1. გადასახადის გადამხდელი	
2. საიდენტიფიკაციო ნომერი	

3. მისამართი	
4. ტელეფონის ნომერი	
5. წარმომადგენელი	
6. წარმომადგენლის მისამართი	
7. წარმომადგენლის ტელეფონის ნომერი	

8. დოკუმენტის სახე	დოკუმენტის თარიღი	დოკუმენტის ნომერი	დოკუმენტის ჩაბარების თარიღი
საგადასახადო მოთხოვნა			
საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი			

9. განცხადებაზე დართული დოკუმენტების ჩამონათვალი: (მიუთითეთ განცხადებაზე დართული დოკუმენტის დასახელება)

10. დადასტურება: ვადასტურებ, რომ ინფორმირებული ვარ საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შედეგების თაობაზე. კერძოდ, ვაცნობიერებ, რომ გასაჩივრებაზე უარის თქმის შემდეგ საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა ჩაითვლება აღიარებულად და მასზე საგადასახადო დავა აღარ დაიშვება. ასევე, საგადასახადო მოთხოვნის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ დაიწყება გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.

განცხადების ფურცლების საერთო რაოდენობა	
ხელმოწერის თარიღი	

გადასახადის გადამხდელის/მისი წარმომადგენლის ხელმოწერა:

_____

მუხლი 18. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

1. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველია გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის საბაჟო სანქციის) ზედმეტად გადახდილი თანხა.

1^1. ზედმეტად გადახდილი თანხის გაანგარიშებაში მონაწილეობას არ იღებს მოსაკრებლ(ებ)ის და ადმინისტრაციული ჯარიმის (რომელთა გადახდის ადმინისტრირება ევალება საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოებს) პირადი აღრიცხვის ბარათ(ებ)ზე არსებული თანხები.

2. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს:

ა) საგადასახადო ორგანო, რომელსაც წარედგინა გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა;

ბ) პირის რეკვიზიტები – სახელი და გვარი/დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი;

გ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველი;

დ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის შინაარსი;

ე) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის თარიღი და ხელმოწერა.

2^1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ შევსებისას, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში“ მითითებული საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშის ამ პირისადმი კუთვნილების დადგენის მიზნით, განაცხადოს თანხმობა, შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის საგადასახადო ან/და საბაჟო საიდუმლოების, საბანკო საიდუმლოების და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცვლის თაობაზე.

3. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა საგადასახადო ორგანოს წარედგინება №I-13 დანართის ფორმით.

3^1. ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმაში ასახული ზედმეტად გადახდილი თანხის ავტომატური დაბრუნების მიზნებისთვის, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა საგადასახადო ორგანოს წარედგინება №I-13^1 დანართის ფორმით. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს:

ა) საგადასახადო ორგანო, რომელსაც წარედგინა გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა;

ბ) პირის რეკვიზიტები – სახელი და გვარი/დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი;

გ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველი;

დ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის თარიღი და ხელმოწერა.

3^2. ამ მუხლის 3^1 პუნქტის მიზნებისათვის, ზედმეტად გადახდილი გადასახადის ავტომატური დაბრუნების სისტემის რისკების მართვის წესი და პირობები განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით.

4. პირის მიერ საგადასახადოფ ორგანოსთვის წარდგენილი გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა ელექტრონული ფორმით აღირიცხება გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის სარეგისტრაციო ჟურნალში, №I-14 დანართის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივლისის ბრძანება №229 - ვებგვერდი, 30.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 10 მაისის ბრძანება №94 – ვებგვერდი, 13.05.2016 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 28 დეკემბრის ბრძნება №337 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №312 – ვებგვერდი, 23.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის ბრძანება №30 – ვებგვერდი, 07.02.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი I-13

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტები:

(დასახელება/სახელი და გვარი)

(საიდენტიფიკაციო ნომერი)										

(მისამართი)

გაცნობებთ, რომ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე (გარდა მოსაკრებლ(ებ)ის და ადმინისტრაციული ჯარიმის პირადი აღრიცხვის ბარათებისა) მერიცხება ზედმეტად გადახდილი თანხა, სულ ---------- ლარის ოდენობით. მათ შორის ---------- გადასახადში/სანქციაში ---------- ლარი და ა.შ.

გთხოვთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ---------- გადასახადში/სანქციაში არსებული ზედმეტად გადახდილი თანხიდან ---------- ლარი დამიბრუნოთ ჩემს ანგარიშსწორების ანგარიშზე: ბანკი ----------, ბანკის კოდი ---------- , ა/ა ---------- .

ზედმეტობა წარმოქმნილია .....
.....
.....
.....
.....
(მიეთითება ზედმეტობის წარმოშობის მიზეზები)

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნას თან ერთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.

□ თანახმა ვარ, საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშის კუთვნილების დადგენის მიზნით, შემოსავლების სამსახურმა და ბანკმა გაცვალონ საგადასახადო ან/და საბაჟო საიდუმლოების, საბანკო საიდუმლოების და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

(ხელმოწერა)		
		20
(რიცხვი)	(თვე)	(წელი)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №420 – ვებგვერდი, 02.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივლისის ბრძანება №229 - ვებგვერდი, 30.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 10 მაისის ბრძანება №94 – ვებგვერდი, 13.05.2016 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 28 დეკემბრის ბრძნება №337 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №312 – ვებგვერდი, 23.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №I-13[1]

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტები:

(დასახელება/სახელი და გვარი)

(საიდენტიფიკაციო ნომერი)										

(მისამართი)

გაცნობებთ, რომ ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმით მერიცხება ზედმეტად გადახდილი თანხა, სულ ------- ლარის ოდენობით.

გთხოვთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმით არსებული ზედმეტად გადახდილი თანხიდან ---------- ლარი დამიბრუნოთ ჩემს ანგარიშსწორების ანგარიშზე:

ბანკი ----------, ბანკის კოდი ---------- , ა/ა ----------.

☐ თანახმა ვარ, საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშის კუთვნილების დადგენის მიზნით, შემოსავლების სამსახურმა და ბანკმა გაცვალონ საგადასახადო საიდუმლოების, საბანკო საიდუმლოების და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

(ხელმოწერა)		
		20
(რიცხვი) (თვე) (წელი)		

გადასახადის გადამხდელი:

დანართი № I-14

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის სარეგისტრაციო ჟურნალი

№	გადასახადის გადამხდელის დასახელება	საიდენტიფიკაცო ნომერი	გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის		გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის თარიღი	გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში ასახული თანხა
			№	თარიღი		
1	2		4	5	6	7

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის განხილვის მიმ დინარეობა		გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის შესრულებაზე გადაწყვეტილების მიღება		გადაწყვეტილება ეცნობა გადასახადის გადამხდელს		შენიშვნა
დაუდგინდა ხარვეზი	უარი ეთქვა (შესაგებელი)	დადებითი	გადაეცა აუდიტს	№	თარიღი	
8	9	10	11	12	13	14

თავი VII

წინასწარი გადაწყვეტილება

მუხლი 19. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა

1. დაინტერესებული პირი, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნით მიმართავს შემოსავლების სამსახურს დანართი №I-15-ით გათვალისწინებული ფორმით, რომელიც ივსება დანართი №I-15[1]-ით დადგენილი წესის შესაბამისად, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსით და საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით;

ბ) იმ მოსაკრებელთან დაკავშირებული ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით, რომლის ადმინისტრირებასაც საგადასახადო ორგანო ახორციელებს.

2. შემოსავლების სამსახური შეისწავლის პირის მიერ წარდგენილ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნას და უფლებამოსილია:

ა) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მიუთითოს პირს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე;

ბ) ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას უარი თქვას წინასწარი გადაწყვეტილების გაცემაზე.

3. ხარვეზის არსებობის ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოსადგენად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის წარმომდგენის მოთხოვნით, მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, გააგრძელოს აღნიშნული ვადა. ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადით ჩერდება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის ვადის დინება, რომელიც განახლდება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის ან/და მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის მომდევნო სამუშაო დღიდან.

4. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია უარი თქვას წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) პირის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა იმ საკითხზე ან/და იმ პერიოდზე, რომლის შემოწმების მიზნითაც მას უკვე ჩაბარდა საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება/შეტყობინება ან რომელზედაც შედგენილია საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;

ბ) პირის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა იმ პერიოდზე, რომელიც უკვე შემოწმებულია საგადასახადო ორგანოს მიერ;

გ) პირის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა იმ საკითხზე რომელიც უკვე შემოწმებულია საგადასახადო ორგანოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკითხის შემოწმებისას საგადასახადო ორგანოს მიერ არ განხორციელებულა დამატებით თანხის დარიცხვა ან/და საგადასახადო სანქციის გამოყენება და პირი ითხოვს წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემას მომავალში განსახორციელებელ ოპერაციებზე;

დ) საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულის გამო პირის წინააღმდეგ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მის მიმართ მიმდინარეობს საგადასახადო სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება;

ე) პირის მიერ მოთხოვნაში არსებული ხარვეზის დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობა;

ვ) პირის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა იმ საკითხზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლით;

ზ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ან მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი მოადგილის მოტივირებული გადაწყვეტილება.

5. წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა მისი განხილვისა და წინასწარი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, ეგზავნება შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ შექმნილ მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფს.

6. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის განხილვისას. საჭიროების შემთხვევაში, მესამე პირისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარმოდგენამდე ჩერდება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის ვადის დინება, რომელიც განახლდება შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის მომდევნო სამუშაო დღიდან.

6[1]. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემამდე, წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის წარმომდგენი უფლებამოსილია, წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნაში ასახული ინფორმაციის დაზუსტების ან/და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით შეაჩეროს წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის განხილვა. ამ შემთხვევაში ჩერდება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის ვადის დინება, რომელიც განახლდება წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის წარმომდგენის მიერ დაზუსტებული ინფორმაციის ან/და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის მომდევნო სამუშაო დღიდან.

7. წინასწარი გადაწყვეტილების პროექტი სამუშაო ჯგუფის მიერ წარედგინება შემოსავლების სამსახურის უფროსს, რის შემდგომაც შესათანხმებლად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა მინისტრს.

8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების პროექტის შეთანხმების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსი ან მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი მოადგილე, №I-16 დანართის შესაბამისად, გამოსცემს წინასწარ გადაწყვეტილებას, რომელიც ეგზავნება წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის წარმდგენ პირს.

9. (ამოღებულია – 27.02.2014, №64).

10. (ამოღებულია - 05.10.2020, №244).

11. (ამოღებულია - 05.10.2020, №244).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 24 მაისის ბრძანება №306 – ვებგვერდი, 25.05.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 27 თებერვლის ბრძანება №64 – ვებგვერდი, 28.02.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება №244 - ვებგვერდი, 06.10.2020წ.

წინასწარი გადაწყვეტილების
გამოცემის თაობაზე

I. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარმომდგენი		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	მისამართი (ფაქტიური ადგილსამყოფელი)
საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა	
II. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარმომდგენის წარმომადგენელი		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	მისამართი (ფაქტიური ადგილსამყოფელი)
საკონტაქტო ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა	
III. განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის შინაარსის და მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების დეტალური აღწერა		
IV. განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით პირის მოთხოვნა (დასმული კითხვები)		
კითხვა №1		
კითხვა №2		
კითხვა №3		

V. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარმომდგენი პირის პოზიცია მის მიერ დასმულ საკითხზე, აგრეთვე სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც აღნიშნული პირი ამყარებს თავის პოზიციას		
VI. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნაზე თანდართული საბუთების ნუსხა		
	დოკუმენტის დასახელება	გვერდების რაოდენობა
1		
2		

3		
4		

VII. ინფორმაცია წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე შესაძლო უარის თქმის საფუძვლის თაობაზე

შესაბამისი უჯრის მონიშვნით (√) ვადასტურებ, რომ

☐ არ არსებობს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე უარის თქმის საფუძვლები;

☐ არსებობს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე უარის თქმის საფუძვლები, არსებულის შემთხვევაში, დეტალურად მიუთითეთ კონკრეტული გარემოების შესახებ.

☐ ამ მოთხოვნაში სრულად და სწორად არის წარმოდგენილი წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტი და გარემოება.

VIII. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____	_____	____/____/_____
ხელმოწერა	სახელი, გვარი	თარიღი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ..
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 27 თებერვლის ბრძანება №64 – ვებგვერდი, 28.02.2014წ.

დანართი №I-15[1]

წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე

მოთხოვნის (შემდგომში - მოთხოვნის) შევსების წესი

I. მოთხოვნის წარმომდგენი

მოთხოვნის წარმომდგენი ხართ თქვენ (ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად), რომელიც დაინტერესებული ხართ განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო აწგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის თაობაზე.

II. მოთხოვნის წარმომდგენის წარმომადგენელი

შესაძლებელია გყავდეთ უფლებამოსილი ან კანონიერი წარმომადგენელი. თუ მოთხოვნის წარდგენის მომენტისათვის გყავთ წარმომადგენელი, მოთხოვნაში უნდა მიუთითოთ, როგორც თქვენი, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ მოთხოვნა შემოაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა მოთხოვნას უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

III. განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის შინაარსის და მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების დეტალური აღწერა

წინამდებარე გრაფაში მიუთითეთ განსახორციელებელი ან განხორციელებული კონკრეტული ოპერაციის შინაარსი და მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები ნათლად და ლაკონურად. თქვენ თვითონ განსაზღვრეთ რომელი ფაქტობრივი გარემოება უნდა დაედოს საფუძვლად მოთხოვნას. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ

[illegible] წინასწარ გადაწყვეტილებაზე. წინასწარი გადაწყვეტილება დაეყრდნობა მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებსაც მოცემულ გრაფაში აღწერთ.

IV. განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით პირის მოთხოვნა (დასმული კითხვები)

აღნიშნულ გრაფაში უნდა მიუთითოთ კონკრეტული კითხვები, რომლებიც უკავშირდება განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრას და რაზეც გსურთ წინასწარი გადაწყვეტილების მიღება.

V. მოთხოვნის წარმდგენი პირის პოზიცია მის მიერ დასმულ საკითხზე, აგრეთვე სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც აღნიშნული პირი ამყარებს თავის პოზიციას

წინამდებარე გრაფაში უნდა მიუთითოთ, ის მიზეზები რამაც განაპირობა წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის წარმოდგენა. აგრეთვე, თქვენი პოზიცია და სამართლებრივი არგუმენტაცია თქვენს მიერ დასმულ მოთხოვნასთან (კითხვებთან) დაკავშირებით. კერძოდ, როგორ უნდა განისაზღვროს საგადასახადო ანგარიშგების წესები ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებები.

VI. განაცხადზე თანდართული საბუთების ნუსხა

წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნას უნდა დაურთოთ ის დოკუმენტები, რომელიც საჭიროა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისათვის.

VII. ინფორმაცია წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე შესაძლო უარის თქმის საფუძვლის თაობაზე

აღნიშნულ გრაფაში, შესაბამისი უჯრის მონიშვნით, მოთხოვნის წარმომდგენი პირი ადასტურებს, რომ არ არსებობს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის „ა"-„დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე უარის თქმის საფუძვლები. ხოლო მათი არსებობის შემთხვევაში, დეტალურად ფიქსირდება შესაბამის უჯრაში.
ამავე გრაფაში, შესაბამისი უჯრის მონიშვნით, მოთხოვნის წარმომდგენი პირი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნაში სრულად და სწორად არის წარმოდგენილი წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტი და გარემოება. ფაქტები და გარემოებები წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონედ ითვლება, თუ რომელიმე მათგანის წარმოუდგენლობის ან არასრულად წარდგენის შემთხვევაში წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნაში განმცხადებლის მიერ დასმულ საკითხზე წინასწარი გადაწყვეტილება სხვა შინაარსით გამოიცემოდა.

VIII. განაცხადის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

აღნიშნულ გრაფაში ხელს აწერს წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარმოდგენაზე უფლებამოსილი პირი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 27 თებერვლის ბრძანება №64 – ვებგვერდი, 28.02.2014წ.

დანართი №I-16

(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 24 მაისის ბრძანება №306 – ვებგვერდი, 25.05.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 თებერვლის ბრძანება №63 – ვებგვერდი, 29.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 27 თებერვლის ბრძანება №64 – ვებგვერდი, 28.02.2014წ.
საქართველოს ფინანასთა მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის ბრძანება №177 - ვებგვერდი, 14.06.2019 წ.

მუხლი 20. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №I-17 (ამოღებულია)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №I-18 (ამოღებულია)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 თებერვლის ბრძანება №63 – ვებგვერდი, 29.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №I-19 (ამოღებულია)

აქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 თებერვლის ბრძანება №63 – ვებგვერდი, 29.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

თავი VIII
გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოება

მუხლი 21. გადასახადის გადამხდელის აღრიცხვის ბარათები და ფორმები

1. გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარირებული საგადასახადო/საბაჟო და არასაგადასახადო (რომელთა ადმინისტრირებას ახორციელებს საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანო) ვალდებულებები, დამატებით დარიცხული ან შემცირებული თანხები, დაკისრებული სანქციები, გადახდილი და უკან დაბრუნებული თანხები აღირიცხება გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ელექტრონულ ბარათებზე.

2. მონაცემების ასახვა ხდება პირადი აღრიცხვის შემდეგ ბარათებზე:

ა) გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე (დანართი №I-20), რომელზეც აღირიცხება:

ა.ა) აღიარებული გადასახადის/სანქციის თანხები, მათ შორის გაუქმებული გადასახადების მიხედვით აღიარებული გადასახადის/სანქციის თანხები;

ა.ბ) გადახდილი თანხები;

ა.გ) ზედმეტად გადახდილი თანხები;

ა.დ) უკან დაბრუნებული თანხები;

ა.ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა საგადასახადო კანონმდებლობით შეჩერებულია (რესტრუქტურიზაცია, გაკოტრება, რეაბილიტაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკისა და მზღვეველის შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევა);

ბ) გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათზე (დანართი №I-20[1]), რომელშიც აღირიცხება:

ბ.ა) დამატებით დარიცხული საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებები, რომელიც არ არის აღიარებული;

ბ.ბ) საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხები;

ბ.გ.) დამატებით დარიცხული მოსაკრებლის თანხები, რომელიც არ არის აღიარებული;

გ) ჩანაწერების დაზუსტების ბარათზე, რომელიც იხსნება გადასახადის გადამხდელის ბარათზე არასწორად ასახული ჩანაწერების დაზუსტების, მათზე არსებული ნაშთების გამოყვანისა და შემდგომ ამ ჩანაწერების პირადი აღრიცხვის ბარათებზე გადატანის მიზნით (დანართი №I-20);

დ) მოსაკრებლების ბარათზე, იმ აღიარებული მოსაკრებლის სახეების მიხედვით, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო (დანართი №I-20[2]).

3. საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მონაცემების სრულად აღრიცხვისათვის იხსნება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების კუთვნილი გადასახადების აღრიცხვის ფორმა (დანართი №I-20[3]), რომელშიც აისახება:

ა) ქონების გადასახადის აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები და გადახდილი თანხები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით;

ბ) საშემოსავლო გადასახადის აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები და გადახდილი თანხები: სახელმწიფო ბიუჯეტის, აჭარის და აფხაზეთის ა.რ. და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიხედვით.

4. გადასახადის გადამხდელის ბარათებზე და აღრიცხვის ფორმებში აღრიცხული თანხები (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ბარათზე/აღრიცხვის ფორმაზე დაფიქსირებული თანხებისა) აისახება გადასახადის გადამხდელის ჯამური ანგარიშგების ფორმაში (დანართი №I-20[4]).

5. გადასახადის გადამხდელის პირადი აღიცხვის ბარათებზე არსებული აღიარებული საგადასახადო დავალიანების საფუძველზე იწარმოება გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი თანხების აღრიცხვა-ანგარიშგება

გადასახადებისა და სანქციების მიხედვით. ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

6. გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი თანხების განაწილება ხდება გადასახადის გადამხდელის პირადი აღიცხვის ბარათის მიხედვით არსებულ აღიარებულ საგადასახადო დავალიანების თანხებზე საქართველოს საგადასახახადო კოდექსით დადგენილი თანმიმდევრობით.

7. თუ გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხა აღემატება აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხას, საგადასახადო ორგანო ზედმეტად გადახდილ თანხას შემდგომ დარიცხული და აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიმართავს.

8. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათებისა და აღრიცხვის ფორმების წარმოება გულისხმობს მათი გახსნის, მონაცემების შეტანის, გაერთიანების/გაყოფის, გადაცემის და დახურვის პროცედურებს.

9. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათებსა და აღრიცხვის ფორმებს აწარმოებენ საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

10. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათის კომპიუტერიზებული დამუშავების დროს პროგრამულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მონაცემთა ბაზასთან დაშვების უფლების მქონე მომხმარებელთა განსაზღვრა, მათი შემოწმება და იდენტიფიცირება სისტემაში ყოველი შესვლის დროს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

მუხლი 22. ბარათების/აღრიცხვის ფორმების გახსნა და მონაცემების შეტანა

1. ამ ინსტრუქციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათი იხსნება პროგრამულად, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისთანავე, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბარათები შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

2. არარეზიდენტი პირის მიერ საქართველოში მუდმივი დაწესებულების გარეშე საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, პირადი აღრიცხვის ბარათი საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოში იხსნება მისი საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულების დეკლარირების ან ზედმეტად გადახდილი თანხის ასახვისა და დაბრუნების შემთხვევაში.

3. პირისათვის, რომელიც იხდის იმპორტის გადასახდელს, პირადი აღრიცხვის ბარათი იხსნება მის მიერ საბაჟო პროცედურის განხორციელებისას, ხოლო მისი იდენტიფიცირება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბარათებში და აღრიცხვის ფორმებში მიეთითება გადასახადის გადამხდელის სრული დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი და საგადასახადო წელი (პერიოდი), ხოლო იმ გადასახადის გადამხდელთა ბარათზე, რომლებიც იყენებენ დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმებს, ბარათზე მიეთითება აგრეთვე იმ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის სახე, რომელსაც იყენებს გადასახადის გადამხდელი.

5. ბარათებზე და აღრიცხვის ფორმებში მონაცემთა შეტანის საფუძველს წარმოადგენს:

ა) გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო და საბაჟო დეკლარაციები (გაანგარიშებები), მათ შორის, დაზუსტებული დეკლარაციები;

ბ) საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების შემოწმების/კონტროლის მასალები და სხვა სათანადო ინფორმაცია;

გ) საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოს მიერ გაფორმებული დასკვნები (მათ შორის, საბაჟო პროცედურის განხორციელებისას წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების და გადასახადის გადახდის ვადების გაგრძელების შესახებ დასკვნები);

დ) გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია;

ე) გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია;

ვ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები;

ზ) სამართალდარღვევის ოქმები;

თ) საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება საგადასახადო (მათ შორის, იმპორტის გადასახადის გადახდის) ვალდებულების გადავადებაზე, განსაზღვრაზე ან შემცირებაზე;

ი) სახელმწიფო ხაზინიდან და საბანკო დაწესებულებებიდან მიღებული ამონაწერები და სხვა დოკუმენტები;

კ) კომერციული ბანკის ან მისი მომსახურე საანგარიშსწორებო – საპროცესინგო ცენტრის მიერ მიწოდებული ელექტრონული შეტყობინება გადახდის ოპერაციის შესახებ;

ლ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად გადასახადის ან/და სანქციის თანხის ჩამოწერის თაობაზე საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება.

6. ბარათებისა და აღრიცხვის ფორმების წარმოების წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 13 იანვრის ბრძანება №22 – ვებგვერდი, 16.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №503 – ვებგვერდი, 06.12.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №319 – ვებგვერდი, 27.10.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 9 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 13.01.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

მუხლი 22^1. სავარაუდო დარიცხვა

1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო შემოწმების გარეშე განახორციელოს სავარაუდო

დარიცხვა თავის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

ა) გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განხორციელდა გადასახადის თანხის უსაფუძვლო შემცირება;

ბ) პირს წარმოეშვა საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვალდებულება და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (ავტომატური დეკლარირება).

2. ავტომატური დეკლარირების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ პირმა წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება, რომლის საფუძველზეც გადასახდელად დასარიცხი გადასახადის/მოსაკრებლის თანხა საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებული სავარაუდო დარიცხვის თანხის ტოლია.

3. სავარაუდო დარიცხვა შეიძლება გაუქმდეს შესწორებითი დარიცხვით:

ა) საგადასახადო შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის გზით. ამ შემთხვევაში, პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება დაგვიანებულად წარდგენილად ჩაითვლება.

3^1. სავარაუდო დარიცხვის თაობაზე პირს ეცნობება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთანავე, პირი უფლებამოსილია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სავარაუდო დარიცხვა.

4. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (გარდა, საჯარო სამართლის იურიდიული და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა) პირადი აღრიცხვის ბარათზე ზედმეტად გადახდილი თანხის არსებობის შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი თანხის წარმოშობის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენამდე, შესაბამისი პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე ხორციელდება სავარაუდო დარიცხვა ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სალდირებული ზედმეტობის ფარგლებში, ხოლო სხვა სათანადო ინფორმაციის გამოვლენის/წარდგენის შემთხვევაში – შესწორებითი დარიცხვა.

4^1. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე, სახელმწიფოს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს ჩამოეწეროთ პირადი აღრიცხვის ბარათზე ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელზეც გასულია საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა.

5. ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ამავე ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირისათვის ლიკვიდირებულის სტატუსის მინიჭების შემდეგ, არსებული ზედმეტობა გაუქმებულად ითვლება და გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ხორციელდება შესაბამისი კორექტირება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 30.09.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს ბრძანება №260 – ვებგვერდი, 14.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 22 მაისის ბრძანება №149 - ვებგვერდი, 23.05.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 16 ივლისის ბრძანება №221 - ვებგვერდი, 17.07.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.01.2022წ.

მუხლი 22^2. აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის წესი

1. აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვა ხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) გადასახადის თანხა;

ბ) ჯარიმა;

გ) საურავი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული თანმიმდევრობის მიხედვით აღიარებული საგადასახადო დავალიანება იფარება საგადასახადო დავალიანების წარმოშობის თარიღის რიგითობის გათვალისწინებით.

მაგალითი 1:

შპს „ელიტას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე 2 აპრილს დეკლარაციით დარიცხული აქვს მოგების გადასახადი 300 ლარი. ამასთან, 16 აპრილის მდგომარეობით დღგ-ის დეკლარაციით დაერიცხა 200 ლარი, გადასახადის გადამხდელს ასევე ერიცხება ჯარიმა 100 ლარი.

20 აპრილს გადასახადის გადამხდელმა გადაიხადა 200 ლარი, ხოლო 24 აპრილს – 400 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში:

შპს „ელიტას" მიერ პირველად გადახდილი 200 ლარით ჯერ დაიფარება მოგების გადასახადში არსებული ძირითადი თანხა – 300 ლარი, როგორც უფრო ადრე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება. 24 აპრილს გადახდილი 400 ლარით დაიფარება მოგების გადასახადში დარჩენილი თანხა 100 ლარი (300-200), შემდგომ დღგ-ის თანხა – 200 ლარი. ხოლო დარჩენილი 100 ლარით ჯარიმის თანხა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

მუხლი 23. საქართველოს ფარგლების გარეთ საბანკო ანგარიშების გახსნა

საქართველოს საწარმო, საქართველოს ორგანიზაცია და მეწარმე ფიზიკური პირი საგადასახადო აღრიცხვის

ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს №I-21 დანართის შესაბამისი ფორმით წარუდგენს ინფორმაციას საქართველოს ფარგლების გარეთ საბანკო ანგარიშების (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა) გახსნის შესახებ ასეთი ანგარიშების გახსნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ცნობაში ასახული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს მიერ შეიტანება მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში.

დანართი №I-21

ც ნ ო ბ ა

საქართველოს ფარგლების გარეთ საბანკო

ანგარიშების გახსნის შესახებ

1	გადასახადის გადამხდელის დასახელება / სახელი და გვარი				
2	გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი				
3	საბანკო დაწესებულების დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი და ბანკის კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)				
4	მონაცემები ანგარიშის შესახებ	ანგარიშის სახე	ანგარიშის ნომერი	ვალუტა	ანგარიშის გახსნის თარიღი
5					

გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა

		20
(რიცხვი)	(თვე)	(წელი)

კარი II
საშემოსავლო და მოგების გადასახადები

თავი IX
საქონლის/მომსახურების მიწოდების აღრიცხვა

მუხლი 24. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე. ამასთან, დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) განსაზღვრისას მიღებულ შემოსავლებში და გაწეულ ხარჯებში არც ერთი ელემენტი არ უნდა იქნეს გამოტოვებული ან ორჯერ ჩართული.

2. სამეწარმეო საქმიანობისათვის, სასაქონლო ზედნადები/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები სავალდებულოა გამოყენებულ იქნეს საქონლის:

ა) ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებისას, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა საქონლის მიწოდება;

ბ) მიწოდებისას, მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში.

3. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე აკრძალულია საქონლის საწარმოს ტერიტორიულად განცალკევებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის (ფილიალები, საამქროები, უბნები და ა.შ.) საქონლის ტრანსპორტირება (გადაადგილება) და შენახვა.

4. სასაქონლო ზედნადების გამოყენება სავალდებულო არ არის სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდების/ტრანსპორტირების შემთხვევაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №35 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №56 – ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №84 – ვებგვერდი, 29.03.2013წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 10 აგვისტოს ბრძანება №257 - ვებგვერდი, 11.08.2015წ.

მუხლი 25. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №97 – ვებგვერდი, 22.02.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №35 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №56 – ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №84 – ვებგვერდი, 29.03.2013წ.

დანართი №II-01 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №97 – ვებგვერდი, 22.02.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №35 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №56 – ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №84 – ვებგვერდი, 29.03.2013წ.

დანართი №II-01[1] (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 24 იანვრის ბრძანება №26 – ვებგვერდი, 24.01.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №97 – ვებგვერდი, 22.02.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №35 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №56 – ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №84 – ვებგვერდი, 29.03.2013წ.

მუხლი 25[1]. სასაქონლო ზედნადები

1. სასაქონლო ზედნადები (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდეგში – ზედნადები) არის №II-01[2] დანართის შესაბამისად დადგენილი ფორმის დოკუმენტი.

2. ზედნადები ივსება ელექტრონულად (გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) საქონლის გამყიდველის/გამგზავნის მიერ, საქონლის მიწოდებისთანავე ან საქონლის ტრანსპორტირების დაწყებისთანავე.

3. ზედნადების ელექტრონულად შევსების მიზნით, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია განახორციელოს რეგისტრაცია სამსახურის ვებგვერდზე.

4. ზედნადები ივსება შემდეგი წესით:

ა) პირველ სტრიქონში ავტომატურად იწერება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მინიჭებული ზედნადების სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) მე-2 სტრიქონში იწერება ზედნადების ამოქმედების (გააქტიურების) თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), ხოლო მე-3 სტრიქონში ამოქმედების (გააქტიურების) დრო (საათი, წუთი). ზედნადების ამოქმედების (გააქტიურების) თარიღი და დრო ემთხვევა საქონლის მიწოდების ან საქონლის ტრანსპორტირების დაწყების თარიღს და დროს;

გ) მე-4 და მე-5 სტრიქონებში იწერება გამყიდველის/გამგზავნის და მყიდველის/მიმღების დასახელება ან სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

დ) მე-6 სტრიქონში იწერება ოპერაციის შინაარსი (თუ როგორ ხდება საქონლის მიწოდება/ტრანსპორტირება):

დ.ა) შიდა გადაზიდვა (საქონლის ტრანსპორტირება, როდესაც არ ხდება საქონლის მიწოდება);

დ.ბ) მიწოდება ტრანსპორტირებით (საქონლის მიწოდება, რომელსაც თან ახლავს გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის ტრანსპორტირება);

დ.გ) მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე (საქონლის მიწოდება, როდესაც საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არ იცვლება);

დ.დ) დისტრიბუცია (საქონლის მიწოდება გამყიდველის/გამგზავნის თანამშრომლების (დისტრიბუტორების) მიერ. აგრეთვე, მომსახურების გაწევის ხელშეკრულების ფარგლებში ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირის მიერ);

დ.ე) უკან დაბრუნება (მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის გამყიდველისათვის/გამგზავნისათვის დაბრუნება);

ე) მე-7 და მე-8 სტრიქონებში იწერება შესაბამისად ტრანსპორტირების დაწყების და დასრულების ადგილი (მისამართი);

ვ) მე-9 სტრიქონში იწერება ტრანსპორტირების სახე:

ვ.ა) საავტომობილო;

ვ.ბ) სარკინიგზო;

ვ.გ) საავიაციო;

ვ.დ) სხვა;

ზ) ამ პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის ,,ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ზ.ა) მე-10 სტრიქონში იწერება იმ სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი, რომლითაც ხდება საქონლის გადაზიდვა;

ზ.ბ) მე-11 სტრიქონში იწერება სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი;

ზ.გ) მე-12 სტრიქონში იწერება გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი ლარებში. თუ ტრანსპორტირება ხორციელდება მყიდველის/მიმღების ან გამყიდველის/გამგზავნის საკუთრებაში ან სარგებლობაში (იჯარა) არსებული სატრანსპორტო საშუალებით, ზედნადების მე-12 სტრიქონი არ ივსება;

თ) ამ პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის ,,ვ.ბ" – ,,ვ.დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მე-10 – მე-12 სტრიქონები არ ივსება;

ი) ზედნადების ცხრილში იწერება:

ი.ა) I სვეტში – საქონლის რიგითი ნომერი;

ი.ბ) II სვეტში – საქონლის დასახელება;

ი.გ) III სვეტში – საქონლის კოდი (გადასახადის გადამხდელის მიერ ნებისმიერი კომბინაციით შექმნილი ან საბუღალტრო პროგრამაში არსებული ან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით განსაზღვრული კოდი);

ი.დ) IV სვეტში – საქონლის ზომის ერთეული;

ი.ე) V სვეტში – საქონლის რაოდენობა;

ი.ვ) VI სვეტში – საქონლის ერთეულის ფასი (დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ის და აქციზის ჩათვლით);

ი.ზ) VII სვეტში – საქონლის ფასი (დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ის და აქციზის ჩათვლით);

კ) მე-13 სტრიქონში იწერება მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად);

ლ) მე-14 სტრიქონში იწერება გამყიდველის/გამგზავნის ან საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, ხოლო მე-16 სტრიქონში – გამყიდველის /გამგზავნის ან საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;

მ) მე-15 სტრიქონში იწერება მყიდველის/მიმღების ან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, ხოლო მე-17 სტრიქონში – მყიდველის/მიმღების ან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;

ნ) მე-18 სტრიქონში იწერება მიწოდებული საქონლის ჩაბარების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) და დრო (საათი, წუთი);

ო) მე-19 სტრიქონში აღინიშნება გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ გაკეთებული შენიშვნა;

პ) მე-14 – მე-19 სტრიქონების შევსება სავალდებულო არ არის, გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. შიდა გადაზიდვის შემთხვევაში, ზედნადების მე-5 სტრიქონში იწერება მე-4 სტრიქონის მონაცემები. ასეთ შემთხვევაში, ზედნადების ცხრილის VI და VII სვეტების შევსება სავალდებულო არ არის.

6. თუ ხორციელდება მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე, ზედნადების მე-7 და მე-8 სტრიქონებში იწერება საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ასეთ შემთხვევაში ზედნადების მე-9-მე-12 სტრიქონები არ ივსება.

7. დისტრიბუციის მიზნით დისტრიბუტორისათვის საქონლის სარეალიზაციოდ გადაცემისას, საქონლის გამყიდველი/გამგზავნი ან საქონლის ჩამბარებელი საქონლის მთელ მოცულობაზე ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონულად გამოწერს ერთიან ზედნადებს, რომელშიც არ ივსება ზედნადების მხოლოდ მე-5 და მე-8 სტრიქონები, ხოლო ზედნადების ცხრილის VI და VII სვეტების შევსება სავალდებულო არ არის.

8. დისტრიბუციის სახით საქონლის მყიდველზე/მიმღებზე ჩაბარებისას, დისტრიბუტორი ავსებს ზედნადებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რომლის ცხრილში შეიტანს მყიდველისთვის/მიმღებისათვის მისაწოდებელი საქონლის მონაცემებს.

9. სხვადასხვა მიზეზით საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, საქონლის გამყიდველის/გამგზავნის მიერ ზედნადების მე-6 სტრიქონში იწერება – ,,უკან დაბრუნება", მე-7 სტრიქონში, უკან დასაბრუნებელი საქონლის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, მე-8 სტრიქონში კი – უკან დასაბრუნებელი საქონლის საბოლოო დასაწყობების ადგილი. ზედნადების ცხრილში იწერება უკან დასაბრუნებელი საქონლის ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები.

10. საქონლის ტრანსპორტირებისას ელექტრონული პროგრამიდან ამობეჭდილი ზედნადების გამოყენება სავალდებულო არ არის. აღნიშნული შემთხვევა არ წარმოადგენს სამართალდარღვევას და პირს არ დაეკისრება ზედნადების გარეშე საქონლის ტრანსპორტირებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

11. ზედნადები წარმოადგენს ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს.

12. ზედნადები არ არის გადასახადების (დღგ, აქციზი) ჩათვლის საფუძველი.

13. თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული სერვისების ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ ხერხდება სისტემასთან დაკავშირება და შეუძლებელია ზედნადების ელექტრონულად შევსება, აღნიშნულის შესახებ შეტყობინება „ტექნიკური მიზეზების გამო, ელექტრონული სერვისებით სარგებლობა დროებით შეუძლებელია. ზედნადების ქაღალდური ვერსიის გამოსაწერად ისარგებლეთ ღილაკით

„დამატებითი სერვისი“, ავტომატურად განთავსდება სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge) და ვებგვერდზე – www.eservices.rs.ge. ასეთ შემთხვევაში, პირი ხელით ავსებს ღილაკი „დამატებითი სერვისი“-ის საშუალებით ამობეჭდილ, ზედნადების (დანართი №II-01[2]) შესაბამის ცარიელ ფორმას, რომელსაც უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი ენიჭება სისტემის მიერ. ზედნადების ხელით

შევსებისას, როდესაც ერთი ზედნადები არასაკმარისია, შესაძლებელია ამობეჭდილ და გამოყენებულ იქნას „სასაქონლო ზედნადების დანართი“, რომლის პირველ სტრიქონში სისტემის მიერ იწერება იმ ზედნადების სარეგისტრაციო ნომერი, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მოცემული დანართი. „სასაქონლო ზედნადების დანართი“ ივსება ზედნადებთან ერთად. საქონელზე ინფორმაცია შეიტანება „სასაქონლო ზედნადების დანართში“ მოცემული სახით.

14. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია მოახდინოს ზედნადების გაუქმება ან მასში შეტანილი მონაცემების კორექტირება (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“, „ბ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემებისა).

15. ზედნადების გამოყენება სავალდებულო არ არის:

ა) პირისათვის მომსახურების გასაწევად განკუთვნილი იმ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის/ძირითადი საშუალების ტრანსპორტირებისას, რომელიც რჩება მომსახურების გამწევის საკუთრებაში;

ბ) მკაცრი აღრიცხვის ფორმების ტრანსპორტირების შემთხვევაში.

გ) სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის შემაფერხებელი ავარიული დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი საქონლის ტრანსპორტირებისას.

დ) იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის/მატერიალური საგნის (მიუხედავად მისი ფორმისა ან ბუნებისა) ტრანსპორტირებისას, რომლის გადაადგილება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხის“ შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

ე) „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, სეპარირებულად შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენის (ქაღალდის, მინის, პლასტიკის და მეტალის (ალუმინის ქილები)) ტრანსპორტირებისას;

ვ) მშენებლობასთან დაკავშირებული საქონლის ტრანსპორტირებისას, ამ ინსტრუქციის 25[3] მუხლის შესაბამისად.

16. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე - სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პროდუქციის დაფასოება არ წარმოშობს სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულებას, ამ საქონლის ტრანსპორტირებისას ან/და მიწოდებისას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №35 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №84 – ვებგვერდი, 29.03.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №239 - ვებგვერდი, 14.08.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №205 - ვებგვერდი, 29.08.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 30 ივლისის ბრძანება №235 - ვებგვერდი, 02.08.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №367 - ვებგვერდი, 03.12.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 20.03.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 26 მარტის ბრძანება №85 - ვებგვერდი, 30.03.2020წ.

დანართი №II-01[2]

1	სასაქონლო ზედნადები №	

2		3	
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)		დრო (საათი, წუთი)	

4		5	
გამყიდველის/გამგზავნის დასახელება, ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო /პირადი ნომერი	მყიდველის/მიმღების დასახელება, ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო /პირადი ნომერი

6	ოპერაციის მისაზანი	7	
		ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)	
		8	

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

11	საატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	

12	გამყიდველის/გამგზავნის/ მყიდველის/მიმღების მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

რიგითი N	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
I	II	III	IV	V	VI	VII

13	

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველის/გამგზავნი/ საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი/მიმღები/საქონლის მიღებაზე
უფლებამოსილი პირი
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა

* დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

№- სასაქონლო ზედნადების დანართი

რიგითი №	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
I	II	III	IV	V	VI	VII

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

გამყიდველი/გამგზავნი / საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა,სახელი და გვარი)	მყიდველი/მიმღები/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
ხელმოწერა	ხელმოწერა

მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

შენიშვნა

* დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №35 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №84 – ვებგვერდი, 29.03.2013წ.

მუხლი 25[2]. ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები

1. ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდეგში – ზედნადები) არის №II-01[3] დანართის შესაბამისად დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომლის შევსება სავალდებულოა ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემდეგ საქონელზე:

ა) მრგვალ ხე-ტყეზე (მორი) – ხე-ტყის ან ხე/მცენარის დამზადების შედეგად (მათ შორის, ძირნაყარი ხე-ტყისგან) მიღებული 12 სმ-ზე მეტი (წვრილი თავის ბოლოდან) დიამეტრის, ასევე დადგენილი წესით დაფირნიშებული წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი;

ბ) მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტზე, კერძოდ:

ბ.ა) ფიცარზე – სიგრძეზე დახერხილი მორის ნაწილი, რომლის სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ორჯერ და მეტად აღემატება სისქეს. ფიცარს აქვს ორი განიერი და ორი ვიწრო გვერდი;

ბ.ბ) ძელზე – სიგრძეზე დახერხილი ან გათლილი ხე (მორის ნაწილი), რომლის სისქე და სიგანე განივ ჭრილში 10 სანტიმეტრს აღემატება. ძელი შეიძლება იყოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოხერხილი;

ბ.გ) ძელაკზე – მცირე ზომის ძელი, სიგრძეზე გახერხილი მორის ნაწილი. მისი სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ნაკლებია ორმაგ სისქეზე;

ბ.დ) შპალზე – დახერხილი ხის მასალა, რომელიც გამოიყენება რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის ვაკისზე რელსების საყრდენად. შპალები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ძელისებური, ორმხრივ ჩამოხერხილი (ჩამოგანული) და სწორკუთხოვანი. შპალი შეიძლება იყოს გაჟღენთილი ან გაუჟღენთავი;

ბ.ე) საპარკეტე ფრიზაზე – მცირე ზომის ნამზადი, რომლის შეშრობისა და მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება პარკეტი;

ბ.ვ) შავად ნამზად დეტალზე – გარკვეული პროდუქტის მისაღებად საჭირო ზომისა და ფორმის ნამზადი, რომლის მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება სასურველი სახის დეტალი;

ბ.ზ) ფანერაზე (შპონი) – სპეციალურ დაზგა-დანადგარზე მერქნის დაშლით მიღებული და გარკვეული ზომის ფორმატებად დაჭრილი ან მერქნის მცირე სისქის ანათლებად აჭრილი პროდუქტი;

ბ.თ) დაპობილ-დაჩეხილ სათბობ შეშაზე;

გ) ხე-მცენარეებზე – თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებული ხე-მცენარეები, მათ შორის, კაკლის, ბალამწარას, წაბლისა და თუთის სახეობები (გარდა სხვა ხილ-კენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა);

დ) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილ მრგვალ ხე-ტყეზე (მორზე) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყეზე.

2. ამ ინსტრუქციის 25^1 მუხლით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება ამავე ინსტრუქციის №II-01^3 დანართით დამტკიცებული ფორმის ზედნადებზე.

3. ზედნადების მე-20 სტრიქონში მიეთითება მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე/მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის წარმოშობის, შეძენის ან იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი, კერძოდ:

ა) მრგვალი ხე-ტყის (მორი) ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში –საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ლიცენზიის ან შესაბამისი გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე დადგენილი წესით გაცემული – ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01^3დანართით გათვალისწინებული ზედნადები;

ბ) ხე/მცენარის ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე/მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა ან/და დადგენილი წესით გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01^3დანართით გათვალისწინებული ზედნადები;

გ) იმპორტის შემთხვევაში – იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

დ) სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის და მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

ე) სსიპ – ეროვნულის სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრებით მიღებული ხე-ტყის (მორის) შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი;

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე/მცენარის და მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის პირის (მათ შორის, სახელმწიფოს) საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში – სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ზ) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყისა(მორის) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01^3 დანართით გათვალისწინებული ზედნადები.

4. ზედნადების ცხრილის VIII სვეტში იწერება:

ა) ამავე ცხრილის II სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებული თითოეული მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის სპეციალური ფირნიშის ერთი კონკრეტული ნომერი. სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება ასევე სავალდებულოა მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის შემდგომში – პროდუქტი) ტრანსპორტირებისას (გარდა ამ მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მიწოდება, მისი ტრანსპორტირების ნებისმიერ ეტაპზე. ამასთან, ზედნადების ცხრილის II სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებულ, კონკრეტული დასახელების თითოეულ პროდუქტზე, ზედნადების ცხრილის VIII სვეტში სავალდებულოა მიეთითოს შესაბამისი ერთი კონკრეტული სპეციალური ფირნიშის ნომერი, რომლით მარკირებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან/და ხე-მცენარის გადამუშავების შედეგადაც არის მიღებული პროდუქტი. იმ შემთხვევაში, თუ ერთი დასახელების პროდუქტი მიღებულია სხვადასხვა სპეციალური ფირნიშით მარკირებული ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარისგან, თითოეულისაგან მიღებული პროდუქტი, ასევე ცალ-ცალკე იწერება ზედნადების ცხრილის II სვეტში რიგითი ნომრის მიხედვით;

ბ) ამავე ცხრილის II სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებულ მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების თითოეულ პროდუქტზე, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით დამტკიცებული, ,,საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის“ (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის შემდგომში –რეგლამენტი) №14 დანართით გათვალისწინებული, მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ ცნობის (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის შემდგომში – ცნობა) ნომერი, თუ რეგლამენტით განსაზღვრული სახერხი საამქროდან მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტი გატანილია ამავე რეგლამენტით გათვალისწინებულ ელექტრონულ ჟურნალში ცნობის გენერირების სახერხი საამქროსათვის ვალდებულების დადგენის მომენტიდან.

4^1. ზედნადების ცხრილის VIII სვეტში სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება სავალდებულო არ არის:

ა) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირებისას, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მიწოდება;

ბ) წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის ტრანსპორტირებისას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დადგენილი წესით დაფირნიშებული

წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსისა;

გ) მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

დ) იმპორტირებული, მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას;

ე) ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. ზედნადების შევსების ვალდებულება არ ვრცელდება:

ა) სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყისა ან/და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტებზე;

ბ) ხე-ტყის მომპოვებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტყიდან დანიშნულების ადგილამდე (პირველადი დასაწყობების ან პირველად გადამამუშავებელ ობიექტამდე) ტრანსპორტირებისას;

გ) თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ხე-მცენარეებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობით ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით ხე-მცენარეების მისი მესაკუთრის მიერ ტრანსპორტირებისას, გარდა მიწოდებისა;

დ) აუქციონის შედეგების შესახებ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისას;

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით (ბრძანებით) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისას;

ვ) მშენებლობასთან დაკავშირებული საქონლის ტრანსპორტირებისას, ამ ინსტრუქციის 25^3 მუხლის შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი უნდა შედგეს ამავე ქვეპუნქტებში მითითებული მერქნული რესურსის ტრანსპორტირების დაწყებისთანავე. მიღება-ჩაბარების აქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება შედგენიდან არაუმეტეს 24 საათისა. ამასთან, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ბრძანებები შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე არ წარმოადგენს ზედნადების გარეშე მერქნული რესურსის ტრანსპორტირების საფუძველს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 10 აგვისტოს ბრძანება №257 - ვებგვერდი, 11.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №367 – ვებგვერდი, 19.11.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 10 მაისის ბრძანება №94 – ვებგვერდი, 13.05.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის ბრძანება №122 – ვებგვერდი, 16.06.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 7 აპრილის ბრძანება №116 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №349 - ვებგვერდი, 19.09.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 26 მარტის ბრძანება №85 - ვებგვერდი, 30.03.2020წ.

დანართი №II-01³

1	ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები №	

2	
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	

3	
დრო (საათი, წუთი)	

4		
გამყიდველის/გამგზავნის დასახელება, ან სახელი და გვარი		საიდენტიფიკაციო /პირადი ნომერი

5		
მყიდველის/მიმღების დასახელება, ან სახელი და გვარი		საიდენტიფიკაციო /პირადი ნომერი

6	ოპერაციის ფინანსური	

7	
ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)	

8	
ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)	

9	
ტრანსპორტირების სახე	

10	
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი	

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	

12	გამყიდველის/გამგზავნის მყიდველის/მიმღების მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	
		თანხა ლარებში

ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები ცხრილი

რიგითი №	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეული ფასი*	საქონლის ფასი*	მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის სპეციალური ფირნიშის/მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ ცნობის **N**
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII

13	

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი/გამგზავნი/ საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი/მიმღები/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა

20	

მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე/მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის წარმოშობის, შეძენის ან იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი

* დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ის და აქციზის ჩათვლით

ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების დანართი

რიგითი №	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეული ფასი*	საქონლის ფასი*	მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის სპეციალური ფირნიშის/მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ ცნობის **N**
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

გამყიდველი/გამგზავნი/ საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

მყიდველი/მიმღები/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

ხელმოწერა

ხელმოწერა

მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

შენიშვნა

* დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ის და აქციზის ჩათვლით.

"

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 10 აგვისტოს ბრძანება №257 - ვებგვერდი, 11.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის ბრძანება №122 – ვებგვერდი, 16.06.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 7 აპრილის ბრძანება №116 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 26 მარტის ბრძანება №85 - ვებგვერდი, 30.03.2020წ.

მუხლი 25^3. მშენებლობასთან დაკავშირებული საქონლის ტრანსპორტირებისას სასაქონლო ზედნადების გამოყენება

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ან/და ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის (ამ მუხლის მიზნებისათვის შემდეგში – დამკვეთი) მიერ სამშენებლო სამუშაოების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კონტრაქტორთა მიერ მშენებლობასთან დაკავშირებული საქონლის (მასალების, ხელსაწყოებისა და დანადგარების, ასევე, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარის – მიწისა და ქანების) ტრანსპორტირებისას, სასაქონლო ზედნადების გამოწერა სავალდებულო არ არის, თუ ტრანსპორტირების დაწყების და დასრულების პუნქტები მდებარეობს სამშენებლო მოედნის ფარგლებში.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის, სამშენებლო მოედანს წარმოადგენს მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციით სარგებლობის მიზნით, დაინტერესებული პირის (კონტრაქტორის) მიერ შემოსავლების სამსახურს წარედგინება განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) დაინტერესებული პირის სახელწოდებას/საფირმო სახელწოდებას (ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – სახელსა და გვარს) და საიდენტიფიკაციო/პირად ნომერს;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების თარიღსა და ამ ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაციას;

გ) შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის ფარგლებში არსებულ დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულ პირს სურს ისარგებლოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა დაერთოს დამკვეთის ან/და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა

დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობის დადასტურების შესახებ. ამასთანავე, ცნობით უნდა დასტურდებოდეს:

ა) დაინტერესებული პირის სახელწოდება/საფირმო სახელწოდება (ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

ბ) პროექტის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები;

გ) სამშენებლო მოედნის ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია, კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტებისა და საავტომობილო გზების მონაკვეთების მითითებით;

დ) დაინტერესებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედებისა და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადები.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის რეგულაციის გავრცელებაზე, დაინტერესებული პირი ვალდებულია, შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს დაზუსტებული ინფორმაცია.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, შემოსავლების სამსახური, შემოსავლების სამსახურის უფროსის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის შესახებ მონაცემების შესაბამის რეესტრში შეტანას. რეესტრს აწარმოებს შემოსავლების სამსახური და იგი განთავსდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ამ მუხლით გათვალისწინებულ განცხადებაში/დოკუმენტაციაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. ასეთ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება დაინტერესებული პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მომდევნო სამუშაო დღიდან.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) დაინტერესებული პირის სახელწოდება/საფირმო სახელწოდება (ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

ბ) პროექტის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მშენებლობისთვის განკუთვნილი საქონლის ტრანსპორტირება;

გ) სამშენებლო სამუშაოების დამკვეთი;

დ) სამშენებლო მოედნის ტერიტორია (კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტებისა და საავტომობილო გზების მონაკვეთების მითითებით);

ე) ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი სარგებლობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციით.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის ან სხვა მიზეზით შემოსავლების სამსახურის მიერ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განცხადება შესაძლებელია წარდგენილ იქნეს განმეორებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 26 მარტის ბრძანება №85 - ვებგვერდი, 30.03.2020წ.

მუხლი 26. სასაქონლო ზედნადებების რეესტრი

1. საქონლის გამყიდველი (ან ტვირთის გამგზავნი), სასაქონლო ზედნადებების, როგორც პირველადი საგადასახადო დოკუმენტების რეესტრს აწარმოებს საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის წესების შესაბამისად.

2. გადასახადის გადამხდელი, რომლის წლიური ბრუნვა კალენდარული წლის განმავლობაში აღემატება 1 მილიონ ლარს, ვალდებულია ზედნადებების რეესტრი აწარმოოს ელექტრონული ფორმით, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ზედნადების აღრიცხვის ნომერი;

ბ) ზედნადების გამოწერის თარიღი;

გ) გამყიდველის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) მყიდველის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ე) საქონლის ღირებულება.

მუხლი 27. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

1. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხოს ელექტრონულად ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების გამოყენებით, იმ სავალდებულო პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების ნომენკლატურული აღრიცხვა.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის მიზნებისათვის, ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ნორმების საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების განმსაზღვრელ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს შემოსავლების სამსახური.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება №304 – ვებგვერდი, 25.05.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 23 იანვრის ბრძანება №25 – ვებგვერდი, 24.01.2012წ.

მუხლი 27[1]. ცალკეული საქონლის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვა

1. შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის ან/და ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინოს შესაბამისი საქონლის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვის ფორმა და წესი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულება გადასახადის გადამხდელს არ ათავისუფლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 28 მარტის ბრძანება №84 - ვებგვერდი, 29.03.2022წ.

მუხლი 28. შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვა

1. პირის, რომელსაც უფლება აქვს გამოიყენოს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებული წესი (შემდგომში – გამარტივებული აღრიცხვის წესი) აწარმოებს შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნს (შემდგომში – აღრიცხვის წიგნი) №II-02 დანართის მიხედვით, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პირველადი საღრიცხვო დოკუმენტების საფუძველზე აისახება საანგარიშო (საგადასახადო) პერიოდის ყველა სამეურნეო ოპერაცია.

2. აღრიცხვის წიგნის დასალუქად პირმა განცხადებით (№II-03 დანართი) უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

3. პირს, საგადასახადო წლის მიხედვით, როგორც წესი, ელუქება ერთი აღრიცხვის წიგნი. ამასთან, გადამხდელის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით (რამდენიმე სტაციონარული ობიექტების არსებობა და მათი რეგიონების მიხედვით განთესვა და სხვა), საგადასახადო ორგანომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ერთი აღრიცხვის წიგნზე მეტის დალუქვის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, აღრიცხვის წიგნების თითოეულ ეგზემპლარზე საგადასახადო ორგანოს მიერ კეთდება აღნიშვნა გადამხდელზე გაცემული აღრიცხვის წიგნების ფაქტობრივი რაოდენობის შესახებ.

4. საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს წიგნების დალუქვის რეესტრის წარმოებას გადამხდელების მიხედვით. დაუშვებელია სათანადო დასაბუთების და საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე გადამხდელთან საანგარიშო პერიოდში ერთზე მეტი დალუქული წიგნის არსებობა.

5. პირი, რომელიც იყენებს აღრიცხვის გამარტივებულ წესს, აღრიცხვის წიგნში ასახავს შემოსავლების მიღებასთან და ხარჯების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციას. ამასთან, დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება თანხების (შემოსავლის) მიღების ან გამოყენების და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტში, ხოლო ხარჯები – ფაქტობრივი განაღდების მიხედვით. აღნიშნული პირობა არ ეხება ამორტიზირებად აქტივებს.

6. პირი, რომელიც აღარ არის ვალდებული ან/და აღარ აქვს უფლება გამოიყენოს გამარტივებული აღრიცხვის წესი, ვალდებულია შეწყვიტოს აღრიცხვის წიგნის წარმოება და აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ აღრიცხვის წიგნში ბოლო ჩანაწერის შემდეგ კეთდება აღნიშვნა „ოპერაციების შეტანა შეწყვეტილია" და მოწმდება ბეჭდით.

7. პირმა უნდა უზრუნველყოს თავისი საქმიანობის სააღრიცხვო მაჩვენებლების მთლიანობა, უწყვეტობა და უტყუარობა, რაც აუცილებელია საგადასახადო ბაზის განსაზღვრისათვის.

8. პირველად სააღრიცხვო დოკუმენტებს, რომლებიც შედგენილია უცხო ენაზე უნდა ჰქონდეთ თარგმანი ქართულ ენაზე.

9. აღრიცხვის წიგნი იხსნება ერთ კალენდარულ წელზე, იგი უნდა იყოს ზონარგაყრილი და დანომრილი. ზონარგაყრილი და დანომრილი წიგნის ბოლო გვერდზე აღინიშნება მასში არსებული ფურცლების რაოდენობა, რაც დამოწმებული უნდა იქნეს გადამხდელის ხელმოწერით და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში) და საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

10. საგადასახადო ორგანომ შეიძლება მოითხოვოს წიგნების ერთჯერადი ლუქებით დალუქვა. ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანომ თავად უნდა უზრუნველყოს ერთჯერადი ლუქების შეძენა.

11. წიგნის წარმოება, დადგენილ შემთხვევებში, გადამხდელს არ ათავისუფლებს სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულებისაგან.

12. წიგნში შეცდომების შესწორება უნდა იყოს დასაბუთებული და დამტკიცებული გადამხდელის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესწორების თარიღის მითითებით.

13. აღრიცხვის წიგნის სვეტებში აისახება:

ა) პირველ სვეტში – რეგისტრირებული ოპერაციის რიგითი ნომერი და თარიღი;

ბ) მე-2 სვეტში – მიღებული შეკვეთა ან პირველადი დოკუმენტის დასახელება (სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი, და სხვა), თარიღი და ნომერი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ოპერაცია. ამასთან, მიღებული შეკვეთა ან მიღებული (შეძენილი) საქონელი წიგნში ფიქსირდება დაუყოვნებლივ, მიუხედავად მისი შესრულების ან ანაზღაურების დროისა. ფაქტობრივი ანაზღაურების მომენტები აისახება შენიშვნის გრაფაში;

გ) მე-3 სვეტში – თავისუფალი ტექსტით მიეთითება სამეურნეო ოპერაციის (მიღებული შეკვეთა, შეძენილი

საქონელი, გაცემული ხელფასი და სხვა) შინაარსი;

დ) მე-4 სვეტში – საქონლის (მომსახურების) რეალიზაციიდან, აგრეთვე არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სარგებელი. თუ გადამხდელის საქმიანობა დაკავშირებულია მომხმარებელთა დიდ რიცხოვნობასთან, მას საგადასახადო ორგანოსთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების შემდგომ, უფლება აქვს წიგნის მე-4 სვეტში მონაცემები ყოველდღიური ჯამური შემოსავლების შესახებ, ასახოს სამუშაო დღის ბოლოს საკონტროლო სალარო აპარატის ყოველდღიური მაჩვენებლის მიხედვით;

ე) მე-5 სვეტში – საგადასახადო კოდექსით გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯები.

14. აღრიცხვის წიგნში შეიტანება ძირითადი საშუალებების შეძენის და რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. ამასთან, დასაბეგრი შემოსავლების (გამოსაქვითი ხარჯების) ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებადი აქტივებისათვის საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

15. კალენდარული წლის ბოლო დღეს წიგნი იხურება და მასში დაფიქსირებული შემოსავლებისა და ხარჯების ჯამური მაჩვენებლები აისახება შესაბამისი გადასახადების წლიურ დეკლარაციებში (გაანგარიშებებში).

16. გადამხდელებმა გამარტივებული აღრიცხვის წესზე გადასვლის შემთხვევაში, უნდა დაიცვან შემდეგი წესები:

ა) ყველა შეკვეთა, რომლებიც გამარტივებული აღრიცხვის წესზე გადასვლის მომენტისათვის არ არის დასრულებული ექვემდებარება წიგნში ასახვას;

ბ) აღრიცხვის წიგნში ასახავს ექვემდებარება აგრეთვე ფულადი სახსრები, რომლებიც მიღებულია აღრიცხვის გამარტივებულ წესზე გადასვლის შემდეგ, თუ აღნიშნული თანხები მიღებულია გამარტივებულ წესზე გადასვლამდე მიწოდებულ საქონელზე (მომსახურებაზე).

17. წიგნის შენახვის ვადა 6 წელია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.

დანართი №II-02

შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის

წიგნი

წელი ———

გადამხდელი ———————————————————————————————

(იურიდიული პირის დასახელება მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი)

საიდენტიფიკაციო ნომერი —— —— —— —— —— —— —— —— —— ——

განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე — — — — (კოდი)

იურიდიული პირის ადგილმდებარეობის (ან ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის)

მისამართი ——————————————————————

———————————————————————————————————

ობიექტი, სადაც იწარმოება წიგნი ——————————————

საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირი ——————————

(გვარი, სახელი, ხელმოწერა)

ბ.ა

№	რეგისტრაცია		თანხა		შენიშვნა
	პირველადი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	ოპერაციის შინაარსი	შემოსავალი	ხარჯი	
1	2	3	4	5	6

დანართი №II-03

შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საგადასახადო ორგანო ----------
გადასახადის გადამხდელი ----------
საიდენტიფიკაციო ნომერი ---------- იურიდიული
მისამართი ----------
გთხოვთ, დამილუქოთ შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნი.
განმცხადებელი _____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

თარიღი: „ _____” „ _____” 20 წელი

შენიშვნა:
გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს განცხადებას, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებით დაურთოს სხვა ინფორმაცია.

მუხლი 29. შემთხვევები, როდესაც პირების ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს მათ შორის გარიგების შედეგებზე

1. პირებს შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ურთიერთდამოკიდებულების არსებობა მათ შორის არსებულ გარიგების შედეგებზე გავლენას არ ახდენს, თუ საქონლის/მომსახურების მიმღები პირის მიერ შესაძლებელია ანალოგიური საქონელი/მომსახურება სხვა არაურთიერთდამოკიდებული პირისგან შეიძინოს იმ ფასად, რომელიც ურთიერთდამოკიდებულ პირთან განხორციელებული გარიგების ფასს არ აღემატება 10%-ით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გარდა, საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანო, აუდიტორთა საბჭოსთან შეთანხმებით, დამატებით განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ურთიერთდამოკიდებულების არსებობა გავლენას არ ახდენს (ან გავლენა არ მოუხდენია) პირებს შორის განხორციელებული გარიგების შედეგებზე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, „ანალოგიური საქონელი/მომსახურება“ გულისხმობს იმგვარ საქონელს/მომსახურებას, რომლის მიწოდება ხდება შესადარის პირობებში. შესადარისობის განსაზღვრისათვის უნდა მოხდეს ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა მიწოდებული საქონლის/მომსახურების ფიზიკური მახასიათებლები, ხარისხი, რეპუტაცია, სეზონურობა, რაოდენობა/მოცულობა, გადახდის პირობები და სხვა გონივრული პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გარიგების ფასზე.

შენიშვნა: აღნიშნული მუხლის დებულებები გამოიყენება არამხოლოდ საშემოსავლო და მოგების გადასახადის მიზნებისათვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

თავი X
გამოქვითები ერთობლივი შემოსავლიდან

მუხლი 30. ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის განსაზღვრა და ამორტიზაციის დარიცხვა

1. ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალებები ჯგუფდება ცალ-ცალკე და თითოეული ძირითადი საშუალება ითვლება ცალკე ჯგუფად.
2. 1000 ლარამდე ღირებულების ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალება ცალკე არ ჯგუფდება და მისი მიხედვით ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი არ დგება, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას და მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში გადაეცა.
3. ლიზინგის საგნის პირველად გაცემისას ლიზინგის გამცემისათვის ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი განისაზღვრება იმ დანახარჯების მიხედვით, რომელიც გაწეულია აღნიშნული აქტივის მიმწოდებლისაგან შესყიდვაზე, აგრეთვე სხვა ხარჯების მიხედვით, რომლებიც ზრდის აქტივის ღირებულებას.

მაგალითი 1:
საწარმომ 2012 წლის იანვარში 90 000 ლარად შეიძინა და 5 წლით ლიზინგით გასცა 2 სატვირთო ავტომობილი, ერთი ავტომობილის შესყიდვის ღირებულება შეადგენს 50000 ლარს, მეორე ავტომობილის 40000 ლარს, აღნიშნულ აქტივების ღირებულებაზე მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები საწარმოს არ გააჩნია.
მოცემულ პირობებში:
საწარმოს მიერ აღნიშნულ ავტომობილებზე შეიქმნება ცალ-ცალკე ჯგუფები და პირველი ავტომობილის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი განისაზღვრება 50000 ლარით, მეორე ატომობილის 40000 ლარით.

4. ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებას ამორტიზაცია დაერიცხება სალიზინგო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების ოდენობით, რომელიც განისაზღვრება ლიზინგის პირობებისა და ამ ძირითადი

საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გათვალისწინებით.

მაგალითი 2:

საწარმომ 2012 წლის იანვარში 5 წლის ვადით ლიზინგით გასცა ავტომობილი, აღნიშნული ავტომობილის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ღირებულება გადაცემის მომენტისათვის შეადგენდა 23040 ლარს. საწარმომ სალიზინგო ხელშეკრულებით ყოველი წლის ბოლოს უნდა მიიღოს სალიზინგო გადასახდელი 7000 ლარის ოდენობით, ხოლო ბოლო გადასახდელის გადახდისას ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის (ავტომობილის) გამოსყიდვა 2630 ლარის ოდენობით. მოცემული პერიოდისათვის ლიზინგის გამცემი იყენებს 18%-იანი დისკონტირების განაკვეთს.

სალიზინგო გადასახდელების (მათ შორის, ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად გამოსყიდვის ღირებულების) დისკონტირებით მიიღება აქტივის ღირებულება მისი ლიზინგით გაცემისას.

მოცემულ პირობებში:

მომავალ პერიოდში მისაღები სალიზინგო გადასახდელების (მათ შორის, ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად გამოსყიდვის ღირებულების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მთლიანი თანხიდან (37630 ლარი) ძირითადი (დისკონტირებული) ღირებულება იქნება 23040 ლარი, ხოლო საპროცენტო შემოსავალი 14590 ლარი (37630–23040).

შედეგი:

პირველი წლის სალიზინგო გადასახდელიდან (7000 ლარი) მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი (დისკონტირებული) ნაწილი იქნება 2853 ლარი (7000–(23040X18%), ხოლო საპროცენტო შემოსავალი 4147 ლარი (23040 X 18%). შესაბამისად, საწარმომ (ლიზინგის გამცემმა) ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებას, რომელიც ცალკე ჯგუფად აქვს აღრიცხული, უნდა დაარიცხოს ამორტიზაცია მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი ნაწილით 2853 ლარით (შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირდება ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი), და აღნიშნული თანხა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით, ხოლო სალიზინგო შემოსავალი 7000 ლარი ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

მეორე წლის სალიზინგო გადასახდელიდან (7000 ლარი) მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი (დისკონტირებული) ნაწილი იქნება 3366 ლარი (7000–(23040–2853)X18%), ხოლო საპროცენტო შემოსავალი 3634 ლარი (23040–2853)X18%. შესაბამისად, საწარმომ (ლიზინგის გამცემმა) ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებას, რომელიც ცალკე ჯგუფად აქვს აღრიცხული), უნდა დაარიცხოს ამორტიზაცია მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი ნაწილით 3366 ლარით (შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირდება ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი), და აღნიშნული თანხა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით, ხოლო სალიზინგო შემოსავალი 7 000 ლარი ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

მომდევნო პერიოდებში სალიზინგო გადასახდელიდან (7000 ლარი) დისკონტირებული ღირებულების გამოყოფა, ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებაზე ამორტიზაციის დარიცხვა და მიღებული ან მისაღები სალიზინგო გადასახდელის ერთობლივ შემოსავალში ჩართვა მოხდება ანალოგიური წესით.

მაგალითი 3:

საწარმომ 2012 წლის იანვარში 5 წლის ვადით ლიზინგით გასცა ავტომობილი, აღნიშნული ავტომობილის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ღირებულება გადაცემის მომენტისათვის შეადგენდა 23040 ლარს. საწარმომ სალიზინგო ხელშეკრულებით ყოველი წლის ბოლოს უნდა მიიღოს სალიზინგო გადასახდელი 5000 ლარის ოდენობით, ხოლო სალიზინგო ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე დამატებით თანადაფინანსების სახით უნდა მიიღოს 7405 ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად გამოსყიდვის ღირებულება 0-ის ტოლია. მოცემული პერიოდისათვის ლიზინგის გამცემი იყენებს 18%-იანი დისკონტირების განაკვეთს.

მოცემულ შემთხვევაში:

მისაღები სალიზინგო გადასახდელების მთლიანი თანხიდან (32405 ლარი) ძირითადი (დისკონტირებული) ღირებულება იქნება 23040 (7405+5000 X 3.127) ლარი, ხოლო საპროცენტო შემოსავალი 9365 ლარი (32405–23040).

შედეგი:

პირველი წლის სალიზინგო გადასახდელიდან (12405 ლარი) მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი (დისკონტირებული) ნაწილი იქნება 9591 ლარი (12405–(23040-7405)X18%)), ხოლო საპროცენტო შემოსავალი 2814 ლარი (23040-7405)X18%)). შესაბამისად, საწარმომ (ლიზინგის გამცემმა) ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებას, რომელიც ცალკე ჯგუფად აქვს აღრიცხული, უნდა დაარიცხოს ამორტიზაცია მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი ნაწილით 9591 ლარით (შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირდება ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი), და აღნიშნული თანხა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით, ხოლო სალიზინგო შემოსავალი 12405 ლარი ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

მეორე წლის სალიზინგო გადასახდელიდან (5000 ლარი) მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი (დისკონტირებული) ნაწილი იქნება 2579 ლარი (5000–(23040–9591)X18%), ხოლო საპროცენტო შემოსავალი 2421 ლარი (23040–9591)X18%. შესაბამისად, საწარმომ ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებას, რომელიც ცალკე ჯგუფად აქვს აღრიცხული, უნდა დაარიცხოს ამორტიზაცია მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი ნაწილით 2579 ლარით (შესაბამისად აღნიშნული თანხით შემცირდება ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი), და აღნიშნული თანხა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით, ხოლო სალიზინგო შემოსავალი 5 000 ლარი ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

მომდევნო პერიოდებში სალიზინგო გადასახდელიდან (5000 ლარი) დისკონტირებული ღირებულების გამოყოფა, ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებაზე ამორტიზაციის დარიცხვა და მიღებული ან მისაღები სალიზინგო გადასახდელის ერთობლივ შემოსავალში ჩართვა მოხდება ანალოგიური წესით.

5. ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების ლიზინგის გამცემისათვის დაბრუნების შემთხვევაში ეს ძირითადი საშუალება რჩება იმავე ჯგუფში და

შემდგომ ლიზინგით გაცემამდე მასზე საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვა ჩერდება.

6. თუ ხორციელდება ძირითადი საშუალების ხელმეორედ ლიზინგით გაცემა, ლიზინგის გამცემისათვის ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებით ბალანსი განისაზღვრება ძირითადი საშუალების ლიზინგით პირველად გაცემის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას აღნიშნული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის ოდენობით, იმ პირობით, რომ ლიზინგის გამცემის მიერ ძირითადი საშუალების ხელმეორედ ლიზინგით გაცემამდე ფაქტობრივად არ განხორციელებულა აღნიშნული ძირითადი საშუალების სხვა სახის საქმიანობაში გამოყენება.

მაგალითი 4:

პირობები იგივეა რაც მე-3 მაგალითში იმ დამატებით, რომ 2013 წლის დეკემბრის ბოლოს სალიზინგო ხელშეკრულება შეწყდა ვადაზე ადრე და საწარმოს დაუბრუნდა ლიზინგით გაცემული ავტომობილი. აღნიშნული ავტომობილი საწარმომ ხელმეორედ გასცა 2015 წლის იანვარში. სალიზინგო ხელშეკრულების შეწყვეტიდან ავტომობილის ხელმეორედ ლიზინგით გაცემამდე საწარმოს მიერ არ მომხდარა ძირითადი საშუალების სხვა სახის საქმიანობაში გამოყენება.

მოცემულ შემთხვევაში

იქიდან გამომდინარე, რომ სალიზინგო ხელშეკრულების შეწყვეტიდან ავტომობილის ხელმეორედ ლიზინგით გაცემამდე საწარმოს მიერ არ მომხდარა ძირითადი საშუალების სხვა სახის საქმიანობაში გამოყენება, ავტომობილის ლიზინგით ხელმეორედ გაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი იქნება 2014 წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის ტოლი, რომელიც შეადგენს 10870 (23040-(9591+2579)) ლარს, ვინაიდან 2014 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით საწარმოს მიერ არ მომხდარა აღნიშნული ავტომობილის გამოყენება და შესაბამისად ამორტიზაციის დარიცხვა.

7. თუ ლიზინგის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ან ლიზინგის ვადის დასრულებისას, ლიზინგის მიმღების მიერ ხდება ძირითადი საშუალების გამოსყიდვა, ლიზინგის გამცემი ვალდებულია აღნიშნული ძირითადი საშუალების ლიზინგი მიმღებისთვის მიწოდებისას მიღებული ან/და მისაღები თანხა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში, ხოლო აღნიშნული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლოს და ჯგუფის ღირებულება გამოიქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან.

8. თუ პირს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ მეოთხე ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებებზე – შენობებსა და ნაგებობებზე (შემდგომში –ნაგებობა) გააჩნია მონაცემი ყველა ნაგებობის ღირებულებითი ბალანსის მთლიანი ოდენობის თაობაზე და შესაბამისი სააღრიცხვო დოკუმენტაციის დაკარგვის ან/და განადგურების გამო (გარდა თავდაპირველად ამ ძირითადი საშუალების შესყიდვის, წარმოების, კაპიტალში შენატანის სახით მიღების დამადასტურებელი დოკუმენტისა) ვერ ახორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ, თითოეული ნაგებობის ცალკე ჯგუფად აღრიცხვის მოთხოვნას, აღნიშნული პირი უფლებამოსილია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეული ნაგებობა აღრიცხოს ცალკე ჯგუფად და ერთ ჯგუფად აღრიცხული შენობების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოანგარიშებული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი გადაანაწილოს ცალკ-ცალკე აღებული თითოეული ნაგებობის მიხედვით შექმნილ ჯგუფებზე შემდეგი მეთოდის გამოყენებით:

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური (ბუღალტრული) აღრიცხვისას გამოყენებული ცვეთის ნორმის მიხედვით გამოთვლილი თითოეული ნაგებობის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეფარდებული ნაგებობების ჯამურ ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან და გამრავლებული საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაანგარიშებულ ჯგუფის ჯამურ ღირებულებით ბალანსზე.

მაგალითი: 5

პირი, 1997 წლიდან დღემდე მეოთხე ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებებს – შენობებსა და ნაგებობებს (შემდგომში– ნაგებობა) აღრიცხავდა ერთ ჯგუფად. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირს სურს შეასრულოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული, თითოეული ნაგებობის ცალკე ჯგუფად აღრიცხვის მოთხოვნა, თუმცა შესაბამისი სააღრიცხვო დოკუმენტაცია დაკარგულია და მას გააჩნია ინფორმაცია მხოლოდ ჯგუფში შემავალი ნაგებობების (ჯგუფი მოიცავს ექვს ნაგებობას) ღირებულებითი ბალანსის მთლიანი ოდენობის თაობაზე, რაც 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 20 000 ლარს.

ამასთან, პირს თითოეულ ნაგებობაზე გააჩნია მონაცემები ფინანსური (ბუღალტრული) აღრიცხვისას გამოყენებული ცვეთის ნორმის მიხედვით გამოთვლილი თითოეული ნაგებობის ნარჩენი საბალანსო ღირებულების თაობაზე 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კერძოდ:

ჯამური ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 40 000 ლარს, მათ შორის:

პირველი ნაგებობა – 12000 ლარს;

მე-2 ნაგებობა – 10000 ლარს;

მე-3 ნაგებობა – 11000 ლარს;

მე-4 ნაგებობა – 4000 ლარს;

მე-5 ნაგებობა – 2000 ლარს;

მე-6 ნაგებობა – 1000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

პირი უფლებამოსილია თითოეული ნაგებობა აღრიცხოს (მისი ღირებულებითი ბალანსი დაადგინოს) ცალკ-ცალკე ჯგუფად 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ერთ ჯგუფად აღრიცხული შენობების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოანგარიშებული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი გადაანაწილოს ცალკ-ცალკე აღებული თითოეული ნაგებობის მიხედვით შექმნილ ჯგუფებზე შემდეგი წესით:

პირველი ნაგებობა 12000/40000X20000 = 6000 ლარი;

მე-2 ნაგებობა 10000/40000X20000 = 5000 ლარი;

მე-3 ნაგებობა: 11000/40000X20000 = 5500 ლარი;

მე-4 ნაგებობა: 4000/40000X20000 = 2000 ლარი;
მე-5 ნაგებობა: 2000/40000X20000 = 1000 ლარი;
მე-6 ნაგებობა: 1000/40000X20000 = 500 ლარი.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №632-ვებგვერდი, 29.12.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 იანვრის ბრძანება №17 – ვებგვერდი, 13.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 იანვრის ბრძანება №24 – ვებგვერდი, 20.01.2012წ.

მუხლის 30[1]. სალიზინგო კომპანიის მიერ ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების გამოქვითვა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 39-ე ნაწილით განსაზღვრულ სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს საანგარიშო პერიოდის მიხედვით ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ (მათ შორის, ლიზინგის შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილ) მოთხოვნებზე, რომლის მიხედვით მისაღები თანხები აღიარებულია შემოსავლად და ჩართულია შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ერთობლივ შემოსავალში შექმნას რეზერვები.

2. რეზერვები იქმნება ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და სხვა ჯარიმების გარეშე) 80%-ის ოდენობით, თუ ვადაგადაცილება საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის (31 დეკემბრის) მდგომარეობით აღემატება ან შეადგენს 60 დღეს.

3. სალიზინგო კომპანიის მიერ ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების პირველად შექმნის საანგარიშო პერიოდისთვის ასეთი რეზერვის თანხა მთლიანად გამოიქვითება საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი 1.

სალიზინგო კომპანიას სალიზინგო საქმიანობის განხორციელებისას 2012 წლის ბოლო დღეს აქვს ვადაგადაცილებული მოთხოვნა 7000 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოშობილია 2012 წლის 5 აგვისტოს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს 2012 წლის ბოლო დღეს ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნაზე შექმნას რეზერვი 5600 ლარის ოდენობით (7000X80%) და გამოქვითოს 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან.

4. თუ სალიზინგო კომპანიის მიმდინარე საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხა აღემატება წინა საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხას, მათ შორის, სხვაობა გამოიქვითება მიმდინარე საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი 2.

სალიზინგო კომპანიამ 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების ხარჯი 5600 ლარის ოდენობით. 2013 წლის ბოლო დღეს დათვლილი ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვები შეადგენს 6000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს 400 ლარი (6000-5600) გამოქვითოს 2013 წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

5. თუ სალიზინგო კომპანიის მიმდინარე საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხა ნაკლებია წინა საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხაზე, მათ შორის, სხვაობა ჩაირთვება მიმდინარე საანგარიშო წლის ერთობლივ შემოსავალში.

მაგალითი 3.

სალიზინგო კომპანიამ 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების ხარჯი 5000 ლარის ოდენობით. 2013 წლის ბოლო დღეს დათვლილი ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვები შეადგენს 4000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიამ 1000 ლარი (5000-4000) უნდა ჩართოს 2013 წლის ერთობლივ შემოსავალში.

6. თუ სალიზინგო კომპანია მიმდინარე საანგარიშო წელს ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 39-ე ნაწილით განსაზღვრულ სალიზინგო კომპანიის მოთხოვნებს, წინა საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩაირთვება მიმდინარე საგადასახადო წლის ერთობლივ შემოსავალში.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 იანვრის ბრძანება №17 – ვებგვერდი, 13.01.2012წ.

მუხლი 31. ცალკეულ შემთხვევებში ხარჯების გამოქვითვა

1. დოკუმენტურად დადასტურების გარეშე შესაძლებელია ერთობლივი შემოსავალიდან გამოიქვითოს საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდების შედეგად წარმოშობილი გამოსაქვითად ასაღიარებელი სარგებელი.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) მოიჯარის მიერ იჯარის საგანზე მეიჯარის სახელით გაწეული ხარჯის დოკუმენტი;

ბ) ანგარიშვალდებული პირის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ ავტოსტრანსპორტო საშუალების საწვავის შეძენისათვის შესაბამისი ქვეყნის მიერ დადგენილი წესით გაცემული ჩეკი (დოკუმენტი), თუ ეს საწვავი გამოყენებულია შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობისათვის და ხარჯი სახეზეა.

3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ კვების ობიექტში კვების მომსახურების („საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „სეკ 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 21 დეკემბრის №1-1/282 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები სეკ 001-2004“-ის 55.3 – 55.5 ჯგუფებით გათვალისწინებული საქმიანობა) გამწევი პირის მიერ, ამ მომსახურებისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტის შესყიდვაზე გაწეული ჯამური ხარჯი, მიუხედავად ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობისა, შესაძლებელია გამოიქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან, არა უმეტეს ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 20%-ისა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) თუ პირის მიერ პროდუქციის შესყიდვაზე გაწეული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი აღემატება ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 20%-ს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი;

ბ) თუ პირის მიერ პროდუქციის შესყიდვაზე გაწეული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი არ აღემატება ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 20%-ს და მას ასევე გააჩნია დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება როგორც დოკუმენტურად დადასტურებული, ასევე დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები, მაგრამ არა უმეტეს ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 20%-ისა.

მაგალითი 1

პირი რესტორნის მეშვეობით უწევს კვების მომსახურებას მომხმარებლებს. 2011 წლის განმავლობაში მის მიერ ასეთი მომსახურების გაწევიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 150 000 ლარი. კვების მომსახურების გასაწევად წლის განმავლობაში სხვადასხვა პირებისაგან შეიძინა 45 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები (თევზი, კარტოფილი, პომიდორი და სხვა), მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით არ გააჩნია ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში

პირი უფლებამოსილია ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს კვების პროდუქტების შეძენაზე გაწეული ხარჯი მხოლოდ 30 000 (150 000 X 20%) ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი 15 000 ლარი ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

მაგალითი 2

პირი რესტორნის მეშვეობით უწევს კვების მომსახურებას მომხმარებლებს. 2011 წლის განმავლობაში მის მიერ ასეთი მომსახურების გაწევიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 150 000 ლარი. კვების მომსახურების გასაწევად წლის განმავლობაში სხვადასხვა პირებისაგან შეიძინა 45 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები. საიდანაც მას მხოლოდ 35 000 ლარზე გააჩნია ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში

პირი უფლებამოსილია ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მხოლოდ კვების პროდუქტების შეძენაზე გაწეული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი 35 000 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი 10 000 ლარის ოდენობის ხარჯი ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

მაგალითი 3

პირი რესტორნის მეშვეობით უწევს კვების მომსახურებას მომხმარებლებს. 2011 წლის განმავლობაში მის მიერ ასეთი მომსახურების გაწევიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 150 000 ლარი. კვების მომსახურების გასაწევად წლის განმავლობაში სხვადასხვა პირებისაგან შეიძინა 29 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები, საიდანაც მას მხოლოდ 15 000 ლარზე გააჩნია ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში

პირი უფლებამოსილია ერთობლივი შემოსავლიდან სრულად გამოქვითოს 29 000 ლარი, მათ შორის, როგორც დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი 15 000 ლარი, ასევე დანარჩენი 14 000 ლარი, რომელიც დოკუმენტურად არ არის დადასტურებული. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ნებადართული გამოქვითვადი ხარჯების ოდენობა არ აღემატება 30 000 ლარს – 150 000 ლარის 20%-ს.

5. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სა მედიცინო დაწესებულებას, რომლის ერთობლივი შემოსავალი არ არის ნაკლები 1 000 000 ლარზე, უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯის დოკუმენტის დადასტურების გარეშე, დამატებით გამოქვითოს, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის არა უმეტეს 20 პროცენტი.

6. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, 2014 წლის 1 იანვრამდე ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯის დოკუმენტურად დადასტურების გარეშე დამატებით გამოქვითოს საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტით გატანილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3001-3006 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის 10%, თუ:

ა) ,,საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებით გათვალისწინებული წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების მიხედვით აღნიშნული საქონლის წარმოშობის ქვეყანა არის საქართველო ან;

ბ) ამ პუნქტით გათვალისწინებული საქონლის დასამზადებლად გამოყენებული მასალები და ნედლეული წარმოშობილია საქართველოში და ამ მასალებისა და ნედლეულის ღირებულება შეადგენს მზა პროდუქციის ღირებულების სულ ცოტა 30%-ს შესაფუთი მასალების ღირებულების ჩათვლით ან;

გ) ამ პუნქტით გათვალისწინებული საქონელი წარმოებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფარმაცევტული წარმოების ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში.

შენიშვნა: ამ პუნქტის მიზნებისათვის საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება ,,საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვები.

7. ხე-ტყის ან მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემენასთან დაკავშირებული ხარჯი დოკუმენტურად დადასტურებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ხე-ტყე დამზადებულია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის/ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიის მფლობელის მიერ. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება:

ა) იმპორტირებული ხე-ტყის, მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის (მათ შორის, საქონელთან ერთად ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის, როგორც საქონლის შესაფუთი მასალის) შემენასთან დაკავშირებულ ხარჯზე;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე სანიტარიული ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის, მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემენასთან დაკავშირებულ ხარჯზე;

გ) სახელმწიფოს მიერ აუქციონის შედეგად ან მის გარეშე რეალიზებული (გადაცემული) ხე-ტყის, მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის (გარდა სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყისა) შემენასთან დაკავშირებულ ხარჯზე;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანხმობის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების (გარდა სოციალური ჭრის შედეგად მოპოვებული ხე-მცენარეებისა) შემენასთან დაკავშირებულ ხარჯზე;

ე) სახელმწიფო (გარდა სახელმწიფო ტყის ფონდისა) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების განკარგვაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის საფუძველზე სახელმწიფო (გარდა სახელმწიფო ტყის ფონდისა) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების (გარდა სოციალური ჭრის შედეგად მოპოვებული ხე-მცენარეებისა) შემენასთან დაკავშირებულ ხარჯზე.

შენიშვნა: ამ პუნქტის მიზნებისათვის შესაბამისი ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს ტყის კოდექსისა და „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 24 ივნისის №96 ბრძანების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება №521 – ვებგვერდი, 06.10.2011 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 ივლისის ბრძანება №293 – ვებგვერდი, 30.07.2012წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №371 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №375 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

თავი XI
საგადასახადო ანგარიშგება

მუხლი 32. საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია

ფიზიკურ პირს, რომელსაც წარმოეშვა საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების ვალდებულება, საგადასახადო ორგანოს საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიურ დეკლარაციას წარუდგენს №II-04 დანართის ფორმით.

დანართი №II-04

საშემოსავლო გადასახადის წლიური
დეკლარაცია
ნაწილი I

მეწარმე ფიზიკური პირი

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე *ფიზიკური პირი*

გადამხდელი

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე

1

გვარი, სახელი

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V" ნიშნით)

2 საიდენტიფიკაციო ნომერი

3 გადამხდელის

პირადი ნომერი

4 დეკლარაციის სახე: პირველადი შესწორებული

5 ს/წელი

6 მისამართი

7 ეკონომიკური საქმიანობის კოდი

8 საქმიანობის შეწყვეტის თარიღი

9 წარედგინება:

ნაწილი II

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

10 დეკლარაციის მიღების თარიღი

11 თანდართული დოკუმენტი ფურცელზე

12 რეგისტრაციის ნომერი

13 დეკლარაციის მიმღების გვარი, სახელი

14 დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა

ნაწილი III

		სამემოსავლო გადასახადის გაანგარიშება (ლარი)
ერთობლივი შემოსავალი		
მათ შორის:		
სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას		
დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი	16	
საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული	17	
ერთობლივი შემოსავალი (სსკ-ის 82 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით)		
გარდა მე-20 გრაფისა და დანართი „ა“, „ბ“ და „გ“-ში ასახული შემოსავლებისა		
მათ შორის:		
სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული (გარდა 5%-იანისა)	1 19	
ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის ერთობლივი შემოსავალი		
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		21
საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		

გამოქვითვები სულ

23

მათ შორის:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	24			
ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი	25			
გაცემული ხელფასი	26			
კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები	27			
საამორტიზაციო ანარიცხები	28			
სრულად გამოქვითული 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები	29			
სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალებების ღირებულება	30			
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	31			
სხვა გამოქვითვები, (აღსადგენი ხარჯების გათვალისწინებით)	32			

ჯამი

33

საქართველოს წყაროდან მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავალი, გარდა	3
არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების იჯარით გაცემით მიღებული შემოსავლისა	35

36

მათ შორის, ხელფასის სახით მიღებული

37

დაბეგვრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი

37

შემოსავალი, სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

წინა წლების ზარალი, რომელიც ექვემდებარება

38

38

გამოქვითვას

შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი

საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით (უჯ34-უჯ33-უჯ35-უჯ37-უჯ38)

ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის ერთობლივი შემოსავალი,

რომელიც იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით

საშემოსავლო გადასახადი კანონმდებლობით დადგენილი ჩათვლების გარეშე

გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო

გადასახადი, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას

42

კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი,

მათ შორის:

43

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულ(ებ)ის დასახელება	თანხა

44

დაბრუნებას დაქვემდებარებული გადასახადი

45

კაპიტალიზებადი ხარჯი

46

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

4 47 გადამხდელის გვარი, სახელი

4 48 გადამხდელის ხელმოწერა

49 ხელმოწერის თარიღი

შენიშვნა:

დეკლარაციის 42-ე და 45-ე უჯრები ივსება ფიზიკური პირის მიერ, რომელიც დეკლარაციას წარადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 და 134-ე მუხლის მე-3 ნაწილების შესაბამისად, ხოლო მეწარმე ფიზიკური პირების მიერ 132-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გადასახადის გადაანგარიშების და დაბრუნების მოთხოვნით.

დანართი „ა“

მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების სპეც.რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლების აღრიცხვის ფორმა

ნაწილი I

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი	1
სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი. მათ შორის:	2
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი შემოსავალი	3
იმ საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებზეც არ ვრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსისთვის დადგენილი ბრუნვის 30000 ლარიანი ზღვარი	4
სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები სულ. მათ შორის:	5
ხელფასის ხარჯი	6
კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი,	
მათ შორის	7
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი	
ადგილობრივი თვითმმართველი	

8	ერთეულ(ებ)ის დასახელება	თანხა

დანართი „ბ“

არასამეწარმეო/არაეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების/სარგებლის და კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების შესახებ

NN	მიღებული შემოსავალის სახე	მიღებული შემოსავალი, რომელიც		შეღავათის ოდენობა	გადასახადის განაკვეთი (20-5%)	გადასახადი (ლარი)	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასახელება
		გადახდის წყაროსთან დაბეგრილია	ექვემდებარება დაბეგვრას				
1	2	3	4	5	6	7	8
11	ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავალი						
22	აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი						
33	მიღებული სარგებელი						
სულ							

დანართი „გ“

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე

საერთაშორისო ორგანიზაციისაგან ან/და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსგან მიღებული ხელფასის შესახებ, რომელიც არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან

ხელფასის გაცემის თვე	ხელფასის ოდენობა	შეღავათის ოდენობა	გადასახადის განაკვეთი	გადასახადი (ლარი)	რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი, მათ შორის:	
					აჭარის ა.რ.	აფხაზეთის ა.რ.
1	2	3	4	5	6	7

სულ						

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 26 სექტემბრის ბრძანება №505 – ვებგვერდი, 29.09.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

მუხლი 33. საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციის პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტების, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

2. დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელმოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

3. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულ დეკლარაციის უჯრებში აუცილებელი გახდება განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

5. დეკლარაციის III ნაწილის:

ა) მე-15 უჯრაში მიეთითება – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიიღება საანგარიშო პერიოდში ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით (გარდა საქართველოს საწარმოს მიერ გაცემული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი დივიდენდისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 და 4^1 ნაწილების შესაბამისად მიღებული დივიდენდებისა და 131-ე მუხლის მე-5, მე-8 და მე-9 ნაწილების შესაბამისად მიღებული პროცენტებისა), მათ შორის, შემოსავალი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. ამასთან, როცა დეკლარაციას ავსებს არარეზიდენტი ფიზიკური პირი დაკავებული თანხების დაბრუნების მოთხოვნით, დეკლარაციის მე-15 უჯრაში შეიტანება მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“ „$დ^1$“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლები;

ბ) მე-16 უჯრაში – მიკრო და მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი;

გ) მე-17 უჯრაში – რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალი;

დ) მე-18 უჯრაში აისახება – მონაცემი, რომელიც მიიღება მე-15 უჯრაში ასახულ ერთობლივ შემოსავალს გამოკლებული ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის ერთობლივი შემოსავალი (უჯრა 20), მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების სპეც.რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლების აღრიცხვის ფორმის მე-2 და მე-4 სტრიქონებში მითითებული შემოსავლების ჯამი (დანართი „ა“), არასამეწარმეო/არაეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების/სარგებლის და კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების ფორმის მე-3 და მე-4 სვეტების ჯამი (დანართი „ბ“), ფიზიკური პირის მიერ საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის

მქონე საერთაშორისო ორგანიზაციისაგან ან/და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსგან მიღებული ხელფასების ჯამი (დანართი „გ“) და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი შეღავათები;

ე) მე-19 უჯრაში – სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლები, რომელიც ექვემდებარება მიმდინარე გადასახდელების დარიცხვას;

ვ) მე-20 უჯრაში – შეიტანება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ ამ საქმიანობის მიხედვით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად იბეგრება 5%-იანი განაკვეთით;

ზ) 21-ე და 22-ე უჯრებში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ღირებულება, შესაბამისად საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის;

თ) 23-ე უჯრაში – მე-18 უჯრაში ასახული ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული და გამოქვითვას დაქვემდებარებული ან/და აღსადგენი ხარჯები (24-ე-32-ე უჯრების ჯამი), მათ შორის:

თ.ა) მე-24 სტრიქონში – საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ყველა სასაქონლო – მატერიალური ფასეულობა, მიუხედავად საქართველოს საგადასახადო კოდექსით ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვისათვის დადგენილი შეზღუდვებისა, მათ შორის: კაპიტალიზებადი, უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული, ძირითადი საშუალების ლიკვიდაციის შედეგად მიღებული, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა და სხვა;

თ.ბ) 25-ე უჯრაში – საანგარიშო პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის ღირებულება;

თ.გ) 26-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად ხელფასის სახით ფაქტობრივ განაცემებზე (სარგებელზე) გაწეული ხარჯი;

თ.დ) 27-ე უჯრაში – კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები, არაუმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლი), მიუხედავად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვებისა;

თ.ე) 28-ე უჯრაში – საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მიხედვით, რომელიც გამოიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე, 113-ე და 119-ე მუხლების შესაბამისად;

თ.ვ) 29-ე უჯრაში – საანგარიშო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ღირებულების ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების ღირებულება, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ექსპლოატაციაში გადაცემისას;

თ.ზ) 30-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის მიხედვით საგადასახადო წლის განმავლობაში 100-პროცენტიანი ამორტიზაციის დარიცხვის გზით სრულად გამოქვითული ამორტიზაციას დაქვემდებარებული და ექსპლუატაციაში შესული ძირითადი საშუალებების ღირებულება. ამასთან, სრულად გამოქვითვის უფლება არ ვრცელდება ლიზინგით გაცემულ და ისეთ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ამორტიზაციას;

თ.თ) 31-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსი 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის თითეულ ჯგუფში შემავალი, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საანგარიშოს წინა საგადასახადო წლის ბოლოსათვის შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტს. ამასთან, თუ გადასახადის გადამხდელი ძირითადი საშუალებების გამოქვითვისას იყენებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის ნორმას, მაშინ ძირითადი საშუალებების აღნიშნული ნაწილისათვის რემონტის ხარჯებთან მიმართებაში 5-პროცენტიანი შეზღუდვის წესი არ გამოიყენება;

თ.ი) 32- ე უჯრაში ჩასაწერი თანხა განისაზღვრება შემდეგი წესით:

თ.ი.ა) მიეთითება ყველა სხვა ნებისმიერი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან (გარდა, 24-ე-31-ე სტრიქონებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხებისა), მიუხედავად იმისა, გადასახადის გადამხდელს აქვს თუ არა მათი გამოქვითვის უფლება, ამასთან არ არის ასახული სხვა უჯრებში, როგორიცაა:

თ.ი.ა.ა) სადაზღვევო შენატანების ხარჯები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 118-ე მუხლის შესაბამისად;

თ.ი.ა.ბ) წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე ნაწილის მიხედვით. ამასთან, მისი ოდენობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად არ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალის 1 პროცენტს;

თ.ი.ა.გ) სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 110-ე მუხლის მიხედვით;

თ.ი.ა.დ) რეალიზებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 108-ე მუხლის შეზღუდვების გათვალისწინებით;

თ.ი.ა.ე) ბიოლოგიურ აქტივზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯი;

თ.ი.ა.ვ) გამოქვითვას დაქვემდებარებული სხვა ხარჯი;
თ.ი.ბ) განისაზღვრება წინა საანგარიშო პერიოდების ხარჯი, რომელთა გამოქვითვის უფლება მოპოვებულია საანგარიშო პერიოდში.
თ.ი.გ) განისაზღვრება თანხა, რომელთა გამოქვითვის უფლება არ აქვს გადასახადის გადამხდელს, თუმცა იგი ასახულია „თ.ი.ა“ ქვეპუნქტში და დეკლარაციის 24-ე-31-ე სტრიქონებში. მათ შორის:
– საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებულ შემოსავალზე გაწეული დანახარჯი;
– საანგარიშო წლის განმავლობაში კაპიტალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
- შეძენებზე გაწეული დანახარჯები, რომელზეც პირს სრული ოდენობით ან ნაწილობრივ არ აქვს გამოქვითვის უფლება (მაგ.: მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი);
– დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის დღისათვის ჩასათვლელი დღგ-ის თანხა, რომელიც მიკუთვნებული იყო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე;
– ხარჯი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით ;
– სხვა დანახარჯები, რომელიც არ განეკუთვნება ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯს;
თ.ი.დ) „თ.ი.ა“ და „თ.ი.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული თანხების ჯამი მცირდება „თ.ი.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხით, სხვაობა შეიტანება დეკლარაციის 32-ე სტრიქონში.
შენიშვნა: შესაძლებელია 32-ე სტრიქონის მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე, 23-ე უჯრის მნიშვნელობაც იყოს უარყოფითი სიდიდე;
ი) 33-ე უჯრაში –21-ე და 23-ე უჯრებში ასახულ მონაცემთა ჯამი;
კ) 34-ე უჯრაში – მე-18 და 22-ე უჯრებში ასახულ მონაცემთა ჯამი;
ლ) 35-ე უჯრაში – მე-18 უჯრაში შეტანილი საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავლები. ამასთან, აღნიშნულ უჯრაში არ შეიტანება საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლი, გადახდის წყაროსთან დაბეგრილი ის შემოსავალი, რომელიც მიღებულია არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების იჯარით გაცემით. და აგრეთვე საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი იმ პირთა შემოსავალი, რომლებიც დაკავებული გადასახადის დაბრუნების მოთხოვნით ავსებენ დეკლარაციას;
მ) 36-ე უჯრაში – დეკლარაციის 35-ე უჯრაში ასახული საქართველოში არსებული წყაროდან ხელფასის სახით მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავალი;
ნ) 37-ე უჯრაში – სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი შემოსავალი;
ო) 38-ე უჯრაში – წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას, მაგრამ არა უმეტეს წინა 5 საგადასახადო წლის ზარალისა, უჯრის შევსებისას გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 121-ე მუხლით დაწესებული ნორმები;
პ) 39-ე უჯრაში – შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას (საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი 20%-იანი განაკვეთით) მიიღება: 34-ე უჯრაში ასახულ მონაცემს გამოკლებული 33-ე უჯრაში ასახული მონაცემი, გამოკლებული 35-ე უჯრაში ასახული მონაცემი, გამოკლებული დაბეგვრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი შემოსავალი (უჯრა 37) და გამოკლებული წინა საანგარიშო წლების ზარალი (უჯრა 38);
ჟ) მე-40 უჯრაში – მიეთითება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის 5%-იანი განაკვეთით დასაბეგრი შემოსავალი, რომლის გამოანგარიშებისას მე-20 უჯრაში ასახულ მონაცემს 37-ე უჯრაში ასახული მონაცემი (სრულად ან ნაწილობრივ) აკლდება იმ შემთხვევაში, თუ 39-ე უჯრაში ასახული ციფრი ნულის ტოლია და 37-ე გრაფაში მითითებული შეღავათი სრულად არ იქნა გამოყენებული 39-ე გრაფის გამოანგარიშებისას;
რ) 41-ე უჯრაში – საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მიიღება 39-ე და მე-40 უჯრებში ასახული მონაცემების შესაბამის განაკვეთებზე ნამრავლის ჯამით.
ს) 42-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული და ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა, ან სხვა შემთხვევაში ამ პირის მიერ ბიუჯეტში გადახდილია საშემოსავლო გადასახადის თანხა, თუ დეკლარაცია ივსება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის მე-4, ასევე 132-ე მუხლის მე-3 და 134-ე მუხლის მე-3 ნაწილების შესაბამისად, გადასახადის გადაანგარიშების ან დაბრუნების მოთხოვნით. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ დეკლარაციის 42-ე უჯრაში აისახება გადახდის წყაროსთან დაკავებული ის გადასახადები, რომელზეც არსებობს გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
ტ) 43-ე უჯრაში – კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მიიღება 41-ე და 42-ე უჯრების მონაცემთა დადებითი სხვაობით;
უ) 44-ე უჯრებში აისახება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულ(ებ)ის ბიუჯეტებში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თითოეული ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის მითითებით;
ფ) 45-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო 154-ე მუხლის პირველი ნაწილის, 153-ე მუხლის მე-4, 132-ე

მუხლის მე-3 და 134-ე მუხლის მე-3 ნაწილების შესაბამისად, დაკავებული გადასახადის დაბრუნების მოთხოვნით, ფიზიკური პირის (მათ შორის, მეწარმე ფიზიკური პირი) მიერ წარდგენილი დეკლარაციით განსაზღვრული დასაბრუნებელი გადასახადის ოდენობა, რომელიც მიიღება დეკლარაციის 42-ე და 41-ე უჯრებში ასახულ მონაცემთა სხვაობით, იმ პირობით, რომ 42-ე უჯრაში ასახული საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხა აღემატება დეკლარაციის 41-ე უჯრაში გამოანგარიშებულ საშემოსავლო გადასახადის თანხას;

ქ) 46-ე უჯრაში – კაპიტალიზირებადი ხარჯები.

6. დეკლარაციის დანართი „ა“ ივსება მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების მიერ, სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ შემოსავლებთან დაკავშირებით.

ა) დანართი „ა“-ს პირველ უჯრაში – შეიტანება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში 5% ან 3%, ხოლო მიკრო ბიზნესის შემთხვევაში ჩაიწერება 0%.

ბ) მე-2 უჯრაში – მიკრო და მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი. მათ შორის:

ბ.ა) მე-3 უჯრაში – აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი შემოსავალი, ამასთან, თუ აღნიშნული შეღავათი სრულად გამოიყენება დეკლარაციის III ნაწილში, იგი არ ექვემდებარება აღნიშნულ სვეტში ასახვას, ხოლო დადგენილი შეღავათის დეკლარაციის III ნაწილში ნაწილობრივ გამოყენების შემთხვევაში მიეთითება შეღავათის დარჩენილი ოდენობა;

ბ.ბ) მე-4 უჯრა – ივსება მხოლოდ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემოსავალი, რომელზეც არ ვრცელდება ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი შეზღუდვა;

გ) მე-5 უჯრაში – სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. მათ შორის, მე-6 უჯრაში – ხელფასის სახით დაქირავებულებზე გადახდილი თანხები;

დ) მე-7 უჯრაში – საშემოსავლო გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე, რომელიც მიიღება მე-2 უჯრასა და მე-3 უჯრას შორის სხვაობის თანხის საშემოსავლო გადასახადის პირველ უჯრაში მითითებულ განაკვეთზე გამრავლებით. მათ შორის, მე-8 უჯრებში აისახება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულ(ებ)ის ბიუჯეტებში გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი; თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მითითებით.

7. დეკლარაციის დანართი „ბ“-ს უჯრებში მონაცემები აისახება უჯრების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, ამასთან:

ა) მე-2 სვეტში – აისახება მიღებული შემოსავლის სახე:

ა.ა) არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების იჯარით/ქირით გაცემით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ექვემდებარება 20%-იანი განაკვეთით დაბეგვრას, ან/და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად იბეგრება 5%-იანი განაკვეთით. ამასთან, აღნიშნული შემოსავლის დაბეგვრისას არ გაითვალისწინება გაწეული ხარჯები;

ა.ბ) არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში აქტივის რეალიზაციით მიღებული ნამეტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ექვემდებარება 20%-იანი განაკვეთით დაბეგვრას ან/და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად იბეგრება 5%-იანი განაკვეთით;

ა.გ) არაეკონომიკური საქმიანობით მიღებული სარგებელი;

ბ) მე-3 სვეტში – აისახება მიღებული შემოსავალი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგრილია გადახდის წყაროსთან;

გ) მე-4 სვეტში – აისახება მიღებული შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) მე-5 სვეტში – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული და დაბეგვრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა, ამასთან, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი შეღავათი დეკლარაციის III ნაწილში ან/და დეკლარაციის დანართი „ა“-ში სრულად გამოიყენება, დადგენილი შეღავათი არ ექვემდებარება აღნიშნულ სვეტში ასახვას, ხოლო ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში მიეთითება შეღავათის დარჩენილი ოდენობა;

ე) მე-6 სვეტში – აისახება საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი განაკვეთი (20%, 5%);

ვ) მე-7 სვეტში – აისახება დანართი „ბ“-ს შესაბამისად დარიცხული საშემოსავლო გადასახადის ოდენობა (თანხა);

ზ) მე-8 სვეტში აისახება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულ(ებ)ის დასახელება, დასაბეგრი ობიექტების შესაბამისად;

8. დეკლარაციის დანართი „გ“-ს ავსებენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები, რომელთაც საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცი(ებ)იდან ან/და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონის საწარმო(ებ)იდან მიიღეს ხელფასი და აღნიშნული არ დაბეგრილა გადახდის წყაროსთან. დეკლარაციის დანართი „გ“-ს უჯრებში მონაცემები აისახება უჯრების დასახელებების (შინაარსის)

შესაბამისად, ამასთან:
ა) პირველ სვეტში – აისახება ხელფასის გაცემის თვე;
ბ) მე-2 სვეტში – აისახება საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის მიერ, საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ან/და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონის საწარმო(ებ)იდან მიღებული ხელფასის ოდენობა;
გ) მე-3 სვეტში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი შეღავათის ოდენობა, ამასთან თუ შეღავათი სრულად გამოიყენება დეკლარაციის III ნაწილსა ან/და დანართი „ა“-სა და დანართი „ბ“-ში, დადგენილი შეღავათი არ ექვემდებარება აღნიშნულ სვეტში ასახვას, ხოლო ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში მიეთითება შეღავათის აუთვისებელი ოდენობა;
დ) მე-4 სვეტში – აისახება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი;
ე) მე-5 სვეტში – აისახება დანართი „გ“-ს შესაბამისად დარიცხული საშემოსავლო გადასახადის ოდენობა (თანხა);
ვ) მე-6 და მე-7 სვეტში – აისახება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 26 სექტემბრის ბრძანება №505 – ვებგვერდი, 29.09.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 30 მარტის ბრძანება №131 - ვებგვერდი, 02.04.2018წ.

დანართი №II-04[1] (იხილეთ თანდართულ ფაილად)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 იანვრის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 31.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 8 თებერვლის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 09.02.2022წ.

მუხლი 33[1]. აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია

1. ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობას, საგადასახადო ორგანოში წარადგენს აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა NII-04[1] დანართის ფორმით.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 იანვრის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 31.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 8 თებერვლის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 09.02.2022წ.

მუხლი 33[2]. აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციის პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტების, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.
2. მატერიალური ფორმით წარდგენილ დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელმოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.
3. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.
4. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულ დეკლარაციის უჯრებში აუცილებელი გახდება განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.
5. დეკლარაციის III ნაწილის:
ა) პირველ სტრიქონის მე-3 სვეტში აისახება აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობის თანხა;
ბ) პირველ სტრიქონის მე-4 სვეტში აისახება კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში (სვ. 4=პირველი სტრიქონის სვ.3*10%);
გ) მე-2 სტრიქონის მე-3 სვეტში აისახება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი;
დ) მე-2 სტრიქონის მე-4 სვეტში აისახება კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში (სვ.4=მეორე სტრიქონის სვ.3*7%).
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 იანვრის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 31.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 8 თებერვლის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 09.02.2022წ.

მუხლი. 34. საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გადახდილი ანაზღაურების დაბეგვრა

1. უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები და უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან გათანაბრებული საერთაშორისო ორგანიზაციას (შემდგომში–ორგანიზაცია) არ ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება, ამ

ორგანიზაციის მიერ ფიზიკური პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების მიმართ.

2. ორგანიზაციას შეუძლია საგადასახადო ვალდებულების ცენტრალიზებულად შესრულების მიზნით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტის ფუნქციები შეასრულოს ნებაყოფლობით, რასაც აცნობებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს (შემდგომში – შემოსავლების სამსახური). ამასთან, თუ ორგანიზაცია ნებაყოფლობით შეასრულებს საგადასახადო აგენტის ფუნქციებს, საგადასახადო ორგანოები არ გამოიყენებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIII კარით განსაზღვრულ პასუხისმგებლობის ზომებს, მათ შორის, საგადასახადო სანქციებს. აღნიშნულ შემთხვევაში საგადასახადო პასუხისმგებლობის სუბიექტებად მიჩნეულ უნდა იქნეს ის გადასახადის გადამხდელი, ვის მაგივრადაც საგადასახადო აგენტმა შეასრულა საშემოსავლო გადასახადის დაკავებისა და გადახდის ფუნქციები.

3. ორგანიზაციის მიერ შემოსავლების სამსახურისათვის წარსადგენ შეტყობინებას უნდა ერთვოდეს დაქირავებული ფიზიკური პირის თანხმობა, მე-2 პუნქტით დადგენილი წესით გადასახადის გადახდის შესახებ.

4. ორგანიზაციაში დაქირავებით მუშაობის შედეგად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ ნებისმიერ საზღაურზე (სარგებელზე) დაქირავებული პირის მიერ საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

5. გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკური პირის მიერ ორგანიზაციისათვის მომსახურების მიწოდებით მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო ვალდებულების შესრულება მომსახურების მიმწოდებელ პირის ეკისრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

6. ორგანიზაციას არ წარმოექმნება რაიმე ფორმით საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულება ამ წესის განსაზღვრული ანაზღაურების მიმართ.

7. დაქირავებული პირი ვალდებულია ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია (№II-04 დანართი). ამასთან, დაქირავებული პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ორგანიზაციის ბლანკზე გაცემული ოფიციალური საბუთის ორიგინალი, რომელიც შეიცავს სათანადო აღნიშვნას პირისათვის გაცემული ანაზღაურების ოდენობის მითითებით – „ ხელფასი" ან „ მომსახურების კომპენსაცია". აღნიშნულის გარდა, საბუთი უნდა შეიცავდეს ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაქირავებული ან მომსახურების მიმწოდებელი პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს პირადობის მოწმობის მიხედვით.

8. ფიზიკური პირი, რომელიც იღებს ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას, ვალდებულია დადგეს საგადასახადო აღრიცხვაზე საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის მიხედვით.

9. საგადასახადო აღრიცხვაზე ასაყვანად დაქირავებული პირი საგადასახადო ორგანოში წარადგენს ორგანიზაციის ბლანკზე გაცემული ოფიციალური საბუთის ორიგინალს, რომელიც შეიცავს სათანადო აღნიშვნას პირის მითითებით – „დაქირავებულია". აღნიშნულის გარდა საბუთი უნდა შეიცავდეს ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაქირავებული პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს პირადობის მოწმობის მიხედვით.

10. სარეგისტრაციო ინფორმაციაში ცვლილებების განხორციელებისას გადასახადის გადამხდელი – ფიზიკური პირი ვალდებულია ცვლილებების განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 დღისა შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საკუთარ საგადასახადო სარეგისტრაციო მონაცემებში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

მუხლი 35. მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაცია

III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს აქტივის გადაცემიდან (რეგისტრაციიდან) არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა წარედგინება დეკლარაცია №II-05 დანართის ფორმით.

დანართი №II-05

მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაცია

ნაწილი I

1	გადამხდელის პირადი ნომერი											

2	დეკლარაციის	პირველადი		შესწორებული	

	ტიპი:						

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „ V „ ნიშნით)

3	დეკლარაციის წარდგენის თარიღი						
4	აქტივების მიმღების გვარი და სახელი						
5	მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი						
	აქტივების დასახელება,						
6	აქტივების მისამართი და აღწერილობა)						
7	მატერიალური აქტივის მიმღების ნათესაური კავშირი აქტივის მესაკუთრესთან						

ნაწილი II

ჩუქებით მიღებული მატერიალური აქტივის ფასი (ღირებულება) (ლარი)	8			
მემკვიდრეობით მიღებული მატერიალური აქტივის ფასი (ღირებულება) (ლარი)	9			
მატერიალური აქტივის ჩუქებასთან დაკავშირებული გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯი	10			
მატერიალური აქტივის მემკვიდრეობით მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯი	11			
ჩუქებით მიღებული მატერიალური აქტივებიდან დასაბეგრი შემოსავალი კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით.	12			
მემკვიდრეობით მიღებული მატერიალური აქტივებიდან დასაბეგრი შემოსავალი კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით.	13			
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მათ შორის:	14			
ჩუქებით მიღებული მატერიალური აქტივებიდან	15			
მემკვიდრეობით მიღებული მატერიალური აქტივებიდან	16			
ჩუქებით მატერიალური აქტივის მიღების (რეგისტრაციის)თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	17			
მემკვიდრეობით მატერიალური აქტივის მიღების (რეგისტრაციის)თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	18			
მიღებულ მატერიალურ აქტივებზე კუთვნილი გადასახადის გადახდის ვადები , თანხა და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასახელება	19	სავადო	თანხა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასახელება

დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ
გადამხდელის ხელის მოწერა _____

ნაწილი III
საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა:

დეკლარაცია წარმოდგენილია: ფოსტით ☐ პირადად ☐

რეგისტრაციის ნომერი ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐ წარმოდგენის თარიღი ☐☐ ☐☐ ☐☐

უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი - - - - - - - - - - - - (ხელმოწერა) - - - - - - - - - - - - -

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

მუხლი 36. მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციის პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტის, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

2. დეკლარაციის ფორმის II ნაწილის გრაფებში აისახება:

ა) მე-8 გრაფაში – ჩუქებით მიღებული მატერიალური აქტივის ფასი (ღირებულება) (ლარი) – განისაზღვრება საბაზრო ფასით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით;

ბ) მე-9 გრაფაში მემკვიდრეობით მიღებული მატერიალური აქტივის ფასი (ღირებულება) (ლარი) – განისაზღვრება საბაზრო ფასით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით;

გ) მე-10 გრაფაში – მატერიალური აქტივის ჩუქებასთან დაკავშირებული გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მე-11 გრაფაში – მატერიალური აქტივის მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) მე-12 და მე-13 გრაფებში – გრაფების შესაბამისად აისახება დასაბეგრი შემოსავალი კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით. ამასთან, პირები, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას (მ.შ., დაქირავებულნი) ამ დეკლარაციის შევსებისას არ გამოიყენებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებულ შეღავათებს (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათისა). შეღავათების გამოყენების მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მათ შეუძლიათ საგადასახადო ორგანოში წარადგინონ დეკლარაცია გადასახადის გადაანგარიშებისა და ანაზღაურების მოთხოვნით;

ვ) მე-14 გრაფაში – გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა, რომელიც მიიღება მე-15 და მე-16 გრაფების ჯამით

ზ) მე-15 გრაფაში – გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, რომელიც გამოითვლება დასაბეგრი შემოსავლის (მე-12 გრაფა) გამრავლებით საშემოსავლო გადასახადის განაკვეთზე;

თ) მე-16 გრაფაში – გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, რომელიც გამოითვლება დასაბეგრი შემოსავლის (მე-13 გრაფა) გამრავლებით საშემოსავლო გადასახადის განაკვეთზე;

ი) მე-17 და მე-18 გრაფებში – აისახება მატერიალური აქტივის მიღების (რეგისტრაციის) თარიღი – რიცხვი, თვე, წელი;

კ) მე-19 გრაფაში – მიღებულ მატერიალურ აქტივებზე კუთვნილი გადასახადის გადახდის ვადები გაიწერება 2 წელზე ვადებისა, თანხების და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასახელების მითითებით.

4. დეკლარაციაში ასახული მონაცემების სისწორე და უტყუარობა დასტურდება გადასახადის გადამხდელის ხელმოწერით.

5. დეკლარაციის III ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და გადაეცემა გადასახადის გადამხდელს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.

მუხლი 37. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაცია

1. პირი, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ, №II-06 დანართის მიხედვით.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისთვის, თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელი, გარდა ფიზიკური პირისა, არ წარადგენს საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციას, არ ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.01.2022წ.

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის

დეკლარაცია

ნაწილი I

1		გადამხდელის დასახელება

2		გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი										

3		გადამხდელის (ფიზიკური პირი) პირადი ნომერი											

4		დეკლარაციისსახე:	პირველადი		შესწორებული		5	პერიოდი						

6		მისამართი:

7		რეზიდენტი საწარმო		8	არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება		9	მეწარმე ფიზიკური პირი	10	სხვა	

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V" ნიშნით)

11		წარედგინა

(საგადასახადო ორგანო)

ნაწილი II

აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ (ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

11	დეკლარაციის მიღების თარიღი											

12	თანდართული დოკუმენტები				გვერდზე

13	რეგისტრაციის ნომერი												

14	დეკლარაციის მიმღების გვარი, სახელი	
15	დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა	

ცნობა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში)

რეგისტრაციის ნომერი	
გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	

დეკლარაცია ჩაიბარა _____

საგადასახადო ორგანოს მუშაკის სახელი, გვარი, ხელმოწერა

დეკლარაცია შედგენილია "———" გვერდზე. თანდართული დოკუმენტები „ ——" გვერდზე

ნაწილი III

განაცემის დასახელება				
დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლის (ფულადი, ნატურალური) სახით გაცემული ანაზღაურება (გარდა 56^3 გრაფაში ასახული განაცემისა). მათ შორის:			16	
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)			17	
რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის გადახდილი როიალტი			18	
ფიზიკურ პირებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (გარდა პროცენტებისა):	რომელიც იბეგრება 20%-ით		19	
	რომელიც იბეგრება 5%-ით		20	
ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქონლის შემძენი პირის მიერ სსკ-ის 133^3 მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით			20^1	
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას (გარდა დივიდენდებისა და ანაბრებზე გაცემული პროცენტებისა)			21	
ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები, მათ შორის:			22	
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)			23	
ფიზიკურ პირებზე გაცემული პროცენტები, მათ შორის:			24	
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)			25	
ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება			26	
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (გარდა პროცენტებისა და დივიდენდისა), მათ შორის:			27	
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„$ბ^1$“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %)	28	
		„გ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	29	
		„დ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %)	30	
		„ე“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	31	
	1^1 ნაწილით (განაკვეთი 15%)		32	
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (შეღავათების გამოკლებით), რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (გარდა პროცენტებისა და დივიდენდისა), მათ შორის:			33	
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„$ბ^1$“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %)	34	
		„გ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	35	
		„დ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %)	36	
		„ე“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	37	
	1^1 ნაწილით (განაკვეთი 15%)		38	
ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (მე-17-მე-20, 20^1, 21-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე, 34-ე-38-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი)			39	
ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას			40	

დაქვემდებარებული განაცემები, მათ შორის:				
ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ^1“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %)	41	
		„გ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	42	
		„დ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %)	43	
		„ე“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	44	
	1^1 ნაწილით (განაკვეთი 15%)		45	
ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%)			46	
გ) პროცენტები (განაკვეთი 5%)			47	
ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (შეღავათების გამოკლებით), მათ შორის:			48	
ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ^1“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %)	49	
		„გ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	50	
		„დ“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %)	51	
		„ე“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %)	52	
	1^1 ნაწილით (განაკვეთი 15%)		53	
ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%)			54	
გ) პროცენტები (განაკვეთი 5%)			55	
გადახდის წყაროსთან ორგანიზაციებისთვის და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი საწარმოებისათვის დაკავებული ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადი (49-ე-55-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი)			56	
2008 წლის პირველ იანვრამდე პერიოდებზე გაუცემელი ანაზღაურებები, რომლებზეც დარიცხულია სოციალური გადასახადი			56^1	
2008 წლის პირველ იანვრამდე გაუცემელი ანაზღაურებებიდან მის შემდეგ პერიოდებში გაცემულია:			56^2	
მათ შორის, საანგარიშო თვეში			56^3	
სოციალური გადასახადი საანგარიშო თვეში გაცემულ ანაზღაურებაზე (56^3 უჯრაში ასახული თანხის შესაბამის გადასახადის განაკვეთზე ნამრავლი)			56^4	
გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი საანგარიშო თვეში გაცემულ ანაზღაურებაზე (56^3 უჯრაში ასახული თანხის შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე ნამრავლი)			56^5	
სულ ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული გადასახადების ჯამი შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით (39-ე, 56-ე, 56^5 უჯრებში და „დეკლარაციის დანართი „დ“-ს მე-6 სვეტში ასახული თანხების ჯამს გამოკლებული „დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტში ასახული თანხების ჯამი) მათ შორის:			57	
აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი			57^1	
აფხაზეთის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი			57^2	
ინფორმაციისათვის				
მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულება			58	
სამეურნეო ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი			59	
საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ოდენობა			60	
ფიზიკურ პირთა რიცხოვნება, რომლებზეც გაცემულია მე-16 უჯრაში ასახული თანხა			61	
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას			62	

ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ბრუნვა. მათ შორის:	63	
საკონტროლო-სალარო აპარატების საშუალებით	64	
მაქსიმალური ხელფასი	65	
მინიმალური ხელფასი	66	
ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის	67	
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	68	
პირთა რაოდენობა, რომლებზეც გაცემულია 68-ე უჯრაში ასახული თანხა	69	

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 აპრილის ბრძანება №122 – ვებგვერდი, 25.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №280 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №289 - ვებგვერდი, 26.09.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №313 - ვებგვერდი, 16.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანება №124 - ვებგვერდი, 05.06.2020წ.

დეკლარაციის დანართი „ა“

(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 აპრილის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 25.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №280 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №342 - ვებგვერდი, 13.09.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №313 - ვებგვერდი, 16.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანება №124 - ვებგვერდი, 05.06.2020წ.

დეკლარაციის დანართი „ბ" (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №313 - ვებგვერდი, 16.10.2019წ.

დეკლარაციის დანართი „გ“ (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 აპრილის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 25.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №192 - ვებგვერდი, 04.08.2021წ.

დეკლარაციის დანართი „დ“
ინფორმაცია
დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენების შესახებ

№	ავტომობილის მონაცემები		დაქირავებული პირის მონაცემები		გადასახადის ოდენობა (ლარი)
	რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი)	ძრავის მოცულობა	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	
1	2	3	4	5	6
სულ					

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №289 - ვებგვერდი, 26.09.2019წ.

მუხლი 38. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციის პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტის, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო თვის შესახებ.

2. დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელისმოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

3. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულ დეკლარაციის უჯრებში აუცილებელი გახდება განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

5. ცნობა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში.

6. დეკლარაციის III ნაწილის:

ა) მე-16 უჯრაში მიეთითება – საანგარიშო თვეში დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად ფულადი და ნატურალური ფორმით გაცემული ანაზღაურება (გარდა 56^3 გრაფაში ასახულისა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლით დაწესებული შეღავათების გარეშე;

ბ) მე-17 უჯრაში – საანგარიშო თვეში დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად ფულადი და ნატურალური ფორმით გაცემული გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული ანაზღაურება (საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული შეღავათების გამოკლებით);

გ) მე-18 უჯრაში – რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის გადახდილი როიალტი;

დ) მე-19 უჯრაში – ფიზიკურ პირებზე (გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული პირებისა, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, ნოტარიუსებისა, კერძო აღმასრულებლებისა, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში) გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (გარდა პროცენტისა), როგორიცაა გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურების (სარგებლის) ღირებულება; ამხანაგობის წევრ ფიზიკურ პირზე (რომელიც არ არის დარეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ ან/და დღგ-ის გადამხდელად) განაწილებული შემოსავალი; ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული, უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ღირებულება (გარდა ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისათვის საგადასახადო წლის განმავლობაში უსასყიდლოდ გადაცემული 1000 ლარამდე ქონების ღირებულებისა); „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ე) მე-20 უჯრაში – პირის მიერ საცხოვრებელი ფართის საცხოვრებელი მიზნებისათვის გამოყენების შედეგად ფიზიკურ პირებზე (გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა) გაცემული თანხა, რომელიც იბეგრება 5 პროცენტით;

ე^1) 20^1 უჯრაში – ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საქონლის (შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის, შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების, გარდა შავი ლითონის სხმულების, ზოდების, ნაგლინის, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7202, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებში და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში), მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქონლის შემძენი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 133^3 მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით;

ვ) 21-ე უჯრაში – არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომლებიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას (გარდა დივიდენდებისა და ანაბრებზე გაცემული პროცენტებისა), როგორიცაა სტიპენდია, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა; პენსია, გარდა იმ პენსიისა, რომელიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, სათამაშო ბიზნესის მომწყობ პირთა მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული მოგებები, აგრეთვე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირების მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხები (ფულადი განაცემი);

ზ) 22-ე უჯრაში – რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები შეღავათების გაუთვალისწინებლად;

თ) 23-ე უჯრაში – რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები, რომელიც ექვემდებარება წყაროსთან დაბეგვრას საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გამოკლებით;

ი) 24-ე უჯრაში – რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული პროცენტები შეღავათების გაუთვალისწინებლად;

კ) 25-ე უჯრაში – რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული პროცენტები, რომელიც ექვემდებარება

წყაროსთან დაბეგვრას საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გამოკლებით;

ლ) 26-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 1332 მუხლის შესაბამისად, ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება;

მ) 27-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის შესაბამისად, მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (შეღავათების გაუთვალისწინებლად), გარდა პროცენტებისა და დივიდენდებისა. ამასთან, პროცენტებთან დაკავშირებული შეზღუდვა არ ვრცელდება 32-ე უჯრაში მისათითებელი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებული) მონაცემების მიმართ;

ნ) 28-ე უჯრაში – 27-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომელიც გადახდის წყაროსთან ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ1“ პუნქტის შესაბამისად 5%-იან დაბეგვრას (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ო) 29-ე უჯრაში – 27-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომელიც გადახდის წყაროსთან ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად 10%-იან დაბეგვრას (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

პ) 30-ე უჯრაში – 27-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომელიც გადახდის წყაროსთან ექვემდებარება 4%-იან დაბეგვრას საქართველოს საგადსახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის შესაბამისად (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ჟ) 31-ე უჯრაში – 27-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომელიც გადახდის წყაროსთან ექვემდებარება 10%-იან დაბეგვრას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

რ) 32-ე უჯრაში – 27 უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომლის მიმღებია „შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის თაობაზე“ 2016 წლის 29 დეკემბრის №615 დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნების რეზიდენტი პირები და რომელიც წარმოადგენს საგადასახადოს კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „$ბ^1$“ და „ე“ ქვეპუნტებით გათვალისწინებული მომსახურებების ანაზღაურებას და იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, 15 პროცენტით (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ს) 33-ე–38-ე უჯრებში მიეთითება დეკლარაციის 27-ე–32-ე უჯრებში მითითებულ მონაცემებში ასახული განაცემიდან წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემი საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გამოკლებით. ამასთან, 33-ე უჯრაში მითითებული პროცენტებთან დაკავშირებული შეზღუდვა არ ვრცელდება 38-ე უჯრაში მისათითებელი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებული) მონაცემების მიმართ;

ტ) 39-ე უჯრაში – საანგარიშო თვეში გადახდის წყაროსთან დაკავებას დაქვემდებარებული საშემოსავლო გადასახადის ოდენობა, რომელიც გამოიანგარიშება შესაბამისი საგადასახადო პერიოდისათვის მოქმედი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების მიხედვით;

უ) მე-40 უჯრაში – ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები, შეღავათების გაუთვალისწინებლად;

ფ) 41-ე უჯრაში – 40-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება 5%-იანი განაკვეთით დაბეგვრას (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ქ) 42-ე უჯრაში – 40-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება 10%-იანი განაკვეთით დაბეგვრას (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ღ) 43-ე უჯრაში – 40-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება 4%-იანი განაკვეთით დაბეგვრას (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ყ) 44-ე უჯრაში – 40-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომელიც გადახდის წყაროსთან ექვემდებარება 10 %-იან დაბეგვრას (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

შ) 45-ე უჯრაში – მე-40 უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი, რომლის მიმღებია „შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის თაობაზე“ 2016 წლის 29 დეკემბრის №615 დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნების რეზიდენტი პირები და რომელიც წარმოადგენს საგადასახადოს კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „$ბ^1$“ და „ე“ ქვეპუნტებით გათვალისწინებული მომსახურებების ანაზღაურებას და იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, 15 პროცენტით (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ჩ) 46-ე უჯრაში – 40-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი (დივიდენდი), რომელიც ექვემდებარება 5%-იანი განაკვეთით დაბეგვრას (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ც) 47-ე უჯრაში – 40-ე უჯრაში ასახული თანხის ის ნაწილი (პროცენტები), რომელიც ექვემდებარება 5%-იანი განაკვეთით დაბეგვრას (შეღავათების გაუთვალისწინებლად);

ძ) 48-ე – 55-ე უჯრებში მიეთითება დეკლარაციის 40-ე – 47-ე უჯრაში მითითებულ მონაცემებში ასახული განაცემიდან წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემი საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გამოკლებით;

წ) 56-ე უჯრაში გადახდის წყაროსთან – ორგანიზაციებისათვის და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი საწარმოებისათვის დაკავებული ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადი (49-ე – 55-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი);

$წ^1$) 56^1 უჯრაში – 2008 წლის 1 იანვრამდე გაუცემელი მთლიანი ანაზღაურების ოდენობა, რომელზეც დარიცხულია სოციალური გადასახადი;

$წ^2$) 56^2 უჯრაში – 56^1 უჯრაში ასახული გაუცემელი ანაზღაურებებიდან 2008 წლის 1 იანვრის შემდგომ

პერიოდებში გაცემული ანაზღაურების ოდენობა ნაზარდი ჯამით;

წ^{3}) 56^{3} უჯრაში – საანგარიშო თვეში გაცემული 2008 წლის 1 იანვრამდე გაუცემელი ანაზღაურების ოდენობა, რომელზეც დარიცხულია სოციალური გადასახადი;

წ^{4}) 56^{4} უჯრაში – სოციალური გადასახადი საანგარიშო თვეში გაცემულ ანაზღაურებაზე (56^{3} უჯრაში ასახული თანხის შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე ნამრავლი);

წ^{5}) 56^{5} უჯრაში – გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი საანგარიშო თვეში გაცემულ ანაზღაურებაზე (56^{3} უჯრაში ასახული თანხის შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე ნამრავლი);

ჭ) 57-ე უჯრაში – სულ საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული გადასახადების ჯამი შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით (39-ე, 56-ე, 56^{5} უჯრებში და „დეკლარაციის დანართი „დ“-ს მე-6 სვეტში ასახული თანხების ჯამს გამოკლებული „დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტში ასახული თანხების ჯამი);

ჭ^{1}) 57^{1} უჯრებში აისახება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი;

ჭ^{2}) 57^{2} უჯრებში აისახება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი;

ხ) 58-ე უჯრაში – საანგარიშო თვეში მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულება დღგ–ის გარეშე;

ჯ) 59-ე უჯრაში – სამეურნეო ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი. ასეთის არსებობის შემთხვევაში აღნიშნეთ „V“ ნიშნით;

ჰ) მე-60 უჯრაში – საანგარიშო პერიოდში საგადასახადო ორგანოს მიერ ინვერნტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფაეულობების დანაკლისის ოდენობა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით;

ჰ^{1}) 61-ე უჯრაში – ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომელზეც გაცემულია მე-16 უჯრაში ასახული თანხა;

შენიშვნა: აღნიშნულ უჯრაში არ შეიტანება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებულ „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხით“ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია;

ჰ^{2}) 62-ე უჯრაში – არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (დახმარება, სწავლის, მკურნალობის ანაზღაურება და სხვა);

ჰ^{3}) 63-ე და 64-ე უჯრებში – აისახება ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ბრუნვა, მათ შორის, საკონტროლო-სალარო აპარატის საშუალებით განხორციელებული;

ჰ^{4}) 65-ე და 66-ე უჯრაში – საანგარიშო პერიოდში შესაბამისად დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული მაქსიმალური და მინიმალური ხელფასის ოდენობა;

ჰ^{5}) 67-ე უჯრაში – ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის;

ჰ^{6}) 68-ე უჯრაში – საანგარიშო თვის განმავლობაში ავანსად გაცემული საქვეანგარიშო თანხების ჯამი, მათ შორის ის თანხები, რომელიც დაბრუნებულია ანგარიშვალდებული პირის მიერ ან/და რომელზედაც ანგარიშვალდებულ პირს წარდგენილი აქვს ანგარიში ავანსად მიღებული თანხის გამოყენებაზე;

ჰ^{7}) 69-ე უჯრაში – პირთა რაოდენობა რომელზეც გაცემულია 68-ე უჯრაში ასახული თანხა.

7. დეკლარაციის დანართ „ა“-ს უჯრებში მონაცემები აისახება უჯრების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, ამასთან:

ა) პირველ – მე-4 სვეტებში აისახება განაცემების მიმღები პირის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, დასახელება, მისამართი და რეზიდენტობა;

ბ) მე-5 სვეტში აისახება შემოსავლების მიმღებ პირთა კატეგორია. კერძოდ, რეზიდენტი ფიზიკური პირები – დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები, საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოში დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები, რომელთა საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ხელფასი იბეგრება 5%-ით, ფიზიკური პირები, გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, ნოტარიუსებისა, კერძო აღმასრულებლებისა, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში, რომლებიც ეწევიან მომსახურებას და რომელთა შემოსავალი იბეგრება 20%-ით, ფიზიკური პირები, გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, ნოტარიუსებისა, კერძო აღმასრულებლებისა, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში, რომლებიც ეწევიან მომსახურებას და რომელთა შემოსავალი იბეგრება 5%-ით, ფიზიკური პირები, რომელთა მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი საქონლის შემძენი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 133^{3} მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით; სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკური პირები; სხვა ფიზიკური პირები, მ.შ სისტემურ-

ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირები, რომელთა მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა იბეგრება 2 პროცენტით; რეზიდენტი ორგანიზაციები; არარეზიდენტები – შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული იურიდიული პირები, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული ფიზიკური პირები, საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე სხვა არარეზიდენტი იურიდიული პირები, საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი ფიზიკური პირები; ფიზიკური პირი – „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განმახორციელებელი არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორი; მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხების მიმღები პირი; იურიდიული პირი – „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განმახორციელებელი არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორი; საწარმოს, ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხების მიმღები პირი;

გ) მე-6 სვეტში აისახება განაცემის სახე (ხელფასი, დივიდენდი, პროცენტი, ნივთმოგება, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირების მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა, იჯარის მომსახურების ანაზღაურება, მომსახურების ანაზღაურება, სტიპენდია, ამხანაგობის დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) წილის მფლობელზე, რომელიც არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად საგადასახადო ორგანოში, გაცემული მისი წილის შესაბამისი შემოსავალი და სხვა);

დ) მე-7 სვეტში აისახება განაცემის ოდენობა (თანხა). ამასთან, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირების მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა აისახება სრულად, ანგარიშის მომსახურების საკომისიოს ჩათვლით;

ე) მე-8 სვეტში აისახება შეღავათის ოდენობა (თანხა);

ვ) მე-9 სვეტში აისახება განაცემის თარიღი. ამასთან, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირის მიერ სათამაშო ანგარიშიდან თვის განმავლობაში ჯამურად გატანილ თანხაზე განაცემის თარიღად მიეთითება შესაბამისი თვის ბოლო რიცხვი;

ზ) მე-10 სვეტში აისახება წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის განაკვეთი;

თ) მე-11 სვეტის ჯამს გამოკლებული მე-14 სვეტის ჯამი უნდა შეესაბამებოდეს დეკლარაციის III ნაწილის 57-ე უჯრაში ასახულ თანხას;

ი) მე-12 სვეტში აისახება სოციალური გადასახადი;

კ) მე-13 სვეტში აისახება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გათავისუფლებას ან შემცირებას დაქვემდებარებული გადასახადის თანხა;

ლ) მე-14 სვეტში აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 112-ე ნაწილის საფუძველზე შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადის თანხა, რომელიც უნდა იყოს დაქირავებულისათვის ხელფასიდან დაკავებულ საშემოსავლო გადასახადის თანხასა (სვ. 11) და 150 ლარს შორის უმცირესი.

მაგალითი 1.

საწარმოს მიერ 2020 წლის მაისის თვეში დაქირავებულზე დარიცხული ხელფასი (დასაქმებულის სახელით საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანის ჩათვლით) შეადგენს 1500 ლარს, რომელიც გაიცა იმავე თვეში. დაქირავებული არ სარგებლობს საგადასახადო შეღავათით.

მოცემულ შემთხვევაში:

ვინაიდან დაქირავებულის ხელფასი არ აღემატება 1500 ლარს, ხოლო საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი ხელფასი აღემატება 750 ლარს, საწარმო უფლებამოსილია, „დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტში („შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადი“) ასახოს 150 ლარი (750 ლარის ოდენობით გაცემული ხელფასის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი).

მაგალითი 2.

საწარმოს მიერ 2020 წლის მაისის თვეში დაქირავებულზე დარიცხული ხელფასი შეადგენს 700 ლარს, რომელიც გაიცა იმავე თვეში. დაქირავებული არ სარგებლობს საპენსიო სქემით და საგადასახადო შეღავათით.

მოცემულ შემთხვევაში:

საწარმო უფლებამოსილია, „დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტში („შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადი“) ასახოს 140 ლარი (700 ლარის ოდენობით გაცემული ხელფასის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი). შესაბამისად, ამ შემთხვევაში ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი არ წარმოიქმნება.

მაგალითი 3.

საწარმოს მიერ 2020 წლის მაისის თვეში დაქირავებულზე დარიცხული ხელფასი შეადგენს 1 700 ლარს, რომელიც გაიცა იმავე თვეში. დაქირავებული სარგებლობს საპენსიო სქემით და საგადასახადო შეღავათით. შეღავათების გათვალისწინებით, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ხელფასის თანხამ შეადგინა 1 400

ლარი.

მოცემულ შემთხვევაში:

საწარმოს საშემოსავლო გადასახადის შესამცირებელი თანხა არ წარმოექმნება - საწარმო არ არის უფლებამოსილი „დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტში („შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადი“) ასახოს რაიმე თანხა, რადგან ხელფასის ოდენობა აღემატება 1500 ლარს.

8. (ამოღებულია - 11.10.2019წ.).

9. (ამოღებულია - 03.08.2021, №192).

10. დეკლარაციის დანართ „დ“-ს ავსებს საგადასახადო აგენტი (დამქირავებელი), რომლის საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში (მათ შორის, ლიზინგით, იჯარით და ა.შ.) არსებული ავტომობილი (გარდა ელექტრომძრავიანი ავტომობილისა) შესაბამის საანგარიშო პერიოდში დაქირავებულის მიერ გამოიყენება პირადი სარგებლობისათვის.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის მიზნებისთვის:

ა) ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებად ითვლება, თუ შრომითი ხელშეკრულებით, წესდებით ან სხვა დოკუმენტით დაქირავებული უფლებამოსილია ავტომობილი გამოიყენოს პირადი (არასამსახურებრივი) მიზნებისათვის;

ბ) ავტომობილი არის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილი.

12. დეკლარაციის დანართ „დ“-ში აისახება იმ ავტომობილის შესახებ ინფორმაცია, რომლის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებით მიღებული სარგებელიც ექვემდებარება დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადით.

13. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაცია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემოსავლების მიმღებ პირთა იდენტიფიცირების გარეშე, თუ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებულ „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხით“ ზემოაღნიშნულ პირებზე ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 აპრილის ბრძანება №122 – ვებგვერდი, 25.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 06.07.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 30.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №280 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №342 - ვებგვერდი, 13.09.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №289 - ვებგვერდი, 26.09.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №313 - ვებგვერდი, 16.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანება №124 - ვებგვერდი, 05.06.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 16.10.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №192 - ვებგვერდი, 04.08.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 8 თებერვლის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 09.02.2022წ.

მუხლი 39. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის ბრძანება №228 – ვებგვერდი, 11.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 06.07.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №205 - ვებგვერდი, 29.08.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №313 - ვებგვერდი, 16.10.2019წ.

დანართი: №II-07 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის ბრძანება №228 – ვებგვერდი, 11.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №313 - ვებგვერდი, 16.10.2019წ.

დანართი №II–08 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №205 - ვებგვერდი, 29.08.2016წ.

მუხლი 39[1]. გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებულ პირზე ცნობის გაცემის წესი

1. ამ მუხლით გათვალისწინებული წესის მიხედვით, ცნობა საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შესახებ

(შემდგომში – ცნობა) (დანართი №II-08[2]) საგადასახადო ორგანოს მიერ გაიცემა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად და უფლებას აძლევს დაქირავებულს ისარგებლოს კუთვნილი საგადასახადო შეღავათით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე.

2. ცნობა გამოიყენება მხოლოდ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შეღავათების გავრცელებისას. ამასთან, იგი არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. შესაბამისად, შეღავათის გამოყენების მიზნით ამ პუნქტით გათვალისწინებულმა დაქირავებულმა პირებმა დამქირავებელს (საგადასახადო აგენტს) ცნობასთან ერთად უნდა წარუდგინონ შეღავათით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ეს პირები არიან:

ა) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

ბ) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქე;

გ) პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;

დ) მარტოხელა დედა;

ე) პირი, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ვ) პირი, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;

ზ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სამ- ან მეტშვილიანი პირი (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი), აგრეთვე ერთ- ან ორშვილიანი (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) პირი.

თ) პირი, რომელმაც „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო;

ი) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირი, რომელიც მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით იღებს შემოსავალს.

3. ცნობა დაქირავებულს უფლებას აძლევს საგადასახადო წლის მიხედვით ისარგებლოს კუთვნილი საგადასახადო შეღავათით მხოლოდ ერთი დამქირავებლიდან (საგადასახადო აგენტიდან) მიღებული შემოსავლების მიხედვით. ერთზე მეტი სამუშაო ადგილის შემთხვევაში გადახდის წყაროს, სადაც უნდა გავრცელდეს კუთვნილი საგადასახადო შეღავათი, განსაზღვრავს დაქირავებული.

4. დაქირავებულმა პირმა ცნობის მისაღებად წერილობითი განცხადებით (დანართი №II-08[1]) უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. ამასთან, თუ ფიზიკური პირი (დაქირავებული) იცვლის სამუშაო ადგილს ან სურვილი აქვს სხვა დამქირავებელთან (საგადასახადო აგენტთან) გამოიყენოს საგადასახადო კანონმდებლობით მინიჭებული შეღავათი, ახალი ცნობის ასაღებად საგადასახადო ორგანოს წინა დამქირავებელის მიერ უნდა წარედგინოს შესაბამისი შეტყობინება (დანართი №II-08[3]) გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შეწყვეტის თაობაზე. საგადასახადო ორგანო ვალდებულია განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში გასცეს ცნობა გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების შესახებ.

5. დაქირავებულის თანხმობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს ცნობის მისაღებად შესაძლებელია მიმართოს დამქირავებელმა (საგადასახადო აგენტმა). შეღავათის გამოყენების მიზნით, დაქირავებულმა პირმა დამქირავებელს (საგადასახადო აგენტს) უნდა წარუდგინოს შეღავათის სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რის საფუძველზე დამქირავებელმა (საგადასახადო აგენტმა) ცნობის მისაღებად წერილობითი განცხადებით (დანართი №II-08[1]) უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. საგადასახადო ორგანო ვალდებულია განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში გასცეს ცნობა გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების შესახებ.

6. თუ დაქირავებული პირი აგრძელებს მუშაობას იმავე დამქირავებელთან (საგადასახადო აგენტთან) მომდევნო საგადასახადო წლებში და სურვილი აქვს კუთვნილი საგადასახადო შეღავათი გაუვრცელდეს იმავე დამქირავებელთან (საგადასახადო აგენტთან), მაშინ დამქირავებელს (საგადასახადო აგენტს) ახალი ცნობა არ წარედგინება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამქირავებელმა (საგადასახადო აგენტმა) დაქირავებულ პირზე დანართი №II-08[3]-ის მიხედვით გასცა შეტყობინება გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შეწყვეტის თაობაზე.

7. იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი, სადაც დაქირავებული მუშაობდა, ლიკვიდირებულია, დამქირავებლის (საგადასახადო აგენტის) მიერ დანართი №II-08[3]-ის მიხედვით გაცემული შეტყობინების საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენა სავალდებულო არ არის. ამასთან, თუ წინა დამქირავებლის ლიკვიდაცია განხორციელდა მიმდინარე საგადასახადო წელს, მაშინ ახალი ცნობის გაცემისათვის აუცილებელ მონაცემებს დაქირავებული პირის მიერ მიმდინარე საგადასახადო წლისათვის გამოყენებული შეღავათის თაობაზე მოიპოვებს თავად საგადასახადო ორგანო.

8. თუ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულია ცნობა, მაგრამ დაქირავებული პირის მიერ სრულად ვერ იქნა გამოყენებული კუთვნილი საგადასახადო შეღავათი, მაშინ ფიზიკური პირი (დაქირავებული) უფლებამოსილია,

ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხის გადაანგარიშებისა და დაბრუნების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ფიზიკური პირი, შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის შემდგომ, მაგრამ არაუადრეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა, წარადგენს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნას, ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების შესახებ, რომელსაც უნდა დაერთოს ფიზიკური პირის (დაქირავებულის) წერილობითი თანხმობა, საგადასახადო ორგანოს მიერ დამქირავებლისთვის (საგადასახადო აგენტისთვის) შეღავათით გათვალისწინებული თანხის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

8^1. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირისთვის (დაქირავებულისთვის) ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნების შემდგომ, საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს დამქირავებლის (საგადასახადო აგენტის) ინფორმირებას, ფიზიკური პირის (დაქირავებულის) მიერ შეღავათით სარგებლობის თაობაზე, დამქირავებლის (საგადასახადო აგენტის) სამსახურის ვებგვერდზე (ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე) სავალდებულოდ წასაკითხი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, აღნიშნული შეტყობინების გაცნობის შემდეგ დამქირავებელს (საგადასახადო აგენტს) ეკრძალება აღნიშნული თანხის დაქირავებული პირისთვის დაბრუნება.

8^2. ამ მუხლის 8^1 პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებაში მიეთითება:

ა) საგადასახადო ორგანოს დასახელება;

ბ) დამქირავებლის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი;

გ) ფიზიკური პირის (დაქირავებულის) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

დ) ინფორმაცია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, კუთვნილი საგადასახადო შეღავათის გამოყენებისა და მისი ოდენობის შესახებ;

ე) საგადასახადო პერიოდ(ებ)ი, რომელთან მიმართებაშიც გამოყენებულ იქნა საგადასახადო შეღავათი.

9. საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციის შემთხვევაში, ახალი ცნობის წარდგენა დამქირავებელთან (საგადასახადო აგენტთან) სავალდებულო არ არის, უფლებამონაცვლე საწარმო/ორგანიზაცია (დამქირავებელი) საგადასახადო აგენტის ვალდებულების შესრულებისას ხელმძღვანელობს რეორგანიზაციამდე გაცემული ცნობის საფუძველზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №460 – ვებგვერდი, 06.09.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №382 - ვებგვერდი, 24.10.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №312 – ვებგვერდი, 23.08.2018წ.
საქარველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №247 - ვებგვერდი, 16.08.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება №55 - ვებგვერდი, 17.03.2021წ.

დანართი №II–08[1]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ცნობის გაცემის თაობაზე

_____

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

დამქირავებლის:
დასახელება ----------

საიდენტიფიკაციო ნომერი

პირადი ნომერი

N	დაქირავებული პირის			ცნობის გაცემის რიგითობა	შეტყობინების N და თარიღი	20-- წლისათვის გამოყენებული შეღავათი (ლარი)
	გვარი	სახელი	პირადი ნომერი			

განმცხადებელი ----------

(ხელმოწერა, თარიღი)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №460 – ვებგვერდი, 06.09.2011 წ.

დანართი №II–08[2]

ცნობა

გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შესახებ

№ ------- გაცემის თარიღი

დამქირავებლის:

დამქირავებლის:
დასახელება ----------

საიდენტიფიკაციო ნომერი

პირადი ნომერი

№	დაქირავებული პირის			ცნობის გაცემის საფუძველი		მიმდინარე 20-- წლისათვის გამოყენებული შეღავათი (ლარი)
	გვარი	სახელი	პირადი ნომერი	განცხადების № და თარიღი	შეტყობინების № და თარიღი	

_____ ხელმძღვანელი _____ _____

საგადასახადო ორგანოს დასახელება სახელი, გვარი ხელმოწერა

ბ. ა.

შენიშვნა: ცნობა არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. შესაბამისად, შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებულმა დამქირავებელს ცნობასთან ერთად უნდა წარუდგინოს შეღავათით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №460 – ვებგვერდი, 06.09.2011წ.

დანართი №II–08[3]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №460 – ვებგვერდი, 06.09.2011წ.

შეტყობინება

_____

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

_____

(დამქირავებლის დასახელება, მისამართი,საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

გაცნობებთ, რომ დაქირავებული _____

(ფიზიკური პირის სახელი, გვარი)

——————————————— მიმართ ——————————————— -დან
(პირადი ნომერი) (თარიღი)

შეწყდა ხელფასის სახით განაცემებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათის გავრცელება.

მიმდინარე 20-- საგადასახადო წლის განმავლობაში გამოყენებული შეღავათის თანხამ შეადგინა ——————— ლარი

საწარმოს/ ორგანიზაციის
ხელმძღვანელი/ ინდივიდუალური მეწარმე

(ხელმოწერა, თარიღი)

დანართი №II-08[4] - (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №460 – ვებგვერდი, 06.09.2011
საქარველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №247 - ვებგვერდი, 16.08.2019წ.

მუხლი 39[2]. ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის და თანხის დაბრუნების წესი

1. პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია, ამ შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი, ხოლო ფიზიკურ პირს, რომლის ერთობლივი შემოსავალი, საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2014 კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლება აქვს, შესაბამისი კალენდარული წლის მიხედვით ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი.

2. დაუბეგრავი მინიმუმის გათვალისწინებით, გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშება და შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდება ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო ორგანოში დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ ელექტრონული დეკლარაციის (შემდგომში – დეკლარაცია) (დანართი №II–08[5]) წარდგენის გზით.

3. დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 30 სექტემბრისა.

4. პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაცია ამავე დროს წარმოადგენს მოთხოვნას თანხის დაბრუნების თაობაზე.

5. დეკლარაციის შევსებისას პირის იდენტიფიცირება ხდება მისი პირადი ნომრის საფუძველზე.

6. დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის, ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი შემოსავლების სამსახურის მიერ განისაზღვრება დამქირავებლ(ებ)ის მიერ შესაბამისი საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ წარდგენილი ინფორმაციის (დანართი II-07) ფორმის მე-6 გრაფაში (განაცემის სახე – ხელფასი), ასევე მე-7 და მე-8 გრაფებში (განაცემის თანხა (ლარი), დაკავებული გადასახადი (ლარი)) ასახული მონაცემების საფუძველზე, ხოლო 2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი შემოსავლების სამსახურის მიერ განისაზღვრება მის მიერ განხორციელებული საგადასახადო ანგარიშგების ან/და საგადასახადო აგენტ(ებ)ის მიერ შესაბამისი საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ წარდგენილი ინფორმაციის (დანართი II-07) ფორმის მე-7 გრაფაში ასახული ჯამური მონაცემების მიხედვით.

7. (ამოღებულია – 18.03.2015, N84).

8. დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის, დამქირავებლის/საგადასახადო აგენტის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მე-8 გრაფაში („დაკავებული გადასახადი“) ასახული თანხების ჯამი უდარდება შესაბამისი საანგარიშო თვეების გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში მითითებულ (დეკლარაციის დანართი „ა“) წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის თანხას; სხვაობის არსებობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია ფიზიკურ პირს უარი უთხრას დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნებაზე. აღნიშნული შედარება არ ეხება იმ გადასახადის გადამხდელებს,

რომელთა მიმართ შესადარებელ პერიოდზე მიმდინარეობს/ჩატარებულია საგადასახადო შემოწმება, გაგზავნილია შეტყობინება საგადასახადო შემოწმების შესახებ ან/და ზემოაღნიშნულ თანხებს შორის სხვაობის აღმოფხვრა იწვევს საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ საგადასახადო პერიოდზე (პერიოდებზე) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დეკლარაციით საგადასახადო ვალდებულებების შემცირებას.

9. დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის დასაბეგრ შემოსავალში არ გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის საფუძველზე საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, ხოლო 2014 კალენდარული წლის მიხედვით დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის დასაბეგრ შემოსავალში არ გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის საფუძველზე საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული შემოსავალი.

10. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახურში ამ მუხლის მე-6-მე-8 პუნქტების საფუძველზე განსაზღვრული ინფორმაციის შესაბამისად, პირს არ ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება, დეკლარაციაში პირადი ნომრის მითითების შემდგომ მას ეცნობება თანხის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ.

11. დეკლარაციაში მიეთითება პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაუბეგრავი მინიმუმის მიღების კალენდარული წელი, ბანკის დასახელება, ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი, დეკლარირებული თანხის ოდენობა, დასაბრუნებელი თანხის ოდენობა და დეკლარაციის შევსების თარიღი.

12. დეკლარაციის შევსების მიზნით პირი ვალდებულია განაცხადოს თანხმობა შემოსავლების სამსახურის მიერ დეკლარაციაში მითითებული საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშის ამ პირისადმი კუთვნილების ნამდვილობის შესახებ ინფორმაციის ბანკისაგან მიღების თაობაზე. ასევე პირი განაცხადებს თანხმობას მის მიერ შეტანილი მონაცემების ნამდვილობის გადამოწმების შესახებ იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებთან. აღნიშნული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დაუბეგრავი მინიმუმის საკითხთან დაკავშირებით.

13. იმ შემთხვევაში, თუ დაუბეგრავი მინიმუმის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას, პირის მიერ დეკლარაციის შევსებისთანავე დასაბრუნებელი თანხის ოდენობის განსაზღვრა დეკლარაციის შესაბამის გრაფაში ხდება საგადასახადო ორგანოს მიერ, იმ მომენტისთვის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით და ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

14. პირს, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი თანხა უბრუნდება მისი საგადასახადო დავალიანების გათვალისწინებით. შესაბამისად, დეკლარაციაში მითითებული დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს პირის საგადასახადო დავალიანებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის (მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაციის) გათვალისწინებით.

15. იმ შემთხვევაში, თუ დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნების შემდგომ დამქირავებლის მიერ საგადასახადო ორგანოში წარმოდგენილი შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით (მათ შორის დაზუსტებული) ან/და შესაბამისი საანგარიშო პერიოდის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციით (მათ შორის დაზუსტებული) პირს წარმოეშვა დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნების მოთხოვნა დამატებით თანხაზე, პირს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დაზუსტებული დეკლარაცია.

16. პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია აისახება მის საშემოსავლო გადასახადის პირადი აღრიცხვის სპეციალურ ბარათზე, დეკლარაციის წარმოდგენის თარიღით.

17. საგადასახადო ორგანო დეკლარაციის მონაცემების პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოფს პირისთვის თანხის დაბრუნებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით.

18. საგადახდო დავალება მზადდება საგადახდო დავალების მომზადების დღისთვის საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის (მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაციის) და პირის საგადასახადო დავალიანების გათვალისწინებით.

19. საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნების მიზნით საგადასახადო ორგანო საგადახდო დავალებას უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს (შემდგომში – სახაზინო სამსახური), დეკლარაციის წარმოდგენის რიგითობის გათვალისწინებით.

20. სახაზინო სამსახური დაუბეგრავი მინიმუმის თანხას აბრუნებს ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

21. საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდება პირის მიერ დეკლარაციაში მითითებულ საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშზე.

22. თუ დამქირავებელს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის გათვალისწინებით არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება და დაქირავებული პირი თავად ახდენს საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებას და გადახდას, ასეთ ფიზიკურ პირს (დაქირავებული) საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშებისა და შესაბამისი თანხის დაბრუნების მიზნით უფლება აქვს საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაცია.

23. დამქირავებლის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობისას, დაგვიანებით წარდგენისას ან/და არასწორად წარდგენისას დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის ზედმეტად დაბრუნების ან/და საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში ზედმეტად ჩათვლის შემთხვევაში დაქირავებულს ზედმეტად დაბრუნებულ ან/და საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში ზედმეტად ჩათვლილ თანხაზე საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება.

მაგალითი 1

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 5 აპრილს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 360 ლარს. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 360 ლარს.

აღნიშნულ შემთხვევაში, ფიზიკურ პირს დეკლარაციაში მითითებული 360 ლარი დაუბრუნდება სრულად.

მაგალითი 2

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 17 აპრილს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 360 ლარს. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 140 ლარს (220 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 360 ლარიდან დაუბრუნდება 140 ლარი.

მაგალითი 3

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 2 მაისს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 300 ლარს. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 140 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 300 ლარიდან დაუბრუნდება 140 ლარი.

ფიზიკური პირისათვის თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ დამქირავებლის მიერ წარდგენილ იქნა განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისადაც ფიზიკური პირი არ მიეკუთვნება დაუბეგრავი მინიმუმის შეღავათით მოსარგებლე ფიზიკურ პირთა რიცხვს. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმდგენი დამქირავებელი პირი დაჯარიმდება ზედმეტად დაბრუნებული ან/და ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით და სანქციის სახით დაერიცხება 600 ლარი (300*2).

მაგალითი 4

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 10 აპრილს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 300 ლარს. X დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 100 ლარი, ხოლო Y დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 200 ლარი. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 140 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 300 ლარიდან დაუბრუნდება 140 ლარი.

ფიზიკური პირისათვის თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ X და Y დამქირავებლ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ იქნა განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისად, დაუბეგრავი მინიმუმის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმდგენი დამქირავებლები დაჯარიმდებიან ზედმეტად დაბრუნებული ან/და ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით და სანქციის სახით დაერიცხებათ: X დამქირავებელი დაჯარიმდება 200 ლარით (100*2), ხოლო Y დამქირავებელი დაჯარიმდება 400 ლარით (200*2).

მაგალითი 5

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 25 ივნისს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 300 ლარს. X დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 100 ლარი, ხოლო Y დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 200 ლარი. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 140 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 300 ლარიდან დაუბრუნდება 140 ლარი.

ფიზიკური პირისათვის თანხის დაბრუნების შემდგომ, დადგინდა, რომ Y დამქირავებლის მიერ წარმოდგენილ იქნა განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისად დაუბეგრავი მინიმუმის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმდგენი Y დამქირავებელი დაჯარიმდება ზედმეტად დაბრუნებული ან/და ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით და სანქციის სახით დაერიცხება 600 ლარი (300*2).

მაგალითი 6

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 8 მაისს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 250 ლარს. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის საგადასახადო დავალიანება შეადგენს 400 ლარს.

აღნიშნულ შემთხვევაში, პირს დეკლარაციაში მითითებული 250 ლარი არ დაუბრუნდება, აღნიშნული თანხა ჩაითვლება საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში და პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული დავალიანება განისაზღვრება 150 ლარით.

მაგალითი 7

დამქირავებლის მიერ საგადასახადო ორგანოში 2013 კალენდარული წლის მიხედვით წარმოდგენილ განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციაში ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 3500 ლარს, ხოლო დაკავებული გადასახადის თანხა კი – 100 ლარს, აღნიშნული საშემოსავლო გადასახადის თანხა წარმოადგენს 500 ლარიდან დაკავებული გადასახადის თანხას. შესაბამისად, პირზე გავრცელებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3000-ლარიანი შეღავათი და დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 100 ლარს.

შენიშვნა: აღნიშნულ მაგალითში გამოყენებული პრინციპი ვრცელდება ასევე 2014 კალენდარული წლის მიხედვით მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე.

მაგალითი 8

X დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვეების მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მე-8 გრაფაში („დაკავებული გადასახადი“) ასახული თანხების ჯამი შეადგენს 3000 ლარს, ხოლო შესაბამისი საანგარიშო თვეების გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში მითითებულ (დეკლარაციის დანართი „ა“) წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის თანხა კი 3500 ლარს. ამ შემთხვევაში დამქირავებლის მიერ წარდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაცია ითვლება შეცდომით წარმოდგენილად. შესაბამისად, ფიზიკური პირი ვერ ისარგებლებს შეღავათით და ეცნობება დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ.

მაგალითი 9

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 10 აპრილს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 360 ლარს. X დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 160 ლარი, ხოლო Y დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 200 ლარი. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 200 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 360 ლარიდან დაუბრუნდა 200 ლარი.

ფიზიკური პირისათვის თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ X და Y დამქირავებლ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ იქნა განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისად X დამქირავებელის მიერ დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 60 ლარი, ხოლო Y დამქირავებლის მიერ დაკავებულმა გადასახადმა – 140 ლარი. ფიზიკურ პირს შეუმცირდა დაუბეგრავი მინიმუმის თანხა 200 ლარამდე. ზემოხსენებული მოცემულობის გათვალისწინებით დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 40 ლარს. მოცემულ შემთხვევაში,

ინფორმაციის არასწორად წარმდგენი დამქირავებლები დაჯარიმდებიან ზედმეტად დაბრუნებული ან/და ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით და სანქციის სახით დაერიცხებათ: X დამქირავებელი დაჯარიმდება 200 ლარით ((360*(160-60)/360)*2), ხოლო Y დამქირავებელი დაჯარიმდება 120 ლარით ((360*(200-140)/360)*2).

მაგალითი 10

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის მიხედვით 2014 წლის საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი (გარდა, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა) შეადგენს 5000 ლარს (ეს შემოსავალი არ არის გათავისუფლებული დაბეგვრისაგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მიხედვით). ამავე დროს დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვ(ეებ)ის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მე-7 გრაფაში (განაცემის თანხა (ლარი)) ასახული მონაცემების ჯამი შეადგენს 3000 ლარს.

ვინაიდან 2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი აღემატება 6000 ლარს, მას არ ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება. შესაბამისად, ფიზიკური პირი ვერ ისარგებლებს შეღავათით და ეცნობება დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ.

მაგალითი 11

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის მიხედვით 2014 წლის საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი (გარდა, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა) შეადგენს 5000 ლარს. ამავე დროს დამქირავებლის მიერ საგადასახადო ორგანოში წარმოდგენილ განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციაში ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 6500 ლარს, ხოლო დაკავებული გადასახადის თანხა კი – 100 ლარს, აღნიშნული საშემოსავლო გადასახადის თანხა წარმოადგენს 500 ლარიდან დაკავებული გადასახადის თანხას.

შესაბამისად, პირზე გავრცელებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 6000-ლარიანი შეღავათი (პირი წარმოადგენს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს) და დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 100 ლარს.

მაგალითი 12

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის მიხედვით 2014 წლის საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 1000 ლარს. ამავე დროს დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვეების მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ მის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 5000 ლარს.

2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, მას ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება. შესაბამისად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 360 ლარს.

სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 200 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 360 ლარიდან დაუბრუნდა 200 ლარი.

თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ ი/მეწარმემ წარმოადგინა საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის დაზუსტებული ფორმა, რომლის შესაბამისად დაუბეგრავი მინიმუმის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას.

მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმდგენი ი/მეწარმის სპეციალურ ბარათზე დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარდგენის თარიღით განხორციელდება სავარაუდო დარიცხვა 360 ლარი, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სანქციის სახით დაერიცხება 180 ლარი.

მაგალითი 13

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის მიხედვით 2014 წლის საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი (გარდა, X დამქირავებლისაგან და Y საგადასახადო აგენტისაგან მიღებული შემოსავლისა) შეადგენს 3000 ლარს. ამავე დროს საგადასახადო აგენტების (მათ შორის, დამქირავებლის) მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვეების მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მე-7 გრაფაში (განაცემის თანხა (ლარი)) ასახული მონაცემების ჯამი შეადგენს 3000 ლარს, მათ შორის, X დამქირავებლისგან 1800 ლარი და Y საგადასახადო აგენტისგან - 1200 ლარი.

2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, მას ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება. შესაბამისად, დაუბრუნდება 360 ლარი.

თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ ი/მეწარმემ წარმოადგინა საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის, ხოლო საგადასახადო აგენტებმა (მათ შორის, დამქირავებელმა) განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის დაზუსტებული ფორმა. შედეგად მეწარმის მიერ დეკლარირებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 5000 ლარი, X დამქირავებლის მიერ გაცემულმა – ხელფასმა 500 ლარი, ხოლო Y საგადასახადო აგენტის მიერ გაცემულმა თანხამ – 2000 ლარი. 2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი აღემატება 6000 ლარს და მას არ ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში, ი/მეწარმემ ერთობლივი შემოსავალი შეცვალა 2000 ლარით (5000-3000), X დამქირავებელმა გაცემული ხელფასი – 1300 ლარით (1800-500), ხოლო Y საგადასახადო აგენტმა 800 ლარით (2000-1200). ჯამში მონაცემი შეიცვალა – 4100 ლარით (2000+1300+800).

შესაბამისად, ი/მეწარმის სპეციალურ ბარათზე დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარდგენის თარიღით განხორციელდება სავარაუდო დარიცხვა 176 ლარი (360*(2000/4100)%), ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სანქციის სახით დაერიცხება 88 ლარი. X დამქირავებელს სანქციის სახით დაერიცხება 228 ლარი ((360*(1300/4100)%)*2), ხოლო Y საგადასახადო აგენტს – 140 ლარი ((360*(800/4100)%)*2).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 01.04.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 26 მარტის ბრძანება №98 – ვებგვერდი, 26.03.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის ბრძანება №226 – ვებგვერდი, 29.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 მარტის ბრძანება N84 – ვებგვერდი, 24.03.2015წ.

მუხლი 39[3]. ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

1. გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება ფიზიკური პირის მიერ:

ა) შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი;
ბ) შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი;
შენიშვნა: შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართად და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენად (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) მიიჩნევა ლითონის მეორადი ნედლეული, რომელიც განკუთვნილია საწარმოო გადამუშავებისათვის და რომელიც წარმოიშობა ლითონის წარმოების ან მექანიკური დამუშავების პროცესში, ასევე ლითონის ის ნაკეთობები, რომლებიც გამოუსადეგარია იმ დანიშნულებით გამოსაყენებლად, რისთვისაც ისინი შეიქმნა გატეხვის, გაცვეთის (მათ შორის, მორალური), მექანიკური, ქიმიური დაზიანების ან სხვა მიზეზთა გამო.
ამასთან, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი არ მოიცავს შავი ლითონის სხმულებს, ზოდებს, ნაგლინს, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულს და ნახევარფაბრიკატებს, რომლებიც კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7202, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებში და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადახდის წყაროსთან დაბეგვრის წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადები გამოწერილი არ არის.
3. ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად დაიბეგრება, ამ პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №489 - ვებგვერდი, 29.12.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №280 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

დანართი №II-08[5]

დეკლარაცია
დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ

დეკლარაციის ტიპი _____ პირველადი ____ დაზუსტებული ____

თანახმა ვარ შემოსავლების სამსახურმა ბანკიდან მიიღოს ინფორმაცია ჩემი საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშების, ხოლო სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოდან - პერსონალური მონაცემების შესახებ" (აღნიშნული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დაუბეგრავი მინიმუმის საკითხთან დაკავშირებით).

ფიზიკური პირის სახელი და გვარი _____

პირადი ნომერი											

ფიზიკური პირის მისამართი _____

საკონტაქტო მონაცემები: მობილური ტელ:

ელ. ფოსტა _____

დაუბეგრავი მინიმუმის მიღების კალენდარული წელი ----------

ბანკის დასახელება _____

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი

დეკლარირებული თანხა

პირის დავალიანების გათვალისწინებით დაბრუნებას ექვემდებარება

დეკლარაციაში მითითებული დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს საგადახდო დავალების მომზადების დღისათვის პირის საგადასახადო დავალიანებისა და **საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის (მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაციის) გათვალისწინებით.**

თარიღი: „__“ „_____“ 20 წელი“

* შენიშვნა: აღნიშნული უჯრის შევსება სავალდებულოა. აღნიშნეთ „V“ ნიშნით.“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 01.04.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 26 მარტის ბრძანება №98 – ვებგვერდი, 26.03.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის ბრძანება №226 – ვებგვერდი, 29.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 მარტის ბრძანება N84 – ვებგვერდი, 24.03.2015წ.

მუხლი 39[4]. დაქირავებულის მიერ პირადი სარგებლობისათვის გამოყენებული დამქირავებლის ავტომობილის აღრიცხვისა და საგადასახადო ორგანოსათვის ასეთი ავტომობილის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი

1. დაქირავებულის მიერ ამ ინსტრუქციის შესაბამისად პირადი სარგებლობისათვის გამოყენებული დამქირავებლის ავტომობილის (ამ მუხლის მიზნებისათვის, შემდგომში – ავტომობილი) შესახებ ინფორმაციას დამქირავებელი,

არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, წარუდგენს საგადასახადო ორგანოს ამ ინსტრუქციის დანართი №II-06-ის ფორმით.

2. თუ დაქირავებული ავტომობილს იყენებს პირადი სარგებლობისათვის, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება სრულად, შესაბამის საანგარიშო პერიოდში პირადი სარგებლობისათვის გამოყენების დღეთა რაოდენობის მიუხედავად.

3. თუ ორ ან მეტ ავტომობილს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

ა) ერთდროულად იყენებს პირადი სარგებლობისათვის დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეული ავტომობილის მიხედვით;

ბ) დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყენებს პირადი სარგებლობისათვის დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება იმ ავტომობილის მიხედვით, რომელსაც დაქირავებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უფრო მეტი დღის განმავლობაში იყენებს, ხოლო საანგარიშო პერიოდში პირადი სარგებლობისათვის გამოყენების დღეთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში - იმ ავტომობილის მიხედვით, რომლის ძრავის მოცულობაც უმაღლესია.

4. თუ ერთსა და იმავე ავტომობილს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

ა) ერთდროულად იყენებს პირადი სარგებლობისათვის 2 ან მეტი დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეულ დაქირავებულ პირთან მიმართებაში;

ბ) დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყენებს პირადი სარგებლობისათვის 2 ან მეტი დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეულ დაქირავებულ პირთან მიმართებაში.

მაგალითი 1.

შპს X-სა და გიორგის შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, გიორგი უფლებამოსილია, შპს X-ის კუთვნილი ავტომობილი, რომლის ძრავის მოცულობა შეადგენდა 1800 სმ^3-ს, სამსახურებრივი საჭიროების გარდა, გამოიყენოს ასევე პირადი სარგებლობისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, გიორგი უფლებამოსილია, შპს X-ის კუთვნილი ავტომობილი, სამსახურებრივი საჭიროების გარდა, გამოიყენოს ასევე პირადი სარგებლობისათვის, ითვლება, რომ გიორგი იყენებს ავტომობილს პირადი სარგებლობისათვის.

შესაბამისად, შპს X-ის მიერ გიორგის შესაბამის საანგარიშო პერიოდში დაუკავდება საშემოსავლო გადასახადი 100 ლარის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №289 - ვებგვერდი, 26.09.2019წ.

მუხლი 40. მოგების გადასახადის დეკლარაცია

1. მოგების გადასახადის გადამხდელი მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგენს №II-09 დანართის მიხედვით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. საწარმო და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოში წარადგენენ №II-08^6 დანართის მიხედვით.

3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისთვის, თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას, არ ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.01.2022წ.

დანართი №II-08^6

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.10.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №260 - ვებგვერდი, 28.10.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 დეკემბრის ბრძანება №312 - ვებგვერდი, 21.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 8 თებერვლის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 09.02.2022წ.

მუხლი 40[1]. მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (დანართი №II-08[6]) შევსება

1. მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართებისაგან. დანართები დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია.

2. დეკლარაციის სტრიქონებში მონაცემები შეიტანება მათი დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად. ამასთან, მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის არც ერთი ელემენტი არ უნდა იქნეს გამოტოვებული ან ორჯერ ჩართული. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

3. დეკლარაციის I ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტების, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის („NACE“) კოდი „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საქსტატის“ საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ მიხედვით. მისამართის სვეტში მიეთითება საწარმოს ფაქტობრივი მისამართი.

4. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ, დეკლარაციის ქაღალდის ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში, და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ. თანდართულ დოკუმენტებში გადასახადის გადამხდელის მიერ მოგების გადასახადის გაანგარიშებასთან დაკავშირებით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს დამატებითი დანართები, მათ შორის, ახსნა-განმარტების სახით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. დეკლარაციის III ნაწილის მეორე სვეტში აისახება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით (მათ შორის, საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოს მიერ შესაბამისი სტატუსის მინიჭებამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება), შესაბამისი მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და მოგების გადასახადი, ხოლო მესამე სვეტში - მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადის 5%-იანი განაკვეთით, შესაბამისი მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და მოგების გადასახადი. ამასთან, ამავე ნაწილის:

ა) მე-16 სტრიქონში მიეთითება განაწილებული მოგება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[1] მუხლის შესაბამისად, რომელიც დეკლარაციის III ნაწილის 16.1, 16.2, 16.3, 16.4 და 16.5 სტრიქონებში ასახული თანხების ჯამის ტოლია:

ა.ა) 16.1 სტრიქონი – აისახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი. მათ შორის:

– საწარმოს ლიკვიდაციისას განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

– საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირების გზით აქტივების გადაცემა, (გარდა საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტებისათვის აქტივების გადაცემისა, თუ ამ საწარმოს წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია), რომლის ღირებულებაც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

– საწარმოს აქციის/წილის გამოსყიდვისას განხორციელებული გადახდა/განაცემი (ლიკვიდაციისას ან კაპიტალის შემცირებისას), რომელიც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

– რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემით პარტნიორზე განხორციელებული გადახდა.

შენიშვნა: 16.1 სტრიქონში ასევე შეიტანება 2008 წლამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი. ამასთან, 16.1 სტრიქონში არ შეიტანება:

ა) „ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული მოგების განაწილება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე, გარდა:

ა.ა) მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული აღნიშნული პირ(ებ)ისა;

ა.ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის აღნიშნულ პირ(ებ)ზე განაწილებისა;

ა.გ) 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციულ ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, სადაზღვევო ორგანიზაციაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ლომბარდზე დივიდენდის განაწილებისა, თუ მოგება განეკუთვნება 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდებს;

ა.დ) კომერციულ ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, სადაზღვევო ორგანიზაციაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ლომბარდზე დივიდენდის განაწილებისა, თუ მოგება განეკუთვნება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდებს;

ბ) საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული დივიდენდის განაწილება;

გ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის მიმღები „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) მიერ მისი შემდგომი განაწილება;

დ) 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება;

ე) 2008 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან კომერციული ბანკისგან, საკრედიტო კავშირისგან, სადაზღვევო ორგანიზაციისგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდისგან მიღებული დივიდენდის განაწილება;

ვ) არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება.

<u>მაგალითი 1.</u>

<u>ფაქტობრივი გარემოებები:</u>

საწარმომ 2017 წელს მიღებული წმინდა მოგებიდან (60 000 ლარი) მოახდინა პარტნიორზე გადახდა საწარმოს წილის საკუთრებაში გადაცემით (გაზარდა ამ პარტნიორის წილის ღირებულება, კაპიტალი იყო 20000 ლარი და გახდა 80 000 ლარი). საწარმომ 2018 წლის ივნისში პარტნიორ ფიზიკურ პირზე გასცა 90 000 ლარი – 40 000 ლარი წმინდა მოგების ხარჯზე, ხოლო 50 000 ლარით შეამცირა კაპიტალი.

<u>ანალიზი:</u>

წმინდა მოგებიდან საწარმოს მიერ პარტნიორზე მისი წილის ღირებულების გაზრდის მიზნით განხორციელებული გადახდა არ წარმოადგენს დივიდენდის განაწილებას და შესაბამისად 2017 წელს ასეთი გადახდა (60 000 ლარი) არ დაიბეგრა მოგების გადასახადით. განაწილებულ მოგებად არ ითვლება პარტნიორის მიერ შენატანის ოდენობის ფარგლებში განხორციელებული გატანა, შესაბამისად, 2018 წლის ივნისის საანგარიშო პერიოდის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარება 30 000 ლარი ((50 000 – 20 000), ვინაიდან 20000 ლარი წარმოადგენს პარტნიორის მიერ განხორციელებულ შენატანს), ასევე ამავე საანგარიშო პერიოდის მიხედვით დაექვემდებარება დაბეგვრას წმინდა მოგების ხარჯზე გაცემული 40 000 ლარი.

<u>შედეგი:</u>

2018 წლის ივნისის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დივიდენდის სახით დაბეგვრას დაექვემდებარება 70 000 ლარი (30 000 + 40 000). შესაბამისად, 16.1 სტრიქონში ჩაიწერება 70000 ლარი.

ა.ა.ა) 16.1.1 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლით გათავისუფლებული დივიდენდის განაწილებისა);

ა.ა.ბ) 16.1.2 სტრიქონში მიეთითება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის სტატუსის დაკარგვამდე იმ საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლით გათავისუფლებული დივიდენდის განაწილებისა), როდესაც პირი მოგების გადასახადით იბეგრებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 95-ე ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით.

ა.ა.გ) 16.1.3 სტრიქონში მიეთითება საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოს მიერ მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა, რომელიც წარმოადგენს ამავე დეკლარაციის დანართი №1[6]-ით გაანგარიშებულ თანხას;

ა.ბ) 16.2 სტრიქონში აისახება არარეზიდენტი საწარმოს მიერ მისი მუდმივი დაწესებულებისთვის მიკუთვნებული მოგების გატანა. კერძოდ, ამ მუდმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოსათვის ფულადი ან არაფულადი ფორმით განხორციელებული განაცემი. მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლებოდა მიეღო, როგორც იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ, იმავე ან ანალოგიურ პირობებში მყოფ დამოუკიდებელ საწარმოს.

ა.გ) 16.3 სტრიქონში შეიტანება ურთიერთდამოკიდებულ პირებთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცი(ებ)ის ფარგლებში გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობის თანხა, როდესაც მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. კერძოდ:

ა.გ.ა) 16.3.1 სტრიქონში - გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობა, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;

ა.გ.ბ) 16.3.2 სტრიქონში - გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობა, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს;

ა.დ) 16.4 სტრიქონში მიეთითება საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსი და საქართველოს ეროვნული ბანკისა) განხორციელებული ოპერაცი(ებ)ის ფარგლებში გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობის თანხა. კერძოდ:

ა.დ.ა) გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობა, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;

ა.დ.ბ) გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობა, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს;

მაგალითი 2.

ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის აგვისტოს თვეში გადასახადის გადამხდელმა საწარმომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირთან დადო გარიგება, რომლის შესაბამისადაც, იმავე თვეში პირმა მიაწოდა 8 000 ლარის საბაზრო ღირებულების საქონელი, ხოლო საწარმომ მომწოდებელს გადაუხადა გარიგებით

გათვალისწინებული ფასი - 10 000 ლარის ოდენობით. საწარმომ აღნიშნული შემოსავალი არ ჩათვალა მოგების განაწილებად და არ დაბეგრა მოგების გადასახადით.

ანალიზი:

ვინაიდან გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირი, მოგების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარეთა შორის დადებული გარიგების ფაქტობრივი ფასი განსხვავდება თუ არა საბაზრო ფასისგან. ვინაიდან მაგალითში საბაზრო ფასი ნაკლებია გარიგების ფასზე, საწარმოს წარმოეშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.

შედეგი:

საწარმო ვალდებულია, მოგების გადასახადით დაბეგროს 2000 ლარი (სხვაობა საწარმოს მიერ გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის).

შენიშვნა:

საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში, ჩაითვლება პირი:

ა) რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (მაგალითად: თიზ-ის საწარმო, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი);

ბ) რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მაგალითად: აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა)).

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98^1 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირად არ ჩაითვლება სპეციალური სავაჭრო კომპანია იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომელთა მიმართ კმაყოფილდება ამავე კოდექსის 24^1 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა.

ა.ე) 16.5 სტრიქონში აისახება განხორციელებული კონტროლირებული ოპერაციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVII თავით დადგენილი წესით გამოანგარიშებული კორექტირების თანხა, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს.

ბ) მე-17 სტრიქონში აისახება ხარჯი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98^2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული), რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან. კერძოდ:

ბ.ა) 17.1 სტრიქონში აიხება ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გაწეული ხარჯების დოკუმენტურად დადასტურების ვალდებულებას;

ბ.ბ) 17.2 სტრიქონში აისახება ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;

ბ.გ) 17.3 სტრიქონში აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98^2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სხვა ხარჯი. კერძოდ:

ბ.გ.ა) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება;

ბ.გ.ბ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისაგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის (გარდა საგადასახადო კოდექსის 95^3 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიქსირებული გადასახადის განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობისა) ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;

ბ.გ.გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლების ზემოთ კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენტი;

ბ.გ.დ) პირის (გარდა სპეციალური სავაჭრო კომპანიისა) მიერ სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი, გარდა იმ ხარჯისა, რომელიც აღნიშნული სპეციალური სავაჭრო კომპანიისათვის გადახდებს არ უკავშირდება.

გ) მე-18 სტრიქონი – მიეთითება გადახდები (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 982მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული), რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. კერძოდ:

გ.ა) 18.1 სტრიქონი ტოლია 18.1.1 - 18.1.5 სტრიქონებში ასახული თანხების ჯამის:

გ.ა.ა) 18.1.1 სტრიქონში აისახება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსი და საქართველოს ეროვნული ბანკისა) მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

გ.ა.ბ) 18.1.2 სტრიქონში მიეთითება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსი და საქართველოს ეროვნული ბანკისა) გადახდილი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა;

გ.ა.გ) 18.1.3 სტრიქონში მიეთითება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსი და საქართველოს ეროვნული ბანკისა) ავანსის გადახდა;

გ.ა.დ) 18.1.4 სტრიქონში მიეთითება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსი და საქართველოს ეროვნული ბანკისა) სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებულ ოპერაციებზე;

გ.ა.ე) 18.1.5 სტრიქონში მიეთითება ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში

რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსი და საქართველოს ეროვნული ბანკისა) მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;

გ.ბ) 18.2 სტრიქონში აისახება არარეზიდენტის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანი ან აქციის/წილის (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული აქციისა/წილისა) შესაძენად განხორციელებული გადახდა.

შენიშვნა: ამ ინსტრუქციის 40[1] მუხლის მე-5 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის მე-2 მაგალითის შენიშვნით გათვალისწინებულ პირთაგან, მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად განიხილება პირი, რომლის მიერ, მის კაპიტალში შენატანის განხორციელების ან/და მისი აქციის/წილის შეძენის წლის წინა კალენდარული წლის განმავლობაში, მიღებული მოგების გადასახადით გათავისუფლებული შემოსავალი ამავე პერიოდში მიღებული შემოსავლის 30 პროცენტს აღემატება.

გ.გ) 18.3 სტრიქონში აისახება ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის სესხის გაცემა (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შეძენისა) ან/და პარტნიორი ფიზიკური პირის ან პარტნიორი არარეზიდენტის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხა შეადგენს სესხის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრების ოდენობას. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე;

გ.დ) 18.4 სტრიქონში აისახება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან ლომბარდის მიერ პარტნიორ არარეზიდენტზე, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პარტნიორზე ან კაპიტალში არანაკლებ 1 პროცენტით მონაწილეობის უფლების მქონე პარტნიორ ფიზიკურ პირზე სესხის გაცემა ან/და პარტნიორის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხა შეადგენს სესხის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრების ოდენობას.

დ) მე-19 სტრიქონი - აისახება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[3] მუხლით განსაზღვრული). კერძოდ:

დ.ა) 19.1 სტრიქონი - სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების დანაკლისი;

დ.ბ) კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობა, რომელიც აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს; ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას შემოწირულობა მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ საანგარიშო პერიოდიდან, როცა მიმდინარე წლის განმავლობაში ჯამურად გაცემული შემოწირულობა გადააჭარბებს წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს;

<u>მაგალითი 3.</u>

ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის აგვისტოს თვეში გადასახადის გადამხდელმა საწარმომ სარეკლამო აქციის ფარგლებში მომხმარებლებს გადასცა ქუდები, რომელზეც გამოსახული იყო საწარმოს ემბლემა. აქციის ფარგლებში გაწეულ იქნა დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი - 10 000 ლარის ოდენობით. გადასახადის გადამხდელმა აღნიშნული ხარჯი ჩათვალა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად და არ დაბეგრა მოგების გადასახადით.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადის გადამხდელის მიერ სარეკლამო აქციის მიზანს წარმოადგენს შემდგომში მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, იგი არ მიიჩნევა უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებად და ასევე არ წარმოადგენს ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

შედეგი:

გადასახადის გადამხდელს, აგვისტოს თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, არ წარმოეშობა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

<u>მაგალითი 4.</u>

<u>ფაქტობრივი</u> <u>გარემოებები:</u>

საწარმოს მიერ 2017 წელს მიღებული წმინდა მოგება შეადგენს 100 000 ლარს. 2018 წლის 5 იანვარს საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გასცა შემოწირულობა 5 000 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში - 7 500 ლარი.

<u>ანალიზი:</u>

საწარმოს მიერ 2018 წლის განმავლობაში გაცემულმა შემოწირულობამ (5000+7500) გადააჭარბა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს (12500>(100 000*10%).

<u>შედეგი:</u>

საწარმოს 2018 წლის აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშვება 2500 (12500-10000) ლარის დაბეგვრის ვალდებულება.

დ.გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან; უსასყიდლო მიწოდებად ითვლება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება; ამასთან, აღნიშნულში არ გაითვალისწინება:

- სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ მიწოდება, თუ ამ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა.

დ.დ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში 60 დღეზე მეტი ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევა.

ე) მე-20 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[4] მუხლით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1 პროცენტი, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს – გაწეული ხარჯის 1 პროცენტი. ამასთან, საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1 პროცენტი.

<u>მაგალითი 5</u>

<u>ფაქტობრივი გარემოებები:</u>

საწარმოს მიერ 2017 წელს მიღებული შემოსავალი შეადგენს 1 000 000 ლარს, ხოლო გაწეული ხარჯი „ბასს"-ის მიხედვით - 1 200 000 ლარს. 2018 წლის 5 იანვარს გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა შეადგინა 5000 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში – 6000 ლარი, ნოემბერის თვეში კი – 4000 ლარი.

<u>ანალიზი:</u>

წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1 პროცენტი, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს – გაწეული ხარჯის 1 პროცენტი. მოცემულ მაგალითში 2017 წელს გაწეული ხარჯი აღემატება ამავე პერიოდის შემოსავალს, შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება გაწეული ხარჯის 1%–ით (1 200 000*1%) – 12 000 ლარი.

საწარმოს 2018 წლის იანვრისა (5000<12 000) და აგვისტოს ((5000+6000)<12 000) თვეებში გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა ჯამურად არ გადაარჭაბა ზღვრულ ოდენობას, ამდენად, შესაბამის საანგარიშო პერიოდებზე საწარმოს არ წარმოეშვება მოგების გასახადით დაბეგვრის ვალდებულება.

ნოემბრის თვეში წარმომადგენლობითმა ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 15 000 (5000+6000+4000) ლარი, რაც აღემატება ზღვრულ ოდენობას. შესაბამისად, საწარმოს ნოემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშვება მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწულ წარმომადგენლობით ხარჯზე.

<u>შედეგი:</u>

საწარმოს 2018 წლის ნოემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშვება 3 000 (15 000-12 000) ლარის დაბეგვრის ვალდებულება.

მაგალითი 6

<u>ფაქტობრივი გარემოებები:</u>

საწარმო დაფუძნდა 2018 წლის 3 თებერვალს. მის მიერ ბასს-ის მიხედვით გაწეული ჯამური ხარჯი 2018 წლის აგვისტოს თვეში შეადგენს 100 000 ლარს, მათ შორის, წარმომადგენლობითი ხარჯი – 1 200 ლარს. საწარმოს 2018 წლის ბოლომდე დამატებითი ხარჯი არ გაუწევია.

<u>ანალიზი:</u>

საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1%.

ვინაიდან საწარმომ აგვისტოს თვეში არ იცოდა კალენდარული წლის ჭრილში მის მიერ გაწეული ხარჯის ოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა გადააჭარბა ამავე პერიოდისთვის გაწეული ხარჯის 1%-ს, საწარმოს უფლება აქვს აგვისტოს თვის საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში არ ასახოს აღნიშნული დაბეგვრის ობიექტი.

ხოლო ვინაიდან 2018 წელს საწარმოს დამატებითი ხარჯი არ გაუწევია და წარმომადგენლობითმა ხარჯმა კალენდარული წლის ჭრილში გადააჭარბა ზღვრულ ოდენობას, საწარმოს წარმოეშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს მიერ იმ საკითხის შეფასება, კალენდარული წლის ჭრილში გადააჭარბა თუ არა წარმომადგენლობითმა ხარჯმა ზღვრულ ოდენობას, შესაძლებელი იყო მხოლოდ კალენდარული წლის ბოლოს, საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება წარმოეშობა დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდში.

<u>შედეგი:</u>

საწარმოს 2018 წლის დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშობა 200 (1 200-(100 000*1%)) ლარის დაბეგვრის ვალდებულება.

ვ) 21-ე სტრიქონი - მიეთითება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხების ჯამი (სტ.21=სტ.16+ სტ.17+სტ.18+სტ.19+სტ.20);

ზ) 22-ე სტრიქონი - მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლით გათვალისწინებული მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული მოგების განაწილება, გაწეული ხარჯი, განხორციელებული განაცემი;

თ) 23-ე სტრიქონი – მიეთითება მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა;

ი) 24-ე სტრიქონი – აისახება მოგების გადასახადი;

კ) 25-ე სტრიქონი – მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 124-ე მუხლის მე-2 – მე-3 ნაწილების, 309-ე მუხლის 92-ე – 93-ე და 119-ე – 120-ე ნაწილებით გათვალისწინებული ჩასათვლელი თანხების ჯამი (სტ.25=სტ.25.1+სტ.25.2+სტ.25.3):

კ.ა) 25.1 სტრიქონი – აისახება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ამავე დეკლარაციის დანართი №1-ით გაანგარიშებული თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დეკლარაციის 16.1.1. სტრიქონში ასახული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხას. ამასთან, თუ დეკლარაციის დანართი №1-ის მე-5 სტრიქონში

ასახული თანხა მეტია დეკლარაციის III ნაწილის 16.1.1 სტრიქონის მიხედვით გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხაზე, მაშინ 25.1 სტრიქონში აისახება სტრიქონი 16.1.1-ის მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა. თუ დეკლარაციის დანართი №1-ის მე-5 სტრიქონში ასახული თანხა ნაკლებია დეკლარაციის III ნაწილის 16.1.1 სტრიქონის მიხედვით გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხაზე, 25.1 სტრიქონში მიეთითება დეკლარაციის დანართი №1-ის მე-5 სტრიქონის მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა;

კ.ბ) 25.2 სტრიქონში მიეთითება საქართველოს ფარგლების გარეთ წყაროსთან დაკავებული ან გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, რომელიც გამოანგარიშებული იქნებოდა საქართველოში აღნიშნულ შემოსავალზე საქართველოში არსებული წესითა და განაკვეთებით, რომელიც არ ღემატება 16.1 სტრიქონის მეორე სვეტში ასახული მონაცემიდან გამოანგარიშებულ გადასახადის თანხასა და 25.1 სტრიქონის ამავე სვეტში ასახულ მონაცემებს შორის სხვაობით მიღებულ თანხას, ამასთან, საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოს მიერ სტატუსის ფარგლებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემთხვევაში – არაუმეტეს 16.1.3 სტრიქონის მესამე სვეტში ასახული მონაცემიდან გამოანგარიშებულ გადასახადის თანხისა.

კ.გ) 25.3 სტრიქონი – აისახება საწარმოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში (როდესაც პირი მოგების გადასახადით იბეგრებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 95-ე ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით) მიღებული წმინდა მოგების განაწილებისას დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ამავე დეკლარაციის დანართი №1[3]-ით გაანგარიშებული თანხა, მაგრამ არაუმეტეს დეკლარაციის 16.1.2 სტრიქონში ასახული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხისა.

ლ) 26-ე სტრიქონი - მიეთითება მოგების გადასახადის თანხა სტრიქონ 25-ში ასახული მონაცემის გამოკლებით (სტ. 26=სტ.24-სტ.25, ამასთან სტ.26≥0);

მ) 27-ე სტრიქონი – წარმოადგენს დეკლარაციის 18.1.1, 18.1.3, 18.1.4, 18.2, 18.3 სტრიქონების მიხედვით და საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო შემოწმების შედეგად საანგარიშო პერიოდში და საანგარიშო პერიოდის წინა პერიოდებში დაბეგვრას დაქვემდებარებული (დაბეგრილი) დაბეგვრის ობიექტის მიხედვით საანგარიშო პერიოდში აღსადგენ მოგების გადასახადის თანხას:

მ.ა) 27.1 სტრიქონი – აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[2] მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული – შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად ანაზღაურების შემთხვევაში (თანხის ფაქტობრივად მიღების შემთხვევაში), საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხა;

მ.ბ) 27.2 სტრიქონი – აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[2] მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული – გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნების ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში, სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხა ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხა;

მ.გ) 27.3 სტრიქონი – აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[2] მუხლის მე-9 ნაწილით განსაზღვრული – სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გაუქმების შემთხვევაში, უზრუნველყოფის გაუქმების საანგარიშო პერიოდში გაუქმებული საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის თანხა;

მ.დ) 27.4 სტრიქონი – აისახება საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო შემოწმების შედეგად დაბეგრილი თანხა, რომელზეც დარიცხული მოგების გადასახადი ექვემდებარება ჩათვლას.

ნ) 28-ე სტრიქონი - აისახება კუთვნილი მოგების გადასახადი (სტ.28=სტ.26-სტ.27, როცა სტ.26>სტ.27);

ო) 29-ე სტრიქონი - მიეთითება დაბრუნებას დაქვემდებარებული მოგების გადასახადი (სტ.29= სტ27- სტ.26, როცა სტ.27>სტ.26).

6. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №1 ივსება სტრიქონების დასახელების შესაბამისად, კერძოდ:

ა) პირველ სტრიქონში მიეთითება საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას;

ბ) მე-2 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;

გ) მე-3 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა ჯამურად (მათ შორის, უარყოფითი ფინანსური შედეგის (ზარალი) გათვალისწინებით);

დ) მე-4 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ საწარმოს მიერ პარტნიორისათვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება;

ე) მე-5 სტრიქონში მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 93-ე ნაწილის მიხედვით ჩასათვლელი თანხა, რომელიც წარმოადგენს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხას. აღნიშნული თანხის ოდენობა იანგარიშება პირველი და მე-2 სტრიქონების ნამრავლის გაყოფით მე-3 და მე-4 სტრიქონების სხვაობაზე (სტ.1*სტ.2/(სტ.3- სტ.4)).

6[1]. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №1[1] ივსება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული

წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის მიხედვით ჩასათვლელი თანხის კორექტირების მიზნით, შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული მოგების გადასახადის გადახდა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ, ან/და

ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით მოგების გადასახადის დარიცხვა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ.

6^2. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №1^1 ივსება ამავე მუხლის 6^1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების დადგომის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, შემდეგი წესით:

ა) I ნაწილის პირველ, მე-2 და მე-3 სვეტებში აისახება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის (მათ შორის, მიმდინარე საანგარიშო პერიოდის) მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის მონაცემები, რომელშიც განხორციელდა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება;

ბ) II ნაწილის:

ბ.ა) პირველ სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის ოდენობა, რომლის განაწილებაც განხორციელდა ამავე დანართის I ნაწილის პირველი სვეტში ასახული საანგარიშო პერიოდ(ებ)ის (მათ შორის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში) მიხედვით და ექვემდებარება დაბეგვრას;

ბ.ბ) მე-2 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;

ბ.გ) მე-3 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა ჯამურად (მათ შორის, უარყოფითი ფინანსური შედეგის (ზარალი) გათვალისწინებით);

ბ.დ) მე-4 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ საწარმოს მიერ პარტნიორისათვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება;

ბ.ე) მე-5 სტრიქონში მიეთითება შემდეგი სახით გაანგარიშებული ჩასათვლელი თანხა: სტ.1*სტ.2/(სტ.3-სტ.4).

გ) III ნაწილში აისახება დამატებით ჩასათვლელი თანხა, რომელიც არის ამავე დანართის II ნაწილის მე-5 სტრიქონისა და I ნაწილის მე-2 სვეტის ჯამს შორის სხვაობა, მაგრამ არაუმეტეს I ნაწილის მე-3 სვეტის ჯამში ასახული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხასა და ამავე ნაწილის მე-2 სვეტის ჯამში ასახულ მონაცემს შორის სხვაობისა და ექვემდებარება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვას.

6^3. დეკლარაციის III ნაწილის დანართი 1^2 ივსება სვეტების დასახელებების შესაბამისად, დეკლარაციის III ნაწილის 27.1-27.3 გრაფებში აღნიშნული შემთხვევების დადგომისას. ამასთან:

ა) პირველ სვეტში მიეთითება საანგარიშო პერიოდი, რომელშიც დაიბეგრა თანხა;

ბ) მე-2 სვეტში მიეთითება შესაბამისი დეკლარაციის გრაფა, რომელშიც დაიბეგრა თანხა;

გ) მე-3 სვეტში მიეთითება დაბეგრილი თანხა, რომლის შესაბამისი მოგების გადასახადიც ექვემდებარება შემცირებას (დაბრუნებას) საანგარიშო პერიოდში. ამასთან, აღნიშნული თანხა არ უნდა იყოს დანართი 1^2-ის პირველ და მე-2 სვეტებში მითითებული საანგარიშო პერიოდის დეკლარაციის შესაბამის გრაფაში დაბეგრილ თანხაზე მეტი, უკვე გამოყენებულის გათვალისწინებით.

6^4. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №1^3 ივსება სტრიქონების დასახელების შესაბამისად, კერძოდ:

ა) პირველ სტრიქონში მიეთითება საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას;

ბ) მე-2 სტრიქონში მიეთითება 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;

გ) მე-3 სტრიქონში მიეთითება 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა ჯამურად (მათ შორის, უარყოფითი ფინანსური შედეგის (ზარალი) გათვალისწინებით);

დ) მე-4 სტრიქონში მიეთითება 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ საწარმოს მიერ პარტნიორისთვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება;

ე) მე-5 სტრიქონში მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 120-ე ნაწილის მიხედვით ჩასათვლელი თანხა, რომელიც წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხას. აღნიშნული თანხის ოდენობა იანგარიშება პირველი და მე-2 სტრიქონების ნამრავლის გაყოფით მე-3 და მე-4 სტრიქონების სხვაობაზე (სტ.1*სტ.2/(სტ.3- სტ.4)).

6^5. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №1^4 ივსება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების

მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის მიხედვით ჩასათვლელი თანხის კორექტირების მიზნით შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული მოგების გადასახადის გადახდა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ, ან/და

ბ) 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით მოგების გადასახადის დარიცხვა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ.

6^6. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №1^4 ივსება ამავე მუხლის 6^5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების დადგომის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, შემდეგი წესით:

ა) I ნაწილის პირველ, მე-2 და მე-3 სვეტებში აისახება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის (მათ შორის, მიმდინარე საანგარიშო პერიოდის) მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის მონაცემები, რომელშიც განხორციელდა 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება;

ბ) II ნაწილის:

ბ.ა) პირველ სტრიქონში მიეთითება 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის ოდენობა, რომლის განაწილებაც განხორციელდა ამავე დანართის I ნაწილის პირველი სვეტში ასახული საანგარიშო პერიოდ(ებ)ის (მათ შორის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში) მიხედვით და ექვემდებარება დაბეგვრას;

ბ.ბ) მე-2 სტრიქონში მიეთითება 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;

ბ.გ) მე-3 სტრიქონში მიეთითება 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა ჯამურად (მათ შორის, უარყოფითი ფინანსური შედეგის (ზარალი) გათვალისწინებით);

ბ.დ) მე-4 სტრიქონში მიეთითება 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ საწარმოს მიერ პარტნიორისათვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება;

ბ.ე) მე-5 სტრიქონში მიეთითება შემდეგი სახით გაანგარიშებული ჩასათვლელი თანხა: სტ.1*სტ.2/(სტ.3-სტ.4).

გ) III ნაწილში აისახება დამატებით ჩასათვლელი თანხა, რომელიც არის ამავე დანართის II ნაწილის მე-5 სტრიქონისა და I ნაწილის მე-2 სვეტის ჯამს შორის სხვაობა, მაგრამ არაუმეტეს I ნაწილის მე-3 სვეტის ჯამში ასახული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხასა და ამავე ნაწილის მე-2 სვეტის ჯამში ასახულ მონაცემს შორის სხვაობისა და ექვემდებარება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვას.

6^7. დეკლარაციის III ნაწილის დანართი 1^5 ივსება სვეტების დასახელებების შესაბამისად, დეკლარაციის III ნაწილის 27.4 გრაფაში აღნიშნული შემთხვევების დადგომისას. ამასთან:

ა) პირველ სვეტში მიეთითება საგადასახადო მოთხოვნის ნომერი;

ბ) მე-2 სვეტში მიეთითება საგადასახადო მოთხოვნის თარიღი;

გ) მე-3 სვეტში მიეთითება საგადასახადო ორგანოს მიერ დაბეგრილი თანხა, რომლის შესაბამისი მოგების გადასახადიც ექვემდებარება შემცირებას (დაბრუნებას) საანგარიშო პერიოდში. ამასთან, აღნიშნული თანხა არ უნდა იყოს დანართ 1^5-ის პირველ და მე-2 სვეტებში მითითებულ საგადასახადო მოთხოვნით დარიცხულ თანხაზე მეტი, უკვე შემცირებული გადასახადის თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით.

6^8. დეკლარაციის III ნაწილის დანართი 1^6 წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოს მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხის შესამცირებელი თანხის გაანგარიშების ფორმას და ივსება სვეტების დასახელების შესაბამისად. კერძოდ:

ა) პირველ სვეტში მიეთითება შესაბამისი კალენდარული წელი, რომლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილებაც ხორციელდება მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (თვეში);

ბ) მე-2 სვეტში მიეთითება შესაბამისი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა;

გ) მე-3 სვეტში მიეთითება შესაბამისი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგებიდან მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (თვეში) განაწილებული დივიდენდის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას;

დ) მე-4 სვეტში მიეთითება „საერთაშორისო კომპანიის სტატუსის განსაზღვრის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის №619 დადგენილების დანართი №3-ით გათვალისწინებული საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ შესაბამისი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში გაწეული ხარჯის ოდენობა, რომლის გაწევის შემთხვევაშიც პირს უფლება აქვს შეამციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა;

ე) მე-5 სვეტში მიეთითება მოგების გადასახადი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხის შესამცირებელი თანხის ოდენობა, რომელიც იანგარიშება შესაბამისი კალენდარული წლის

განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების ოდენობაში მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (თვეში) განაწილებული დივიდენდის ოდენობის ხვედრითი წილის პროპორციულად;

ვ) მე-6 სვეტში მიეთითება მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა, რომელიც წარმოადგენს მე-3 და მე-5 სვეტების ჯამურ მონაცემებს შორის სხვაობას და აისახება დეკლარაციის III ნაწილის 16.1.3 სტრიქონში.

მაგალითი 7

ფაქტობრივი გარემოებები:

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ 2020 წლის განმავლობაში მიღებულმა წმინდა მოგებამ შეადგინა 100 000 ლარი. საწარმომ მიღებული წმინდა მოგება 2021 წლის მაისის თვეში სრულად გაანაწილა დამფუძნებელ რეზიდენტ ფიზიკურ და რეზიდენტ იურიდიულ პირზე. მათ შორის, რეზიდენტ ფიზიკურ პირზე – 20 000 ლარი, ხოლო რეზიდენტ იურიდიულ პირზე - 80 000 ლარი. საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი დაქირავებული პირებისთვის გადახდილმა ხელფასის ხარჯმა 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 60 000 ლარი.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[1] მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაწილებულ მოგებად არ ითვლება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირზე (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) დივიდენდის განაწილება, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს რეზიდენტ ფიზიკურ პირზე დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა – 20 000 ლარი.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი დაქირავებული პირებისათვის გადახდილი ხელფასის ხარჯი წარმოადგენს „საერთაშორისო კომპანიის სტატუსის განსაზღვრის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის №619 დადგენილების დანართი №3-ით გათვალისწინებულ იმ ხარჯს, რომლის საქართველოში გაწევის შემთხვევაში, საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს შეამციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა.

ამასთან, ვინაიდან კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების ოდენობაში მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხის ხვედრითი წილი 20%-ია (20 000/100 000*100=20%), საწარმო უფლებამოსილია მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა შეამციროს 12 000 ლარის ოდენობით (60 000*20%=12 000)

შედეგი:

მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა შეადგენს 8 000 ლარს, რომელიც აისახება დეკლარაციის III ნაწილის 16.1.3 სტრიქონში.

7. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №2 ივსება სტრიქონების დასახელების შესაბამისად, მარტის თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარსადგენ დეკლარაციაში, კერძოდ:

ა) პირველ სტრიქონში მიეთითება წინა კალენდარული წლის ბოლოს არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი;

ბ) მე-2 სტრიქონში მიეთითება წინა კალენდარული წლის ბოლოს არსებული ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ბასს-ის მიხედვით).

8. დეკლარაციის IV ნაწილი ივსება აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ. კერძოდ:

ა) პირველი სტრიქონის მე-3 სვეტში აისახება აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობის თანხა;

ბ) პირველი სტრიქონის მე-4 სვეტში აისახება კუთვნილი მოგების გადასახადი აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში (სვ. 4=პირველი სტრიქონის სვ.3*10%);

გ) მე-2 სტრიქონის მე-3 სვეტში აისახება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი;

დ) მე-2 სტრიქონის მე-4 სვეტში აისახება კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში (სვ.4=მეორე სტრიქონის სვ.3*7%).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №382 - ვებგვერდი, 24.10.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 30 მარტის ბრძანება №131 - ვებგვერდი, 02.04.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №313 - ვებგვერდი, 16.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.10.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №260 - ვებგვერდი, 28.10.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 დეკემბრის ბრძანება №312 - ვებგვერდი, 21.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 12.01.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №193 - ვებგვერდი, 04.08.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 8 თებერვლის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 09.02.2022წ.

დანართი №II-09

(დანართი იხილეთ თანდართულ ფაილად)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №291 – ვებგვერდი, 05.09.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 27 მარტის ბრძანება №99 – ვებგვერდი, 27.03.2014წ.

მუხლი 41. მოგების გადასახადის დეკლარაციის (დანართი №II-09) შევსება

1. მოგების გადასახადის დეკლარაცია შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართებისაგან. დანართები დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია და მათი წარდგენა ხორციელდება ნებაყოფლობით. ტოტალიზატორის მომწყობი პირი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად მოგების გადასახადს იხდის ამ საქმიანობის მიხედვით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავლიდან, დეკლარაციის III ნაწილში ვალდებულია შეავსოს მხოლოდ მე-16 და მე-40 სტრიქონები.

1[1]. (ამოღებულია – 09.06.2015, N164).

2. დეკლარაციის სტრიქონებში მონაცემები შეიტანება მათი დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად. ამასთან, იმ შემთხვევაში,თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგანგანსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში(მათ შორის დეკლარაციის დანართებში) გააკეთოს სათანადო შენიშვნა. დეკლარაციის III ნაწილისა და დანართებისშეუვსებელ სტრიქონებში იწერება 0.

3. დეკლარაციის III ნაწილში მონაცემები ისე უნდა იქნეს შეტანილი, რომ შემოსავლის ან ხარჯის არცერთი ელემენტი შედეგობრივად არ იქნეს გამოტოვებული, ან ორჯერ ჩართული.

4. დეკლარაციის ნაწილი III-ის, დეკლარაციის დანართ „ა“-ს, დეკლარაციის დანართ „ბ“-ს, დეკლარაციის დანართ „დ“-ს და დეკლარაციის დანართ „ი“-ს შესავსებად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნები განისაზღვრება „შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 მაისის N132 დადგენილებით.

5. დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელის მოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

6. დეკლარაციის I ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტების, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის („NACE“) კოდი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 22 დეკემბრის N1-1/282 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ მიხედვით. ამასთან, თუ გადასახადის გადამხდელი ახორციელებს სხვადასხვა სახის საქმიანობას, მე-7 სტრიქონში მიეთითება იმ საქმიანობის სახეები „NACE“-ს კოდების მიხედვით, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი შეადგენს ერთობლივი შემოსავლის 10%-სა და მეტს. ამ შემთხვევაში საქმიანობის სახეების მიხედვით ჩაშლილი შემოსავლის პროცენტული მაჩვენებელი ჯამში შესაძლებელია 100%-ის ტოლი არ იყოს. მისამართის სვეტში მიეთითება საწარმოს ფაქტობრივი მისამართი.

7. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ. თანდართულ დოკუმენტებში გადასახადის გადამხდელის მიერ მოგების გადასახადის გაანგარიშებასთან დაკავშირებით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას დამატებითი დანართები, მათ შორის ახსნა-განმარტების სახით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. დეკლარაციის III ნაწილის:

ა) მე-15-მე-16 სტრიქონები – მიეთითება ერთობლივი შემოსავალი. კერძოდ, მე-15 სტრიქონში საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღრული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიიღება საგადასახადო პერიოდში ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით (მათ შორის, ამხანაგობაში (ამხანაგობებში) წილის შესაბამისად მიკუთვნებული მოგება). უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული ფასეულობა (გაწეული მომსახურება) ერთობლივ შემოსავალში შეიტანება საბაზრო ღირებულებით. თუ დეკლარაციას ავსებს არარეზიდენტი საწარმო გადახდის წყაროსთან დაკავებული თანხების დაბრუნების მოთხოვნით, დეკლარაციის მე-15 სტრიქონში შეიტანება მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“-„ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლები. მე-16 სტრიქონში შეიტანება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ ამ საქმიანობის მიხედვით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად იბეგრება 5%-იანი განაკვეთით;

ბ) მე-17 -მე-18 სტრიქონებში – მე-17 სტრიქონში შეიტანება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ღირებულება საანგარიშო წლის დასაწყისისათვის, მათ შორის, საანგარიშო წელში კაპიტალიზებული (გადმოიტანება წინა წლის ბოლოს არსებული ფასეულობების ღირებულება უცვლელად), ხოლო მე-18 სტრიქონში – საანგარიშო წლის ბოლოსათვის ფაქტობრივად არსებული სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების ღირებულება (მათ შორის, უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული);

გ) მე-19 სტრიქონში – მე-15 სტრიქონში განსაზღვრული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, გამოქვითვას დაქვემდებარებული ან აღსადგენი ხარჯი (მე-20-29-ე

სტრიქონების ჯამი), მათ შორის:
გ.ა) მე-20 სტრიქონში – საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ყველა სასაქონლო – მატერიალური ფასეულობა, მიუხედავად საქართველოს საგადასახადო კოდექსით ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვისათვის დადგენილი შეზღუდვებისა, მათ შორის: კაპიტალიზებადი, უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული, ძირითადი საშუალების ლიკვიდაციის შედეგად მიღებული, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა და სხვა;
გ.ბ) 21-ე სტრიქონში – საანგარიშო პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის ღირებულება;
გ.გ) 22-ე სტრიქონში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად ხელფასის (სარგებელის) სახით ფაქტობრივად გაწეული ხარჯი, ანუ ფაქტობრივად გაცემული ხელფასი (საანგარიშო პერიოდში გაცემული ის ხელფასი, რომლის დარიცხვაც მოხდენილია 2011 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდებში);
გ.დ) 23-ე სტრიქონში – კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები, არაუმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლი), მიუხედავად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვებისა;
გ.ე) 24-ე სტრიქონში – რეალიზებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 108-ე მუხლის შეზღუდვების გათვალისწინებით;
გ.ვ) 25-ე სტრიქონში – საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების მიხედვით, რომელიც გამოიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე, 113-ე და 119-ე მუხლების შესაბამისად;
გ.ზ) 26-ე სტრიქონში – 1000 ლარამდე ღირებულების ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების ღირებულება, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა საანგარიშო პერიოდში და სრულად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აგრეთვე, 1000 ლარამდე ღირებულების არამატერიალური აქტივების ღირებულება, რომელზეც შესაბამისი ხარჯი გაწეულ იქნა საანგარიშო პერიოდში (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი);
გ.თ) 27-ე სტრიქონში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის მიხედვით საგადასახადო წლის განმავლობაში 100 პროცენტიანი ამორტიზაციის დარიცხვის გზით სრულად გამოქვითული ამორტიზაციას დაქვემდებარებული და ექსპლუატაციაში შესული ძირითადი საშუალებების ღირებულება. ამასთან, სრულად გამოქვითვის უფლება არ ვრცელდება საწარმოს კაპიტალში შეტანილ ძირითად საშუალებებზე, აგრეთვე არაამორტიზებად აქტივებზე;
გ.ი) 28-ე სტრიქონში – საქართველოს საგადასახადო კოდექსი 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის თითოეულ ჯგუფში შემავალი, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საანგარიშოს წინა საგადასახადო წლის ბოლოსათვის შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტს. ამასთან, თუ გადასახადის გადამხდელი ძირითადი საშუალებების გამოქვითვისას იყენებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის (სრულად გამოქვითვის) ნორმას, მაშინ ძირითადი საშუალებების აღნიშნული ნაწილისათვის რემონტის ხარჯებთან მიმართებაში 5 პროცენტიანი შეზღუდვის წესი არ გამოიყენება;
გ.კ) 29- ე სტრიქონში შესატანი თანხა განისაზღვრება შემდეგი წესით:
გ.კ.ა) განისაზღვრება ყველა სხვა ხარჯი (გარდა, მე-20-28-ე სტრიქონებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხებისა), მიუხედავად იმისა, გადასახადის გადამხდელს აქვს თუ არა მათი გამოქვითვის უფლება (დეკლარაციის დანართი „თ“, სტრ.1-15);
გ.კ.ბ) განისაზღვრება წინა საანგარიშო პერიოდების ხარჯი, რომელთა გამოქვითვის უფლება მოპოვებულია საანგარიშო პერიოდში (დეკლარაციის დანართი „თ“, სტრ.16);
გ.კ.გ) განისაზღვრება თანხა, რომელთა გამოქვითვის უფლება არ აქვს გადასახადის გადამხდელს, თუმცა იგი ასახულია „გ.კ.ა“ ქვეპუნქტში და დეკლარაციის მე-20-28-ე სტრიქონებში (დეკლარაციის დანართი „თ“, სტრ.18), მათ შორის:
- მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ შემოსავალზე გაწეული დანახარჯი;
- საანგარიშო წლის განმავლობაში კაპიტალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
- შეძენებზე გაწეული დანახარჯები, რომელზეც პირს სრული ოდენობით ან ნაწილობრივ არ აქვს გამოქვითვის უფლება (მაგ: მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი);
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის დღისათვის ჩასათვლელი დღგ-ის თანხა, რომელიც მიკუთვნებული იყო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე;
- ხარჯი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით ;
- სხვა დანახარჯები, რომელიც არ განეკუთვნება ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯს;
გ.კ.დ) „გ.კ.ა“ და „გ.კ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული თანხების ჯამი მცირდება „გ.კ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხით, სხვაობა შეიტანება დეკლარაციის 29-ე სტრიქონში .

<u>**შენიშვნა**</u>: შესაძლებელია 29-ე სტრიქონის მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე, მე-19 სტრიქონის მნიშვნელობაც, იყოს უარყოფითი სიდიდე;

დ) 30-ე სტრიქონში – მე-17 და მე-19 სტრიქონებში ასახულ მონაცემთა ჯამი;
ე) 31-ე სტრიქონში – მე-15 და მე-18 სტრიქონებში ასახულ მონაცემთა ჯამი;

ვ) 32-ე სტრიქონში – საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლის გადამეტება გამოქვითვებზე (31-ე და 30-ე სტრიქონების მონაცემთა დადებითი სხვაობა);
ზ) 33-ე სტრიქონში – საანგარიშო წლის გამოქვითვების გადამეტება შემოსავალზე (31-ე და 30-ე სტრიქონების მონაცემთა უარყოფით სხვაობა (ზარალი));
თ) 34-ე სტრიქონში – საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი). აგრეთვე, გამოქვითვას დაქვემდებარებული საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხები, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად არ უნდა აღემატებოდეს 32-ე სტრიქონში (შემოსავლების გადამეტება გამოქვითებზე) ასახული თანხის 10 პროცენტს;
ი) 35-ე სტრიქონში – წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას, მაგრამ არაუმეტეს წინა 5 (შესაბამის შემთხვევაში – 10) საგადასახადო წლის ზარალისა. ამ სტრიქონში აისახება აგრეთვე, ამხანაგობაში წილის მიხედვით მიღებული წინა წლების ზარალი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით გამოიქვითება ამხანაგობაში მისი წილი დასაბეგრი მოგების ხარჯზე. შესაბამისად, გამოსაქვითი ზარალის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამხანაგობიდან კუთვნილი მოგების ოდენობას, რომელიც ასახულია ამავე დეკლარაციის მე-15 სტრიქონში. ამასთან, პირი, რომელიც სარგებლობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით, რომელზეც ვრცელდება ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმა, უფლებამოსილია ამ სტრიქონში ასახოს წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი, რომლის ფორმირებაში მონაწილეობას იღებს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი (მოგება);

მაგალითი 1:

კომერციული ბანკის მიერ 2021 წლის განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1 500 000 ლარი, მათ შორის, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი 500 000 ლარია, ხოლო მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი – 1 000 000 ლარი. ამასთან, კომერციულ ბანკს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი მიღებული აქვს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით და ამ ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით.

ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯის ოდენობა შეადგენს 1 300 000 ლარს.

შედეგი:

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოში წარსადგენი/წარდგენილი 2021 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია შეივსება შემდეგი წესით:

დეკლარაციის III ნაწილის:

– **მე-15 სტრიქონში** მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული 2021 წლის განმავლობაში ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული ერთობლივი შემოსავალი – 1 500 000 ლარი;

– მე-19 სტრიქონში – მე-15 სტრიქონში განსაზღვრული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, გამოქვითვას დაქვემდებარებული ან აღსადგენი ხარჯი (მე-20-29-ე სტრიქონების ჯამი) – 1 300 000 ლარი.

ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, პირს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ შემოსავალზე გაწეული დანახარჯის აღდგენის ვალდებულება არ წარმოეშობა;

– 32-ე სტრიქონში – საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლის გადამეტება გამოქვითვებზე 200 000 ლარი (1 500 000 – 1 300 000);

– 34-ე სტრიქონში – მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი) – 500 000 ლარი;

– 36-ე სტრიქონში – 0.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმის გათვალისწინებით, კომერციული ბანკი უფლებამოსილია 2022 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ორგანოში წარსადგენი მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის 35-ე სტრიქონში ასახოს 300 000 ლარი (500 000 – 200 000), როგორც წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი.

შენიშვნა:

მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, პირი, რომელიც მოგების გადასახადში სარგებლობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საგადასახადო შეღავათით, რომელზეც არ ვრცელდება ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმა, არ არის უფლებამოსილი მომდევნო წლებში გადაიტანოს 300 000 ლარი, როგორც წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი.

კ) 36-ე სტრიქონში – დასაბეგრი მოგება, რომელიც მიიღება: საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლის გამოქვითვებზე გადამეტებას (სტრიქონი 32) გამოკლებული დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი) (სტრიქონი 34) და გამოკლებული წინა საანგარიშო წლის ზარალი (სტრიქონი 35, მაგრამ არა უმეტეს 32-ე სტრიქონის მონაცემს გამოკლებული 34-ე სტრიქონის მონაცემი). გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გამოსაქვითი ზარალი განსაზღვროს იმ (შემცირებული) ოდენობით, რომელიც საშუალებას მისცემს მას ჩაითვალოს 38-ე-39-ე სტრიქონებში ასახული გადასახადის თანხები.

ლ) 37-ე სტრიქონში – მოგების გადასახადი, რომელიც მიიღება 36-ე სტრიქონში ასახული თანხის გამრავლებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ გადასახადის განაკვეთზე;

მ) 38 -ე სტრიქონში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილის, ხოლო თუ დეკლარაციას ავსებს არარეზიდენტი – 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ – „ე“ ქვეპუნქტების მიხედვით საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული და ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა, რომელზეც არსებობს გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

ნ) 39-ე სტრიქონში – საქართველოს ფარგლებს გარეთ (უცხოეთში) ფაქტობრივად გადახდილი გადასახადის თანხა შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან, მაგრამ არაუმეტეს იმ ოდენობისა, რომელიც დარიცხული იქნებოდა ამ შემოსავალზე საქართველოში მოქმედი წესით და განაკვეთით. გადასახადის ჩასათვლელი თანხა განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 124-ე მუხლის მიხედვით;

ო) მე-40 სტრიქონში – კუთვნილი მოგების გადასახადი: მე-16 სტრიქონში ასახული თანხის 5%-ს (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილი) მიმატებული დადებითი სხვაობა, რომელიც მიიღება 37-ე სტრიქონის მონაცემს გამოკლებული 38-ე-39-ე სტრიქონების ჯამი (სტრიქონი 16 X 5% + (სტრიქონი 37 – სტრიქონი 38 – სტრიქონი 39)). ამასთან, უარყოფითი სხვაობის (37-ე სტრიქონს გამოკლებული 38-ე-39-ე სტრიქონების ჯამი) შემთხვევაში მე-40 სტრიქონში ჩაიწერება მხოლოდ მე-16 სტრიქონის 5%.

პ) 41-ე სტრიქონში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად არარეზიდენტი საწარმოს მიერ გადასახადის დაბრუნების მოთხოვნით წარდგენილი დეკლარაციით განსაზღვრული დასაბრუნებელი გადასახადის ოდენობა, რომელიც მიიღება დეკლარაციის 37-ე და 38-ე სტრიქონებში ასახულ მონაცემთა სხვაობით, იმ პირობით, თუ 38-ე სტრიქონში ასახული საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხა აღემატება დეკლარაციის 37-ე სტრიქონში გამოანგარიშებულ მოგების გადასახადის თანხას;

ჟ) 42-ე – 46-ე სტრიქონები საინფორმაციოა, ამასთან, 45-ე სტრიქონში კაპიტალი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 123-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად და წარმოადგენს საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას გამოკლებული ამ საწარმოს მიმართ დამფუძნებელთა ვალდებულებები, რომლებიც საწარმოს აქტივია;

9. დეკლარაციის დანართი „ა“ („ერთობლივი შემოსავალი“):

ა) 1-13 სტრიქონების ჯამი (სვეტი 5) ტოლია მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის მე-15 სტრიქონისა

ბ) 2.1 სტრიქონში შეიტანება ნამეტი თანხა, რომელიც წარმოიშვება საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციის თანხასა, ხოლო ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ მიწოდებისას – მათ საბაზრო ღირებულებასა და ჯგუფის ღირებულებით ბალანსს შორის წლის ბოლოსათვის. აღნიშნული სტრიქონის ფორმირებაში მონაწილეობას იღებს დეკლარაციის „ე“ დანართის მე-9 სტრიქონი, აგრეთვე, დეკლარაციის „ვ“ დანართში მოცემული შესაბამისი აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი:

გ) 2.2 სტრიქონში შეიტანება იმ ძირითადი საშუალებების მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელთა ღირებულება სრულად იქნა გამოქვითული მათი ექსპლუატაციაში მიღებისას;

დ) 3.5 სტრიქონში გრძელვადიანი კონტრაქტის მიხედვით ერთობლივ შემოსავალში შესატანი თანხა განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 144-ე მუხლის შესაბამისად ფაქტობრივად შესრულებული მოცულობის მიხედვით – საგადასახადო წლის ბოლომდე კონტრაქტის ფარგლებში გაწეული ხარჯების შეპირისპირებით კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან;

ე) მე-7 სტრიქონში შეიტანება პირის მიერ დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლები, გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი) მიერ მიღებული დივიდენდებისა. მე-7 სტრიქონში ასევე არ შეიტანება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მიღებული დივიდენდები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან.

ვ) მე-9 სტრიქონში შეიტანება ამხანაგობაში (ამხანაგობებში) წილის შესაბამისად მიკუთვნებული დასაბეგრი მოგება, რომელიც ამხანაგობამ მიიღო ამავე წელს (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ზ) მე-10 სტრიქონში ჩაიწერება ადრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და უიმედო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხა, აგრეთვე, წინასწარ გამოქვითული რეზერვების შემცირებისას – შემცირებული თანხა (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლი).

10. „დეკლარაციის დანართ „ბ“-ში („სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“) აისახება საწარმოში ნებისმიერი სახით მიღებული და ფაქტობრივად არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, მიუხედავად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვისათვის დადგენილი შეზღუდვებისა. ამასთან:

ა) პირველ სტრიქონში ჩაიწერება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ღირებულება საანგარიშო წლის დასაწყისისათვის, მიუხედავად მათი გამოყენების მიზნობრიობისა (გადმოიტანება წინა წლის ბოლოს არსებული ფასეულობების ღირებულება). პირველ სრტიქონში ასახული თანხა ტოლია მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის მე-17 სტრიქონისა;

ბ) მე-2 სტრიქონში ჩაიწერება საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ყველა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა, მიუხედავად საქართველოს საგადასახადო კოდექსით ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვისათვის დადგენილი შეზღუდვებისა, მათ შორის: კაპიტალიზებადი, უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული, ძირითადი საშუალების ლიკვიდაციის შედეგად მიღებული, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა და სხვა. მე-2 სტრიქონში ასახული თანხა ტოლია მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის მე-20 სტრიქონისა;

გ) მე-3 სტრიქონში „საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“ ჩაიწერება საანგარიშო წლის ბოლოსათვის ფაქტობრივად არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება. მე-3 სრტიქონში ასახული თანხა ტოლია მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის მე-18 სტრიქონისა;

<u>ცნობისათვის,</u> იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება, რომელთა გამოქვითვა შეზღუდულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, აისახება დეკლარაციის „თ“ დანართის მე-18 სტრიქონში (აღნიშნული თანხით მცირდება „სხვა გამოქვითები ერთობლივი შემოსავლიდან“);

დ) მე-4-მე-9 სტრიქონები არის საინფორმაციო ხასიათის;

11. დეკლარაციის დანართი „გ“ („ოპერაციები რომლებიც არ განიხილება მიწოდებად ან/და არ ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში“) არის საინფორმაციო ხასიათის;

12 დეკლარაციის დანართ „დ“-ში („კრედიტზე (სესხზე) დარიცხული პროცენტების დანახარჯები (ეროვნულ ვალუტაში)“) აისახება საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის კრედიტის (სესხის) ოდენობა ეროვნულ ვალუტაში. ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული, დაფარული კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტის ოდენობა, რომლის გამოქვითვის უფლება აქვს საწარმოს (სვეტი. 6) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეზღუდვების გათვალისწინებით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლი). გამოსაქვით პროცენტზე არ გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვა. ამასთან:

ა) საწარმოს მიერ უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი (კრედიტი) საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის გადაიანგარიშება ლარებში.

ბ) მე-6 სვეტის ჯამი ტოლია მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის 23-ე სტრიქონისა;

13. „დეკლარაციის დანართ „ე“-ში განისაზღვრება ამორტიზაციის ანარიცხები და გამოქვითვები საწარმოს საკუთრებაში რიცხული ძირითადი საშუალებების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის შესაბამისად, გარდა დეკლარაციის „ვ“ და „ზ“ დანართებში მოცემული აქტივებისა, ამასთან:

ა) მე-8 სტრიქონის ჯამი (სვეტი 7) მონაწილეობას იღებს მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის 25-ე სტრიქონის ფორმირებაში;

ბ) მე-9 სტრიქონის ჯამი (სვეტი 7) მონაწილეობას იღებს დეკლარაციის დანართ „ა“-ს 2.1 სტრიქონის ფორმირებაში, ხოლო მე-10 სტრიქონის ჯამი მონაწილეობას იღებს დეკლარაციის „თ“ დანართის მე-10 სტრიქონის ფორმირებაში;

14. დეკლარაციის დანართი „ვ“-ს („საამორტიზაციო ანარიცხები სხვა აქტივების მიხედვით“):

ა) პირველ სტრიქონში აისახება ცალ-ცალკე ჯგუფად აღრიცხული შენობა-ნაგებობების მიხედვით (გარდა ლიზინგის საგნისა) 5%-ის ოდენობით განსაზღვრული ამორტიზაციის ანარიცხების ჯამური თანხა;

ბ) მე-2 სტრიქონში – არამატერიალური აქტივების საამორტიზაციო ანარიცხები, განისაზღვრება მათი სასარგებლო გამოყენების ვადის პროპორციულად (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი).

გ) მე-3 სტრიქონში აისახება იმ არამატერიალური აქტივების სამორტიზაციო ანარიცხები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა არ არის განსაზღვრული. ამ შემთხვევაში ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 პროცენტს (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

დ) მე-4 სტრიქონში აისახება ამორტიზაციის ანარიცხები 2010 წლის 1 იანვრის შემდეგ ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალებების მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება სალიზინგო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების ოდენობით, ლიზინგის პირობებისა და ამ ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გათვალისწინებით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-12 ნაწილი);

ე) მე-5 სტრიქონში აისახება ამორტიზაციის ანარიცხები 2010 წლის 1 იანვრამდე ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებების მიხედვით, რომლის საამორტიზაციო ანარიცხები გამოითვლება 2010 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 35-ე ნაწილი);

ვ) მე-6 სტრიქონში – ამორტიზაციის ანარიცხები გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მომსახურების ხარჯების მიხედვით განისაზღვრება 20 პროცენტის ოდენობით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი);

ზ) მე-7 სტრიქონში – ამორტიზაციის ანარიცხები იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების მიხედვით, განისაზღვრება 15%-ის ოდენობით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლი 115-ე მუხლის მე-4 ნაწილი);

თ) მე-3 სვეტის ჯამი მონაწილეობას იღებს მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის 25-ე სტრიქონის ფორმირებაში;

15. დეკლარაციის დანართი „ზ“-ს („სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალებების ღირებულება“) მე-4 სტრიქონის ჯამი (სვეტი 5) ტოლია დეკლარაციის III ნაწილის 27-ე სტრიქონისა;

16. დეკლარაციის დანართ „თ“-ს („სხვა გამოქვითვები ერთობლივი შემოსავლიდან“):

ა) მე-17 სტრიქონზე შეიტანება ყველა სხვა ხარჯი (გარდა საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხებისა), მ.შ.

წინა საანგარიშო პერიოდების დანახარჯების ჩათვლით, რომელთა გამოქვითვის უფლება მოპოვებულია საანგარიშო პერიოდში (პირველი-მე-16 სტრიქონების ჯამი).
ბ) მე-18 სტრიქონზე აისახება ის თანხები, რომელთა გამოქვითვის უფლება არ აქვს გადასახადის გადამხდელს, თუმცა იგი ასახულია მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის მე-20–28-ე სტრიქონებში, მათ შორის:
ბ.ა) მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ შემოსავალზე გაწეული დანახარჯი;
ბ.ბ) საანგარიშო წლის განმავლობაში კაპიტალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
ბ.გ) შეძენებზე გაწეული დანახარჯები, რომელზეც პირს სრული ოდენობით ან ნაწილობრივ არ აქვს გამოქვითვის უფლება (მაგ: მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი);
ბ.დ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის დღისათვის ჩასათვლელი დღგ-ის თანხა, რომელიც მიკუთვნებული იყო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე;
ბ.ე) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით შესამცირებელი ხარჯი;
ბ.ვ) სხვა დანახარჯები, რომელიც ამცირებს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯს;
გ) მე-19 სტრიქონი განისაზღვრება მე-17 და მე-18 სტრიქონებს შორის სხვაობის ოდენობით, რომელიც ტოლია მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის 29-ე სტრიქონისა. ამასთან, შესაძლებელია მე-19 სტრიქონის მნიშვნელობა იყოს უარყოფითი სიდიდე;
17. დეკლარაციის დანართ „ი“-ში აისახება საწარმოს დებიტორული მოთხოვნა და კრედიტორული დავალიანება.
18. დეკლარაციის დანართ „კ“-ში და დეკლარაციის დანართ „ლ“-ში შეიტანება მონაცემები საწარმოს საბალანსო მონაცემებიდან (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად) გამომდინარე. ამასთან, ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს უფლება აქვთ აღნიშნული „კ“ და „ლ“ დანართების ნაცვლად შეავსონ „კ[1]“ და „ლ[1]“ დანართები.

19. დეკლარაციის დანართი „კ[1]“ და დეკლარაციის დანართი „ლ[1]“ შეიძლება შეივსოს მხოლოდ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №291 – ვებგვერდი, 05.09.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 27 მარტის ბრძანება №99 – ვებგვერდი, 27.03.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №164 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 13 ივნისის ბრძანება №187 - ვებგვერდი, 14.06.2022წ.

მუხლი 41[1]. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საგადასახადო ანგარიშგება

1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო (შემდგომში – თიზ-ის საწარმო) ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში გადაიხადოს საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2. საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის მიერ (გარდა თიზ-ის საწარმოსი) თიზ-ის საწარმოსთვის საქონლის (გარდა ადგილზე მოხმარებისათვის ან/და წარმოებისათვის განკუთვნილი ელექტროენერგიისა, წყლისა და ბუნებრივი აირისა) მიწოდებისას თიზ-ის საწარმო ვალდებულია გადაიხადოს მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასის 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, თიზ-ის საწარმო ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მის მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშება №II-09[1] დანართის ფორმით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N104 – ვებგვერდი, 16.04.2015წ.

მუხლი 41[2]. თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების შევსება

1. თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების (შემდგომში – გაანგარიშება) პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია თიზ-ის საწარმოს რეკვიზიტებისა (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.
2. გაანგარიშების II ნაწილი ივსება თიზ-ის საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში.
3. გაანგარიშების II ნაწილში არსებულ ცხრილში მონაცემები საქონლის თითოეული მიწოდების შესახებ შესაბამის სტრიქონზე აისახება სვეტების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, კერძოდ:

ა) პირველ სვეტში აისახება საქონლის მიწოდების თარიღი, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით (ხელშეკრულება, სასაქონლო ზედნადები ან სხვა პირველადი საგადასახადო დოკუმენტი);
ბ) მე-2 სვეტში აისახება საქონლის მიმღები პირის რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი);
გ) მე-3 სვეტში აისახება საქონლის მიწოდებით მიღებული (ან მისაღები) შემოსავალი. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდება ხდება უსასყიდლოდ, სვეტში აისახება ამ საქონლის საბაზრო ფასი;
დ) მე-4 სვეტში აისახება საქონლის საბაჟო დეკლარაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნომერი, რომელიც საბაჟო ორგანოს წარედგინა მიწოდებული საქონლის შესაბამის საბაჟო პროცედურაში მოქცევისას;
ე) მე-5 სვეტში აისახება თიზ-ის საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა, რომელიც შეადგენს შესაბამისი საქონლის მიწოდებით მიღებული (ან მისაღები) შემოსავლის (სვეტი №3) 4 პროცენტს;
ვ) ცხრილის ბოლო სტრიქონში აისახება საანგარიშო პერიოდში საქონლის მიწოდებით მიღებული (ან მისაღები) შემოსავლის (სვეტი №3) ჯამი და ასევე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მიწოდებების შედეგად თიზ-ის საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების (სვეტი №5) ჯამი.
4. გაანგარიშების III ნაწილი ივსება საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) მიერ თიზ-ის საწარმოსათვის საქონლის მიწოდების შემთხვევაში.
5. გაანგარიშების III ნაწილში არსებულ ცხრილში მონაცემები საქონლის თითოეული მიწოდების შესახებ შესაბამის სტრიქონზე აისახება სვეტების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, კერძოდ:
ა) პირველ სვეტში აისახება საქონლის მიწოდების თარიღი, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით (ხელშეკრულება, სასაქონლო ზედნადები ან სხვა პირველადი საგადასახადო დოკუმენტი);
ბ) მე-2 სვეტში აისახება საქონლის მიმწოდებელი (გამყიდველი) პირის რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი);
გ) მე-3 სვეტში აისახება მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასი;
დ) მე-4 სვეტში აისახება საქონლის საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნომერი, რომელიც საბაჟო ორგანოს წარედგინა მიწოდებული საქონლის ექსპორტის პროცედურაში მოქცევისას;
ე) მე-5 სვეტში აისახება თიზ-ის საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა, რომელიც შეადგენს შესაბამისი საქონლის საბაზრო ფასის (სვეტი №3) 4 პროცენტს;
ვ) ცხრილის ბოლო სტრიქონში აისახება საანგარიშო პერიოდში მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასის (სვეტი №3) ჯამი და ასევე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მიწოდებების შედეგად თიზ-ის საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების (სვეტი №5) ჯამი.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N104 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №II-09[1]

თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშება

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

20-- წლის ---------- თვის საანგარიშო პერიოდზე

1	საწარმოს დასახელება:

2	საიდენტიფიკაციო ნომერი							

	მისამართი:

ნაწილი II. თიზ-ის საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდებისას გადასახადის გაანგარიშება

საქონლის მიწოდების თარიღი	საქონლის მიმღები პირის რეკვიზიტები	საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავალი ან უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასი	საქონლის საბაჟო დეკლარაციის ნომერი	გადასახდელი თანხა (სვტ. 3X4%)
1	2	3	4	5
		ჯამი		ჯამი

ნაწილი III. საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის მიერ (გარდა თიზ-ის საწარმოსი) თიზ-ის საწარმოსათვის საქონლის მიწოდებისას გადასახადის გაანგარიშება

№	საქონლის მიწოდების თარიღი	საქონლის მიმწოდებელი (გამყიდველი) პირის რეკვიზიტები	მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასი	საქონლის საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების ნომერი		გადასახდელი თანხა (სვტ.3X4%)
				დოკუმენტის დასახელება	ნომერი	
	1	2	3	4		5
1.						
2.						
...						
			ჯამი			ჯამი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N104 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

მუხლი 42. ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) განაწილება

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ან/და ერთობლივი საქმიანობის ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა მსგავსი წარმონაქმნი (შემდგომში ამხანაგობა) საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით წარუდგენს დეკლარაციას №II-10 დანართის შესაბამისად.

დანართი №II-10

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) განაწილების შესახებ

ნაწილი I

1	ამხანაგობა:	
2	ამხანაგობის საფინანსო საგადასახადო ნომერი	

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V" ნიშნით)

3	დეклარაციის სახე: პირველადი		შესწორებული	4	წელი
5	მისამართი:				
6	ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი				
7	საქმიანობის შეწყვეტის თარიღი				
8	ნარჩენიანობა				

(საგადასახადო ორგანო)

ნაწილი II (ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

9	დეклარაციის მიღების თარიღი	
10	თანდართულ დოკუმენტებზე	
11	რეგისტრაციის ნომერი	
12	დეклარაციის მიმღების გვარი, სახელი	
13	დეклარაციის მიმღების ხელმოწერა	

ნაწილი III					
ერთობლივი შემოსავალი					14
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება			15		
საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება					16
გამოქვითვები, მათ შორის:			17		
–გამოქვითვას დაქვემდებარებული სასაქონლო –მატერიალური ფასეულობების ღირებულება	18				
– ელ-ენერგიის ღირებულება	19				
– გაცემული ხელფასი	20				
–კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები	21				
–უიმედო ვალები	22				
–საამორტიზაციო ანარიცხები	23				
–სრულად გამოქვითული 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებების ღირებულება	24				
–სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალების ღირებულება (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლი)	25				
–ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯი	26				
–სხვა გამოქვითვები	27				
ჯამი			28		29
ერთობლივი შემოსავლის გადამეტება გამოქვითვებზე (მოგება)					30
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი)			31		
ამხანაგობის წილის მფლობელებზე (წევრებზე) მისაკუთვნებელი მოგება					32
გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე (ზარალი)			33		
კაპიტალიზებადი ხარჯი	34				

ნაწილი IV

ინფორმაცია

დეკლარაციის [ ] უჯრაში ასახული მოგების (ზარალის) ამხანაგობის წილის მფლობელებზე მიკუთვნების შესახებ

(ლარი)

№	ამხანაგობის წილის მფლობელის (წევრის) დასახელება	ამხანაგობის წილის მფლობელის (წევრის) საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომერი	ამხანაგობის წილის მფლობელის (წევრის) მისამართი	საგადასახადო ორგანოს დასახელება	წილის ოდენობა (%-ში)	ამხანაგობის წილის მფლობელზე (წევრზე) განაწილებული (მიკუთვნებული) მოგება (ზარალი)
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10	სულ	X	X			

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

35	ამხანაგობის თავმჯდომარის (ხელმძღვანელის) ან სხვა ვალდებული პირის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გვარი, სახელი	
36	ამხანაგობის თავმჯდომარის (ხელმძღვანელის) ან სხვა ვალდებული პირის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერა	
37	ხელმოწერის თარიღი	

მუხლი 43. ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) განაწილების დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციის პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტის, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

2. დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელისმოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

3. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და მასში აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულ დეკლარაციის უჯრებში აუცილებელი გახდება განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

5. დეკლარაციის III ნაწილის:

ა) მე-14 უჯრაში მიეთითება – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიიღება საანგარიშო პერიოდში ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით. უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული მატერიალური ფასეულობა (გაწეული მომსახურება) ერთობლივ შემოსავალში შეიტანება საბაზრო ღირებულებით;

ბ) მე-15 და მე-16 უჯრებში – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ღირებულება (გარდა უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული) შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

გ) მე-17 უჯრაში – შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯები (გარდა კაპიტალიზებადი ხარჯებისა), მათ შორის:

გ.ა) მე-18 უჯრაში – საანგარიშო პერიოდში გამოქვითვას დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობის ღირებულება (გარდა კაპიტალიზებადი ფასეულობისა). მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა;

გ.ბ) მე-19 უჯრაში – საანგარიშო პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება;

გ.გ) მე-20 უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად ხელფასის (სარგებელის) სახით გაწეული (ფაქტობრივად გაცემული ხელფასი) ხარჯი;

გ.დ) 21-ე უჯრაში – კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები, არა უმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლი);

გ.ე) 22-ე უჯრაში – რეალიზებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 108-ე მუხლის შეზღუდვების გათვალისწინებით;

გ.ვ) 23-ე უჯრაში – საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მიხედვით, რომელიც გამოიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე, 113-ე, 114-ე და 119-ე მუხლების შესაბამისად;

გ.ზ) 24-ე უჯრაში – 1000 ლარამდე ღირებულების ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების ღირებულება, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ექსპლოატაციაში გადაცემისას სრულად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან;

გ.თ) 25-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის მიხედვით საგადასახადო წლის განმავლობაში 100 პროცენტიანი ამორტიზაციის დარიცხვის გზით სრულად გამოქვითული ამორტიზაციას დაქვემდებარებული და ექსპლუატაციაში შესული ძირითადი საშუალებების ღირებულება. ამასთან, სრულად გამოქვითვის უფლება არ ვრცელდება ამხანაგობაში (კაპიტალში) შეტანილ, ლიზინგით გაცემულ და ისეთ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ამორტიზაციას;

გ.ი) 26-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსი 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის თვითეულ ჯგუფში შემავალი, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტს. ამასთან, თუ ამხანაგობა ძირითადი საშუალებების გამოქვითვისას იყენებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის ნორმას, მაშინ ძირითადი საშუალებების აღნიშნული ნაწილისათვის რემონტის ხარჯებთან მიმართებაში 5-პროცენტიანი შეზღუდვის წესი არ გამოიყენება;

გ.კ) 27-ე უჯრაში – გამოქვითვას დაქვემდებარებული ნებისმიერი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან და არ არის ასახული სხვა უჯრებში, როგორიცაა:

გ.კ.ა) სადაზღვევო ხარჯები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 118-ე მუხლის შესაბამისად;

გ.კ.ბ) წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე ნაწილის მიხედვით. ამასთან მისი ოდენობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად, არ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალის (უჯრა 14) ერთ პროცენტს;

გ.კ.გ) სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 110-ე მუხლის მიხედვით;

გ.კ.დ) საანგარიშო წელს ბიოლოგიურ აქტივზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯი;

გ.კ.ე) გამოქვითვას დაქვემდებარებული სხვა ნებისმიერი ხარჯი (გარდა საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობებისა და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადებისა);

დ) 28-ე უჯრაში – მე-15 და მე-17 უჯრებში ასახულ მონაცემთა ჯამი;

ე) 29-ე უჯრაში – მე-14 და მე-16 უჯრებში ასახულ მონაცემთა ჯამი;

ვ) 30-ე უჯრაში – საანგარიშო წლის შემოსავლის (უჯრა 29) გადამეტება გამოქვითვებზე (უჯრა 28), რომელიც შეადგენს 29-ე და 28-ე უჯრების მონაცემთა დადებით სხვაობას;

ზ) 31-ე უჯრაში –საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი). აგრეთვე გამოქვითვას დაქვემდებარებული საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობის თანხები, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად არ უნდა აღემატებოდეს 30-ე უჯრაში (შემოსავლების გადამეტება გამოქვითებზე) ასახული თანხის 10 პროცენტს;

თ) 32-ე უჯრაში –ამხანაგობის წილის მფლობელებზე (წევრებზე) მისაკუთვნებელი მოგება, რომელიც მიიღება 30-ე უჯრაში ასახულ მონაცემს გამოკლებული 31-ე უჯრაში ასახული მონაცემი.

ი) 33-ე უჯრაში –გამოქვითების გადამეტება შემოსავალზე (ზარალი), რომელიც მიიღება 29-ე და 28-ე უჯრებში ასახულ მონაცემთა უარყოფითი სხვაობით;

6.დეკლარაციის მე-4 ნაწილის საინფორმაციო ცხრილში აისახება ინფორმაცია ამხანაგობის წილის მფლობელიების (წევრების) რეკვიზიტის და მათზე მოგების/ზარალის მიკუთვნების შესახებ.

მუხლი 44. განსაკუთრებული პირობების შედეგად განადგურებული და დაზიანებული აქტივების ჩამოწერა

1. განსაკუთრებული პირობების მოქმედებისას პირს უფლება აქვს საომარი მოქმედების შედეგად განადგურებული და დაზიანებიული ფასეულობა (რომელმაც დაკარგა ან შეუმცირდა ღირებულება) და ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული აქტივების ღირებულება ჩამოწეროს საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს დავების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. აქტივების ჩამოწერის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინება განცხადება №II-11 დანართის მიხედვით.

დანართი №II-11

აქტივების ჩამოწერის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარსადგენი განაცხადი

გადასახადის გადამხდელი——————————————————————————————

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი——————————————————————

მისამართი ——————————————————————————————————————

განსაკუთრებული პირობების მოქმედებისას საომარი მოქმედების შედეგად

განადგურებული, დაზიანებული ფასეულობების და ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული (დარჩენილი აქტივების ჩამოწერის შესახებ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ მონაცემებს საომარი მოქმედების შედეგად განადგურებული, დაზიანებული და ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული (დარჩენილი) აქტივების შესახებ

(ლარი)

№	დასახელება	განადგურებული	ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული (დარჩენილი)	დაზიანებით მიღებული ზარალი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა (განცხადების ფორმის „ ა” დანართი)				
2	ძირითადი საშუალებები (განცხადების „ ბ”დანართი)				
3	სხვა ფასეულობა (აქტივი)				

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და ნება დაგვრთოთ, მოცემული ფასეულობების (აქტივების) მიმართ განვახორციელოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებები.

განცხადებას თან ერთვის:

განცხადების ფორმა „ ა” დანართი ——— ფურცელზე

განცხადების ფორმა „ ბ” დანართი ---------- ფურცელზე

წერილობითი ინფორმაცია იმ ფაქტების და გარემოებების აღწერით, რა პირობებშიც მოხდა ქონების განადგურება, დაზიანება ან მიტოვება ——— ფურცელზე

დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ---------- ფურცელზე

გადასახადის გადამხდელი ——————————— ——————

(გვარი) (სახელი)

ხელმოწერა ——————————————

ხელმოწერის თარიღი ——————————————————— 200 წელი

შენიშვნა:

ა) გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განცხადებას და მის დანართებს, საჭიროების მიხედვით, დაუმატოს ინფორმაცია შესაბამისი სვეტების (უჯრების) დამატებით.

ბ) წერილობითი ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა.

განცხადების „ ა” დანართი

გადასახადის გადამხდელი ——————————————————————ს/ნ ————

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამონათვალი (ლარი)

№	დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის საღირებო ფასი	განადგურებული		ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული (დარჩენილი)		დაზიანებული		შენიშვნა
				რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	ღირებულება	დაზიანებით მიღებული ზარალი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

	ჯამი	X	X	X		X		X		

ხელმოწერა
თარიღი
შენიშვნა:
დანართში არ შეიტანება ძირითად საშუალებად და არამატერიალურ აქტივად აღრიცხული ფასეულობა.
განცხადების „ ბ" დანართი

გადასახადის გადამხდელი——————————————————————————————————————
ს/ნ ——————————————————–
ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი (ლარი)

№	დასახელება	შეძენის (შექმნის) წელი, თარიღი	აქტივის მაიტენდიფი ცირებელი ინფორმაცია	განადგურებული ძირითადი საშუალებების ღირებულება	ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული (დარჩენილი) ძირი. საშუალებების ღირებულება	ძირითადი საშუალებების დაზიანების შედეგად შემცირებული ღირებულება	შენიშვნა
	ჯამი	X	X				

ხელმოწერა
თარიღი
შენიშვნა:
მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო, ქარხნული, ხელშეკრულების, ნებართვის, საინვენტარიზაციო და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 45. განსაკუთრებული პირობების მოქმედებისას საგადასახადო ანგარიშგების, გადასახადის და მიმდინარე გადასახდელების გადახდის გადავადება

განსაკუთრებული პირობების მოქმედებისას, საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია გააგრძელოს საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები, აგრეთვე გადაავადოს ცალკეული გადასახადის მიხედვით გადასახადის და მიმდინარე გადასახდელების გადახდა.

კარი III

დამატებული ღირებულების გადასახადი

თავი XII. რეგისტრაცია

მუხლი 46. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია

1. დასაბეგრი პირი, რომელიც ვალდებულია ან ნებაყოფლობით სურს დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად, რეგისტრაციის მიზნით საგადასახადო ორგანოს მიმართავს განცხადებით (დანართი №III-01).

2. თუ ამ კარით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დასაბეგრი პირი ვალდებულია მის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების/ მომსახურების გაწევის ოპერაციების ჯამური თანხის 100 000 ლარისთვის გადაჭარბების დღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით, მიმართოს საგადასახადო

ორგანოს.

3. დასაბეგრ პირს დღგ-ის გამოანგარიშების და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციების ჯამურმა თანხამ 100 000 ლარს გადააჭარბა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას, არ გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დღგ-ისგან გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები, გარდა:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დღგ-ისგან გათავისუფლებული ფინანსურ ან უძრავ ნივთთან დაკავშირებული ოპერაციებისა, თუ მათი განხორციელება დასაბეგრი პირის ძირითადი საქმიანობაა;

ბ) საქონლის ექსპორტის ოპერაციებისა;

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად დღგ-ისგან გათავისუფლებული ოპერაციებისა.

5. დასაბეგრი პირი, რომელიც საქართველოში აწარმოებს აქციზურ საქონელს, ვალდებულია აქციზური საქონლის მიწოდებამდე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

6. საწარმოს რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირი ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს:

ა) თუ რეორგანიზაციის რომელიმე მხარე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირია, დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

ბ) თუ რეორგანიზაციის მხარეები არ არიან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირები და მათი ბოლო უწყვეტი 12 კალენდარული თვის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა აჭარბებს 100 000-ლარიან ზღვარს, რეორგანიზაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

7. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირ(ებ)ის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას გაითვალისწინება რეორგანიზაციის მხარეების მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა.

8. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პარტნიორისგან/წევრისგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში საწარმო/ამხანაგობა ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

9. დასაბეგრ პირს, რომელსაც აქვს ფიქსირებული დაწესებულება საქართველოში, დღგ-ის გამოანგარიშების და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა მომსახურების გაწევის/საქონლის მიწოდების განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით) და იგი ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს ამ ოპერაციის განხორციელების საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა.

10. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში პირი, რომელიც აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას, დღგ-ის მიზნებისათვის ითვლება გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლედ. იგი ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ოპერაციის განხორციელებამდე დანართი №III-01-ის შესაბამისად. პირი დღგ–ის გადამხდელად ითვლება საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს დღგ–ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტისა (ამ ოპერაციის ჩათვლით).

11. დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად ნებაყოფლობით რეგისტრაციისათვის, რა შემთხვევაშიც იგი დღგ-ის გადამხდელად განიხილება საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს სავალდებულო რეგისტრაციისთვის გათვალისწინებული ვადისა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №444 – ვებგვერდი, 23.08.2011 წ.ა
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

დანართი №III-01

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 ნოემბრის ბრძანება №337 – ვებგვერდი,21.11.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი)

_____
საიდენტიფიკაციო ნომერი

სსკ-ის 165-ე, 57-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, დამარეგისტრიროთ დღგ-ისგადამხდელად

შესაბამისი უჯრა მონიშნეთ „ V“ ნიშნით	
სავალდებულო წესით	ნებაყოფლობით

შესაბამისი უჯრა მონიშნეთ „ V“ ნიშნით	
სავალდებულო წესით რეგისტრაციის გარემოება	
დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცი(ებ)ის ჯამური თანხა აღემატება 100 000 ლარს;	
აქციზური საქონლის მწარმოებელი პირის მიერ აქციზური საქონლის მიწოდება;	
რეორგანიზაციის შედეგად;	
დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პარტნიორისგან/წევრისგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღება;	
ფიქსირებული დაწესებულების მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდება;	
გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე	

გაცნობებთ, რომ წარმოვადგენ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გარდაცვლილი ფიზიკური პირის უფლებამონაცვლეს

_____
(გვარი, სახელი)

პირადი ნომერი

გარდაცვალების თარიღი(რიცხვი, თვე, წელი)

*ივსება სავალდებულო წესით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	----------/----------/----------
დღგის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის დაგვიანების შემთხვევაში, განცხადებით მომართვის თვეში რეგისტრაციის გარეშე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა იმ გათავისუფლებული ოპერაციებისა, რომელიც არ იბეგრება დღგ-ით) თანხა	---------- ლარი

შენიშვნა: დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდზე დღგ-ის დეკლარაციების წარდგენის შემთხვევაში პირი დაჯარიმდება მხოლოდ სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------
(თარიღი)

დანართი №III-02

(ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 47. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება

1. თუ პირის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაბეგრი ოპერაციების (გარდა ოპერაციებისა, რომელიც ამავე კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებულია დღგ-ისგან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით) ჯამური თანხა დღგ-ის გარეშე 100 000

ლარს არ აღემატება და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან 1 წელია გასული, მას შეუძლია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მიზნით გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს მიმართავს განცხადებით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე (დანართი №III-03).

3. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება:

ა) საწარმოს/ ორგანიზაციის ლიკვიდაციისას – სახელმწიფო/სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების თარიღიდან;

ბ) პირის გარდაცვალებისას – გარდაცვალების თარიღიდან;

გ) დღგ-ის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე პირის განცხადებისას ან თანხმობისას – პირის წერილობითი მიმართვის/თანხმობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

დ) „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაკოტრების რეჟიმის გახსნისას – სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების რეჟიმის გახსნის შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან.

4. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო აუქმებს აღნიშნული პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება ფიზიკური პირის გარდაცვალების თარიღიდან.

5. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიმართოს პირს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების ინიციატივით, თუ მის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა ოპერაციებისა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებულია დღგ-ისგან და არ გაითვალისწინება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას) ჯამური თანხა დღგ-ის გარეშე 100 000 ლარს არ აღემატება და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან გასულია არანაკლებ 1 წელი. დღგ-ის გადამხდელის თანხმობა საგადასახადო ორგანოს ეცნობება №III-03 დანართით.

6. თუ პირი ნებაყოფლობით გატარდა რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად და რეგისტრაციის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში საგადასახადო ორგანოს მიმართავს განცხადებით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე (დანართი №III-03), დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არ დასტურდება პირის მიერ ანგარიშ-ფაქტურის გატანის/გამოწერის ფაქტი;

ბ) პირს არ აქვს წარმოდგენილი დღგ-ის დეკლარაცია (გარდა იმ დეკლარაციისა, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია) და არ გააჩნია დღგ-ით დასაბეგრი (მათ შორის, დღგ-ისგან გათავისუფლებული) ოპერაცია/ოპერაციები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 მარტის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 01.04.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №332 - ვებგვერდი, 14.12.2021წ.

დანართი №III-03

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 მარტის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 01.04.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №332 - ვებგვერდი, 14.12.2021წ.

.....
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)
.....
(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი)
.....
(საიდენტიფიკაციო ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

გთხოვთ, გამიუქმოთ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია

□ საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო

□ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების რეჟიმის გახსნის გამო

□ სსკ-ის 165[1] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად

□ სსკ-ის 165[1] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი – საგადასახადო ორგანოს ინიციატივა)

□ სსკ-ის 165[1] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

(საჭირო უჯრა აღნიშნეთ „V“ ნიშნით)

განმცხადებლის ხელმოწერა .....
თარიღი .....

დანართი №III-03[1]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

ტელესაკომუნიკაციო მომსახურება

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI კარის მიზნებისათვის, ტელესაკომუნიკაციო მომსახურება ნიშნავს მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერი სახის სიგნალების, სიტყვების, გამოსახულებებისა და ბგერების ან ინფორმაციის გადაცემასთან, გამოცემასთან ან მიღებასთან სადენით, რადიოთი, ოპტიკურად ან სხვა ელექტრომაგნიტური სისტემებით, ასეთი გადაცემის, გამოცემის ან მიღებისათვის საჭირო სიმძლავრის გამოყენებასთან დაკავშირებით უფლების გადაცემის ან მინიჭების ჩათვლით, გარდა გლობალურ საინფორმაციო ქსელებზე დაშვების უზრუნველყოფისა, კერძოდ ტელესაკომუნიკაციო მომსახურებეები მოიცავს: **ა)** ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურებას ხმის, ინფორმაციის და ვიდეოგამოსახულების გადაცემის და კომუტაციის მიზნით, გამოსახულების კომპონენტის შემცველი სატელეფონო მომსახურების ჩათვლით (ვიდეოფონის მომსახურება); **ბ)** ინტერნეტის მეშვეობით გაწეულ სატელეფონო მომსახურებას „ინტერნეტით მიწოდებული ხმის პროტოკოლის“ ჩათვლით (VoIP); **გ)** ხმოვან ფოსტას, ლოდინის რეჟიმს, ზარის გადამისამართებას, ზარის იდენტიფიკაციას, სამმხრივ ზარს და ზარის მართვის სხვა სერვისებს; **დ)** საპეიჯერო მომსახურებას; **ე)** აუდიოტექსტის მომსახურებას; **ვ)** ფაქსს, ტელეგრაფს, ტელექსს; **ზ)** ინტერნეტ-წვდომას „გლობალური ქსელის“ ჩათვლით; **თ)** კერძო ქსელურ კავშირებს, რომლებიც ექსკლუზიური სატელეკომუნიკაციო კავშირით უზრუნველყოფენ მომხმარებელს.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI კარის მიზნებისათვის, ტელესაკომუნიკაციო მომსახურებას არ მიეკუთვნება: **ა)** ელექტრონულად გაწეული მომსახურება; **ბ)** რადიო და ტელემაუწყებლობის (შემდგომში „მაუწყებლობის“) მომსახურება.

დანართი №III-03[2]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

რადიო და ტელესამაუწყებლო მომსახურება

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI კარის მიზნებისათვის, რადიო და ტელესამაუწყებლო მომსახურება მოიცავს აუდიო და აუდიოვიზუალური კონტენტისგან

შემდგარ მომსახურებას, როგორიცაა რადიო და ტელეპროგრამები, რომელთა მიწოდება ფართო საზოგადოებისთვის საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით და მედიამომსახურების მიმწოდებლის სარედაქციო პასუხისმგებლობით ხდება, პარალელურ რეჟიმში მოსმენის ან ყურების მიზნით, პროგრამის საფუძველზე.

2. კერძოდ, პირველი პუნქტი მოიცავს:

ა) რადიო და ტელექსელით გადაცემულ ან რეტრანსლირებულ რადიო და სატელევიზიო პროგრამებს;

ბ) ინტერნეტით ან მსგავსი ელექტრონული ქსელით (ნაკადური მულტიმედია) გავრცელებულ რადიო და სატელევიზიო პროგრამებს, თუ მათი გადაცემა რადიო და ტელექსელით გადაცემის ან რეტრანსლირების პარალელურად ხდება.

3. პირველი პუნქტი არ მოიცავს:

ა) სატელეკომუნიკაციო მომსახურებას;

ბ) ელექტრონული გზით გაწეულ მომსახურებას;

გ) ინფორმაციის მიწოდებას კონკრეტული ფასიანი პროგრამების შესახებ;

დ) სამაუწყებლო ან რეტრანსლირების უფლებების გადაცემას;

ე) ტექნიკური აღჭურვილობის ან შენობა-ნაგებობების იჯარით გადაცემას მაუწყებლობის მისაღებად;

ვ) ინტერნეტით ან მსგავსი ელექტრონული ქსელით (ნაკადური მულტიმედია) გავრცელებულ რადიო და სატელევიზიო პროგრამებს, თუ მათი გადაცემა რადიო და ტელექსელით გადაცემის ან რეტრანსლირების პარალელურად არ ხდება.

დანართი №III-03[3]

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.](#)

ელექტრონულად გაწეული მომსახურება

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონულად გაწეული მომსახურება არის მომსახურება, რომელიც გაიწევა ინტერნეტით ან ელექტრონული ქსელით, რომლის მიწოდებაც არსებითად ავტომატიზირებულია, მინიმალურად საჭიროებს ადამიანის ჩარევას და მისი მიწოდება შეუძლებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე, კერძოდ:

ა) ციფრული პროდუქციის მიწოდებას ზოგადად, პროგრამული უზრუნველყოფის და მისი ცვლილებების და განახლების ჩათვლით;

ბ) მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს ელექტრონულ ქსელში საქმიან ან პირადი მიზნებისთვის ყოფნას, როგორიცაა ვებსაიტი ან ვებგვერდი;

გ) მომსახურებებს, რომლებიც ავტომატურად გენერირდება კომპიუტერიდან ინტერნეტის ან ელექტრონული ქსელის მეშვეობით, მიმღების მიერ განსაზღვრული მონაცემების შეტანის საპასუხოდ;

დ) გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ საქონლის ან მომსახურების იმ ინტერნეტგვერდზე სარეალიზაციოდ განთავსების უფლების გადაცემა, რომელიც ონლაინ-მარკეტის სახით ფუნქციონირებს, რომელზეც პოტენციური მყიდველები თავიანთ შეთავაზებებს ავტომატიზირებული პროცედურის მეშვეობით განათავსებენ და რომელზეც მხარეებს კომპიუტერის მიერ ავტომატურად გენერირებული ელექტრონული ფოსტის შეტყობინების მეშვეობით ეცნობებათ გაყიდვის შესახებ;

ე) ინფორმაციის ინტერნეტ-მომსახურების პაკეტები (ISP), სადაც ტელეკომუნიკაციების კომპონენტი დამხმარე და დაქვემდებარებული ნაწილია (ე.ი. პაკეტები, რომლებიც ცილდება უბრალო ინტერნეტ დაშვებას და მოიცავს სხვა ისეთ ელემენტებს, როგორიცაა კონტენტის გვერდები, რომლებიც იძლევა დაშვებას ახალ ამბებთან, ამინდის ან მოგზაურობის შესახებ ინფორმაციასთან; სათამაშო პორტალები; ვებსაიტების ჰოსტინგები; ონლაინ-დებატებზე დაშვება და ა.შ.).

2. პირველი პუნქტი მოიცავს მათ შორის შემდეგ მომსახურებებს:

ა) ციფრული პროდუქტის მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით. ვებგვერდის მიწოდება, ვებჰოსთინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება, კერძოდ:

ა.ა) ვებ-საიტების და ვებგვერდების ჰოსტინგი;

ა.ბ) პროგრამების ავტომატიზირებული, ონლაინ და დისტანციური ტექნიკური მომსახურება;

ა.გ) სისტემის დისტანციური ადმინისტრირება;

ა.დ) მონაცემთა ონლაინ შენახვა, სადაც სპეციფიკური მონაცემების შენახვა და გამოთხოვა ელექტრონულად ხდება;

ა.ე) მეხსიერების გამოყოფილი მოცულობის ონლაინ მიწოდება.

ბ) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება, კერძოდ:

ბ.ა) პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომა და ჩამოტვირთვა (შესყიდვების/ ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების ან ანტივირუსული პროგრამების ჩათვლით) მათ შორის განახლებები;

ბ.ბ) ბანერული რეკლამების ბლოკირების პროგრამები, იგივე „ბანერბლოკერები“;

ბ.გ) ჩამოსატვირთი დრაივერები, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფები, რომლებიც კომპიუტერებს უკავშირებს პერიფერულ მოწყობილობებს (როგორიცაა, მაგ., პრინტერი);

ბ.დ) ვებ-საიტებზე ფილტრების ავტომატური ონლაინ-ინსტალაცია;

ბ.ე) ბრენდმაუერების (ფაიერვოლების) ავტომატურ ონლაინ-ინსტალაციას.

გ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ:

გ.ა) სამუშაო მაგიდის (Desktop) თემებზე წვდომა ან ჩამოტვირთვა;

გ.ბ) ფოტო ან გრაფიკული გამოსახულებებზე ან სქრინსეივერებზე წვდომა ან ჩამოტვირთვა;

გ.გ) წიგნების და სხვა ელექტრონული გამოცემების გაციფრებული კონტენტი;

გ.დ) ონლაინ გაზეთებისა და ჟურნალების გამოწერა;

გ.ე) ვებ-ლოგებისა და ვებ-საიტების სტატისტიკა;

გ.ვ) ონლაინ ახალი ამბები, სატრანსპორტო ნაკადის და ამინდის შესახებ ინფორმაცია;

გ.ზ) მომხმარებლის მიერ შეყვანილი ინფორმაციიდან პროგრამული უზრუნველყოფის მიერ ავტომატურად გენერირებული ონლაინ ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, სამართლებრივი და ფინანსური მონაცემები (კონკრეტულად, ისეთი მასალა, როგორიცაა მუდმივად განახლებადი საფონდო ბირჟის მონაცემები, რეალურ რეჟიმში);

გ.თ) ვებ-საიტებზე/ვებგვერდებზე სარეკლამო სივრცის მიწოდება, მათ შორის ბანერული რეკლამისთვის;

გ.ი) საძიებო სისტემების და ინტერნეტ-დირექტორიების გამოყენება;

დ) მუსიკის, ფილმის და თამაშების (მათ შორის, აზარტული თამაშების) მიწოდება, ასევე პოლიტიკური, კულტურული, სახელოვნებო, სპორტული, სამეცნიერო და გასართობი გადაცემების მაუწყებლობა და მიწოდება. კერძოდ:

დ.ა) მუსიკაზე წვდომა და კომპიუტერებსა და მობილურ ტელეფონებზე ჩამოტვირთვა;

დ.ბ) ჯინგლებზე, ამონარიდებზე, ზარებზე, ან სხვა მელოდიებზე წვდომა და ჩამოტვირთვა;

დ.გ) თამაშების ჩამოტვირთვა კომპიუტერებსა და მობილურ ტელეფონებზე;

დ.დ) ავტომატიზირებულ ონლაინ-თამაშებზე წვდომა, რომლებიც დამოკიდებული არიან ინტერნეტზე ან მსგავს ელექტრონულ ქსელებზე, როცა მოთამაშეები ერთმანეთს გეოგრაფიულად არიან დაცილებულები;

დ.ე) რადიო და სატელევიზიო ქსელების, ინტერნეტის ან მსგავსი ელექტრონული ქსელების მეშვეობით გავრცელებული რადიო და სატელევიზიო პროგრამების მიღება პროგრამების მომხმარებლის მიერ შერჩეულ მომენტში ან მომხმარებლის ინდივიდუალური მოთხოვნით მოსმენის ან ყურებისთვის, მედია-სერვისის პროვაიდერის მიერ შერჩეული პროგრამების კატალოგის საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად ფასიანი რადიო ან ტელევიზია;

დ.ვ) ინტერნეტის ან მსგავსი ელექტრონული ქსელების (ნაკადური მულტიმედია) მეშვეობით გავრცელებული რადიო და სატელევიზიო პროგრამების მიღება, თუ მათი რადიო და სატელევიზიო ქსელით ტრანსლირება ან რეტრანსლირება არ ხდება პარალელურ რეჟიმში;

დ.ზ) აუდიო და აუდიოვიზუალური კონტენტის საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით გადაცემა, რომლის მიწოდებაც არ ხდება მედია-სერვისის პროვაიდერის სარედაქტორო პასუხისმგებლობით;

დ.თ) მედია-სერვისის პროვაიდერის აუდიო და აუდიოვიზუალური პროდუქციის შემდგომ მიწოდება საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით მედია-სერვისის პროვაიდერის გარდა სხვა პირის მიერ;

ე) დისტანციური სწავლების მიწოდება, კერძოდ:

ე.ა) ავტომატიზირებული დისტანციური სწავლება, რომელიც დამოკიდებულია ინტერნეტის ან მსგავსი ელექტრონული ქსელების ფუნქციონირებაზე და რომელიც საჭიროებს ადამიანის მინიმალურ ჩარევას ან საერთოდ არ საჭიროებს მას, ვირტუალური საკლასო ოთახების ჩათვლით, იმ შემთხვევების გარდა, როცა ინტერნეტი ან მსგავსი ელექტრონული ქსელი გამოიყენება უბრალოდ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კავშირის დასამყარებლად;

ე.ბ) მოსწავლეების მიერ ონლაინ რეჟიმში შევსებული და შეფასებული სამუშაო რვეულები, ადამიანის ჩარევის გარეშე.

დანართი №III-03[4]
(თან ერთვის თანდართული ფაილის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 27 ივლისის ბრძანება №184 - ვებგვერდი, 28.07.2021წ.

დანართი №III-03[5]
(თან ერთვის თანდართული ფაილის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 27 ივლისის ბრძანება №184 - ვებგვერდი, 28.07.2021წ.

მუხლი 47[1]. უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე დღგ-ის გამოანგარიშების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების და მისი ინფორმირების წესი

1. ამ მუხლში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უცხოელი დასაბეგრი პირი – დასაბეგრი პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს საქართველოში ან საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს ციფრული მომსახურების გაწევაში;

ბ) ციფრული მომსახურება – ტელესაკომუნიკაციო მომსახურება ამ ინსტრუქციის №III-03[1] დანართის შესაბამისად, რადიო ან ტელესამაუწყებლო მომსახურება ამ ინსტრუქციის №III-03[2] დანართის შესაბამისად და ელექტრონულად გაწეული მომსახურება ამ ინსტრუქციის №III-03[3] დანართის შესაბამისად;

გ) მომსახურების მიმღები – მომსახურების შემძენი ფიზიკური პირი, რომელიც:

გ.ა) არ წარმოადგენს დასაბეგრ პირს;

გ.ბ) წარმოადგენს დასაბეგრ პირს, თუმცა მის მიერ მიღებული მომსახურება არ უკავშირდება ამ დასაბეგრი პირის ეკონომიკურ საქმიანობას;

დ) დღგ-ის პორტალი – შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც, უცხოელი დასაბეგრი პირი ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს საქართველოში გაწეულ ციფრულ მომსახურებებთან მიმართებაში;

ე) სააღრიცხვო დოკუმენტაცია – პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები;

ვ) პირველადი საგადასახადო დოკუმენტი – დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს გაწეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას.

2. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე, დღგ-ის გამოანგარიშების და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა უცხოელ დასაბეგრ პირს, თუ მის მიერ გაწეული ციფრული მომსახურების გაწევის ადგილს წარმოადგენს საქართველო და ეს ოპერაცია არ იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლით გათვალისწინებული უკუდაბეგვრის წესით. აღნიშნული დასაბეგრი პირი, საქართველოში დღგ-ის ანგარიშგების და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მიზნით, საქართველოს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებული დღგ-ის პორტალის საშუალებით, ავსებს სარეგისტრაციო ფორმას ამ ინსტრუქციის №III-03[4] დანართის შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულად ჩაითვლება, თუ კმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა:

ა) ფინანსური დაწესებულების (რომელშიც გახსნილია ანგარიში და გამოიყენება გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად) ან ელექტრონული ფინანსური საშუალებების ოპერატორის (რომლის საშუალებითაც ხდება გადახდა) ადგილსამყოფელი არის საქართველო;

ბ) მომსახურების მიმღების ადგილსამყოფელი არის საქართველო;

გ) მომსახურების მიმღების მიერ მომსახურების შესაძენად გამოყენებული მოწყობილობის ქსელური მისამართი (IP) მდებარეობს საქართველოში;

დ) მომსახურების შესაძენად/გადასახდელად გამოყენებული ქვეყნის სატელეფონო კოდი ეკუთვნის საქართველოს.

4. ამ მუხლის მიზნისათვის:

ა) დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ ციფრული მომსახურების გაწევა;

ბ) დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის ციფრული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ მიღებული/მისაღები ანაზღაურება, დღგ-ის გარეშე;

გ) დღგ-ის საანგარიშო პერიოდია კვარტალი, ანუ დროის მონაკვეთი:

გ.ა) 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით (I კვარტალი);

გ.ბ) 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით (II კვარტალი);
გ.გ) 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით (III კვარტალი);
გ.დ) 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (IV კვარტალი);
დ) დღგ-ის განაკვეთი შეადგენს 18%-ს;
ე) უცხოელი დასაბეგრი პირი საქართველოს ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ვალუტაში, თავისი არჩევანის შესაბამისად:
ე.ა) აშშ დოლარი;
ე.ბ) ევრო;
ე.გ) ლარი.
5. საქართველოს ტერიტორიაზე ციფრული მომსახურების გამწევი უცხოელი დასაბეგრი პირი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ციფრული მომსახურების გაწევის აღრიცხვა;
ბ) საგადასახადო ვალდებულების სისწორის დადგენის მიზნით, შეინახოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია იმ წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში, რომელშიც გაწეული იქნა მომსახურება;
გ) შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებული დღგ-ის პორტალის მეშვეობით, მისი პირადი გვერდიდან, ყოველ საანგარიშო პერიოდზე წარმოადგინოს საგადასახადო დეკლარაცია ამ ინსტრუქციის №III-03[5] დანართის შესაბამისად, არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 20 რიცხვისა და გადაიხადოს გადასახადი არაუგვიანეს ამავე თვის ბოლო დღისა. ამასთან, საგადასახადო ვალდებულების შესრულების თარიღად ითვლება გადახდილი თანხის სახაზინო სამსახურის შესაბამის ანგარიშზე ასახვის თარიღი.
6. უცხოელი დასაბეგრი პირების ინფორმირება დღგ-ის ვალდებულების შესახებ ხორციელდება საგადასახადო ორგანოს მიერ, საქართველოს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებით ან/და სხვა საშუალებებით.
7. უცხოელი დასაბეგრი პირის ინფორმირების დროს მიეთითება:
ა) ის საკანონმდებლო ნორმები, რომლის საფუძველზეც უცხოელი დასაბეგრი პირი ვალდებულია გადაიხადოს დღგ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, და
ბ) შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებული დღგ-ის პორტალის ელექტრონული მისამართი, რომლის მეშვეობითაც განახორციელებს დღგ-ის ანგარიშგებას.
8. უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 27 ივლისის ბრძანება №184 - ვებგვერდი, 28.07.2021წ.

მუხლი 48. დღგ-ის გადამხდელთა აღრიცხვა

1. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელთა რეესტრს აწარმოებს შემოსავლების სამსახური №III-04 დანართის ფორმით.

დანართი №III-04

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელთა

რეესტრი

№	მონაცემების შეტანის თარიღი	გადასახადის გადამხდელის დასახელება	საიდენტ-ფიკაციო ნომერი	რეგისტრაციის სახე (საჭირო უჯრა აღინიშნება „V“ ნიშნით)		დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ძალაში შესვლის თარიღი	დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების ძალაში შესვლის თარიღი	შენიშვნა
				სავალდებულო	ნებაყოფლობითი			
1	2	3	4	5	6	7	8	9

მუხლი 48[1]. მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხა
1. საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (შემდგომში – საკომპენსაციო თანხა) გადახდის შემთხვევაში, ოპერაცია მიღებული საკომპენსაციო თანხის ოდენობით ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას თანხის მიღების მომენტში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპენსაციო თანხად და ოპერაცია დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:
ა) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება;
ბ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების რაოდენობა/მოცულობა;

გ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ღირებულება;
დ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ ოპერაციას.
3. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირობები, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე განხორციელდა საკომპენსაციო თანხის გადახდა და საკომპენსაციო თანხის მიღების საანგარიშო პერიოდზე გამოწერილია დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, დღგ-ით დაბეგვრის დრო არის საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.
4. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გადახდილ თანხაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაითვალოს მისაწოდებელ საქონელზე/გასაწევ მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხა.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება:
ა) რეგულარულად ან უწყვეტად გაწეულ ტელესაკომუნიკაციო/კავშირგაბმულობის მომსახურებაზე;
ბ) რეგულარულად ან უწყვეტად განხორციელებულ გარანტირებული სიმძლავრის, ელექტროენერგიის, გაზის, წყალის, თბოენერგიის, გაგრილების ენერგიის ან სხვა მსგავსი საქონლის მიწოდებაზე.

მაგალითი 1. ფიზიკურმა პირმა პარფიუმერულ მაღაზიაში შეიძინა სასაჩუქრე ბარათი, რომლითაც იგი უფლებამოსილია, 1 თვის ვადაში მიიღოს 300 ლარის ღირებულების ნებისმიერი საქონელი.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები – საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში არ არის განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა. შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების და არა საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 2. წვენების მწარმოებელი საწარმო ახდენს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების პროდუქციით მომარაგებას. მხარეთა შორის ანგარიშსწოდებისას ხდება როგორც მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის წინასწარ გადახდა, ასევე მიწოდებულ საქონელზე არსებული დავალიანებების ანაზღაურება. საბოლოო ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხდება გარკვეული პერიოდულობით, ურთიერთშედარების საფუძველზე.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა – თანხის მიღებისას არ არის განსაზღვრული იგი წარმოადგენს მისაწოდებელი საქონლის თუ მიწოდებულ საქონელზე არსებული დავალიანების საკომპენსაციო თანხას. შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების და არა საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 3. საწარმოს საქმიანობის საგანია გადაზიდვის მომსახურების განხორციელება. მხარეების მიერ განსაზღვრულია გასაწევი მომსახურება, მომსახურების მოცულობა და ღირებულება. მომსახურების მიმღების მიერ წინასწარ მოხდა გადაზიდვის მომსახურების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება, თუმცა წინასწარ არ არის განსაზღვრული გადასაზიდი ტვირთი მოქცეულ იქნება თუ არა ექსპორტის, რეექსპორტის, გარე გადამუშავების ან ტრანზიტის რეჟიმში.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა. კერძოდ, საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში, განსაზღვრულია გასაწევი მომსახურება, მისი მოცულობა და ღირებულება, თუმცა არ არის განსაზღვრული გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ ოპერაციას, ვინაიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაზიდვის მომსახურება ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება ექსპორტის, რეექსპორტის, გარე გადამუშავების ან ტრანზიტის რეჟიმში მოქცეული ტვირთის გადაზიდვა. შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს მომსახურების გაწევის და არა საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 4. საწარმოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ასრულებს სამშენებლო სამუშაოებს. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა საწარმოს წინასწარ აუნაზღაურა მომსახურების საკომპენსაციო თანხა. ამასთან, მხარეების მიერ განსაზღვრულია გასაწევი მომსახურება, მომსახურების მოცულობა, ღირებულება და გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები – საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში განსაზღვრულია გასაწევი მომსახურება, მისი მოცულობა და ღირებულება, ცნობილია, რომ გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 5. დღგ-ის გადამხდელი საწარმო და საკანცელარიო მაღაზია 15 იანვარს შეთანხმდნენ 1000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების თაობაზე. შეთანხმების თანახმად, საქონლის ღირებულება გადახდილი იქნა წინასწარ – 22 იანვარს, საქონლის მიწოდებამდე. ამასთან, სახეზეა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები. საკანცელარიო მაღაზიამ წინასწარ გადახდილი თანხა, იანვრის თვეში მიღების საანგარიშო პერიოდში დაბეგრა დღგ-ით და გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

შეფასება:
საკანცელარიო მაღაზიის ქმედება მართლზომიერია. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე – 178-ე მუხლების გათვალისწინებით, საწარმოს უფლება აქვს გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით იანვრის თვეში ჩაითვალოს გადახდილი დღგ-ის თანხა.

მაგალითი 6. ფიზიკურ პირს გაფორმებული აქვს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან, რომლის საფუძველზეც, სამშენებლო კომპანია ვალდებულია ფიზიკურ პირს მიაწოდოს 80 $მ^2$ საცხოვრებელი ფართი, ხოლო ფიზიკური პირი ვალდებულია, საცხოვრებელი ფართის მიწოდებამდე ეტაპობრივად აანაზღაუროს მისი ღირებულება 120 000 ლარი.

შეფასება:
მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები – საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი, მისი რაოდენობა და ღირებულება, ცნობილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საცხოვრებელი ფართის მიწოდება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 7. შპს „X“ შპს „Y”-ის დაკვეთით ასრულებს საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობა დაიწყო 2017 წლის 1იანვარს და სრულდება 2022 წლის 1 იანვარს. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს 3 000 000 ლარს. შპს „Y“-მა შპს „X“-ის 2017 წლის 10 იანვარს წინასწარ აუნაზღაურა საკომპენსაციო თანხის ნაწილი 500 000 ლარი. 2017 წლის 1 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა მიღება ჩაბარების აქტი სამუშაოების პირველ ეტაპზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 300 000 ლარი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული ღირებულების ნაწილი 200 000 ლარი დაიფარება მიღებული საკომპენსაციო თანხიდან, ხოლო დანარჩენი 100 000 ლარი შპს „Y“-ის მიერ დამატებით იქნება ანაზღაურებული.

შეფასება:
მოცემულ შემთხვევაში, წინასწარ გადახდილი თანხა (500 000 ლარი) განიხილება საკომპენსაციო თანხის სახით გადახდილად და შპს „X“-ს მიერ დღგ-ით დაიბეგრება მისი მიღების საანგარიშო პერიოდში. ხოლო სამუშაოების პირველი ეტაპის მიწოდების (ივნისის თვე) საანგარიშო პერიოდში შპს „X“ დამატებით დღგ-ით დაბეგრავს – 100 000 ლარს.

მაგალითი 8. ფიზიკურმა პირმა 2017 წლის იანვარში სამშენებლო კომპანიასთან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სამშენებლო კომპანია ვალდებულია 2018 წლის იანვარს ფიზიკურ პირს მიაწოდოს 80-დან 82-მდე $მ^2$ საცხოვრებელი ფართი, 1 $მ^2$საკომპენსაციო ფასი შეადგენს 1500 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ხელშეკრულების საგანი წარმოადგენდა მშენებარე ობიექტს, შეუძლებელი იყო საცხოვრებელი ფართის ზუსტი ფართობისა და შესაბამისი საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა. ფიზიკურმა პირმა საცხოვრებელი ფართის მიწოდებამდე, 2017 წლის დეკემბერში აანაზღაურა საკომპენსაციო თანხის ნაწილი – 50 000 ლარი.

შეფასება
მოცემულ შემთხვევაში საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში განსაზღვრულია საქონელი, მისი ღირებულება, ასევე ცნობილია, რომ განსახილველ შემთხვევაში, საცხოვრებელი ფართის მიწოდება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია საქონლის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 9. შპს „X“-ისა და ნავთობპროდუქტებით მოვაჭრე შპს „Y“-ის შეთანხმებით, შპს „Y“ 2017 წლის განმავლობაში შპს „X“-ისგან შეიძენს არანაკლებ 10 ტონა საწვავს. მისაწოდებელი საქონლის ღირებულება დამოკიდებულია შეძენილი საწონლის რაოდენობაზე, მაგრამ 1 ლიტრის ფასი შეადგენს არაუმეტეს 2 ლარს. შპს „Y“-მა შპს „X“-ს წინასწარ, საქონლის მიწოდებამდე აუნაზღაურა საკომპენსაციო თანხა – 20 000 ლარი.

შეფასება:
მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი, მისი რაოდენობა და ღირებულება, წინასწარ გადახდილი თანხა (20 000 ლარი) განიხილება საკომპენსაციო თანხის სახით გადახდილად და შპს „X“-ის მიერ დღგ-ით დაიბეგრება მისი მიღების საანგარიშო პერიოდში.

მაგალითი 10. საწარმოთა შორის 2016 წლის 25 დეკემბრის შეთანხმებით გამყიდველმა აიღო ვალდებულება 2017 წლის 1 ივნისამდე მყიდველისათვის მიეწოდებინა სხვადასხვა დასახელების სულ 10 000 ლარის ღირებულების საოფისე ინვენტარი. მყიდველმა გამყიდველს 2016 წლის 27 დეკემბერს აუნაზღაურა საკომპენსაციო თანხა – 10 000 ლარი. საქონლის მიწოდება გამყიდველმა განახორციელა 2017 წლის 30 მაისს.

შეფასება:
მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 98-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა – 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში მიწოდებულ საქონელზე საკომპენსაციო თანხის მიღება განხორციელდა 2017 წლის 1 იანვრამდე. ამდენად, ამავე ნაწილის შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების და არა საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 11. 2016 წლის 25 დეკემბერს საწარმოები შეთანხმდნენ საქონლის მიწოდების თაობაზე. გამყიდველმა აიღო ვალდებულება 2017 წლის 1 ივნისამდე მყიდველისათვის მიეწოდებინა სხვადასახვა დასახელების სულ 10 000 ლარის ღირებულების საოფისე ინვენტარი. მხარეების მიერ განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი, საქონლის რაოდენობა, ღირებულება და საქონლის მიწოდება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. მყიდველმა გამყიდველს 2016 წლის 27 დეკემბერს საკომპენსაციო თანხის სახით გადაუხადა 4 000 ლარი, ხოლო 2017 წლის 27 იანვარს – 6000 ლარი. საქონლის მიწოდება გამყიდველმა განახორციელა 2017 წლის 30 მაისს.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 98-ე ნაწილის შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული საკომპენსაციო თანხის ნაწილის მიმართ გავრცელდება 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ნორმები და დღგ-ით დაიბეგრება საქონლის მიწოდების (2017 წლის მაისი) საანგარიშო პერიოდში, ხოლო, 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ მიღებული საკომპენსაციო თანხის ნაწილი დღგ-ით დაიბეგრება მიღების საანგარიშო პერიოდში.

მაგალითი 12. საწარმოს საქმიანობის საგანია გადაზიდვის მომსახურების განხორციელება. მომსახურების მიმღების მიერ წინასწარ მოხდა გადაზიდვის მომსახურების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება, თუმცა წინასწარ არ არის განსაზღვრული გადასაზიდი ტვირთი მოქცეულ იქნება თუ არა ექსპორტის, რეექსპორტის, გარე გადამუშავების ან ტრანზიტის რეჟიმში. საწარმოს მიერ საკომპენსაციო თანხის მიღების საანგარიშო პერიოდში გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. თანხის მიღების მომენტში სახეზე არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა – საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში არ არის განსაზღვრული გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ ოპერაციას. თუმცა, ვინაიდან მხარეები შეთანხმდნენ მომსახურების გაწევამდე საკომპენსაციო თანხის გადახდაზე და საწარმოს მიერ გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 13. საწარმოს (სავაჭრო ობიექტს) გააჩნდა მომწოდებლის დავალიანება 90 000 ლარის ოდენობით. საწარმოს მიერ მომწოდებლის დავალიანების დასაფარად იანვრის თვეში შეცდომით ანაზღაურებულ იქნა 140 000 ლარი.

ა) 5 თებერვალს მხარეები შეთანხმდენენ, რომ ზედმეტად გადახდილი თანხით (50 000 ლარი) დაფარულიყო მარტის თვეში მისაწოდებელი საქონლის ღირებულების ნაწილი. თუმცა შეთანხმების მომენტში (5 თებერვალს) მხარეთა მიერ არ მომხდარა მისაწოდებელი საქონლის სახეობის განსაზღვრა.

ბ) 5 თებერვალს მხარეები შეთანხმდნენ თანხის მიზნობრიობაზე (დაკმაყოფილდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები).

საწარმოს მიერ შეთანხმების თვის საანგარიშო პერიოდში ზედმეტად გადახდილ თანხაზე გამოწერილია საგადასახადო-ანგარიშ-ფაქტურა.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში:

მაგალითის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახეზეა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. თანხის მიღების მომენტში (იანვარში) არ არის განსაზღვრული მისაწოდებელი საქონელი, თუმცა მხარეები 5 თებერვალს შეთანხმდნენ ზედმეტად გადახდილი თანხა განხილულიყო მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხად და საწარმოს მიერ თებერვლის თვეში გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მაგალითის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახეზეა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. თანხის მიღების მომენტში (იანვარში) არ არის განსაზღვრული მისაწოდებელი საქონელი, თუმცა მხარეები 5 თებერვალს შეთანხმდნენ და განსაზღვრეს მისაწოდებელი საქონელი, მისი რაოდენობა, ღირებულება. ამასთან, მხარეებისთვის ცნობილია, რომ ოპერაცია იბეგრება დღგ-ით. საწარმოს მიერ თებერვლის თვეში გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მოცემულ ორივე შემთხვევაში ოპერაციის შინაარსის გათვალისწინებით, ამ მუხლის მიზნებისათვის საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტად განიხილება მხარეთა შეთანხების მომენტი – 5 თებერვალი. შესაბამისად, ოპერაცია დღგ-ით იბეგრება თებერვალში – მხარეთა შეთანხმების საანგარიშო პერიოდში.

ამასთან, თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება ან თუ ზედმეტად/შეცდომით გადახდილი თანხა ექვემდებარება დაბრუნებას, გადახდილი თანხა არ განიხილება საკომპენსაციო თანხად.

მაგალითი 14. საწარმოთა შორის გაფორმებულია მშენებლობის მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, აკმაყოფილებს გრძელვადიანი კონტრაქტის პირობებს. ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობა უნდა დაიწყოს 2017 წლის 1 მარტს და დასრულდეს 2022 წლის 1 მარტს, მომსახურების საკომპენსაციო თანხა შეადგენს 3 000 000 ლარს. მომსახურების მიმღების მიერ მომსახურების გამწევისათვის 2017 წლის 31 იანვარს გადახდილი იქნა 500 000 ლარი.

შეფასება:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 107-ე ნაწილის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრამდე დადებული გრძელვადიანი კონტრაქტების მიმართ დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ნორმები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციის 161-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, გრძელვადიანი კონტრაქტის ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ არ დადგა ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობა. ამასთან, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ.დ“ ქვეპუნქტით (რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან), თუ თანხის გადახდა ხორციელდება მომსახურების გაწევამდე/საქონლის მიწოდებამდე, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა მომსახურების გაწევამდე/საქონლის მიწოდებამდე საკომპენსაციო თანხის გადახდა, რომელიც განხორციელდა 2017 წლის 31 იანვარს. შესაბამისად, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი.

მაგალითი 15. მხარეთა შეთანხმებით, აქციზური საქონლის (არყის) მწარმოებელი საწარმო ვალდებულია მაღაზიას 2017 წლის 15 სექტემბერს მიაწოდოს 500 ლიტრი არაყი (1 ლიტრ არაყში სუფთა სპირტის მოცულობა შეადგენს 40%-ს (40 გრადუსი)). საკომპენსაციო თანხა შეადგენს 11 800 ლარს (დღგ-ის ჩათვლით). მაღაზიამ 2017 წლის აგვისტოს თვეში წინასწარ განახორციელა 1180 ლარის ოდენობით საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება.

შეფასება:

იმის გათვალისწინებით, რომ საკომპენსაციო თანხის ნაწილის – 1180 ლარის გადახდა განხორციელდა საქონლის

მიწოდების მომენტამდე, გამყიდველი საწარმო დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ის თანხას დაადეკლარირებს აგვისტოს თვის დღგ-ის დეკლარაციით.
განსახილველ ოპერაციაზე დღგ-ის თანხა შეადგენს 180 ლარს (1000x18%).
2017 წლის სექტემბერში, საქონლის მიწოდების მომენტის შესაბამისად, მოხდება საკომპენსაციო თანხის დარჩენილ ნაწილზე (10620 ლარი) დასარიცხი დღგ-ის დეკლარირება და მიწოდების მიხედვით აქციზის თანხის გაანგარიშება, კერძოდ:
დღგ-ის თანხა – 1620 ლარი (10620-(10620/1,18));
აქციზის თანხა – 3 000 ლარი (500 ლიტრი X (1*40%) X 15=500 X 0.4 X 15 ლარზე).“.

მაგალითი 16. საწარმო ახორციელებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. სამუშაოების პერიოდი მოიცავს დღგ-ის ერთზე მეტ საანგარიშო პერიოდს, თუმცა არ აღემატება ექვს თვეს (სამუშაოები დაიწყო 2017 წლის პირველ თებერვალს და დასრულდა 2017 წლის 31 მაისს). დამკვეთი სამუშაოების დასრულებამდე უნაზღაურებს საწარმოს სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებას. დამკვეთის მიერ სამუშაოების ღირებულება საწამოსთვის ანაზღაურებულია 2017 წლის 5 მაისს, სრულად. საწარმო ახორციელებს სამუშაოების სრულად ჩაბარებას 2017 წლის 31 მაისს და ამავე თარიღით სამუშაოების დასრულებისას შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა-2 და საწარმოს მიერ დამკვეთისთვის გამოწერილია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

შეფასება:
ვინაიდან ერთ საანგარიშო პერიოდში ხორციელდება საკომპენსაციო თანხის მიღება და საქონლის მიწოდებაც, საწარმო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას გამოწერს საქონლის მიწოდებისას და ასახავს დღგ-ის დეკლარაციაში.
მაგალითი 17. შპს „X“ და შპს „Y“ 6 იანვარს შეთანხმდნენ საქონლის მიწოდების თაობაზე. მხარეების მიერ განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი, მისი რაოდენობა და ღირებულება. ამასთან, ზემოაღნიშნული საქონლის მიწოდება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. შეთანხმების შესაბამისად, შპს „Y“-მა შპს „X“-ს 10 იანვარს, საქონლის მიწოდებამდე ჩაურიცხა საკომპენსაციო თანხა, საქონლის სრული ღირებულება – 1500 ლარი. შპს „X“-მა 11 იანვარს საკომპენსაციო თანხაზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. შპს „X“-მა 27 იანვარს სრულად მიაწოდა შპს „Y“-ს შეთანხმებით გათვალისწინებული საქონელი.
შეფასება:
მიუხედავად იმისა, რომ შპს „X“-ს გამოწერილი აქვს საკომპენსაციო თანხაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, შპს „X“ ვალდებულია საქონლის მიწოდებისას საქონლის მთლიანი ღირებულების თანხაზე გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და გააუქმოს საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ვინაიდან დასაბეგრი ოპერაციის თვე საკომპენსაციო თანხის მიღების და საქონლის მიწოდების ნაწილში ემთხვევა ერთმანეთს.
მაგალითი 18. შპს „X“ და ავეჯის მწარმოებელი საწარმო 2017 წლის იანვრის თვეში შეთანხმდნენ 118 000 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) ღირებულების წინასწარ განსაზღვრული დასახელებისა და ოდენობის საქონლის შესყიდვის თაობაზე. შეთანხმების თანახმად, მისაწოდებელ საქონელზე წინასწარ გადახდილ იქნა მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის ნაწილი: თებერვლის თვეში 59 000 ლარის ოდენობით, მარტის თვეში – 11 800 ლარი.
ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ ჩარიცხულ თანხებზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები. ამასთან, თებერვლის თვის დღგ-ის დეკლარაციით დაადეკლარირა და ბიუჯეტში გადაიხადა დღგ 59 000 ლარის საკომპენსაციო თანხიდან – 9000 ლარი და მარტის თვის დღგ-ის დეკლარაციით 11 800 ლარის საკომპენსაციო თანხიდან – 1 800 ლარი.
შეთანხმებით გათვალისწინებული 118 000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება განხორციელდა 2017 წლის ივნისის თვეში. საქონლის მიწოდებისას ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ გამოწერა სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის სრულ საკომპენსაციო თანხაზე. თვის ბოლოს კი აღნიშნული ზედნადების საფუძველზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
შეფასება:
ავეჯის მწარმოებელი საწარმო უფლებამოსილია ივნისის თვის დღგ-ის დეკლარაციის დანართში მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან ერთად ასახოს ამავე საქონლის საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღგ-ის თანხას. მოცემულ შემთხვევაში ავეჯის მწარმოებელ საწარმოს ივნისის თვის დღგ-ის დეკლარაციით დაერიცხება დღგ 7 200 (18 000-9 000-1 800) ლარის ოდენობით.
მაგალითი 19. (ამოღებულია - 30.12.2020, №326).
მაგალითი 20. შპს „X“-მა თებერვლის თვეში მიღებული ელექტროენერგიის ღირებულება 500 ლარი შპს „Y“-ს აუნაზღაურა წინასწარ იანვრის თვეში. შპს „Y“-ს მიღებული თანხა არ დაუბეგრავს იანვრის თვის საანგარიშო პერიოდში.
შეფასება:
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილების შესაბამისად, საქონლის მიწოდებამდე თანხის ანაზღაურებისას, ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის დროს არ წარმოადგენს თანხის მიღების მომენტი, თუ საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტროენერგიის, გაზის, წყლის, თბოენერგიის, გაგრილების ენერგიის ან სხვა მსგავსი საქონლის) მიწოდება ხორციელდება რეგულარულად ან უწყვეტად. ამდენად, მოცემულ მაგალითში, ელექტროენერგიის მიწოდება დღგ-ით უნდა დაიბეგროს არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა.
მაგალითი 21. (ამოღებულია - 30.12.2020, №326).
მაგალითი 22. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა პირმა 24 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება საოფისე

შენობის სარემონტო სამუშაოების მიწოდებაზე. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე განხორციელდა 40 000 ლარის წინასწარ ანაზღაურება, რომელზეც გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და თებერვლის თვის დღგ-ის დეკლარაციით განხორციელდა დღგ-ის დეკლარირება, ხოლო მეორე მხარის მიერ დღგ-ის ჩათვლა. ამავე წლის მარტის თვის საანგარიშო პერიოდში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანით საოფისე შენობა დაექვემდებარა დემონტაჟს. მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების შეწყვეტაზე, ხოლო 40 000 ლარი დაექვემდებარა უკან დაბრუნებას.

შეფასება:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლის მიხედვით, დასაბეგრი ოპერაციის თანხა ექვემდებარება კორექტირებას, რადგან შეიცვალა ის გარემოებები/ფაქტორები, რომელთა საფუძველზეც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს განისაზღვრა დღგ-ით დასაბეგრი თანხა, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში – ოპერაცია გაუქმდა. ამ ოპერაციაზე მარტის თვის საანგარიშო პერიოდში უნდა გამოიწეროს კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და მარტის თვის დღგ-ის დეკლარაციაში განხორციელდეს შესაბამისი მონაცემების ასახვა.

მაგალითი 23. ფიზიკურმა პირმა 3 თებერვალს ამავე წლის აგვისტოს თვისთვის დაჯავშნა საქართველოში მდებარე სასტუმროს ნომერი. მხარეების მიერ განსაზღვრულია გასაწევი მომსახურება, მომსახურების მოცულობა, ღირებულება და გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. ფიზიკური პირის მიერ სასტუმროსათვის 4 თებერვალს გადახდილი იქნა გასაწევი მომსახურების ღირებულების ნაწილი თანხა – 1500 ლარი. სასტუმროს მიერ მიღებული საკომპენსაციო თანხა მიღების საანგარიშო პერიოდში დაბეგრილი იქნა დღგ-ით. 11 ივნისს ფიზიკურმა პირმა გააუქმა ჯავშანი და მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. სასტუმროს პირობებიდან გამომდინარე, გადახდილი თანხის ნაწილი ფიზიკურ პირს დაუბრუნდა, ხოლო ნაწილი დაუკავდა როგორც პირგასამტეხლოს თანხა.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, სასტუმრო უფლებამოსილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლის გათვალისწინებით დააკორექტიროს თებერვლის თვის ოპერაცია და ივნისის თვის დღგ-ის დეკლარაციით შეიმციროს საკომპენსაციო თანხაზე გადახდილი დღგ-ის თანხა. ამასთან, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, პირგასამტეხლოს თანხა დღგ-ით დასაბეგრ თანხაში არ შეიტანება, ამ ნაწილში დღგ-ით დაბეგვრის ვალდებულება სასტუმროს არ წარმოეშობა.

მაგალითი 24. შპს „X“ ახორციელებს როგორც დღგ-ის დასაბეგრ, ისე ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული საქონლის მიწოდებას. შეთანხმების თანახმად, 2017 წლის 3 თებერვალს შპს „X“-მა შპს „Y“ უნდა მიაწოდოს 10 000 ლარის საქონელი, მათ შორის 8 000 ლარის ღირებულების დღგ-ისგან გათავისუფლებული საქონელი და 2 000 ლარის ღირებულების დღგ-ით დასაბეგრი საქონელი. საქონლის მიწოდებამდე, 2017 წლის 5 იანვარს შპს „Y“-მა შპს „X“-ს წინასწარ ჩაურიცხა საკომპენსაციო თანხა – 1 000 ლარი.

შეფასება:

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები, მიღებული საკომპენსაციო თანხა 2017 წლის იანვრის თვეში დაიბეგრება დღგ-ით, შეთანხმებით გათვალისწინებული მთლიანი საკომპენსაციო თანხის პროპორციულად, რაც მოცემული მაგალითის მიხედვით შეადგენს მიღებული საკომპენსაციო თანხის 20%-ს.

მაგალითი 25. არარეზიდენტი საწარმო და საქართველოს საწარმო შეთანხმდნენ საქართველოში მომსახურების გაწევის თაობაზე. მხარეების მიერ განსაზღვრულია გასაწევი მომსახურება, მომსახურების მოცულობა, ღირებულება და გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. შეთანხმების პირობებიდან გამომდინარე, საქართველოს საწარმომ არარეზიდენტ საწარმოს ჩაურიცხა მომსახურების საკომპენსაციო თანხა 10 000 ლარი წინასწარ, მომსახურების გაწევამდე.

შეფასება:

ამ მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს საწარმო ვალდებულია დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით დაბეგროს არარეზიდენტი საწარმოსათვის გადახდილი საკომპენსაციო თანხა – 10 000 ლარი.

მაგალითი 26. დღგ-ის გადამხდელმა შპს „X“-მა 5 000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების თაობაზე გააფორმა ხელშეკრულება შპს „Y“-თან, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქონლის მიწოდებამდე შპს „Y“ გადაიხდიდა საქონლის ღირებულების 50%-ს – 2 500 ლარს, ხოლო დარჩენილ ნაწილს გადაიხდიდა საქონლის მიწოდების შემდგომ. შპს „Y“-მა შეთანხმებული თანხა შპს „X“-ს გადაუხადა 2017 წლის 20 მაისს. ვინაიდან მხარეების მიერ განსაზღვრული იყო მისაწოდებელი საქონელი, საქონლის რაოდენობა, ღირებულება და საქონლის მიწოდება წარმოადგენდა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას, შპს „X“-ის მიერ მიღებულ თანხაზე გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და 2 500 ლარი დაბეგრილ იქნა დღგ-ით 2017 წლის მაისის თვეში. 2017 წლის 2 ივნისს შპს „Y“ დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად. შეთანხებული საქონლის მიწოდება განხორციელდა 2017 წლის 9 ივნისს. შპს „Y“-ის მიერ მიწოდებულ საქონელზე გადახდილი დღგ ჩათვლილ იქნა ივნისის საანგარიშო პერიოდში.

შეფასება:

ვინაიდან შპს „Y“-ს საქონელი მიღებული აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ, შესაბამისად, მის მიერ დღგ-ის რეგისტრაციამდე აღნიშნულ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება ჩათვლას.

შენიშვნა: იმავე წესით შეუძლია მიიღოს გადასახადის გადამხდელმა დღგ-ის ჩათვლა მომსახურების მიღების შემთხვევაშიც.

მაგალითი 27. (ამოღებულია - 30.12.2020, №326).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 15.02.2017წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №314 - ვებგვერდი, 13.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №411 - ვებგვერდი, 22.11.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 16 მაისის ბრძანება №190 - ვებგვერდი, 17.05.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 48[2]. ცალკეული დასაბეგრი ოპერაციების შემთხვევები, როდესაც არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილი

1. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ გამოიყენება საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში და ამ ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტში.

2. ამ ინსტრუქციის 48[1] მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილი გავრცელდება აღნიშნული ოპერაციების ფარგლებში საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე თანხის ნაწილობრივ ანაზღაურების შემთხვევებში, ანაზღაურებული თანხის ნაწილში.

3. თუ თანხა სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებულია საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე და ანაზღაურების მომენტში თანხის მიმღები პირი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციამდე მიღებულ ანაზღაურებასთან მიმართებაში, დღგ-ით დაბეგვრის დროს წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.

მუხლი 49. ოპერაცია, რომელიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას

ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება:
ა) (ამოღებულია - 30.12.2020, №326).;
ბ) (ამოღებულია - 30.12.2020, №326).;
გ) ელექტრონული სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასურის ამოღების მომსახურება;
დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კომპენსაციის/შემოსავლის მიღების მიზნით ქონების ქირით, იჯარით ან/და სხვა ამგვარი ფორმით გაცემა, თუ აღნიშნული მომსახურების შედეგად მიღებული თანხა სრულად მიემართება ბიუჯეტში.
ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ქონების განკარგვა ან/და სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემა, რომლის შედეგად მიღებული თანხა მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.
ვ) არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის – „ახალციხის ციხის“ მიერ რაბათის ციხის კომპლექსის, როგორც ისტორიული (კულტურული) ძეგლის დაცვის, კომპლექსის პოპულარიზაციის და განვითარების მიზნით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს:
ვ.ა) კომპლექსის ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებში განთავსებულ პირებზე გადაცემული ქონების მიზნობრივად გამოყენების და კომუნალური მომსახურების ორგანიზების უზრუნველყოფას;
ვ.ბ) კომპლექსის ტერიტორიის მოვლა-შენახვას, დასუფთავებას, გამწვანებას;
ვ.გ) კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგებობების მიმდინარე რემონტს, კაპიტალურ რემონტს, რესტავრაციას;
ვ.დ) თანხებისა და სხვა საშუალებების მოზიდვას კომპლექსის გამართული მუშაობისა და განვითარებისათვის;
ვ.ე) კომპლექსის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა სახის ღონისძიებების (რეკლამა, ბუკლეტები, ტურისტული ცნობარი და სხვ.) მოწყობას;
ვ.ვ) სხვა სახის საქმიანობას.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 26 სექტემბრის ბრძანება №502 – ვებგვერდი, 28.09.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 13 თებერვლის ბრძანება №48 – ვებგვერდი, 15.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის ბრძანება №227 – ვებგვერდი, 11.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის ბრძანება №286 – ვებგვერდი, 30.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №323 – ვებგვერდი, 08.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის ბრძანება №156 – ვებგვერდი, 18.07.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 49[1]. (ამოღებულია)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 17 იანვრის ბრძანება №17 – ვებგვერდი, 17.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 50. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

თავი XII[1]

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენების პირობები და წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 50[1]. დასაბეგრი პირის მიერ ყველა აქტივის ან მისი ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) სხვა დასაბეგრი პირისთვის მიწოდება

1. საქონლის მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად არ განიხილება დასაბეგრი პირის მიერ ყველა აქტივის ან მისი ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) სხვა დასაბეგრი პირისთვის მიწოდება.

2. ამ მუხლში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მიმწოდებელი – დასაბეგრი პირი, რომელიც აწვდის ყველა აქტივს ან აქტივების ნაწილს (დამოუკიდებლად ფუნქციონირებად ქვედანაყოფს);

ბ) შემძენი – დასაბეგრი პირი, რომელიც იძენს ყველა აქტივს ან აქტივების ნაწილს (დამოუკიდებლად ფუნქციონირებად ქვედანაყოფს);

გ) ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდება – ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე იმ აქტივთა ერთობლიობის მიწოდება, რომლებიც წარმოადგენენ მიმწოდებლის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ და საკმარის აქტივებს;

დ) დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფი – დასაბეგრი პირის აქტივების ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანმხლები კომუნიკაციების ერთობლიობას და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე.

3. ყველა აქტივის ან მისი ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდების ფარგლებში, გადასაცემ აქტივებს შესაძლებელია წარმოადგენდეს ნებისმიერი აქტივი, რომელსაც მიმწოდებელი იყენებს ან განკუთვნილია გამოსაყენებლად იმ ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელთან დაკავშირებითაც ხორციელდება ყველა აქტივის ან მისი ნაწილის მიწოდება, მათ შორის:

ა) ძირითადი საშუალებები;

ბ) სასაქონლო მატერიალური ფასეულობები;

გ) არამატერიალური ქონება (მათ შორის, გუდვილი, ინტელექტუალური საკუთრება, მოთხოვნები, ხელშეკრულებებში ჩანაცვლების უფლება).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული აქტივების მიწოდებაზე ამავე მუხლის პირველი პუნქტი გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:

ა) აქტივები გადაეცემა როგორც აქტივთა ერთობლიობა, რომელიც მიმწოდებლის იმ ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების საშუალებას იძლევა, რომელთან დაკავშირებითაც მის მიერ ხორციელდება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდება;

ბ) აქტივების მიწოდება ხორციელდება წერილობითი ფორმით დადებული ერთიანი გარიგების საფუძველზე, რა დროსაც, შესაბამისი დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს იმ აქტივების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა გადაცემაც ხორციელდება ამ ოპერაციის ფარგლებში;

გ) მიმწოდებელს და შემძენს მიწოდება ასახული აქვთ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში.

5. ამ მუხლის დებულებები ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ:

ა) ყველა აქტივის ან მისი ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდების მომენტისათვის, მიმწოდებლის მიერ ამ აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება შეჩერებულია;

ბ) გადასაცემ აქტივთა ჩამონათვალში შედის ისეთი აქტივი, რომელიც შესაძლოა არ იყოს აუცილებელი შესაბამისი სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის, მაგრამ უკავშირდება მას და შემძენს ხელს შეუწყობს ამ საქმიანობის გაგრძელებაში.

6. ამ მუხლის დებულებები არ ვრცელდება:

ა) იმ შემთხვევაზე, როდესაც მხარეები ყველა აქტივის ან მისი ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდების მომენტისთვის არ წარმოადგენენ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირებს;

ბ) ფასიანი ქაღალდის და საწარმოს აქციის/ კაპიტალში წილის გადაცემაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აქტივები მიმწოდებლის მიერ გამოიყენება იმ ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელთან დაკავშირებითაც მის მიერ ხორციელდება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდება;

გ) იმ აქტივების მოწოდებაზე, რომლებსაც მიმწოდებელი ფლობდა მხოლოდ იჯარით (ან სხვა მსგავსი ფორმით) გაცემის ან კაპიტალის ღირებულების გაზრდის მიზნით (საინვესტიციო ქონება);

დ) იურიდიული პირის რეორგანიზაციის ფარგლებში რეორგანიზაციის მხარე პირებს შორის აქტივების

გადაცემის შემთხვევებზე;

ე) საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში აქტივების შეტანის შემთხვევებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 50[2]. საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში აქტივის შეტანა

1. საქონლის მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად არ განიხილება საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში აქტივის შეტანა.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის, საწარმოს კაპიტალში აქტივის შეტანად განიხილება საწარმოს მომავალი ან მოქმედი აქციონერის/ პარტნიორის მიერ საწარმოს აქციის/ კაპიტალში წილის შეძენის ან მისი ღირებულების გაზრდის სანაცვლოდ კაპიტალის მქონე საწარმოს საკუთრებაში ქონების გადაცემა, რომელიც აისახება ამ საწარმოს ბალანსში.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის, ამხანაგობაში აქტივის შეტანად განიხილება ამხანაგობისთვის (ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრებაში) ქონების გადაცემა მასში მონაწილეობის სანაცვლოდ, ამ ამხანაგობის სამეურნეო ან/და სხვა მიზნების მისაღწევად.

4. საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში შესატან აქტივს შეიძლება წარმოადგენდეს მატერიალური ან არამატერიალური ქონება, აგრეთვე, მომსახურების გაწევა.

5. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოპერაციის ფარგლებში აქტივის მიმღებს წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირი, ასეთი საწარმოს კაპიტალში აქტივის შეტანა განისაზღვრება ამ კანონის დებულებათა გათვალისწინებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 50[3]. აქტივის გადაცემა საწარმოს რეორგანიზაციის მხარე პირებს შორის

1. საქონლის მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად არ განიხილება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით განხორციელებული იურიდიულ პირთა რეორგანიზაციის ფარგლებში ამ რეორგანიზაციის მხარე პირებს შორის აქტივის გადაცემა.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის, რეორგანიზაციად ითვლება იურიდიული პირის:

ა) გარდაქმნა;

ბ) შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება);

გ) გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).

3. თუ რეორგანიზაციის მხარეებს წარმოადგენენ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იურიდიული პირები, რეორგანიზაციის ფაქტი დგინდება ამ კანონის დებულებათა გათვალისწინებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 50[4]. უფლებამონაცვლეობა

1. ამ ინსტრუქციის 50[1] – 50[3] მუხლების მიზნებისათვის, პირი, რომელმაც აქტივი მიიღო, განიხილება ამ აქტივის მიმწოდებლის უფლებამონაცვლედ.

2. უფლებამონაცვლეობის ფარგლებში, აქტივის მიმღებ პირზე გადადის მიმწოდებლის მიერ ამ აქტივებთან დაკავშირებული ხარჯის სხვადასხვა კომპონენტის ღირებულებაზე პირდაპირ მიკუთვნებულ დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა უფლება და ვალდებულება, რა დროსაც:

ა) აქტივების გადაცემისას, მიმწოდებელს უნარჩუნდება აქტივებზე ხარჯების გაწევისას (მათ შორის, შეძენისას) გადახდილი/ გადასახდელი დღგ-ის ჩათვლა;

ბ) აქტივების მიმღებთან გადადის დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომლითაც უნდა ესარგებლა და რომელიც უნდა შეესრულებინა მიმწოდებელს, ეს აქტივები მიმწოდებლის საკუთრებაში რომ დარჩენილიყო და გამოყენებულიყო იმავე საქმიანობაში, რომელშიც მათ მიმღები იყენებს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

თავი XII[2]

ვაუჩერის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 50[5]. გამოყენებული ტერმინები

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ვაუჩერთან დაკავშირებული საქონელი/მომსახურება – საქონელი/მომსახურება, რომლის მიწოდების/გაწევის სანაცვლოდ შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურების სახით მიღებული იქნას ვაუჩერი;

ბ) აგენტი – საკუთარი სახელით მოქმედი დასაბეგრი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიმწოდებელს/მომსახურების გამწევს;

გ) მიმწოდებელი – პირი, რომელიც ახორციელებს ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდებას/მომსახურების გაწევას;

დ) დასაბეგრი ოპერაციის კატეგორია – დასაბეგრი ოპერაციების ერთ-ერთი შემდეგი კატეგორია:

დ.ა) დასაბეგრი ოპერაციები, რომლებიც დღგ-ით იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლით განსაზღვრული განაკვეთით;

დ.ბ) დასაბეგრი ოპერაციები, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXV თავის შესაბამისად, დღგ-საგან ჩათვლის უფლებით/ჩათვლის უფლების გარეშე არის გათავისუფლებული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 50[6]. ზოგადი დებულებები

1. ვაუჩერი წარმოადგენს ელექტრონული ან მატერიალური ფორმის მქონე ინსტრუმენტს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) ვაუჩერი წარმოშობს ერთი ან რამდენიმე დასაბეგრი პირის ვალდებულებას, მიიღოს იგი, როგორც ანაზღაურება ან ანაზღაურების ნაწილი საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ;

ბ) ვაუჩერით ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტით იდენტიფიცირებადია მასთან დაკავშირებული მისაწოდებელი საქონელი/ გასაწევი მომსახურება ან პოტენციური მიმწოდებელი, აგრეთვე ამ ინსტრუმენტის გამოყენების პირობები.

2. ვაუჩერს არ წარმოადგენს:

ა) ინსტრუმენტი, რომელიც პირს აძლევს მის მიერ შესაძენი საქონლის ან/და მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი ანაზღაურების შემცირების (ფასდაკლების) უფლებას;

ბ) ბილეთი, რომელიც პირს აძლევს მგზავრობის, კონკრეტულ ადგილზე შესვლის ან ღონისძიებაზე დასწრების უფლებას;

გ) საფოსტო მარკები;

დ) ელექტრონული გასაღები ან კოდი, რომელიც პროგრამულ უზრუნველყოფასთან წვდომას იძლევა;

ე) ელექტრონული ფული, საკრედიტო ბარათები და ანგარიშსწორების სხვა მექანიზმები.

3. თუ ვაუჩერის გადაცემას ახორციელებს აგენტი ან სხვისი სახელით მოქმედი დასაბეგრი პირი, მის მიერ ვაუჩერთან დაკავშირებული ნებისმიერი მომსახურების გაწევა, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც საქონლის დისტრიბუციის/გაყიდვების ხელშეწყობის ან მსგავსი მომსახურება, დღგ-ით დაბეგვრას ექვემდებარება ასეთი მომსახურებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ვაუჩერი შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 50[7]. ერთჯერადი ვაუჩერი

1. ვაუჩერი ერთჯერადია, თუ მისი გამოშვების მომენტში იდენტიფიცირებადია ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების/ მომსახურების გაწევის ადგილი და ამ ოპერაციასთან დაკავშირებით დასარიცხი დღგ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, დასარიცხი დღგ იდენტიფიცირებადია, თუ ვაუჩერის გამოშვების მომენტში ცნობილია დასაბეგრი ოპერაციის კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნება ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდება/ მომსახურების გაწევა.

3. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ერთჯერადი ვაუჩერის გადაცემისას, დასაბეგრი ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა/დღგ-საგან გათავისუფლება ხორციელდება დასაბეგრი ოპერაციების იმ კატეგორიისთვის გათვალისწინებული წესით, რა კატეგორიასაც მიეკუთვნება ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდება/ მომსახურების გაწევა.

4. ერთჯერადი ვაუჩერის თითოეული გადაცემა, რომელიც საკუთარი სახელით მოქმედი დასაბეგრი პირის მიერ ხორციელდება, განიხილება ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდებად ან მომსახურების გაწევად. დასაბეგრ ოპერაციად არ განიხილება ერთჯერადი ვაუჩერით ანაზღაურების ნაწილში ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის/მომსახურების ფაქტობრივი მიწოდება/გაწევა.

5. სხვა დასაბეგრი პირის სახელით მოქმედი დასაბეგრი პირის მიერ ერთჯერადი ვაუჩერის გადაცემა განიხილება იმ დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებულ ამ ვაუჩერთან დაკავშირებულ საქონლის მიწოდებად/ მომსახურების გაწევად, რომლის სახელითაც ეს პირი მოქმედებს.

6. თუ ერთჯერადი ვაუჩერის გამოშვება ან/და გადაცემა ხორციელდება აგენტის მიერ, ითვლება, რომ ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა განხორციელდა აგენტის მიერ და, ამავდროულად, მიმწოდებლის მიერ აგენტისთვის.

7. ერთჯერადი ვაუჩერის გადაცემისას, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXIII თავით ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდებისთვის/მომსახურების გაწევისთვის გათვალისწინებული წესით.

8. ერთჯერადი ვაუჩერის გადაცემისას, ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების/ მომსახურების

გაწევის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება ვაუჩერის გადაცემის მომენტში. ამასთანავე, თუ ერთჯერადი ვაუჩერის გადაცემის სანაცვლოდ თანხა სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებულია ვაუჩერის გადაცემამდე, ანაზღაურებული თანხის შესაბამისი დღგ-ის გადახდა ხორციელდება ანაზღაურების თანხის გადახდის საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

9. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ ერთჯერადი ვაუჩერის გამოშვება აგენტის მიერ ხორციელდება, მიმწოდებლის მიერ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა დღგ-ით იბეგრება ამ ვაუჩერის აგენტის მიერ მესამე პირისთვის გადაცემის მომენტში.

10. ერთჯერადი ვაუჩერის გადაცემისას, ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების/ მომსახურების გაწევის დღგ-ით დასაბეგრი თანხა, ვაუჩერით ანაზღაურების ნაწილში, არის ვაუჩერის გადაცემის სანაცვლოდ მიღებული/ მისაღები ანაზღაურება დღგ-ის გარეშე.

11. ამ მუხლის დებულებები არ ვრცელდება ერთჯერადი ვაუჩერის მეშვეობით განხორციელებულ შემდეგი სახის დასაბეგრ ოპერაციებზე:

ა) უწყვეტად ან რეგულარულად საქონლის მიწოდება/ მომსახურების გაწევა;

ბ) ავტოგასამართი, აირგასამართი ან/და აირსავსები საკომპრესორო სადგურის მეშვეობით ნავთობპროდუქტების, ბიოდიზელისა და ბუნებრივი აირის (მათ შორის, გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის) ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის მიწოდება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 19.07.2021წ.

მუხლი 50[8]. მრავალჯერადი ვაუჩერი

1. ვაუჩერი მრავალჯერადია, თუ მისი გამოშვების მომენტში არ არის იდენტიფიცირებადი ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების/ მომსახურების გაწევის ადგილი ან/და ამ ოპერაციასთან დაკავშირებით დასარიცხი დღგ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, დასარიცხი დღგ არ არის იდენტიფიცირებადი, თუ ვაუჩერის გამოშვების მომენტში არ არის ცნობილი დასაბეგრი ოპერაციის კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნება ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდება/ მომსახურების გაწევა.

3. მრავალჯერადი ვაუჩერის გადაცემა არ განიხილება ამ ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდებად ან მომსახურების გაწევად. ამასთანავე, მიმწოდებლის მიერ მრავალჯერად ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის ფაქტობრივი მიწოდება ან/და მომსახურების ფაქტობრივი გაწევა განიხილება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად.

4. მრავალჯერად ვაუჩერთან დაკავშირებული საქონლის მიწოდებისას/ მომსახურების გაწევისას დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის ამ ვაუჩერისთვის გადახდილი/ გადასახდელი ანაზღაურება დღგ-ის გარეშე. ამასთანავე, ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა მიიღება მრავალჯერად ვაუჩერში ან მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში მითითებული საქონლის/ მომსახურების ღირებულების 1.18-ზე გაყოფის შედეგად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

თავი XIII

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების აღრიცხვა

მუხლი 51. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების აღრიცხვის დოკუმენტები

1. დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებზე გამოიწერება შემდეგი სახის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დანართი №III-05, დანართი №III-05[1] და დანართი №III-06-სპეციალური);

ბ) ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დანართი №III-09);

გ) (ამოღებულია - 30.12.2020, №326).

2. დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებზე გამოწერილ დოკუმენტებში მხარეთა ხელმოწერების ბეჭდით დამოწმება ხდება მისი არსებობის შემთხვევაში, ამასთან, საქონლის/მომსახურების მყიდველის (მიმღების) მხრიდან ბეჭდის გამოყენება სავალდებულო არ არის.

3. მონაცემის არარსებობის შემთხვევაში, დოკუმენტის შესაბამის უჯრაში მიეთითება „–“ (ტირე).

3[1]. (ამოღებულია - 30.12.2020, №326).

4. ამ თავის მიზნებისათვის საგადასახადო დოკუმენტი (შემდგომში – სდ) (დანართი №III-07[1]) უთანაბრდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და შესაბამისად მასზე ვრცელდება იგივე სამართლებრივი ნორმები, რაც საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე;

5. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, სდ-ის) გამოწერა ხდება ელექტრონულად შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული ვებგვერდიდან. საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა შესაძლებელია გამოიწეროს წერილობითი ფორმით.

6. უცხოელი დასაბეგრი პირებისათვის, ამ თავით გათვალისწინებულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში

(მათ შორის, სდ-ში) მყიდველის საიდენტიფიკაციო ნომრის აღმნიშვნელ სტრიქონზე შესაძლებელია შეტანილ იქნეს შესაბამისი პირის შესაბამის ქვეყანაში მინიჭებული დღგ-ის საიდენტიფიკაციო ნომერი.

7. ნავთობპროდუქტების გემზე მიწოდების შემთხვევაში, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების დამთავრების ადგილის ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომრის გრაფაში მიეთითება აღნიშნული გემის IMO ნომერი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №444 – ვებგვერდი, 23.08.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 16 ივლისის ბრძანება №221 - ვებგვერდი, 17.07.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 11 მარტის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 12.03.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №183 - ვებგვერდი, 07.08.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №297 - ვებგვერდი, 11.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №324 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 52. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

1. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (შემდგომში – საფ), მათ შორის ელექტრონული ფორმით, გამოიწერება დანართი №III-05 ფორმით. ამავე ფორმის საფ-ი გამოიწერება დასაბეგრი ოპერაციის კორექტირების შემთხვევაში.

2. (ამოღებულია - 30.12.2020, №326).

3. საქონლის მიწოდებამდე ან მომსახურების გაწევამდე, მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის წინასწარ გადახდის შემთხვევაში გამოიწერება დანართი №III-05[1] ფორმის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

4. საქონლის მრავალსახეობის დროს, როდესაც საფ-ში საკმარისი არ არის სტრიქონების რაოდენობა, გამოიყენება საფ-ის დანართი (დანართი №III-07).

5. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა სავალდებულო არ არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დღგ-ისგან გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, თუ ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.

დანართი №III-05

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

სერია		1	№000000
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც ხდება		2	სერია № №
3	20 წ.	4	20 წ.
ოპერაციის (კორექტირების) განხორციელების პერიოდი: თვე/კვარტალი (სიტყვიერად)		გამოწერის რიცხვი, თვე (სიტყვიერად)	

5	გამყიდველი	6	მყიდველი
5.1	(საიდენტიფიკაციო ნომერი)	6.1	(საიდენტიფიკაციო ნომერი)
5.2	დასახელება / სახელი, გვარი	6.2	დასახელება / სახელი, გვარი

			საქონლის /	მათ შორის

საქონლის / მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	მომსახურების ღირებულება დღგ-ისა და აქციზის ჩათვლით	დღგ-ის თანხა	აქციზის თანხა
1	2	3	4	5	6
სულ					

7	

სასაქონლო ზედნადების №

8	

თარიღი

ხელმძღვანელი ან უფლებამოსილი პირი (ხელმოწერა) ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე (ხელმოწერა)

შენიშვნა: პირველი ეგზემპლარი – მყიდველს, მეორე ეგზემპლარი გამყიდველს

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი №III-05[1]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.

დანართი NIII-05₁

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

სერია "ავ"	1	N 000000
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც ხდება	2	სერია "ავ", N

3		20--წ.

მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის თვე (სიტყვიერად)

4		20--წ.

გამოწერის რიცხვი, თვე (სიტყვიერად)

5	გამყიდველი
5.1	
5.2	

6	მყიდველი
6.1	
6.2	

საქონლის/მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	საქონლი რაოდენობა	მისაწოდებული საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხა/თანხის ნაწილი (ავანსი)	დღგ-ის თანხა

1	2	3	4	5
სულ				

ხელმძღვანელი ან უფლებამოსილი პირი (ხელმოწერა) ბ.ა.

ხელმძღვანელი ან უფლებამოსილი პირი (ხელმოწერა) ბ.ა.

შენიშვნა: პირველი ეგზემპლარი-მყიდველს, მეორე ეგზემპლარი- გამყიდველს

დამკვეთი:

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის N

დანართი №III-06

(ამოღებულია)

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.]

დანართი №III-07

შემოსავლების სამსახური

დამტკიცებულია
საქართველოს ფინანსთა მინისტრის
წლის ბრძანებით

სერია ---- ---- № ---- ---- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დანართი

რიცხვი / თვე სიტყვიერად / წელი

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ის და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ის თანხა	აქციზის თანხა
1	2	3	4	5	6
სულ					

სასაქონლო ზედნადების №

თარიღი

მუხლი 53. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა საქონლის მომსახურების მიწოდების შემთხვევაში

1. საფ-ი (გარდა ელექტრონული ფორმის საფ-ისა) გამოიწერება 2 ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. საფ-ი გამოიწერება მიწოდების – პირველადი ოპერაციის და კორექტირების ოპერაციებზე ცალ-ცალკე.

2. საფ-ში ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიტანება იმ სახით, როგორც ეს მითითებულია შესაბამის სტრიქონებსა და სვეტებში. ამასთან:

ა) მე-2 სტრიქონი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება ოპერაციის კორექტირება. სხვა შემთხვევაში, მასში იწერება ტირე „ –“;

ბ) თუ აქციზური საქონლის მიმწოდებელი არ წარმოადგენს ამ საქონელზე აქციზის გადამხდელს, ცხრილის მე-6 (აქციზის) სვეტში, იწერება ტირე „ –“;

გ) ცხრილის სტრიქონზე „სულ“ – აისახება მე-4, მე-5 და მე-6 სვეტების მონაცემთა ჯამები;

დ) მომსახურების გაწევის შემთხვევაში, მე-7 უჯრაში იწერება „ –“ (ტირე), ხოლო მე-8 უჯრაში მიეთითება:

დ.ა) მომსახურების გაწევის თარიღი, თუ მომსახურების გაწევის დრო ერთ დღეს არ აღემატება;

დ.ბ) საანგარიშო პერიოდი სიტყვიერად, თუ მომსახურების გაწევის დრო ერთ დღეს აღემატება;

ე) საქონლის გამყიდველის (მიმწოდებელი) ან/და მომსახურების გამწევი პირის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ბეჭდით დადასტურება ხდება მისი (ბეჭდის) არსებობის შემთხვევაში.

3. (ამოღებულია - 30.12.2020, №326).

4. საქონლის მრავალსახეობის დროს საფ-ის დანართში (დანართი №III-07) იწერება იმ საფ-ის სერია და ნომერი, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მოცემული დანართი, ხოლო საფ-ის ცხრილის პირველ სვეტში კეთდება ჩანაწერი დანართის მიხედვით მიწოდებული საქონლის რაოდენობის (დასახელების) შესახებ.

5. საფ-ის დანართში ინფორმაცია შეიტანება იმ სახით, როგორც ეს გათვალისწინებულია საფ-ში. საფ-ის დანართის მე-4, მე-5 და მე-6 სვეტების ჯამები იწერება შესაბამისად საფ-ის მე-4, მე-5 და მე-6 სვეტებში. დანართის ბოლოს უჯრებში იწერება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი სასაქონლო ზედნადებების ნომერი და გამოწერის თარიღი.

6. საფ-ის და მისი დანართის შევსების თარიღი უნდა იყოს ერთიდაიგივე და ჩანაწერები დასტურდებოდეს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

<p 7.="" class="abzacixml">7. საქონლის მყიდველის (მიმღების) მოთხოვნის შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდში ერთზე მეტი სასაქონლო ზედნადებით საქონლის მიწოდებისას, შესაძლებელია გამოიწეროს და გაიცეს მიწოდებების ჯამური მონაცემების ამსახველი დანართი №III-05 ფორმის ერთი საფ-ი. ამ შემთხვევაში, სავალდებულოა საფ-ის დანართის (დანართი №III-07) გამოყენება, გარდა ელექტრონული ფორმის საფ-ის გამოწერის შემთხვევისა,რომელშიც იწერება იმ საფ-ის სერია და ნომერი, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მოცემული დანართი. საფ-ის დანართში ინფორმაცია შეიტანება იმ სახით, როგორც ეს გათვალისწინებულია საფ-ში. საფ-ის ცხრილის პირველ სვეტში კეთდება ჩანაწერი დანართის მიხედვით, თუ რამდენი დასახელების საქონლის მიწოდება განხორციელდა სასაქონლო ზედნადებებით, ხოლო მე-4, მე-5 და მე-6 სვეტებში მონაცემები იწერება საფ-ის დანართის მე-4, მე-5 და მე-6 სვეტების ჯამების შესაბამისად. ამასთან, საფ-ის მე-7 და მე-8 სტრიქონები არ ივსება.

7^1. მომსახურების მყიდველის (მიმღების) მოთხოვნის შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდში გაწეულ მომსახურებებზე, შესაძლებელია გამოიწეროს და გაიცეს მიწოდებების ჯამური მონაცემების ამსახველი დანართი №III-05 ფორმის ერთი საფ-ი. ამ შემთხვევაში, სავალდებულოა საფ-ის დანართის (დანართი №III-07) გამოყენება, გარდა ელექტრონული ფორმის საფ-ის გამოწერის შემთხვევისა, რომელშიც იწერება იმ საფ-ის სერია და ნომერი, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მოცემული დანართი. საფ-ის დანართში ინფორმაცია შეიტანება იმ სახით, როგორც ეს გათვალისწინებულია საფ-ში. საფ-ის ცხრილის პირველ სვეტში კეთდება ჩანაწერი დანართის მიხედვით, თუ რამდენი დასახელების მომსახურების მიწოდება განხორციელდა, ხოლო მე-4, მე-5 და მე-6 სვეტებში მონაცემები იწერება საფ-ის დანართის მე-4, მე-5 და მე-6 სვეტების ჯამების შესაბამისად.

8. ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციაზე საფ-ის გამოწერისას, დღგ-ის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონებზე იწერება „ 0“ (ნული).

9. საფ-ში არასწორად (შეცდომით) შეტანილი რეკვიზიტების (დღგ-ის თანხის გარდა) გასწორების მიზნით, საფ-ის ეგზემპლარებში არასწორი მონაცემები გადაიხაზება და მათ თავზე მიეთითება დაზუსტებული მონაცემები. გადასწორების ფაქტი დასტურდება ხელმოწერით და ბეჭდით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №444 – ვებგვერდი, 23.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №354 – ვებგვერდი, 27.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 53[1]. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის შემთხვევაში

1. დანართი №III-05[1] ფორმის საფ-ი (გარდა ელექტრონული ფორმის საფ-ისა) გამოიწერება 2 ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. საფ-ი გამოიწერება მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის შემთხვევაში და კორექტირების შემთხვევაში ცალ-ცალკე.

2. დანართი №III-05[1] ფორმის საფ-ში ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიტანება იმ სახით, როგორც ეს მითითებულია შესაბამის სტრიქონებსა და სვეტებში. ამასთან:
ა) მე-2 სტრიქონი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება ოპერაციის კორექტირება. სხვა შემთხვევაში, მასში იწერება ტირე „ –“;
ბ) ცხრილის პირველი, მე-2 და მე-3 სვეტების შევსება სავალდებულო არ არის;
გ) ცხრილის მე-4 სვეტში მიეთითება საქონლის მიწოდებამდე ან მომსახურების გაწევამდე გადახდილი მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხა/თანხის ნაწილი;
დ) ცხრილის სტრიქონზე „სულ“ – აისახება მე-4 და მე-5 სვეტების მონაცემთა ჯამები;
ე) საქონლის გამყიდველის (მიმწოდებელი) ან/და მომსახურების გამწევი პირის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ბეჭდით დადასტურება ხდება მისი (ბეჭდის) არსებობის შემთხვევაში.

3. კორექტირების შემთხვევაში დანართი №III-05[1] ფორმის საფ-ის რეკვიზიტები ივსება ამ მუხლით დადგენილი წესით. ამასთან, ცხრილის შესაბამის სვეტებში მონაცემები აისახებ ორ სტრიქონად: კორექტირებამდე და კორექტირების შემდეგ. სტრიქონზე „სულ“ აისახება მე-4 და მე-5 სვეტებში „კორექტირებამდე“ და „კორექტირების შემდეგ“ სტრიქონებზე ასახული მონაცემების ჯამებს შორის სხვაობა.

4. ელექტრონული ფორმის დანართი №III-05[1] ფორმის საფ-ში კორექტირების შემთხვევაში მიეთითება კორექტირების შემდეგ არსებული მონაცემები.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.

მუხლი 54. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა

1. დანართი №III-05 და დანართი №III-05[1] ფორმის შევსებული საფ-ის პირველი ეგზემპლარი საქონლის/მომსახურების მყიდველს (მიმღებს) წარედგინება მოთხოვნიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო დანართი №III-06 ფორმის შევსებული საფ-ის პირველი ეგზემპლარი – მიწოდებისთანავე. საფ-ის მეორე ეგზემპლარები რჩება საქონლის/მომსახურების გამყიდველს (მიმწოდებელს).

2. საფ-ის მონაცემები შეიტანება საგადასახადო ორგანოში წარსადგენ დღგ-ის დეკლარაციაში, ხოლო გადამხდელებთან არსებული ეგზემპლარები საგადასახადო ორგანოს კონტროლის მიზნით წარედგინება მხოლოდ მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

3. დაუშვებელია საქონლის (მომსახურების) მიმწოდებლის მიერ, არასწორად შევსებული (შეცდომით შეტანილი რეკვიზიტებით) საფ-ის მიცემა მყიდველისათვის (მიმღებისათვის). გაუქმების მიზნით, გადასახადის გადამხდელის მიერ არასწორად შევსებული საფ-ების (გარდა ელექტრონული ფორმის საფ-ისა) ყველა ეგზემპლარი წარედგინება საგადასახადო ორგანოს ამ ორგანოდან საფ-ების შემდგომი გატანისას, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო წლის 15 იანვრისა.

4. თუ საგადასახადო ორგანომ დღგ-ის გადამხდელისაგან მოითხოვა იმ საფ-ების წარდგენა, რომლებიც მისგან ამოღებულია საგამოძიებო და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გადამხდელს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოში წარადგინოს ამოღებული საფ-ების ქსეროასლები და ამ ორგანოების სათანადო პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ცნობა შესაბამისი საფ-ების ამოღების შესახებ, ხოლო ამოღებული საფ-ების დაბრუნების შემდეგ – მათი დედნები.

5. შეუვსებელი ან შევსებული (რომელიც არ გაცემულა მყიდველზე) საფ-ის დაკარგვის შემთხვევაში, გადამხდელი დაუყოვნებლივ აცნობებს საგადასახადო ორგანოს ამ საფ-ის გაუქმების მიზნით. ამასთან, შევსებული (რომელიც არ გაცემულა მყიდველზე) საფ-ის დაკარგვის შემთხვევაში, იგივე დასაბეგრ ოპერაციაზე იმავე თარიღით გამოიწერება ახალი საფ-ი, რომელზედაც შენიშვნის სახით აღინიშნება დაკარგული საფ-ის სერია და ნომერი.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც საფ-ის გამოწერის და მყიდველისათვის გადაცემის შემდეგ, გამყიდველი დაკარგავს საფ-ის თავის ეგზემპლარს, მას უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დაკარგული საფ-ის მყიდველთან არსებული პირველი ეგზემპლარის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ხოლო თუ მყიდველმა დაკარგა საფ-ის თავისი (პირველი) ეგზემპლარი, მას შეუძლია წარადგინოს გამყიდველთან არსებული მე-2 ეგზემპლარის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №421 – ვებგვერდი, 02.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №444 – ვებგვერდი, 23.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №272 – ვებგვერდი, 16.08.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.

მუხლი 55. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა კორექტირების შემთხვევაში

1. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირებისას საფ-ი გამოიწერება იმ შემთხვევაში, თუ ამ ოპერაციაზე (მიწოდებისას) გამოწერილი იყო საფ-ი.

2. კორექტირების შემთხვევაში საფ-ის რეკვიზიტები ივსება 53-ე მუხლში მოცემული წესით. ამასთან,

ა) ცხრილის შესაბამის სვეტებში – მონაცემები მიწოდებული საქონლის (მომსახურების) რაოდენობის, კომპენსაციის და გადასახადის (დღგ, აქციზი) თანხის შესახებ, გარდა ელექტრონული ფორმის საფ-ისა, აისახება ორ სტრიქონად: კორექტირებამდე და კორექტირების შემდეგ. ელექტრონული ფორმის საფ-ში მიეთითება კორექტირების შემდეგ არსებული მონაცემები;

ბ) სტრიქონზე „ სულ” – ცხრილის მე-4, მე-5 და მე-6 სვეტებში „ კორექტირებამდე“ და „ კორექტირების შემდეგ“ სტრიქონებზე ასახული მონაცემების ჯამებს შორის სხვაობა;

გ) მე-7 და მე-8 სტრიქონები ივსება იმ შემთხვევაში, თუ კორექტირებას თან ახლდა საქონლის ტრანსპორტირება.

3. კორექტირებას დაქვემდებარებული საქონლის მრავალსახეობის დროს, გარდა ელექტრონული ფორმის საფ-ის გამოწერისა, გამოიყენება საფ-ის დანართი. ამასთან, დაცული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წესი.

4. ამ მუხლით დადგენილი წესით გამოწერილი საფ-ის წარდგენა მყიდველისათვის ხორციელდება 54-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.

მუხლი 56. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №353 - ვებგვერდი, 25.10.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №330 - ვებგვერდი, 10.11.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

თავი XIII[1]. საგადასახადო დოკუმენტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №310 - ვებგვერდი, 22.08.2018წ.

მუხლი 56[1] . საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 72[1] მუხლით გათვალისწინებული და №III-07[1]დანართით დამტკიცებული საგადასახადო დოკუმენტი ივსება ელექტრონულად ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას ან საქონლის ტრანსპორტირებით მიწოდებისას, ტრანპორტირების დაწყებამდე. საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება აგრეთვე საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში. დღგ-ის გადამხდელის მიერ საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება მიწოდების – პირველადი და კორექტირების ოპერაციებზე ცალ-ცალკე.

2. საგადასახადო დოკუმენტი ივსება შემდეგი წესით:

ა) პირველ სტრიქონში იწერება საგადასახადო დოკუმენტის სერია და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) მე-2 სტრიქონი ივსება მხოლოდ საგადასახადო დოკუმენტის კორექტირებისას;

გ) მე-3 სტრიქონში იწერება ოპერაციის შინაარსი, კერძოდ, მიეთითება:

გ.ა) ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში ასახული ნავთობპროდუქტების მიწოდება ან/და ტრანსპორტირება;

გ.ბ) ამ ინსტრუქციის №III-07[2] დანართში ასახული ხე-ტყის და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტების მიწოდება ან/და ტრანსპორტირება;

გ.გ) სხვა საქონლის მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე/მიწოდება ტრანსპორტირებით ან/და მომსახურების გაწევა;

გ.დ) დღგ-ის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელ საქონელზე/გასაწევ მომსახურებაზე გადახდილი საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის დაბეგვრა (ავანსი);

გ.ე) კორექტირება, როდესაც ადგილი აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების გარემოებიდან ერთ-ერთს:

გ.ე.ა) გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის, ხელახალი რეგისტრაციის დროს დღგ-ის გადამხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებად განხილული საქონლის არსებულ ნაშთზე;

გ.ე.ბ) შეცვლილია დასაბეგრი ოპერაციის სახე;

გ.ე.გ) ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;

გ.ე.დ) საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

შენიშვნა: კორექტირების „გ.ე.ა“ ან „გ.ე.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გარემოების არჩევისას არ ხორციელდება ნავთობპროდუქტების მიწოდების საგადასახადო დოკუმენტის კორექტირება.

დ) მე-4 სტრიქონი ივსება მე–3 სტრიქონის (ოპერაციის შინაარსის) შევსების შემდეგ და მიეთითება ოპერაციის ტიპი, კერძოდ:

დ.ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევისას ამ სტრიქონში მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი:

დ.ა.ა) საბითუმო მიწოდება;

დ.ა.ბ) საცალო მიწოდება;

დ.ა.გ) შიდა გადაზიდვა – პირის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის შიდა გადაზიდვა ან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საქონლის განკარგვისას (რეალიზაცია, პრივატიზება) შემძენის მიერ შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირება;

დ.ა.დ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირება;

დ.ა.ე) ექსპორტის პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან საბაჟო

პროცედურის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირება;

დ.ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის არჩევისას მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი:

დ.ბ.ა) მიწოდება ტრანსპორტირებით (საქონლის მიწოდება, რომელსაც თან ახლავს გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის ტრანსპორტირება);

დ.ბ.ბ) მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე (საქონლის მიწოდება, როდესაც საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არ იცვლება);

დ.ბ.გ) შიდა გადაზიდვა (საქონლის ტრანსპორტირება, როდესაც არ ხდება საქონლის მიწოდება);

დ.ბ.დ) უკან დაბრუნება (მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის გამყიდველისათვის/გამგზავნისათვის დაბრუნება);

დ.გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის არჩევისას, მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი:

დ.გ.ა) მიწოდება ტრანსპორტირებით (საქონლის მიწოდება, რომელსაც თან ახლავს გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის ტრანსპორტირება);

დ.გ.ბ) მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე (საქონლის მიწოდება, როდესაც საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არ იცვლება);

დ.გ.გ) დისტრიბუცია (საქონლის მიწოდება გამყიდველის/გამგზავნის თანამშრომლების (დისტრიბუტორების) მიერ. აგრეთვე, მომსახურების გაწევის ხელშეკრულების ფარგლებში ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირის მიერ);

დ.გ.დ) შიდა გადაზიდვა (საქონლის ტრანსპორტირება, როდესაც არ ხდება საქონლის მიწოდება):

დ.გ.დ.ა) შიდა გადაზიდვა – საქონლის გადაადგილება ერთი ადგილიდან/ობიექტიდან მეორეზე;

დ.გ.დ.ბ) შიდა გადაზიდვა საკურიერო – საკურიერო მომსახურებისას საქონლის გადაადგილება;

დ.გ.ე) უკან დაბრუნება (მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის გამყიდველისათვის/გამგზავნისათვის დაბრუნება);

დ.დ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას მე-4 სტრიქონი არ ივსება;

დ.ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის არჩევისას „ოპერაციის ტიპი“ ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს საქონლის უკან დაბრუნებას და გამოწერილია უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტი და მიეთითება „უკან დაბრუნება დოკუმენტით“;

ე) მე-5 სტრიქონში მიეთითება ოპერაციის განხორციელების თარიღი (რიცხვი, თვე (სიტყვიერად) წელი). ამასთან, მომსახურების კალენდარული თვის მანძილზე უწყვეტად, რეგულარულად გაწევისას ან/და თვის განმავლობაში გაწეული მომსახურებების ჯამური მაჩვენებლის არსებობისას – მიეთითება თვის ბოლო რიცხვი;

ვ) მე-6 სტრიქონში მიეთითება საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/შექმნის თარიღი (რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი);

ზ) მე-7 სტრიქონში მიეთითება ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) მე-8 და მე-9 სტრიქონებში იწერება გამყიდველის და მყიდველის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი. ამასთან, თუ ადგილი აქვს საქონლის შიდა გადაზიდვას, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც გადამზიდავი ახდენს ფლობა/განკარგვის უფლებით გადაცემული საქონლის ტრანპორტირებას, ამავე გრაფაში მიეთითება გამგზავნის და მიმღების დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაიო ნომერი/პირადი ნომერი;

ი) მე-10 და მე-11 სტრიქონებში იწერება ტრანსპორტირების დაწყების და დასრულების ადგილი (მისამართი);

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ნავთობპროდუქტის გადაცემა ხორციელდება ერთი სატრანსპორტო საშუალებით რამდენიმე საბოლოო მომხმარებელზე და შეუძლებელია ტრანსპორტირების ზუსტი მარშრუტის დადგენა, ამ შემთხვევაში გამოიწერება ერთი საგადასახადო დოკუმენტი, რომლის მე-11 სტრიქონი არ ივსება.

კ) მე-12 სტრიქონი ივსება მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევისას და მიეთითება ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დაწყების ადგილის (ნავთობის გადამუშავების, ნავთობბაზის, ავტოგასამართი სადგურის და საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული ნავთობის დისტილატების სხვა სტაციონარული ობიექტის) ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი;

ლ) მე-13 სტრიქონი ივსება მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევისას და მიეთითება ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დამთავრების ადგილის (ნავთობის გადამუშავების, ნავთობბაზის, ავტოგასამართი სადგურის და საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული ნავთობის დისტილატების სხვა სტაციონარული ობიექტის) ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი. ამ ინსტრუქციის №III-08 დანართის მე-2 სტრიქონზე დასახელებული საქონლის (ნავთობის ბიტუმი) რეალიზაციისას (გადაზიდვისას) ან ნავთობპროდუქტის გადაადგილებისას ისეთ ადგილებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული საგადასახადო ორგანოში, როგორც ნავთობის დისტილატების სტაციონარული ობიექტი, აღნიშნული გრაფა არ ივსება;

მ) საგადასახადო დოკუმენტის ცხრილი ივსება შემდეგი წესით:

მ.ა) პირველ სვეტში მიეთითება საქონლის/მომსახურების დასახელება, ამასთან, საქონლის და მომსახურების ერთდროულად მიწოდებისას, ცხრილში მონაცემები მიეთითება ცალ-ცალკე. აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას;

მ.ბ) მე-2 სვეტში მიეთითება საქონლის კოდი (გადასახადის გადამხდელის მიერ ნებისმიერი კომბინაციით

შექმნილი ან საბუღალტრო პროგრამაში არსებული ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით განსაზღვრული კოდი), გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევის შემთხვევისა, რომლის დროსაც მიეთითება ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში ასახული ნავთობპროდუქტის სეს ესნ კოდი. ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას;

მ.გ) მე-3 სვეტში მიეთითება ზომის ერთეული. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევის შემთხვევაში, პირველ სტრიქონზე აისახება ზომის ერთეული ლიტრებში, ხოლო მე-2 სტრიქონზე - ზომის ერთეული კგ-ში. ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას ან/და მომსახურების გაწევისას;

მ.დ) მე-4 სვეტში მიეთითება საქონლის რაოდენობა. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევის შემთხვევაში, სვეტის პირველ სტრიქონზე მიეთითება მიწოდებული საქონლის რაოდენობა ლიტრებში, ხოლო ამავე სვეტის მე-2 სტრიქონზე – მიწოდებული საქონლის რაოდენობა კგ-ში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მე-4 სვეტის პირველ სტრიქონზე მითითებულია საქონლის რაოდენობა ლიტრებში. ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას ან/და მომსახურების გაწევისას;

მ.ე) მე-5 სვეტში მიეთითება საქონლის ერთეულის ფასი (დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე დღგ-ის და აქციზის ჩათვლით). ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“, „დ.ა.გ“ „დ.ა.დ“, „დ.ა.ე“, „დ.ბ.გ“ და „დ.გ.დ“ ქვეპუნქტების არჩევისას ან/და მომსახურების გაწევისას;

მ.ვ) მე-6 სვეტში მიეთითება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საკომპესაციო თანხა (დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის, აქციზურ საქონელზე დღგ-ის და აქციზის ჩათვლით) ან მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხა/თანხის ნაწილი (ავანსი), თუ თანხის გადახდა დღგ-ის გადამხდელისთვის ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე. ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ა.გ“ „დ.ა.დ“, „დ.ა.ე“, „დ.ბ.გ“ და „დ.გ.დ“ ქვეპუნქტების არჩევისას;

მ.ზ) მე-7 სვეტიდან აირჩევა დღგ-ით დაბეგვრის ერთ-ერთი პირობა:

მ.ზ.ა) დასაბეგრი;

მ.ზ.ბ) დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული;

მ.ზ.გ) დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული;

მ.თ) მე-8 სვეტში დღგ-ის გადამხდელის მიერ მიეთითება დღგ-ის თანხა, მე-7 სვეტში „დასაბეგრი“ ოპერაციის არჩევისას. „დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული“ ოპერაციის არჩევისას – „0“, ხოლო „ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული“ ოპერაციის არჩევის შემთხვევაში დღგ-ის გრაფა არ ივსება. აღნიშნული სვეტი არ ივსება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ა.გ“ „დ.ა.დ“, „დ.ა.ე“, „დ.ბ.გ“ და „დ.გ.დ“ ქვეპუნქტების არჩევისას;

მ.ი) მე-9 სვეტში, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, მიეთითება აქციზის თანხა, სხვა შემთხვევაში – აღნიშნული სვეტი არ ივსება;

მ.კ) მე-10 სვეტი ივსება მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მიეთითება:

მ.კ.ა) ამავე ცხრილის პირველ სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებული თითოეული მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის სპეციალური ფირნიშის ერთი კონკრეტული ნომერი. სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება ასევე სავალდებულოა მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის შემდგომში – პროდუქტი) ტრანსპორტირებისას (გარდა ამავე პუნქტის შენიშვნით გათვალისწინებული შემთხვევისა), მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მიწოდება, მისი ტრანსპორტირების ნებისმიერ ეტაპზე. ამასთან, ცხრილის პირველ სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებულ, კონკრეტული დასახელების თითოეულ პროდუქტზე, ცხრილის მე-9 სვეტში სავალდებულოა მიეთითოს შესაბამისი ერთი კონკრეტული სპეციალური ფირნიშის ნომერი, რომლით მარკირებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან/და ხე-მცენარის გადამუშავების შედეგადაც არის მიღებული პროდუქტი. იმ შემთხვევაში, თუ ერთი დასახელების პროდუქტი მიღებულია სხვადასხვა სპეციალური ფირნიშით მარკირებული ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარისგან, თითოეულისაგან მიღებული პროდუქტი, ასევე ცალ-ცალკე იწერება ცხრილის პირველ სვეტში რიგითი ნომრის მიხედვით;

მ.კ.ბ) ამავე ცხრილის პირველ სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებულ მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების თითოეულ პროდუქტზე, ამ პუნქტის „მ.კ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის“ (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, შემდგომში – რეგლამენტი) №14 დანართით გათვალისწინებული, მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ ცნობის (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, შემდგომში – ცნობა) ნომერი, თუ რეგლამენტით განსაზღვრული სახერხი საამქროდან მრგვალი ხე-ტყის

(მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტი გატანილია ამავე რეგლამენტით გათვალისწინებულ ელექტრონულ ჟურნალში ცნობის გენერირების სახერხი საამქროსათვის ვალდებულების დადგენის მომენტიდან;

შენიშვნა: ცხრილის მე-10 სვეტში სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება სავალდებულო არ არის:

1) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირებისას, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მიწოდება;

2) წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის ტრანსპორტირებისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დადგენილი წესით დაფირნიშებული წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსისა;

3) მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას ამ პუნქტის „ღ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

4) იმპორტირებული, მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას;

5) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „მ.კ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ნ) მე-14 სტრიქონში მიეთითება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდის შემთხვევაში გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის (მათ შორის, კორექტირების) სერია/ნომერი, გამოწერის თარიღი და დღგ-ის თანხა;

შენიშვნა: მე-14 სტრიქონში ავანსზე გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის დღგ-ის თანხის გრაფაში მიეთითება ის თანხა, რომელსაც იყენებს პირი საანგარიშო პერიოდში მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების მიხედვით დასარიცხი დღგ-ის თანხის გასანაშთად/ შესამცირებლად. ამასთან, ეს თანხა (ჯამურად) არ უნდა აღემატებოდეს ავანსზე გამოწერილ საგადასახადო დოკუმენტში დაფიქსირებულ დღგ-ის თანხას.

ო) მე-15 სტრიქონში მიეთითება საქონლის უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტის სერია/ნომერი, გამოწერის თარიღი;

პ) მე-16 სტრიქონში საქონლის ტრანპორტირების შემთხვევაში მიეთითება ტრანსპორტირების დაწყების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) და დრო (საათი, წუთი);

ჟ) მე-17 სტრიქონში იწერება ტრანსპორტირების სახე:

ჟ.ა) საავტომობილო;

ჟ.ბ) სარკინიგზო;

ჟ.გ) საავიაციო;

ჟ.დ) საზღვაო;

ჟ.ე) მილსადენი;

ჟ.ვ) გადამზიდავი საავტომობილო;

ჟ.ზ) სხვა;

რ) მე-18 სტრიქონში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ.ა“ და „ჟ.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იწერება გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი ლარებში. თუ ტრანსპორტირება ხორციელდება მყიდველის/მიმღების ან გამყიდველის/გამგზავნის საკუთრებაში ან სარგებლობაში (იჯარა) არსებული სატრანსპორტო საშუალებით, აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

ს) მე-19 სტრიქონში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ.ა“ და „ჟ.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხევებში, იწერება იმ სატრანსპორტო საშუალების ნომერი, რომლითაც ხდება საქონლის გადაზიდვა. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სარკინიგზო გადაზიდვისას მიეთითება ვაგონის ნომერი. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

ტ) მე-20 სტრიქონში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ.ა“ და „ჟ.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იწერება სატრანსპორტო საშუალების მძღოლის სახელი და გვარი. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

უ) 21-ე სტრიქონში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ.ა“ და „ჟ.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იწერება სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

ფ) 22-ე სტრიქონში მიეთითება გადამზიდავის სახელწოდება ან სახელი და გვარი. აღნიშნული სტრიქონი ივსება იმ შემთხვევაში, თუ შევსებულია 21-ე სტრიქონი;

ქ) 23-ე სტრიქონში მიეთითება გადამზიდავის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი. აღნიშნული სტრიქონი ივსება იმ შემთხვევაში, თუ შევსებულია 21-ე სტრიქონი;

ღ) 24-ე სტრიქონი ივსება მხოლოდ ოპერაციის შინაარსში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოპერაციის არჩევისას და მიეთითება მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე/მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის წარმოშობის, შეძენის ან იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი, კერძოდ:

ღ.ა) მრგვალი ხე-ტყის (მორი) ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ლიცენზიის ან შესაბამისი გრძელვადიანი

ტყითსარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე დადგენილი წესით გაცემული – ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01[3] დანართით გათვალისწინებული ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07[1] ფორმის საგადასახადო დოკუმენტი;

ღ.ბ) ხე/მცენარის ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე/მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა ან/და დადგენილი წესით გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01[3] დანართით გათვალისწინებული ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07[1] ფორმის საგადასახადო დოკუმენტი;

ღ.გ) იმპორტის შემთხვევაში – იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

ღ.დ) სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის და მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

ღ.ე) სსიპ – ეროვნულის სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრებით მიღებული ხე-ტყის (მორის) შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი;

ღ.ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე/მცენარის და მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის პირის (მათ შორის, სახელმწიფოს) საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში – სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ღ.ზ) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყისა (მორის) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01[3] დანართით გათვალისწინებული ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07[1] ფორმის საგადასახადო დოკუმენტი;

ყ) 25-ე სტრიქონი ივსება მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კერძოდ:

ყ.ა) იმპორტის შემთხვევაში მიეთითება საქონლის საბაჟო დეკლარაციის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი, ხოლო სხვა შემთხვევაში აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

ყ.ბ) ნავთობპროდუქტის შეძენისას გამოწერილი შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნსაფ-ის ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07[1] ფორმის საგადასახადო დოკუმენტი (სერია, ნომერი და გამოწერის თარიღი);

ყ.გ) სხვა შემთხვევებში (მოპოვება, წარმოება, შეძენა ნსაფ-ის ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07[1] ფორმის საგადასახადო დოკუმენტის გარეშე, შეძენა აუქციონზე, მიღება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) – შესაბამისი დოკუმენტის დასახელება და რეკვიზიტები. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მიღებულია ნავთობპროდუქტების გადამუშავებით, ამ სტრიქონში მიეთითება ძირითადი ნედლეულის (რომლის რაოდენობაც აჭარბებს დანარჩენი ნედლეულის რაოდენობას) შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი;

შენიშვნა: აღნიშნული სტრიქონის შევსება სავალდებულო არ არის ნავთობპროდუქტის საცალო მიწოდების შემთხვევაში.

შ) მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონზე მიეთითება მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის/მომსახურების მიღების დადასტურების თარიღი, სხვა შემთხვევაში (მ.შ. კორექტირებისას) ოპერაციის დადასტურებისას – დასტურის თარიღი;

შენიშვნა: 26-ე სტრიქონი არ ივსება დისტრიბუციისა და შიდა გადაზიდვის შემთხვევებში.

ჩ) 27-ე და 28-ე სტრიქონებში შესაბამისად მიეთითება გამყიდველის/გამგზავნის და მყიდველის/მიმღების ხელმოწერა.

3. საგადასახადო დოკუმენტი გამოწერილად ითვლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისას:

ა.ა) თუ მიწოდება ხდება ტრანსპორტირებით, გამომწერის მიერ ინსტრუქციით დადგენილი წესის მიხედვით საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ, აღნიშნული გადაეგზავნება მყიდველს ოპერაციაზე დასტურის მიზნით. მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღის) შევსების შემდეგ, გამომწერი ავსებს მე-16 სტრიქონს (ტრანსპორტირების დაწყების თარიღს და დროს). საგადასახადო დოკუმენტი გამოწერილად ითვლება ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითებიდან;

ა.ბ) თუ მიწოდება ხდება ტრანსპორტირების გარეშე, გამომწერის მიერ ინსტრუქციით დადგენილი წესის მიხედვით საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ, აღნიშნული გადაეგზავნება მყიდველს ოპერაციაზე დასტურის მიზნით. საგადასახადო დოკუმენტი გამოწერილად ითვლება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღის) შევსების შემდეგ;

შენიშვნა: ფიზიკური პირის მიერ, გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ან/და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, საცალო მიწოდებაზე საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას საგადასახადო დოკუმენტი არ საჭიროებს მყიდველის მხრიდან დადასტურებას.

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისას:

ბ.ა) ტრანსპორტირებით საქონლის მიწოდებისას გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების

შევსების შემდეგ ხდება მე-16 სტრიქონში ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითება, რის შემდეგაც აღნიშნული დოკუმენტი დასრულებულია ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და საქონლის ნაშთის განსაზღვრის მიზნებისათვის. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (საქონლის მიღებაზე დასტურის თარიღის) შევსების შემთხვევაში;

ზ.ბ) თუ საქონლის მიწოდება ხდება ტრანსპორტირების გარეშე, გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტში მონაცემების სრულად შევსების შემდეგ, დოკუმენტზე ნომრის მინიჭება ითვლება დოკუმენტის დასრულებად რეალიზაციისა და საქონლის ნაშთის განსაზღვრის მიზნებისათვის. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღის) შევსების შემთხვევაში;

გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისას:

გ.ა) თუ ადგილი აქვს საქონლის მიწოდებას ტრანსპორტირებით, გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ, ხდება მე-16 სტრიქონში ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითება, რისი შევსების შემდეგაც აღნიშნული დოკუმენტი დასრულებულია ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და საქონლის ნაშთის განსაზღვრის მიზნებისათვის. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება 26-ე სტრიქონის (საქონლის მიღებაზე დასტურის თარიღის) შევსების შემთხვევაში;

გ.ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის ტრანსპორტირების გარეშე მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას, გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების სრულად შევსების შემდეგ, დოკუმენტზე ნომრის მინიჭება ითვლება დოკუმენტის დასრულებად რეალიზაციისა და საქონლის ნაშთის განსაზღვრის მიზნებისათვის. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (მომსახურების მიღებაზე/ოპერაციაზე დასტურის თარიღის) შევსების შემთხვევაში;

დ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელ საქონელზე/გასაწევ მომსახურებაზე გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე/თანხის ნაწილზე საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას გამომწერის მიერ ინსტრუქციით დადგენილი წესის მიხედვით საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების სრულად შევსების შემდეგ, დოკუმენტზე ნომრის მინიჭება ითვლება დოკუმენტის დასრულებად. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღი) შევსების შემთხვევაში;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კორექტირების პირობის დადგომისას საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, საგადასახადო დოკუმენტის ცხრილში აისახება კორექტირების შედეგად მიღებული საბოლოო მონაცემები. საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ, აღნიშნული გადაეგზავნება მყიდველს, ოპერაციაზე დასტურის მიზნით. საგადასახადო დოკუმენტი გამოწერილად ითვლება მყიდველის მიერ საგადასახადო დოკუმენტის 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღი) შევსებისთანავე;

შენიშვნა: კორექტირების პირობა აირჩევა აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის მიერ საქონლის მიღებაზე/ოპერაციაზე დასტურის თარიღის შევსების გარეშე გამყიდველის მიერ საგადასახადო დოკუმენტი წარდგენილია დღგ-ის დეკლარაციით.

ვ) მიუხედავად ამ პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებებისა, ფიზიკურ პირებზე, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, საქონლის მიწოდებისას/მომსახურების გაწევისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების შემთხვევისა, დოკუმენტი გამოწერილად ითვლება გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების სრულად შევსების შემდეგ დოკუმენტზე ნომრის მინიჭებისთანავე, ხოლო საქონლის ტრანსპორტირებით მიწოდებისას –მე-16 სტრიქონში ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითებისთანავე. აღნიშნულზე მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის მიღებაზე/ოპერაციის შესრულებაზე დასტური საჭირო არ არის.

4. საგადასახადო დოკუმენტში შეტანილი რეკვიზიტების ცვლილება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) პირის მიერ საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისა, გამომწერს უფლება აქვს განახორციელოს საგადასახადო დოკუმენტში შეტანილი რეკვიზიტების ცვლილება, გარდა გამოწერის თარიღის, ნომრის, ოპერაციის შინაარსის და ტიპისა;

ბ) (ამოღებულია - 05.02.2019, №31).

გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისას, გამოწერილ საგადასახადო დოკუმენტში არასწორად (შეცდომით) შეტანილი რეკვიზიტების გასწორება (გარდა გამოწერის თარიღის, ტიპის და ოპერაციის შინაარსისა) შესაძლებელია მხოლოდ მყიდველის მიერ საგადასახადო დოკუმენტის 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღი) შევსებამდე.

5. საქონლის ტრანსპორტირებით მიწოდებისას, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელია საგადასახადო დოკუმენტის მე-19, მე-20 და 21-ე სტრიქონებში გაკეთდეს ახალი ჩანაწერი საქონლის ტრანსპორტირების დასრულებამდე.

6. იმ შემთხვევაში, თუ პირს წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება და ვალდებულების წარმოშობის პერიოდის შემდგომ გამოწერილ საგადასახადო დოკუმენტში დღგ-ის თანხა არ არის მითითებული, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ, საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვის საფუძველზე, იგი უფლებამოსილია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-8 სვეტში მიუთითოს

დღგ-ის თანხა.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევისას:

ა) საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნავთობპროდუქტზე და მხოლოდ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე (სარკინიგზო გადაზიდვებისას – თითოეულ ვაგონზე);

ბ) თუ ნავთობპროდუქტის მიწოდება ხორციელდება ტალონებით ან/და ელექტრონული ფორმით აღრიცხული უნაღდო ანგარიშსწორებით, ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია, ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს დამატებით შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახის მიწოდებაზე გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის მე-11, მე-13, მე-16, მე-19-23-ე და 25-ე სტრიქონები არ ივსება, მე-10 სტრიქონში იწერება „საცალო“, მე-12 სტრიქონში კი – საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული შვიდნიშნა კოდი;

გ) თუ ნავთობპროდუქტის მიწოდება ხორციელდება ტალონებით ან/და ელექტრონული ფორმით აღრიცხული უნაღდო ანგარიშსწორებით, ამასთან, პირს არ აქვს საკუთრებაში/სარგებლობაში სტაციონარული ობიექტი და ნავთობპროდუქტი შეძენილი აქვს გამყიდველის საცავში შენახვისა და ტალონების საშუალებით შემდგომი რეალიზაციის პირობით, პირი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახით მიწოდებისას პირის მიერ საგადასახადო დოკუმენტი შეივსება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული წესის შესაბამისად, ხოლო ასეთი წესით რეალიზაციისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტის შეძენისას გამყიდველი საგადასახადო დოკუმენტის მე-13 სტრიქონზე უთითებს პირისათვის ზემოაღნიშნული სახით რეალიზაციისათვის მინიჭებულ შვიდნიშნა კოდს;

დ) პირი, რომელიც ახორციელებს ამ პუნქტის „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად შეძენილი ნავთობპროდუქტის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებას/გახარჯვას მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოტრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა), აღნიშნული ნავთობპროდუქტის კანონმდებლობით დადგენილი წესით ტრანსპორტირების შემთხვევაში (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ავზში ჩასხმული ნავთობპროდუქტისა), საწვავის მიღების ადგილიდან ზემოხსენებული ძირითადი საშუალების მდებარეობის ადგილამდე გადაზიდვისას, თუ პირს არა აქვს აღნიშნულ მისამართზე საკუთრებაში/სარგებლობაში სტაციონარული ობიექტი, ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახით შეძენილი ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირებისას პირის მიერ შეივსება საგადასახადო დოკუმენტი, რომლის ოპერაციის ტიპში (მე-4 სტრიქონი) მიეთითება „შიდა გადაზიდვა“. ამასთან, საგადასახადო დოკუმენტის მე-10, მე-11 და მე-13 სტრიქონები არ ივსება, ხოლო 25-ე სტრიქონში ჩაიწერება შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მიღებული აქვს ამ პუნქტის „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად და მე-12 სტრიქონზე ჩაიწერება ნავთობპროდუქტის მესაკუთრის შვიდნიშნა კოდი, რომელიც არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას საგადასახადო დოკუმენტის მე-10-მე-13 და მე-14-25-ე სტრიქონები არ ივსება.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ა.გ“, „დ.ბ.გ“ და „დ.გ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევის (შიდა გადაზიდვა) არჩევისას საგადასახადო დოკუმენტის მე-9 სტრიქონში იწერება მე-8 სტრიქონის მონაცემები. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-5-მე-9 სვეტების შევსება სავალდებულო არ არის.

10. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ბ.ბ“ და „დ.გ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე) საგადასახადო დოკუმენტის მე-10 და მე-11 სტრიქონებში იწერება საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო დოკუმენტის მე-16-23-ე სტრიქონები არ ივსება.

11. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.გ.გ“ ქვეპუნქტის არჩევისას:

ა) დისტრიბუციის მიზნით დისტრიბუტორისათვის საქონლის სარეალიზაციოდ გადაცემისას, აგრეთვე საკუთარ რამდენიმე ობიექტზე ერთი სატრანსპორტო საშუალებით საქონლის გადატანა/გადაადგილებისას (შიდა გადაზიდვისას), საქონლის გამყიდველი/გამგზავნი ან საქონლის ჩამბარებელი საქონლის მთელ მოცულობაზე გამოწერს ერთიან საგადასახადო დოკუმენტს, რომელშიც არ ივსება საგადასახადო დოკუმენტის მხოლოდ მე-9 და მე-11 სტრიქონები, ხოლო საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-5-მე-9 სვეტების შევსება სავალდებულო არ არის;

ბ) დისტრიბუციის წესით გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტით ტრანსპორტირებული საქონლის მყიდველზე/მიმღებზე ჩაბარებისას, დისტრიბუტორი ავსებს საგადასახადო დოკუმენტს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლის ცხრილში შეიტანება მყიდველისთვის/მიმღებისათვის მისაწოდებელი/მისაღები საქონლის მონაცემებს.

12. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ბ.დ“ და „დ.გ.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქონლის უკან დაბრუნებისას, საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება გამყიდველის (საქონლის თავდაპირველად მიმწოდებლის, ვინც იბრუნებს აღნიშნულ საქონელს) მიერ. საქონლის გამყიდველის/გამგზავნის მიერ მე-10 სტრიქონში იწერება უკან დასაბრუნებელი საქონლის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, მე-11 სტრიქონში კი – უკან დასაბრუნებელი საქონლის საბოლოო დასაწყობების ადგილი, საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-4

სვეტში კი უკან დასაბრუნებელი/დაბრუნებული საქონლის ოდენობა. უკან დასაბრუნებელი საქონლის ტრანსპორტირების მიზნებისათვის საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-5-მე-9 სვეტების შევსება სავალდებულო არ არის. ტვირთის ტრანსპორტირების მიზნებისათვის, საგადასახადო დოკუმენტი გამოწერილად ჩაითვლება გამომწერის მიერ ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითებიდან. ამასთან:

ა) საქონლის უკან დაბრუნებისას საგადასახადო დოკუმენტში ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითების შემდეგ გამომწერს (რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი) ან დღგ-ის გადამხდელს, რომლის მიერ საქონლის მიწოდებისას (რომლის უკან დაბრუნებაც წარმოებს) არ გამოწერილა მიწოდების საგადასახადო დოკუმენტი/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, უფლება აქვს დაარედაქტიროს/დაასრულოს აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტი ცხრილის რეკვიზიტების (ერთეულის ფასი, საქონლის/მომსახურების ღირებულება, დღგ-სა და აქციზის თანხები ერთეულის ფასი, საქონლის/მომსახურების ღირებულების, დღგ-სა და აქციზის თანხები) სრულად მითითების მიზნით. აღნიშნულ შემთხვევაში საგადასახადო დოკუმენტი დასრულებულად ითვლება, მყიდველის მიერ ოპერაციაზე დასტურის შემდეგ. მყიდველს ოპერაციაზე დასტურის მიცემა შეუძლია მხოლოდ საგადასახადო დოკუმენტში მონაცემების (საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-5-მე-9 სვეტების) შევსების დასრულების შემდეგ;

ბ) დღგ-ის გადამხდელი პირის მიერ საქონლის უკან დაბრუნების საფუძვლის არსებობისას, როდესაც საქონლის მიწოდებაზე გამოწერილია საგადასახადო დოკუმენტი/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, შესაბამისი პერიოდის მიხედვით საქონლის მიწოდებისას გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტი ექვემდებარება კორექტირებას, რომლის დროსაც, თუ უკან დაბრუნებისას ტრანსპორტირების მიზნებისთვის გამოწერილია უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტი კორექტირების საგადასახადო დოკუმენტის მე-15 სტრიქონზე მიეთითება „უკან დაბრუნების დოკუმენტის“ ნომერი.

შენიშვნა:

1) დღგ-ის გადამხდელ პირს არ წარმოეშობა ტრანსპორტირების მიზნით გამოწერილი უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტის დეკლარირების ვალდებულება;

2) თუ ადგილი აქვს მყიდველის მიერ საქონლის გამყიდველთან უკან მიბრუნებას, გამყიდველის მიერ უკან დაბრუნების დოკუმენტის გამოწერის გარეშე, მყიდველი უფლებამოსილია უკან მისაბრუნებელი საქონლის ტრანსპორტირების მიზნებისთვის გამოწეროს საგადასახადო დოკუმენტი რომლის მე-4 სტრიქონში მიეთითება „შიდა გადაზიდვა“, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.გ.დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

13. საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა სავალდებულო არ არის შემდეგ შემთხვევებში:

ა) ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცალო მიწოდებისას. ამ დროს გამოიყენება საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მყიდველი ითხოვს საგადასახადო დოკუმენტის გამოწერას;

ბ) ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში აღნიშნულ (ექსპორტში მოქცეული) ნავთობპროდუქტებზე საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე ტრანსპორტირებისას. ამ შემთხვევაში, ტრანსპორტირების დოკუმენტად ითვლება საბაჟო დეკლარაცია;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში აღნიშნული საქონლის კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწოდების (მათ შორის, რეალიზაცია, პრივატიზება), ტრანსპორტირების და შენახვის შემთხვევაში;

დ) სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის ან/და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტებზე;

ე) ხე-ტყის მომპოვებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტყიდან დანიშნულების ადგილამდე (პირველადი დასაწყობების ან პირველად გადამამუშავებელ ობიექტამდე) ტრანსპორტირებისას;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ხე-მცენარეებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობით ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით ხე-მცენარეების მისი მესაკუთრის მიერ ტრანსპორტირებისას, გარდა მიწოდებისა;

ზ) აუქციონის შედეგების შესახებ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) და შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტით მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისას;

თ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით (ბრძანებით) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისას;

ი) შესაბამისი პირისათვის მომსახურების გასაწევად განკუთვნილი იმ სასაქონლო- მატერიალური ფასეულობის ტრანსპორტირებისას, რომელიც რჩება მომსახურების გამწევის საკუთრებაში;

კ) მკაცრი აღრიცხვის ფორმების ტრანსპორტირების შემთხვევაში;

ლ) სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის შემაფერხებელი ავარიული დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი საქონლის ტრანსპორტირებისას;

მ) იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის/მატერიალური საგნის (მიუხედავად მისი ფორმისა ან ბუნებისა) ტრანსპორტირებისას, რომლის გადაადგილება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24

სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხის“ შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

შენიშვნა: ამ პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი უნდა შედგეს ამავე ქვეპუნქტებში მითითებული მერქნული რესურსის ტრანსპორტირების დაწყებისთანავე. მიღება-ჩაბარების აქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება შედგენიდან არაუმეტეს 24 საათისა. ამასთან, ამ პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ბრძანებები შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე არ წარმოადგენს საგადასახადო დოკუმენტის გარეშე მერქნული რესურსის ტრანსპორტირების საფუძველს.

14. მომსახურების მყიდველის (მიმღების) მოთხოვნის შემთხვევაში, ერთ თვეში გაწეულ მომსახურებებზე, შესაძლებელია გამოიწეროს და გაიცეს მიწოდებების ჯამური მონაცემების ამსახველი ამ ინსტრუქციის დანართი №III-07[1] ფორმის ერთი საგადასახადო დოკუმენტი.

15. დღგ-ის გადამხდელის მიერ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირებისას საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება იმ შემთხვევაში, თუ ამ ოპერაციაზე (მიწოდებისას) გამოწერილი იყო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/საგადასახადო დოკუმენტი. კორექტირების შემთხვევაში საგადასახადო დოკუმენტი ივსება ამ მუხლით დადგენილი წესით. ამასთან, კორექტირების მიზნით გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის შესაბამის სვეტებში მიეთითება კორექტირების შემდეგ არსებული მონაცემები.

16. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის/მიმღების მიერ „საქონლის მიღებაზე/ოპერაციაზე დასტურზე“ თანხმობის შემთხვევაში, ხოლო კორექტირების შემთხვევაზე – მყიდველის მიერ ოპერაციაზე დასტურის შემთხვევაში.

17. საგადასახადო დოკუმენტი წარმოადგენს პირველად საგადასახადო დოკუმენტს. აღნიშნულის ელექტრონულად შევსების მიზნით, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია განახორციელოს რეგისტრაცია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

18. საქონლის ტრანსპორტირებისას ელექტრონული პროგრამიდან ამობეჭდილი საგადასახადო დოკუმენტის გამოყენება სავალდებულო არ არის. აღნიშნული შემთხვევა არ წარმოადგენს სამართალდარღვევას და პირს არ დაეკისრება დოკუმენტის გარეშე საქონლის ტრანსპორტირებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

19. ამ მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ამ ინსტრუქციის 51-ე მუხლის მე-4 - მე-6 პუნქტები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 16 ივლისის ბრძანება №221 - ვებგვერდი, 17.07.2019წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №209 - ვებგვერდი, 31.08.2020წ.

მუხლი 56[2]. საგადასახადო დოკუმენტის წარდგენა

1. დღგ-ის გადამხდელის მიერ ამ ინსტრუქციის დანართი №III-07[1] ფორმით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტის მონაცემები შეიტანება საგადასახადო ორგანოში წარსადგენ დღგ-ის დეკლარაციაში.
2. არასწორად ან არასრულად (რომელიმე რეკვიზიტის გარეშე) შევსებულ საგადასახადო დოკუმენტს იურიდიული ძალა არ გააჩნია და ჩათვლის დოკუმენტად არ განიხილება.
3. არასწორად შევსებული (შეცდომით შეტანილი რეკვიზიტებით) საგადასახადო დოკუმენტი ექვემდებარება გაუქმებას. მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის/მომსახურების მიღებაზე დასტურის მიცემის შემდეგ, გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საგადასახადო დოკუმენტის გაუქმებისას, საგადასახადო დოკუმენტი გაუქმებულად ითვლება გაუქმების ოპერაციაზე მყიდველის თანხმობის (დასტურის) შემთხვევაში.
4. ტრანსპორტირებით საქონლის მიწოდებისას, საქონლის მიღებაზე დასტურის შემდეგ საგადასახადო დოკუმენტი არ ექვემდებარება გაუქმებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის ბრძანება №31 - ვებგვერდი, 07.02.2019წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

დანართი №III-07[1] (ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №310 - ვებგვერდი, 22.08.2018წ.

დანართი №III-07[2]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №310 - ვებგვერდი, 22.08.2018წ.

№	ხე-ტყე და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც გამოიწერება საგადასახადო დოკუმენტი
ა)	მრგვალი ხე-ტყე (მორი) – ხე-ტყის ან ხე/მცენარის დამზადების შედეგად (მათ შორის, ძირნაყარი ხე-ტყისგან) მიღებული 12 სმ-ზე მეტი (წვრილი თავის ბოლოდან) დიამეტრის, ასევე დადგენილი წესით დაფირნიშებული წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი;
ბ)	მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტი, კერძოდ:
ბ.ა)	ფიცარი – სიგრძეზე დახერხილი მორის ნაწილი, რომლის სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ორჯერ და მეტად აღემატება სისქეს. ფიცარს აქვს ორი

	განიერი და ორი ვიწრო გვერდი;
ბ.ბ)	ძელი – სიგრძეზე დახერხილი ან გათლილი ხე (მორის ნაწილი), რომლის სისქე და სიგანე განივ ჭრილში 10 სანტიმეტრს აღემატება. ძელი შეიძლება იყოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოხერხილი;
ბ.გ)	ძელაკი – მცირე ზომის ძელი, სიგრძეზე გახერხილი მორის ნაწილი. მისი სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ნაკლებია ორმაგ სისქეზე;
ბ.დ)	შპალი – დახერხილი ხის მასალა, რომელიც გამოიყენება რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის ვაკისზე რელსების საყრდენად. შპალები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ძელისებური, ორმხრივ ჩამოხერხილი (ჩამოგანული) და სწორკუთხოვანი. შპალი შეიძლება იყოს
ბ.ე)	გაჟღენთილი ან გაუჟღენთავი;
ბ.ვ)	საპარკეტე ფრიზა – მცირე ზომის ნამზადი, რომლის შეშრობისა და მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება პარკეტი;
ბ.ზ)	შავად ნამზადი დეტალი – გარკვეული პროდუქტის მისაღებად საჭირო ზომისა და ფორმის ნამზადი, რომლის მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება
ბ.თ)	სასურველი სახის დეტალი;
გ)	ფანერა (შპონი) – სპეციალურ დაზგა-დანადგარზე მერქნის დაშლით მიღებული და გარკვეული ზომის ფორმატებად დაჭრილი ან მერქნის მცირე სისქის ანათლებად აჭრილი პროდუქტი;
დ)	დაპობილ-დაჩეხილი სათბობი შეშა;
	ხე-მცენარეები – თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებული ხე-მცენარეები, მათ შორის, კაკლის, ბალამწარას, წაბლისა და თუთის სახეობები (გარდა სხვა ხილ-კენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა);
	ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილ მრგვალ ხე-ტყე (მორი) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყეზე.

მუხლი 56[3]. დღგ-ის გადახდისაგან თავის არიდების, მათ შორის უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრირების ღონისძიებები

1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს შეუჩეროს ამ ინსტრუქციის 51-ე და 56[1] მუხლებით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების (ელექტრონული ფორმით გამოწერის/დადასტურების ან/და ჩათვლის მიღების) უფლება ან/და პირს უარი უთხრას აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემაზე:

ა) დღგ-ის გადახდისაგან თავის არიდების, მათ შორის, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას. ამ შემთხვევაში საქმის მასალები გადაიგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში;

ბ) შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნისას (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში);

გ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე და მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია არ დაეკისრება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნით (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში) ან თუ გამოძიებით არ დადასტურდა უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ფაქტი;

ბ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევაში.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, სწორი და ეფექტიანი რისკის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სამართავად, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გამოითხოვოს და გამოიყენოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაცული პერსონალური მონაცემები (გარდა განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული მონაცემებისა), დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) გადამხდელად რეგისტრირებული პირების შესახებ.

5. ოპერაცია უსაქონლოდ ან/და გარიგება ფიქტიურად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ოპერაცია ან გარიგება არ განხორციელებულა იმ პირებს შორის, რომლებიც აღნიშნულია ოპერაციის ან

გარიგების დამადასტურებელ დოკუმენტებში (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საგადასახადო დოკუმენტი, სასაქონლო ზედნადები ან სხვა).

6. მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქონლის/მომსახურების მიმწოდებელს არ გააჩნია მიწოდებული საქონლის/მომსახურების შესყიდვის ან მასზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს საკმარის საფუძვლად, რათა ოპერაცია ჩაითვალოს უსაქონლოდ ან/და გარიგება ფიქტიურად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 8 დეკემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 09.12.2021წ.

თავი XIV. ნავთობპროდუქტების ოპერაციების აღრიცხვა

მუხლი 57. ნავთობპროდუქტების ოპერაციების აღრიცხვის სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

1. საქართველოს ტერიტორიაზე №III-08 დანართში აღნიშნული ნავთობპროდუქტების შეძენა, ტრანსპორტირება, შენახვა და მიწოდება (მათ შორის, რეალიზაცია) ხორციელდება დანართი №III-09 ფორმის ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით (შემდგომში – „ნსაფ“), გარდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ №III-08 დანართში აღნიშნული საქონლის კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწოდების (მათ შორის, რეალიზაცია, პრივატიზება), ტრანსპორტირების და შენახვის შემთხვევებისა.

2. ნსაფ-ი არის მკაცრი აღრიცხვის და საგანგებო დაცვის ნიშნის მქონე დოკუმენტი (გარდა ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისა), აქვს ორი ასოსგან შემდგარი სერია (გარდა კომპიუტერული ნსაფ-ისა) და ინდივიდუალური ნომერი. ნსაფ-ის სერია არის: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ან ექსპორტის პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ან პირის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის შიდა გადაზიდვისათვის ან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, საქონლის განკარგვისას (რეალიზაცია, პრივატიზება), შემძენის მიერ შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას – „აშ“, ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისთვის – „ეშ“, საბითუმო მიწოდებაზე – „ას“, ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისთვის – „ეს“, საცალო მიწოდებაზე – „აა“, ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისთვის – „ეა“.

3. კომპიუტერულ ნსაფ-ს აქვს სამი ასოსგან შემდგარი სერია და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი. კომპიუტერული ნსაფ-ის სერია არის: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ან ექსპორტის პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ან პირის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის შიდა გადაზიდვისათვის ან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საქონლის განკარგვისას (რეალიზაცია, პრივატიზება), შემძენის მიერ შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისას – „კაშ“, საბითუმო მიწოდებაზე – „კას“, საცალო მიწოდებაზე – „კაა“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 26 სექტემბრის ბრძანება №506 – ვებგვერდი, 29.09.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21,03,2012 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 18.10.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №209 - ვებგვერდი, 31.08.2020წ.

დანართი №III-08

(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №278 – ვებგვერდი, 23.08.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის ბრძანება №278 - ვებგვერდი, 24.11.2020წ.

დანართი III-09

ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

სერია

1 №000000

2

3

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი)

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი)

ბ ე მ პ ა ლ ო ა ი

4 გამყიდველი

5 მყიდველი

4.1 (საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.1 (საიდენტიფიკაც

4.2 დასახელება / სახელი, გვარი

5.2 დასახელება / სახელი, გვარი

6 ტრანსპორტირების დაწყების მისამართი

7 ტრანსპორტირების დასრულების

8 სატრანსპორტო საშუალების მარკა, ნომერი
მძღოლის პირადი ნომერი

9

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის ღირებულება დღგ-ის და აქციზის ჩათვლით	დღგ-ის თანხა	აქციზის თანხა
1	2	3	4	5	6

10 ნავთობპროდუქტის იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი ----------

11 ნავთობპროდუქტის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი ----------

12 კორექტირებული ნსაფ-ის სერია N---------- 13 ტრანსპორტირების დაწყების დრო ————

14 ნავთობპროდუქტის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის მისამართი ----------

15 ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დაწყების ადგილის
ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი ----------

16 ნავთობპროდუქტის მიტანის ადგილის მისამართი ----------

17 ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დამთავრების ადგილის

ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი ----------

18 ტრანსპორტის სახე (საავტომობილო/სარკინიგზო) ----------

19 სატრანსპორტო საშუალების მარკა და
სახელმწიფო ნომერი (ვაგონის ნომერი) ----------

20 მძღოლის სახელი, გვარი და პირადი № ----------

21 გადამზიდავი ---------- 22 ----------
(სახელწოდება ან სახელი და გვარი) (საიდენტიფიკაციო ნომერი)

23 საქონლის მიმღების ხელმოწერა ----------

24 საქონლის მიმწოდებლის ხელმოწერა _____

შენიშვნა: პირველი ეგზემპლარი – მყიდველს, მეორე ეგზემპლარი – გამყიდველს

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

მუხლი 58. ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა

1. ნსაფ-ი (გარდა ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისა) გამოიწერება ოთხ ეგზემპლარად. ოთხივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

2. ნსაფ-ის ცხრილში მიეთითება:

ა) პირველი სვეტის პირველ სტრიქონზე – საქონლის დასახელება №III-08 დანართის მე-2 სვეტის შესაბამისად. მაგალითად, თუ ადგილი აქვს ნავთობის მსუბუქი დისტილატის – 95-ზე ნაკლები ოქტანური რიცხვის მქონე საავტომობილო ბენზინის მიწოდებას, შესაბამის უჯრაში უნდა მიეთითოს „ბენზინი, ოქტანური რიცხვით 95-ზე ნაკლები“;

ბ) პირველი სვეტის მე-2 სტრიქონზე – საქონლის ოთხნიშნა კოდი №III-08 დანართის მე-4 სვეტის შესაბამისად. მაგალითად, თუ ადგილი აქვს ნავთობის მსუბუქი დისტილატის – 95-ზე ნაკლები ოქტანური რიცხვის მქონე საავტომობილო ბენზინის მიწოდებას, შესაბამის უჯრაში უნდა მიეთითოს „ 0270“;

გ) მე-2 სვეტის პირველ სტრიქონზე – ზომის ერთეული ლიტრებში, ხოლო მე-2 სტრიქონზე – ზომის ერთეული კგ-ში;

დ) მე-3 სვეტის პირველ სტრიქონზე – მიწოდებული საქონლის რაოდენობა არაბული ციფრებით ლიტრებში;

ე) მე-3 სვეტის მე-2 სტრიქონზე – მიწოდებული საქონლის რაოდენობა არაბული ციფრებით კგ-ში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მე-3 სვეტის პირველ სტრიქონზე მითითებულია საქონლის რაოდენობა ლიტრებში;

ვ) მე-4 – მე-6 სვეტებში – მონაცემები მიწოდებული საქონლის კომპენსაციის და გადასახადის (დღგ, აქციზი) თანხის შესახებ.

3. ნსაფ-ის მე-10 სტრიქონი ივსება მხოლოდ იმპორტის შემთხვევაში და მიეთითება საქონლის საბაჟო დეკლარაციის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი, ხოლო სხვა შემთხვევებში „–“.

4. ნსაფ-ის მე-11 სტრიქონზე მიეთითება ნავთობპროდუქტის შეძენისას გამოწერილი ნსაფ-ის სერია, ნომერი და შევსების თარიღი, იმპორტის შემთხვევაში „–“, ხოლო სხვა შემთხვევებში (მოპოვება, წარმოება, შეძენა ნსაფ-ის გარეშე, შეძენა აუქციონზე, მიღება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) – შესაბამისი დოკუმენტის დასახელება და რეკვიზიტები.

4^1. ნსაფ-ის მე-10 და მე-11 სტრიქონების შევსება სავალდებულო არ არის ნავთობპროდუქტის საცალო მიწოდების ნსაფ-ის (სერია „აა“) გამოწერის შემთხვევაში.

5. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მიღებულია ნავთობპროდუქტების გადამუშავებით, ნსაფ-ის შესაბამისად მე-10 და მე-11 სტრიქონებზე მიეთითება ძირითადი ნედლეულის (რომლის რაოდენობაც აჭარბებს დანარჩენი ნედლეულის რაოდენობას) შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. თუ ნავთობპროდუქტის გადაადგილება ხდება ისეთ ადგილებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული საგადასახადო ორგანოში, როგორც ნავთობის დისტილატების სტაციონარული ობიექტი, ნსაფ-ის მე-17 სტრიქონზე მიეთითება „ –“.

7. ნსაფ-ის მე-16 და მე-17 სტრიქონები არ ივსება №III-08 დანართის მე-2 სტრიქონზე დასახელებული საქონლის (ნავთობის ბიტუმი) რეალიზაციისას (გადაზიდვისას).

8. ნსაფ-ში არასწორად (შეცდომით) შეტანილი რეკვიზიტების გასწორება (გარდა გამოწერის თარიღის, საქონლის რაოდენობის, ღირებულების, დღგ-ის ან/და აქციზის თანხის, ტრანსპორტირების დაწყების და დამთავრების სტაციონარული ობიექტის შვიდნიშნა კოდის, ტრანსპორტირების დაწყების ან/და დამთავრების ადგილისა) შესაძლებელია მხოლოდ ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დაწყებამდე. შეცდომების გასწორების მიზნით, ნსაფ-ის ყველა ეგზემპლარში არასწორი მონაცემები გადაიხაზება და მათ თავზე მიეთითება დაზუსტებული მონაცემები. გადასწორების ფაქტი დასტურდება მიმწოდებლის ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

8^1. ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელია ნსაფ-ის მე-8, მე-9, მე-19 და მე-20 გრაფებში გაკეთდეს ახალი ჩანაწერი ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დასრულებამდე. (ხოლო მატერიალური ფორმის ნსაფ-ის შემთხვევაში ნსაფ-ის მე-8, მე-9, მე-19 და მე-20 გრაფებში არსებული მონაცემები გადაიხაზება და მათ თავზე მიეთითება დაზუსტებული მონაცემები.

8^2. იმ შემთხვევაში, თუ პირს წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება და ტექნიკური მიზეზების გამო ნსაფ-ში ვერ განხორციელდა დღგ-ის თანხის მითითება, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ, საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვის საფუძველზე, იგი უფლებამოსილია აღნიშნული ნსაფ-(ებ)ის მე-5 სვეტში მიუთითოს დღგ-ის თანხა.

9. არასწორად ან არასრულად (რომელიმე რეკვიზიტის გარეშე) შევსებულ ნსაფ-ს იურიდიული ძალა არ გააჩნია და ჩათვლის დოკუმენტად არ განიხილება.

10. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, ნსაფ-ის ცხრილის პირველი სვეტის პირველი („საქონლის დასახელება“) და მეორე („საქონლის ოთხნიშნა კოდი“) სტრიქონები, მე-14 სტრიქონი („ნავთობპროდუქტის

სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის მისამართი“) და მე-15 სტრიქონი („ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დაწყების ადგილის ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი“) შეავსოს მხოლოდ განაცხადში (№III-12 დანართი ან/და №III-13 დანართი) მითითებული მონაცემების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნსაფ-ი ითვლება არასწორად შევსებულად და გადამხდელს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. №III-08 დანართში აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცალო მიწოდებისას, მიმწოდებელი არ არის ვალდებული გამოწეროს ნსაფ-ი (ამ დროს გამოიყენება საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკი), გარდა იმ შემთხვევისა, როცა მყიდველი ითხოვს ნსაფ-ის გამოწერას.

12. ნსაფ-ი გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნავთობპროდუქტზე და მხოლოდ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე (სარკინიგზო გადაზიდვებისას – თითოეულ ვაგონზე). ტრანსპორტირებისას გადამზიდავი ვალდებულია თან იქონიოს მყიდველისათვის წარსადგენი ნსაფ-ის ეგზემპლარი.

13. თუ ნავთობპროდუქტის მიწოდება ხორციელდება ერთი სატრანსპორტო საშუალებით რამდენიმე საბოლოო მომხმარებელზე და შეუძლებელია ტრანსპორტირების ზუსტი მარშრუტის დადგენა, ამ შემთხვევაში გამოიწერება ერთი ნსაფ-ი, რომლის მე-16 სტრიქონზე მიეთითება „–“.

14. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე არმყოფი პირისთვის ნავთობპროდუქტის მიწოდების შემთხვევაში, ნსაფ-ის მე-16 სტრიქონზე მიეთითება გადაზიდვის დამთავრების ადგილის მისამართი და იმ სტაციონარული ობიექტის (რეზერვუარის) რეკვიზიტები (მოცულობა), სადაც მოხდება გადაზიდული ტვირთის შენახვა, ხოლო 23-ე სტრიქონზე – მყიდველის (მიმღების) ხელმოწერა და პირადი ნომერი.

15. თუ ნავთობპროდუქტის მიწოდება ხორციელდება ტალონებით ან/და ელექტრონული ფორმით აღრიცხული უნაღდო ანგარიშსწორებით, ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია, ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს დამატებით შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახის მიწოდებებზე ნსაფ-ი გამოიწერება საანგარიშო პერიოდში (თვეში) განხორციელებული ნავთობპროდუქტის მიწოდებების მიხედვით, მაგრამ არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვისა. ამასთან, ნსაფ-ში მე-10, მე-11, მე-13, მე-16, მე-17 და მე-19-22-ე სტრიქონები არ ივსება (მიეთითება „ –“), მე-14 სტრიქონში იწერება „საცალო“, მე-15 სტრიქონში კი – საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული შვიდნიშნა კოდი.

15^1. თუ ნავთობპროდუქტის მიწოდება ხორციელდება ტალონებით ან/და ელექტრონული ფორმით აღრიცხული უნაღდო ანგარიშსწორებით, ამასთან, პირს არ აქვს საკუთრებაში/სარგებლობაში სტაციონარული ობიექტი და ნავთობპროდუქტი შემენილი აქვს გამყიდველის საცავში შენახვისა და ტალონების საშუალებით შემდგომი რეალიზაციის პირობით, პირი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახით მიწოდებისას პირის მიერ ნსაფ-ი შეივსება ამ მუხლის მე-15 პუნქტში აღნიშნული წესის შესაბამისად, ხოლო ასეთი წესით რეალიზაციისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტის შემენისას გამყიდველი ნსაფ-ის მე-17 სტრიქონზე უთითებს პირისათვის ზემოაღნიშნული სახით რეალიზაციისათვის მინიჭებულ შვიდნიშნა კოდს.

15^2. პირი, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის მე-15 ან/და 15^1 ქვეპუნქტების შესაბამისად შემენილი ნავთობპროდუქტის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებას/გახარჯვას მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოტრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა), აღნიშნული ნავთობპროდუქტის კანონმდებლობით დადგენილი წესით ტრანსპორტირების შემთხვევაში (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ავზში ჩასხმული ნავთობპროდუქტისა), საწვავის მიღების ადგილიდან ზემოხსენებული ძირითადი საშუალების მდებარეობის ადგილამდე გადაზიდვისას, თუ პირს არა აქვს აღნიშნულ მისამართზე საკუთრებაში/სარგებლობაში სტაციონარული ობიექტი, ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახით შემენილი ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირებისას პირის მიერ შეივსება ნსაფ-ი სერიით „აშ“, ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისას – „ეშ“, ხოლო კომპიუტერულ ნსაფ-სას – „კაშ“. ამასთან, ნსაფ-ში მე-10, მე-13, მე-14, მე-16, მე-17 და მე-19- მე-20 სტრიქონები არ ივსება (მიეთითება „ –“); ხოლო მე-11 სტრიქონზე ჩაიწერება შემენის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მიღებული აქვს ამ მუხლის მე-15 ან/და 15^1 ქვეპუნქტების შესაბამისად და მე-15 სტრიქონზე ჩაიწერება ნავთობპროდუქტის მესაკუთრის კოდი, რომელიც არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი.

16. მყიდველის მიერ შემენილი ნავთობპროდუქტის გამყიდველის სტაციონარულ ობიექტში შენახვის და შემდგომ პერიოდებში გამოყენების (განაშთვის) შემთხვევაში, გამოიწერება ნსაფ-ი ნავთობპროდუქტის მიწოდებაზე და საფ-ი ნავთობპროდუქტის შენახვის მომსახურებაზე. ამასთან, თუ შენახვის მომსახურება საქონლის მიწოდების მიმართ ატარებს დამხმარე ხასიათს და მისი ღირებულება გათვალისწინებულია მიწოდების ფასში, შესაძლებელია ნსაფ-ი გამოიწეროს მხოლოდ ნავთობპროდუქტის მიწოდებაზე.

17. ტრანსპორტირების გარეშე ნსაფ-ით განხორციელებული მიწოდების შემთხვევაში, დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომისას, დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება ახალი ნსაფ-ის გამოწერით, რომლის მე-12 სტრიქონზე მიეთითება იმ ნსაფ-ის სერია და ნომერი, რომლის კორექტირებაც ხდება.

18. ექსპორტის პროცედურაში მოქცეულ საქონელზე საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე ტრანსპორტირებისას ნსაფ-ი არ მოითხოვება. ამ შემთხვევაში, ტრანსპორტირების დოკუმენტად ითვლება საბაჟო დეკლარაცია.

19. (ამოღებულია – 22.10.2015; №339).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 26.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 მაისის ბრძანება №180 – ვებგვერდი, 30.05.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივლისის ბრძანება №265 – ვებგვერდი, 23.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №278 – ვებგვერდი, 23.08.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 24 მარტის ბრძანება N87 – ვებგვერდი, 25.03.2015წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 25 მარტის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 28.03.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

მუხლი 59. ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა

1. ნსაფ-ის პირველი და მე-3 ეგზემპლარი გადაეცემა საქონლის მყიდველს (მიმღებს), ხოლო მე-2 და მე-4 ეგზემპლარი რჩება გამყიდველს (მიმწოდებელს).

2. ნსაფ-ის მონაცემები აისახება საგადასახადო ორგანოში წარსადგენ დღგ-ის დეკლარაციაში, ხოლო გადამხდელებთან არსებული ეგზემპლარები საგადასახადო ორგანოს წარედგინება მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში.

3. ნავთობპროდუქტის ნსაფ-ით მიწოდების ან/და შეძენის შემთხვევაში, დღგ-ის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოს, დღგ-ის დეკლარაციასთან ერთად, წარედგინება „ნავთობპროდუქტის სასაქონლო ნაშთები“ (№III-10 დანართი).

4. დაუშვებელია არასწორად შევსებული ნსაფ-ის გადაცემა მყიდველისათვის (მიმღებისათვის). გაუქმების მიზნით, არასწორად შევსებული ნსაფ-ების ყველა ეგზემპლარი გადასახადის გადამხდელის მიერ წარედგინება საგადასახადო ორგანოს, ამ ორგანოდან ნსაფ-ების შემდგომი გატანისას, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო წლის 15 იანვრისა.

5. უფლებამოსილი ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელისაგან შევსებული ნსაფ-ების ამოღების, ან გადასახადის გადამხდელის მიერ ნსაფ-ების (როგორც შევსებულის, ისე შეუვსებლის) დაკარგვის შემთხვევაში, მოქმედებს 54-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 10 იანვრის ბრძანება №7 – ვებგვერდი, 10.01.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 26 ივლისის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 27.08.2017წ.

დანართი №III-10

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 26 ივლისის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 27.08.2017წ.

ნავთობპროდუქტების სასაქონლო ნაშთები

წარდგენის წელი და თვე .....
დეკლარირების წელი და თვე .....
პირველადი .....
დაზუსტებული .....
გადასახადის გადამხდელის დასახელება .....
საიდენტიფიკაციო ნომერი .....

ფაქტობრივად დარიცხული ნაშთები

საქონლის დასახელება და ოთხნიშნა კოდი	აზომის ერთეული	ფაქტობრივად ნაშთის ოდენობა საანგარიშო თვის დასაწყისში	თვის განმავლობაში								ფაქტობრივად ნაშთი თვის ბოლოსათვის (12=3+4-5-6- 8-10–11)
			ფაქტობრივად მიღებული და გადამუშავებული რაოდენობა	ფაქტობრივად გახარჯული							
				ნსაფ-ის გამოწერით რეალიზებული ნავთობპროდუქტების რაოდენობა	რეალიზებული ნსაფ-ის გარეშე				გახარჯულია პირადი მოხმარებისათვის	გადამუშავებული ოდენობა	
					ფასდათმობის გარეშე რეალიზებული		ფასდათმობით რეალიზებული				
					რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა			
	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	კგ/ლ										

გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა ---------- რიცხვი, თვე, წელი

დანართი №III-11

(ამოღებულია 10.01.2013წ, №7)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 10 იანვრის ბრძანება №7 – ვებგვერდი, 10.01.2013წ.

მუხლი 60. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ფორმების გაცემა

1. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სსაფ-ისა და ნსაფ-ის) ფორმების (შემდგომში – ფორმები) წარმოების ორგანიზებას და ამ ფორმებით საგადასახადო ორგანოების მომარაგებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ მუხლის შესაბამისად.

2. შესაბამის საგადასახადო ორგანოზე ფორმები შემოსავლების სამსახურის მიერ გაიცემა შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის და ნდობით აღჭურვილ პირზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე. გაცემული ფორმების სერიისა და ნომრის, გაცემის თარიღის, მიღებაზე ნდობით აღჭურვილი პირის პირადობის მოწმობის მონაცემები ფიქსირდება მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემის ჟურნალის ელექტრონულ ვერსიაში. დაარქივების მიზნით, აღნიშნული ჟურნალი ამოიბეჭდება ყოველი წლის ბოლოს.

3. შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან მათ დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე ფორმები გაიცემა მიღება-ჩაბარების აქტით.

4. დღგ-ის გადამხდელებზე ფორმების გაცემისას საგადასახადო ორგანოს მიერ მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემის ჟურნალის ელექტრონულ ვერსიაში ფიქსირდება გაცემული ფორმების სერიისა და ნომრის, გაცემის თარიღის, მათ მიღებაზე გადამხდელის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის მინდობილობისა და პირადობის მოწმობის მონაცემები. აღნიშნული ჟურნალი, ქაღალდის ფორმით, ყოველი წლის ბოლოს ექვემდებარება დაარქივებას.

5. მატერიალური სახის საფ-ის ფორმის გაცემა ფასიანია. მომსახურების საფასური განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით.

6. დაუშვებელია საგადასახადო ორგანოს მიერ დღგ-ის გადამხდელზე გაცემული ფორმების სხვა პირისათვის გადაცემა.

7. ნსაფ-ების მისაღებად (გარდა იმპორტის/ექსპორტის შემთხვევისა) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, შესაბამის საგადასახადო ორგანოს მიმართოს განაცხადით №III-12 დანართის შესაბამისად და წარადგინოს №III-08 დანართში აღნიშნული ნავთობპროდუქტების მოპოვების, გადამუშავების ან/და შეძენის (მიღების) დამადასტურებელი დოკუმენტები:

ა) მოპოვების შემთხვევაში – აღნიშნული საქმიანობის განხორციელების შესახებ ლიცენზიის ქსეროასლი;

ბ) გადამუშავების შემთხვევაში:

ბ.ა) ლიცენზიის/ნებართვის ქსეროასლი აღნიშნული საქმიანობის განხორციელების შესახებ;

ბ.ბ) შესაბამისობის სერტიფიკატი იმ საქონელზე, რომელზედაც სავალდებულოა შესაბამისობის სერტიფიკატის აღება;

ბ.გ) ნედლეულის შეძენის ნსაფ-ი, ხოლო იმ ნედლეულზე, რომელზედაც სავალდებულო არ არის ნსაფ-ის გამოწერა – საბაჟო დეკლარაცია ან პირველადი საგადასახადო დოკუმენტები;

ბ.დ) ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეებსა და საქართველოს მთავრობას შორის 2000 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების (ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან) და 2002 წლის 1 აგვისტოს ამ ხელშეკრულებაში ნოვაციისა და ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილე – „ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" ფილიალის „ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)"-ს მხრიდან მომართვის შემთხვევაში – ინფორმაცია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან განვლილ პერიოდში ამოღებული და გადამუშავებული ნედლი ნავთობის რაოდენობის შესახებ;

გ) იმპორტის შემთხვევაში – იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის, იმპორტირებული საქონლის შიდა გადაზიდვის ნსაფ-ი, მისი არსებობის შემთხვევაში;

დ) შეძენის შემთხვევაში – ნსაფ-ი;

ე) საგადასახადო ორგანოს მიერ მოვალის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში – სერტიფიკატი გაყიდვისა და ქონების ფლობის (განკარგვის) შესახებ;

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებით საქონლის პირის (მათ შორის, სახელმწიფოს) საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში – სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ზ) „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საქონლის განკარგვისას (რეალიზაცია, პრივატიზება), – განმკარგავი ორგანოს მიერ გაცემული გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტები.

8. იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე, ან ექსპორტის პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებას, იმპორტის/ექსპორტის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ნსაფ-ის მისაღებად მიმართოს საგადასახადო ორგანოს განაცხადით №III-13 დანართის შესაბამისად.

9. საგადასახადო ორგანო ვალდებულია განაცხადის წარმოდგენიდან (საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციიდან) 72 საათის განმავლობაში (დასვენების დღეების ჩაუთვლელად), ხოლო იმპორტის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ, გასცეს ნსაფ-ები ან უარი განაცხადოს მათ გაცემაზე.

10. ნსაფ-ების გაცემაზე უარის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ვალდებულია აცნობოს გადასახადის გადამხდელს უარის საფუძველი, რაც შეიძლება იყოს:

ა) განაცხადში არასრულყოფილი ან საეჭვო მონაცემების წარმოდგენა;

ბ) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშგებების წარუდგენლობა ან არასრულყოფილად წარდგენა.

11. გადასახადის გადამხდელზე „აშ“ სერიის ნსაფ-ის გაცემისას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე, ან ექსპორტის პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის, საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ ივსება ნსაფ-ის მე-5 (5.1 და 5.2), ცხრილის პირველი და მე-2, მე-14, მე-15, მე-16, მე-17 სტრიქონები, ხოლო მე-4 (4.1 და 4.2), მე-11, მე-12 სტრიქონებზე მიეთითება „ –“, დანარჩენი სტრიქონები კი ივსება დამოუკიდებლად. ნსაფ-ის შევსების ანალოგიური წესი გამოიყენება ექსპორტის შემთხვევაშიც იმ განსხვავებით, რომ საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ ივსება ნსაფ-ის მე-4 (4.1 და 4.2), ცხრილის პირველი და მე-2 სტრიქონები, ხოლო მე-5 (5.1 და 5.2) სტრიქონზე მიეთითება „–“.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტი გამოიყენება მხოლოდ ნედლი ნავთობის, ნავთობის მსუბუქი და მძიმე დისტილატების საბაჟო პროცედურის განხორციელების შემთხვევაში.

13. შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ შესაძლებელია გამოიცეს ბრძანება კომპიუტერული ნსაფ-ის გამოყენების შესახებ იმ გადასახადის გადამხდელთან მიმართებაში, რომელსაც საკუთრებაში (სარგებლობაში) აქვს ნავთობპროდუქტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობის ქსელის ობიექტები, ბოლო 6 თვის განმავლობაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურაში დეკლარირებული აქვს ნსაფ-ების გამოყენებას დაქვემდებარებული 10 მლნ ლარზე მეტი ღირებულების საქონელი და უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული საქონლის შესახებ მონაცემების შეუფერხებელ (უწყვეტ რეჟიმში) გამოყენების შესაძლებლობას.

14. საფ-ის და ნსაფ-ის დაკარგული, გაუქმებული და დეფექტური ფორმების შესახებ მონაცემების კომპიუტერულ ბაზაში ასახვის მიზნით, აღნიშნული მონაცემები საგადასახადო ორგანოების მიერ ელექტრონულად წარედგინება შემოსავლების სამსახურს.

15. სხვადასხვა ფორმის საფ-ის გაუქმებული და დეფექტური ბლანკების ექსპერტიზა-უტილიზაციის მიზნით ასეთი ბლანკები საგადასახადო ორგანოს მიერ წარედგინება სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 26 სექტემბრის ბრძანება №506 – ვებგვერდი, 29.09.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 18.10.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №209 - ვებგვერდი, 31.08.2020წ.

ინფორმაცია

ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით

შეძენილი საქონლის ხარჯვის შესახებ

(ივსება დღგ-ის არგადამხდელის მიერ)

ნაწილი I

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი [ ][ ][ ][ ][ ][ ][ ][ ][ ]

გვერდი [ ][ ][ ]

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი [ ][ ][ ][ ][ ]

ინფორმაცია ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით შეძენილი საქონლის ხარჯვის შესახებ

ინფორმაციის სახე: [ ] პირველადი [ ] დაზუსტებული [ ] წელი [ ][ ][ ][ ]

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V“ ნიშნით)

[ ] წარედგინა _____

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გადასახადის გადამხდელი: _____

(საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება)

მოცემული ინფორმაცია შედგენილია	☐☐☐ ფურცელზე	თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტები	☐☐☐ ფურცელზე

ინფორმაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის _____ (ხელმოწერა) ☐☐ ☐☐ ☐☐☐☐ (თარიღი)

ნაწილი II

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

ინფორმაცია წარმოდგენილია	ფოსტით ☐	ელექტრონულად ☐	პირადად ☐

მოცემული ინფორმაცია შედგენილია	☐☐☐ ფურცელზე	თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტები	☐☐☐ ფურცელზე

წარმოდგენის თარიღი	☐☐☐ ☐☐☐☐
რეგისტრაციის ნომერი	☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის _____ (სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

დანართი №III-12

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

საიდენტიფიკაციო ნომერი

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ნსაფ-ების მიღებაზე

გთხოვთ, ჩვენს სახელზე გასცეთ:

☐ ას — სერიის – – ცალი ნსაფ-ი საბითუმო მიწოდებისთვის

☐ აა — სერიის – – ცალი ნსაფ-ი საცალო მიწოდებისთვის

☐ აშ — სერიის – – ცალი ნსაფ-ი შიდა გადაზიდვისთვის

გადაწყვეტილების მიღებისათვის წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

1. საქონლის მოპოვების, გადამუშავების ან/და შეძენის (მიღების) დამადასტურებელი დოკუმენტები:

☐ ლიცენზიის ქსეროასლი
☐ ნებართვის ქსეროასლი
☐ შესაბამისობის სერტიფიკატი
☐ ნედლეულის შეძენის ნსაფ-ი ან სხვა საგადასახადო დოკუმენტი
☐ ინფორმაცია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან განვლილ პერიოდში ამოღებული და გადამუშავებული ნედლი ნავთობის რაოდენობის შესახებ
☐ საქონლის შეძენის ნსაფ-ი
☐ სერტიფიკატი გაყიდვისა და ქონების ფლობის (განკარგვის) შესახებ

☐ სასამართლოს გადაწყვეტილება
(საჭირო უჯრა აღნიშნეთ „V“ ნიშნით)

2. სტაციონარული ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი და მისამართი (ივსება თითოეული ობიექტის მიხედვით):

_____

_____

3. ნავთობის დისტილატების ნაშთები და მოთხოვნილი ნსაფ-ების რაოდენობა სტაციონარული ობიექტების მიხედვით (ივსება თითოეული ობიექტისათვის ინდივიდუალურად, პირველი მოთხოვნის დროს ივსება მხოლოდ ნაშთი მოთხოვნის დროს)

საქონლის დასახელება და კოდი	ნსაფ-ების უკანასკნელი მოთხოვნის შემდგომ საქონლის მიღებისა და გაცემის მონაცემები						ფაქტიური ნაშთი ნსაფ-ების მოთხოვნის დროს		რეალიზაცი-ისათვის განკუთვნილი ნსაფ-ების რაოდენობა	შიდა გადაზიდვისთვის განკუთვნილი ნსაფ-ების რაოდენობა
	უკანასკნელი მოთხოვნის თარიღი	მიღებული		გაცემულ						
		კგ		კგ			კგ			
		ლ		ლ			ლ			
		კგ		კგ			კგ			
		ლ		ლ			ლ			

ინფორმაცია გადამუშავებული პროდუქციის შესახებ (ივსება მხოლოდ ნავთობის გადამუშავების შემთხვევაში):

გადამუშავებული ნავთობის რაოდენობა ბოლო მოთხოვნის შემდეგ	ნავთობის გადამუშავებით მიღებული პროდუქციის რაოდენობა და გამოსავლიანობის პროცენტი											
											დანაკარგები	
	რაოდ. კგ-ში	%	რაოდ. კგ-ში	%	რაოდ. კგ-ში	%	რაოდ. კგ-ში	%	რაოდ. კგ-ში	%	რაოდ. კგ-ში	%
კგ												
ლ												

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

☐☐ ☐☐ ☐☐☐☐
(თარიღი)

დანართი №III-13

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐
საიდენტიფიკაციო ნომერი

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

საიმპორტო (საექსპორტო) ნავთობპროდუქტების შიდა გადაზიდვის ნსაფ-ების მიღებაზე

გთხოვთ, ჩვენს სახელზე გასცეთ აშ სერიის:

_ _ ცალი ნსაფ-ი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის

– – ცალი ნსაფ-ი ექსპორტის პროცედურაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან საბაჟო პროცედურის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის

გადაწყვეტილების მიღებისათვის წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:
(თითო უჯრა ივსება გასაცემი თითოეული ნსაფ-ის შესაბამისად):

საქონლის დასახელება და კოდი	საქონლის არაოდენობა კგ-ში	საბაჟო პროცედურის განხორციელების საბაჟო ორგანოს დასახელება	ტრანსპორტირების დაწყების ადგილის მისამართი	ტრანსპორტირე-ბის დამთავრების ადგილის მისამართი	დასაწყობების ადგილის რეგისტრაციის ნომერი	შენიშვნა

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

(თარიღი)

მუხლი 61. ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტების აღრიცხვა

1. ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტის (საბითუმო მიმწოდებლის საცავის; საცალო საცავის; საბაჟო საწყობის, საბაჟო ორგანოს საწყობის; მწარმოებლის საცავის, საწყობის; საბოლოო მომხმარებლის საცავის და ნავთობის აირებით და აირისებრი ნახშირწყალბადებით (გათხევადებული) (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2711 12, 2711 13, 2711 14 000 00, 2711 19 000 00 კოდებში მითითებული ნავთობპროდუქტების აირები) საყოფაცხოვრებო ბალონების გასამართი სადგურის) მფლობელი ვალდებულია მიმართოს საგადასახადო ორგანოს ამ ობიექტის რეგისტრაციის მიზნით.

2. საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტების ცენტრალიზებულ აღრიცხვას სარეგისტრაციო ფორმის (დანართი №III–14) საფუძველზე და მათზე სარეგისტრაციო მოწმობის (დანართი №III–15) გაცემას.

3. რეგისტრაციის გარეშე არსებული ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებისათვის მფლობელს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

4. საყოფაცხოვრებო ბალონების გასამართი სადგურიდან დაუშვებელია ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების (გათხევადეული) (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2711 12, 2711 13, 2711 14 000 00, 2711 19 000 00 კოდებში მითითებული ნავთობპროდუქტების აირები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტის ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ფორმა

1. ობიექტის მისამართი ----------
მიწერის ნავსადგური, ბუნკირების გემის დასახელება ----------
2. ობიექტის (მიწერის ნავსადგურის) საფოსტო ინდექსი ----------
3. ობიექტის საჯარო რეესტრში, ხოლო ბუნკირების გემის შემთხვევაში –კანონმდებლობით გათვალისწინებულ ორგანოში რეგისტაციის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი (თუ ობიექტი არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში) ან „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ხელშეკრულების ან/და ნავთობის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიის ნომერი ----------
საქართველოს სახელმწიფო ალმით ცურვის დამადასტურებელი დროებითი მოწმობის, ან საქართველოს სახელმწიფო ალმით ნაოსნობის უფლების შესახებ მოწმობის (გემის პატენტი) ან საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი გემის ბილეთის რეკვიზიტები: ----------
4. ობიექტის მფლობელის (საკუთრების უფლების) დასახელება და საინდენტიფიკაციო ნომერი -------
5. ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი ----------
6. ობიექტის საქმიანობის აღწერა ----------
---
7. ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემული ლიცენზიების (ნებართვების) ჩამონათვალი, მათი გამცემი ორგანოს დასახელება, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა:

---

8. ობიექტით მოსარგებლეთა ჩამონათვალი:

№	მოსარგებლის დასახელება	მოსარგებლის საიდენტიფიკაციო ნომერი	მოსარგებლის იურიდიული მისამართი	ობიექტით სარგებლობის დასაწყისი	სარგებლობის დამადასტურებელი (მათ შორის, იჯარის, შენახვის და ა.შ.) ხელშეკრულების ვადა	მოსარგებლის საკონტაქტო ტელეფონები	შენიშვნა

9. ობიექტის რეზერვუარების აღწერა: მათი რაოდენობა და ტევადობები; ასევე ტერიტორიის მოკლე აღწერა ----------
---
10. ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი ----------
11. მარეგისტრირებელი საგადასახადო ორგანო ----------
12. მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი — — — — — — —
13. სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების თარიღი ¨ ¨ ¨ 20 წ.

დანართი №III-15

ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტის ან ბუნკირების გემის

სარეგისტრაციო მოწმობა

1. ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტის ან ბუნკირების გემის №
2. სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების თარიღი ¨ ¨ ¨ 20 წ.
3. ობიექტის მისამართი ----------
მიწერის ნავსადგური, ბუნკირების გემის დასახელება ----------
4. ობიექტის (მიწერის ნავსადგურის) საფოსტო ინდექსი ----------
5. ობიექტის საჯარო რეესტრში, ხოლო ბუნკირების გემის შემთხვევაში – კანონმდებლობით გათვალისწინებულ ორგანოში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი (თუ ობიექტი არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში) ან „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ხელშეკრულების

ან/და ნავთობის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიის ნომერი ----------

საქართველოს სახელმწიფო ალმით ცურვის დამადასტურებელი დროებითი მოწმობის, ან საქართველოს სახელმწიფო ალმით ნაოსნობის უფლების შესახებ მოწმობის (გემის პატენტი) ან საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი გემის ბილეთის რეკვიზიტები:

6. ობიექტის საქმიანობის სახე ----------

7. სარეგისტრაციო მოწმობა ჩავიბარე ---------- ----------

(მიმღების დასახელება) (ხელმოწერა)

მუხლი 62. ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვის ჟურნალები

1. საქართველოს ტერიტორიაზე ნსაფ-ის გამოყენებას დაქვემდებარებული ნავთობპროდუქტების მიმწოდებლები ვალდებულნი არიან აწარმოონ სპეციალური საბუღალტრო დოკუმენტი:

ა) საბითუმო მიწოდების შემთხვევაში – „ნავთობპროდუქტების საბითუმო პარტიების მიღებისა და მიწოდების ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი“ (დანართი №III-16);

ბ) საცალო მიწოდების შემთხვევაში – „ნავთობპროდუქტების საცალო რეალიზაციის ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი“ (დანართი №III-17).

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ჟურნალები შესაძლებელია იყოს ელექტრონული ან მატერიალური ფორმის. მატერიალური ფორმის ჟურნალები ინახება უშუალოდ იმ ობიექტზე, სადაც ხორციელდება ნავთობპროდუქტების მიღება-რეალიზაცია (შენახვა); მათი გატანა ან გაგზავნა სხვა ობიექტზე (შენობაში) დაუშვებელია, გარდა საგადასახადო ორგანოს წერილობითი მოთხოვნის ან თანხმობის შემთხვევებისა.

3. ელექტრონული ჟურნალების რეგისტრაციის მიზნით გადასახადის გადამხდელმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. ელექტრონული ფორმის ჟურნალების რეგისტრაცია ხორციელდება სტაციონარული ობიექტის მიხედვით, ერთ სტაციონარულ ობიექტზე გაითვალისწინება ერთი ჟურნალის რეგისტრაცია.

4. მატერიალური ფორმის ჟურნალები უნდა იყოს აკინძული და დამოწმებული გადასახადის გადამხდელის და საგადასახადო ორგანოს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. მატერიალური ფორმის ჟურნალის რეგისტრაცია ხორციელდება თითოეული დასახელების და მარკის ნავთობპროდუქტის ოთხნიშნა კოდების შესაბამისად.

5. ჟურნალები ივსება ყოველდღიურად.

6. №III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-9 სვეტში აისახება დღის განმავლობაში ფასდათმობის გარეშე გაცემული ნავთობპროდუქტის რაოდენობა ლიტრებში.

7. №III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-11 სვეტის შევსება ევალებათ მხოლოდ იმ გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც ნავთობპროდუქტების მიწოდებას ახორციელებენ 58-ე მუხლის მე-15 და 15^1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8. №III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-12 და მე-13 სვეტებს ავსებენ ის გადამხდელები, რომლებიც ნავთობპროდუქტების მიწოდებას ახორციელებენ ავტოგასამართი სადგურებიდან ფიზიკურ პირებზე ნსაფ-ის გამოწერის გარეშე და იყენებენ იდენტიფიცირებული ფიზიკური პირების მიმართ მათ მიერ შეძენილი საქონლის რაოდენობის ან/და დროის მონაკვეთის მიხედვით ეტაპობრივი ფასდათმობის სისტემას, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ყველა სავაჭრო თუ სარეალიზაციო ობიექტი (სადაც ხდება აღნიშნული ფასდათმობის სისტემის გამოყენება) ჩართულია ერთიან სააღრიცხვო სისტემაში, მუდმივი ან ნახევრად მუდმივი შეერთებით;

ბ) ყველა ობიექტიდან ინფორმაციის (ტრანზაქცია) გაცვლა (მიღება-გაცემა) ცენტრალურ სააღრიცხვო სისტემასთან ხდება სპეციალური სააღრიცხვო ტერმინალების მეშვეობით;

გ) სააღრიცხვო ტერმინალი მომხმარებელზე გადასაცემად ბეჭდავს დეტალურ ჩეკს შემდეგი ინფორმაციის მითითებით: შეძენილი საქონლის დასახელება, მთლიანი თანხა, ფასდათმობის რაოდენობა (შესაძლებელია იყოს როგორც პროცენტული, ასევე ფიქსირებული) და რეალურად გადახდილი თანხა;

დ) მთლიანი თანხის, საქონლის მიხედვით ფასდათმობის რაოდენობის და რეალურად გადახდილი თანხის (არანაკლებ თვითღირებულების) მითითებით, ყოველი ფასდათმობის ოპერაცია სააღრიცხვო ტერმინალში ფიქსირდება ფასდათმობის მიმღები ფიზიკური პირის ბარათის იდენტიფიცირებული ნომრის მიხედვით, ხოლო ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში – ფასდათმობის მიმღები ფიზიკური პირის სახელის, გვარის, პირადი ნომრის და ბარათის იდენტიფიცირებული ნომრის მიხედვით;

ე) ფასდათმობის რაოდენობა ფიქსირებულია ან გამომდინარეობს ბონუსური სქემიდან;

ვ) რეალიზატორი საწარმოს მიერ დამტკიცებული ბონუსური სქემა ფიქსირდება პროგრამულად და ეგზავნება მთელ ქსელში დამონტაჟებულ სააღრიცხვო ტერმინალებს;

ზ) როგორც ბონუსური სქემის, ასევე ფიქსირებული ფასდათმობის შემთხვევაში, ცენტრალური სისტემა აწვდის სააღრიცხვო ტერმინალს ინფორმაციას ფასდათმობის რაოდენობის შესახებ კომპანიის მიერ შემუშავებული ფასდათმობის სქემის მიხედვით;

თ) როგორც ბონუსური სქემის, ასევე ფიქსირებული ფასდათმობის შემთხვევაში ფასდათმობის ზედა და ქვედა ზღვარი დგინდება რეალიზატორი საწარმოს მიერ;

ი) ფასდათმობის სისტემა თავსებადია რეალიზატორი საწარმოს ბუღალტრულ სისტემასთან. ყოველი ფასდათმობის ოპერაციის შედეგად მიღებული რეალიზაცია (დღის ოპერაციების მიხედვით ჯამში) აღირიცხება საწარმოს ბუღალტრულ სისტემაში;

კ) ინფორმაცია (სტატისტიკური თუ დეტალური) აღნიშნული ოპერაციებით რეალიზაციაზე გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია საგადასახადო ორგანოებისათვის;

ლ) ფასდათმობისას სისტემაში გამოყენებული ყოველი ბარათი არის ჩიპური ან მაგნიტური ტექნოლოგიის, აღრიცხული

და დანომრილი.
9. III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-14 სვეტში მიეთითება ტექნიკური ჩამოსხმის საფუძველი – მადოზირებელი მექანიზმის სისწორის შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი.
10. III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-15 და მე-16 სვეტებში აისახება მადოზირებელი მექანიზმის შემოწმების მიზნით განხორციელებული ტექნიკური ჩამოსხმის/ჩაბრუნების ოდენობა (ლიტრებში).
11. №III-16 დანართის და №III-17 დანართის ჟურნალებში შესაბამისი ჩანაწერები კეთდება გადასახადის გადამხდელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.
12. დაუშვებელია ჟურნალში აღრიცხვის გარეშე გაცემული ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების დაწყება, ხოლო მიღების შემთხვევაში – ჩამოცლის დაწყება.
13. ელექტრონულ ჟურნალში მონაცემები აისახება თითოეული დასახელების და მარკის ნავთობპროდუქტის ოთხნიშნა კოდების მიხედვით.
14. ჟურნალში ნავთობპროდუქტების ნაშთების კორექტირება შესაძლებელია განხორციელდეს ნავთობპროდუქტების დანაკარგების გათვალისწინებით.
15. დაუშვებელია მატერიალური ფორმის ჟურნალში ჩანაწერების ამოშლა, გადაშლა ან სხვაგვარი გადაშლის საშუალების გამოყენება. აუცილებლობიდან გამომდინარე, შეცდომით გაკეთებული ჩანაწერი ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მკრთალად გადაიხაზება პასტით ისე, რომ ნათლად შეიძლებოდეს შეცდომით გაკეთებული ჩანაწერის წაკითხვა, ახალი ჩანაწერი კეთდება იმავე სვეტში შემდეგ სტრიქონზე გარკვევით, ხოლო სვეტში „შენიშვნა“ იწერება: „შესწორება №... გრაფაში გაკეთებულია (თარიღი), ხელმოწერა (გვარი, სახელი)“. ელექტრონულ ჟურნალში შეცდომით გაკეთებული ჩანაწერის კორექტირებისათვის კეთდება ახალი ჩანაწერი.
16. წლის დამთავრების (ან ჟურნალის სრულად შევსების) შემდგომ, მატერიალური ფორმის ჟურნალის თავფურცელზე კეთდება ჩანაწერი ჟურნალში რეგისტრირებული რიგითი ნომრების დიაპაზონების, ჩანაწერების დასაწყისისა და დამთავრების შესახებ.
17. შევსებული ჟურნალი გადასახადის გადამხდელის მიერ ინახება სხვა ბუღალტრულ დოკუმენტებთან ერთად, 6 წლის განმავლობაში. ელექტრონული ფორმის ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, ყოველი წლის მიხედვით ჟურნალი ექვემდებარება ამობეჭდვას და დაარქივებას.
18. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა დაცული იყოს ჟურნალი დაკარგვის ან სხვაგვარი ზემოქმედებისგან. მატერიალური ფორმის ჟურნალის გაცნობა (საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ) ხორციელდება გადასახადის გადამხდელის ან ბუღალტრის თანდასწრებით.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის ბრძანება №225 – ვებგვერდი, 29.07.2014წ.

დანართი №III-16

(ჟურნალის გარეკანი)

ნავთობპოდუქტების საბითუმო პარტიების მიღებისა და მიწოდების

ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი

საბითუმო მიმწოდებლის დასახელება ——————————————

საიდენტიფიკაციო ნომერი — — — — — — — — —

ობიექტის მისამართი ——————— სარეგისტრაციო ნომერი — — — — —
მიწერის ნავსადგური, ბუნკირების გემის დასახელება ----------

სარეგისტრაციო ნომერი — — — — —

ნავთობპროდუქტის დასახელება ——————— კოდი — — — —

(ჟურნალის გვერდი)
„——————————„ 201. წელი
(თვე)

№	თარიღი	ნაშთი ნავთობპრო დუქტის გაცემამდე (მიღებამდე)		მიმღები (მომწოდე ბელი)	მიმღები (მიმწოდებელი) ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი	ნსაფ-ის სერია და ნომერი (იმპორტის შემთხვევაში სდ)	გაცემული რაოდენობა		მიღებული რაოდენობა		ნაშთი ნავთობპრო დუქტის გაცემის (მიღების) შემდეგ		შენიშვნა
		კგ	ლიტრი				კგ	ლიტრი	კგ	ლიტრი	კგ	ლიტრი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

საწარმოს ხელმძღვანელი ——————————————————————

დანართი №III-17

(ჟურნალის გარეკანი)

ნავთობპროდუქტების საცალო რეალიზაციის ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი

საცალო მიმწოდებლის (ავტოგასამართი სადგური და სხვა)
დასახელება ——————————

სარეგისტრაციო ნომერი ——————————————————————————————
ობიექტის მისამართი ————————სარეგისტრაციო ნომერი ————
ნავთობპროდუქტების დასახელება ——— კოდი ————
(ჟურნალის გვერდი)
"————————————" 201__ წელი
(თვე)

№	თარიღი	ნამთი დღის დასაწყისისათვის	მიმღები (მომწოდებელი)	მიმღები (მომწოდებელი) ობიექტის სარეგისტრაციო ნომერი	ნსფ-ის სერია და ნომერი	მიღებული ნავთობპროდუქტის რაოდენობა ლიტრებში	გაცემული ნავთობპროდუქტის რაოდენობა (ლიტრებში)	დღის განმავლობაში ფასდათმობის გარეშე გაცემული ნავთობპროდუქტის რაოდენობა ლიტრებში	ფასდათმობისა და მიდგადასახდის გარეშე გაცემული ნავთობპროდუქტის სარეალიზაციო ფასი (1 ლიტრის)	დღის განმავლობაში ტალონის სანაცვლოდ ან ელექტრონული ფორმით აღრიცხული უნაღდო ანგარიშსწორებით გაცემული ნავთობპროდუქტების რაოდენობა ლიტრებში	დღის განმავლობაში ნსფ-ის გარეშე ფასდათმობით გაცემული ნავთობპროდუქტის რაოდენობა ლიტრებში	დღის განმავლობაში ნსფ-ის გარეშე ფასდათმობით გაცემული ნავთობპროდუქტების რეალიზაციის შედეგად მიღებული მთლიანი თანხა	ტექნიკური ჩამოსხმის საფუძველი	ტექნიკური ჩამოსხმა (ლიტრებში)	ტექნიკური ჩამოსხმის ჩაბრუნება (ლიტრებში)	ნამთი დღის ბოლო სათვის (ლიტრებში)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18

საწარმოს ხელმძღვანელი ——————————————————

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის ბრძანება №225 – ვებგვერდი, 29.07.2014წ.](#)

თავი XIV[1]

(ამოღებულია)

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011წ.](#)
[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.](#)

მუხლი 62[1]. (ამოღებულია)

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011წ.](#)
[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.](#)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

მუხლი 62[2]. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 26 სექტემბრის ბრძანება №506 – ვებგვერდი, 29.09.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

მუხლი 62[3]. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

მუხლი 62[4]. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 მაისის ბრძანება №167 – ვებგვერდი, 22.05.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

მუხლი 62[5]. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

მუხლი 62[6]. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 26 სექტემბრის ბრძანება №506 – ვებგვერდი, 29.09.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

მუხლი 62[7]. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

დანართი №III[1]-1 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

დანართი №III[1]-2 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

დანართი №III[1]-3 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №432 – ვებგვერდი, 10.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

დანართი №III[1]-4 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №87 – ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №367 – ვებგვერდი, 03.09.2012წ.

თავი XV. ამოღებულია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №330 - ვებგვერდი, 10.11.2014 წ.

მუხლი 63. ამოღებულია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 30 აპრილის ბრძანება №128 – ვებგვერდი, 08.05.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №330 - ვებგვერდი, 10.11.2014 წ.

დანართი №III-18 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №330 - ვებგვერდი, 10.11.2014 წ.

მუხლი 64.ამოღებულია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 30 აპრილის ბრძანება №128 – ვებგვერდი, 08.05.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №286 – ვებგვერდი, 30.08.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №330 - ვებგვერდი, 10.11.2014 წ.

თავი XV[1]. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებელსა და განაწილების ლიცენზიატს შორის გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის დღგ-ით დაბეგვრის წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.

მუხლი 64[1]. ამ თავის რეგულირების სფერო

წინამდებარე თავით რეგულირდება მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებელსა და განაწილების ლიცენზიატს შორის გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის გადადინების შედეგად წარმოშობილი დღგ-ით დაბეგვრის საკითხები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.

მუხლი 64[2]. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებული ტერმინები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში, კერძოდ:

ა) მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური – საცალო მომხმარებლის ან საცალო მომხმარებელთა ჯგუფის მფლობელობაში არსებული განახლებადი ენერგიის წყარო, რომელიც მიერთებულია ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან საცალო მომხმარებლ(ებ)ის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების ადგილას და რომლის სიმძლავრე არ აღემატება 100 კილოვატს. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური შესაძლოა არ წარმოადგენდეს ამ მომხმარებლ(ებ)ის საკუთრებას და იმყოფებოდეს მის/მათ დროებით მფლობელობაში, ხელშეკრულების საფუძველზე (იჯარის, ლიზინგის ან სხვა ფორმით);

ბ) გამანაწილებელი ქსელი – ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გამანაწილებელი საშუალება, რომელიც აკავშირებს მიწოდების პუნქტებსა და მომხმარებელს. გამანაწილებელი ქსელი მოიცავს 0,4-3,3-6-10-35-110 კილოვოლტი ძაბვის ქსელებს, გარდა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გამონაკლისებისა.

გ) მომხმარებელი – პირდაპირი მომხმარებელი ან საცალო მომხმარებელი;

დ) პირდაპირი მომხმარებელი – პირი, რომელიც ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატის კუთვნილი ქსელიდან „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი წესებისა და პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში და რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი;

ე) საცალო მომხმარებელი – პირი, რომელიც ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ან განაწილების ქსელიდან, მოიხმარს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ არის პირდაპირი მომხმარებელი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი (ლიცენზიატი) – პირი, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მინიჭებული აქვს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №303 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

მუხლი 64[3]. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული და გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის დღგ-ით დაბეგვრა

1. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებელთან აღრიცხვა-ანგარიშსწორების წესი, რეგულირდება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის

№20 დადგენილების 25^2 მუხლის მიხედვით, რომლის შესაბამისადაც:

ა) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული და გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგიის რაოდენობა აღემატება იმავე საანგარიშო პერიოდში შესაბამისი საცალო მომხმარებლის მიერ ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობას, სხვაობა (ქსელში მიწოდებული ჭარბი ელექტროენერგია) ჩაითვლება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებულ ელექტროენერგიად და მომდევნო თვის ანგარიშსწორების ქვითარში აისახება კრედიტის სახით (ასეთ შემთხვევაში, განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის რეალიზაცია არის ნულის ტოლი);

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული (გამანაწილებელ ქსელში გადადინებული) და კრედიტის სახით ანგარიშსწორების ქვითარში ასახული (გამანაწილებელ ქსელში გადადინებული) ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობა ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში შესაბამისი საცალო მომხმარებლის მიერ ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, სხვაობა ჩაითვლება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მოხმარებულ (შესყიდულ) ელექტროენერგიად, რომელსაც უნდა დაერიცხოს კომისიის მიერ დადგენილი სამომხმარებლო ტარიფი (შესაბამისად, აღნიშნული სხვაობით მიღებული ელექტროენერგია ჩაითვლება განაწილების ლიცენზიატის რეალიზაციად);

გ) საანგარიშო წლის (კალენდარული წლის პირველი მაისიდან – მომდევნო კალენდარული წლის პირველ მაისამდე პერიოდზე) ბოლო თვის (მომდევნო კალენდარული წლის აპრილის) ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის მიერ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგია ჩაითვლება განაწილების ლიცენზიატის მიერ შესყიდულად. შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, საცალო მომხმარებელთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება, შესაბამისი განაწილების ლიცენზიატის სამომხმარებლო ტარიფში კომისიის მიერ გათვალისწინებული, შესყიდული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასით.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ჩ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება, გარდა ელექტროენერგიის მომხმარებლისათვის („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირებისათვის) მიწოდებისა, აგრეთვე გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურება.

მაგალითი №1

ფაქტობრივი გარემოება

ნეტო მრიცხველის მონაცემების მიხედვით მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის (შემდგომში – საცალო მომხმარებელი) მიერ კალენდარული თვეების მიხედვით გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგიის და გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობამ საანგარიშო წლის (კალენდარული წლის პირველი მაისიდან – პირველ მაისამდე პერიოდზე) მონაცემებით შეადგინა შემდეგი:

№	საანგარიშო თვე	საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელ.ენერგია კვტ/სთ	საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელ.ენერგია კვტ/სთ	სალდო კვტ/სთ	წინა თვეში კრედიტის სახით ასახული კვტ/სთ	სალდო წინა თვის კრედიტის გათვალისწინებით	ფაქტობრივი დარიცხვა კვტ/სთ
1	მაისი	50	260	-210	0	-210	210
2	ივნისი	80	130	-50	0	-50	50
3	ივლისი	90	70	+20	0	+20	0
4	აგვისტო	130	240	-110	+20	-90	90
5	სექტემბერი	140	105	+35	0	+35	0
6	ოქტომბერი	90	65	+25	+35	+60	0
7	ნოემბერი	80	170	-90	+60	-30	30
8	დეკემბერი	200	180	+20	0	+20	0

9	იანვარი	220	290	-70	+20	-50	50
10	თებერვალი	165	195	-30	0	-30	30
11	მარტი	140	90	+50	0	+50	0
12	აპრილი	160	170	-10	+50	+40	0
წლის ჯამური მონაცემი		**1545**	**1965**			**40**	**460**

ანალიზი

იმის გათვალისწინებით, რომ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებლისა და განაწილების ლიცენზიატს შორის გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგიის რაოდენობის გაანგარიშება რეგულირდება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით, მოცემული მაგალითის მიხედვით, საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით, უნდა ვიხელმძღვანელოთ აღნიშნული დადგენილების 25[2] მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების მიხედვით.

1. წარმოდგენილი მაგალითის მიხედვით, პირველ, მე-2 და მე-10 თვეებში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე.

შესაბამისად, ელექტროენერგიის ქსელში გადადინების შედეგად მიღებული სხვაობები ჩაითვლება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მოხმარებულ (შესყიდულ) ელექტროენერგიად.

მოცემულ საანგარიშო პერიოდებში:

საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდებას ადგილი არ აქვს. შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.

განაწილების ლიცენზიატის მიერ ხდება საცალო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდება, რაც წარმოადგენს დღგ-ით დაბეგვრის ობიექტს. ამასთან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის გადადინების შედეგად წარმოშობილი მხოლოდ დადებითი სხვაობები, კერძოდ:

მაისში – 210 კვტ/სთ ივნისში – 50 კვტ/სთ თებერვალში – 30 კვტ/სთ.

2. მე-4, მე-7 და მე-9 თვეებში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია და კრედიტის სახით ანგარიშსწორების ქვითარში ასახული ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობები ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშსწორებო ქვითარში საცალო მომხმარებელს წინა საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელ ქსელში ჭარბი ელექტროენერგიის გადადინების შედეგად უფიქსირდება ელექტროენერგია კრედიტის სახით, გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობები აღემატება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებულ და კრედიტის სახით არსებულ ჯამურ რაოდენობას.

შესაბამისად, მიღებული სხვაობები ჩაითვლება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მოხმარებულ (შესყიდულ) ელექტროენერგიად.

მოცემულ საანგარიშო პერიოდებში:

საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდებას ადგილი არ აქვს. შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.

განაწილების ლიცენზიატის მიერ ხდება ელექტროენერგიის მიწოდება, რაც წარმოადგენს დღგ-ით დაბეგვრის ობიექტს. ამასთან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის გადადინების შედეგად წარმოშობილი მხოლოდ დადებითი სხვაობები, კერძოდ:

აგვისტოში – 90 კვტ/სთ ნოემბერში – 30 კვტ/სთ

იანვარში – 50 კვტ/სთ.

3. მე-3, მე-5, მე-8 და მე-11 თვეში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია აღემატება იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობას. ამასთან, მოცემულ საანგარიშო პერიოდებში საცალო მომხმარებელს საანგარიშსწორებო ქვითარში არ უფიქსირდება კრედიტის სახით ასახული ელექტროენერგია.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია მეტია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, წარმოშობილი ჭარბი ელექტროენერგიები ჩაითვლება როგორც საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებულ ელექტროენერგიად და შემდგომი თვის ანგარიშსწორების ქვითარში აისახება კრედიტის სახით.

მოცემულ საანგარიშო პერიოდებში:

საცალო მომხმარებლის მიერ მოცემულ საანგარიშო პერიოდებში ელექტროენერგიის მიწოდებას ადგილი არ აქვს, გამომდინარე იქედან, რომ მხოლოდ საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული ჭარბი ელექტროენერგია ითვლება განაწილების ლიცენზიატის მიერ შესყიდულად და საცალო მომხმარებლის მიერ მიწოდებულად (საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული ჭარბი ელექტროენერგიის შემთხვევაში).

ამდენად, საცალო მომხმარებელს არ წარმოეშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი. განაწილების ლიცენზიატის მიერ არ ხდება ელექტროენერგიის მიწოდება.
შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.
4. მე-6 თვეში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია აღემატება იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობას. ამასთან, მოცემულ საანგარიშო პერიოდებში საცალო მომხმარებელს საანგარიშსწორებო ქვითარში უფიქსირდება მე-5 თვეში კრედიტის სახით ასახული ელექტროენერგია – 35 კვტ/სთ.
შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია მეტია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, წარმოშობილი ჭარბი ელექტროენერგია ჩაითვლება, როგორც საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებულ ელექტროენერგიად და წინა საანგარიშო პერიოდში კრედიტის სახით ასახული ელექტროენერგიის გათვალისწინებით აისახება შემდგომი თვის ანგარიშსწორების ქვითარში – კრედიტის სახით.
მოცემულ საანგარიშო პერიოდებში:
საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდებას ადგილი არ აქვს, გამომდინარე იქედან, რომ მხოლოდ საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული ჭარბი ელექტროენერგია ითვლება განაწილების ლიცენზიატის მიერ შესყიდულად და საცალო მომხმარებლის მიერ მიწოდებულად (საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული ჭარბი ელექტროენერგიის შემთხვევაში).
ამდენად, საცალო მომხმარებელს არ წარმოეშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი. განაწილების ლიცენზიატის მიერ არ ხდება ელექტროენერგიის მიწოდება.
შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.
5. საანგარიშო წლის ბოლო თვეში – აპრილის თვეში, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე. ამასთან, მოცემულ საანგარიშო პერიოდში საცალო მომხმარებელს საანგარიშსწორებო ქვითარში უფიქსირდება მარტის თვეში კრედიტის სახით ასახული ელექტროენერგია – 50 კვტ/სთ.
ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ აპრილის თვეში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, წინა თვის საანგარიშსწორებო ქვითარში კრედიტის სახით ასახული ელექტროენერგიის გათვალისწინებით, საცალო მომხმარებელს საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში აესახება ელექტროენერგია კრედიტის სახით, რომელიც ჩაითვლება განაწილების ლიცენზიატის მიერ შესყიდულად.
მოცემულ საანგარიშო პერიოდში:
ხდება საცალო მომხმარებლის მიერ განაწილების ლიცენზიატისთვის ელექტროენერგიის მიწოდება. შესაბამისად, წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი. თუმცა, გასათვალისწინებელია საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატისთვის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით. შესაბამისად, საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდება გათავისუფლდება დღგ-ისგან.
განაწილების ლიცენზიატის მიერ არ ხდება ელექტროენერგიის მიწოდება. შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №303 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 17 იანვრის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 20.01.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

თავი XVI. უკუდაბეგვრა

მუხლი 65. საგადასახადო აგენტის მიერ უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის ანგარიშგების საგადასახადო ორგანოში წარდგენის და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების წესი

1. უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებას (შემდგომში – გაანგარიშება) ამ ინსტრუქციის №III-19 დანართის ფორმით საგადასახადო ორგანოს წარუდგენს პირი (საგადასახადო აგენტი), რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, კერძოდ:

ა) საგადასახადო აგენტი, რომლისთვისაც ხდება საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევა იმ დასაბეგრი პირის მიერ, რომელიც არ არის დაფუძნებული ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს საქართველოში, ან საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს ამ მომსახურების გაწევაში;

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი დასაბეგრი პირი, რომელიც დაფუძნებულია ან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა თიზ-ის საწარმოსი) ან საქართველოში გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომლის მეშვეობით განხორციელდა ამ მომსახურების შეძენა.

ბ) კრედიტორი (დასაბეგრი პირი), რომელსაც პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საკუთრებაში გადაეცემა მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანი (საქონელი) საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) დასაბეგრი პირი, რომელიც საბაჟო საწყობში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164^1 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისგან შეძენილ უცხოურ საქონელს აქცევს თავისუფალ

მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურაში, რომლის მიწოდება არ არის გათავისუფლებული დღგ-ისგან;

დ) დასაბეგრი პირი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164[1] მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში თიზ-ის საწარმოსაგან შეძენილ უცხოურ საქონელს აქცევს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურაში, რომლის მიწოდება არ არის გათავისუფლებული დღგ-ისგან;

2. საგადასახადო აგენტი ვალდებულია:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში დაარიცხოს დღგ:

ა.ა) მიღებული მომსახურებისთვის გასაცემ თანხაზე, მომსახურების მიღების მომენტში, ხოლო თუ თანხის გადახდა წინ უსწრებს მომსახურების მიღებას – თანხის გადახდის მომენტში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის შესაბამისად;

ა.ბ) თუ მიღებული მომსახურების სანაცვლოდ ხორციელდება საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა (ბარტერი) – ამ საქონლის ან/და მომსახურების საბაზრო ფასზე, მომსახურების მიღების მომენტში;

ა.გ) თუ მიღებული მომსახურების სანაცვლოდ ხორციელდება ნაწილობრივ თანხის ანაზღაურება და ნაწილობრივ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასის და გადახდილი/გადასახდელი თანხის ჯამზე მომსახურების მიღების მომენტში.

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში საკუთრებაში მიღებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) საბაზრო ფასზე, დღგ-ის გარეშე. ამ შემთხვევაში, დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება არ ეკისრება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ საგადასახადო აგენტს. ამასთანავე, მიიჩნევა, რომ ამ საქონელზე მან განახორციელა შესაბამისი ოდენობის დღგ-ის ჩათვლა;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

გ.ა) საბაჟო საწყობში ან თიზ-ის საწარმოსგან უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხაზე, თუ საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-სგან გათავისუფლებული;

გ.ბ) საბაჟო საწყობში ან თიზ-ის საწარმოსგან უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებაზე, თუ საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-სგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება.

3. საგადასახადო აგენტი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად ან რომელსაც წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო წესით რეგისტრაციის ვალდებულება, ვალდებულია, უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხა ასახოს უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდზე საგადასახადო ორგანოში წარდგენილ/წარსადგენ დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციაში.

4. საგადასახადო აგენტი, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, ვალდებულია, უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის არა უგვიანეს 15 რიცხვისა:

ა) უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშება (შემდგომში – გაანგარიშება) საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს №III-19 დანართით გათვალისწინებული ფორმით;

ბ) ბიუჯეტში გადაიხადოს გაანგარიშებაში მითითებული დღგ-ის თანხა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №302 - ვებგვერდი, 03.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

დანართი №III-19

(თან ერთვის თანდართული ფაილის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №302 - ვებგვერდი, 03.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.

მუხლი 66. უკუდაბეგვრის წესით დარიცხული და გადახდილი დღგ-ის თანხის აღრიცხვა

უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხების საგადასახადო ვალდებულება აღირიცხება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

თავი XVI[1]

ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრის და დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდის წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 66[1]. ზოგადი დებულებები

1. ეს თავი განსაზღვრავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრის და დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდის პირობებსა და პროცედურებს.

2. დღგ-ით ამ თავის შესაბამისად იბეგრება:

ა) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია;

ბ) „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გადახდისუუნარობის მასის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) დღგ-ის გადამხდელად ითვლება პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ბ) ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის (საქონლის მესაკუთრის) სახელით ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი;

გ) დღგ-ით არ იბეგრება:

გ.ა) საცხოვრებელი ბინის/სახლის მიწოდება

გ.ბ) მიწის ნაკვეთის მიწოდება;

გ.გ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 კოდში აღნიშნული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) მიწოდება;

გ.დ) ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) საკუთრებაში არსებული ქონების მიწოდება.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) დღგ-ის გადამხდელად ითვლება პირი, რომლის გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციაც ხდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ბ) ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის (სამეურვეო ქონების მესაკუთრის) სახელით ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი;

გ) დღგ-ით არ იბეგრება (გარდა სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით რეალიზაციის (მიწოდების) შემთხვევისა):

გ.ა) ინდივიდუალური მეწარმის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის/სახლის მიწოდება;

გ.ბ) მიწის ნაკვეთის მიწოდება;

გ.გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდება;

გ.დ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდება.

5. საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირად ითვლება პირი, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქონლის რეალიზაციას. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით კრედიტორი თავად ახორციელებს მოვალის/მესამე პირის საქონლის (მათ შორის, უზრუნველყოფის საგნის) რეალიზაციას (მიწოდებას), ამ ოპერაციაზე რეალიზაციის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირად ითვლება კრედიტორი.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) საქონლის სარეალიზაციო ფასი (მყიდველის მიერ გადახდილი/გადასახდელი ანაზღაურება) მოიცავს დღგ-ის თანხას;

ბ) საქონლის რეალიზაციის (მიწოდების) დღგ-ით დაბეგვრისას არ ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170-ე – 172-ე მუხლების, ასევე, ამავე კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკანონმდებლო ნორმების მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს საქონლის მიწოდების დღგ-სგან გათავისუფლებას.

7. მიწისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის რეალიზაციისას ოპერაცია ითვლება შენობა-ნაგებობის რეალიზაციად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №332 - ვებგვერდი, 14.12.2021წ.

მუხლი 66[2]. ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრა

1. ამ ინსტრუქციის 66[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქონლის რეალიზაციის (მიწოდების) განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდა და საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარდგენა ევალება:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საქონლის აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის წესით რეალიზაციისას, რომელიც მოიცავს:

ა.ა) მოვალის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული და ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ;

ა.ბ) ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის წესით რეალიზაციას საგადასახადო ორგანოს მიერ;

ბ) სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას, რომელიც მოიცავს შემდეგ შემთხვევებს:

ბ.ა) გირავნობის საგნის რეალიზაცია – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;

ბ.ბ) იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;

ბ.გ) ქონების რეალიზაცია – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) სხვა ნებისმიერ შემთხვევაში საქონლის რეალიზაციისას (მიწოდებისას), თუ აღნიშნული რეალიზაცია ხორციელდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით.

2. ამ ინსტრუქციის 66^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდა და საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარდგენა ევალება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გადახდისუუნარობის მასის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას.

3. ამ ინსტრუქციის 66^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) დაადგინოს:

ა.ა) ექვემდებარება თუ არა ეს ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას;

ა.ბ) არის თუ არა პირი (საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრე) ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, თუ ხორციელდება ფიზიკური პირის ქონების მიწოდება;

ბ) არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა უზრუნველყოს:

ბ.ა) პირის (საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის) სახელით დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდა;

ბ.ბ) ინფორმაციის წარდგენა საგადასახადო ორგანოში, ამ ინსტრუქციის №III-19^1 დანართის შესაბამისად.

4. საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას იღებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით.

5. საქართველოს საგადასახადო კოდექსის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ან „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რეალიზაციისას, დასაბეგრი ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის დროდ ითვლება სერტიფიკატის ან განკარგულების გამოცემის მომენტი.

6. საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიერ ამ თავით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

7. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას (მიწოდებისას):

ა) საქონლის მესაკუთრეს ამ ოპერაციაზე არ ეკისრება დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდისა და დღგ-ის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის ვალდებულება, თუ საქონლის რეალიზაციას ახორციელებს ის პირი, რომელიც არ არის სარეალიზაციო საქონლის მესაკუთრე;

ბ) ეს ოპერაცია არ იბეგრება ამ თავის შესაბამისად, თუ საქონლის რეალიზაციას ახორციელებს ის პირი, რომელიც სარეალიზაციო საქონლის მესაკუთრეა.

8. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, გადახდისუუნარობის მასის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას გადახდისუუნარობის მასის მესაკუთრეს ამ ოპერაციაზე არ ეკისრება დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდისა და დღგ-ის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის ვალდებულება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №332 - ვებგვერდი, 14.12.2021წ.

მუხლი 66[3]. ცალკეულ შემთხვევებში გადახდილი დღგ-ის დარიცხვა და ჩათვლა

1. ამ ინსტრუქციის 66[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიერ ამ ინსტრუქციის 66[2] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ინფორმაციის წარდგენა ითვლება პირის (საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის) მიერ დღგ-ის დეკლარირებად ინფორმაციაში დაფიქსირებული დღგ-ის თანხის შესაბამისი ოდენობით და აღნიშნული საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხის დარიცხვის საფუძველია.

2. ამ ინსტრუქციის 66[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასაბეგრ ოპერაციაზე დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტს წარმოადგენს მყიდველის მიერ საქონლის შეძენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქონლის შესაძენად გადახდილი თანხის ოდენობა (სარეალიზაციო ფასი). ჩათვლის დოკუმენტში დღგ-ის თანხის ოდენობა უნდა მიეთითოს ცალკე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ჩათვლის დოკუმენტებია:

ა) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის შესაბამისად გამოცემული განკარგულება, აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ;

ბ) „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის შესაბამისად გამოცემული განკარგულება, აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ;

გ) „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული წესის 55-ე მუხლის შესაბამისად, მალფუჭებადი საქონლის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატი;

დ) სხვა დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნებს და რომლითაც შესაძლებელია ამ ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს რეალიზებული საქონლის ჩამონათვალსა და ღირებულებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №332 - ვებგვერდი, 14.12.2021წ.

დანართი №III-19[2]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 19.07.2021წ.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

საიდენტიფიკაციო ნომერი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემის გამოყენების უფლების რეგისტრაციის შესახებ

გაცნობებთ, რომ ვახორციელებ:

- მეორადი ნივთ(ებ)ის მიწოდებას;
- ხელოვნების ნიმუშ(ებ)ის მიწოდებას;
- საკოლექციო ნივთ(ებ)ის მიწოდებას;
- ანტიკვარული ნივთ(ებ)ის მიწოდებას.

გთხოვთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161[2] მუხლის შესაბამისად დამარეგისტრიროთ დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემის გამოყენების უფლების მქონე დასაბეგრი დილერების რეესტრში და მომცეთ უფლება, რეგისტრაციის თვის დასაწყისიდან არანაკლებ 24 თვის განმავლობაში გამოვიყენო დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემა.

დანართი №III-19[3]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

ხელოვნების ნიმუშების, საკოლექციო ნივთების და ანტიკვარიატის სახეები

ხელოვნების ნიმუშების, საკოლექციო ნივთების ან ანტიკვარიატის სახეები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის N275 ბრძანებით (2020 წლის 1 დეკემბრამდე - 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით) დამტკიცებული „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ)“ 97-ე ჯგუფით. კერძოდ:

1. **ხელოვნების ნიმუშებია:**

   სეს ესნ-ის 9701 სასაქონლო პოზიციაში მითითებული სურათები, ნახატები და პასტელები, მთლიანად ხელით შესრულებული, 4906 სასაქონლო პოზიციაში მითითებული ნახატებისა და სხვა ხელით დახატული ან დეკორირებული მზა ნაწარმის გარდა; კოლაჟები და ანალოგიური დეკორატიული გამოსახულებები:

   სეს ესნ-ის 9702 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში მითითებული გრავიურების, ესტამპების და ლითოგრაფიების დედნები;

   სეს ესნ-ის 9703 00 000 00 სასაქონლო პოზიციაში მითითებული ქანდაკებების და სტატუეტების დედნები ნებისმიერი მასალისაგან;

   სეს ესნ-ის 9704 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში მითითებული საფოსტო მარკები ან სახელმწიფო ბაჟის მარკები, განაღდებული საფოსტო ანაზღაურების ნიშნები, მათ შორის პირველი დღის განაღდების, საფოსტო საკანცელარიო საკუთნოები (გერბიანი ქაღალდი) და ანალოგიური საგნები, გამოყენებული, ან გამოუყენებელი, გარდა 4907 სასაქონლო პოზიციის საქონლისა;

2. **საკოლექციო ნივთებია** სეს ესნ-ის 9705 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში მითითებული კოლექციები და საკოლექციო ნივთები ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, მინერალოგიაში, ანატომიაში, ისტორიაში, არქეოლოგიაში, პალეონტოლოგიაში, ეთნოგრაფიაში ან ნუნიზმატიკაში.

   შენიშვნა: ***საკოლექციოდ განიხილება ნივთი, რომელიც:***
   ა) ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის მქონეა,
   ბ) შედარებით იშვიათია,
   გ) თავისი პირველადი გამოყენებისთვის, როგორც წესი, გამოუსადეგარია,
   დ) თავისუფალი ვაჭრობის მიღმა წარმოადგენს სპეციალური გარიგების საგანს;
   ე) როგორც წესი, გააჩნია მაღალი ღირებულება.

3. **ანტიკვარიატია** 9706 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში მითითებული 100 წელზე მეტი ხნის წინათ შექმნილი და კულტუროლოგიური თვალსაზრისით ღირებული ნივთები.

დანართი №III-19[4]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრი დილერების რეესტრი

N	მონაცემების შეტანის თარიღი	დასაბეგრი დილერის დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	რეგისტრაციის ძალაში შესვლის თარიღი	რეგისტრაციის გაუქმების ძალაში შესვლის თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7

დანართი №III-19[5]

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.](#)

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

საიდენტიფიკაციო ნომერი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრი დილერების რეესტრიდან ამოღების შესახებ

გთხოვთ, ამომიღოთ დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრი დილერების რეესტრიდან სსკ 161^2-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად (სპეციალური სქემის გამოყენების პერიოდიდან გასულია 24 თვეზე მეტი).

განმცხადებლის ხელმოწერა ----------
(თარიღი)

დანართი №III-19[6]

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.](#)

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

სპეციალური სქემით დაბეგრილი ოპერაციების შესახებ

ნაწილი I

დასაბეგრი დილერი:

--- --- ---
(დასახელება ან სახელი და გვარი) (საიდენტიფიკაციო ნომერი) (მისამართი)

ინფორმაციის სახე: პირველადი შესწორებული		საანგარიშო პერიოდი ---------- წელი (თვე)					

(თვის დასახელება სიტყვიერად)

წარედგინება ———————————————————————————
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

ინფორმაცია შედგენილია				ფურცელზე		თანდართული დოკუმენტები				გვერდი

ინფორმაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

დასაბეგრი დილერის (ხელმძღვანელის) ---------- ---------- ---- ---- ---- ---
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) თარიღი

ნაწილი II

აღნიშვნა ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ
(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

ინფორმაცია წარდგენილია: ☐ პირადად ☐ ელექტრონულად ☐
ფოსტით

ინფორმაცია შედგენილია ☐☐☐ ფურცელზე თანდართული დოკუმენტები ☐☐☐ ფურცელზე

წარდგენის თარიღი ☐☐ ☐☐ ☐☐☐☐

გადასახადის თანხა _ _ _ _ _ _ _ ლარი

რეგისტრაციის ნომერი ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

ინფორმაციის მიმღები ---------- ---------- ----------
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

ნაწილი III

დღგ-ს საერთო თანხის გაანგარიშება

№	დასაბეგრი ოპერაციები	მოგების მარჯა (სვ.4-სვ.3)		დღგ-ს თანხა (სვ.4 - სვ.3) : 1,18 x 0,18)
		საქონლის შესყიდვის ფასი	საქონლის მიწოდების ფასი	
1	2	3	4	5
1	საანგარიშო პერიოდში მიწოდებული მეორადი ნივთები:			
2	საანგარიშო პერიოდში მიწოდებული ხელოვნების ნიმუშები:			
3	საანგარიშო პერიოდში მიწოდებული საკოლექციო ნივთები:			
4	საანგარიშო პერიოდში მიწოდებული ანტიკვარიატი:			
5	**სულ დარიცხული დღგ (სტ.1 + სტ.2+ სტ.3+ სტ.4)**			

ინფორმაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

დასაბეგრი დილერის (ხელმძღვანელის) ---------- ---------- ---- ---- ---- ---
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) თარიღი

თავი XVI[2]

სპეციალური სქემები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 66[4]. მეორადი ნივთის, ხელოვნების ნიმუშის, საკოლექციო ან ანტიკვარული ნივთის მიწოდების შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემის გამოყენების და ამ სქემის გამოყენების შესახებ საგადასახადო ორგანოს ინფორმირების წესი

1. დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემის გამოყენების/სქემით სარგებლობის მსურველი დასაბეგრი დილერი, ანუ პირი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით ყიდულობს ან საკუთარი ეკონომიკური საქმიანობისთვის იყენებს მეორად ნივთს, ხელოვნების ნიმუშს, საკოლექციო ნივთს ან ანტიკვარიატს ან ახორციელებს ამ საქონლის იმპორტს, ვალდებულია, დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემის გამოყენებამდე, მიმართოს საგადასახადო ორგანოს ამ ინსტრუქციის №III-19[2] დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით.

2. ხელოვნების ნიმუშების, საკოლექციო ნივთების და ანტიკვარიატის სახეები განისაზღვრება ამ ინსტრუქციის №III-19[3] დანართით.

3. დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრი დილერების რეესტრს აწარმოებს შემოსავლების სამსახური ამ ინსტრუქციის №III-19[4] დანართით გათვალისწინებული ფორმით.

4. დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრ დილერს უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრი დილერების რეესტრიდან ამოღების მოთხოვნით ამ ინსტრუქციის №III-19[5] დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით.

5. ამ მუხლის მიზნებისთვის:

ა) დასაბეგრი დილერის მოგების მარჟა არის დადებითი სხვაობა საქონლის მიწოდების ფასსა და მის შესყიდვის ფასს შორის;

ბ) დასაბეგრი დილერის მიერ იმპორტირებული საქონლის შესყიდვის ფასი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოგების მარჟის გაანგარიშებისას, არის ამ საქონლის იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხისა და შესაბამისი დღგ-ის თანხის ჯამი;

გ) დასაბეგრი დილერის მიერ საქონლის მიწოდების შედეგად დღგ-ით დასაბეგრი თანხა მიიღება მოგების მარჟის ოდენობის 1,18-ზე გაყოფით, ხოლო დღგ-ის თანხა – ამ გაყოფის შედეგად მიღებული თანხის 0,18-ზე გამრავლებით;

დ) დასაბეგრ დილერს არ აქვს უფლება, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა იმ საქონელზე, რომლის მიწოდება იბეგრება სპეციალური სქემით.

ე) დასაბეგრ პირს არ აქვს უფლება, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა მისთვის დასაბეგრი დილერის მიერ მიწოდებულ ან მისაწოდებელ საქონელთან დაკავშირებით, თუ ამ საქონლის მიწოდება სპეციალური სქემით იბეგრება.

ვ) დასაბეგრი დილერის მიერ სპეციალური სქემით სარგებლობის ფარგლებში საქონლის მიწოდების შემთხვევაში გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაში დღგ-ის თანხის გამოყოფა არ ხდება.

6. დასაბეგრი დილერი ვალდებულია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ რეესტრში შეტანის თვიდან დაწყებული, ყოველ საანგარიშო პერიოდზე, საანგარიშო პერიოდის (თვის) მომდევნო თვის არა უგვიანეს 15 რიცხვისა, საგადასახდო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია სპეციალური სქემით დაბეგრილი ოპერაციების შესახებ (ამ თავის მიზნებისათვის შემდგომში – ინფორმაცია) დანართი №III-19[6] ფორმით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოადგენს დღგ-ის შესაბამისი პერიოდის დეკლარაციის განუყოფელ ნაწილს და ამ ინფორმაციაში ასახული დღგ-ის თანხა შეიტანება დღგ-ის დეკლარაციის შესაბამის დანართში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

თავი XVI[3] . ცალკეულ შემთხვევებში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 19.07.2021წ.

მუხლი 66[5]. ცალკეული შემთხვევები, როდესაც მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162[1] მუხლის მე-3 ან მე-12–მე-14 ნაწილებისგან განსხვავებული წესით

თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162[1] მუხლის მე-3 ან მე-12–მე-14 ნაწილების მიხედვით, ტურისტული მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება საქართველოს ტერიტორია, მაგრამ ამ მომსახურებით ფაქტობრივი სარგებლობა ან/და მისი გამოყენება ხდება საქართველოს ტერიტორიის გარეთ, აღნიშნული მომსახურება განიხილება საქართველოს ფარგლების გარეთ გაწეულად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 19.07.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №224 - ვებგვერდი, 11.07.2022წ.

თავი XVII. დღგ-ისგან გათავისუფლება

მუხლი 67. დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციების დაბეგვრის უფლების გამოყენება

1. დასაბეგრი პირი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ამავე კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით ოპერაციების დღგ-ით დაბეგვრის უფლების გამოყენების მიზნით, მიმართავს საგადასახადო ორგანოს №III-20 დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენება დასაბეგრ პირს შეუძლია საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემდეგი საანგარიშო პერიოდის პირველი რიცხვიდან.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში:

ა) საგადასახადო ორგანო ვალდებულია დასაბეგრი პირი გაატაროს რეგისტრაციაში;

ბ) დასაბეგრი პირი ვალდებულია დღგ-ით დაბეგროს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციები, რომლებიც ამ დასაბეგრი პირისათვის აღარ ჩაითვლება დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 27 აპრილის ბრძანება №260 – ვებგვერდი, 03.05.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №448 – ვებგვერდი, 25.08.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №335 - ვებგვერდი, 17.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელი დასახელება)

საიდენტიფიკაციო ნომერი

განცხადება
დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციებზე
დაბეგვრის უფლების გამოყენებაზე

გაცნობებთ, რომ ვახორციელებ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციებს, კერძოდ:
ფინანსურ ოპერაციების/ფინანსურ მომსახურებას;
მიწის ნაკვეთის მიწოდების ოპერაციებს.

გთხოვთ, მომცეთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის მე-5 ნაწილის ნორმის გამოყენების უფლება.
განმცხადებლის ხელმოწერა ----------

(თარიღი)

მუხლი 68. უცხოეთის დიპლომატიური პირებისათვის განკუთვნილი საქონლის/მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლება

1. უცხოეთის დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობის (შემდგომში – დიპლომატიური წარმომადგენლობა) ოფიციალური სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას, თუ დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებამოსილი წარმომადგენელი ითხოვს საქონლის/მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლებას, სავალდებულოა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა.

2. უცხოეთის დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობის და დიპლომატიური მისიის წევრის (შემდგომში – დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებისათვის სავალდებულოა, დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრმა საქონლის/მომსახურების მიმწოდებელს წარუდგინოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის მიერ მის სახელზე გაცემული პირადობისა და ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი სააკრედიტაციო ბარათი და საკონტროლო-სალარო აპარატით ამობეჭდილი სალაროს ჩეკზე/ანგარიშ-ქვითარზე მიუთითოს ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი სააკრედიტაციო ბარათის ნომერი, აღნიშნული ინფორმაცია და დღგ-ის გარეშე საქონლის/მომსახურების შეძენის ფაქტი დაადასტუროს საკონტროლო-სალარო აპარატით ამობეჭდილი სალაროს ჩეკზე/ანგარიშ-ქვითარზე ხელმოწერით და დაუბრუნოს იგი საქონლის/მომსახურების მიმწოდებელს. ამასთან, თუ დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი ითხოვს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერას, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში დღგ-ის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონზე მიეთითება „0“, მყიდველის საიდენტიფიკაციო ნომრის აღმნიშვნელ სტრიქონზე შეიტანება დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრის პირადობისა და ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი სააკრედიტაციო ბარათის ნომერი, ხოლო საიდენტიფიკაციო ნომრის ამსახველი სტრიქონის შეუვსებლად დარჩენილ უჯრედებში მიეთითება „ –“.

შენიშვნა: ამ პუნქტით გათვალისწინებული „ანგარიშ-ქვითარი“ განიმარტება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად.

3. დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში დიპლომატიური წარმომადგენლობის ან/და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრისთვის საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტში აღნიშნული პროცედურების მიუხედავად, დიპლომატიური წარმომადგენლობის ან/და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრის მიერ შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე მომწოდებლისათვის გადახდილ იქნა დღგ (18%), მათ უფლება აქვთ დაიბრუნონ დღგ, მიუხედავად დასაბეგრი ოპერაციის (ოპერაციების) მიხედვით დღგ-ის თანხის ოდენობისა.

5. საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი დღგ-ის დაბრუნების მიზნით, დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ან/და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრმა საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინონ „განაცხადი გადახდილი დღგ-ის დაბრუნების თაობაზე“ №III-21 დანართის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა დაერთოს შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის გადამხდელის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების პირველი ეგზემპლარი.

6. დიპლომატიური წარმომადგენლობის ადგილმდებარეობის მიხედვით განაცხადი საგადასახადო ორგანოს წარედგინება არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების (საქონლის/მომსახურების მიწოდების) თვის მომდევნო 3 თვისა.

7. დიპლომატიურ წარმომადგენლობას უფლება აქვს წარადგინოს განაცხადი, რომელშიც აგრეთვე ასახული იქნება ამ წარმომადგენლობის წევრების მიერ პირადი სარგებლობისათვის შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის დაბრუნების მოთხოვნაც. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრებმაც წარადგინეს განაცხადი.

8. დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრის ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან წევრს უფლება აქვს წარადგინოს განაცხადი, რომელშიც აგრეთვე ასახული იქნება ამ პირის ოჯახის სხვა წევრთა მიერ პირადი სარგებლობისათვის შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის დაბრუნების მოთხოვნაც.

9. განაცხადი ივსება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. განაცხადის ინგლისურ ენაზე შევსების შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

10. საგადასახადო ორგანო განიხილავს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან/და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრის მიერ წარდგენილ განაცხადს და:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით;

ბ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 3 დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებს განაცხადის წარმდგენ პირს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

11. ხარვეზის დადგენისას ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადის დენა შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე ან შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ვადაში, საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განაცხადი შესაძლებელია წარდგენილ იქნეს განმეორებით.

13. განაცხადის მიხედვით დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება განმცხადებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №600 – ვებგვერდი, 06.12.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 01.05.2019წ.

მუხლი 68[1]. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №203 – ვებგვერდი, 12.04.2011წ
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 69. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №335 - ვებგვერდი, 17.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №417 – ვებგვერდი, 18.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

დანართი №III-21

განაცხადი გადახდილი დღგ-ის დაბრუნების თაობაზე
Application on Vat Refund

დიპლომატიური წარმომადგენლობის დასახელება
Neme of diolomatic resoersentation

დიპლომატიური წარმომადგენლობის
საიდენტიფიკაციო ნომერი
Identification number of diplomatic represetion

დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრის
სახელი და გვარი

დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსის
დამადასტურებელი დოკუმენტის №
Number of foreing diplomats identification document

Diplomatic representation members, name and surname

საგადასახადო ორგანოს დასახელება
Neme of Tax authirity

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ დაგვიბრუნოთ შეძენილ საქონელზე /მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხები შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

Pursuant to Artucle №168 of tax code of Georgia we request the refund of VAT amount paid for purchased goods/services to thebank account

ბანკის დასახელება და რეკვიზიტები
Bank name and details

ანგარიშის ნომერი
Account number

დანართი:
Appendix

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის რაოდენობა
Number of tax invoices

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები
Tsx invoices

გვერდზე
Pages

დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირი ან დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი:

Authotized person of diplomatic representation or member of diplomatic represention:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

მუხლი 70. საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების, ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტის ან/და მიწოდების დღგ-ისაგან გათავისუფლება

საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების, ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტის ან/და მიწოდების დღგ-ისაგან გათავისუფლება ხორციელდება 84-ე მუხლით აქციზისათვის განსაზღვრული წესის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №536 – ვებგვერდი, 17.10.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.

მუხლი 71. დღგ-ისაგან გათავისუფლება საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად

1. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულების) შესაბამისად საგადასახადო შეღავათებით (მათ შორის, დღგ-ის გათავისუფლება) სარგებლობის მიზნით, ხელშეკრულების შესაბამისად განსახორციელებელი პროგრამის/პროექტის დამფინანსებელი (დონორი) მხარის მიერ შემოსავლების სამსახურს წარედგინება პროგრამის/პროექტის განმახორციელებელი/მონაწილე პირების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ცვლილების შემთხვევაში დაზუსტებული ინფორმაცია.

2. (ამოღებულია – 05.12.2011, №600).

3. შემოსავლების სამსახური ინფორმაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს პროგრამის/პროექტის განმახორციელებელი/მონაწილე პირების შესახებ მონაცემების საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) შეტანას, რომელიც მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. რეესტრი განთავსდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ხელშეკრულების შესაბამისად პროგრამით/პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ან/და კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, პროგრამის/პროექტის დამფინანსებელი (დონორი) მხარე ან საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ 2 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს შემოსავლების სამსახურს.

5. საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას, ასევე ამ პირისათვის საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას სავალდებულოა საფ-ის გამოწერა, რომელშიც დღგ-ის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონზე მიეთითება „0“ (ნული).

6. პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას, საქონლის მიმწოდებელი (გამყიდველი) ან/და მომსახურების გამწევი ვალდებულია გადაამოწმოს რეესტრში პირის საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლება. დღგ-ისგან გათავისუფების შემთხვევაში საფ-ში დღგ-ის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონზე მიეთითება „0“ (ნული).

7. საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირს უფლება აქვს პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი დღგ-ის თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით დაიბრუნოს ან/და ჩაითვალოს მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში.

7^1. საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ განცხადება პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი დღგ-ის თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს წარედგინება არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების (საქონლის/მომსახურების მიწოდების) თვის მომდევნო 3 თვისა. განცხადებას თან უნდა დაერთოს შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გამოწერილი საფ-ები, ხოლო მატერიალური ფორმით გამოწერილი საფ-ების შემთხვევაში – პირველი ეგზემპლარები. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხის ასახვა ხორციელდება წარდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად.

7^2. (ამოღებულია - 04.03.2020, №65).

8. პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი და ამ მუხლის 7^1 პუნქტის მიხედვით გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახული დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება განაცხადი №III-24 დანართის შესაბამისად.

9. საგადასახადო ორგანო განიხილავს საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ წარდგენილ განაცხადს დღგ-ის თანხის დაბრუნების თაობაზე და:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით;

ბ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 3 დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებს განაცხადის წარმდგენ პირს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

10. ხარვეზის დადგენისას ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადის დენა შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე ან შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

11. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ვადაში, საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განაცხადი შესაძლებელია წარდგენილ იქნეს განმეორებით.

12. განაცხადის მიხედვით დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება განმცხადებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №600 – ვებგვერდი, 06.12.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №330 - ვებგვერდი, 10.11.2014 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 4 მარტის ბრძანება №65 - ვებგვერდი, 05.03.2020წ.

მუხლი 71^1. დღგ-ისგან გათავისუფლება „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

1. „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, საქართველოში შესყიდულ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების მიზნით, ინვესტორის მიერ, შემოსავლების სამსახურს წარედგინება განაცხადი, რომელსაც თან უნდა დაერთოს ზემოაღნიშნული ხელშეკრულება და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც დაადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში საქართველოში შესყიდულ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის თანხის გადახდას. ამასთან, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში დღგ-ის თანხის დაბრუნების განმეორებით მოთხოვნისას შემოსავლების სამსახურისთვის ხელშეკრულების წარდგენა სავალდებულო არ არის.

2. საგადასახადო ორგანო განიხილავს საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ წარდგენილ განაცხადს და:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადის წარდგენიდან არა უგვიანეს 7 დღისა უზრუნველყოფს დღგ-ის თანხის გადამხდელისათვის დაბრუნებას;

ბ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 3 დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებს განაცხადის წარმდგენ პირს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად;

3. ხარვეზის დადგენისას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადის დენა შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე ან შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ვადაში, საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განაცხადი შესაძლებელია წარდგენილ იქნეს განმეორებით.

5. განაცხადის მიხედვით დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება განმცხადებლის მიერ მითითებულ საბანკო

ანგარიშებზე.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №427 – ვებგვერდი, 09.10.2012წ.

დანართი №III-22

(ამოღებულია)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №600 – ვებგვერდი, 06.12.2011წ.

დანართი №III-23

(ამოღებულია)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №600 – ვებგვერდი, 06.12.2011წ.

დანართი №III-24

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №228 - ვებგვერდი, 10.09.2021წ.

თავი XVIII. დღგ-ის ჩათვლა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 72. დღგ-ის ჩათვლის მიღების წესი

1. თუ საქონელი/მომსახურება გამიზნულია ან გამოიყენება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისთვის, გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა, დასაბეგრ პირს უფლება აქვს ჩაითვალოს:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე სხვა დასაბეგრი პირისგან ამ საქონლის/მომსახურების შეძენისთვის გადახდილი/გადასახდელი დღგ;

ბ) ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად ან მომსახურების გაწევად, განხილულ ოპერაციებთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ;

გ) საქონლის იმპორტისას გადახდილი/გადასახდელი დღგ;

დ) უკუდაბეგვრის წესით დაბეგვრის შემთხვევაში დარიცხული დღგ.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დასაბეგრ პირს უფლება აქვს ჩაითვალოს საქონლის/მომსახურების შეძენაზე ან შექმნაზე გაწეულ ხარჯთან დაკავშირებული დღგ-ის თანხა, თუ საქონელი ან მომსახურება გამოიყენება:

ა) საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომსახურების გაწევისთვის/საქონლის მიწოდებისთვის;

ბ) დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებში;

გ) ფინანსური მომსახურებისთვის/ოპერაციებისთვის, თუ მომხმარებელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა დაფუძნებული, ან თუ ეს ოპერაციები უშუალოდ არის დაკავშირებული საქონელთან, რომელიც საქართველოდან უნდა იქნეს ექსპორტირებული.

დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ ოპერაციებში, ამ ინსტრუქციის 50^4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

3. დასაბეგრ პირს უფლება არ აქვს ჩაითვალოს:

ა) დღგ, თუ იგი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად;

ბ) იმ საქონელზე/მომსახურებაზე (გარდა ძირითადი საშუალებებისა) გაწეული ხარჯის ღირებულებაზე მიკუთვნებული დღგ-ის თანხა, რომელიც დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციამდე პერიოდში გამოყენებულია დასაბეგრ ოპერაციებში;

გ) სოციალური მიზნით ან გასართობი ღონისძიებებისთვის გაწეული ხარჯის ან წარმომადგენლობითი ხარჯის ღირებულებაზე მიკუთვნებულ დღგ-ის თანხა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდება იბეგრება დღგ-ით (ამ პირის ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს);

დ) იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომლებიც არ იძლევა საქონლის/მომსახურების გამყიდველის იდენტიფიცირების საშუალებას ან არ არის გამოწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ე) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომელშიც ასახული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების კალენდარული წლის დასრულებიდან გასულია 3 წელი. თუ დღგ-ის ჩათვლა განხორციელდა დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან მე-3 წელს, დასაბეგრ ოპერაციაში მონაწილე მხარეების მიმართ (ამ ოპერაციის ფარგლებში) საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირველი, მე-3 და მე-5 ნაწილებით ხანდაზმულობის ვადა 1 წლით გრძელდება. ამასთანავე, დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება, არაუგვიანეს ამ უფლების წარმოშობის წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის შესაბამისი დეკლარაციით (მათ შორის, შესწორებული დეკლარაციით);

ვ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომელიც ასახავს ფიქტიურ გარიგებას ან უსაქონლო ოპერაციას.

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვისას, დღგ-ის ჩათვლის მიღების საფუძველია დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვის შესახებ;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილ საგადასახადო მოთხოვნაში ასახულია დღგ-ის თანხა;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა ბიუჯეტში გადახდილია სრულად ან არასრულად გადახდის შემთხვევაში – საგადახდო დავალებაში მითითებულია დღგ საქონლის იმპორტთან დაკავშირებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 19.07.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 აგვისტოს ბრძანება №197 - ვებგვერდი, 06.08.2021წ.

მუხლი 73. დღგ-ის პროპორციული ჩათვლის მიღების წესი

1. თუ საქონელს ან მომსახურებას დასაბეგრი პირი იყენებს როგორც ოპერაციებისთვის რომელზეც აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ისე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს, ხორციელდება დღგ-ის თანხის მხოლოდ იმ ნაწილის ჩათვლა, რომელიც მიეკუთვნება ოპერაციებს, რომელზეც მას აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება.

2. დღგ-ის ჩასათვლელი ნაწილი გამოითვლება წილადის მიხედვით და ფიქსირდება პროცენტად, სადაც:

ა) მრიცხველი არის დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებული იმ ოპერაციების წლიური ბრუნვის თანხა, დღგ-ის გარეშე, რომელთან დაკავშირებითაც დღგ ექვემდებარება ჩათვლას;

ბ) მნიშვნელი არის დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებული იმ ოპერაციების წლიური ბრუნვის თანხა, დღგ-ის გარეშე, რომელიც მრიცხველშია ასახული და დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა, რომლებზეც დღგ არ ექვემდებარება ჩათვლას.

3. დღგ-ის ჩათვლას დაქვემდებარებული პროპორციული წილის გამოთვლისას, არ გაითვალისწინება ბრუნვის თანხა რომელიც უკავშირდება:

ა) დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი საქმიანობისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალების მიწოდებას;

ბ) უძრავ ნივთთან დაკავშირებულ ან ფინანსურ ოპერაციებს, თუ ეს ოპერაციები არ არის დასაბეგრი პირის ძირითადი საქმიანობა.

4. საანგარიშო პერიოდის მიხედვით ჩასათვლელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება:

ა) წინა საგადასახადო წელს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაფიქსირებული წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ზუსტდება მიმდინარე საგადასახადო წლის წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, ამავე წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში;

ბ) ყოველ საანგარიშო პერიოდში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაფიქსირებული თვის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ზუსტდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში, წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, თუ წინა საგადასახადო წლის შესაბამისი წლიური პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირებული არ არის.

5. თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამიზნულია გამოსაყენებლად, როგორც ოპერაციებისთვის რომელზეც აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ისე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს და ამ ოპერაციების გამიჯვნა შეუძლებელია, დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) თუ დასაბეგრი პირის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით ოპერაციების თანხა, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება, საერთო ბრუნვის (საქონლის/მომსახურების მიწოდებათა ჯამური თანხა, დღგ-ს გარეშე) 20 პროცენტზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში იმ დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წილის პროპორციულად, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება;

ბ) დასაბეგრ პირს, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს დღგ-ის ჩათვლა მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში იმ დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წილის პროპორციულად, რომელზეც მას აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის, ყოველწლიურად გასაუქმებელი (ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) ან ჩასათვლელი (ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) დღგ-ის თანხა გაიანგარიშება:

ა) უძრავ ნივთზე – დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების დაწყების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეათედის ოდენობით;

ბ) სხვა ძირითად საშუალებებზე – დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების დაწყების წლიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეხუთედის ოდენობით.

7. დასაბეგრ პირს უფლება აქვს, სრულად ჩაითვალოს დღგ, თუ მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მიხედვით გაუმიჯნავ ოპერაციებში, ოპერაციების თანხა, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია. ამასთან:

ა) თუ კალენდარული წლის მიხედვით გაუმიჯნავ ოპერაციებში, ოპერაციების თანხა, რომელზეც მას არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება, არ არის საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლები, მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში ამ პუნქტის შესაბამისად ჩათვლილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება გაუქმებას;

ბ) თუ ცალკეული საანგარიშო პერიოდის მიხედვით გაუმიჯნავ ოპერაციებში, ოპერაციების თანხა, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, არ არის საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლები, ხოლო კალენდარული წლის მიხედვით გაუმიჯნავ ოპერაციებში, ოპერაციების თანხა, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია, დასაბეგრი პირი უფლებამოსილია მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში დამატებით ჩაითვალოს ამ პუნქტის მიხედვით ჩაუთვლელი დღგ-ის თანხა.

8. დასაბეგრი პირის მიერ, საკუთარი წარმოების შენობის/ ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების ან/და მის მიერ განხორციელებული საკუთარი ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის) რემონტის შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, აღნიშნული წარმოადგენს თუ არა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე და 160^1 მუხლების შესაბამისად დასაბეგრ ოპერაციებს, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება იმ ფარგლებში, როგორც ის გავრცელდებოდა შესაბამისად, შენობის/ნაგებობის ან სარემონტო მომსახურების სხვა პირისგან შეძენის შემთხვევაში.

9. ამ მუხლით გათვალისწინებულ წლიური ბრუნვის თანხაში:

ა) ასევე შეიტანება შესაბამისი წლის საანგარიშო პერიოდებში საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მიღებული ანაზღაურება/ანაზღაურების ნაწილი, თუ შესაბამისი ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დროს;

ბ) არ გაითვალისწინება ის ოპერაციები, რომელთა დაბეგვრის დრო არ არის შესაბამისი წლის საანგარიშო პერიოდებში.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საკუთარი ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის) რემონტი, XVIII თავის მიზნებისათვის განიხილება ძირითად საშუალებად და მასზე ვრცელდება ამავე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 19.07.2021წ.

მუხლი 73^1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების ან ძირითადი საშუალებების მიწოდების დროს, ძირითად საშუალებებზე ჩასათვლელი/ გასაუქმებელი დღგ-ის თანხის განსაზღვრა

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების ან ძირითადი საშუალებების მიწოდების დროს, ძირითად საშუალებებზე ჩასათვლელი/გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება საგადასახადო წლების მიხედვით, ამ ძირითადი საშუალებების დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში ძირითად საშუალებებზე ჩასათვლელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება ამ ინსტრუქციის 73-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წლებიდან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ (რეგისტრაციის საგადასახადო წლის ჩათვლით) დარჩენილი წლების მიხედვით, დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად, კერძოდ:

ა) დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება ამ ინსტრუქციის 73-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი წესით, თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამიზნულია გამოსაყენებლად როგორც ოპერაციებისთვის, რომელზეც აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ისე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს და ამ ოპერაციების გამიჯვნა შეუძლებელია;

ბ) დასაბეგრ პირს უფლება აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან არაუგვიანეს დეკემბრის საანგარიშო პერიოდისა სრულად მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამიზნულია გამოსაყენებლად მხოლოდ ისეთ ოპერაციებში, რომლებზეც გააჩნია ჩათვლის მიღების უფლება.

2^1. იმ შემთხვევაში, თუ პირი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2021 წლის 1 იანვრამდე და რეგისტრაციის თარიღამდე ექსპლუატაციაში შესულ ძირითად საშუალებებზე ვერ განახორციელა დღგ-ის ჩათვლა, უფლება აქვს 2021 წლიდან ჩათვლისთვის განსაზღვრული დარჩენილი წლების პროპორციულად განსაზღვრული დღგ-ის თანხა ჩაითვალოს ყოველი წლის ბოლოს დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად.

3. დასაბეგრი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმებისას ან/და დასაბეგრი პირის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას ამ ძირითადი საშუალების საკუთრებაში დატოვების შემთხვევაში:

ა) თუ აღნიშნული ქმედება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას ან დღგ-საგან გათავისუფლებულია ჩათვლის უფლებით, ითვლება რომ დარჩენილ პერიოდზე (იმ წლის ჩათვლით, როდესაც განხორციელდა რეგისტრაციის გაუქმება ან ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა) აღნიშნული ძირითადი საშუალება მთლიანად გამოყენებულია დასაბეგრ ოპერაციებში, რომლებზეც დასაბეგრ პირს აქვს ჩათვლის უფლება;

ბ) თუ აღნიშნული ქმედება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით არ წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას ან დღგ-საგან გათავისუფლებულია ჩათვლის უფლების გარეშე, ითვლება რომ დარჩენილ პერიოდზე (იმ წლის ჩათვლით, როდესაც განხორციელდა რეგისტრაციის გაუქმება ან ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა) აღნიშნული ძირითადი საშუალება მთლიანად გამოყენებულია ოპერაციებში, რომლებზეც დასაბეგრ პირს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება.

4. დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმებისას ან დასაბეგრი პირის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას ამ ძირითადი საშუალების საკუთრებაში დატოვების შემთხვევაში თუ აღნიშნული ქმედება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას (იბეგრება დღგ-ით), დასაბეგრ პირს უფლება აქვს ამ ოპერაციის განხორციელების საანგარიშო პერიოდში:

ა) სრულად ჩაითვალოს ამ ოპერაციასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ, თუ გასულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-6 ნაწილით ამ სახის ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრული ვადა;

ბ) ჩაითვალოს ამ ოპერაციასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ-ის ნაწილი გასული წლების პროპორციულად, თუ გასული არ არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-6 ნაწილით ამ სახის ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრული ვადა.

5. თუ დასაბეგრი პირის მიერ ძირითადი საშუალების მიწოდება განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, ითვლება, რომ მიწოდებული აქტივები სრულად გამოყენებულია დასაბეგრ ოპერაციებში, რა დროსაც:

ა) თუ მიწოდების ოპერაცია იბეგრება დღგ-ით ან გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით, ითვლება რომ დარჩენილ პერიოდზე (იმ წლის ჩათვლით, როდესაც განხორციელდა მიწოდება) აღნიშნული ძირითადი საშუალება მთლიანად გამოყენებულია დასაბეგრ ოპერაციებში, რომლებზეც დასაბეგრ პირს აქვს ჩათვლის უფლება;

ბ) თუ მიწოდების ოპერაცია არ იბეგრება დღგ-ით ან გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე, ითვლება რომ დარჩენილ პერიოდზე (იმ წლის ჩათვლით როდესაც განხორციელდა მიწოდება) აღნიშნული ძირითადი საშუალება მთლიანად გამოყენებულია ოპერაციებში, რომლებზეც დასაბეგრ პირს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №254 - ვებგვერდი, 01.10..2021წ.

მუხლი 73[2]. ცალკეული შემთხვევები, როდესაც დღგ-ის ჩათვლა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულისგან განსხვავებული საფუძვლით

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, ამავე კოდექსის 176-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ჩათვლის მიღების საფუძველია:

ა) დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში, ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად განხილულ ოპერაციებზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა;

ბ) დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის) რემონტის შემთხვევაში, ანაზღაურების სანაცვლოდ მომსახურების გაწევად განხილულ ოპერაციებზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა;

გ) დასაბეგრი პირის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ ძირითადი საშუალებების საკუთარ მფლობელობაში დატოვების დასაბეგრ ოპერაციად განხილვის შემთხვევაში დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა;

დ) დასაბეგრი პირის დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, როდესაც ნაშთად არსებული ძირითადი საშუალებები განიხილება დასაბეგრ ოპერაციად, ამ ძირითად საშუალებებზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა.

ე) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მეორე და შემდგომ წლებში შესაბამისი პერიოდის დღგ-ის დეკლარაციის III ნაწილის „ბ“ დანართის შესაბამის გრაფაში დაფიქსირებული საანგარიშო პერიოდში ჩასათვლელი დღგ-ის თანხა.

შენიშვნა: ამ მუხლის „ა“-„დ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ჩათვლის უფლება ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ დღგ-ის დარიცხვა განხორციელებულია საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 73[3]. დღგ-ის თანხის კორექტირება

1. დღგ-ის დასაბეგრი თანხა და, შესაბამისად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა კორექტირდება, თუ შეიცვალა გარემოებები/ფაქტორები, რის საფუძველზეც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს განისაზღვრა დღგ-ით დასაბეგრი თანხა.

2. დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება ხორცილდება კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

3. დასაბეგრი ოპერაციის თანხა და, შესაბამისად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა კორექტირდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) გაუქმდა დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის, ხელახალი რეგისტრაციის დროს დღგ-ის გადამხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებად განხილული საქონლის არსებულ ნაშთზე;

ბ) შეიცვალა დასაბეგრი ოპერაციის სახე (მათ შორის, შეიცვალა დაბეგვრის რეჟიმი);

გ) მხარეთა შეთანხმებით, შეიცვალა დაბეგვრის მომენტში განსაზღვრული ანაზღაურების თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;

დ) საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი გარემოების დადგომისას დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება, თუ გადამხდელის მიერ:

ა) საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ან/და დღგ-ის დეკლარაციაში ასახულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის მითითებული;

ბ) დღგ-ის დეკლარაციაში არასწორად არის მითითებული დღგ-ის თანხა;

გ) გამოწერილია დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის მითითებული.

5. კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება.

6. დღგ-ით დასაბეგრი თანხა ასევე კორექტირდება მრავალჯერადი (დაბრუნებადი) საქონლის/ტარის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, როდესაც დღგ-ით დასაბეგრ თანხაში არ შეიტანება მრავალჯერადი (დაბრუნებადი) საქონლის/ტარის ხარჯები, ამასთან, მიწოდების საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან სამი საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ დაბრუნებადი საქონელი/ტარა არ იქნა დაბრუნებული. ამ შემთხვევაში, მეოთხე საანგარიშო პერიოდში დგება დასაბეგრი თანხის კორექტირების გარემოება და დამატებით დაბეგვრას ექვემდებარება აღნიშნულ საქონელზე/ტარაზე გაწეული ხარჯის ღირებულება.

7. „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტროენერგეტიკული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოს, როდესაც ფასის შემცირების გამო ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება განახორციელოს არაუგვიანეს მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლოსი, თუ დასაბეგრი ოპერაციის თანხის ცვლილება გამოწვეულია გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ცვლილებით ან/და კვალიფიციური საწარმოს მიერ წარმოებული, იმპორტირებული, მოხმარებული (შესყიდული) ან/და ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობის ცვლილებით, მიუხედავად იმისა, იცვლება თუ არა ამის შედეგად ელექტროენერგიის გასაყიდი ან/და შესასყიდი ტარიფი (ფასი).

8. დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში, თუ არ დადგა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა (არ დაიბეგრა შესაბამის საანგარიშო პერიოდში) და აღნიშნული ძირითადი საშუალება გამოიყენება ოპერაციებისთვის, რომელზეც დასაბეგრ პირს აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ასევე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს და ამ ოპერაციების გამიჯვნა შეუძლებელია, მიმდინარე და შემდგომი 9 წლის განმავლობაში დეკემბრის საანგარიშო პერიოდებზე კორექტირებას/დარიცხვას ექვემდებარება დღგ-ის თანხა, რომელიც გამოითვლება ამ ძირითადი საშუალების წარმოების ფასის 1/10-დან იმ პროპორციული ნაწილის მიხედვით, რომელზეც დასაბეგრ პირს არ გააჩნია დღგ-ის ჩათვლის უფლება.

9. დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებული საკუთარი ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის) რემონტის შემთხვევაში, თუ არ დადგა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა (არ დაიბეგრა შესაბამის საანგარიშო პერიოდში) და აღნიშნული ძირითადი საშუალება (რომელზეც განხორციელებულია რემონტი) გამოიყენება ოპერაციებისთვის, რომელზეც დასაბეგრ პირს აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ასევე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს და ამ ოპერაციების გამიჯვნა შეუძლებელია, მიმდინარე და შემდგომი 4 წლის განმავლობაში დეკემბრის საანგარიშო პერიოდებზე კორექტირებას/დარიცხვას ექვემდებარება დღგ-ის თანხა, რომელიც გამოითვლება ამ ძირითადი საშუალების რემონტზე გაწეული ყველა დანახარჯის ღირებულების 1/5-დან იმ პროპორციული ნაწილის მიხედვით, რომელზეც დასაბეგრ პირს არ გააჩნია დღგ-ის ჩათვლის უფლება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.

თავი XIX. ანგარიშგება

მუხლი 74. დღგ-ის დეკლარაცია

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ყოველ საანგარიშო პერიოდზე საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციას №III-25 დანართის ფორმით.

დანართი №III-25

(თან ერთვის თანდართული ფაილის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №578 – ვებგვერდი, 15.11.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 15.02.2017წ.
საქარველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 12 აპრილის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 18.04.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 7 ივლისის ბრძანება №234 - ვებგვერდი, 10.07.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 26 ივლისის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 27.08.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის ბრძანება №140 - ვებგვერდი, 11.04.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისთვის, თუ დღგ-ის გადამხდელი, გარდა ფიზიკური პირისა, არ წარადგენს დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციას, არ ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №273 - ვებგვერდი, 13.11.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 28.01.2022წ.

მუხლი 75. დღგ-ის დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციის I ნაწილში აისახება ინფორმაცია დღგ-ის გადამხდელის რეკვიზიტის, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/დაზუსტებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

2. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

3. დეკლარაციის III ნაწილის და „ა“ და „ბ“ დანართების უჯრებში მონაცემები შეიტანება უჯრების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად. ამასთან, „ა“ დანართის პირველი ნაწილის მე-15 უჯრის მონაცემი გადმოიტანება დეკლარაციის III ნაწილის პირველ უჯრაში, ხოლო „ა“ დანართის მე-2 ნაწილის მე-4 უჯრის მონაცემები გადაიტანება დეკლარაციის III ნაწილის მე-8 უჯრაში. „ა“ დანართის პირველი ნაწილის: პირველი - მე-8 სტრიქონების მე-3 სვეტის ჯამი აისახება დეკლარაციის III ნაწილის მე-2 უჯრაში, მე-9 – მე-14 სტრიქონების მე-3 სვეტის ჯამი – დეკლარაციის III ნაწილის მე-3 უჯრაში, 14^1-14^3 სტრიქონების მე-3 სვეტის ჯამი - დეკლარაციის III ნაწილის მე-5 უჯრაში. ამასთან, „ა“ დანართის III ნაწილის მე-9 უჯრის მე-3 სვეტის მონაცემი გადმოიტანება დეკლარაციის III ნაწილის მე -11 უჯრაში.

3^1. დეკლარაციის III ნაწილის „ა“ დანართის პირველი ნაწილის პირველი, მე-2 და მე-3 უჯრებში ჯამურად მითითებული მონაცემი არ უნდა იყოს დაბეგვრაზე წარდგენილი შესაბამის თვეში განხორციელებულ დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებზე გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით გამოანგარიშებულ დასაბეგრ ბრუნვაზე ნაკლები. ამასთან, „ა“ დანართის პირველი ნაწილის 1^1 უჯრაში გადმოიტანება დანართი №III-19^6-ის III ნაწილის მე-5 სტრიქონის (მე-5 სვეტის) ჯამური მონაცემი.

3^2. დეკლარაციის III ნაწილის პირველ უჯრაში შეიტანება დღგ, დარიცხული საგადასახადო პერიოდში განხორციელებულ ბრუნვაზე (მათ შორის, უძრავი ქონების შექმნა/მართვა/რეალიზაციასთან დაკავშირებულ დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხული დღგ). ამასთან, აღნიშნული უჯრა მოიცავს საანგარიშო პერიოდში როგორც მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საკომპენსაციო თანხის, ასევე მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების წინასწარ გადახდილი საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის მიხედვით დარიცხულ დღგ-ს.

3^3. დეკლარაციის III ნაწილის მე-2-4^5 უჯრებში შესატანი მონაცემები ინფორმაციულია. 4^1 უჯრაში მიეთითება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საქონლის მიწოდებაზე/მომსახურების გაწევაზე წინასწარ გადახდილი საკომპენსაციო თანხა/თანხის ნაწილი, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით ექვემდებარებოდა დაბეგვრას.

3^4. დღგ-ის დეკლარაციის III ნაწილის მე-7 გრაფის მონაცემი არ უნდა იყოს დანართი „ბ“-ს I ნაწილის მე-7 სვეტის და დანართი „ბ“-ს VIII ნაწილის დღგ-ის თანხების ჯამზე მეტი.

3^5. დღგ-ის დეკლარაციის დანართი „ა“-ს III ნაწილის მე-3 გრაფის მონაცემი არ უნდა იყოს დეკლარაციის დანართი „ბ“-ს VII ნაწილით, მე-7 გრაფა – დანართ „ბ“-ს V ნაწილით და მე-8 გრაფა – დანართი „ბ“-ს IV

ნაწილით დეკლარირებულ დღგ-ის თანხაზე მეტი. დღგ-ის დეკლარაციის დანართი „ა“-ს III ნაწილის მე-5 გრაფის მონაცემები არ უნდა იყოს დეკლარაციის დანართი „ა“-ს I ნაწილის 7^1 გრაფით დეკლარირებულ დღგ-ის თანხაზე მეტი. დანართი „ა“-ს III ნაწილის მე-6 და 6^1 გრაფები ივსება მხოლოდ საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში.

4. დეკლარაციის III ნაწილის მე-15–მე-18 უჯრებში შესატანი მონაცემები გაანგარიშებითია. მე-17 უჯრაში შესატანი მონაცემი მოიცავს გადასახდელი დღგ-ის სრულ თანხას. მე-17 და მე-18 უჯრებში ჩაწერილი თანხა ექვემდებარება გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვას.

5. დეკლარაციის III ნაწილის მე-19 და მე-20 უჯრები ივსება მხოლოდ საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში. დღგ-ის ჩასათვლელი/დასარიცხი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში საერთო ბრუნვის თანხაში იმ ოპერაციების თანხების ხვედრითი წონის მიხედვით, რომლებზეც გადასახადის გადამხდელს არ აქვს ჩათვლის უფლება, კერძოდ: დღგ, რომელიც ექვემდებარება დამატებით დარიცხვას საერთო ბრუნვაში იმ ოპერაციების თანხების ხვედრითი წონის მიხედვით, რომელზეც ჩათვლის უფლება არ წარმოიშობა, აისახება მე-19 უჯრაში, ხოლო დღგ, რომელიც ექვემდებარება დამატებით ჩათვლას საერთო ბრუნვაში იმ ოპერაციების თანხების ხვედრითი წონის მიხედვით, რომელზეც ჩათვლის უფლება არ წარმოიშობა – მე-20 უჯრაში. აღნიშნული თანხები ექვემდებარება გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვას.

5^1. დეკლარაციის „ბ“ დანართის I ნაწილის მე-2 – მე-8 სვეტებში აისახება დასაბეგრ ოპერაციებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, კორექტირების) შესახებ ინფორმაცია. მე-9 –მე-11 სვეტები ივსება იმ შემთხვევაში, თუ მე-2 – მე-8 სვეტებში ასახულია იმ საქონლის მიწოდებაზე/მომსახურების გაწევაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) შესახებ მონაცემები, რომელზეც წინა საანგარიშო პერიოდებში განხორციელდა საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ჩარიცხვა და მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების წინასწარ გადახდილ თანხაზე/თანხის ნაწილზე გამოიწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. შესაბამისად, მე-9 – მე-11 სვეტები მოიცავს საანგარიშო პერიოდში მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ ინფორმაციას.

მაგალითი:

შპს „X“ და ავეჯის მწარმოებელი საწარმო საანგარიშო წლის იანვრის თვეში შეთანხმდნენ 7000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების თაობაზე. შეთანხმების თანახმად, თებერვლის თვეში გადახდილ იქნა მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის ნაწილი – 3000 ლარი. ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ გადახდილ თანხაზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და თებერვლის თვის დღგ-ის დეკლარაციით დაბეგრა წინასწარ გადახდილი თანხა. შეთანხმების შესაბამისად, 7000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება განხორციელდა საანგარიშო წლის ივნისის თვეში. ავეჯის მწარმოებელი საწარმოს მიერ ივნისის თვეში საქონლის კომპენსაციის სრულ თანხაზე გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

შეფასება:

თებერვლის თვეში ავეჯის მწარმოებელი საწარმო ვალდებულია წარადგინოს დღგ-ის ყოველთვიური დეკლარაცია და 3000 ლარი ასახოს დღგ-ის დეკლარაციის დანართი „ა“- ს I ნაწილის მე-2 სტრიქონსა და დეკლარაციის ნაწილი III-ის მე-2 სტრიქონში. ასევე, ვალდებულია ამავე თვის დღგ-ის დეკლარაციის დანართი „ბ“-ს I ნაწილში ასახოს მისაწოდებელ საქონელზე/გასაწევ მომსახურებაზე წინასწარ გადახდილი თანხის ნაწილზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შესახებ ინფორმაცია.

ავეჯის მწარმოებელი საწარმო უფლებამოსილია ივნისის თვის დღგ-ის დეკლარაციის დანართი „ბ“-ს I ნაწილში (მე-2 – მე-6 სვეტები) მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან ერთად ასახოს ამავე საქონლის საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მონაცემები (მე-9–მე-11 სვეტები), რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღგ-ის თანხას.

მოცემულ შემთხვევაში, ივნისის თვის დღგ-ის დასაბეგრ ბრუნვაში მონაწილეობას მიიღებს 4000 ლარი. კერძოდ, აღნიშნული ჩაიწერება დეკლარაციის ნაწილი III-ის მე-2 სტრიქონში, ხოლო ამავე ნაწილის 4^1 უჯრაში აისახება 3000 ლარი (ამ ოპერაციაზე წინასწარ გადახდილი საკომპენსაციო თანხა, რომელიც დაიბეგრა გადახდის თვეში (თებერვალში)).

5^2. დეკლარაციის „ბ“ დანართის II ნაწილის მე-2 – მე-8 სვეტებში აისახება შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, კორექტირების) შესახებ ინფორმაცია. მე-9 – მე-11 სვეტები ივსება იმ შემთხვევაში, თუ მე-2 – მე-8 სვეტებში ასახულია იმ შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) მონაცემები, რომელზეც წინა საანგარიშო-პერიოდებში განხორციელდა საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდა და მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების წინასწარ გადახდილ თანხაზე/თანხის ნაწილზე გამოიწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. შესაბამისად, მე-9 – მე-11 სვეტები მოიცავს საანგარიშო პერიოდში შეძენილ საქონელზე/ მომსახურებაზე წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ ინფორმაციას.

5^3. დეკლარაციის „ბ“ დანართის II^1 ნაწილის პირველ-მე-12 სვეტებში აისახება დასაბეგრ ოპერაციებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-

ფაქტურების (მათ შორის, კორექტირების) შესახებ ინფორმაცია. მე-13-მე-15 სვეტები ივსება იმ შემთხვევაში, თუ პირველ-მე-12 სვეტებში ასახულია იმ ნავთობპროდუქტების მიწოდებაზე გამოწერილი ნავთობპროდუქტის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) შესახებ მონაცემები, რომელზეც წინა საანგარიშო პერიოდებში განხორციელდა საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ჩარიცხვა და მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების წინასწარ გადახდილ თანხაზე/თანხის ნაწილზე გამოიწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. შესაბამისად, მე-13-მე-15 სვეტები მოიცავს საანგარიშო პერიოდში მიწოდებულ ნავთობროდუქტებზე წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ ინფორმაციას.

5^4. დეკლარაციის „ბ“ დანართის II^2 ნაწილის პირველ-მე-12 სვეტებში აისახება შეძენილ ნავთობპროდუქტებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი ნავთობპროდუქტის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, კორექტირების) შესახებ ინფორმაცია. მე-13-მე-15 სვეტები ივსება იმ შემთხვევაში, თუ პირველ-მე-12 სვეტებში ასახულია იმ შეძენილ ნავთობპროდუქტზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) მონაცემები, რომელზეც წინა საანგარიშო პერიოდებში განხორციელდა საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდა და მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების წინასწარ გადახდილ თანხაზე/თანხის ნაწილზე გამოიწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. შესაბამისად, მე-13-მე-15 სვეტები მოიცავს საანგარიშო პერიოდში შეძენილ საქონელზე წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ ინფორმაციას.

6. დეკლარაციის „ბ” დანართის I და II ნაწილების მე-5 სვეტი ივსება მხოლოდ დეკლარაციის ელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში.

7. დეკლარაციის „ბ” დანართის III ნაწილში მიეთითება ჩათვლაში გამოყენებულ განხორციელებულ იმპორტზე გამოწერილი საბაჟო დეკლარაციის მონაცემები: საბაჟო დეკლარაციის გრაფაში მითითებული შეფასების ნომერი (მხოლოდ ციფრები), თარიღი და დღგ-ის თანხა, ხოლო თუ საბაჟო დეკლარაციას არ გააჩნია გრაფა – საბაჟო დეკლარაციის ნომერი (მხოლოდ ციფრები), თარიღი და დღგ-ის თანხა.

7^1. დეკლარაციის „ბ“ დანართის IV ნაწილში მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161^1 მუხლის შესაბამისად სამეურვეო ქონების აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით შესყიდვისას შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება, საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება, საქონლის/სამეურვეო ქონების შესყიდვის თარიღი და დღგ-ის თანხა.

7^2. დეკლარაციის „ბ“ დანართის V ნაწილი ივსება მაშინ, როცა დღგ-ის გადამხდელებს შორის განხორციელდა საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია და გადამხდელმა მიიღო სანაცვლო საქონელი/მომსახურება. დეკლარაციის „ბ“ დანართის V ნაწილში მიეთითება იმ დეკლარაციის სარეგისტრაციო ნომერი, რომლითაც გადამხდელმა დაადეკლარირა ბარტერული ოპერაციის ფარგლებში მის მიერ მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე გადასახდელი დღგ-ის თანხა. თუ საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიწოდებაც და სანაცვლო საქონლის/მომსახურების მიღებაც ერთსა და იმავე საანგარიშო პერიოდში ხდება, დეკლარაციის სარეგისტრაციო ნომრის მაგივრად მიეთითება „-“. ასევე მიეთითება მომწოდებლის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება, სანაცვლო საქონლის მიღების საანგარიშო პერიოდი (თვე და წელი) და დღგ - ის თანხა. აღნიშნული დანართით დეკლარირებული დღგ-ის თანხა არ უნდა იყოს დანართში მითითებული დღგ-ის დეკლარაციით ბარტერულ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ის თანხაზე მეტი.

7^3. (ამოღებულია - 05.03.2021, №46).

7^4. დეკლარაციის „ბ“ დანართის VII ნაწილში მიეთითება საგადასახადო/საბაჟო ორგანოს იმ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვა, ასევე მიეთითება საგადასახადო/საბაჟო ორგანოს ამ გადაწყვეტილების შესაბამისად დარიცხული და ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის თანხა. აღნიშნული დანართით დეკლარირებული დღგ-ის თანხა არ უნდა იყოს ამავე დანართში მითითებული საგადასახადო/საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებით დარიცხულ დღგ-ის თანხაზე მეტი.

7^5. დეკლარაციის „ბ“ დანართის VIII ნაწილი ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად განხორციელდა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება (შემცირება) და არ გამოიწერება მასზე კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. VIII ნაწილის მე-2 სვეტში მიეთითება დღგ-ის იმ დეკლარაცი(ებ)ის ნომერი, სადაც განხორციელდა კორექტირებამდე დასაბეგრი ოპერაციის დეკლარირება, მე-3 სვეტში მიეთითება დღგ-ის დეკლარაციის საანგარიშო პერიოდი და მე-4 სვეტში მიეთითება დღგ-ის თანხა, რომლითაც ხდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის შემცირება. ამასთან, მე-4 სვეტში დეკლარირებული დღგ-ის თანხა არ უნდა იყოს ამავე დანართის მე-2 სვეტში მითითებული დღგ-ის დეკლარაციით დარიცხულ დღგ-ზე მეტი.

7^6. დეკლარაციის „ბ“ დანართის IX ნაწილი ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად განხორციელდა დღგ-ით უკუდაბეგვრით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება (შემცირება). IX ნაწილის მე-2 სვეტში მიეთითება დღგ-ის დეკლარაცი(ებ)ის სარეგისტრაციო ნომერი, თუ კორექტირებამდე დღგ-ით უკუდაბეგვრით დასაბეგრი ოპერაცია დადეკლარირდა დღგ-ის დეკლარაციით და უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გაანგარიშების სარეგისტრაციო ნომერი, თუ

კორექტირებამდე უკუდაბეგვრის დასაბეგრი ოპერაცია დადეკლარირდა დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გაანგარიშებით. მე-3 სვეტში მიეთითება ამავე დანართში მითითებული დღგ-ის დეკლარაციის/უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გაანგარიშების შესაბამისი საანგარიშო პერიოდი და მე-4 სვეტში მიეთითება დღგ-ის თანხა, რითაც ხდება დღგ-ით უკუდაბეგვრის დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება (შემცირება). ამასთან, მე-4 სვეტში დეკლარირებული დღგ-ის თანხა არ უნდა იყოს ამავე დანართის მე-2 სვეტში მითითებული დღგ-ის დეკლარაციით/უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გაანგარიშებით უკუდაბეგვრის დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ზე მეტი. ამასთან, აღნიშნულ დანართში მითითებული დღგ-ის თანხა გადაიტანება დღგ-ის დეკლარაციის III ნაწილის მე-10 გრაფაში.

8. დეკლარაციის იმ უჯრებში, სადაც მითითებულია ლოგიკური ფორმულები, შეიტანება აღნიშნული ფორმულების მიხედვით განსაზღვრული მონაცემები. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზის გამო აღნიშნულ უჯრებში შეიტანება განსხვავებული მონაცემი, დღგ-ის გადამხდელი ვალდებულია ამის თაობაზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

9. დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი. ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელმოწერით დასტურდება დღგ-ის გადამხდელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №578 – ვებგვერდი, 15.11.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №55 – ვებგვერდი, 21.02.2012
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 15.02.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 7 ივლისის ბრძანება №234 - ვებგვერდი, 10.07.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 26 ივლისის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 27.08.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის ბრძანება №140 - ვებგვერდი, 11.04.2018წ
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №228 - ვებგვერდი, 10.09.2021წ.

თავი XIX[1]
უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის დაბრუნება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ივლისის ბრძანება №390 – ვებგვერდი, 13.07.2011 წ.

მუხლი 75[1]. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამავე თავის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითარი (შემდგომში – ქვითარი) – უცხო ქვეყნის მოქალაქის (შემდგომში – უცხოელი) მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე უფლებამოსილი გამყიდველის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ამ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების საფუძველს (დანართი №III-26);

ბ) უფლებამოსილი გამყიდველი – პირი, რომელიც შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, უფლებამოსილია უცხოელის მიერ შეძენილ საქონელზე გასცეს ქვითარი;

გ) ბანკი – კომერციული ბანკი, რომლის საშუალებითაც, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხდება უცხოელის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნება;

დ) ელექტრონული სისტემა – მონაცემთა ავტომატიზებული ბაზა, სადაც რეგისტრირდება უცხოელის მიერ საქართველოში საქონლის შეძენის, საქონლის საზღვარზე გატანის და საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების თაობაზე მონაცემები, ასევე ინფორმაცია უფლებამოსილი გამყიდველის თაობაზე;

ე) ელექტრონული სისტემის მომხმარებელი – უფლებამოსილი გამყიდველი, ბანკი და შემოსავლების სამსახური.

ვ) იდენტიფიცირებადი საქონელი – საქონელი, რომელზეც ქარხნული წესით დატანილია საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდი/კომბინაცია, რაც წარდგენისას მისი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ივლისის ბრძანება №390 – ვებგვერდი, 13.07.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №377 – ვებგვერდი, 27.11.2015წ.

მუხლი 75[2]. ქვითრის გაცემის უფლების მინიჭება

1. ქვითრის გაცემის უფლების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ეწევა საცალო ვაჭრობას სტაციონარულ სავაჭრო ობიექტში ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალებაში;

ბ) რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;

გ) არ გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება.

1[1]. დაინტერესებული პირი ვალდებულია განცხადებაში მიუთითოს იმ სავაჭრო ობიექტების/ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის –სახელმწიფო სანომრე ნიშნის მითითებით) ნუსხა, სადაც განხორციელდება ქვითრის გაცემა.

2. შემოსავლების სამსახური განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ქვითრის გაცემის უფლების მინიჭების თაობაზე ან წერილობით აცნობებს განმცხადებელს დასაბუთებულ უარს.

3. შემოსავლების სამსახურის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, ინფორმაცია უფლებამოსილი გამყიდველის თაობაზე, შემოსავლების სამსახურის მიერ შეიტანება ელექტრონულ სისტემაში.

4. უფლებამოსილ გამყიდველს ქვითრის გაცემის უფლება ენიჭება 12 თვის ვადით.

5. (ამოღებულია – 08.08.2011, №428).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ივლისის ბრძანება №390 – ვებგვერდი, 13.07.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №428 – ვებგვერდი, 09.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №319 – ვებგვერდი, 27.10.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №326 – ვებგვერდი, 20.09.2017წ.

მუხლი 75[3]. უფლებამოსილი გამყიდველის ვალდებულებები

1. უფლებამოსილი გამყიდველი ვალდებულია:

ა) არ გასცეს ქვითარი იმ საქონელზე, რომელზეც არაა ნებადართული გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნება;

ბ) არ გასცეს ქვითარი საქონელზე, თუ მისი ჯამური ღირებულება ერთი ქვითრის მიხედვით არ აღემატება 200 ლარს (დღგ-ის გარეშე);

ბ[1]) უცხოელის მოთხოვნის საფუძველზე გასცეს ქვითარი, რომელშიც ასახულია შეძენილი საქონლის შესახებ მონაცემები (მათ შორის, იდენტიფიცირებადი საქონლის შემთხვევაში, მასზე ქარხნული წესით დატანილი სერიული ნომერი/(IMEI) ან სხვა საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდი/კომბინაცია). ქვითარი გაიცემა საქონლის შეძენისთანავე;

გ) შეძენილი საქონელი (იდენტიფიცირებადი საქონლის გარდა) შეფუთოს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული წესით;

დ) განუმარტოს მყიდველს შეძენილ საქონელზე დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები;

ე) სავაჭრო ობიექტის წინა ფასადზე, ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში კი –გვერდით ფასადზე, თვალსაჩინოდ ჰქონდეს გამოკრული ფირნიში მინიშნებით – „გადასახადისაგან თავისუფალი ვაჭრობა – TAX FREE SHOPPING“;

ვ) ელექტრონულ სისტემაში შეიტანოს უცხოელისა და მის მიერ შეძენილი საქონლის შესახებ მონაცემები (მათ შორის, იდენტიფიცირებადი საქონლის შემთხვევაში, მასზე ქარხნული წესით დატანილი სერიული ნომერი/(IMEI) ან სხვა საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდი/კომბინაცია);

ზ) ქვითარი შეავსოს ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად;

თ) სავაჭრო ობიექტების/ავტოსატრანსპორტო საშუალებების (სადაც ხორციელდება ქვითრის გაცემა) ნუსხაში ცვლილების განხორციელების შესახებ აცნობოს შემოსავლების სამსახურს. სავაჭრო ობიექტების/ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნუსხაში დამატების განხორციელების შემთხვევაში, უფლებამოსილ გამყიდველს უფლება აქვს სავაჭრო ობიექტში/ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ქვითარი გასცეს შემოსავლების სამსახურისთვის სავაჭრო ობიექტის/ავტოსატრანსპორტო საშუალების დამატების შესახებ ინფორმაციის წარდგენის მეორე სამუშაო დღიდან.

1[1]. უფლებამოსილი გამყიდველი ვალდებულია ქვითრის გაცემის უფლების მინიჭებიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა უზრუნველყოს ამ თავით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება და შესაბამისი პირობების არსებობისას უცხოელის მიერ საქონლის შეძენისას ქვითრის გაცემა.

2. ამ თავით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილ გამყიდველს ეგზავნება შეტყობინება ვალდებულების დარღვევის თაობაზე. ვალდებულების ყოველი შემდგომი დარღვევა იწვევს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 291-ე მუხლით დადგენილ პასუხისმგებლობას.

3. ქვითრის გაცემის უფლების გაუქმებიდან 1 თვის შემდეგ, პირი უფლებამოსილია შემოსავლების სამსახურს განმეორებით მიმართოს ქვითრის გაცემის უფლების მისაღებად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ივლისის ბრძანება №390 – ვებგვერდი, 13.07.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №428 – ვებგვერდი, 09.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №616 – ვებგვერდი, 21.12.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 იანვრის ბრძანება №15 – ვებგვერდი, 13.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 მარტის ბრძანება №69 – ვებგვერდი, 09.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №377 – ვებგვერდი, 27.11.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №326 – ვებგვერდი, 20.09.2017წ.

მუხლი 75[4]. უცხოელის მიერ საქონლის შეძენა

1. უცხოელის მიერ უფლებამოსილი გამყიდველის სავაჭრო ობიექტში/ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ერთი ქვითრის მიხედვით 200 ლარზე მეტი ჯამური ღირებულების (დღგ-ის გარეშე) საქონლის შეძენის შემთხვევაში, გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის ქვითრის გაცემის მიზნით, უფლებამოსილ

გამყიდველს უნდა წარედგინოს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. უფლებამოსილ გამყიდველთან შემენილი საქონელი (იდენტიფიცირებადი საქონლის გარდა) გამყიდველის მიერ თავსდება სპეციალურ შეფუთვაში და ილუქება.

3. უფლებამოსილი გამყიდველის მიერ უცხოელისა და მის მიერ შემენილი საქონლის შესახებ მონაცემები (მათ შორის, იდენტიფიცირებადი საქონლის შემთხვევაში, მასზე ქარხნული წესით დატანილი სერიული ნომერი/(IMEI) ან სხვა საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდი/კომბინაცია) შეიტანება ელექტრონულ სისტემაში.

4. (ამოღებულია – 11.01.12, №15).

5. ქვითრის არასწორად შევსების შემთხვევაში, უფლებამოსილი გამყიდველის მიერ გამოიწერება ახალი ქვითარი, ხოლო არასწორად შევსებული ქვითრის შესახებ მონაცემები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

6. შეფუთული საქონელი გახსნას ექვემდებარება მხოლოდ შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ თანხის დაბრუნებაზე დასტურის მიღების შემდეგ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ივლისის ბრძანება №390 – ვებგვერდი, 13.07.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 იანვრის ბრძანება №15 – ვებგვერდი, 13.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №377 – ვებგვერდი, 27.11.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №326 – ვებგვერდი, 20.09.2017წ.

მუხლი 75[5]. დღგ-ის თანხის დაბრუნება

1. დღგ-ის თანხა დაბრუნებას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) უცხოელის მიერ საქონლის შემენიდან გასული არ არის 3 თვე;

ბ) შემენილი საქონლის ჯამური ღირებულება ერთი ქვითრის მიხედვით აღემატება 200 ლარს (დღგ-ის გარეშე);

გ) საქონელი შემენილია უფლებამოსილ გამყიდველთან;

დ) ერთი ქვითრის მიხედვით შემენილი საქონელი უცხოელის მიერ სრულად გაიტანება საქართველოდან ბარგის ან ხელბარგის სახით;

ე) შემენილი საქონელი (იდენტიფიცირებადი საქონლის გარდა) შეფუთულია შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

ვ) იდენტიფიცირებადი საქონელი შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირს წარედგინება სხვა საქონლისგან დამოუკიდებლად.

შენიშვნა:

დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის ამ პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები, რომელიც ითვალისწინებს საქონლის ბარგის ან ხელბარგის სახით გატანას და სხვა საქონლისაგან დამოუკიდებლად წარდგენას, არ ვრცელდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4011 20 კოდით განსაზღვრულ საბურავზე, რომელიც წარედგინება სატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებულ მდგომარეობაში და მასზე განთავსებულია სპეციალური სტიკერი, შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) სტიკერზე დატანილია საბურავის საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდი/კომბინაცია ან სპეციალური წამკითხველის მეშვეობით აღქმადი, საბურავის საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდის/კომბინაციის შემცველი შტრიხკოდი;

ბ) სტიკერი განთავსებულია ისეთი სახით და იმდაგვარად, რომ:

ბ.ა) ხელს არ უშლის შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ მის შემოწმებას;

ბ.ბ) მისი მოხსნა გამოიწვევს სტიკერის დაზიანებას.

2. უფლებამოსილი გამყიდველის მიერ ქვითარი არ გამოიწერება და, შესაბამისად, გადახდილი დღგ-ის თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება:

ა) მალფუჭებად საქონელზე;

ბ) სატრანსპორტო საშუალებაზე;

გ) ოქროზე, რომლის მასა აღემატება 125 გრამს და რომელიც წარმოდგენილი არ არის სამკაულის (ნაკეთობის) სახით;

დ) ძვირფას ქვებზე;

ე) საქონელზე, რომლის გატანა საქართველოს ტერიტორიიდან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას, გარდა საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვას დაქვემდებარებული საქონლისა;

ვ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე–173-ე მუხლების თანახმად, დღგ-ისგან გათავისუფლებულ საქონელზე.

3. გადახდილი დღგ-ის თანხა შესაძლებელია დაუბრუნდეს მხოლოდ ქვითარში მითითებულ პირს.

4. უცხოელს უბრუნდება გადახდილი დღგ-ის თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვითარში დაფიქსირებული საქონელი სრულად გაიტანება საქართველოს ტერიტორიიდან. სხვა შემთხვევაში გადახდილი დღგ-ის თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ივლისის ბრძანება №390 – ვებგვერდი, 13.07.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №616 – ვებგვერდი, 21.12.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №377 – ვებგვერდი, 27.11.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №246 - ვებგვერდი, 03.10.2016წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №197 - ვებგვერდი, 26.08.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №228 - ვებგვერდი, 10.09.2021წ.

მუხლი 75[6]. დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი

1. დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე და საპასპორტო კონტროლის გავლამდე, უცხოელი უფლებამოსილი გამყიდველის მიერ გამოწერილ ქვითარს წარუდგენს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირს, რომელიც ქვითრის უნიკალური ნომრის მიხედვით ამოწმებს მონაცემების სისწორეს ელექტრონულ სისტემაში.

1[1]. შეუფუთავი საქონელი იდენტიფიცირების მიზნით ექვემდებარება შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმებას, ხოლო შეფუთული საქონელი მოწმდება ცალკეულ შემთხვევაში, რისკის მართვის სისტემის საფუძველზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ დაცულია ამ ინსტრუქციის 75[5] მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი ბეჭდით ამოწმებს უცხოელის მიერ წარდგენილ ქვითარს და შესაბამის მონაცემებს ასახავს ელექტრონულ სისტემაში.

3. ამ ინსტრუქციით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი უარს ეუბნება უცხოელს დღგ-ის თანხის დაბრუნებაზე.

4. საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე უცხოელი უფლებამოსილია დაიბრუნოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა.

4[1]. საზღვაო ნავსადგურებში უცხოელმა შესაძლებელია დაიბრუნოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა საბაჟო კონტროლის გავლის შემდეგ, თუ საპასპორტო კონტროლი კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტზე.

5. უცხოელის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება ბანკის მიერ ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენელი, უცხოელის მიერ წარდგენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ქვითრის საფუძველზე, ელექტრონულ სისტემაში ამოწმებს ინფორმაციას შემოტანილ საქონელზე.

7. უცხოელისათვის დასაბრუნებელი დღგ-ის თანხა იანგარიშება დარიცხული დღგ-ის თანხიდან საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის და ბანკის მიერ გაწეული მომსახურების საკომისიოს გამოკლებით.

8. უნაღდო ანგარიშსწორებისას უცხოელს გადახდილი დღგ-ის თანხა უბრუნდება ქვეყნის დატოვებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში – უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ქვითრის წარდგენისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ივლისის ბრძანება №390 – ვებგვერდი, 13.07.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 24 მარტის ბრძანება N87 – ვებგვერდი, 25.03.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №377 – ვებგვერდი, 27.11.2015წ.

დანართი №III-26

(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 ივლისის ბრძანება №390 – ვებგვერდი, 13.07.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №616 – ვებგვერდი, 21.12.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 მარტის ბრძანება №69 – ვებგვერდი, 09.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 24 მარტის ბრძანება N87 – ვებგვერდი, 25.03.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №377 – ვებგვერდი, 27.11.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №326 – ვებგვერდი, 20.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №197 - ვებგვერდი, 26.08.2020წ.

თავი XIX[2]
კომერციული ბანკებისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება №547 – ვებგვერდი, 24.10.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №302 - ვებგვერდი, 03.08.2012წ.

მუხლი 75[7]. ამოღებულია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება №547 – ვებგვერდი, 24.10.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №302 - ვებგვერდი, 03.08.2012წ.

დანართი №III-27 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება №547 – ვებგვერდი, 24.10.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №302 - ვებგვერდი, 03.08.2012წ.

მუხლი 75[8]. კომერციული ბანკებისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი

1. დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, ბანკი შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, წერილობითი (მატერიალური) ან ელექტრონული ფორმით მიმართავს შემოსავლების სამსახურს და წარუდგენს ჯამურ ანგარიშს გადახდაზე და ამონაწერს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის დაბრუნებული თანხების შესახებ.

2. ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოში „უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების შესახებ“ განაცხადის ელექტრონულად წარდგენისას:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში განაცხადი ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავების საფუძველზე ავტომატურად დაკმაყოფილდება, ხოლო შემოსავლების სამსახური, თანხის დაბრუნების მიზნით, უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, სახაზინო სამსახურში დოკუმენტების ელექტრონული ფორმით გაგზავნას „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №916 ბრძანებით დადგენილი წესით;

ბ) მონაცემების ავტომატური დამუშავების (ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით) შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით ელექტრონულად ატყობინებს განაცხადის წარმდგენ პირს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

3. ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოში „უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების შესახებ“ განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენისას საგადასახადო ორგანო განიხილავს და:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში თანხის დაბრუნების მიზნით უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სახაზინო სამსახურში დოკუმენტების გაგზავნას „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №916 ბრძანებით დადგენილი წესით;

ბ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით წერილობით ატყობინებს განაცხადის წარმდგენ პირს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

4. ხარვეზის დადგენისას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადის დინება შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე ან შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

5. დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება განაცხადის წარმდგენი პირის მიერ განაცხადში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 22 მაისის ბრძანება №171 - ვებგვერდი, 25.05.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 მაისის ბრძანება №151 – ვებგვერდი, 21.05.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №246 - ვებგვერდი, 23.09.2021წ.

თავი XIX[3]
ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დასაბეგრი პირისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 75[9]. ზოგადი დებულებები

ამ თავით განისაზღვრება იმ პირისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ით დასაბეგრ პირს (ამ თავის მიზნებისათვის შემდგომში დასაბეგრი პირი), აგრეთვე კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით დანიშნავს გადამხდელი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 75[10]. დღგ-ის თანხის დაბრუნების უფლებამოსილი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელი

1. დასაბეგრ პირს უფლება აქვს, დაიბრუნოს საქართველოში საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/მომსახურების შეძენისას ან საქართველოში საქონლის იმპორტისას გადახდილი დღგ-ის თანხა, თუ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) პირს საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება ან მისი საქმიანობის ადგილი (რასთან დაკავშირებითაც ითხოვს დღგ-ის დაბრუნებას) ან/და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში არ არის;

ბ) პირის მიერ საქართველოში შეძენილი საქონელი/მომსახურება ან იმპორტირებული საქონელი დღგ-

ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოიყენება;

გ) მსგავსი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, ამ კოდექსის შესაბამისად, უფლებამოსილი იქნებოდა, ჩაეთვალა გადახდილი დღგ.

შენიშვნა: ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად განიხილება საქმიანობა, რის გამოც პირი განიხილება დასაბეგრ პირად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 75[11]. უფლებამოსილი წარმომადგენელი
1. დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით დასაბეგრი პირი ვალდებულია დანიშნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც ამ თავით გათვალისწინებული დღგ-ის თანხის დაბრუნების ფარგლებში ეკისრება გადასახადის გადამხდელისათვის ამ თავითა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები.
2. უფლებამოსილი წარმომადგენელი წარმოადგენს დასაბეგრი პირის ინტერესებს და მოქმედებს მის მიერ გაცემული და სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე, ასეთი მინდობილობით, ამ წესით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. უფლებამოსილი წარმომადგენელი უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტი და რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც ინიშნება დასაბეგრი პირის მიერ, დასაბეგრ პირთან ერთად სოლიდარულად პასუხისმგებელია არასწორი ინფორმაციის საფუძველზე დაბრუნებული დღგ-ის თანხის ანაზღაურებაზე.

5. დღგ-ის თანხის დაბრუნების ნებისმიერი შემდგომი განცხადების დაკმაყოფილება არ ხდება, თუ დასაბეგრ პირს ან უფლებამოსილ წარმომადგენელს გააჩნიათ შეუსრულებელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 75[12]. დღგ-ის თანხის დაბრუნების განცხადება
1. დასაბეგრმა პირმა, დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურში უნდა წარადგინოს განცხადება №III-28 დანართის ფორმით.
2. განცხადება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და მოთხოვნილი თანხა მითითებული უნდა იყოს ლარში.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 75[13]. დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა
1. განცხადებით წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:
ა) საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ით დასაბეგრი პირისათვის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ასლი (არსებობის შემთხვევაში, კორექტირებული ანგარიშ-ფაქტურები);
ბ) საქართველოში საქონლის იმპორტირებისას გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში – იმპორტის საბაჟო დეკლარაციის ასლი და იმპორტის გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) უფლებამოსილი წარმომადგენლის დანიშვნის დამადასტურებელი მინდობილობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან/დოკუმენტაციასთან ერთად განცხადებას თან უნდა ერთოდეს ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც უნდა აღინიშნოს:
ა) პირისათვის ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოში მინიჭებული დღგ-ით დასაბეგრი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი;
ბ) ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოში დღგ-ის ჩათვლისათვის გამოყენებული პროპორცია;
გ) საქმიანობის სახე, რასაც ეწეოდა დასაბეგრი პირი იმ საანგარიშო პერიოდში, რაზეც წარმოდგენილია დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნა, წარმოადგენს თუ არა შესაბამის სახელმწიფოში დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.
3. ამ ბრძანების მიზნებისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურში წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც შედგენილი არ არის ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
4. დასაბეგრი პირი ვალდებულია, უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნის შესაფასებლად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 11 მარტის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 12.03.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 75[14]. საანგარიშო პერიოდი, რომელზეც შეიძლება დღგ-ის თანხის დაბრუნება
დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით განცხადების წარდგენისას, განცხადებაში მითითებული საანგარიშო პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 1 კალენდარულ წელს და არ შეიძლება იყოს კალენდარული წლის სამ თვეზე ნაკლები. ამასთან, თანხის დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს სამ თვეზე ნაკლებ საანგარიშო პერიოდზეც, თუ ის მოიცავს კალენდარული წლის დასრულებამდე დარჩენილ, სამ თვეზე ნაკლებ საანგარიშო პერიოდს (მაგალითად 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით).
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.

მუხლი 75[15]. მოთხოვნილი დღგ-ის თანხის მინიმალური ოდენობა
1. თუ განცხადებაში მითითებული საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელზე ნაკლებს, მაგრამ არანაკლებ სამთვიან საანგარიშო პერიოდს, მოთხოვნილი დღგ-ის თანხის ოდენობა არ შეიძლება იყოს 1200 ლარზე ნაკლები.
2. თუ განცხადებაში მითითებული საანგარიშო პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს ან კალენდარული წლის დარჩენილ საანგარიშო პერიოდს რომელიც ნაკლებია 3 თვეზე (მაგალითად 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე), მოთხოვნილი დღგ-ის თანხის ოდენობა არ შეიძლება იყოს 120 ლარზე ნაკლები.
საქართველოს ფინანსთა მინსიტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.

მუხლი 75[16]. განცხადების წარდგენის ვადები
განცხადება საგადასახადო ორგანოს შეიძლება წარედგენოს სამთვიანი საანგარიშო პერიოდის ან კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო თვეში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა იმ კალენდარული წლის დასრულებიდან, რომელშიც განხორციელდა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.

მუხლი 75[17]. დღგ-ის თანხის დაბრუნებაზე უარი
დღგ-ის თანხა არ ბრუნდება, თუ:
ა) განცხადებაში აღნიშნული ოპერაციის მსგავსი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, უფლებამოსილი არ იქნებოდა, ჩაეთვალა გადახდილი დღგ;
ბ) დასაბეგრი პირის მიერ საქართველოში განხორციელებული საქმიანობა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა საქონლის/მომსახურების შეძენა ან/და საქონლის იმპორტი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე;
გ) ამ ინსტრუქციის 75[18] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან/და არ იქნა აღმოფხვრილი წარმოდგენილ განცხადებაში/დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზი;
დ) სახეზეა ამ ინსტრუქციის 75[11] მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;
ე) უფლებამოსილი წარმომადგენელი ვერ აკმაყოფილებს ამ ბრძანებით დამტკიცებულ სავალდებულო კრიტერიუმებს;
ვ) განცხადება არ შეესაბამება ამ ბრძანების და საქართველოს კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებს.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 11 მარტის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 12.03.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 75[18]. დღგ-ის თანხის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება
1. დასაბეგრი პირის განცხადებით მოთხოვნილი დღგ-ის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი/უფლებამოსილი პირი. გადაწყვეტილება მიიღება შემოსავლების სამსახურში განცხადების რეგისტრაციის დღიდან ექვსი თვის ვადაში, რის შემდეგაც გადაწყვეტილება ეგზავნება დასაბეგრ პირს, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ამ ინსტრუქციის 75[13] მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან წარმოდგენილ განცხადებაში/დოკუმენტაციაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური დასაბეგრი პირის წარმომადგენელს ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან/და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს 1-თვიან ვადას, რა დროსაც ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადა.
3. თუ შემოსავლების სამსახურის უფროსის/უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით განცხადება არ კმაყოფილდება ან კმაყოფილდება ნაწილობრივ, გადაწყვეტილებაში მიეთითება დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

4. დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე მოთხოვნილი დღგ-ის თანხის ჩარიცხვით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის დადგენის ან/და განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ შესაბამისი დასაბეგრი ოპერაციის ფარგლებში საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ანაზღაურების თანხის/ თანხის ნაწილის გადახდისას, საქონლის მიმწოდებლის/ მომსახურების გამწევის მიერ მატერიალური ფორმის ანგარიშ-ფაქტურა არ არის გამოწერილი ამ ინსტრუქციის №III-05[1] დანართით დადგენილი ფორმით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 11 მარტის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 12.03.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 75 . დაბრუნებული დღგ-ის თანხის გადახდის მეთოდი
დასაბრუნებელი დღგ-ის თანხის გადახდა ხდება ლარში.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.

მუხლი 75[20]. გასაჩივრების პროცედურა

ამ ინსტრუქციის 75[18] მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.

დანართი NIII-28 (ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №322 - ვებგვერდი, 29.08.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 11 მარტის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 12.03.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

კარი IV
აქციზი

თავი XX
ანგარიშგება

მუხლი 76. აქციზის დეკლარაცია

1. პირები, რომელთაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ეკისრებათ აქციზის გამოანგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოში წარადგენენ აქციზის დეკლარაციას წერილობით ან ელექტრონულად №IV-01 დანართის ფორმით.
2. შესწორებული დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს იმ საგადასახადო პერიოდში მოქმედი ფორმით, რომელი პერიოდის აქციზის შესწორებაც ხდება.
3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან აქციზური მარკით ნიშანდებას დაქვემდებარებულ შემოსატან აქციზურ საქონელზე აქციზური მარკების შეძენის შესახებ სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი განაცხადის (მოთხოვნის) საფუძველზე ამ ინსტრუქციის დანართი №IV-04[1]-ის შესაბამისად შედგენილი აქტი „აქციზური მარკების მიღება-ჩაბარებისა და გამოანგარიშებული აქციზის ოდენობის თანხის გადახდის შესახებ“ ითვლება სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ, აქტის შედგენის თარიღით, აქციზის დეკლარირებად.
4. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან აქციზური მარკით ნიშანდებას დაქვემდებარებულ შემოსატან აქციზურ საქონელზე აქციზური მარკების შეძენისას, აქციზის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (საგადახდო დავალების) ნაცვლად, საგადასახადო ორგანოში წარდგენილი იქნება რეზიდენტი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული აქციზის ოდენობის თანხის შესაბამისი საბანკო გარანტია, აქციზის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა მოხდება ამ ინსტრუქციის დანართი №IV-04[1]-ის შესაბამისად „აქციზური მარკების მიღება-ჩაბარებისა და გამოანგარიშებული აქციზის ოდენობის თანხის გადახდის შესახებ“ აქტის შედგენის თარიღისათვის მოქმედი განაკვეთით.
5. ამ ინსტრუქციის დანართი №IV-06[1]-ის შესაბამისად შედგენილი „აქტი გამოუყენებელი აქციზური მარკების უკან დაბრუნებისა და დარიცხული აქციზის თანხის შემცირების შესახებ“ ითვლება სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ დეკლარირებული აქციზის თანხის დაზუსტებად და ამ პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული აქციზის თანხის შემცირების საფუძველია.

დანართი: №IV-01

აქციზის დეკლარაცია

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი		გვერდი	

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი ☐☐☐☐☐

აქციზის დეკლარაცია

განაყოფი I

დეკლარაციის სახე: პირველადი ☐ საანგარიშო პერიოდი ---------- წელი ☐☐☐☐

(თვის/კვარტლის დასახელება სიტყვიერად)

შესწორებული ☐

წარედგინება ——————————————————

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

რეზიდენტი საწარმო ☐ ინდივიდუალური მეწარმე ☐

არარეზიდენტი საწარმო ☐ სხვა საწარმო ☐

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ "V" ნიშნით)

——————————————————

(საწარმოს სრული დასახელება/ ინდივიდუალური მეწარმის გვარი, სახელი)

——————————————————

მისამართი:

დეკლარაცია შედგენილია ☐☐☐ ფურცელზე თანდართული დოკუმენტები ☐☐☐ გვერდი

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

საწარმოს ხელმძღვანელი
/ინდივიდუალური მეწარმე

----------	----------	---- ---- ---- ---
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)	თარიღი

– –

განაყოფი II. აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

დეკლარაცია წარდგენილია: ფოსტით ☐ პირადად ☐ ელექტრონულად ☐

დეკლარაცია შედგენილია ☐☐☐ ფურცელზე თანდართული დოკუმენტები ☐☐☐ გვერდზე

წარდგენის თარიღი ☐☐ ☐☐ ☐☐☐☐

გადასახადის თანხა ——————ლარი

რეგისტრაციის ნომერი ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

დეკლარაციის მიმღები ---------- ———— ————

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐ გვერდი ☐☐☐

განაყოფი III. აქციზის საერთო თანხის გაანგარიშება

			გადასახდელი აქციზი		შესამცირებელი აქციზი	
აქციზი აქციზით დასაბეგრ ოპერაციებზე, რომელიც არ ექვემდებარება აქციზური მარკებით ნიშანდებას, მათ შორის:			1			
აქციზი აქციზური საქონლის წარმოებაზე საქართველოში	1^{1}					
აქციზი ბუნებრივი აიროვანი კონდესატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებაზე	1^{2}					
აქციზი მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევაზე	1^{3}					
აქციზი მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში არარეზიდენტი ან რეზიდენტი პირისაგან მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებაზე	1^{4}					
აქციზი ნავთობპროდუქტების აირების ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებაზე	1^{5}					
აქციზი აქციზური საქონლის ექსპორტზე, რომლის განხორციელება არ დასტურდება დოკუმენტალურად			2			
აქციზი აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე, მათ შორის:			3			
ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	3^{1}					
უფილტრო სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	3^{2}					
სხვა თამბაქოს ნაწარმი	3^{3}					
არაყი	3^{4}					
ლუდი	3^{5}					
სხვა მარკირებას დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სასმელები	3^{6}					
აქციზი აქციზური მარკების დანაკლისზე			4			
აქციზი, რომელიც ექვემდებარება გადახდას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში			5			
აქციზი გაანგარიშებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 190^{1} მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში			6			
აქციზი, რომელიც ექვემდებარება გადაანგარიშებას და შემცირებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში					7	
ჩასათვლელი აქციზი (დანართის სვ.12+სვ.14+სვ. 16)					8	
აქციზი დაბრუნებულ აქციზურ საქონელზე (აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე)					9	
აქციზი დაბრუნებულ აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე					10	
ადრე ჩათვლილი აქციზი, რომელიც ექვემდებარება აღდგენას			11			

ექსპორტზე ადრე გადახდილი აქციზი			12	
ჯამი (სტ.13=სტ.1+სტ.2+სტ.3+სტ.4+სტ.5+ სტ.6+სტ.11; სტ.14=სტ.7+სტ.8+სტ.9+სტ.10+სტ.12)	13		14	
ექვემდებარება ბიუჯეტში გადახდას (სტ.13-სტ.14, როცა სტ.13>სტ.14)	15			
ექვემდებარება შემცირებას (სტ.14-სტ.13, როცა სტ. 14>სტ.13)			16	

თანხა, რომლითაც მცირდება იმპორტისას გადახდილი აქციზი		17	

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ
საწარმოს ხელმძღვანელი/ინდივიდუალური მეწარმე

--- --- ---

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

დეკლარაცია შედგენილია ☐☐☐ ფურცელზე თანდართული დოკუმენტები ☐☐☐ გვერდზე

წარდგენის თარიღი ☐☐ ☐☐ ☐☐☐☐

გადასახადის თანხა _ _ _ _ _ _ _ ლარი

რეგისტრაციის ნომერი ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

დეკლარაციის მიმღები --- _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.

დეკლარაციის დანართი

გადამხდელის

საიდენტიფიკაციო ნომერი												გვერდი			

ჩასათვლელი აქციზის გაანგარიშება

საწარმოო რესურსები და დასავარგებელი საქონელი	შეძენის დოკუმენტი		ნაშთი თვის დასაწყისისათვის	საანგარიშო თვეში გამოყენებული ჩასათვლელი აქციზი			
				სულ	მათ შორის		
	საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა	სასაქონლო დეკლარაცია			ჩათვლის უფლებით აქციზისაგან გათავისუფლებულ საქონელზე	სხვა დასაბეგრ საქონელზე	დასავარგებელზე

დასახელება	სეს ესნ	სერია	ნომერი	თარიღი	ნომერი	რაოდენობა	აქციზის თანხა	რაოდენობა	აქციზის თანხა	რაოდენობა	აქციზის თანხა	რაოდენობა	აქციზის თანხა	რაოდენობა	აქციზის თანხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

საწარმოს ხელმძღვანელი/ინდივიდუალური მეწარმე

\------------------------- --------------------- -------------------

(სახელი,გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №541 – ვებგვერდი, 28.12.2012წ.](#)
[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.](#)

განაყოფი IV. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-10 სტრიქონით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის (მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი) აღრიცხვა

N	საბაჟო დეკლარაცია				გამოყენებული საქონლის რაოდენობა (კგ)		საქონლის ნაშთი თვის ბოლოსათვის (კგ)
	რეგისტრაციის თარიღი	სერია და ნომერი	სეს ესნ კოდი	საქონლის რაოდენობა (კგ)	სულ	მათ შორის: აქციზური საქონლის წარმოებისათვის	

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

საწარმოს ხელმძღვანელი/ინდივიდუალური მეწარმე

--- --- ---

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №541 – ვებგვერდი, 28.12.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.

განაყოფი V. ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ აქციზურ მარკებზე, რომლის მიღებიდან 6 თვეში არ განხორციელდა საქონლის იმპორტი ან რომლის მიღებიდან 6 თვეში არ განხორციელდა სეს ესნ 3824 90 980 01 კოდში მითითებული იმპორტირებული საქონლის ნიშანდება

№	აქციზური მარკების შეძენის შესახებ განაცხადის №	სეს ესნ კოდი	საქონლის რაოდენობა	აქციზური მარკების მიღების თარიღი	მიღებული აქციზური მარკების რაოდენობა	მიღებული აქციზური მარკების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ასეთის არსებობის შემთხვევაში		
						სერია	ნომერი	შეფუთვის შტრიხკოდი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 მარტის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 09.03.2022წ.

განაყოფი VI. ინფორმაცია აქციზურ მარკებზე, რომლის ნიშანდებითაც განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი ან რომლითაც განხორციელდა სეს ესნ 3824 90 980 01 კოდში მითითებული იმპორტირებული საქონლის ნიშანდება საანგარიშო პერიოდში

№	საბაჟო დეკლარაციის		სეს ესნ კოდი	იმპორტირებული საქონლის რაოდენობა	მიღებული აქციზური მარკების რაოდენობა, რომლითაც განხორციელდა იმპორტირებული საქონლის ნიშანდება	მიღებული აქციზური მარკების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ასეთის არსებობის შემთხვევაში		
	რეგისტრაციის თარიღი	ნომერი				სერია	ნომერი	შეფუთვის შტრიხკოდი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 მარტის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 09.03.2022წ.

მუხლი 77. აქციზის დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციაში მონაცემები უნდა აისახოს იმდაგვარად, რომ აქციზის განსაზღვრასთან დაკავშირებული არც ერთი ელემენტი არ იქნეს გამოტოვებული ან ზედმეტად ჩართული.

2. დეკლარაცია მოიცავს 6 განაყოფს: I – სატიტულო ნაწილი; II – საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა დეკლარაციის წარდგენის შესახებ; III – აქციზის საერთო თანხის გაანგარიშება; IV – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-10 სტრიქონით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის (მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი) აღრიცხვა; V – ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ აქციზურ მარკებზე, რომლის მიღებიდან 6 თვეში არ განხორციელდა საქონლის იმპორტი; VI – ინფორმაცია აქციზურ მარკებზე, რომლის ნიშანდებითაც განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი საანგარიშო პერიოდში; (და დეკლარაციის დანართი).

3. დეკლარაციის დანართი წარედგინება საგადასახადო ორგანოს დეკლარაციასთან ერთად და არის მისი შემადგენელი ნაწილი. ამასთან, აღნიშნული დანართი არ ივსება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევაზე.

4. დეკლარაციის შევსება ხდება აქციზის გადამხდელის მიერ გარდა იმ განაყოფისა, რომელიც ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ.

5. აქციზური საქონლის ექსპორტისას, თუ აქციზის გადამხდელს არ გააჩნია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 187-ე მუხლის მიზნებისათვის გათვლისწინებული საქონლის ექსპორტის განხორციელების თაობაზე დამადასტურებელი დოკუმენტები, ბრუნვის ამ ნაწილში გაანგარიშებული უნდა იქნეს ბიუჯეტში გადასახდელი აქციზი.

6. დეკლარაციის უჯრაში, რომელშიც მითითებულია მონაცემის გამოთვლის არითმეტიკული წესი, შეიტანება ამ წესით განსაზღვრული მონაცემი. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზის გამო დეკლარაციაში შეიტანება განსხვავებული მონაცემი, გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

7. დეკლარაციის I განაყოფში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტის, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდეს შესახებ.

8. დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი. ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელმოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

9. დეკლარაციის II განაყოფი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ, რომელშიც აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

10. III განაყოფში მიეთითება:

ა) იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო პერიოდში გადამხდელის მიერ აქციზით დასაბეგრი ოპერაციები (საქონლის გამოყენება ან/და მიწოდება) არ განხორციელებულა და ამასთან, იგი მაინც წარადგენს დეკლარაციას, განაყოფის სტრიქონებზე დაისმევა ტირე „–„ ;

ბ) პირველ სტრიქონზე აისახება გადასახდელი აქციზის თანხა აქციზით დასაბეგრ ოპერაციაზე, რომელიც არ ექვემდებარება აქციზური მარკებით ნიშანდებას (მიწოდებული, საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი, დამკვეთისათვის გადაცემული, არააქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებული საკუთარი წარმოების აქციზური საქონელი და სხვ);

გ) მე-2 სტრიქონზე – გადასახდელი აქციზის თანხა აქციზური საქონლის ექსპორტზე, რომლის განხორციელება არ დასტურდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 187-ე მუხლის მიზნებისათვის გათვალისწინებული საქონლის ექსპორტის განხორციელების თაობაზე დამადასტურებელი დოკუმენტებით;

დ) მე-3 სტრიქონზე – გადასახდელი აქციზის თანხა აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე;

ე) მე-4 სტრიქონზე – გადასახდელი აქციზის თანხა აქციზური მარკების დანაკლისზე;

ვ) მე-5 სტრიქონზე – გადასახდელი აქციზის თანხა იმპორტიორის მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში საქონლის იმპორტის განუხორციელებლობისას აქციზური მარკების დაუბრუნებლობის შემთხვევაში;

ზ) მე-6 სტრიქონზე – გადასახდელი აქციზის თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 1901 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისათვის; კერძოდ, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აქციზური საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია, აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (აქციზური საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა ექვემდებარება აქციზით დაბეგვრას აქციზური საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირის მიერ აღნიშნული საქონლის:

ზ.ა) მიწოდების შემთხვევაში;

ზ.ბ) არააქციზური საქონლის წარმოებაში გამოყენების შემთხვევაში;

ზ.გ) სხვა აქციზური საქონლის წარმოებაში გამოყენების შემთხვევაში.

შენიშვნა: აღნიშნული ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

1. რეალიზებულ/გადაცემულ აქციზურ საქონელზე, თუ იგი არ არის წარმოებული ამ საქონლის მესაკუთრის მიერ;

2. აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე, თუ აქციზი გადახდილია აქციზური მარკების შეძენისას;

3. ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში მიღებულ აქციზურ საქონელზე, თუ ამ პირის მიერ არ ხდება ამ საქონლის შემდგომი მიწოდება ან/და სხვა საქონლის წარმოებაში გამოყენება.

თ) მე-7 სტრიქონზე – გადასახდელად დარიცხული აქციზის თანხა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად ექვემდებარება გადაანგარიშებას საქონლის იმპორტისას ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად.

ი) მე-8 სტრიქონზე – ჩასათვლელი აქციზის თანხა, რომელიც მოიცავს:

ი.ა) დასაბეგრ ოპერაციაზე გამოყენებულ საწარმოო რესურსებზე ჩასათვლელი აქციზის თანხა (დეკლარაციის დანართის სვეტი 12 + სვეტი 14), მაგრამ არაუმეტეს ასეთ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზის თანხისა;

ი.ბ) აქციზის თანხა დასავარგებელ აქციზურ საქონელზე (დეკლარაციის დანართის სვეტი 16);

ი.გ) აქციზის თანხა მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიღებისას, როდესაც მომსახურების მიმღები არ არის საბოლოო მომხმარებელი;

კ) მე-9 სტრიქონზე – აქციზის თანხა დაბრუნებულ საქონელზე (აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე), რომელიც მიწოდებული იქნა ადრე და ასახული იქნა წინა პერიოდების საგადასახადო დეკლარაციებში;

ლ) მე-10 სტრიქონზე – აქციზის თანხა დაბრუნებულ აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე;

მ) მე-11 სტრიქონზე – ადრე ჩათვლილი აქციზის თანხა, რომელიც ექვემდებარება აღდგენას, მათ შორის:

მ.ა) დაბრუნებულ საქონელზე გამოყენებულ საწარმოო რესურსებზე ადრე ჩათვლილი აქციზის თანხა;

მ.ბ) დასავარგებელ საქონელზე ჩათვლილი აქციზის თანხა, რომელიც ექვემდებარება აღდგენას, რადგან არ იქნა გამოყენებული აქციზით დასაბეგრ ოპერაციებზე;

ნ) მე-12 სტრიქონზე – ექსპორტზე ადრე გადახდილი აქციზის თანხა, რომლის ექსპორტი დოკუმენტურად დადასტურდა მოცემულ საანგარიშო პერიოდში;

ო) მე-13–მე-14 სტრიქონებზე – გადასახდელი და შესამცირებელი აქციზის თანხის სტრიქონების ჯამი;

პ) მე-15 სტრიქონზე – აქციზის თანხა, რომელიც ექვემდებარება ბიუჯეტში შეტანას და გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათის „აქციზის ბარათზე" დარიცხვას;

ჟ) მე-16 სტრიქონზე – აქციზის თანხა, რომელიც ექვემდებარება შემცირებას და გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათის „აქციზის ბარათზე" ასახვას;

რ) მე-17 სტრიქონზე – მისართის, გამხსნელის, ანტიდეტონატორის, რომელიც არ გამოიყენება აქციზური საქონლის წარმოებისათვის, იმპორტისას გადახდილი აქციზის თანხა, რომელიც ექვემდებარება შემცირებას და გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათის „აქციზის ბარათზე" ასახვას.

10^1. IV განაყოფში მიეთითება:

ა) შესაბამის საანგარიშო პერიოდში იმპორტირებული საქონლის (მისართი გამხსნელი, ანტიდეტონატორი) საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის თარიღი, სერია და ნომერი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდი, საქონლის რაოდენობა კილოგრამებში;

ბ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული საქონლის რაოდენობა კილოგრამებში, მათ შორის აქციზური საქონლის წარმოებისათვის;

გ) საქონლის ნაშთი თვის ბოლოსათვის.

შენიშვნა:

1) დეკლარაციის IV განაყოფში წინა საანგარიშო პერიოდის ნაშთი აისახება საბაჟო დეკლარაციის

რეგისტრაციის თარიღისა და სერიისა და ნომრის მითითების გარეშე. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდის ნაშთის მითითებისას მონაცემები საქონლის რაოდენობის შესახებ შეიტანება ჯამურად სეს ესნ კოდის მიხედვით.

2) დეკლარაციის განაყოფი IV შევსებული და შესაბამისად, აქციზის დეკლარაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს, იმ შემთხვევაშიც თუ დეკლარაციის განაყოფი III მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შევსებას არ ექვემდებარება.

11. დეკლარაციის დანართის:

ა) მე-2 სვეტში – საქონლის კოდი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით;

ბ) მე-3-მე-6 სვეტებში – მონაცემები აქციზური საქონლის მწარმოებლისაგან შეძენილ საქონელზე ან/და საქონლის იმპორტზე;

გ) მე-7-მე-8 სვეტებში – საწარმოო რესურსების ნაშთი საანგარიშო თვის დასაწყისისათვის თითოეული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და საბაჟო დეკლარაციის მიხედვით; ამასთან, დასავარგებლად გაცხადებულ საქონელზე მე-8 სტრიქონი არ ივსება;

დ) მე-9-მე-14 სვეტებში – გამოყენებული საწარმოო რესურსების რაოდენობა და შესაბამისი აქციზის თანხა:

დ.ა) მე-9-მე-10 სვეტებში მიეთითება ყველა ოპერაციაზე, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსით აქციზისაგან გათავისუფლებულ საქონელზე გამოყენებული ნედლეულის (მათ შორის, დავარგებულის) რაოდენობა და შესაბამისი აქციზი;

დ.ბ) მე-11-მე-12 სვეტებში – ნედლეულის რაოდენობა და შესაბამისი ჩასათვლელი აქციზის თანხა, რომელიც გამოყენებულ იქნა საანგარიშო თვეში ექსპორტირებულ საქონელზე, აგრეთვე საქონელზე, რომელიც გათავისუფლებულია აქციზისაგან ჩათვლის უფლებით. ექსპორტირებულ საქონელზე გამოყენებულ საწარმოო რესურსებზე აქციზის ჩათვლის უფლების მისაღებად გადამხდელმა უნდა წარადგინოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 187-ე მუხლის მიზნებისათვის გათვალისწინებული ექსპორტის განხორციელების თაობაზე დამადასტურებელი დოკუმენტები; დავარგებული საქონლის გამოყენებისას, რომელზეც ადრე ჩათვლილია აქციზი – მე-12 სტრიქონი არ ივსება;

დ.გ) მე-13-მე-14 სვეტებში – დასაბეგრ ოპერაციებზე, რომელიც არ არის ასახული სხვა სვეტებში, გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა (გარდა დამკვეთისაგან მიღებული ნედლეულისა) და აქციზის თანხა ამ ნედლეულზე, მაგრამ არა უმეტეს ასეთ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზისა, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას.

დ.დ) დავარგებული საქონლის გამოყენებისას, რომელზეც ადრე ჩათვლილია აქციზი მე-14 სვეტი არ ივსება;

ე) მე-15-მე-16 სვეტებში – დასავარგებელი აქციზური საქონლის რაოდენობა, რომელზეც ნებადართულია აქციზის ჩათვლა (დაბრუნება) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 189-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად. დავარგებული საქონლის გამოყენებისას, რომელზეც ადრე ჩათვლილია აქციზი, ეს სვეტები არ ივსება.

12. აქციზის დეკლარაციის V და VI განაყოფებში ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიტანება იმ სახით, როგორც ეს მითითებულია შესაბამის სვეტებში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №541 – ვებგვერდი, 28.12.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 29 ივლისის ბრძანება №237 – ვებგვერდი, 30.07.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.

მუხლი 77[1]. ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის წესი

1. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისთვის:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი სიგარეტებისათვის/უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამს.

ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდში მითითებული საქონლისათვის 20 ცალზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდში მითითებული საქონლისათვის 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამს.

2. ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებული საქონლის მწარმოებელი/იმპორტიორი ვალდებულია, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა, მომდევნო წლის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნებისათვის შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია, მის მიერ წარმოებული/იმპორტირებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის დასახელების/ქვედასახელების და თითოეული მათგანის სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ.

3. შემოსავლების სამსახური ვალდებულია, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ყოველწლიურად, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ნოემბრისა, წარუდგინოს ინფორმაცია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის

ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებული საქონლის დასახელებისა და მათი საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ.

4. შემოსავლების სამსახურის მიერ, საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის წარდგენილი ინფორმაცია უნდა მომზადდეს მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებული საქონლის სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასებისა და ამ საქონელზე შესაბამისი წლის 6 თვის განმავლობაში – იანვრიდან მარტის და ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებულ ფასებზე დაყრდნობით, შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული ფასების საფუძველზე. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებული საქონლის ამომწურავ ჩამონათვალს, მათი დასახელების/ქვედასახელების და შესაბამისი საცალო სარეალიზაციო ფასის მითითებით.

5. საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასების განსაზღვრისას გაითვალისწინება „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ მხოლოდ 52.1 და 52.2 კოდებით გათვალისწინებულ საქმიანობის ობიექტში რეალიზებული თამბაქოს პროდუქციის საცალო სარეალიზაციო ფასი.

6. საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ მიწოდებულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასსა და საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასს შორის არაუმეტეს 6 პროცენტიანი სხვაობის არსებობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოიყენება საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.

7. თუ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მიწოდებულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასსა და შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ფასის შესახებ მონაცემებს შორის სხვაობა აღემატება 6 პროცენტს, გამოიყენება შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი.

8. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში.

9. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი გამოიყენება, მხოლოდ აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის.

10. სავაჭრო ქსელში ამ საქონლის საბოლოო მოხმარებისთვის დაწესებულ სარეალიზაციო ფასსა და აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის დადგენილ საცალო სარეალიზაციო ფასს შორის გამოვლენილი განსხვავება არ შეიძლება გახდეს საქონლის მწარმოებლისათვის/იმპორტიორისთვის აქციზის თანხის დამატებით დარიცხვის საფუძველი.

11. თუ მწარმოებელი/იმპორტიორი გეგმავს ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის (თამბაქოს ნაწარმის, რომლისთვისაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ არ არის დადგენილი საცალო სარეალიზაციო ფასი) წარმოებას/იმპორტს, იგი ვალდებულია აღნიშნული საქონლის წარმოებამდე/იმპორტამდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე შემოსავლების სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის დასახელების/ქვედასახელების და სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ.

12. ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის წარმოების/იმპორტირების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა შემოსავლების სამსახური საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს ინფორმაციას, საქონლის დასახელების/ქვედასახელების და შესაბამისი საცალო სარეალიზაციო ფასის მითითებით, რის საფუძველზედაც ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. აღნიშნული ბრძანება ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის სავაჭრო ქსელში რეალიზაციის დაწყებამდე ეგზავნება მხოლოდ იმ მწარმოებელს/იმპორტიორს, რომლის ინფორმაციის საფუძველზეც განხორციელდა შესაბამისი ფასის დადგენა.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის წარდგენილი ინფორმაცია უნდა მომზადდეს მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი თამბაქოს ნაწარმის სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასებზე დაყრდნობით.

14. მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ ახალი ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის წარმოების/იმპორტირების შესახებ საგადასახადო ორგანოსთვის ინფორმაციის წარუდგენლობის ან/და დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, ახალი ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენამდე, აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნით მის მიმართ გამოიყენება შესაბამისი დასახელების თამბაქოს პროდუქციისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი მაქსიმალური საცალო სარეალიზაციო ფასი.

15. მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ ახალი დასახელების თამბაქოს ნაწარმის წარმოების/იმპორტირების შესახებ საგადასახადო ორგანოსათვის ინფორმაციის წარუდგენლობის ან/და დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში -ახალი დასახელების თამბაქოს ნაწარმისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენამდე, აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნით მის მიმართ გამოიყენება თამბაქოს პროდუქციისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი მაქსიმალური საცალო

სარეალიზაციო ფასი.

16. საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საცალო სარეალიზაციო ფასების დადგენამდე.

17. ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის სავაჭრო ქსელში საცალო რეალიზაციის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვის განმავლობაში საგადასახადო ორგანო ვალდებულია დამოუკიდებლად, შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, განსაზღვროს საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი და თუ ამ საქონელზე დადგენილ საცალო სარეალიზაციო ფასსა და მის მიერ განსაზღვრულ ფასს შორის სხვაობა 6 %-ზე მეტია, წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრს, აღნიშნულ საქონელზე ახალი საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით.

18. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც საქონლის იმპორტიორის/მწარმოებლის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია, შემოსავლების სამსახური ამ მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე განსაზღვრული საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ ინფორმაციას.

19. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის იმპორტიორს უფლება აქვს, ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების გამოცემიდან 1 თვის ვადაში, საკუთარი ინიციატივით, რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები, საქართველოს საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

20. ამ მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, პირს, საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობის გამო, საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული სანქცია არ დაეკისრება.

21. შემოსავლების სამსახურში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემოსავლების სამსახურის მიერ საცალო სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგიას ამტკიცებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

22. საქონლის მწარმოებელი/იმპორტიორი უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურისაგან გამოითხოვოს ამ მუხლის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის მიერ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებული ის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომლის გაცემაც არ არის შეზღუდული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 მარტის ბრძანება №82 – ვებგვერდი, 18.03.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №205 - ვებგვერდი, 29.08.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №247 – ვებგვერდი, 16.08.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.

მუხლი 77[2]. ცალკეულ შემთხვევაში დაუფასოებელი თამბაქოს ნაწარმის მიწოდება

1. ეს მუხლი განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის მიზნებისათვის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში დაფასოების გარეშე მიწოდების შემთხვევებს.

2. საქართველოში მოყვანილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში დაფასოების გარეშე მიწოდება შესაძლებელია თუ მიწოდება ხდება თამბაქოს ნაწარმის დამზადების მიზნით, ამასთან, თუ აღნიშნულ მიწოდებას თან ახლავს ტრანსპორტირება, მიმღების მიერ გამოწერილია სასაქონლო ზედნადები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონელი არ ექვემდებარება აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას.

4. თამბაქოს ნაწარმის წარმოებად:

ა) იმპორტირებულ საქონელთან მიმართებით განიხილება იმპორტიორის მიერ თამბაქოს ნაზავის მომზადება და დაჭრილი თამბაქოს მომზადება (თამბაქოს ნედლეულის გაჩეჩვა, დანამვა და სოუსირება, თამბაქოს ნედლეულის შერევა, თამბაქოს დაჭრა, დაჭრილი თამბაქოს თერმული დამუშავება, დაჭრილი თამბაქოს არომატიზირება, დაჭრილი თამბაქოს შერევა, შეფუთვა და შენახვა);

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების მიზნებისათვის არ განიხილება ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401 კოდში მითითებული საქონლის საქართველოში მოყვანა, პირველადი დამუშავება, დაჭრა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, შემოსავლების სამსახური აწარმოებს თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრს. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონული

რეესტრი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისათვის.

6. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრში ინფორმაციის ასახვის მიზნით, თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელი შემოსავლების სამსახურს მიმართავს განცხადებით (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით), რომელიც უნდა მოიცავდეს მის სარეგისტრაციო მონაცემებს (სახელი, გვარი/დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საქმიანობის (თამბაქოს ნაწარმის წარმოება) მოკლე აღწერას.

7. შემოსავლების სამსახური განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული ინფორმაციის თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონულ რეესტრში შეტანას, რის თაობაზეც აცნობებს განმცხადებელს და გასცემს რეესტრში შეტანის დამადასტურებელ დოკუმენტს.

8. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს. ამ შემთხვევაში ჩერდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ვადის დინება, რომელიც განახლდება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მომდევნო სამუშაო დღიდან. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი, შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

8[1]. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონული რეესტრიდან პირის ამოღების საფუძველია:

ა) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლის განცხადება;

ბ) თუ პირი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

9. (ამოღებულია - 04.03.2020, №64).

10. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქონელთან მიმართებით, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის მიმღებზე ვრცელდება აქციზური საქონლის მწარმოებლისთვის დადგენილი აქციზით დაბეგვრის და საქონლის აქციზური მარკებით ნიშანდების წესი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №356 - ვებგვერდი, 26.11.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №388 - ვებგვერდი, 16.12.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 4 მარტის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 05.03.2020წ.

თავი XXI
აქციზური მარკა

მუხლი 78. აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდება

1. აქციზური მარკა შესაძლებელია იყოს მატერიალური და არამატერიალური ფორმის. შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულ პირს (შემდგომში – შერჩეული პირი) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდების მომსახურებას ახორციელებს შერჩეული პირი.

2. მატერიალური ფორმის აქციზური მარკის დაკვრისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სახის წებო, რომელიც საქონლიდან აქციზური მარკის დაზიანების გარეშე აძრობის საშუალებას არ იძლევა.

3. აქციზურ საქონელზე მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება განხორციელებულ უნდა იქნეს ისეთი სახით და იმდაგვარად, რომ მატერიალური ფორმის აქციზური მარკის მოხსნამ ან/და საქონლის გამოყენებამ გამოიწვიოს აქციზური მარკის დაზიანება.

4. მატერიალური ფორმით სავალდებულო ნიშანდება უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმით, რომ აქციზურ მარკაზე ადვილად იდენტიფიცირებადი იყოს მასზე დატანილი საიდენტიფიკაციო აღმნიშვნელები.

5. შერჩეული პირის მიერ ალკოჰოლიანი სასმელის სავალდებულო ნიშანდებისთვის გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკა დატანილი უნდა იყოს ისეთი ფორმით, რომ მარკაზე აღნიშნული ბორჯღალოს აღმნიშვნელი სიმბოლო მთლიანად განთავსდეს ტარის თავსახურზე ან ყელზე. ალკოჰოლიან სასმელზე არამატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხდება ბოთლის, ქილის თავსახურზე ან არსებული ტარის ძირზე.

6. თამბაქოს ნაწარმის მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება არსებულ შეფუთვაზე, პოლიეთილენის საფარველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შიგნიდან. საქართველოს საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე სიგარას, სიგარილას და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 100 00 აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდების შემთხვევაში, მატერიალური ფორმის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდება შესაძლებელია განხორციელდეს არსებულ შეფუთვაზე, პოლიეთილენის ან/და სხვა საფარველის არსებობის შემთხვევაში, საფარველის გარედან.

6[1]. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის იმპორტის შემთხვევაში, აქციზური საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ახორციელებს საქონლის იმპორტიორი, ამ საქონლის შესაბამისი საბაჟო კონტროლის ზონიდან ტრანსპორტირების დასრულების ადგილზე მიტანის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ამ ადგილიდან გატანისა.

შენიშვნა:

1. აკრძალულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის შემდეგ ქვეყნის შიგნით აქციზური მარკით ნიშანდების გარეშე მიწოდება.

2. იმპორტიორს, რომელმაც აქციზური მარკა მიიღო საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის ნიშანდების მიზნით, უფლება აქვს აქციზური მარკით ნიშანდება განახორციელოს საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანამდეც, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის განხორციელებამდე.

7. ლუდზე, რომელიც ჩამოსხმულია ბოთლებში, ქილაში და კასრში, მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება თავსახურზე. კასრის თავსახურზე ნიშანდება ხორციელდება კასრის სარქველის ერთჯერადი გამოყენების დამცავ საცობზე. ლუდის ნაწარმზე არამატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხდება ბოთლის, ქილის თავსახურზე ან არსებული ტარის ძირზე.

7[1]. ცალკეულ შემთხვევებში შემოსავლების სამსახურთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, 5 ლიტრი და მეტი ტევადობის ლუდის ნაწარმზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 240311 000 00, 2403 19 000 00, 2403 91 000 00, 2403 99 100 00, 2403 99 900 01, 2403 99 900 02 და 3824 99 960 01 კოდებში მითითებულ საქონელზე სავალდებულო ნიშანდება შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლისგან განსხვავებული წესით.

7[2]. სატრანსპორტო საშუალებაზე სტაციონარულად დამაგრებული მრავალჯერადი გამოყენების ლუდის გადასაზიდ ჭურჭელზე ან/და წარმოების ადგილზე სტაციონარულად დამაგრებული მრავალჯერადი გამოყენების ლუდის იმ ჭურჭელზე, საიდანაც ხორციელდება ჩამოსასხმელი ლუდის მხოლოდ საცალო მიწოდება, სავალდებულო ნიშანდება უნდა მოხდეს შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკით, რომელიც, შესაბამისი ჭურჭლის ყოველი შევსებისთანავე, დაიტანება ამავე ჭურჭლის თვალსაჩინო ადგილზე.

8. (ამოღებულია – 26.02.2013, №53).

9. იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული პირის მიერ დამონტაჟებული დანადგარების დაზიანების გამო, შერჩეული პირის შეტყობინებიდან 3 საათის განმავლობაში, შეუძლებელია სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის არამატერიალური ფორმით ნიშანდება, მწარმოებლისა და შერჩეული პირის წარმომადგენელს შორის გაფორმებული ოქმის საფუძველზე, საქონლის სავალდებულო ნიშანდება შესაძლოა განხორციელდეს მატერიალური ფორმით შერჩეული პირის მიერ დაზიანებული დანადგარის შეკეთებამდე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 14 მარტის ბრძანება №80 – ვებგვერდი, 14.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №129 – ვებგვერდი, 26.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანება №220 – ვებგვერდი, 06.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №406 – ვებგვერდი, 21.09.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის ბრძანება №53 – ვებგვერდი, 26.02.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება №106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 8 სექტემბრის ბრძანება №217 - ვებგვერდი, 09.09.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 10 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 13 მარტის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 16.03.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №267 - ვებგვერდი, 05.11.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის ბრძანება №278 - ვებგვერდი, 24.11.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 ივნისის ბრძანება №132 - ვებგვერდი, 07.06.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 მარტის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 09.03.2022წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 10 მაისის ბრძანება №141 - ვებგვერდი, 11.05.2022წ.

მუხლი 78[1]. არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება

1. არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება ხორციელდება მატერიალური და არამატერიალური ფორმით. სავალდებულო მარკირების მომსახურებას ახორციელებს შერჩეული პირი.

2. მატერიალური ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება არაალკოჰოლური სასმელები (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები). სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არაალკოჰოლური სასმელების ნუსხა და თითოეული სასმელის სახეობაზე სავალდებულო მარკირების დაწყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. (ამოღებულია – 26.02.2013, №53).

4. არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ვალდებულება ეკისრება სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის მწარმოებელს/იმპორტიორს, ასევე, სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირს არააქციზური საქონლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე შემოტანისას.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის სავალდებულო მარკირება უნდა

განხორციელდეს:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის მომენტამდე;

ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის მომენტამდე;

გ) საქონლის იმპორტის განხორციელებამდე;

დ) (ამოღებულია – 26.02.2013, №53);

ე) სპეციალური საწამოს სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საცალო სარეალიზაციო ქსელში მიწოდების მომენტამდე.

6. სავალდებულო მარკირებისაგან თავისუფლდება:

ა) უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი;

ბ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი;

გ) ექსპორტისთვის განკუთვნილი ადგილობრივი წარმოების საქონელი;

დ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მისაწოდებელი საქონელი.

7. სავალდებულო მარკირება ხორციელდება ბოთლის, ქილის ან კასრის თავსახურზე ან ტარის ძირზე. მატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირება უნდა განხორციელდეს ისეთი სახით და იმგვარად, რომ მატერიალური ფორმის მარკის მოხსნამ ან/და საქონლის გამოყენებამ გამოიწვიოს მარკის დაზიანება.

8. იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული პირის მიერ დამონტაჟებული დანადგარების დაზიანების გამო, შერჩეული პირის შეტყობინებიდან 3 საათის განმავლობაში, შეუძლებელია სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის არამატერიალური ფორმით მარკირება, მწარმოებლისა და შერჩეული პირის წარმომადგენელს შორის გაფორმებული ოქმის საფუძველზე, საქონლის სავალდებულო მარკირება შესაძლოა განხორციელდეს მატერიალური ფორმით შერჩეული პირის მიერ დაზიანებული დანადგარის შეკეთებამდე.

9. ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლის მე-7 პუნქტისაგან განსხვავებული წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №129 – ვებგვერდი, 26.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანება №220 – ვებგვერდი, 06.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №406 – ვებგვერდი, 21.09.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის ბრძანება №53 – ვებგვერდი, 26.02.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.

დანართი: №IV-02 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 14 მარტის ბრძანება №80 – ვებგვერდი, 14.03.2012წ.

მუხლი 79. აქციზური მარკის/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება

1. საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის მწარმოებლები და იმპორტიორები (დეკლარანტები) იხდიან აქციზური მარკის ნომინალურ ღირებულებას, ხოლო არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის მწარმოებლები და იმპორტიორები (დეკლარანტები) იხდიან სავალდებულო მარკირების ნომინალურ ღირებულებას.

2. აქციზური მარკის ნომინალური ღირებულების გაანგარიშება უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში ან ანგარიშსწორების მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარებში.

3. შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება:

ა) პროდუქტის წარმომავლობის მიხედვით განსაზღვრული ალკოჰოლური სასმელისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 6.595 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) იმპორტული ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 4.85 ლარის ოდენობით;

გ) ლუდის ნაწარმისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 4.03 ევროს ეკვივალენტი ლარებში.

4. შერჩეული პირის მიერ მიწოდებული აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება:

ა) იმპორტული ფილტრიანი და უფილტრო (სიგარეტი, სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 11 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1000 ცალ აქციზურ მარკაზე (მშრალი) – 5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

გ) ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1000 ცალ აქციზურ მარკაზე (თვითწებადი) – 5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

დ) ადგილობრივი და იმპორტული ალკოჰოლური ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 8.0 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ე) იმპორტული ლუდის ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 6 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ვ) ადგილობრივი ლუდის ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 5.5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ზ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 8.0 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

თ) ადგილობრივი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 8.0 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

თ[1]) იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 11 ევროს ეკვივალენტი ლარებში.

5. შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვრება:

ა) არაალკოჰოლური სასმელისთვის (გარდა მინერალური და მტკნარი წყლისა) – 1000 ცალ ერთეულზე – 5,5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) მინერალური და მტკნარი წყლისათვის – 1000 ცალ ერთეულზე – 4,63 ევროს ეკვივალენტი ლარებში.

6. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებული იმპორტული წარმოების საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება იმპორტული ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისთვის გათვალისწინებული აქციზური მარკის ნომინალური ღირებულების შესაბამისად.

7. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 100 00 კოდში მითითებული იმპორტული წარმოების საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის გათვალისწინებული აქციზური მარკის ნომინალური ღირებულების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანება №205 – ვებგვერდი, 08.04.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 12.04.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 ივლისის ბრძანება №416 – ვებგვერდი, 28.07.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 14 მარტის ბრძანება №80 – ვებგვერდი, 14.03.2012 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №129 – ვებგვერდი, 26.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 28 დეკემბრის ბრძნება №336 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 10 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის ბრძანება №21 - ვებგვერდი, 18.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის ბრძანება №278 - ვებგვერდი, 24.11.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 მარტის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 09.03.2022წ.

მუხლი 79[1]. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკების ფონური ფერები, ნუმერაცია და მათზე აღნიშნული წარწერები

1. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკების ფერები, ნუმერაცია და მათზე აღნიშნული სიტყვიერი წარწერებია:

ა) მწვანე ფერი, წარწერით „ადგილობრივი" – ადგილობრივი წარმოშობის ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკა;

ბ) ცისფერი ფერი, წარწერით „იმპორტი" – იმპორტული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკა;

გ) მწვანე ფერი, ადგილობრივი წარმოშობის – ლუდისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

დ) ცისფერი ფერი, იმპორტული წარმოშობის – ლუდისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

ე) ცისფერი – ნარინჯისფერი ფერი იმპორტული ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისათვის, სიგარა, სიგარელასათვის განკუთვნილი აქციზური მარკა.

,2. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების ნუმერაცია განისაზღვრება სერიის

აღმნიშვნელი ქართული ანბანის ორი ასო-ნიშნითა და რვაციფრიანი რიგითი ნომრით.

3. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების პირველი სერიული ასო-ნიშანი განსაზღვრავს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) შესაბამის კოდის მქონე შემდეგ პროდუქციას:

ა) ა – არაყი, სეს ესნ-ის კოდი 220860;

ბ) ბ – სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით (გამოხდით), სეს ესნ-ის კოდი 220820;

გ) ლ – ლიქიორები, სეს ესნ-ის კოდი 220870;

დ) ე – ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით, სეს ესნ-ის კოდი 2207;

ე) ს – ვისკი, სეს ესნ-ის კოდი 220830; რომი და ტაფია, სეს ესნ-ის კოდი 220840; ჯინი და ღვიის ნაყენი, სეს ესნ-ის კოდი 220850; სხვა დადუღებული სასმელები, სეს ესნ-ის კოდი 220600; არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 110 00; არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 190 00; ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 330 00; ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 380 00; უზო, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 410 00; კალვადოსი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 450 00; დანარჩენი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 480 00; კორნი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 520 00; ტეკილა, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 540 00; დანარჩენი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 560 00; სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 7 მას.%-ისა, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 690 01; დანარჩენი 2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 690 09; ხილისაგან გამოხდილი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 710 00; ტეკილა, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 750 00; დანარჩენი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 770 00; დანარჩენი სპირტიანი სასმელები ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, ჭურჭელში ტევადობით, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 780 00; 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 910 00; 2 ლ-ზე მეტი. სეს ესნ-ის კოდი 2208 90 990 00.

4. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების სერიის მეორე ასო-ნიშანი ცვალებადია და რვაციფრიანი რიგითი ნომრის შევსების შემთხვევაში იცვლება სხვა ანბანური ასო-ნიშნით.

5. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილ აქციზურ მარკაზე აღნიშნულია ტარის მოცულობის შემდეგი მაჩვენებლები:

ა) არაყისათვის –

0.051ლ-0,100ლ
0.101ლ-0,200ლ
0.201ლ-0,250ლ
0.251ლ-0,300ლ
0.301ლ-0,400ლ
0.401ლ-0,500ლ
0.501ლ-0,700ლ
0.701ლ-1,00ლ
1,001ლ-2,00ლ
2,001ლ-10,00ლ

ბ) სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით (გამოხდით) –

0,051ლ-0.200ლ
0,201ლ - 0.300ლ
0,301ლ - 0.500ლ
0,501ლ - 0.750ლ

გ) ლიქიორები

0,051ლ - 0.200ლ
0,201ლ - 0.300ლ
0,301ლ- 0.500ლ
0,501ლ - 0.750 ლ
0.751ლ - 1,00ლ

დ) ეთილის სპირტისათვის –

0,051ლ- 0,300ლ
0,301ლ - 0,500ლ
0,501ლ-_ 0,750ლ

ე) სხვა ალკოჰოლური სასმელებისათვის (ვისკი, რომი და ტაფია, ჯინი და ღვიის ნაყენი, სხვა დადუღებული სასმელები, სხვა სპირტიანი სასმელები)

0,051ლ - 0.200ლ
0,201ლ - 0.500ლ
0,501ლ - 0,750ლ

0,751ლ - 1,00ლ

6. ლუდისათვის განკუთვნილ აქციზური მარკებზე დატანილია ტარის მოცულობის აღმნიშვნელი ციფრობრივი მაჩვენებელი, სერიის მაჩვენებელი ლათინური ანბანის ორი ასო-ნიშნით და შვიდციფრიანი რიგითი ნომერი (ალაოს ლუდი, სეს ესნ-ის კოდი 2203 00).

7. ადგილობრივი ლუდისათვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე დატანილია ტარის მოცულობის შემდეგი მაჩვენებლები:

0,33 ლ

0,5 ლ

1,0 ლ

1,5 ლ

2,0 ლ

2,25 ლ

8. სერიის მაჩვენებელი ლათინური ანბანის ორივე ასო-ნიშანი იცვლება ალფაბეტური წესით.

9. იმპორტული ლუდისათვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე დატანილია ტარის მოცულობის შემდეგი მაჩვენებლები:

0,3 ლ

0,5 ლ

1,0 ლ

1,5 ლ

2,0 ლ

2,25 ლ

10. იმპორტული ლუდისათვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე პირველი ლათინური ანბანის ასო-ნიშანი „I“ უცვლელია და აღნიშნავს „იმპორტს”, ხოლო მეორე იცვლება ალფაბეტური წესით რიგითი ნომრის ამოწურვის მიხედვით.

11. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერები, ნუმერაცია და მათზე აღნიშნული წარწერები განისაზღვრება ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.

მუხლი 79[2]. შემოსავლების სამსახურის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ მატერიალური ფორმის აქციზური მარკების ფონური ფერები და შეფუთვის ფორმები

1. შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის მარკების ფონური ფერია:

ა) ყვითელი-ლურჯი ფერი – ადგილობრივი და იმპორტული ალკოჰოლური ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

ბ) ყვითელი-ოქროსფერი ფერი – იმპორტული და ადგილობრივი ლუდის ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

გ) წითელი-ლურჯი ფერი – ადგილობრივი ფილტრიანი და უფილტრო (სიგარეტი, სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

დ) ყვითელი-ლურჯი ფერი – იმპორტული თამბაქოს ნაწარმისათვის (სიგარეტი, სიგარა, სიგარილა) განკუთვნილი აქციზური მარკა.

2. შერჩეული პირის მიერ მატერიალური ფორმის აქციზური მარკების გაცემა ხორციელდება შეფუთული სახით, შემდეგი ფორმით:

ა) აქციზური მარკა 1000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);

ა[1]) აქციზური მარკა 10-ცალიანი ლენტი (თვითწებადი);

ა[2]) აქციზური მარკა 100-ცალიანი ლენტი (თვითწებადი);

ბ) აქციზური მარკა 6000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);

ბ[1]) აქციზური მარკა 24 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);

გ) ლუდის მარკების რულონი 10 000 ცალიანი (თვითწებადი);

დ) ადგილობრივი უფილტრო სიგარეტი (სიგარა-სიგარილა) 1000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);

ე) ადგილობრივი უფილტრო სიგარეტი 10 000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);

ე[1]) ადგილობრივი უფილტრო სიგარეტი 108 000-ცალიანი შეკვრა (მშრალი);

ე[2]) ადგილობრივი უფილტრო სიგარეტი 10 800-ცალიანი შეკვრა (მშრალი);

ვ) ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტი 108 000 ცალიანი შეკვრა (მშრალი);

ზ) ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტი 10 800 ცალიანი შეკვრა (მშრალი);

თ) იმპორტული უფილტრო სიგარეტი (სიგარა-სიგარილა) 1000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);

ი) იმპორტული უფილტრო სიგარეტი 108 000 ცალიანი შეკვრა (მშრალი);

კ) იმპორტული უფილტრო სიგარეტი 10 800 ცალიანი შეკვრა (მშრალი);

ლ) იმპორტული ფილტრიანი სიგარეტი 108 000 ცალიანი შეკვრა (მშრალი);
მ) იმპორტული ფილტრიანი სიგარეტი 10 800 ცალიანი შეკვრა (მშრალი);
ნ) ადგილობრივი დანარჩენი თამბაქო 1000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
ო) ადგილობრივი დანარჩენი თამბაქო 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
პ) ადგილობრივი მოსაწევი სითხეები 1000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
ჟ) ადგილობრივი მოსაწევი სითხეები 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
რ) იმპორტირებული სითხეები განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
ს) იმპორტირებული სითხეები განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
ტ) იმპორტირებული სითხეები განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის 10 800-ცალიანი შეკვრა (მშრალი).

3. შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკების საიდენტიფიკაციო ინფორმაცია დაშიფრულია უხილავი მატრიცის/კოდის საშუალებით.

4. რულონური ტიპის თვითწებად აქციზურ მარკებზე დატანილია სერიული ნომერი საქონლის ნიშანდების/მარკირების შესახებ საინფორმაციო ბაზაში მათი გამოყენების ასახვისათვის (გააქტიურებისათვის).

5. შემოსავლების სამსახურისა და შერჩეული პირის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, შერჩეული პირი აქციზური მარკების გაცემას ანხორციელებს ნაწილობრივი ფორმით.

6. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერები განისაზღვრება იმპორტული თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად, ხოლო შეფუთვის ფორმები განისაზღვრება იმპორტული ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.

7. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 100 00 კოდში მითითებულ საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერები განისაზღვრება იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად, ხოლო შეფუთვის ფორმები განისაზღვრება იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.

8. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერი განისაზღვრება ადგილობრივი უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად, ხოლო აქციზური მარკების შეფუთვის ფორმები განისაზღვრება ადგილობრივი დანარჩენი თამბაქოსთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.

9. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერი განისაზღვრება ადგილობრივი მოსაწევი სითხეებისთვის – ადგილობრივი უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად, ხოლო იმპორტული მოსაწევი სითხეებისთვის – იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად. აქციზური მარკების შეფუთვის ფორმები განისაზღვრება მოსაწევი სითხეებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №183 - ვებგვერდი, 11.08.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 10 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის ბრძანება №278 - ვებგვერდი, 24.11.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 მაისის ბრძანება №126 - ვებგვერდი, 01.06.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 მარტის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 09.03.2022წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 10 მაისის ბრძანება №141 - ვებგვერდი, 11.05.2022წ.

მუხლი 79[3]. შემოსავლების სამსახურის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის ელექტრონული მონაცემთა ბაზა და მომხმარებლად რეგისტრაცია

1. ელექტრონული აღრიცხვის მონაცემთა ბაზა (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) წარმოადგენს შემოსავლების სამსახურსა და შერჩეულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად შექმნილ ბაზას, სადაც ინახება ინფორმაცია აქციზური და არააქციზური საქონლისათვის განკუთვნილი მატერიალური და არამატერიალური მარკის მოთხოვნასა და გამოყენებაზე.

2. შერჩეული პირის მიერ მატერიალური და არამატერიალური ფორმით აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განხორციელებისა და მომსახურების გაწევამდე მეწარმე – სუბიექტი და დადგენილ შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს მონაცემთა ბაზაში მომხმარებლად.

3. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით მეწარმე-სუბიექტი და ფიზიკური პირი დადგენილ შემთხვევაში (შემდგომში – მომხმარებელი) შემოსავლების სამსახურს წარუდგენს №IV-02[1] და №IV-02[2]

დანართების შესაბამის სარეგისტრაციო ფორმას.

4. შერჩეული პირი მომხმარებლის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის მიმართვის საფუძველზე. მონაცემთა ბაზაში მომხმარებლის რეგისტრაციას შერჩეული პირი უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის მიმართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

5. დანართი №IV-02[1] -ით დამტკიცებული სარეგისტრაციო ფორმა ივსება შემდეგი წესით:

ა) პირველ სვეტში მიეთითება მომხმარებლის დასახელება;

ბ) მე-2 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) მე-3 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული პროდუქციის სახეობა (ალკოჰოლური სასმელი, ლუდი, თამბაქოს ნაწარმი შესაბამისი სახეობის მითითებით, არააქციზური საქონელი);

დ) მე-4 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის ფაქტობრივი ადგილმდებარეობა, რეგიონი;

ე) მე-5 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის ფაქტობრივი მისამართის საფოსტო ინდექსი;

ვ) მე-6 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის ფაქტობრივი მისამართი;

ზ) მე-7 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის ელ. ფოსტის მისამართი, სადაც გაიგზავნება ინვოისი და შეტყობინება შეკვეთის შესახებ;

თ) მე-8 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ი) მე-9 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი მონაცემთა ბაზაში ოპერაციების განსახორციელებლად (შეკვეთა, პროგნოზი, ინვოისის მიღება);

კ) მე-10 სვეტში მიეთითება – მარკების მიღებაზე მინდობილი პირი (სახელი, გვარი);

ლ) მე-11 სვეტში მიეთითება – მარკების მიღებაზე მინდობილი პირის პირადი ნომერი;

6. დანართი №IV-02[2]-ით დამტკიცებული სარეგისტრაციო ფორმა ივსება შემდეგი წესით:

ა) მე-2 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული საქონლის სეს ესნ-ის კოდი, „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად;

ბ) მე-3 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული პროდუქციის დასახელება ბრენდის მიხედვით, თამბაქოს ნაწარმზე ბრენდის დასახელება არ ივსება;

გ) მე-4 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული აქციზური/არააქციზური პროდუქციის ერთეულის ლიტრაჟი, თამბაქოს ნაწარმზე – კოლოფში ან სხვა შეფუთვაში განთავსებული ღერებისა ან სხვა ნაწარმის რაოდენობა/მოცულობა;

დ) მე-5 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული პროდუქციის შეფუთვის სახეობა (შუშის ბოთლი, მყარი შეფუთვა, რბილი შეფუთვა და სხვა);

ე) მე-6 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის დასახელება;

ვ) მე-7 სვეტში მიეთითება – პროდუქციის წარმოშობა (ადგილობრივი, იმპორტი).

7. მომხმარებელი აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განსახორციელებლად შეკვეთას/განაცხადს მარკების შეძენაზე წარადგენს მონაცემთა ბაზის საშუალებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება №106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 16.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის ბრძანება №278 - ვებგვერდი, 24.11.2020წ.

მუხლი 79[4]. შემოსავლების სამსახურის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისას გაცემული მატერიალური ფორმის მარკების ფონური ფერები და შეფუთვის ფორმები

1. შერჩეული პირის მიერ ადგილობრივი და იმპორტული არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისას გაცემული მატერიალური ფორმის მარკების ფონური ფერია წითელი ან წითელი-ლურჯი.

2. შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისას გასაცემი მატერიალური ფორმის მარკების გაცემა ხორციელდება შეფუთული სახით, 1000-ცალიანი, 5000-ცალიანი, 6000-ცალიანი ან 30000-ცალიანი რულონის (თვითწებადი) ფორმით.

3. შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის მარკების საიდენტიფიკაციო ინფორმაცია დაშიფრულია უხილავი მატრიცის/კოდის საშუალებით.

4. რულონური ტიპის თვითწებად მარკებზე დატანილია სერიული ნომერი საქონლის მარკირების შესახებ საინფორმაციო ბაზაში მათი გამოყენების ასახვისათვის (გააქტიურებისათვის).

5. შემოსავლების სამსახურისა და შერჩეული პირის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, შერჩეული პირი მარკების გაცემას ახორციელებს ნაწილობრივი ფორმით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 16.10.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 25 მარტის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 28.03.2016წ.

მომხმა რებლის დასახელება	საიდენტი კიცაიო ნომერი	წარმოებული/ იმპორტი რებული პროდუქტის დასახელება (სახეობა)	ტერიტო რიული რეგიონი	საფოსტო კოდი	ფაქტობრივი მისამართი	ელ. ფოსტის მისამათი	საკონტაქტო ტელეფონი	უფლება მოსილი საკონტაქტო პირი, სახელი სახელი გვარი	მარკების მიღებაზე მინდობილი პირი	მარკების მიღებაზე მინდობილი პ/ნD
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.

დანართი №IV-02²

№	სეს ესნ კოდი	პროდუქციის დასახელება (თამბაქოს გარდა)	მოცულობა/ ღერების რაოდენობა	შეფუთვის ფორმა	მომხმარებლის დასახელება	წარმოშობა
1	2	3	4	5	6	7

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.

მუხლი 80. შემოსავლების სამსახურის მიერ აქციზური მარკების გაცემა

1. აქციზური მარკების რეალიზაციას ახორციელებს შემოსავლების სამსახური ცენტრალიზებული წესით.

2. აქციზური მარკების გაცემა ხორციელდება:

ა) მეწარმე სუბიექტზე, გარდა სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირისა – აქციზური მარკების შეძენის შესახებ მათი განაცხადის საფუძველზე;

ბ) ფიზიკურ პირზე – საფოსტო გზავნილით შემოტანილი აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის კონტროლის ზონაში მარკირებისათვის – პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე;

გ) სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირზე – აქციზური მარკების შეძენის შესახებ განაცხადის და აქციზის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (საგადახდო დავალების) ან შესაბამისი საბანკო გარანტიის საფუძველზე.

3. მეწარმე სუბიექტის განაცხადი ელექტრონული ფორმით აქციზური მარკების მოთხოვნის შესახებ ამ მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად წარედგინება შემოსავლების სამსახურს.

4. (ამოღებულია – 24.03.2015,N87).

5. აქციზური მარკების შეძენის შესახებ წარდგენილ განაცხადში მიეთითება:

ა) გადამხდელის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) აქციზური საქონლის დანიშნულება;

გ) საქონლის დასახელება;

დ) გამოყენებული ნაწარმის მოცულობა ან ღერების რაოდენობა და ზომის ერთეული.

6. განაცხადს აქციზური მარკის შეძენაზე უნდა ერთოდეს სპეციფიკაცია მოთხოვნილი აქციზური მარკების თაობაზე №IV-03 დანართის შესაბამისად და აქციზური მარკების ნომინალური ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალების ასლი, ხოლო სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის განაცხადის შემთხვევაში, ასევე – აქციზის ოდენობის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება) ან შესაბამისი საბანკო გარანტია. გადამხდელის წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში, განაცხადს ასევე უნდა დაერთოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. მეწარმე სუბიექტი/წარმომადგენელი და შემოსავლების სამსახურის აქციზური მარკების გაცემაზე

პასუხისმგებელი პირი ადგენენ აქტს აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების შესახებ (დანართი №IV-04), გარდა ამავე მუხლის 7[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7[1]. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირი ან მისი წარმომადგენელი და შემოსავლების სამსახურის აქციზური მარკების გაცემაზე პასუხისმგებელი პირი 2 ეგზემპლარად ადგენენ აქტს აქციზური მარკების მიღება-ჩაბარებისა და აქციზის თანხის გადახდის შესახებ (დანართი №IV-04[1]) ამ მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების საგადასახადო ორგანოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამოწურულია მოთხოვნილი სახის აქციზური მარკების მარაგი, აღნიშნული მარაგის შევსებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირს ან მის წარმომადგენელს.

8. თამბაქოს ნაწარმის იმპორტის შემთხვევაში, განაცხადს ასევე, უნდა ერთოდეს:

ა) თამბაქოს ნაწარმის ნასყიდობის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორი და მისი მწარმოებელი ერთი და იგივე პირია. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლის სრული იურიდიული მისამართი, სადაც იგზავნება აქციზური მარკები;

ბ) ხელშეკრულება საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციასთან.

9. შემოსავლების სამსახური მეწარმე სუბიექტის განაცხადის საფუძველზე, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების პირობების ფარგლებში, უზრუნველყოფს აქციზური მარკების თამბაქოს მწარმოებელთან შეუფერხებლად გაგზავნის ორგანიზებას შეფუთული სახით, მათი რაოდენობის, სერიებისა და ნომრების ჩვენებით.

10. თამბაქოს მწარმოებელთან გადაგზავნამდე აქციზური მარკების შეფუთვა ხდება აქციზური მარკების შენახვის ადგილზე, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციის მიერ, მეწარმე სუბიექტისა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლების თანდასწრებით.

11. საქართველოს ფარგლებს გარეთ თამბაქოს მწარმოებლისათვის გადასაგზავნად აქციზური მარკების გადაცემა საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციისათვის ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე №IV-05 დანართის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტი დამოწმებული უნდა იყოს შემოსავლების სამსახურის, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციისა და მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერებითა და შესაბამისი ბეჭდებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. საქართველოს საზღვრებს გარეთ წარმოებული თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების აქტი ივსება 3 ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა შემოსავლების სამსახურს, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციას და მეწარმე სუბიექტს.

13. შემოსავლების სამსახურის მიერ აქციზური მარკების გაცემის შემთხვევაში, თუ მეწარმე-სუბიექტის მიერ წარმოდგენილ სპეციფიკაციაში (ლუდისა და ალკოჰოლიანი სასმელების შემთხვევაში) აღნიშნული იქნება ისეთი მოცულობის ტარა, რომელიც ზუსტად არ მიესადაგება აქციზურ მარკებზე აღნიშნულ მოცულობებს, გაიცემა ამ ბრძანებით დადგენილი ყველაზე მიახლოებული, უფრო დაბალი ტარის მოცულობისათვის განკუთვნილი აქციზური მარკები.

14. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, გასცეს არსებული სხვა სახეობისა და სეს ესნ-ის სხვა კოდის საქონლისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა, ხოლო პროდუქციის სახეობის ფარგლებში, სეს ესნ-ის შესაბამისი კოდის მქონე იმპორტული ალკოჰოლური სასმელისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების მარაგის ამოწურვის შემთხვევაში, მარკირების/ნიშანდების მოთხოვნების (მათ შორის, ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარების ან/და საკოლექციო მიზნით საქართველოში შემოტანილი) სრულად დაკმაყოფილების მიზნით, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, გასცეს სეს ესნ-ის სხვა კოდის საქონლისათვის განკუთვნილი იგივე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მარაგში არსებული ყველაზე დაბალი ტარის მოცულობისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა.

15. შემოსავლების სამსახური მატერიალური ფორმის აქციზური მარკების გაცემას ახორციელებს ეტაპობრივად, თითოეული პროდუქციის სახეობაზე არსებული აქციზური მარკების მარაგის ამოწურვის შესაბამისად.

16. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ აქციზური მარკების შეძენის შემთხვევაში, შეძენილი აქციზური მარკები შემოსავლების სამსახურის მიერ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ გადახდილია შესაბამისი აქციზის გადასახადი ან წარდგენილია შესაბამისი საბანკო გარანტია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 14 მარტის ბრძანება №80 – ვებგვერდი, 14.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №129 – ვებგვერდი, 26.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 24 მარტის ბრძანება N87 – ვებგვერდი, 25.03.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.

დანართი: №IV-03

სპეციფიკაცია აქციზური მარკების მოთხოვნაზე

№	სეს ესნ-ის კოდი	საქონლის დასახელება	გამოყენებული ნაწარმის მოცულობა ან ღერების რაოდენობა	აქციზური მარკების რაოდენობა	აქციზური მარკების ნომინალური ღირებულება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.

დანართი: №IV-04

ა ქ ტ ი

აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების შესახებ

ვადასტურებთ, რომ აქციზური მარკების შეძენის შესახებ 20. . . წლის ———— N
განაცხადით მოთხოვნილი აქციზური მარკები გასცა,

_____

ხოლო

_____

(გადასახადის გადამხდელის სრული დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

მიიღო ქვემოთ აღნიშნული სპეციფიკაციის შესაბამისად.
გაცემულია და მიღებულია შემდეგი სპეციფიკაციის აქციზური მარკები:

———————————— დან ————————————ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

———————————— დან ————————————ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

———————————— დან ————————————ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

———————————— დან ————————————ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

———————————— დან ————————————ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

———————————— დან ————————————ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

აქციზური მარკების საერთო რაოდენობა: ————————————————————

აქიზური მარკები გასცა ————————————————————
(ხელმოწერა)

აქიზური მარკები მიიღო ————————————————————
(ხელმოწერა)

20.....წელი .....

დანართი №IV-04[1]

(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.

დანართი: №IV-05

აქტი №

საიმპორტო თამბაქოსათვის განკუთვნილი აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების შესახებ

ვადასტურებ, რომ აქციზური მარკების შეძენის შესახებ 20. . .წლის . . . . № . . .
განაცხადით მოთხოვნილი აქციზური მარკები სატრანსპორტო აგენტის მეშვეობით . . .
_____
(გადასახადის გადამხდელის სრული დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

იგზავნება შემდეგ
მისამართზე: ----------
გაცემულია და მიღებულია შემდეგი სპეციფიკაციის აქციზური მარკები:

---------- დან ---------- ჩათვლით

აქციზური მარკების საერთო
რაოდენობა: ----------
აქციზური მარკები გასცა ----------
(ხელმოწერა)
სატრანსპორტო აგენტი ----------
(ხელმოწერა)
აქციზური მარკები
მივიღე
იმპორტიორი ----------
(ხელმოწერა)
საგადასახადო ორგანოს
წარმომადგენელი ----------
(ხელმოწერა)
20.....წელი .....

მუხლი 80[1]. შერჩეული პირის მიერ აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური ფორმის მარკების გაცემა

1. აქციზური საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდების/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განსახორციელებლად მეწარმე სუბიექტი შერჩეულ პირს წარუდგენს ინფორმაციას აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური ფორმის მარკების (შემდგომში – მატერიალური ფორმის მარკა) წლიური საპროგნოზო მოთხოვნის თაობაზე.

2. საპროგონოზო ინფორმაციის წარდგენა ელექტრონულად უნდა განხორციელდეს ყოველ კვარტალურად იანვრის, აპრილის, ივლისის და ოქტომბრის თვის არა უგვიანეს მეშვიდე სამუშაო დღისა. ამასთან, საპროგნოზო ინფორმაცია წარედგინება როგორც კვარტალის სამივე თვეზე ცალ-ცალკე, ასევე მიმდინარე წლის მთლიანი ნუსხა. ყოველთვიური საპროგნოზო შეკვეთისას აუცილებელია ასევე მომდევნო 3 თვის განმავლობაში მოსათხოვი მატერიალური ფორმის მარკების ნუსხის დადასტურება ან კორექტირება. გარდა ამისა, ივლისის თვის ინფორმაციის მიწოდებისას მეწარმე სუბიექტი აზუსტებს მიმდინარე წლის საპროგნოზო შეკვეთას.

3. მატერიალური ფორმის მარკების შეძენის შესახებ განაცხადი ელექტრონული ფორმით წარედგინება შერჩეულ პირს.

4. მატერიალური ფორმის მარკების შეძენის შესახებ წარდგენილ შეკვეთაში-განაცხადში მიეთითება:

ა) მომხმარებლის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) მატერიალური ფორმის მარკების დანიშნულება;

გ) მატერიალური ფორმის მარკების მიწოდების სასურველი თარიღი;

დ) საქონლის დასახელება;

ე) გასაცემი მატერიალური ფორმის მარკების შეფუთვების რაოდენობა სახეობების მიხედვით (რულონი, ყუთი).

5. შემოსავლების სამსახური განიხილავს პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და 2 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას მატერიალური ფორმის მარკების შეძენის შესახებ განაცხადის დადასტურების თაობაზე.

5^1. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მატერიალური ფორმის მარკების შეძენის შესახებ განაცხადის დადასტურების მიზნით, პირს მოსთხოვოს დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია მარკების გაცემასთან.

5^2. აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადასახადის გადამხდელთან გაფორმებულია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულება) წარმოადგენს განაცხადის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველს.

5^3. აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი (განაცხადის დადასტურების მომენტისთვის პირს გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება ან/და არ იქნა წარმოდგენილი საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია), შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ.

5^4. მატერიალური ფორმის მარკების შეძენაზე განაცხადის დადასტურებიდან 1 სამუშაო დღეში, შერჩეული პირი განმცხადებელს უგზავნის შეტყობინებას მატერიალური ფორმის მარკების მიწოდების თარიღის თაობაზე და ინვოისს გადასახდელი ნომინალური ღირებულების თანხისა და ანგარიშის რეკვიზიტების მითითებით. ინვოისით გათვალისწინებული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს 4 კალენდარულ დღეში. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ შერჩეული პირი უფლებამოსილია გააუქმოს განაცხადი და უარი თქვას მატერიალური ფორმის მარკების გაცემაზე.

6. მატერიალური ფორმის მარკები გაიცემა შეფუთული სახით ინვოისში მითითებული გადასახდელი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

7. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე თვის დადასტურებული შეკვეთა მატერიალური ფორმის მარკების სახეობების მიხედვით ემთხვევა გადამხდელის მიერ გაკეთებულ საპროგნოზო რაოდენობას, შერჩეული პირი მატერიალური ფორმის მარკების გაცემას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის დადასტურებიდან არა უგვიანეს 7 კალენდარულ დღეში.

8. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე თვის დადასტურებული შეკვეთა მატერიალური ფორმის მარკების სახეობების მიხედვით 25%-დან 100%-მდე აჭარბებს გადამხდელის მიერ ბოლო პროგნოზირებული თვისთვის მითითებულ რაოდენობას, შერჩეული პირი მატერიალური ფორმის მარკების გაცემას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის დადასტურებიდან არა უგვიანეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე თვის დადასტურებული შეკვეთა მატერიალური ფორმის მარკების სახეობების მიხედვით 100%-დან 400%-მდე აჭარბებს გადამხდელის მიერ ბოლო პროგნოზირებული თვისთვის მითითებულ რაოდენობას, შერჩეული პირი მატერიალური ფორმის მარკების გაცემას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის დადასტურებიდან არა უგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

10. მწარმოებელი ან/და იმპორტიორი ვალდებულია, წლის განმავლობაში გაიტანოს ივლისის თვეში წარდგენილი საპროგნოზო მოთხოვნის არანაკლებ 70%. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შერჩეულ პირს უფლება აქვს მწარმოებლისგან/იმპორტიორისგან მოითხოვოს შესაბამისი (70%-მდე დარჩენილი) რაოდენობის ნომინალური ღირებულების გადახდა.

11. წუნდებული მატერიალური ფორმის მარკების აღმოჩენის შემთხვევაში, განმცხადებელი მიმართავს შერჩეულ პირს აქციზური მარკების შეცვლის თაობაზე. შერჩეული პირი განცხადებას განიხილავს შემოსავლების სამსახურის დასტურის მიღების შემდეგ. წუნდებული საქონლის დადასტურების შემთხვევაში შერჩეული პირი ახდენს მარკების შეცვლასა და აღრიცხვას.

12. თამბაქოს და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის მწარმოებელთან გადაგზავნამდე აქციზური მარკების შეფუთვა ხდება აქციზური მარკების გაცემის ადგილზე, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციის მიერ, მეწარმე სუბიექტის უფლებამოსილი წარმომადგენლის, შემოსავლების სამსახურის ან/და შერჩეული პირის წარმომადგენლების თანდასწრებით, რაზედაც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

13. შერჩეული პირის მიერ სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირზე აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების განსახორციელებლად მატერიალური ფორმის მარკები არ გაიცემა.

14. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირზე არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური ფორმის მარკების გაცემა შერჩეული პირის მიერ ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №406 – ვებგვერდი, 21.09.2012წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №406 – ვებგვერდი, 21.09.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №356 - ვებგვერდი, 26.11.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის ბრძანება №278 - ვებგვერდი, 24.11.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 მარტის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 09.03.2022წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 10 მაისის ბრძანება №141 - ვებგვერდი, 11.05.2022წ.

მუხლი 80[2]. შერჩეული პირის მიერ არამატერიალური ფორმით აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განხორციელება და მომსახურების გაწევა

1. აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განსახორციელებლად მეწარმე სუბიექტი შერჩეულ პირს წარუდგენს ინფორმაციას არამატერიალური ფორმის მარკების წლიური საპროგნოზო მოთხოვნის თაობაზე.

2. საპროგონოზო ინფორმაციის წარდგენა ელექტრონულად უნდა განხორციელდეს ყოველ- კვარტალურად იანვრის, აპრილის, ივლისის და ოქტომბრის თვის არა უგვიანეს მეშვიდე სამუშაო დღისა. ამასთან, საპროგნოზო ინფორმაცია წარედგინება როგორც კვარტალის სამივე თვეზე ცალ-ცალკე, ასევე მიმდინარე წლის მთლიანი ნუსხა. ყოველთვიური საპროგნოზო შეკვეთისას აუცილებელია ასევე მომდევნო 3 თვის განმავლობაში მოსათხოვი არამატერიალური ფორმის მარკების ნუსხის დადასტურება ან კორექტირება. გარდა ამისა, ივლისის თვის ინფორმაციის მიწოდებისას მეწარმე სუბიექტი აზუსტებს მიმდინარე წლის საპროგნოზო შეკვეთას.

3. არამატერიალური ფორმით აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განხორციელების მიზნით, განაცხადი ელექტრონული ფორმით წარედგინება შერჩეულ პირს.

4. არამატერიალური ფორმის მარკით საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განსახორციელებლად მომსახურების მიღების შესახებ წარდგენილ განაცხადში მიეთითება:

ა) მომხმარებლის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) არამატერიალური ფორმის მარკების დანიშნულება;

გ) საქონლის დასახელება;

დ) არამატერიალური ფორმის მარკების რაოდენობა (1 ცალი ტოლია 1000 ცალის ფორმატით).

5. შემოსავლების სამსახური განიხილავს პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და 2 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას არამატერიალური ფორმის მარკების შეძენის შესახებ განაცხადის დადასტურების თაობაზე.

5[1]. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, არამატერიალური ფორმის მარკების შეძენის შესახებ განაცხადის დადასტურების მიზნით, პირს მოსთხოვოს დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია მარკების გაცემასთან.

5[2]. აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადასახადის გადამხდელთან გაფორმებულია აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულება) წარმოადგენს განაცხადის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველს.

5[3]. აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი (განაცხადის დადასტურების მომენტისთვის პირს გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება ან/და არ იქნა წარმოდგენილი საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია), შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ.

5[4]. არამატერიალური ფორმის მარკების შეძენაზე განაცხადის დადასტურებიდან 1 სამუშაო დღეში შერჩეული პირი განმცხადებელს უგზავნის ინვოისს გადასახდელი ნომინალური ღირებულების თანხისა და ანგარიშის რეკვიზიტის მითითებით. არამატერიალური ფორმით აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდებას/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებას შერჩეული პირი უზრუნველყოფს გადამხდელის მიერ ინვოისით გათვალისწინებული თანხის გადახდიდან არაუგვიანეს მეორე დღისა.

6. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ არამატერიალური ფორმით აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდება/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება არ ხორციელდება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №406 – ვებგვერდი, 21.09.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 მარტის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 09.03.2022წ.

მუხლი 81. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული აქციზური მარკების დაბრუნება

1. იმპორტირებულისა და ადგილობრივი ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების უკან დაბრუნებისას მეწარმე სუბიექტი წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) წერილობით განცხადებას მარკების დაბრუნების მიზეზებისა და გამოუყენებელი აქციზური მარკების ტიპების, სერიებისა და ნომრების მითითებით;

ბ) შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლისა და აქციზური მარკების მიმღები მეწარმე სუბიექტის მიერ შედგენილ

აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების შესახებ აქტის ასლს.

2. უკან დაბრუნებული აქციზური მარკების მდგომარეობის გამომხატველი გარეგნული ნიშნები სრულად უნდა შეესაბამებოდეს მარკების გაცემისას არსებულ ნიშნებს.

3. შემოსავლების სამსახურის მიერ, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, დაბრუნების აქტის (დანართი: №IV-06) საფუძველზე ხდება აქციზური მარკების დაბრუნება.

3[1]. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ აქციზური მარკების უკან დაბრუნებისას, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირი/წარმომადგენელი და შემოსავლების სამსახურის აქციზური მარკების გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ადგენენ აქტს „გამოუყენებელი აქციზური მარკების უკან დაბრუნებისა და დარიცხული აქციზის თანხის შემცირების შესახებ“ (დანართი №IV-06[1]), რომლის საფუძველზე ხდება აქციზური მარკების დაბრუნება და მათი შეძენისას დარიცხული აქციზის თანხის შემცირება.

4. დაზიანებული აქციზური მარკები უკან არ ბრუნდება, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. უკან დაბრუნებული, გამოუყენებელი აქციზური მარკების შესაძენად გადახდილი ნომინალური ღირებულება დაბრუნებას არ ექვემდებარება.

6. (ამოღებულია – 16.04.2015, N106).

7. უკან დაბრუნებული აქციზური მარკები ექვემდებარება უტილიზაციას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.

დანართი: №IV-06

აქტი

გამოუყენებელი აქციზური მარკების უკან დაბრუნების თაობაზე

თარიღი..... № .....

.....

.....

(გადასახადის გადამხდელის სრული დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

აქციზური მარკების გაცემისა და მიღების პირველადი აქტის თარიღი: №..... (ასლი თან ერთვის) დანართი ..... გვერდი

დაბრუნებულია შემდეგი სპეციფიკაციის აქციზური მარკები:

..... დან ..... ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

..... დან ..... ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

..... დან ..... ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

..... დან ..... ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

..... დან ..... ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

..... დან ..... ჩათვლით
(აქციზური მარკების ნომერი, სერია) (აქციზური მარკების ნომერი, სერია)

აქციზური მარკების საერთო რაოდენობა: .....

აქციზური მარკები წარმოადგინა .....
(ხელმოწერა)

აქციზური მარკები ჩაიბარა .....

(ხელმოწერა)

20.....წელი .....

დანართი №IV-06[1]

(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.

მუხლი 81[1]. შერჩეული პირის მიერ მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის დაბრუნება

1. იმპორტირებული და ადგილობრივი ნაწარმისათვის განკუთვნილი გამოუყენებელი მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის უკან დაბრუნების მიზნით, გადასახადის გადამხდელი ელექტრონული განაცხადით მიმართავს შერჩეულ პირს. გამოუყენებელი მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის უკან დაბრუნება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის დასტურის საფუძველზე.

2. გამოუყენებული მატერიალური ფორმის აქციზური მარკების უკან დაბრუნება ხორციელდება შერჩეული პირის მიერ აქციზური მარკების შესწავლის შედეგების შემოსავლების სამსახურისთვის შეტყობინების შემდეგ, შემოსავლების სამსახურისგან მიღებული დასტურის შესაბამისად, როგორც ნაწილობრივი, ასევე, 79[2] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შეფუთვების ფორმით. თამბაქოსათვის განკუთვნილი აქციზური მარკების დაბრუნების შემთხვევაში, უკან დაბრუნებული აქციზური მარკების შეფუთვების ფორმები უნდა შეესაბამებოდეს მის გაცემისას არსებულ ფორმებს, გარდა 79[2] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რულონური (თვითწებადი) შეფუთვის ფორმებისა.

3. დაბრუნებული მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის ნომინალური ღირებულების საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4. დაზიანებული მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5. შერჩეული პირი ახდენს უკან დაბრუნებული აქციზური/არააქციზური მარკის აღრიცხვასა და უტილიზაციას. უტილიზაცია ხორციელდება შემოსავლების სამსახურთან შეთახმებით, უფლებამოსილი პირების თანდასწრებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.

მუხლი 81[2]. შერჩეული პირის მიერ აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განხორციელებისას მეწარმე სუბიექტებისა და შერჩეული პირის უფლება-მოვალეობები

1. არამატერიალური ფორმით სავალდებულო ნიშანდება/მარკირება ხორციელდება შერჩეული პირის მიერ საწარმოო ხაზზე დამონტაჟებული დანადგარების საშუალებით.

2. არამატერიალური ფორმის მარკებით საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განხორციელებისას მწარმოებლის უფლება-მოვალეობებია:

ა) უზრუნველყოს საწარმოო ხაზის გამართული მუშაობა და შესაბამისი პირობების დაცვა მარკირების პროცესის შეუფერხებელი განხორციელებისთვის;

ბ) 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს შემოსავლების სამსახურს პროდუქციის ფორმებში/დიზაინში შესატანი ცვლილებების შესახებ (ახალი შეფუთვის დამატება და ა.შ), რომლის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს წინასწარ წარედგინება ახალი პროდუქტის პარამეტრები და ფორმის/დიზაინის (მათ შორის, თავსახური) არანაკლებ 5 ნიმუში;

გ) 15 კალენდარული დღით ადრე აცნობოს შერჩეულ პირს ხაზების აღდგენის, განახლების ან რეკონსტუქციის შესახებ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხაზის შეჩერების საჭიროება გრძელდება 5 სამუშაო ან მეტი დღის განმავლობაში;

დ) არანაკლებ 3 თვით ადრე აცნობოს შერჩეულ პირს ახალი წარმოების დაწყების, ბრენდის დამატების, ხაზების დამონტაჟების შესახებ, რომელიც მოახდენს ცვლილებას წარმოების მოცულობაში;

ე) უზრუნველყოს წუნდებული (არასწორად ნიშანდებული/მარკირებული) პროდუქციის საწარმოო ხაზიდან ამოღება;

ვ) არ მოახდინოს მარკირებული ნაწილის დაფარვა სხვა მასალით, რომელიც ხელს შეუშლის განხორციელებული ნიშანდების/მარკირების იდენტიფიცირებას;

ზ) უზრუნველყოს მხოლოდ ამ ბრძანებით დადგენილი წესით ნიშანდებული/მარკირებული პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა; ამასთან, ნიშანდებულად/მარკირებულად ითვლება ის პროდუქტიც, რომელზეც ვერ ხერხდება შერჩეული პირის მიერ დატანილი არამატერიალური ფორმის აქციზური მარკის სრული ან ნაწილობრივი წაკითხვა/ამოცნობა;

ზ[1]) საწარმოო ხაზებზე დამონტაჟებული დანადგარების მზადყოფნის შესახებ შერჩეული პირის მიერ

დასტურის მიღების შემდეგ, პროდუქციის სავალდებულო ნიშანდება/მარკირება უზრუნველყოს მხოლოდ შერჩეული პირის მიერ, გარდა ამ ბრძანების 78-ე მუხლის მე-9 პუნქტითა და 78[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თ) შეასრულოს შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინსტრუქციები ნიშანდებისთვის/მარკირებისათვის საჭირო პროცესის მომსახურების თაობაზე და ინსტრუქციების მიღებიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს საწარმოო ხაზზე საჭირო კორექტირების შეტანა;

ი) უზრუნველყოს მარკირებისათვის შერჩეული პირის მიერ განსაზღვრული მომსახურე პერსონალის საწარმოში დაშვება, საჭირო დანადგარების მომსახურებისათვის;

კ) უზრუნველყოს დამონტაჟებული დანადგარების დაცვა და უსაფრთხოება;

ლ) შერჩეული პირისგან მოითხოვოს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განხორციელება, საწარმოო ხაზების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა, საჭიროების შემთხვევაში, დამონტაჟებული დანადგარების/მოწყობილობების ტექმომსახურება;

მ) 1 სამუშაო დღეში შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია იმ პროდუქციის თაობაზე, რომლის ნიშანდებისას/მარკირებისას მონაცემთა ბაზაში აისახა არასწორი ინფორმაცია პროდუქციის შესახებ (დასახელება, მოცულობა და ა.შ), მონაცემთა ბაზაში არასწორად ასახული ინფორმაცის მითითებით. ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ასეთი პროდუქციის აღმოჩენის შემთხვევაში, მწარმოებელზე გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები;

ნ) ამ პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უზრუნველყოს შერჩეული პირისა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მონაცემთა ბაზაში არასწორად ასახული პროდუქციის თაობაზე შესაბამისი ოქმის შედგენა დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომელიც წარედგინება შემოსავლების სამსახურს.

3. არამატერიალური ფორმის მარკებით საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განხორციელებისას, შერჩეული პირის უფლება-მოვალეობებია:

ა) უზრუნველყოს ნიშანდების/მარკირების განსახორციელებლად საჭირო დანადგარების მონტაჟი საწარმოო ხაზებზე შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

ბ) მოამზადოს და მწარმოებლებს მიაწოდოს ყოველი საწარმოო ხაზის ტექმომსახურებისთვის შესაბამისი ინსტრუქციები შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

გ) განახორციელოს საწარმოო ხაზზე მის მიერ დამონტაჟებული დანადგარების/მოწყობილობების ტექმომსახურება და მეწარმე სუბიექტის ყველა მიმართვაზე შესაბამისი რეაგირება შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

დ) უზრუნველყოს მარკირების დანადგარის ექსპლუატაციის/პირველადი მოხმარების განსახორციელებლად საწარმოს პერსონალის ტრენინგი შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

ე) უზრუნველყოს წარმოების პროცესში პროდუქციის მარკირებისას აღმოჩენილი წუნის დაფიქსირება/აღრიცხვა;

ვ) საწარმოო ხაზებზე ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში დააფიქსიროს ყველა შემთხვევა და 24 საათის განმავლობაში მიაწოდოს ანგარიში შემოსავლების სამსახურს;

ზ) წერილობითი ან ელექტრონული ფორმით აცნობოს შემოსავლების სამსახურსა და მწარმოებელს საწარმოო ხაზებზე დამონტაჟებული დანადგარების მზადყოფნის შესახებ;

თ) უზრუნველყოს ნიშანდებული/მარკირებული პროდუქციის შესახებ მონაცემთა ბაზაში არასწორად ასახული ინფორმაციის თაობაზე მწარმოებელთან ერთად შესაბამისი ოქმის შედგენა და შემოსავლების სამსახურის დასტურის შემდეგ, ბაზაში ინფორმაციის გასწორება.

4. შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის მარკებით პროდუქციის ნიშანდებას/მარკირებას უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტი.

5. მატერიალური ფორმის მარკებით საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განხორციელებისას მეწარმე-სუბიექტისა და ფიზიკური პირის მოვალეობებია:

ა) 3 სამუშაო დღით ადრე აცნობოს შემოსავლების სამსახურს მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულ ინფორმაციაში დამატებების ან ცვლილებების თაობაზე;

ბ) არ მოახდინოს ნიშანდებული/მარკირებული ნაწილის დაფარვა სხვა მასალით, რომელიც ხელს შეუშლის მარკის საიდენტიფიკაციო მაჩვენებლების ამოცნობას (მარკაში დაშიფრული ინფორმაციის წაკითხვას);

გ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია იმ პროდუქციის თაობაზე, რომლის ნიშანდებაზე მონაცემთა ბაზაში აისახა (გააქტიურდა) არასწორი ინფორმაცია;

დ) მატერიალური ფორმის მარკების მიღებიდან 6-თვიან პერიოდში მოახდინოს იმპორტისათვის მიღებული მატერიალური ფორმის მარკების გამოყენება ან დაბრუნება. იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევამდე, გარდა ამ ინსტრუქციის 78-ე მუხლის 6[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უზრუნველყოს

პროდუქციაზე ნიშანდების/მარკირების შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება);

დ[1]) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიზნებისთვის, ამავე მუხლის 1[2] ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იმპორტიორის მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში გამოუყენებელი მარკების დაუბრუნებლობა ითვლება აქციზური მარკების სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება აქციზით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით საქონლის ამ ინსტრუქციის 78-ე მუხლის 6[1] პუნქტის შესაბამისად საქონლის ნიშანდების შემთხვევაში, მოხდება გადასახდელად დარიცხული აქციზის გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად;

ე) მატერიალური ფორმის მარკების მიღების შემდეგ, შეფუთვის ფორმების მიხედვით, მათზე დატანილი კოდის-ნუმერაციის შესაბამისად, უზრუნველყოს მოძრაობის (მიღებულია, უარყოფილია, დაკარგულია) სტატუსის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება);

ვ) უზრუნველყოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00, 2403 91 000 00, 2403 99 100 00, 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებული საქონლისათვის მიღებული მატერიალური აქციზური მარკის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება) აქციზური მარკის მიღებისთანავე, არაუგვიანეს მიღებიდან 1 სამუშაო დღისა; ხოლო 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისათვის მიღებული მატერიალური აქციზური მარკის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება) – არაუგვიანეს საქონლის მიწოდების განხორციელებისა.

6. ნიშანდებული/მარკირებული პროდუქციის შესახებ არასწორად ასახული (გააქტიურებული) ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში გასწორება ხორციელდება შერჩეული პირის მიერ, შემოსავლების სამსახურის მიმართვის საფუძველზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის ბრძანება №220 – ვებგვერდი, 06.07.2012წ
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №406 – ვებგვერდი, 21.09.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 15 აპრილის ბრძანება N106 - ვებგვერდი, 16.04.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №346 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის ბრძანება №278 - ვებგვერდი, 24.11.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 მარტის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 09.03.2022წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 10 მაისის ბრძანება №141 - ვებგვერდი, 11.05.2022წ.

მუხლი 82. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.

დანართი: №IV-07 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.

მუხლი 83. აქციზური საქონლის ჩამორთმევა

1. მატერიალური ან არამატერიალური ფორმის აქციზური მარკის გარეშე ან დადგენილი წესის დარღვევით ნიშანდებული აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ჩამორთმევას (ამოღებას), გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა, ახორციელებს საგადასახადო ორგანო.

2. ჩამორთმეული საქონელი ექვემდებარება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი ორგანოს განკარგულებაში გადაცემას.

3. ჩამორთმევა (ამოღება) ხორციელდება საგადასახადო ორგანოს ბრძანების საფუძველზე უფლებამოსილი პირების (არანაკლებ ორი პირის) მიერ, რაზედაც დგება ჩამორთმევის ოქმი.

4. უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები, რომლებსაც ბრძანებით ნიშნავს საგადასახადო ორგანოს უფროსი ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად.

5. საქონლის ჩამორთმევისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი მოვალეა იმ პირს, რომლისგანაც ხდება საქონლის ჩამორთმევა, წარუდგინოს თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები (საგადასახადო ორგანოს უფროსის ბრძანება და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი).

6. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის დასწრება და საქონლის ჩამორთმევის პროცესში მართლწესრიგის უზრუნველყოფა.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის ჩამორთმევა წარმოებს საქონლის მფლობელსა და დამსწრეთა მონაწილეობით. საქონლის მფლობელისა და დამსწრეთა არყოფნის შემთხვევაშიც საქონელი ექვემდებარება ამოღებას, რაზედაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. ჩამორთმეული არანიშანდებული საქონელი აღიწერება ოქმში, რომელშიც აისახება შემდეგი:

ა) ოქმის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) ოქმის შემდგენი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირები;

გ) საქონლის დასახელება, მოცულობისა და რაოდენობის ჩვენებით და განსაკუთრებული ნიშნების

მითითებით;

დ) მოპოვებული ინფორმაცია, თუ ვისგან, როდის და რა სახის საბუღალტრო და საგადასახადო დოკუმენტების საფუძველზეა შეძენილი საქონელი;

ე) ოქმის შედგენისას დამსწრე პირების დასახელება (მათი არსებობის შემთხვევაში);

ვ) ოქმი წარედგინება დამსწრეებს და სხვა იქ მყოფ პირებს ხელმოსაწერად.

9. ჩამორთმევის ოქმი დგება ორ ეგზემპლარად, რომლის ერთი პირი ბარდება საქონლის მფლობელს.

10. საქონლის ჩამორთმევის (ამოღების) დროს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ამოიღებს მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც არანიშანდებულია ან ნიშანდებულია დადგენილი წესის მოთხოვნათა დარღვევით.

11. კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ნიშანდებული საქონლის ჩამორთმევის შემთხვევაში ხდება შემოსავლების სამსახურიდან ან შერჩეული პირისგან აქციზური მარკების გამტანი პირის იდენტიფიცირება შემდგომი რეაგირებისათვის.

12. ჩამორთმეულ საქონელს საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლები დროებით შესანახად აბარებენ შემოსავლების სამსახურის უფროსის/მოადგილის მიერ გამოყოფილ პასუხისმგებელ პირს, რომელიც აღნიშნულ საქონელს აბარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შერჩეულ საწყობებში ჩამორთმევის განხორციელებიდან 5 დღის განმავლობაში. საქონლის გადაცემის ორივე ეტაპზე დგება მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) აქტის შედგენის ადგილი და თარიღი;

ბ) აქტის შემდგენი პირების თანამდებობა, სახელი და გვარი;

გ) ჩამორთმევის პროცედურაში მონაწილეთა (როგორც პროცედურის განმახორციელებელ პირთა, ისე მათი, ვის მიმართაც იგი განხორციელდა) სრული რეკვიზიტები;

დ) ჩამორთმევის პროცედურის დრო;

ე) ჩამორთმეული საქონლის დასახელება და რაოდენობა.

13. საგადასახადო ორგანო ჩამორთმევის ყველა შემთხვევის შესახებ ინფორმაციას დადგენილი წესით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს და აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №209 – ვებგვერდი, 20.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 24 თებერვლის ბრძანება N55 – ვებგვერდი, 24.02.2015წ.

თავი XXII
აქციზისაგან გათავისუფლება

მუხლი 84. საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების, ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო აქციზური საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტის ან/და მიწოდების აქციზისაგან გათავისუფლება

1. საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების, ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო აქციზური საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტისას საბაჟო ორგანოს წარედგინება არანაკლებ აქციზის თანხის შესაბამისი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 60 კალენდარულ დღეს გარანტიის წარდგენიდან.

2. საანგარიშო თვის/კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე საბაჟო ორგანოს წარედგინება „ანგარიშგება საერთაშორისო საზღვაო რეისებზე ბორტზე მიწოდებული საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის შესახებ“ (დანართი №IV-08) ან „ანგარიშგება საერთაშორისო საავიაციო რეისებზე ბორტზე მიწოდებული საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის შესახებ“ (დანართი №IV-09) ან „ანგარიშგება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების შესახებ“ (დანართი №IV-09[1]). თუ აღნიშნული დოკუმენტები არ იქნა წარდგენილი, ბრუნვის შესაბამის ნაწილზე გაანგარიშებული უნდა იქნეს ბიუჯეტში გადასახდელი აქციზი.

3. იმპორტიორის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია უქმდება სრულად ან ნაწილობრივ, საერთაშორისო საზღვაო ან საერთაშორისო საავიაციო რეისებზე ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული საწვავის და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისების ან საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად

ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების მოცულობაზე გაანგარიშებული აქციზის, ხოლო ამ პუნქტში მითითებული საქონლის იმ პირზე სრულად ან ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, რომელიც საქონელს იყენებს იმავე მიზნობრივი დანიშნულებით, ან ისეთი მიზნობრივი დანიშნულებით, რისთვისაც საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელებზე გამოყენებული იქნებოდა შეღავათები – გასხვისებულ საქონელზე გაანგარიშებული აქციზის მიხედვით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №536 – ვებგვერდი, 17.10.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №429 - ვებგვერდი, 26.11.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №306 - ვებგვერდი, 09.10.2019წ.

დანართი №IV-08

ანგარიშგება საერთაშორისო საზღვაო რეისებზე ბორტზე მიწოდებული საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის შესახებ

№	თარიღი	გემის დასახელება, გემის ტიპი	რეისის №	მარშრუტი	განაცხადის თარიღი	საქონლის დასახელება სეს ესნ-ის შესაბამისად	საქონლის რაოდენობა (კგ)	საქონლის რაოდენობა (დამატებითი ზომის ერთეულის მიხედვით სეს ესნ-ის შესაბამისად)	საქონლის სატარიფო ღირებულება
შემოტანილი საქონლის საერთო რაოდენობა									
შემოტანილი საქონლის მთლიანი სატარიფო ღირებულება									
ბორტზე მიწოდებული საქონლის რაოდენობა									

ბორტზე მიწოდებული საქონლის

სატარიფო ღირებულება

საბაჟო დეკლარაციის №	
საბანკო გარანტიის №	

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და თარიღი .....

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №536 – ვებგვერდი, 17.10.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 მაისის ბრძანება №188 – ვებგვერდი, 04.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.

დანართი №IV-09

ანგარიშგება საერთაშორისო საავიაციო რეისებზე ბორტზე მიწოდებული საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის შესახებ

№	თარიღი	ავიაკომპანიის დასახელება, თვითმფრინავის ტიპი	რეისის №	მარშრუტი	განაცხადის თარიღი	საქონლის დასახელება სეს ესნ-ის შესაბამისად	საქონლის რაოდენობა (კგ)	საქონლის რაოდენობა (დამატებითი ზომის ერთეულის მიხედვით სეს ესნ-ის შესაბამისად)	საქონლის საბაჟო ღირებულება

შემოტანილი საქონლის საერთო რაოდენობა	
შემოტანილი საქონლის მთლიანი საბაჟო ღირებულება	
ბორტზე მიწოდებული საქონლის რაოდენობა	
ბორტზე მიწოდებული საქონლის საბაჟო ღირებულება	

საბაჟო დეკლარაციის №	

საბანკო გარანტიის №	

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და თარიღი

.....

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №536 – ვებგვერდი, 17.10.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 მაისის ბრძანება №188 – ვებგვერდი, 04.06.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.

დანართი №IV-09[1]

ანგარიშგება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების შესახებ

№	თარი-ღი	ავიაკომპა-ნიის დასახელება, თვითმფრი-ნავის ტიპი	რეისის №	მარშრუ-ტი	განაცხა-დის თარიღი	საქონლის დასახელება სეს ესნ-ის შესაბამი-სად	საქონლის რაოდენო-ბა (კგ)	საქონლის რაოდენობა (დამატები-თი ზომის ერთეულის მიხედვით სეს ესნ-ის შესაბამი-სად)	საქონლის სატარიფო ღირებუ-ლება

შემოტანილი საქონლის საერთო რაოდენობა	
შემოტანილი საქონლის მთლიანი სატარიფო ღირებულება	
ბორტზე მიწოდებული საქონლის რაოდენობა	
ბორტზე მიწოდებული საქონლის სატარიფო ღირებულება	

საბაჟო დეკლარაციის №	
საბანკო გარანტიის №	

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და თარიღი

.....

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.

მუხლი 85. მისართების, გამხსნელების და ანტიდეტონატორების იმპორტის აქციზისაგან გათავისუფლება

1. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია:

ა) 2012 წლის 5 ივლისის და შემდგომი საგადასახადო პერიოდების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსის

194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით სარგებლობის მიზნით, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 191-ე მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული აქციზის დეკლარაცია;

ბ) 2012 წლის 5 ივლისამდე არსებული საგადასახადო პერიოდების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, ასევე 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 265-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით სარგებლობის მიზნით, ხანდაზმულობის 6 წლიანი ვადის გათვალისწინებით, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს განაცხადი (დანართი NIV–10) გადახდილი აქციზის თანხის ზედმეტად გადახდილ თანხად აღრიცხვის მოთხოვნით, თუ მას ამ შეღავათით არ უსარგებლია. კერძოდ, იმ თანხაზე, რომელიც საქონლის გამოყენების პერიოდში არ არის ასახული (ჩათვლილი) აქციზის დეკლარაციაში და არ გამოყენებულა აქციზური საქონლის წარმოებისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს აქციზის დეკლარაცია წარედგინება ყოველი საანგარიშო პერიოდისათვის, რეალიზებული/გამოყენებული (გარდა აქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენებულისა) იმპორტირებული საქონლის მიხედვით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) გადახდილი აქციზის თანხის პირადი აღრიცხვის ბარათზე ზედმეტად გადახდილ თანხად აღრიცხვის თაობაზე განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს №IV-10 დანართის ფორმით;

ბ) საგადასახადო ორგანო პირადი აღრიცხვის ბარათზე აღრიცხვას განახორციელებს გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ასახულ მონაცემებზე დაყრდნობით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვერ ისარგებლებს საგადასახადო შეღავათით, თუ წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება საგადასახადო ორგანოში არსებულ შესაბამის მონაცემებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადახდილი აქციზის თანხის დაბრუნება ან/და მომავალი საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №541 – ვებგვერდი, 28.12.2012წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №322 - ვებგვერდი, 30.09.2013წ.

დანართი №IV-10

შემოსავლების სამსახურს _____

განცხადება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-10 სტრიქონით გათვალისწინებულ იმპორტირებულ საქონელზე გადახდილი აქციზის პირადი აღრიცხვის ბარათზე ზედმეტად გადახდილ თანხად აღრიცხვის შესახებ

1. გადასახადის გადამხდელის დასახელება, იურიდიული მისამართი:

_____

2. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი:

			საქონლის ნაშთი განაცხადის წარდგენის დროისათვის	

N	საბაჟო დეკლარაცია				გამოყენებული				მოთხოვნილი აქციზის თანხა
	რეგისტრაციის თარიღი	სერია და ნომერი	სეს ესნ კოდი	საქონლის რაოდენობა საბაჟო დეკლარაციის მიხედვით	სულ	მათ შორის: აქციზური საქონლის წარმოებისათვის	თვე და წელი	რაოდენობა	

საწარმოს ხელმძღვანელი/ინდ.მეწარმე

_____

(ხელმოწერა)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №541 – ვებგვერდი, 28.12.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №339 – ვებგვერდი, 23.10.2015წ.

დანართი №IV–10[1]

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

_____

საიდენტიფიკაციო ნომერი

განაცხადი

გადახდილი აქციზის დაბრუნების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, დაგვიბრუნოთ პროგრამის/პროექტის ფარგლებში შემენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი აქციზის თანხები შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

_____

(ბანკის დასახელება და რეკვიზიტები)

_____

(ანგარიშის ნომერი)

დანართი:

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების	————	რაოდენობა
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები	————	გვერდზე

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

(თარიღი)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 აპრილის ბრძანება №121 – ვებგვერდი, 25.04.2012წ.

მუხლი 86. საქართველოს საქონლის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისათვის მიწოდების აქციზისაგან გათავისუფლება

1. აქციზის გადამხდელის აქციზისაგან გათავისუფლების საფუძველია „საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული „პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობა.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელი ფიზიკური პირების მიერ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ნაყიდი საქონლის უკან შემოტანის შემთხვევაში, აღნიშნული საქონელი იბეგრება აქციზით.

3. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული აქციზური საქონლის იმ პირებზე გაყიდვისას, რომელთაც არ გააჩნიათ მათი შეძენის უფლება, აგრეთვე მათი დანაკლისის შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს აქციზი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონელი დაუძლეველი ძალის შედეგად აღმოჩნდა მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებული, დაკარგული ან გაფუჭებული და შეუძლებელია მისი შემდგომი გამოყენება.

4. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის სასაქონლო სახის დაკარგვისას, გარდა დაუძლეველი ძალის შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ამ საქონლის იდენტიფიცირება სეს ესნ-ის შესაბამისი კოდების მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს აქციზი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 24 მარტის ბრძანება N87 – ვებგვერდი, 25.03.2015წ.

მუხლი 86[1]. აქციზისგან გათავისუფლება საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად

1. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად საგადასახადო შეღავათებით (აქციზისგან გათავისუფლება) სარგებლობისათვის ხელშეკრულების შესაბამისად განსახორციელებელი პროგრამის/პროექტის დამფინანსებელი (დონორი) მხარის მიერ შემოსავლების სამსახურში ინფორმაციის წარდგენა და აღნიშნული ინფორმაციის რეესტრში ასახვის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების 71-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. პროგრამის/პროექტის ფარგლებში აქციზური საქონლის/მომსახურების შეძენისას, საქონლის მიმწოდებელი (გამყიდველი) ან/და მომსახურების გამწევი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს აქციზის გადამხდელს, ვალდებულია გადაამოწმოს რეესტრში პირის საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლება. აქციზისგან გათავისუფლების შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში აქციზის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონზე მიეთითება „0" (ნული).

2[1]. საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირს უფლება აქვს, პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი აქციზის თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით დაიბრუნოს ან/და ჩაითვალოს მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში.

2[2]. საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება განცხადება, პროგრამის/პროექტის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი აქციზის თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გამოწერილი საფ-ები, ხოლო მატერიალური ფორმით გამოწერილი საფ-ების შემთხვევაში – პირველი ეგზემპლარები. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხის „3. პროგრამის/პროექტის ფარგლებში აქციზური საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი და ამ მუხლის 2[2] პუნქტის მიხედვით გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახული აქციზის თანხის დაბრუნების მიზნით, საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება განაცხადი დანართი №IV–10[1] შესაბამისად.".ასახვა ხორციელდება განცხადების შესწავლის შედეგად.

4. საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ განაცხადი საგადასახადო ორგანოს წარედგინება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების შემდგომ.

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ წარდგენილ განაცხადს და:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით;

ბ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 3 დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებს განაცხადის წარმდგენ პირს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

6. ხარვეზის დადგენისას ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადის დენა შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე ან შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ვადაში, საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განაცხადი შესაძლებელია წარდგენილ იქნეს განმეორებით.

8. განაცხადის მიხედვით აქციზის თანხის დაბრუნება ხდება განმცხადებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 18 აპრილის ბრძანება №121 – ვებგვერდი, 25.04.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 4 მარტის ბრძანება №65 - ვებგვერდი, 05.03.2020წ.

კარი V

ქონების გადასახადი

თავი XXIII

საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადი

მუხლი 87. საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია

1. საწარმო/ორგანიზაცია, რომელსაც წარმოეშვა ქონების გადასახადის დეკლარირების ვალდებულება, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს ქონების გადასახადის შესახებ დეკლარაციას № V-01 დანართის ფორმით:

დანართი: №V-01



ნაწილი I

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი

საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია

დეკლარაციის სახე: პირველადი | შესწორებული | წელი

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V“ ნიშნით)

წარედგინა

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გადასახადის გადამხდელი:

(საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება)

მოცემული დეკლარაცია შედგენილია ფურცელზე თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტები ფურცელზე

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის

(ხელმოწერა)

(თარიღი)

ნაწილი II

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

დეკლარაცია წარმოდგენილია	ფოსტით	პირადად	ელექტრონულად
მოცემული დეკლარაცია შედგენილია	ფურცელზე	თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტები	ფურცელზე
წარმოდგენის თარიღი			
რეგისტრაციის ნომერი			
საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის	(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)	

ნაწილი III

(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №437 – ვებგვერდი, 31.12.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №117 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

ნაწილი IV.

მიწაზე ქონების გადასახადის გაანგარიშება

№	ტერიტორიული ერთეულის დასახელება მიწის ნაკვეთის მდებარეობა (მისამართი)	სახეობა და აღწერილობა (კატეგორია, ხარისხი)	ფართობი (მ2; კვმ)	დაბეგვრის ობიექტის ფართობი საგადასახადო შეღავათის გათვალისწინებით	საგადასახადო შეღავათის საფუძველი	გადასახადის განაკვეთი	ქონების გადასახადი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8
						ჯამი	

წარმოდგენილია მიწის ხარისხის, შეღავათის დამადასტურებელი დოკუმენტი	

შენიშვნა:
დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ შეიტანება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით (1 აპრილის მდგომარეობით).

მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის გადამხდელის _____ (ხელმოწერა)

(თარიღი)

ნაწილი V

მიწაზე ქონების გადასახადის ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების ტერიტორიების მიხედვით განაწილების შესახებ

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

№	ტერიტორიული ერთეულის დასახელება	ბიუჯეტის შემოსულობის სახაზინო კოდი	ექვემდებარება გადახდას არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ნოემბრისა
1	2	3	4

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის

(სახელი, გვარი) (თანამდებობა) (ხელმოწერა)

მუხლი 88. საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციის „I ნაწილში“ აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტის, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

2. დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი. თანდართული დამადასტურებელი (საგადასახადო შეღავათის, მიწის ხარისხის) დოკუმენტების რაოდენობა. ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელმოწერით დასტურდება გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

3. დეკლარაციის „ II ნაწილი“ ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

4. დეკლარაციის III ნაწილში განისაზღვრება ქონების გადასახადი დასაბეგრი ობიექტის (გარდა მიწისა) მდებარეობის მიხედვით. მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით:

ა) მე-3 სვეტში: „ქონების დასახელება“ – მიეთითება გადასახადით დაბეგვრის ობიექტები ქონების სახეობათა მიხედვით;

ბ) მე-4 სვეტში: „ტერიტორიული ერთეული“ – მიეთითება იმ ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტის დასახელება, რომლის ტერიტორიაზე განთავსებულია (ირიცხება) დასაბეგრი ობიექტი;

გ) მე-5 სვეტში: ,,ქონების მიღების წელი (ივსება უძრავ ქონებაზე)“ – მიეთითება უძრავი ქონების მიღების წელი;

დ) მე-6 სვეტში: „ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება“– მიეთითება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), ამასთან:

დ.ა) საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის, გარდა სალიზინგო კომპანიისა, ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში;

დ.ბ) სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების მიხედვით (არა უმეტეს 0.6 პროცენტის ოდენობით).

შენიშვნა: 2010 წლის 1 იანვრამდე ლიზინგით გაცემულ ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებზე ქონების გადასახადების მიზნებისათვის ვრცელდება 2010 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმები.

ე) მე-7 სვეტში: „უძრავი ქონების აფასების კოეფიციენტი“ – მიეთითება ქონების ღირებულების გამადიდებელი კოეფიციენტები საწარმოს/ორგანიზაციის მიერ 2004 წლის ჩათვლით მიღებულ უძრავ ქონებაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით;

ვ) მე-8 სვეტში: „თანხა“ – აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათის ოდენობა.

შენიშვნა: საერთაშორისო კომპანიასთან მიმართებაში, აღნიშნულ სვეტში მიეთითება ქონების გადასახადის თანხა კალენდარული წლის განმავლობაში იმ თვეების პროპორციულად, რამდენ თვეშიც პირი ითვლებოდა საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონედ.

მაგალითი:

საწარმოს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი მიენიჭა 2021 წლის 5 მაისს, შესაბამისად, იგი საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონედ ითვლებოდა 2021 წლის 1 მაისიდან.

საწარმოს დასაბეგრი ქონების ღირებულება წლის დასაწყისში შეადგენს 100 000 ლარს, ხოლო წლის ბოლოსთვის – 140 000 ლარს. შესაბამისად, ქონების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (სვ. 6) შეადგენს 120 000 ლარს ((100000 ლარი + 140000 ლარი): 2), ხოლო საგადასახადო შეღავათის თანხა (სვ. 8) – 80 000 ლარს (120000:12X8);

ზ) მე-9 სვეტში: „შეღავათის საფუძველი“ – მიეთითება საგადასახადო შეღავათის საფუძველი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმა;

თ) მე-10 სვეტში: „გადასახადოს განაკვეთი“ – მიეთითება დასაბეგრი ობიექტის მდებარეობის (აღრიცხვის) მიხედვით შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების ტერიტორიაზე შემოღებული გადასახადის პროცენტული განაკვეთი;

ი) მე-11 სვეტში: „გადასახადის თანხა“ – მიეთითება გადასახადის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება ცალკეული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით შემოღებული გადასახადის განაკვეთის და ამ ტერიტორიაზე არსებული დასაბეგრი ობიექტის ღირებულების შესაბამისად;

კ) მე-12 სვეტში: „საანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხული მიმდინარე გადასახდელი“ – აისახება ცალკეული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით საანგარიშო წელს დარიცხული მიმდინარე გადასახდელის ოდენობა;

ლ) მე-13 სვეტში: აისახება ამ დეკლარაციით განსაზღვრულ გადასახადის თანხასა (სვ. 11, ან სვ.15-ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მიმდინარე გადასახდელის (სვ.12) თანხას შორის სხვაობა, მათ შორის:

ლ.ა) დადებითი სხვაობა ექვემდებარება დამატებით დარიცხვას;

ლ.ბ) უარყოფითი სხვაობა ექვემდებარება შემცირებას;

ლ[1]) მე-14 სვეტში: „საწარმოს/ორგანიზაციის არსებობის პერიოდი“ – ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო/ორგანიზაცია არსებობს (დაფუძნდა, გაუქმდა და ა.შ.) არასრული კალენდარული წელი და მასში მიეთითება საგადასახადო წლის განმავლობაში საწარმოს/ორგანიზაციის არსებობის თვეების რაოდენობა. ამასთან, თუ გადასახადის გადამხდელი რეგისტრირებულია თვის დასაწყისიდან 15 რიცხვის ჩათვლით, ან მოხსნილია რეგისტრაციიდან თვის 15 რიცხვის შემდეგ, მაშინ გადასახადის გაანგარიშებისას სარეგისტრაციო და რეგისტრაციის გაუქმების თვე ჩაითვლება სრულ თვედ. წინააღმდეგ შემთვევაში, აღნიშნული თვე მხედველობაში არ მიიღება;

ლ[2]) მე-15 სვეტში: „გადასახადის თანხა არსებობის პერიოდის გათვალისწინებით“ – მიეთითება ქონების გადასახადის თანხა კალენდარული წლის განმავლობაში საწარმოს/ორგანიზაციის არსებობის თვეების პროპორციულად (სვ.11 : 12 X სვ.14).

შენიშვნა: მომდევნო საანგარიშო წელს საწარმოს მიმდინარე გადასახდელის თანხა განისაზღვრება სრულ წელზე გაანგარიშებით (სვ.11), თუ არ დადგა სსკ-ის 205-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევა.

მაგალითი:

საწარმომ რეგისტრაცია გაიარა 2018 წლის 22 თებერვალს. აღნიშნული პერიოდისთვის მისი დასაბეგრი ქონების ღირებულება შეადგენს 100 000 ლარს, ხოლო საანგარიშო წლის ბოლოსთვის – 110 000 ლარს. შესაბამისად, ქონების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (სვ. 6) შეადგენს 105000 ლარს ((100000 ლარი + 110000 ლარი): 2), ხოლო ქონების წლიური გადასახადის თანხა (სვ.11) – 1050 ლარს. საწარმოს/ორგანიზაციის არსებობის პერიოდის მიხედვით (10 თვე, სვ.14), 2018 წლის ქონების გადასახადის თანხა (სვ. 15) შეადგენს 875 ლარს (1050: 12 X 10).

ამ მაგალითის პირობებში, საწარმოს 2019 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის სახით დაერიცხება 1050 ლარი.

მ) მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელის მოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

5. დეკლარაციის „IV ნაწილით“ განისაზღვრება:

ა) მიწაზე ქონების გადასახადის წლიური ოდენობა და შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ობიექტების ტერიტორიების მიხედვით მისი განაწილება;

ბ) მე-2 სვეტში: „ტერიტორიული ერთეულის დასახელება, მიწის ნაკვეთის მდებარეობა (მისამართი)” – მიეთითება იმ ადგილობრივი თვითმართველობის სუბიექტის დასახელება, რომლის ტერიტორიაზე განთავსებულია კონკრეტული დასაბეგრი ობიექტი (მიწის ნაკვეთი) და მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) მე-3 სვეტში: „ სახეობა და აღწერილობა (კატეგორია, ხარისხი)” – მიეთითება მიწის ნაკვეთის დანიშნულება (სასოფლო-სამეურნეო; არასასოფლო-სამეურნეო), კატეგორია (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, ბუნებრივი სათიბები, საძოვრები) და ხარისხი (კარგი, მწირი, გაკულტურებული);

დ) მე-4 სვეტში: „ ფართობი (ჰა; კვ.მ)” – კონკრეტული დასაბეგრი ობიექტის მიხედვით მიეთითება:

დ.ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში – ფართობი (ჰექტრებში);

დ.ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში – ფართობი (კვადრატულ მეტრებში).

ე) მე-5 სვეტში: „დაბეგვრის ობიექტის ფართობი საგადასახადო შეღავათის გათვალისწინებით” – მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათით შემცირებული კონკრეტული ობიექტის ფართობი.

ვ) მე-6 სვეტში: „ საგადასახადო შეღავათის საფუძველი” – მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტი.

ზ) მე-7 სვეტში: „გადასახადის განაკვეთი” – დასაბეგრი ობიექტის მდებარეობის გათვალისწინებით აისახება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე შემოღებული გადასახადის განაკვეთი.

თ) მე-8 სვეტში: „ქონების გადასახადი (ლარი)”– აისახება კონკრეტული დასაბეგრი ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადის ოდენობა. რაც ჯამში საგადასახადო წელს დარიცხულ ქონების გადასახადს განსაზღვრავს;

ი) უჯრაში: „წარმოდგენილია მიწის ხარისხის, შეღავათის დამადასტურებელი დოკუმენტი” – მიეთითება საგადასახადო შეღავათის, მიწის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების რეკვიზიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) დეკლარაციის „ IV ნაწილში“ მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ აისახება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით 1 აპრილის მდგომარეობით;

ლ) მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელის მოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

6. დეკლარაციის „V ნაწილი” ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ.

7. ადგილობრივი თვითმმართველი სუბიექტების ტერიტორიული ერთეულების მიხედვით გადასახადელი ქონების გადასახადის საგადასახადო ვალდებულებები აისახება დანართი NI-20[3]-ში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №437 – ვებგვერდი, 31.12.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 მაისის ბრძანება №117 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება №223 - ვებგვერდი, 11.07.2022წ.

მუხლი 89. ქონების მიმდინარე გადასახდელი

საწარმო/ორგანიზაცია მიმდინარე გადასახდელის შემცირების/არგადახდის თაობაზე, აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს №V-02 დანართის ფორმით.

დანართი: №V-02

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

_____

(საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება)

გადასახადის

გადამხდელი

წარედგინა

_____

საგადასახადო ორგანოს დასახელება

განცხადება

ვსარგებლობ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმით და გაცნობებთ, რომ ---------- წლისათვის მიმდინარე გადასახდელი შეადგენს --------- ლარს.

ვინაიდან:

□ შემცირდა დაბეგვრის ობიექტი

□ შემცირდა გადასახადის განაკვეთი

□ დასაბეგრ ქონებაზე ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი შეღავათი

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V“ ნიშნით)

შენიშვნა: საგადასახადო ორგანოს წარედგინება არა უგვიანეს საგადასახადო წლის 1 ივნისისა

გადასახადის გადამხდელის უფლებამოსილი წარმომადგენელი	
	ხელმოწერა

განცხადების წარდგენის თარიღი

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა განცხადების წარდგენის შესახებ

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

განცხადება წარდგენილია:	ფოსტით				პირადად			ელექტრონულად	

(შესაბამისი უჯრა მონიშნეთ „V” ნიშნით)

წარდგენის თარიღი												

რეგისტრაციის ნომერი												

საგადასახადო ორგანოს: _____

(დასახელება)

_____ _____ _____

(საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის სახელი, გვარი) (თანამდებობა) (ხელმოწერა)

თავი XXIV

ფიზიკური პირის ქონების გადასახადი

მუხლი 90. ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია

ფიზიკური პირი, რომელსაც წარმოეშვა ქონების გადასახადის დეკლარირების ვალდებულება, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს ქონების გადასახადის შესახებ დეკლარაციას № V-03 დანართის ფორმით:

დანართი: №V-03

ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია

ნაწილი I

გადამხდელის პირადი ნომერი

გვერდი			

დეკლარაციის ტიპი					საოჯახო				ინდივიდუალური

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V” ნიშნით)

დეკლარაციის სახე			პირველად		შესწორებულ		წელი				

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V” ნიშნით)

წარედგინა _____

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გადასახადის გადამხდელი _____

(დეკლარანტი) (ფიზიკური პირის სახელი, გვარი)

(მისამართი: ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, კორპუსი, ბინა,) (საკონტატო ტელეფონი)

მოცემული დეკლარაცია შედგენილია						ფურცელზე

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის გადამხდელი:	_____ (ხელმოწერა)									

(თარიღი)

ნაწილი II

გვერდი			

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა დეკლარაციის წარდგენის შესახებ
(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

დეკლარაცია წარდგენილია	ფოსტით		პირადად		ელექტრონულად	

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „ V” ნიშნით)

მოცემული დეკლარაცია შედგენილია					ფურცელზე	თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტები					ფურცელზე

წარდგენის თარიღი											

რეგისტრაციის ნომერი												

საგადასახადო ორგანოს: ----------

დასახელება

_____ _____ _____

(საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის სახელი, გვარი) (თანამდებობა) (ხელმოწერა)

გადამხდელის პირადი ნომერი

გვერდი			

ნაწილი III

1. მონაცემები გადასახადის გადამხდელის ოჯახის წევრების შესახებ

(ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი ავსებს საოჯახო დეკლარაციას)

№	ოჯახის წევრის, გვარი, სახელი	პირადი ნომერი	დაბადების წელი
1	2	3	4

2. ფიზიკური პირისა და მისი ოჯახის მიერ მიღებული შემოსავალი:

□ არ აღემატება 40 000 ლარს

□ შეადგენს 40 000-დან 100 000 ლარს

□ აღემატება 100 000 ლარს

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „ V” ნიშნით)
დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის
_____

გადამხდელის (ხელმოწერა) (თარიღი)

გადამხდელის პირადი ნომერი

გვერდი			

ნაწილი IV

მიწაზე ქონების გადასახადის გაანგარიშება

						ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ	
№	მიწის ტიპი (მიწის ნაკვეთის დანიშნულება და კატეგორია)	მდებარეობა	ფართობი (ჰა; კვ.მ)	შეღავათი	ფართობი, რომელზეც არ ვრცელდება შეღავათი	გადასახადის განაკვეთი (ლარი)	ქონების გადასახადი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8
							ჯამი
ჯამი							ჯამი

შენიშვნა:

დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ აისახება მიმდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით.
დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის
_____
გადამხდელის

(ხელმოწერა) (თარიღი)

გადამხდელის პირადი ნომერი

გვერდი
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 22 იანვრის ბრძანება №18 – ვებგვერდი, 25.01.2013წ.

ნაწილი V

							ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ	
№	ქონების ტიპი	მდებარეობა	დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება (ლარი)	შეღავათი	ღირებულება, რომელზეც არ ვრცელდება შეღავათი	საკუთრებაში (სარგებლობაში, ფაქტობრივ მფლობელობაში) არსებობის პერიოდი (თვე)	გადასახადის განაკვეთი (%)	ქონების გადასახადი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9
	სულ							

შენიშვნა:

მონაცემები დასაბეგრი ქონების, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების შესახებ, გარდა მიწისა, აისახება გასული საგადასახადო წლის მიხედვით.

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის

_____

გადამხდელის

გადამხდელის პირადი ნომერი

_____

(ხელმოწერა) (თარიღი)

_____

გვერდი

_____

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 22 იანვრის ბრძანება №18 – ვებგვერდი, 25.01.2013წ.

მუხლი 91. ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსება

1. დეკლარაციის „I ნაწილში“ აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტის, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

2. დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი. თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობა. ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელმოწერით დასტურდება გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

3. დეკლარაციის „II ნაწილი“ ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

4. დეკლარაციის „ III ნაწილის“:

ა) პირველ პუნქტში აისახება მონაცემები გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის ოჯახის წევრის (წევრების) შესახებ და ივსება იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი ავსებს საოჯახო დეკლარაციას;

ბ) მე-2 პუნქტში მიეთითება ფიზიკური პირისა და მისი ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების ჯამი. აღნიშნული მიზნით უჯრა, რომელიც შეესაბამება დეკლარანტის ოჯახის ჯამურ შემოსავლებს (არ აღემატება 40 000 ლარს; შეადგენს 40 000-დან 100 000 ლარს; აღემატება 100 000 ლარს) აღინიშნება „V” ნიშნით.

5. დეკლარაციის „IV ნაწილში“ განისაზღვრება მიწაზე ქონების წლიური გადასახადის ოდენობა. ამასთან, თუ დეკლარაცია საოჯახოა მასში აისახება ფიზიკური პირის ოჯახის წევრთა საკუთრებაში არსებული დასაბეგრი ქონებაც (მიწა), სხვა შემთხვევაში, მასში აისახება მხოლოდ გადასახადის გადამხდელი ფიზიკურის პირის ქონება (მიწა).

ა) მე-2 სვეტში: მიწის ტიპი –მიეთითება მიწის ნაკვეთის დანიშნულება (სასოფლო- სამეურნეო, არასასოფლო-სამეურნეო, ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისთვის გამოყოფილი მიწები, ტყის მიწები ან ტყის მიწები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო- სამეურნეო დანიშნულებით), კატეგორია (სახნავი (მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე), სათიბები (მათ შორის ბუნებრივი და გაკულტურებული), საძოვრები (მათ შორის ბუნებრივი და გაკულტურებული), საკარმიდამო, ტყის მიწები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით);

ბ) მე-3 სვეტში: „მდებარეობა“- მიეთითება იმ ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტის დასახელება, რომლის ტერიტორიაზე განთავსებულია კონკრეტული დასაბეგრი ობიექტი (მიწის ნაკვეთი);

გ) მე-4 სვეტში: „ფართობი“- აისახება მიწის ნაკვეთის ფართობი: სასოფლო–სამეურნეო მიწის შემთხვევაში – ჰა-ში, არასასოფლო–სამეურნეო მიწის შემთხვევაში – კვ.მ -ში;

დ) მე-5 სვეტში: „შეღავათი“ – მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტი.

ე) მე-6 სვეტში: „ფართობი, რომელზეც არ ვრცელდება შეღავათი“ მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათით შემცირებული კონკრეტული ობიექტის ფართობი.

ვ) მე-7 სვეტში: „გადასახადის განაკვეთი (ლარი)“ – ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და მიეთითება ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემოღებული ქონების გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთი.

ზ) მე-8 სვეტში: „ქონების გადასახადი“ – ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ, რომელიც ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს ცალკეული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით შემოღებული გადასახადის განაკვეთის შესაბამისად.

თ) დეკლარაციის „IV ნაწილში“ მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ აისახება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით 1 აპრილის მდგომარეობით.

6. თუ გადასახადის გადამხდელი მხოლოდ მიწაზე ქონების გადასახადის გადახდის მიზნით ავსებს ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციას, არ შეივსება დეკლარაციის V ნაწილი.

7. დეკლარაციის „V ნაწილში“ განისაზღვრება ქონების გადასახადი დასაბეგრ ქონებაზე (გარდა მიწისა), მათ

შორის, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე (გარდა მიწისა) და შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების ტერიტორიების მიხედვით მისი განაწილება.

ა) თუ დეკლარაცია საოჯახოა „V ნაწილში“ აისახება ფიზიკური პირის ოჯახის წევრთა საკუთრებაში არსებული, მათ შორის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული დასაბეგრი ქონებაც, სხვა შემთხვევაში მასში აისახება მხოლოდ გადასახადის გადამხდელი ფიზიკურის პირის ქონება.

ბ) მე-2 სვეტში: „ქონების ტიპი“ მიეთითება:

ბ.ა) ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მათ შორის დაუმთავრებელი მშენებლობა, შენობა-ნაგებობა ან მათი ნაწილი (საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, ავტოფარეხი), ან/და იახტები (კატარღები) შვეულმფრენები, თვითმფრინავები და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრულ ავტომობილები.

ბ.ბ) არარეზიდენტისგან ლიზინგით მიღებულ ქონება;

ბ.გ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

გ) მე-3 სვეტში: „მდებარეობა“ მიეთითება იმ ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტის დასახელება, რომლის ტერიტორიაზე განთავსებულია კონკრეტული დასაბეგრი ობიექტი; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრულ ავტომობილებთან მიმართებაში აღნიშნულ გრაფაში მიეთითება დეკლარაციის წარმომდგენი პირის მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვისას მითითებული მისამართის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტის დასახელება.

დ) მე-4 სვეტში: „დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება (ლარი)” აისახება:

დ.ა) ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სუბიექტის ტერიტორიაზე არსებული გადასახადის გადამხდელის საკუთრებაში არსებული ქონების ან/და ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების საბაზრო ღირებულება საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის;

დ.ბ) ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების შემთხვევაში (მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, საოფისე ინვენტარი და სხვა) მიეთითება აღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულება ჯამურად, საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის;

ე) მე-5 სვეტში: „შეღავათი“ – მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტი;

ვ) მე-6 სვეტში: „ქონების ღირებულება შეღავათის გათვალისწინებით“ – აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით შემცირებული ქონების ღირებულება;

ზ) მე-7 სვეტში: „საკუთრებაში (საარგებლობაში, ფაქტობრივ მფლობელობაში) არსებობის პერიოდი (თვე)“ – მიეთითება საგადასახადო წლის განმავლობაში, ფიზიკური პირის საკუთრებაში (სარგებლობაში, ფაქტობრივ მფლობელობაში) ან/და ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული დასაბეგრი ქონების ფიზიკური პირის საკუთრებაში (სარგებლობაში, ფაქტობრივ მფლობელობაში) არსებობის თვეების რაოდენობა;

თ) მე-8 სვეტში: „გადასახადის განაკვეთი %“ – ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და მიეთითება ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემოღებული ქონების გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთი;

ი) მე-9 სვეტში: „ქონების გადასახადი (ლარი)“ – ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ, რომელიც ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს ცალკეული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით შემოღებული გადასახადის განაკვეთის და ამ ტერიტორიაზე არსებული დასაბეგრი ობიექტის ღირებულების შესაბამისად;

კ) დეკლარაციის „V ნაწილში“ მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ აისახება წინა საგადასახადო წლის მიხედვით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 22 იანვრის ბრძანება №18 – ვებგვერდი, 25.01.2013წ
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №261 – ვებგვერდი,07.08.2017წ.

მუხლი 92. ფიზიკური პირის მიერ ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება

ფიზიკური პირი, რომელსაც საგადასახადო კოდექსის 205-ე მუხლის მე-13 ნაწილის „ ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ წარმოეშობა ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, მიმართავს საგადასახადო ორგანოს №V-04 დანართის ფორმით.

დანართი: №V-04

გადამხდელის პირადი ნომერი

გადასახდის გადამხდელი _____

(ფიზიკური პირის სახელი, გვარი)

_____ _____

(მისამართი: ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, კორპუსი, ბინა) (საკონტაქტო ტელეფონი)

წარედგინა _____
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

განცხადება

ვაცხადებ, რომ გასული საგადასახადო წლის მიხედვით ვიყავი ქონების გადასახადის დეკლარანტი, ხოლო მიმდინარე ———— წლისთვის ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულება არ წარმომეშობა, ვინაიდან:

ვსარგებლობ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმით;

არ გამაჩნია დასაბეგრი ქონება;

სხვა შემთხვევა _____
(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „ V” ნიშნით)

შესაბამისად, მიმდინარე წლისათვის ჩემს მიერ ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია წარმოდგენილი არ იქნება.

შენიშვნა: საგადასახადო ორგანოს წარედგინება არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 მაისისა.

გადასახადის
_____ ☐☐ ☐☐ ☐☐☐☐

გადამხდელის
(ხელმოწერა) (თარიღი)

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა განცხადების წარდგენის შესახებ
(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

განცხადება წარდგენილია:	ფოსტით				პირადად			ელექტრონულად	

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „ V” ნიშნით)

წარდგენის თარიღი											

რეგისტრაციის ნომერი												

საგადასახადო ორგანოს: ----------
დასახელება

_____ _____ _____

(საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის სახელი, გვარი) (თანამდებობა) (ხელმოწერა)

თავი XXIV[1]
საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ქონების ღირებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 18 მაისის ბრძანება №195 - ვებგვერდი, 18.05.2018წ.

მუხლი 92[1]. ამ თავის რეგულირების სფერო

1. წინამდებარე თავით რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 4[1] ნაწილის საფუძველზე საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ქონების ღირებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის წესი (ამ თავის მიზნებისათვის, შემდგომში – წესი).

2. ეს წესი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით.

3. ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო ორგანოს წარმოეშვა უფლებამოსილება გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო

ფასით, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, თუ:

ა) დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასების შედეგად გამოანგარიშებული დასაბეგრი ქონების ღირებულება აღემატება ამ ქონების საბაზრო ფასს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში საბაზრო ფასი არ გამოიყენება, თუ:

ა) დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი არაუმეტეს 10%-ით აღემატება მის საბალანსო ღირებულებას;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასების შედეგად გამოანგარიშებული დასაბეგრი ქონების ღირებულება არაუმეტეს 10%-ით აღემატება ამ ქონების საბაზრო ფასს.

მაგალითი 1

შემოწმებით დადგინდა, რომ გადასახადის გადამხდელს შესამოწმებელ პერიოდში ბალანსზე 100 000 ლარის საბალანსო ღირებულებით ერიცხება შენობა-ნაგებობა, რომელიც არ გადაფასებულა ბოლო 3 წლის განმავლობაში. პირს წარდგენილი აქვს შესაბამისი პერიოდის ქონების გადასახადის დეკლარაციები, რომელშიც ასახულია აღნიშნული ქონების შესახებ მონაცემები.

შეფასება:

ვინაიდან ქონება არ იყო გადაფასებული ბოლო 3 წლის განმავლობაში, საგადასახადო ორგანოს, ამ ინსტრუქციის 92^2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, უფლება აქვს საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის ქონების ღირებულება განსაზღვროს საბაზრო ფასით, რომელმაც შეადგინა 110 000 ლარი.

ამასთან, ვინაიდან უძრავი ქონების საბაზრო ფასი მის საბალანსო ღირებულებას 10%-ით არ აღემატება (110 000-100 000)/110 000*100=9%), საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრი ქონების მიმართ საბაზრო ფასის გამოყენება არ მოხდება.

5. ამ წესის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 4^1 ნაწილის საფუძველზე, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით მხოლოდ უძრავ ქონებასთან (გარდა მიწისა) მიმართებაში, გარდა ამ ინსტრუქციის 92^2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობების დაცვით, დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასსა და დადგენილი წესით განსაზღვრულ საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობაზე ქონების გადასახადის ძირითადი თანხის დარიცხვის შემთხვევაში:

ა) დარიცხული ქონების გადასახადის ძირითადი თანხა პირისათვის გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება;

ბ) პირს აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან;

გ) პირი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, წესი არ ვრცელდება:

ა) საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას გადაფასების მეთოდის გამოყენებით აღრიცხავს და აქვს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. ამასთანავე, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 4 წლის ვადით;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო საწარმოებზე;

გ) იმ შემთხვევაზე, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის შესაძლებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 4^1 ნაწილში მითითებული საფუძვლის გარეშე (მაგალითად: ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონების ღირებულება; ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის აღურიცხველობის გამოვლენა; გადამხდელთან არსებული სააღრიცხვო დოკუმენტაციით დაბეგვრის ობიექტის საბალანსო ღირებულების განსაზღვრის შეუძლებლობა და ა. შ.);

მაგალითი 2.

საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახადის გადამხდელთან გამოვლინდა დასაბეგრი ქონება (დანადგარი და შენობა-ნაგებობა), რომელიც დადგენილი წესით არ არის ბალანსზე აღრიცხული და შესაბამისად დეკლარაციაში ასახული.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს აღურიცხველი ქონება შეუფასოს საბაზრო ფასით ამ წესით დადგენილი შეზღუდვების გაუთვალისწინებლად. აღნიშნული არ ჩაითვლება სსკ-ის 202-ე მუხლის 4^1 ნაწილის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებად. ამ შემთხვევაში ქონების საბაზრო ღირებულება ჩაითვლება მის საბალანსო ღირებულებად, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა

დადგენილი წესით ბალანსზე აღრიცხვის შემთხვევაში.

შესაბამისად, შესამოწმებელ პერიოდში შესაბამისი სავადო თარიღების მიხედვით დასაბეგრი ქონების (მათ შორის, მოძრავი ქონების – დანადგარის) საბაზრო ღირებულებაზე პირს დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა, დაეკისრება ჯარიმა საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისთვის და საურავი გადასახადის გადახდის ვადის ამოწურვის დღის მომდევნო დღიდან.

მაგალითი 3.

გადასახადის გადამხდელს შესამოწმებელ პერიოდში ბალანსზე ერიცხება დაუმთავრებელი მშენებლობა 10 000 ლარის საბალანსო ღირებულებით. პირს წარდგენილი აქვს შესაბამისი პერიოდის ქონების გადასახადის დეკლარაციები, რომელშიც ასახულია აღნიშნული ქონების შესახებ მონაცემები.

საგადასახადო შემოწმებით დგინდება, რომ დაუმთავრებელ მშენებლობაზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯები მნიშვნელოვნად აღემატება მის საბალანსო ღირებულებაში ასახულ მონაცემებს. ამასთან, გადასახადის გადამხდელს არ გააჩნია ფაქტობრივად მის მიერ გაწეულ (სახეზე არსებულ) ხარჯებზე სათანადო შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ქონების (დაუმთავრებელი მშენებლობის) საბალანსო ღირებულების დადგენა.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შემთხვევა, როდესაც გადასახადის გადამხდელის ქონების საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას დაშვებულია დოკუმენტური შეუსაბამობა, რის შედეგადაც ქონების საბალანსო ღირებულება არასწორია.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ხარჯის გაწევის ფაქტი, თუმცა არ არსებობს ხარჯის გაწევის დამადასტურებელი შესაბამისი ბუღალტრული ჩანაწერები, საგადასახადო ორგანო ვერ შეძლებს გადამხდელს დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება განუსაზღვროს სააღრიცხვო ჩანაწერებით.

მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ქონების ღირებულება განსაზღვროს საბაზრო ფასით. ამასთან, აღნიშნული არ ჩაითვლება სსკ-ის 202-ე მუხლის 4^1 ნაწილის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებად.

შესაბამისად, შემოწმებით დადგენილ ქონების ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობაზე პირს დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა შესაბამისი სავადო თარიღების მიხედვით, დაეკისრება ჯარიმა საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისთვის და საურავი გადასახადის გადახდის ვადის ამოწურვის დღის მომდევნო დღიდან.

დ) მიწაზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 18 მაისის ბრძანება №195 - ვებგვერდი, 18.05.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №269 - ვებგვერდი, 15.10.2021წ.

მუხლი 92^2. შემთხვევები, როდესაც დასაბეგრი ქონების ღირებულება არ განისაზღვრება საბაზრო ფასით

საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება საგადასახადო ორგანოს მიერ არ განისაზღვრება საბაზრო ფასით შემდეგ შემთხვევებში:

ა) დაუმთავრებელ მშენებლობაზე;

ბ) ქონებაზე, რომელთან მიმართებაშიც გადასახადის გადამხდელი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, სარგებლობს ქონების გადასახადის ნაწილში საგადასახადო შეღავათით;

გ) დასაბეგრ ქონებაზე, რომელიც გადაფასებულია არანაკლებ 3-წლიანი პერიოდულობით და გადაფასება (საბაზრო შეფასება) სრულად მოიცავს შესამოწმებელ საგადასახადო პერიოდებს (წლებს);

დ) დასაბეგრ ქონებაზე, რომელიც გადასახადის გადამხდელის მიერ შეძენილია შესამოწმებელ პერიოდში;

ე) კაპიტალში შენატან დასაბეგრ ქონებაზე, რომელიც შეტანამდე გადაფასებული იქნა წინა მესაკუთრის (პარტნიორის) მიერ და ასეთი გადაფასებიდან ჯამურად არ არის გასული 3 წელი.

მაგალითი 1.
2018 წელს ჩატარდა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმება. შესამოწმებელი პერიოდი ქონების გადასახადის ნაწილში განისაზღვრა 2015, 2016, 2017 საგადასახადო წელი. შემოწმებით დადგინდა, რომ 2016 წელს პარტნიორის მიერ საწარმოს კაპიტალში შეტანილია შენობა-ნაგებობა შენატანის განხორციელების მომენტისათვის პარტნიორთან არსებული საბალანსო ღირებულებით. ამასთან, ქონების წინა მესაკუთრისგან გამოთხოვილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ქონების ბოლო გადაფასება განხორციელდა 2015 წელს (კაპიტალში შეტანამდე).
შეფასება: *მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ქონების ბოლო გადაფასებიდან ჯამურად არ არის გასული 3 წელი, საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრი ქონების მიმართ საბაზრო ფასის გამოყენების საკითხი არ დგება.*
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 18 მაისის ბრძანება №195 - ვებგვერდი, 18.05.2018წ.

კარი VI. მოსაკრებლები
თავი XXV. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი

მუხლი 93. აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის გაცემა

1. სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, წამახალისებელი გათამაშების მოწყობისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვას გასცემს შემოსავლების სამსახური.

2. აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვების გაცემა დასტურდება №VI-01, №VI-02, №VI-03, №VI-04, №VI-05, №VI-06, №VI-06[1], №VI-06[2] დანართების ფორმის შესაბამისი სანებართვო მოწმობის გაცემით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანებართვო მოწმობის ნუმერაცია განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების სანებართვო მოწმობა - 19-02/--

ბ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-03/---

გ) სამორინეს მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-04/---

დ) ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-05/---

ე) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-06/---

ვ) ლოტოს მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-07/---

ზ) ბინგოს მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-08/---

თ) აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-09/---

4. ინფორმაცია გაცემული ნებართვის შესახებ შეიტანება უწყებრივ სანებართვო რეესტრში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის ბრძანება №267 – ვებგვერდი, 24.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

დანართი: №VI-01

შემოსავლების სამსახური

სამორინეს მოწყობის სანებართვო მოწმობა

№ 00–0/0000

_____

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(ობიექტის მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოაწყოს სამორინე.

ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „ —” ——————— ჩათვლით.

ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის ——————————— 20 — წლის „ —” ——— ——————— № …… ბრძანების საფუძველზე.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.

შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ----------

(სახელი, გვარი)

ხელმოწერა ბ.ა.

დამკვეთი:

დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი: №VI-02

შემოსავლების სამსახური

ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოწმობა

N 00–0/0000

_____

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(ობიექტის მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოაწყოს ტოტალიზატორი.

ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „ —” ——————— ჩათვლით.

ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის ——————20 — წლის „ —” ——————— N…… ბრძანების საფუძველზე.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.

შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ----------

(სახელი, გვარი)

ხელმოწერა ბ.ა.

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის N

დანართი: №VI-03

შემოსავლების სამსახური

სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის

სანებართვო მოწმობა

№ 00–0/0000

_____

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(ობიექტის მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოაწყოს სათამაშო აპარატების სალონი.
ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „ —” ———————— ჩათვლით.

ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის ————20 — წლის „ ———” ————————
N….. ბრძანების საფუძველზე.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.

შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ----------
(სახელი, გვარი)

ხელმოწერა ბ.ა.
დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის N

დანართი: №VI-04

შემოსავლების სამსახური

ლოტოს მოწყობის სანებართვო მოწმობა

№ 00–0/0000

_____

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(ობიექტის მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოაწყოს ლოტო.

ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „ —” ———————— ჩათვლით.

ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის ————— 20 — წლის „ —” ————————
№…. ბრძანების საფუძველზე.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.

შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ----------
(სახელი, გვარი)

ხელმოწერა ბ.ა.
დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი: №VI-05

შემოსავლების სამსახური

ბინგოს მოწყობის სანებართვო მოწმობა

№ 00–0/0000

_____

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(ობიექტის მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოაწყოს ბინგო.

ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „ —” ———————— ჩათვლით.

ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის ——————- 20 — წლის „ —” ————————
N…. ბრძანების საფუძველზე.
ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.
შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ----------
(სახელი, გვარი)

ხელმოწერა ბ.ა.
დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი: №VI-06

შემოსავლების სამსახური

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის

სანებართვო მოწმობა

№ 00–0/0000

_____

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(ობიექტის მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოაწყოს წამახალისებელი გათამაშება.

ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „ —” ——————— ჩათვლით.
ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის ——————- 20 — წლის „ —” ——————
№.....ბრძანების საფუძველზე.
ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.
შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.

შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ----------
(სახელი, გვარი)

ხელმოწერა ბ.ა.
დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი №VI-06[1]

შემოსავლების სამსახური

აზარტული კლუბის მოწყობის

სანებართვო მოწმობა

№ 00–0/0000

_____

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(ობიექტის მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოაწყოს აზარტული კლუბი.
ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „ —” ———————— ჩათვლით.
ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის ———— 20 — წლის „ —” ———N…..
ბრძანების საფუძველზე.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.

შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ----------
(სახელი, გვარი)
ხელმოწერა ბ.ა.

[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის ბრძანება №267 – ვებგვერდი, 24.07.2012წ.]

დანართი №VI-06[2]
[საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.]

შემოსავლების სამსახური

აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების სანებართვო მოწმობა

№ 00–00/000

_____

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(იურიდიული მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით უზრუნველყოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება.

ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „——“ ———————— ჩათვლით.

ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის მიერ 20 — წლის „——“———— № —- ბრძანების საფუძველზე.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.

შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ----------
(სახელი, გვარი)
ხელმოწერა ბ.ა.

მუხლი 94. სანებართვო მოწმობის ფორმების დამზადება და შენახვა

მატერიალური ფორმის სანებართვო მოწმობის ფორმების დამზადების და მათი შენახვის ორგანიზებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.

მუხლი 95. სანებართვო მოწმობის გაცემა

1. სანებართვო მოწმობა გაიცემა შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. შემოსავლების სამსახურის მიერ სანებართვო მოწმობა შეიძლება გაიცეს მატერიალური ფორმით (გარდა აზარტული კლუბის მოწყობის და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების სანებართვო მოწმობისა) ან ელექტრონულად, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით.

3. ნებართვის მფლობელზე მატერიალური ფორმის სანებართვო მოწმობა გაიცემა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

4. ნებართვის მფლობელის წარმომადგენელზე მატერიალური ფორმის სანებართვო მოწმობა გაიცემა მინდობილობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის ბრძანება №267 – ვებგვერდი, 24.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 96. სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემა

1. მატერიალური ფორმის სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური გასცემს დუბლიკატს.

2. ნებართვის მფლობელმა სანებართვო მოწმობის დუბლიკატის მისაღებად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სანებართვო მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

3. გაცემულ დუბლიკატს დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი”.

4. ნებართის გამცემს დუბლიკატის გაცემის შესახებ ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.

მუხლი 97. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი მატერიალური ფორმის სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმები ჩამოიწერება ჩამოწერის აქტის (№VI-07 დანართი) მიხედვით.

3. გამოსაყენებლად უვარგისი მატერიალური ფორმის სანებართვო მოწმობის ფორმების უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.

დანართი: №VI-07

გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების
ჩამოწერის აქტი
№-------
„ ——” „ ————————” 200 წელი

№	საქმის დასახელება	რაოდენობა	ფორმის ექსკლუზიური ნომერი
1	2	3	4

ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი ფორმების ჩამოწერის სისწორეს.

სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი _____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ფორმების აღრიცხვა-ანგარიშგებაზე
პასუხისმგებელი პირი _____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

მუხლი 98. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნები

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშანში იგულისხმება თამაშობის მოწყობისას წამახალისებელი გათამაშების ეტაპის საპრიზო ფონდისათვის, სამორინის მაგიდისთვის, კლუბის მაგიდისთვის, სათამაშო აპარატისთვის, სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობისთვის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე ელექტრონულად გაცემული ნიშნები, რომლებიც ადასტურებს მოსაკრებლის გადახდას და თამაშობის ორგანიზატორის უფლებას თამაშობის მოწყობის ადგილებში სამორინის მაგიდების, კლუბის მაგიდების, სათამაშო აპარატების დადგმის, წამახალისებელი გათამაშების ეტაპის მოწყობის, ასევე სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის ან/და სალაროების მოწყობაზე;

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშანი უნდა შეიცავდეს:ა) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტების მიხედვით მინიჭებულ ნუმერაციის ველს (დიაპაზონს), რომლის ფარგლებშიც გაიცემა მოსაკრებლის გადახდის ნიშნები;

ბ) მოსაკრებლით დაბეგვრის პერიოდს (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა);

გ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში - ეტაპის ნომერს.

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშანში აღინიშნება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტის განმსაზღვრელი შესაბამისი ინდექსი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის ბრძანება №267 – ვებგვერდი, 24.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №316 - ვებგვერდი, 08.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

დანართი: №VI-08 (ამოღებულია)

მუხლი 99. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემა

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის შესაძენად, მოსაკრებლის გადამხდელი შემოსავლების სამსახურში ელექტრონული ფორმით წარადგენს განაცხადს მოსაკრებლის გადახდის ნიშნის გაცემის მოთხოვნით.

2. განაცხადში მიეთითება მოქმედი სამორინის მაგიდების, კლუბის მაგიდის, სათამაშო აპარატის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალაროს რაოდენობა ან სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოსაწყობი თამაშობა და წამახალისებელი გათამაშების ეტაპის საპრიზო ფონდი. განაცხადს უნდა დაერთოს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდა (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ხდება მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტის ფაქტობრივი განთავსების ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის მიხედვით.

3^{1}. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორის მიერ გადასახდელი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობაა წამახალისებელი გათამაშების ეტაპის საპრიზო ფონდის 10 პროცენტი, რომლის გადახდა ხდება ნებართვის მფლობელის იურიდიული მისამართის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის მიხედვით.“

4. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ნიშნის შეძენა მოსაკრებლის გადამხდელის მიერ ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) დაწყებამდე, წინა კვარტალის განმავლობაში.

4[1]. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი გადაიხადოს წამახალისებელი გათამაშების ეტაპის დაწყებამდე.

5. თუ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) საქმიანობას ანახლებს საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში ან საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში გადამხდელს ემატება დაბეგვრის ახალი ობიექტი, მაშინ მოსაკრებლის გადახდის ნიშანი გაიცემა მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე, ამასთან მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდზე გადაიხდება სრულად.

6. თუ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ნებართვას იღებს საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში, მაშინ მოსაკრებლის გადახდის ნიშანი გაიცემა მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე, ხოლო მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდზე გადაიხდება მოსაკრებლის გადახდის ნიშნის გაცემის მოთხოვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან დარჩენილი დღეების პროპორციულად.

7. თუ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში ახორციელებს ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილებას იმ ტერიტორიაზე, სადაც დადგენილია სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განსხვავებული (მეტი) განაკვეთი, ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილებიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხდება მოსაკრებლის განსხვავებული ოდენობა.

8. თუ აზარტული ან მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მოქმედების ვადა სრულდება საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში, მაშინ მოსაკრებლის გადახდის ნიშანი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) გაიცემა მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე, ხოლო მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდზე გადაიხდება ნებართვის მოქმედების ვადის დასრულებამდე დარჩენილი დღეების პროპორციულად.

9. მიმდინარე საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში, ამ ბრძანების 105[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის უფლებამონაცვლე პირი სარგებლობს მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე გაცემული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 16 მაისის ბრძანება №165 – ვებგვერდი, 18.05.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის ბრძანება №267 – ვებგვერდი, 24.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №316 - ვებგვერდი, 08.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 იანვრის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 31.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 100. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების აღრიცხვა

შემოსავლების სამსახურის მიერ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელზე გაცემული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების აღრიცხვა წარმოებს ელექტრონულად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.

დანართი: №VI-09

(ამოღებულია)
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.

დანართი: №VI-10

(ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.

მუხლი 101. ამოღებულია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.

მუხლი 102. ამოღებულია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.

მუხლი 103. მოსაკრებლის უმოქმედო ობიექტების დალუქვა

1. სარეზერვო სამორინეს მაგიდის, კლუბის მაგიდის და სათამაშო აპარატის დალუქვა ხდება იმ ფორმით, რომელიც გამორიცხავს ლუქის დაზიანების გარეშე მათი გამოყენების (ექსპლუატაციის) შესაძლებლობას.

2. მოსაკრებლით დაბეგვრის უმოქმედო ობიექტს (სამორინეს მაგიდას, კლუბის მაგიდასა და სათამაშო აპარატს) ლუქავს შემოსავლების სამსახური შესაბამისი აქტის საფუძველზე.

3. დალუქულ ობიექტებზე ლუქს ხსნის შემოსავლების სამსახური მოსაკრებლის გადამხდელის მოთხოვნით. ლუქის ახსნა ხდება შესაბამისი აქტის საფუძველზე.

4. სამორინეს მაგიდა, კლუბის მაგიდა და სათამაშო აპარატი, რომელიც ითვლება სარეზერვოდ და არ არის დალუქული, გატანილი უნდა იქნეს სათამაშო დარბაზიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ითვლება მოქმედად და მასზე გადახდილი უნდა იქნეს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არსებული წესის შესაბამისად.

5. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის გარეშე და დაზიანებული ლუქისა ან დაულუქავი დაბეგვრის ობიექტების არსებობის შემთხვევაში, მოსაკრებლის გადამხდელის მიმართ გამოიყენება საგადასახადო კოდექსის 276–ე მუხლით განსაზღვრული სანქცია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №115 – ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 30.01.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის ბრძანება №267 – ვებგვერდი, 24.07.2012წ.

მუხლი 104. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

მუხლი 105. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №316 - ვებგვერდი, 08.08.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.

105[1]. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელი პირის რეორგანიზაციისას აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ნებართვის გადაცემა

1. პირის რეორგანიზაციისას, რომელიც ფლობს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვას, აღნიშნული ნებართვა შესაძლებელია გადაეცეს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელი პირის უფლებამონაცვლეს, იმ შემთხვევაში თუ იგი აკმაყოფილებს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტით და სამორინეს მოწყობის ნებართვის შემთხვევაში მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის უფლებამონაცვლე ვალდებულია, უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილების განხორციელების მიზნით, რეორგანიზაციიდან 2 დღის ვადაში შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება, რითაც დასტურდება უფლებამონაცვლისთვის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის გადაცემა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის სანებართვო მოწმობაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილება.

4. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის უფლებამონაცვლე ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 15.06.2018წ.

თავი XXVI

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი

მუხლი 106. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშება

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადამხდელი მოსაკრებლის გაანგარიშებას შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგენს №VI-12 დანართის ფორმით.

დანართი №VI-12

(თან ერთვის თანდართული ფაილის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №209 - ვებგვერდი, 31.08.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 1 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 02.02.2021წ.

მუხლი 107. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების შევსება

1. გაანგარიშების პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია მოსაკრებლის გადამხდელის რეკვიზიტების, გაანგარიშების ტიპის (პირველადი/შესწორებული), საანგარიშო პერიოდის შესახებ, აგრეთვე, ეკონომიკური საქმიანობის („NACE“) კოდი „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ მიხედვით.

2. გაანგარიშების ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელისმოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

3. გაანგარიშების II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

4. გაანგარიშების III ნაწილის:

ა) პირველ სვეტში აისახება იმ ლიცენზიის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის მიხედვითაც ხორციელდება ანგარიშგება;

ბ) მე-2 სვეტში აისახება პირველ სვეტში მითითებული ლიცენზიით განსაზღვრული ბუნებრივი რესურსის სახეობა. თუ ლიცენზია მოიცავს რამდენიმე სახეობის რესურსს, მაშინ თითოეული სახეობა ცალ-ცალკე სტრიქონში აისახება;

გ) მე-3 სვეტში აისახება ზომის ერთეული (გრამი, კილოგრამი, ტონა, $მ^3$) ბუნებრივი რესურსების სახეობათა მიხედვით;

დ) მე-4 სვეტში აისახება გარემოდან ამოღებული (მოპოვებული/მოსაპოვებელი) ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ:

დ.ა) სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ წყალზე – წლის განმავლობაში გამოყენებული წყლის მოცულობა;

დ.ბ) ტყის ფონდის მერქნულ რესურსებზე – საანგარიშო თვის განმავლობაში ბუნებიდან ამოღებული რესურსების ოდენობა. ამასთან, თუ პირი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში სისტემატურად (ყოველდღიურად) ახორციელებს ტყის ფონდის მერქნული რესურსების გარემოდან ამოღებას, უფლებამოსილია წინასწარ წარადგინოს მოსაკრებლის გაანგარიშება თვის მოსალოდნელი მოსაპოვებელი რესურსების მოცულობების მიხედვით, რომელიც შემდგომში ექვემდებარება შესაბამისი სასაქონლო ზედნადებით განაშთვას;

დ.გ) მინერალურ წყლებსა და მიწისქვეშა მტკნარ ჩამოსასხმელ წყლებზე – კვარტლის განმავლობაში ლიცენზიის შესაბამისად დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მიხედვით, თანაბარ ნაწილებად, წლიური გეგმის ¼-ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება წლიური გეგმის ¼-ს, შეიტანება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობა;

დ.დ) ნახშირორჟანგზე (გაზი CO2) – თვის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული ყოველდღიური ლიმიტის შესაბამისად მოპოვებული რესურსის მოცულობა (ოდენობა);

დ.ე) იმ სასარგებლო წიაღისეულზე, რომლის მოპოვების (ან წიაღით სარგებლობის) ლიცენზიით პირდაპირ არის განსაზღვრული მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ჯამური, წლიური მაქსიმალური ან დღიური ოდენობა (გარდა მინერალური წყლებით, მიწისქვეშა მტკნარი ჩამოსასხმელი წყლებით და ნახშირორჟანგისა) – 6 თვის განმავლობაში ლიცენზიის შესაბამისად დამტკიცებული სასარგებლო წიღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული ყოველწლიური ასათვისებელი მოცულობა, თანაბარ ნაწილებად, წლიური გეგმის ½-ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება წლიური გეგმის ½-ს, შეიტანება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზია მოიცავს არასრულ წელს (დაიწყო, დასრულდა, გასხვისდა წლის შიგნით), გეგმური მოცულობა განისაზღვრება თვის ლიმიტის მიხედვით, ხოლო თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება თვიურ ლიმიტს, შეიტანება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა.

შენიშვნა:

1. თუ წლის შიგნით რომელიმე საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობა აღემატება ამავე პერიოდის გეგმიურ მოცულობას, გაანგარიშებაში ასახვას ექვემდებარება ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობა.

2. ლიცენზიის/მისი ნაწილის იჯარით გაცემისას, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენას და მოსაკრებლის თანხის გადახდას ახორციელებს ლიცენზიის მესაკუთრე.

3. თუ ლიცენზიის ვადის გასვლამდე ლიცენზიის მფლობელმა აითვისა ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი რესურსის ჯამური მოცულობა, იგი ვალდებულია განცხადებით მიმართოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

მაგალითი 1:

პირმა 2021 წლის მარტის თვეში მიიღო სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზია 2026 წლის მარტამდე მოქმედების ვადით. ლიცენზიაზე დამტკიცებული ათვისების გეგმის შესაბამისად,

მოსაპოვებელი წიაღისეულის 2021 წლის წლიური ოდენობა შეადგენს 15 000 მ , შემდეგ წლებში 20 000 მ -ს, ხოლო 2026 წელს (პირველ მარტამდე) - 2 000 $მ^3$ -ს.
მოცემულ შემთხვევაში:
2021 წლის წლიური გეგმა მოიცავს 10 თვეს - მარტიდან დეკემბრის თვის ჩათვლით პერიოდს. შესაბამისად, რადგან აღნიშნული პერიოდი აღემატება 6 თვეს, 15 ივლისის და მომდევნო წლის 15 იანვრის სავადო თარიღებისთვის წარდგენილი ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდების გაანგარიშებებში ასახულ უნდა იქნეს თვიური ლიმიტის შესაბამისად განსაზღვრული 2021 წლის გეგმით გათვალისწინებული ასათვისებელი რესურსის მოცულობა. მოცემული მაგალითის პირობებში, 2021 წლის I არასრული ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის (მარტი-ივნისი) გაანგარიშებაში (სვ.4) ასახვას ექვემდებარება 6 000$მ^3$ (15 000/10*4), ხოლო II ექვსთვიანი (ივლისი - დეკემბერი) საანგარიშო პერიოდის გაანგარიშებაში, რომელიც წარედგინება საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს მომდევნო წლის 15 იანვრისა - 9000 $მ^3$ (15 000/10*6).
2022-2025 წლებში (ემთხვევა კალენდარულ წელს), ყოველი წლის ექვსთვიან პერიოდებზე სავადო თარიღებისათვის (არაუგვიანეს 15 ივლისი და მომდევნო წლის 15 იანვარი) წარდგენილ გაანგარიშებაში, ასახულ უნდა იქნეს შესაბამისი წლის ათვისების გეგმით განსაზღვრული რესურსის მოცულობა თანაბარ ნაწილებად (წლიური გეგმის ½-ის ოდენობით), მოცემული მაგალითის პირობებში - 10 000 $მ^3$(20 000/2).
2026 წლის წლიური გეგმა მოიცავს 2 თვეს - იანვრიდან თებერვლის თვის ჩათვლით პერიოდს. შესაბამისად, რადგან აღნიშნული პერიოდი არ აღემატება 6 თვეს, წლიური გეგმით მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (2000 $მ^3$) სრულად ექვემდებარება ასახვას 2026 წლის 15 ივლისისათვის წარსადგენ გაანგარიშებაში.
მაგალითი 2:
პირმა 2021 წლის სექტემბრის თვეში მიიღო სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზია 2026 წლის სექტემბრამდე მოქმედების ვადით. ლიცენზიაზე დამტკიცებული ათვისების გეგმის შესაბამისად, მოსაპოვებელი წიაღისეულის 2021 წლის წლიური ოდენობა შეადგენს 4 000 $მ^3$-ს, შემდეგ წლებში 12 000 $მ^3$-ს, ხოლო 2026 წელს (პირველ სექტემბრამდე) - 8 000 $მ^3$ -ს.
მოცემულ შემთხვევაში:
2021 წლის წლიური გეგმა მოიცავს 4 თვეს - სექტემბრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით პერიოდს. შესაბამისად, რადგან აღნიშნული პერიოდი არ აღემატება 6 თვეს, წლიური გეგმით მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (4000 $მ^3$) სრულად ექვემდებარება ასახვას 2022 წლის 15 იანვრისათვის წარსადგენ გაანგარიშებაში.
2022-2025 წლებში, ყოველი წლის ექვსთვიან პერიოდებზე სავადო თარიღებისათვის (არაუგვიანეს 15 ივლისი და მომდევნო წლის 15 იანვარი) წარდგენილ გაანგარიშებაში, ასახულ უნდა იქნეს შესაბამისი წლის ათვისების გეგმით განსაზღვრული რესურსის მოცულობა თანაბარ ნაწილებად (წლიური გეგმის ½-ის ოდენობით), მოცემული მაგალითის პირობებში - 6 000 $მ^3$(12 000 $მ^3$/2).
ლიცენზიის დასრულების წელს (2026 წელს) - ვინაიდან წელი არის არასრული (მოიცავს 8 თვეს), 15 ივლისის და მომდევნო წლის 15 იანვრის სავადო თარიღებისთვის წარდგენილ ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდების გაანგარიშებებში ასახულ უნდა იქნეს თვიური ლიმიტის შესაბამისად განსაზღვრული 2026 წლის გეგმით გათვალისწინებული ასათვისებელი რესურსის მოცულობა. მოცემული მაგალითის პირობებში, 2026 წლის I ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის გაანგარიშებაში (სვ.4) ასახვას ექვემდებარება 6 000 $მ^3$ (8 000 $მ^3$/8*6), ხოლო II ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის გაანგარიშებაში 2 000 $მ^3$ (8 000 $მ^3$/8*2) .
დ.ვ) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების შემთხვევაში, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის სტადიაზე მოპოვებული სასარგებლო წიღისეულისათვის ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით;
დ.ზ) შავ ზღვაში თევზჭერაზე – თევზჭერის ყოველწლიური კვოტიდან თევზჭერის ლიცენზიით განსაზღვრული პროცენტის შესაბამისად მოსაპოვებელი თევზის რესურსის სრული ოდენობა;
დ.თ) სხვა ბუნებრივ რესურსებზე – თვის განმავლობაში ფაქტობრივად მოპოვებული ბუნებრივი რესურსის მოცულობა (ოდენობა);
დ.ი) ლიცენზიის გარეშე მოსაპოვებელ სასარგებლო წიაღისეულზე - კვარტლის განმავლობაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობის პროპორციულად. ამასთანავე, თუ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა ან თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრულს, მოსაკრებელი გადაიხდება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით;
ე) მე-5 სვეტში აისახება ბუნებრივი რესურსის ის მოცულობა (რაოდენობა), რომელიც არ ექვემდებარება მოსაკრებლის გადახდას. ასევე, წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარდგენილი გაანგარიშების ამ სვეტში ასასახი მონაცემები შეიძლება წარმოიქმნას იმ შემთხვევაში, როცა გაანგარიშების მე-4 სვეტში ასახული ბუნებრივი რესურსის ჯამური მოცულობა აღემატება სასარგებლო წიღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ ყოველწლიურად ასათვისებელ მოცულობას, იმ პირობებში, როცა ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიღისეულის ოდენობა არ აღემატება სასარგებლო წიღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ ყოველწლიურად ასათვისებელ მოცულობას.

მაგალითი 3:
პირი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზიას, რომელზეც დამტკიცებული ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა შეადგენს 20 000 $м^3$. 2019 წლის I ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში გადამხდელს რესურსი არ მოუპოვებია, ხოლო II ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებულია 14 000 $м^3$ მოცულობის ბუნებრივი რესურსი.
მოცემულ შემთხვევაში:
პირის მიერ საგადასახადო ვალდებულება მოსაკრებლის ნაწილში უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:
2019 წლის 15 ივლისის სავადო თარიღისთვის წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს 2019 წელს ლიცენზიით განსაზღვრული ასათვისებელი რესურსის წლიური ოდენობის ნახევარი 10 000 $м^3$.
2020 წლის 15 იანვრის სავადო თარიღში წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის რაოდენობა 14 000 $м^3$. იმის გათვალისწინებით, რომ წლის მანძილზე ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობა (14 000 $м^3$) ნაკლებია ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ 2019 წლის ასათვისებელ წლიურ მოცულობაზე (20 000 $м^3$) მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება 20 000 $м^3$ ოდენობის ბუნებრივ რესურსზე. შესაბამისად, ვინაიდან გაანგარიშების მე-4 სვეტში ჯამურად ასახული რესურსის რაოდენობა შეადგენს 24 000 $м^3$-ს (10 000 $м^3$ +14 000 $м^3$), გაანგარიშების მე-5 სვეტში ასახვას ექვემდებარება 4 000 $м^3$ ((10 000 $м^3$+14 000$м^3$)-20 000 $м^3$) რესურსის მოცულობა.
მაგალითი 4:
პირი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზიას, რომელზეც დამტკიცებული ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა შეადგენს 20 000 $м^3$. 2019 წლის I ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში გადამხდელმა მოიპოვა 18 000 $м^3$ მოცულობის ბუნებრივი რესურსი, ხოლო II ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებულია 8 000 $м^3$ მოცულობის ბუნებრივი რესურსი.
მოცემულ შემთხვევაში:
პირის მიერ საგადასახადო ვალდებულება მოსაკრებლის ნაწილში უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:
2019 წლის 15 ივლისის სავადო თარიღისთვის წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის რაოდენობა 18 000 $м^3$.
2020 წლის 15 იანვრის სავადო თარიღში წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს 2019 წელს ლიცენზიით განსაზღვრული ასათვისებელი რესურსის წლიური ოდენობის ნახევარი 10 000 $м^3$. იმის გათვალისწინებით, რომ წლის მანძილზე ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობა (26 000 $м^3$) აღემატება ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ 2019 წლის ასათვისებელ წლიურ მოცულობას (20 000 $м^3$) მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება ფაქტობრივად მოპოვებული 26 000 $м^3$ ოდენობის ბუნებრივ რესურსზე. შესაბამისად, ვინაიდან გაანგარიშების მე-4 სვეტში ჯამურად ასახული რესურსის რაოდენობა შეადგენს 28 000 $м^3$-ს (18 000 $м^3$ +10 000 $м^3$), გაანგარიშების მე-5 სვეტში ასახვას ექვემდებარება 2 000 $м^3$ ((18 000 $м^3$+10 000$м^3$)-26 000 $м^3$) რესურსის მოცულობა.
მაგალითი 5:
პირი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზიას, რომელზეც დამტკიცებული ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა შეადგენს 20 000 $м^3$. 2019 წლის I ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში გადამხდელმა მოიპოვა 16 000 $м^3$ მოცულობის ბუნებრივი რესურსი, ხოლო II ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებულია 4 000 $м^3$ მოცულობის ბუნებრივი რესურსი.
მოცემულ შემთხვევაში:
პირის მიერ საგადასახადო ვალდებულება მოსაკრებლის ნაწილში უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:
2019 წლის 15 ივლისის სავადო თარიღისთვის წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის რაოდენობა 16 000 $м^3$.
2020 წლის 15 იანვრის სავადო თარიღში წარმოდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს 2019 წელს ლიცენზიით განსაზღვრული ასათვისებელი რესურსის წლიური ოდენობის ნახევარი 10 000 $м^3$. იმის გათვალისწინებით, რომ წლის მანძილზე ფაქტობრივად მოპოვებულია ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა (20 000 $м^3$) მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება რესურსის ამ მოცულობაზე (20 000 $м^3$). შესაბამისად, ვინაიდან გაანგარიშების მე-4 სვეტში ჯამურად ასახული რესურსის რაოდენობა შეადგენს 26 000 $м^3$-ს (16 000 $м^3$ +10 000 $м^3$), გაანგარიშების მე-5 სვეტში ასახვას ექვემდებარება 6 000 $м^3$ ((16 000 $м^3$+10 000$м^3$)-20 000 $м^3$) რესურსის მოცულობა.
3) მე-6 სვეტში აისახება მოსაკრებლის გადახდას დაქვემდებარებული ბუნებრივი რესურსის მოცულობა

(რაოდენობა) (სტ.4 – სტ.5).
ზ) მე-7 სვეტში აისახება მოსაკრებლის ის განაკვეთი, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრულია პირველ სვეტში მოცემული მოსაკრებლის გადახდას დაქვემდებარებული თითოეული სახეობის რესურსისათვის.
თ) მე-8 სვეტში აისახება მე-6 და მე-7 სვეტებში მოცემული სიდიდეების ნამრავლი.
5. იმ შემთხვევაში, როცა მოსაკრებლის გადამხდელი ანგარიშგებას ახორციელებს ლიცენზიის მიღების თარიღის გათვალისწინებით და, შესაბამისად, ექვსთვიანი პერიოდი არ ემთხვევა კალენდარული წლის ექვსთვიან პერიოდს, ამ წესით განხორციელებული ანგარიშგება მოიცავს 2021 წლის I ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის ნაწილს, პირს უფლება აქვს ამავე გაანგარიშებით შეიმციროს თვიური ლიმიტის შესაბამისად განსაზღვრული 2021 წლის გეგმით გათვალისწინებული ასათვისებელი რესურსის მოცულობა. ამასთან, 2021 წლის ექვსთვიანი და ყოველი შემდგომი პერიოდის გაანგარიშება წარდგენილ უნდა იქნეს 15 ივლისის და 15 იანვრის სავადო თარიღების მიხედვით.

მაგალითი 6:

პირი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზიას, რომელზეც დამტკიცებული ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2021 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა შეადგენს 12 000 $м^3$. პირის მიერ გაანგარიშების წარდგენა ხორციელდება ლიცენზიის გაცემის თარიღის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს 2020 წლის სექტემბრიდან - 2021 წლის თებერვლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდს.
მოცემულ შემთხვევაში:
პირის მიერ წარსადგენი გაანგარიშების მოპოვებული/მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სტ. 4) უნდა აისახოს სექტემბრიდან - თებერვლის ჩათვლით პერიოდში მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა, ხოლო ამავე გაანგარიშების მე-5 სვეტში უნდა ასახოს 2021 წლის იანვრიდან - თებერვლის ჩათვლით პერიოდში თვიური ლიმიტის შესაბამისად განსაზღვრული 2021 წლის გეგმით გათვალისწინებული ასათვისებელი რესურსის მოცულობა 2 000 $м^3$(12 000 $м^3$/12*2).
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 1 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 02.02.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №233 - ვებგვერდი, 15.09.2021წ.

კარი VII
ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №435 – ვებგვერდი, 12.08.2011 წ.

მუხლი 108. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი

1. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი შესაძლებელია იყოს ფიზიკური პირი, თუ:
ა) იგი ახორციელებს „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „სეკ 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 22 დეკემბრის №1-1-/282 ბრძანებით დამტკიცებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის (შემდგომში – კლასიფიკატორი) 55.2 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ, მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას;
ბ) მას იჯარით აქვს გაცემული მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილი და მოიჯარე ახორციელებს კლასიფიკატორის 55.2 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ, მეიჯარის კუთვნილი საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას.
2. ფიზიკური პირი ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასასვლელად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
ა) ნებაყოფლობით არ უნდა იყოს რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად;
ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის ნაწილში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.
3. საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემის მომსახურება შეიძლება მოიცავდეს მომსახურების იმ სახეებს, რომლებიც ცალკე არ ანაზღაურდება და შედის საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემის მომსახურების ღირებულებაში.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №435 – ვებგვერდი, 12.08.2011 წ.

მუხლი 109. ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის პირობები

1. გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირის ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლა ხორციელდება ამ პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის განცხადებით (დანართი №VII-01) მიმართვის საფუძველზე.
2. ფიზიკური პირი, რომელიც არ იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანისა და ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით შესაბამისი განცხადებებით (დანართი №I-01 და დანართი №VII-01) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

3. თუ ფიზიკური პირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165[1] მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების პირობებს, მას შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით. აღნიშნულ შემთხვევაში, მიუხედავად ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლისა, პირი ვალდებულია შეასრულოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

4. საგადასახადო ორგანო ფიზიკური პირის მიერ წარდგენილ განცხადებას განიხილავს 3 სამუშაო დღის ვადაში და ამავე ვადაში აცნობებს გადასახადის გადამხდელს განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო გასცემს დანართი №VII-02-ით დადგენილი ფორმის შესაბამის სერტიფიკატს.

5. ფიზიკურ პირს ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლაზე უარი ეთქმება, თუ:

ა) არ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის 108-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) განცხადება არასრულყოფილად არის შევსებული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №435 – ვებგვერდი, 12.08.2011 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №228 - ვებგვერდი, 10.09.2021წ.

მუხლი 110. დაბეგვრისა და საგადასახადო ანგარიშგების წესი

1. ფიზიკური პირისათვის ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტად განიხილება მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილის ფართობი.

2. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება დაბეგვრის ობიექტის (ოთახის) მიხედვით და შეადგენს კალენდარულ თვეში 10 ლარს 1 კვადრატულ მეტრზე. დაბეგვრის ობიექტის ადგილმდებარეობის ან/და სეზონურობის გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეამციროს ან/და გაზარდოს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი.

3. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდი, გადასახადის გადამხდელის სურვილისამებრ, შეიძლება მოიცავდეს როგორც სრულ კალენდარულ წელს, ასევე ერთ ან მეტ კალენდარულ თვეს, რომელიც შესაძლოა არ იყოს უწყვეტი.

4. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი გაიანგარიშება საკუთრებაში არსებული მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილის ფართობის (კვ.მ) მიხედვით, რომელიც კალენდარული თვეების შესაბამისად, შესაძლებელია, იყოს განსხვავებული.

5. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი გაიანგარიშება თითოეულ თვეზე დაბეგვრის ობიექტის მიხედვით და გადასახადის გადახდა ხორციელდება განცხადებით მიმართვის დღისათვის მოქმედი განაკვეთის შესაბამისად:

ა) 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლის პერიოდზე – არაუგვიანეს 15 აპრილისა;

ბ) 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდზე – არაუგვიანეს 15 ივლისისა;

გ) 1 ივლისიდან 30 დეკემბრის ჩათვლის პერიოდზე – არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა;

დ) 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლის პერიოდზე – არაუგვიანეს 15 იანვრისა.

6. საგადასახადო ორგანოს მიერ ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში, ფიზიკური პირის ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის თაობაზე განცხადება წარმოადგენს გაანგარიშებას და მასში მითითებული დაბეგვრის პერიოდისათვის ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის თანხის დარიცხვის საფუძველს. დარიცხული თანხების შესახებ გადასახადის გადამხდელს ეგზავნება შეტყობინება არა უგვიანეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდის ბოლო დღისა.

7. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საანგარიშო თვის დადგომამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს ცვლილების მოთხოვნით, რის შემდეგაც დარიცხვა უნდა განხორციელდეს შემდგომ წარდგენილ განცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსათვის დაბრუნებას.

8. დარიცხული ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი შესაბამისი საანგარიშო თვის დადგომის შემდეგ გადაანგარიშებას არ ექვემდებარება.

9. იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი ახდენს განცხადებაში დაფიქსირებულ ფართზე მეტი ფართის გაცემას, იგი ვალდებულია წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს შემოსავლის ამ ნაწილზე საშემოსავლო გადასახადის საერთო წესით დაბეგვრის თაობაზე.

10. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი ნებისმიერი სხვა საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებზე დაიბეგრება საერთო წესით.

11. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდში:

ა) ფიქსირებული საშემოსავლო გადასახდის გადამხდელი ფიზიკური პირი აღნიშნული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენს საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციას;

ბ) ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემასთან დაკავშირებით დაქირავებული პირი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, ხოლო საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გამცემი პირი – საგადასახადო აგენტის ვალდებულებისაგან;

გ) ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის ნაწილში, საშემოსავლო გადასახადზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ გაითვალისწინება;

დ) ფიზიკური პირი ამ საქმიანობის ნაწილში თავისუფლდება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან;

ე) ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად არ განიხილება.

12. თუ ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდში ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გაცემულია იჯარით და მოიჯარე ახორციელებს ამ ქონების იმავე სახის საქმიანობაში გამოყენებას:

ა) მოიჯარე საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემით მიღებული შემოსავლის მიხედვით გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადებისაგან;

ბ) მოიჯარის მიერ საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემასთან დაკავშირებით დაქირავებული პირი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, შესაბამისად, მოიჯარე – საგადასახადო აგენტის ვალდებულებისაგან;

გ) მოიჯარე საქმიანობის ამ ნაწილში თავისუფლდება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №435 – ვებგვერდი, 12.08.2011 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.

მუხლი 111. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლი

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის მიმართ განახორციელოს მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებები.

მაგალითი 1:

გიორგი აპირებს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გაცემას ქ. ბათუმსა და ბორჯომში. ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით მას შეუძლია განცხადებით (დანართი №VII-01) მიმართოს საგადასახადო ორგანოს და განცხადებაში მიუთითოს ორივე მისამართი.

მაგალითი 2:

გიორგი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე საქართველოს მოქალაქე, ახორციელებს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას. მან 2011 წლის 10 აგვისტოს მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით. განცხადებაში მიუთითა, რომ სურს 100 კვ.მ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის ფართობის მოკლე ვადით გაცემა 2011 წლის ივლისის, აგვისტოს და ოქტომბრის თვეებში.

საგადასახადო ორგანომ 3 დღის ვადაში განიხილა და დააკმაყოფილა განცხადება, რის შედეგადაც გაიცა ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის სერტიფიკატი.

გიორგიმ ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი უნდა გადაიხადოს 100 კვ.მ ფართობის მიხედვით არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა (100 კვ.მ X 10 ლარი X 2 თვე (ივლისი, აგვისტო) = 2000 ლარი) და არა უგვიანეს 15 იანვრისა (100 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე (ოქტომბერი) = 1000 ლარი).

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე, მასზე ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის ნაწილში, საშემოსავლო გადასახადზე საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათი არ გაითვალისწინება.

მაგალითი 3:

გიორგი ახორციელებს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას. ამასთან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით დაქირავებულ პირს – დავითს, რომელიც არ იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე, უნაზღაურებს ხელფასს თვეში 200 ლარს.

გიორგის აღნიშნულ განაცემზე საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ წარმოეშვება. ამასთან, დავითის მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

მაგალითი 4:

პირობები იგივეა, რაც მე-2 მაგალითში.

გიორგიმ 2011 წლის 15 აგვისტოს განმეორებით მიმართა საგადასახადო ორგანოს განცხადებით იმის თაობაზე, რომ მას სურს სექტემბრის თვეში 150 კვ.მ ფართობის, ხოლო ოქტომბრის თვეში 50 კვ.მ ფართობის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემა.

აღნიშნულ შემთხვევაში, გიორგიზე საგადასახადო ორგანოს მიერ ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადახდის პერიოდზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი ცვლილების გათვალისწინებით.

ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეზე გიორგის გაეგზავნება შეტყობინება დარიცხული გადასახადის შესახებ 30 სექტემბრის მდგომარეობით.

ივლისი – 100 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე = 1000 ლარი

აგვისტო – 100 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე = 1000 ლარი

სექტემბერი – 150 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე = 1500 ლარი.

გიორგიმ აღნიშნულ თვეებზე ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი (3500 ლარი) უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

ოქტომბრის თვეზე გიორგის გაეგზავნება შეტყობინება დარიცხული გადასახადის შესახებ 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ოქტომბერი – 50 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე = 500 ლარი.

გიორგიმ ოქტომბრის თვეზე ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი (500 ლარი) უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს 2012 წლის 15 იანვრისა.

მაგალითი: 5

გიორგის საკუთრებაში გააჩნია საცხოვრებელი სახლი. მან გადწყვიტა 5 ოთახის მოკლე ვადით გაცემა, რომლის საერთო ფართია 100 კვ.მ., მათ შორის საცხოვრებლად გამოსაყენებელი ფართი შეადგენს 80 კვ. მ., ხოლო დანარჩენ ფართს იკავებს დამხმარე ფართი და სველი წერტილები. გიორგიმ 2011 წლის 31 ივლისს განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით. მან განცხადებაში უნდა მიუთითოს მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ოთახების ფართობი – 80 კვ.მ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №435 – ვებგვერდი, 12.08.2011 წ
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №199 – ვებგვერდი, 02.07.2014წ.

დანართი №VII-01

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის თაობაზე

გაცნობებთ, რომ ვეწევი კლასიფიკატორის 55.2 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობას

(საქმიანობის სახე)

☐ ნებაყოფლობით არ ვარ რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად

☐ საქმიანობის ამ ნაწილში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში ჩემს მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს

(უჯრა აღნიშნეთ „X“ ნიშნით)

ჩემს საკუთრებაში არსებული მოკლე ვადით გაცემისათვის	მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი	აღნიშნული ფართობის მოკლე ვადით გაცემა	ოთახების რაოდენობა

განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილის მისამართი	საცხოვრებელი ადგილის ფართობი (კვ.მ.)	განხორციელდება შემდეგ თვეში (თვეებში)	

შენიშვნა: ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდი, გადამხდელის სურვილისამებრ, შეიძლება მოიცავდეს როგორც სრულ კალენდარულ წელს, ასევე ერთ ან მეტ კალენდარულ თვეს, რომელიც შესაძლოა არ იყოს უწყვეტი

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

(თარიღი)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №435 – ვებგვერდი, 12.08.2011 წ.

დანართი №VII-02

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №

სერტიფიკატით დასტურდება, რომ

ფიზიკური პირი ——————————————————

(სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით იბეგრება

საკუთრებაში არსებული მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილი შემდეგ მისამართზე (მისამართებზე)	მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი ფართობი (კვ.მ.)	შემდეგ თვეში (თვეებში)

შენიშვნა: ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდი, გადამხდელის სურვილისამებრ, შეიძლება მოიცავდეს როგორც სრულ კალენდარულ წელს, ასევე ერთ ან მეტ კალენდარულ თვეს, რომელიც შესაძლოა არ იყოს უწყვეტი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / /

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №435 – ვებგვერდი, 12.08.2011 წ.

კარი VII[1]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 აპრილის ბრძანება №126 – ვებგვერდი, 01.05.2015წ.

მუხლი 111[1]. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 68-ე – 72-ე ნაწილებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის წესი

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 68-ე-72-ე ნაწილებით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის მიზნით:

ა) უეფას მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარედგინება:
ა.ა) განცხადება, №I-02 დანართის შესაბამისად;
ა.ბ) ქართულ ენაზე შესრულებული ან თარგმნილი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

ბ) უეფას ფილიალის მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შემთხვევაში, უეფას ან/და მისი ფილიალის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გ) დანიშნული პირის მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შემთხვევაში, უეფას ან/და მისი ფილიალის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება დანიშნული პირების შესახებ ინფორმაცია. ამასთან:

გ.ა) თუ დანიშნული პირი არის ფიზიკური პირი, წარმოდგენილ ინფორმაციას თან უნდა დაერთოს:

გ.ა.ა) განცხადება, №I-01 დანართის შესაბამისად;

გ.ა.ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი

გ.ბ) თუ დანიშნული პირი არის იურიდიული პირი, ინფორმაციას თან უნდა დაერთოს:

გ.ბ.ა) განცხადება, №I-02 დანართის შესაბამისად;

გ.ბ.ბ) ლეგალიზებული/აპოსტილით დამოწმებული, ქართულ ენაზე თარგმნილი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ.ბ.გ) მონაცემები მისამართისა და ხელმძღვანელის შესახებ;

გ.ბ.დ) ქართულ ენაზე შესრულებული ან თარგმნილი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ – ,,გ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დანიშნული პირი უკვე რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად.

3. შემოსავლების სამსახური უეფასთვის ან/და დანიშნული პირისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას და უეფას ღონისძიებების ფარგლებში შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) შესაბამისი მონაცემების შეტანას უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებიდან 10 დღეში. უეფას ფილიალის ან/და საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი დანიშნული პირის შესახებ შესაბამისი მონაცემები რეესტრში შეიტანება მომართვიდან 10 დღეში.

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 68-ე-71-ე ნაწილებით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა ხორციელდება საერთო წესით.

5. დანიშნულ პირთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში უეფა ან მისი ფილიალი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტამდე აცნობოს შემოსავლების სამსახურს.

6. უეფას, მისი ფილიალის ან/და დანიშნული პირისათვის საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის (დღგ-ისგან გათავისუფლების) მიზნით სავალდებულოა საფ-ის გამოწერა,

რომელშიც დღგ-ის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონზე მიეთითება „0“ (ნული).

7. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლში აღნიშნული პროცედურების მიუხედავად, უეფას, მისი ფილიალის ან/და დანიშნული პირის მიერ შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე მომწოდებლისათვის გადახდილ იქნა დღგ (18%), მათ უფლება აქვთ დაიბრუნონ დღგ-ის თანხა.

8. შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ განცხადება უეფას ღონისძიებების ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი დღგ-ის თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს წარედგინება არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების (საქონლის/მომსახურების მიწოდების) თვის მომდევნო 3 თვისა. განცხადებას თან უნდა დაერთოს შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გამოწერილი საფ-ების პირველი ეგზემპლარები.

9. უეფას ღონისძიებების ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება განაცხადი გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების შესახებ №VII[1]-01 დანართის შესაბამისად.

10. საგადასახადო ორგანო განიხილავს შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ წარდგენილ განაცხადს დღგ-ის თანხის დაბრუნების თაობაზე და:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით;

ბ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 3 დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებს განმცხადებელს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

11. ხარვეზის დადგენისას ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადის დენა შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე ან შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ვადაში, საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განაცხადი შესაძლებელია წარდგენილი იქნეს განმეორებით.

13. განაცხადის მიხედვით დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება განმცხადებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 აპრილის ბრძანება №126 – ვებგვერდი, 01.05.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის ბრძანება №191 – ვებგვერდი, 25.06.2015წ.

დანართი №VII[1]-01

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)
_____
საიდენტიფიკაციო ნომერი

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 72-ე ნაწილის საფუძველზე გთხოვთ, დამიბრუნოთ 2015 წლის სუპერთასის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხა შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

_____

(ბანკის დასახელება და რეკვიზიტები)

_____

(ანგარიშის ნომერი)

დანართი:

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების	———	რაოდენობა
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები	———	გვერდზე

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

(თარიღი)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 აპრილის ბრძანება №126 – ვებგვერდი, 01.05.2015წ.

კარი VII[2]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №473- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

მუხლი 111[2]. საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრის წარმოების და საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ პირებზე გამქირავებელი პირების მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესი

1. საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს იბეგრება 5 პროცენტით.

2. ფიზიკური პირი, რომელიც საცხოვრებელ ფართობს აქირავებს საცხოვრებელი მიზნით და არ ახორციელებს ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს, აღნიშნულის თაობაზე შემოსავლების სამსახურს წარუდგენს განცხადებას დანართი №VII[2]-01 შესაბამისად, ხოლო იურიდიულ პირზე ან/და ორგანიზაციაზე გაქირავების შემთხვევაში – განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ქირავნობის ხელშეკრულების ასლი ან/და სხვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით გაქირავება;

ბ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება გამქირავებლის საკუთრების/ სარგებლობის უფლება ქირავნობის საგანზე

3. შემოსავლების სამსახური განცხადების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს და უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირის შესახებ მონაცემების საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) შეტანას, რის თაობაზეც აცნობებს განმცხადებელს და გასცემს რეესტრში შეტანის დამადასტურებელ დოკუმენტს.

3[1]. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია არასრულად არის წარმოდგენილი, შემოსავლების სამსახური ფიზიკურ პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს. ამ შემთხვევაში ჩერდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვადის დინება, რომელიც განახლდება ფიზიკური პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მომდევნო სამუშაო დღიდან. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი, შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

4. განცხადებაში აღნიშნული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში გამქირავებელი ვალდებულია შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ახალი განცხადება, რომელიც შევსებულ უნდა იქნეს სრულად.

5. საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელი პირის მონაცემები რეესტრიდან შესაძლებელია ამოღებულ იქნეს

http://www.matsne.gov.ge

როგორც პირის მიმართვის (დანართი №VII -01) შემთხვევაში, ასევე საგადასახადო ორგანოს გადაწყეტილებით იმ შემთხვევაში თუ პირი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობას.

6. რეესტრში მიეთითება მონაცემები, საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელი ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი „საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში მონაცემების შეტანის/ამოღების თაობაზე“ განცხადების შესაბამისად.

7. ფიზიკური პირის მიერ რეესტრში ასახვის მიზნით წარდგენილი განცხადება არ წარმოადგენს ამ პირის გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის (რეგისტრაციის) საფუძველს.

8. საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით იურიდიულ პირზე გაქირავებით მიღებულ შემოსავალზე, რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, საგადასახადო აგენტის მიერ გადახდის წყაროსთან 5-პროცენტიანი განაკვეთით დაბეგვრა არ გავრცელდება, თუ გამქირავებელი პირის მონაცემები, შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის არ არის შეტანილი რეესტრში.

მაგალითი 1:

ფაქტობრივი გარემოება: ფიზიკურმა პირმა 2016 წლის 20 მაისს საცხოვრებელი ფართი საცხოვრებელი მიზნით მიაქირავა იურიდიულ პირს, 27 მაისს დამქირავებელმა მის მიერ გადახდილი ქირის თანხა გადახდის წყაროსთან დაბეგრა 20%-იანი განაკვეთით. ხოლო გამქირავებელმა მისი მონაცემების რეესტრში შეტანის მიზნით საგადასახადო ორგანოს მიმართა ამავე წლის 29 მაისს.

შედეგი: მოცემულ შემთხვევაში, 27 მაისს გადახდილი ქირის თანხა ექვემდებარება 20%-იანი განაკვეთით დაბეგვრას (მიუხედავად იმისა, რომ გადახდა განხორციელდა ამ წესის ამოქმედების შემდეგ), ვინაიდან, თანხის გადახდის დროს გამქირავებლის მონაცემი არ იყო შეტანილი რეესტრში.

9. საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით იურიდიულ პირზე გაქირავებით მიღებულ შემოსავალზე, რომელიც არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელი ფიზიკური პირის მონაცემები შესაბამისი საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე შეტანილია რეესტრში.

მაგალითი 2:

ფაქტობრივი გარემოება: ფიზიკურმა პირმა 2016 წლის 1 აპრილს საცხოვრებელი ფართი საცხოვრებელი მიზნით მიაქირავა იურიდიულ პირს, 5 აპრილს განხორციელდა ქირის თანხის გადახდა, რომელიც არ ექვემდებარებოდა გადახდის წყაროსთან დაბეგვრას. გამქირავებელმა, მისი მონაცემების რეესტრში შეტანის მიზნით 2017 წლის 1 აპრილამდე მიმართა საგადასახადო ორგანოს და 2016 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით მიღებული შესაბამისი ქირის თანხა დაბეგრა 5%-ით.

შედეგი: მოცემულ შემთხვევაში გამქირავებლის მიერ მიღებული შემოსავლის 5%-იანი განაკვეთით დაბეგვრა მართლზომიერია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №473- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის ბრძანება №122 – ვებგვერდი, 16.06.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 06.07.2016წ.

დანართი №VII[2]-01

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

_____

(გვარი, სახელი)

პირადი ნომერი

_____

მისამართი, საკონტაქტო მონაცემი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში მონაცემების შეტანის/ამოღების თაობაზე

ნაწილი I

გაცნობებთ, რომ ვეწევი საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით გაქირავებას:

□ ფიზიკურ პირ(ებ)ზე
□ იურიდიულ პირ(ებ)ზე
□ ორგანიზაცი(ებ)აზე

გთხოვთ, შესაბამისი მონაცემები შეიტანოთ საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში.

№	გაქირავებული ფართობის მისამართი და საკადასტრო კოდი	დამქირავებლის		ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა
		საიდენტიფიკაციო/ პირადი ნომერი	სახელი, გვარი/ დასახელება	

ნაწილი II

გაცნობებთ, რომ:

□ ----------დან აღარ ვეწევი საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით
(თარიღი)
გაქირავებას. გთხოვთ, შესაბამისი მონაცემები ამოიღოთ საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრიდან.

განმცხადებლის ხელმოწერა ---------- თარიღი ----------

შენიშვნა:

• განცხადების I ნაწილი ივსება მონაცემების რეესტრში შეტანის/ცვლილების, ხოლო II ნაწილი – მონაცემების რეესტრიდან ამოღების მოთხოვნისას

• საცხოვრებელი ფართობის ფიზიკურ პირზე გაქირავების შემთხვევაში, განცხადების I ნაწილის ცხრილის შევსება სავალდებულო არ არის, გარდა გაქირავებული ფართობის მისამართისა

• საჭირო უჯრა აღინიშნება „V“ ნიშნით“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №473- ვებგვერდი, 31.12.2015წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის ბრძანება №122 – ვებგვერდი, 16.06.2016წ.

კარი VII[3]
ბაზრობის ორგანიზება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

მუხლი 111[3]. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭება

1. პირი, რომელიც საქართველოში ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრობის ორგანიზებისა) ეწევა, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს მიმართოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ პირს მინიჭებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი.
2. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით დაინტერესებული პირი განცხადებით (დანართი №VII[3]-01) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.
3. განცხადებას უნდა ერთვოდეს პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრობის ტერიტორიის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერი ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. საგადასახადო ორგანო:

ა) განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების თაობაზე;
ბ) განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის და ხარვეზების შესახებ აცნობებს განმცხადებელს და განუსაზღვრავს ვადას მის შესავსებად. ასეთ შემთხვევაში, განცხადების განხილვის 10-დღიანი ვადის დენა შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე.
გ) განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან

შესაბამისობის შემთხვევაში პირს ანიჭებს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსს და გასცემს შესაბამის სერტიფიკატს (დანართი №VII[3]-02).
5. საგადასახადო კონტროლის ღონისძიებათა შედეგად იმ პირის გამოვლენისას, რომელიც საქართველოში ბაზრობის ორგანიზებას ეწევა, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღნიშნულ პირს საკუთარი ინიციატივით მიანიჭოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსი.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოადგენა სავალდებულო არ არის, რაც არ ათავისუფლებს მას აღნიშნული დოკუმენტაციის შემდგომში წარმოდგენის ვალდებულებისაგან.
7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი, რომელიც საქართველოში ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრობის ორგანიზებია) ეწევა, ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წარუდგინოს პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრობის ტერიტორიის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერი ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
8. პირი ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონედ ითვლება ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

მუხლი 111[4]. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის ვალდებულებები
1. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია:
ა) სავაჭრო ობიექტი ან/და სავაჭრო ადგილი იჯარით გასცეს მხოლოდ იმ პირზე, რომელიც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრშია რეგისტრირებული;
ბ) ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილი უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატით.
2. იმ შემთხვევაში, თუ ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირს სურს გაზარდოს/შეამციროს ბაზრობის ტერიტორიის ფართობი, იგი ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე, მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აცნობოს საგადასახადო ორგანოს და წარუდგინოს მას სათანადო დოკუმენტები ამ ინსტრუქციის 111[3] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული არ ეხება შემთხვევას, როდესაც ბაზრობის ტერიტორიის ფართობის ცვლილება არ იწვევს ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტების ან/და სავაჭრო ადგილების ცვლილებას.
3. ამ კარის მიზნებისათვის, სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემა გულისხმობს პირისათვის სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის სარგებლობის უფლების ნებისმიერი ფორმით გადაცემას.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

მუხლი 111[5]. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი
1. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია, არაუგვიანეს სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია (დანართი №VII[3]-03) ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ.
2. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი ცვლილების ან/და დამატების თაობაზე ინფორმაცია (დანართი №VII[3]-03) არაუგვიანეს შესაბამისი ცვლილების ან/და დამატების განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.
3. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე საგადასახადო ორგანო ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის მოიჯარე ფიზიკურ პირს ანიჭებს ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსს და შესაბამის ჩანაწერს აკეთებს ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების რეესტრში (შემდგომში - რეესტრი).
4. საგადასახადო ორგანო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებას ახორციელებს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
5. ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის მოიჯარე ფიზიკური პირი ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსის მქონედ ითვლება შესაბამისი სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.
6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ აღნიშნული საქმიანობის შეწყვეტისას - იჯარის შეწყვეტისას), საგადასახადო ორგანო ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის მოიჯარე ფიზიკურ პირს უუქმებს ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსს და შესაბამის მონაცემებს ამოიღებს რეესტრიდან.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

მუხლი 111[6]. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის მიერ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების წესი
1. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 3%-ით, გამოქვითვების გარეშე. ამ შემთხვევაში გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.
2. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.
3. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი უფლებამოსილია უარი თქვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოსავლის დაბეგვრის რეჟიმის გამოყენებაზე, რის შესახებაც მან განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრისა.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:
ა) ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის შემოსავალი დაიბეგრება საგადასახადო კოდექსის 79-ე–81-ე და 82-ე მუხლების შესაბამისად.
ბ) გადასახადის დეკლარირება ხორციელდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, საშემოსავლო

გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის (№II-04 დანართი) საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენის გზით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

დანართი №VII^{3}-01

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების თაობაზე

გაცნობებთ, რომ ---------- -დან ვეწევი ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრობის ორგანიზებისა).

არ მაქვს მონიჭებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი
(უჯრა აღნიშნეთ „X “ ნიშნით)

ბაზრობის ტერიტორიის მისამართი	ბაზრობის ტერიტორიის ფართობი (კვ.მ.)	ბაზრობის ტერიტორიის საკადასტრო კოდი	სტაციონარული სავაჭრო ობიექტების რაოდენობა	არასტაციონარული სავაჭრო ადგილების რაოდენობა

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

დანართი №VII^{3}-02

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური
ბაზრობის ორგანიზატორის
ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №

სერტიფიკატით დასტურდება, რომ

_____

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

მიენიჭა ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსი, ---------- .
(ბაზრობის ტერიტორიის საკადასტრო კოდი და მისამართი)

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(სერტიფიკატის გაცემის თარიღი)

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / /

დანართი №VII[3]-03
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ

1	გადამხდელის სადენტიფიციო ნომერი											

20------- წელი ----------თვე

ნაწილი I

გაცნობებთ, რომ ვეწევი ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემას.

გთხოვთ, შესაბამისი მონაცემები შეიტანოთ ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების რეესტრში.

№	ბაზრობის ტერიტორიის მისამართი	ბაზრობის ტერიტორიის საკადასტრო კოდი	ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი (პირადი ნომერი)	სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის ნომერი	იჯარით გაცემის თარიღი	სსა-ს სარეგისტ-რაციო ბარათის ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8

ნაწილი II

გაცნობებთ, რომ:

შემცირდა ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული იჯარით გაცემული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის რაოდენობა.

გაიზარდა ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული იჯარით გაცემული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის რაოდენობა.

გთხოვთ, შესაბამისი მონაცემები ასახოთ ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების რეესტრში.

	ბაზრობის ტერიტორიის	ბაზრობის ტერიტორიის	ბაზრობის ტერიტორიაზე	საიდენტი-ფიკაციო	სავაჭრო ობიექტის	იჯარით გაცემის	იჯარის შეწყვეტის	სსა-ს სარეგისტ-

	მისამართი	საკადასტრო კოდი	ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის დასახელება	ნომერი (პირადი ნომერი)	ან/და სავაჭრო ადგილის ნომერი	თარიღი	თარიღი	რაციო ბარათის ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8	9

გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა	
ხელმოწერის თარიღი	

შენიშვნა:

განცხადების I ნაწილი ივსება ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემისას, ხოლო II ნაწილი – ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული იჯარით გაცემული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის რაოდენობის დამატებისას/შემცირებისას.

სტაციონარული სავაჭრო ობიექტის იჯარით გაცემისას სსა-ს სარეგისტრაციო ბარათის ნომერი არ მიეთითება.

საჭირო უჯრა აღინიშნება „X“ ნიშნით.

კარი VII[4]

საერთაშორისო კომპანიის სტატუსი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 16.10.2020წ.

მუხლი 111[7]. საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭება

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მისაღებად დაინტერესებული პირი შემოსავლების სამსახურს მიმართავს №VII[4]-01 დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 16.10.2020წ.

მუხლი 111[8]. საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესი

1. საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება.
2. საერთაშორისო კომპანიის მიერ დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლის (ფულადი ან ნატურალური) სახით გაცემული ანაზღაურება აისახება ამ ინსტრუქციის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციაში, რომელიც ივსება ამავე ინსტრუქციის 38-ე მუხლის შესაბამისად.
3. საერთაშორისო კომპანიის მიერ დაქირავებულების შესახებ ინფორმაცია აისახება ამ ინსტრუქციის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის „ა“ დანართში, რომელიც ივსება ამავე ინსტრუქციის 38-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 16.10.2020წ.

დანართი №VII[4]-01
(თან ერთვის დანართის სახით)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №256 - ვებგვერდი, 16.10.2020წ.

კარი VIII

გარდამავალი დებულებები

თავი XXVII
გარდამავალი დებულებები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №57 – ვებგვერდი, 21.02.2012წ.

მუხლი 112. გარდამავალი დებულებები

1. (ამოღებულია).

2. ამ ინსტრუქციის 39-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ჯამურად 2012 წლის იანვარი-მაისის თვეების საანგარიშო პერიოდზე წარდგენილი უნდა იქნეს 2012 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით, 2012 წლის ივნისის თვის ინფორმაციის დაზუსტებული ფორმით.

3. 2012 წლის 4 სექტემბრამდე გამოყენებული ,,ხე-ტყისა და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა“ ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

4. (ამოღებულია – 07.11.2014, N330).

5. (ამოღებულია – 07.11.2014, N330).

6. ამ ინსტრუქციის 221 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სავარაუდო დარიცხვა ასევე განხორციელდეს 2013 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული სალდირებული ზედმეტობის ფარგლებში.

7. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით სარგებლობის მიზნით, 2012 წლის 5 ივლისი – დეკემბრის საანგარიშო პერიოდში რეალიზებული/გამოყენებული (გარდა აქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენებულისა) იმპორტირებული საქონლის მიხედვით აქციზის დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება 2012 წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის პირველადი/დაზუსტებული დეკლარაციით.

8. 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის, ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, მწარმოებელი/იმპორტიორი ვალდებულია, არაუგვიანეს 2015 წლის 25 მარტისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია, მის მიერ წარმოებული/იმპორტირებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის დასახელების/ქვედასახელების შესახებ, ხოლო არაუგვიანეს 2015 წლის 15 აპრილისა – ინფორმაცია საქონლის სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასების შესახებ.

9. 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის, ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, შემოსავლების სამსახური საქართველოს ფინანსთა მინისტრს არაუგვიანეს 2015 წლის 25 აპრილისა, ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული ინფორმაციისა და 2015 წლის 25 მარტიდან 20 აპრილამდე პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებულ ფასებზე დაყრდნობით შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საცალო სარეალიზაციო ფასების საფუძველზე, წარუდგენს ინფორმაციას ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების დასახელებისა და მათი საცალო სარეალიზაციო ფასების შესახებ.

10. 2016 წლისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, შემოსავლების სამსახური საქართველოს ფინანსთა მინისტრს ინფორმაციას საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების დასახელებისა და მათი საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ წარუდგენს საქონლის მწარმოებელი/იმპორტიორების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და 2015 წლის აპრილიდან მაისის და ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებულ ფასებზე დაყრდნობით შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საცალო სარეალიზაციო ფასების საფუძველზე.

11. ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრისათვის წარდგენილი ინფორმაცია უნდა მომზადდეს ამ ინსტრუქციის 77^1 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. იმ შემთხვევაში, თუ 2016 წლისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, 2015 წლის აპრილიდან მაისის ჩათვლით პერიოდში, სავაჭრო ქსელში არსებული ფასების შესწავლისას შემოსავლების სამსახურის მიერ გამოვლინდა 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის რომელიმე დასახელების/ ქვედასახელების საცალო სარეალიზაციო ფასისაგან განსხვავებული ფასი, შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის „ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში 2015 წლის 1 ივლისამდე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

13. 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვროს შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით 1000 ცალ ერთეულზე არაუმეტეს 10 ლარის ოდენობით.

15. 2015 წლის 1 ივლისამდე საანგარიშო პერიოდებზე, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული საგადასახადო აგენტის მიერ უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის მიზნით საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი ითვლება დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად და, შესაბამისად ჩასათვლელი თანხა დადგენილი წესით აისახება საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში.

16. 2015 წლის 1 ივლისამდე საანგარიშო პერიოდებზე უკუდაბეგვრის სპეცბარათზე დარიცხული დღგ–ის

დაფარვის მიზნით, საგადასახადო ორგანოს მიერ, ცალკეული გადასახადების (მათ შორის, დღგ-ის) მიხედვით არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის უკუდაბეგვრით გადასახდელი დღგ-ის გადახდის ანგარიშზე გადატანისას, გადამხდელისათვის გაგზავნილი შეტყობინება ითვლება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტად და დღგ-ის გადამხდელს აძლევს დღგ-ის ჩათვლის უფლებას (უკუდაბეგვრის სპეცბარათზე თანხის გადატანის საანგარიშო პერიოდის მიხედვით).

17. პირადი აღრიცხვის ბარათების გაერთიანების შედეგად, 2015 წლის 1 ივლისამდე საანგარიშო პერიოდებზე უკუდაბეგვრის სპეცბარათზე დარიცხული დღგ-ის (მიუხედავად მათი წარმოშობის პერიოდისა) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ან/და შემდგომ პერიოდში გადაფარვის (ზედმეტად გადახდილი თანხებით არსებული დავალიანების დაფარვა) შედეგად გადასახადის გადამხდელისათვის გაგზავნილი შეტყობინება ითვლება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტად და დღგ-ის გადამხდელს აძლევს ჩათვლის უფლებას თანხის გადაფარვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით (მათ შორის, დაზუსტების გზით), თანხის გადაფარვის საანგარიშო პერიოდის ხანდაზმულობის გათვალისწინებით.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ჩათვლის განხორციელების შემდეგ 2015 წლის 1 ივლისამდე საანგარიშო პერიოდებზე უკუდაბეგვრის სპეცბარათზე დარიცხული დღგ-ის შემცირების/გაუქმების (მათ შორის, დაზუსტების გზით) ან/და გადაფარვის შემცირების/გაუქმების შემთხვევაში ჩათვლა ექვემდებარება შემცირებას/გაუქმებას.

19. 2015 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად დაუბრუნებელი აქციზური მარკებით ნიშანდებული საქონლის იმპორტის განხორციელების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია აქციზის გადაანგარიშებისა და შემცირების მიზნით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დარიცხული აქციზის გადაანგარიშების შესახებ“ განაცხადი (დანართი NVIII-01).

20. 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგენს №II-09 დანართის მიხედვით.

21. 2017 წლის პირველ კვარტალში დადგენილი მოსაკრებლის ოდენობასა და 2016 წლის მე-4 კვარტალში დადგენილი მოსაკრებლის ოდენობას შორის სხვაობის თანხის დარიცხვა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ბარათზე განხორციელდეს 2017 წლის 31 მარტის თარიღით.

22. 2017 წლის 1 მაისამდე ადგილობრივი თამბაქოს მწარმოებლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, შერჩეული პირი უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით, ადგილობრივი უფილტრო სიგარეტისთვის გასცეს ამ ინსტრუქციის 792 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი შეფუთვის ფორმის აქციზური მარკები.

23. იმ შემთვევაში, თუ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სასარგებლოდ გადახდილი და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დამფუძნებელი შეთანხმების“ საფუძველზე დაბეგვრისაგან გათავისუფლებული დივიდენდი დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, დაკავებული გადასახადის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის განცხადებისა და საგადასახადო აგენტის დასტურის საფუძველზე.

24. თანხის დაბრუნება განხორციელდეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის განცხადებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე განცხადების წარმოდგენიდან 1 თვის ვადაში, საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით.

25. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 1901 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონლის შემმენი/მიმღები პირისათვის აქციზური მარკები გაიცემა ადგილობრივი ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების გაცემის წესის შესაბამისად.

26. 2017 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი ნავთობის აირებით და აირისებრი ნახშირწყალბადებით (გათხევადეული) (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2711 12, 2711 13, 2711 14 000 00, 2711 19 000 00 კოდებში მითითებული ნავთობპროდუქტების აირები) საყოფაცხოვრებო ბალონების გასამართი სადგურის მფლობელი ვალდებულია არაუგვიანეს 2017 წლის 15 სექტემბრისა მიმართოს საგადასახადო ორგანოს ამ ობიექტის რეგისტრაციის მიზნით.

27. ამ ინსტრუქციის XXIV1 თავის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ საგადასახადო შემოწმების მიმართ, რომელზეც მისი ამოქმედების მომენტისათვის საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ არ არის მიღებული გადასახადების ან/და სანქციების დარიცხვის ან არდარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება.

28. 2018 წლის 1 იანვრამდე იმპორტირებული, მიწოდებული ან საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი სეს ესნ-ის 2205 სასაქონლო პოზიციაში მოქცეული საქონლის იდენტიფიცირების მიზნით, იდენტიფიცირების საშუალებად გამოყენებულ იქნეს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული ადგილობრივი ნაწარმის იდენტიფიცირებისათვის განკუთვნილი მატერიალური ფორმის იდენტიფიცირების საშუალებები (შემდგომში – იდენტიფიცირების საშუალება).

29. ამ მუხლის 28-ე პუნქტით გათვალისწინებული საქონლის იდენტიფიცირების საშუალებების მოთხოვნით, გადასახადის გადამხდელი (პირი, რომელსაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგებში ნაშთად ერიცხება ამ მუხლის 28-ე პუნქტით გათვალისწინებული საქონელი) უფლებამოსილია, მიმართოს შემოსავლების სამსახურს 2018 წლის 15 დეკემბრამდე, დანართი №VIII-02 დამტკიცებული ფორმით.

30. ამ მუხლის 29-ე პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი და მიღებული იდენტიფიცირების საშუალებებით საქონლის იდენტიფიცირება გადასახადის გადამხდელის მიერ უნდა განხორციელდეს იდენტიფიცირების საშუალებების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

31. შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს ამ მუხლის 29-ე პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი იდენტიფიცირების საშუალებების უსასყიდლოდ გაცემას პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მომართვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

32. ამ მუხლის 29-ე პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი იდენტიფიცირების საშუალებების უსასყიდლოდ გაცემისას, გადასახადის გადამხდელი და შემოსავლების სამსახურის შესაბამისი პირი ადგენენ აქტს იდენტიფიცირების საშუალებების მიღება-ჩაბარების შესახებ.

33. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 182-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიზნისთვის, 2019 წლის 21 ნოემბრამდე იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებულ საქონელთან მიმართებით, იმ პირზე (გარდა პირისა, რომელიც ახორციელებს საქონლის მხოლოდ საცალო რეალიზაციას), რომელსაც 2019 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხება აღნიშნული საქონელი, ვრცელდება საქონლის იმპორტიორისთვის გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

34. თუ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) საქმიანობას ანახლებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდგომ საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში, მაშინ მოსაკრებლის გადახდის ნიშანი გაიცემა მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე, ხოლო მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდზე გადაიხდება მოსაკრებლის გადახდის ნიშნის გაცემის მოთხოვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან საანგარიშო კვარტალის დასრულებამდე დარჩენილი დღეების პროპორციულად.

35. საწარმო, რომელმაც მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის სტატუსი და ახორციელებს 2017 წლის 1 იანვრიდან შესაბამისი სტატუსის მიღების კალენდარული წლის დასაწყისამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებას, ვალდებულია:

ა) სტატუსის მიღების შემდგომ საანგარიშო პერიოდებში დივიდენდის განაწილებისას, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, დივიდენდის განაწილების საანგარიშო თვის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია დანართი №II-08[6] ფორმით, რომელშიც აისახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის ოდენობა;

ბ) სტატუსის მიღების კალენდარულ წელს, სტატუსის მიღებამდე საანგარიშო პერიოდებში დივიდენდის განაწილებისას, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, სტატუსის მიღების საანგარიშო თვის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია დანართი №II-08[6] ფორმით, რომელშიც აისახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის ოდენობა;

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დივიდენდის 2020 წლის 1 ოქტომბრამდე განაწილებისას, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს 2020 წლის ოქტომბრის საანგარიშო პერიოდის მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია დანართი №II-08[6] ფორმით, რომელშიც აისახება წმინდა მოგებიდან 2020 წლის 1 ოქტომბრამდე განაწილებული დივიდენდის ოდენობა.

შენიშვნა: ამ პუნქტის შესაბამისად მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციით დეკლარირებული მოგების გადასახადი არ ექვემდებარება ინსტრუქციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დეკლარაციაში ასახვას.

მაგალითი 1:

საწარმომ, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსი მიიღო 2019 წლის 1 ივნისს. საწარმოს 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებული აქვს წმინდა მოგება 200 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოგებიდან საწარმომ:

- 2019 წლის აპრილში დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე გაანაწილა 30 000 ლარი;
- 2020 წლის მაისში დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე გაანაწილა 50 000 ლარი;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე გაანაწილა 100 000 ლარი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საწარმოს გაუუქმდა 2019 წლის აპრილის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციის საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ სესხის გამცემი სუბიექტი 2019 წლის 1 ივნისიდან წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირს, ამავე კოდექსის 309-ე მუხლის 118-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია 2017 წლის 1 იანვრიდან სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსის მიღების კალენდარული წლის დასაწყისამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან შესაბამისი სტატუსის მიღების შემდგომ საანგარიშო პერიოდებში განაწილებული

დივიდენდი დაბეგროს მოგების გადასახადით. მოგების გადასახადით დაბეგვრას ასევე დაექვემდებარება შესაბამისი სტატუსის მიღებამდე საანგარიშო პერიოდებში განაწილებული დივიდენდი, რომლის მიხედვითაც, მოგების გადასახადის დარიცხვა გაუქმდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

შედეგი:

საწარმო ვალდებულია:

- 2019 წლის აპრილში განაწილებული მოგება – 30 000 ლარი, რომელზეც მოგების გადასახადის დარიცხვა გაუქმდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასახოს 2020 წლის ოქტომბრის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და დაბეგროს მოგების გადასახადით;

- 2020 წლის მაისში განაწილებული მოგება – 50 000 ლარი, ასახოს 2020 წლის ოქტომბრის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და დაბეგროს მოგების გადასახადით;

- 2020 წლის დეკემბერში განაწილებული დივიდენდის ოდენობა 100 000 ლარი – ასახოს 2020 წლის დეკემბრის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და დაბეგროს მოგების გადასახადით.

ამასთან, საწარმო ვალდებულია, წმინდა მოგებიდან გაუნაწილებელი თანხა – 20 000 ლარი, მოგების გადასახადით დაბეგროს დივიდენდის განაწილების საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიხედვით, ინსტრუქციის 35-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მაგალითი 2:

საწარმომ, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსი მიიღო 2021 წლის 1 ივნისს. საწარმოს 2017 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებული აქვს წმინდა მოგება 60 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოგებიდან საწარმომ:

- 2021 წლის თებერვალში დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე გაანაწილა 10 000 ლარი;

- 2021 წლის ნოემბერში დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე გაანაწილა 50 000 ლარი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საწარმოს გაუუქმდა 2021 წლის 1 ივნისამდე წარმოდგენილი მოგების გადასახადის დეკლარაციების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ სესხის გამცემი სუბიექტი 2021 წლის 1 ივნისიდან წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირს, ამავე კოდექსის 309-ე მუხლის 118-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია 2017 წლის 1 იანვრიდან სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსის მიღების კალენდარული წლის დასაწყისამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან შესაბამისი სტატუსის მიღების შემდგომ საანგარიშო პერიოდებში განაწილებული დივიდენდი დაბეგროს მოგების გადასახადით. მოგების გადასახადით დაბეგვრას ასევე დაექვემდებარება შესაბამისი სტატუსის მიღებამდე საანგარიშო პერიოდებში განაწილებული დივიდენდი, რომლის მიხედვითაც, მოგების გადასახადის დარიცხვა გაუქმდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

შედეგი:

საწარმო ვალდებულია:

- 2021 წლის თებერვალში განაწილებული მოგება – 10 000 ლარი, რომელზეც მოგების გადასახადის დარიცხვა გაუქმდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასახოს 2021 წლის ივნისის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და დაბეგროს მოგების გადასახადით;

- 2021 წლის ნოემბერში განაწილებული დივიდენდის ოდენობა 50 000 ლარი – ასახოს 2021 წლის ნოემბრის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და დაბეგროს მოგების გადასახადით.

36. საწარმო, რომელმაც მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის სტატუსი და წარმოეშვა 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის მიღების კალენდარული წლის დასაწყისამდე საანგარიშო პერიოდებში წარმოშობილი ამავე კოდექსის 98² მუხლით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების უფლება, უფლებამოსილია:

ა) სტატუსის მიღების შემდგომ ჩათვლის/დაბრუნების უფლების წარმოშობის შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების მიზნით, მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების უფლების წარმოშობის კალენდარული თვის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია დანართი №II-08[6] ფორმით;

ბ) სტატუსის მიღების კალენდარულ წელს, სტატუსის მიღებამდე საანგარიშო პერიოდებში ჩათვლის/დაბრუნების უფლების წარმოშობის შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების მიზნით, სტატუსის მიღების საანგარიშო თვის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია დანართი №II-08[6] ფორმით;

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩათვლის/ დაბრუნების უფლების 2020 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოშობის შემთხვევაში, მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის/დაბრუნების მიზნით, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს 2020 წლის ოქტომბრის საანგარიშო პერიოდის მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია დანართი №II-08[6] ფორმით.

მაგალითი 3:

საწარმომ, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსი მიიღო 2019 წლის 1 მარტს. საწარმოს, 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ფიზიკურ პირზე გაცემული აქვს სესხი 100 000 ლარის ოდენობით, რომელიც შესაბამის საანგარიშო პერიოდებში დაბეგრილი აქვს მოგების გადასახადით და გადახდილი აქვს შესაბამისი გადასახადის თანხა.

ფიზიკურ პირს სესხის ძირითადი თანხიდან 2017-2018 წლების განმავლობაში საწარმოსთვის დაბრუნებული აქვს სესხის ძირითადი თანხა 40 000 ლარის ოდენობით, რომელზეც საწარმოს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლით დადგენილი წესით, სესხის ძირითადი თანხის დაბრუნების საანგარიშო პერიოდებში დაბრუნებული თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩათვლილი აქვს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

ფიზიკურმა პირმა სესხის დარჩენილი ძირითადი თანხიდან (60 000 ლარიდან):

2019 წლის თებერვალში საწარმოს დაუბრუნა 10 000 ლარი;

2020 წლის იანვარში საწარმოს დაუბრუნა 20 000 ლარი;

2020 წლის ნოემბერში საწარმოს დაუბრუნა 15 000 ლარი.

ამასთან, საქართველოს სგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საწარმოს გაუუქმდა 2019 წლის თებერვლის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციის საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები, მათ შორის, მოგების გადასახადის ჩათვლა.

ანალიზი:

რამდენადაც სესხის გამცემი სუბიექტი წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირს, იგი უფლებამოსილია ჩაითვალოს (დაიბრუნოს) ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, ამავე კოდექსის 309-ე მუხლის 118-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, ჩათვლას/დაბრუნებას ასევე ექვემდებარება 2019 წლის თებერვალში დაბრუნებული სესხის ოდენობაზე გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა, რომლის ჩათვლაც საწარმოს გაუუქმდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

შედეგი:

საწარმო უფლებამოსილია:

- 2019 წლის თებერვალში დაბრუნებული სესხის ოდენობა (10 000 ლარი) ასახოს 2020 წლის ოქტომბრის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და ჩაითვალოს შესაბამისი მოგების გადასახადის თანხა;
- 2020 წლის იანვარში დაბრუნებული სესხის ოდენობა (20 000 ლარი) ასახოს 2020 წლის ოქტომბრის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და ჩაითვალოს შესაბამისი მოგების გადასახადის თანხა;
- 2020 წლის ნოემბერში დაბრუნებული სესხის ოდენობა (15 000 ლარი) ასახოს 2020 წლის ნოემბრის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და ჩაითვალოს შესაბამისი მოგების გადასახადის თანხა.

მაგალითი 4:

საწარმომ, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსი მიიღო 2021 წლის 1 მარტს. საწარმოს, 2017 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ფიზიკურ პირზე გაცემული აქვს სესხი 50 000 ლარის ოდენობით, რომელიც შესაბამის საანგარიშო პერიოდებში დაბეგრილი აქვს მოგების გადასახადით და გადახდილი აქვს შესაბამისი გადასახადის თანხა.

ფიზიკურმა პირმა სესხის ძირითადი თანხიდან (50 000 ლარიდან):

2021 წლის თებერვალში საწარმოს დაუბრუნა 20 000 ლარი;

2021 წლის ივლისში საწარმოს დაუბრუნა 30 000 ლარი.

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საწარმოს გაუუქმდა 2021 წლის თებერვლის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციის საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები, მათ შორის, მოგების გადასახადის ჩათვლა.

ანალიზი:

რამდენადაც სესხის გამცემი სუბიექტი წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირს, იგი უფლებამოსილია ჩაითვალოს (დაიბრუნოს) ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, ამავე კოდექსის 309-ე მუხლის 118-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, ჩათვლას/დაბრუნებას ასევე ექვემდებარება 2021 წლის თებერვალში დაბრუნებული სესხის ოდენობაზე გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა, რომლის ჩათვლაც საწარმოს გაუუქმდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 104-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

შედეგი:

საწარმო უფლებამოსილია:

- 2021 წლის თებერვალში დაბრუნებული სესხის ოდენობა (20 000 ლარი) ასახოს 2021 წლის მარტის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და ჩაითვალოს შესაბამისი მოგების გადასახადის თანხა;

- 2021 წლის ივლისში დაბრუნებული სესხის ოდენობა (30 000 ლარი) ასახოს 2021 წლის ივლისის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში და ჩაითვალოს შესაბამისი მოგების გადასახადის თანხა.

37. საწარმო, რომელმაც დაკარგა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის სტატუსი და სტატუსის დაკარგვის შემდგომ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში ახდენს სტატუსის დაკარგვამდე იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებას, როდესაც პირი მოგების გადასახადით იბეგრებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 95-ე ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, უფლებამოსილია ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა ჩაითვალოს დივიდენდის განაწილების საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიხედვით ინსტრუქციის 40^1 მუხლით დადგენილი წესით.

38. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დღგ-ის ჩათვლა „იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების განსაზღვრის შესახებ, რომელთა მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ჩათვლის დოკუმენტია" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №401 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებამდე ამავე დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაცემული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

39. თუ დასაბეგრ ოპერაციაზე გამოწერილია კომპიუტერული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (შემდგომში კსაფ-ი) და აღნიშნულ დასაბეგრ ოპერაციაზე დადგა დღგ-ის თანხის კორექტირების გარემოება, იწერება 2021 წლამდე მოქმედი ამ ინსტრუქციის 56-ე მუხლით გათვალისწინებული კსაფ-ი, რომელშიც მიეთითება იმ კსაფ-ის მონაცემები (სერია, ნომერი), რომლის კორექტირებაც ხდება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გადასახადის გადამხდელს ამოწურული აქვს ნუმერაციის ველი კორექტირების კსაფ-ის გამოწერის მიზნით იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს და შემოსავლების სამსახურის მიერ მასზე უფასოდ გამოიყოფა ახალი ნუმერაციის ველი.

40. ამ ინსტრუქციის 73^1 მუხლის მე-5 პუნქტი ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრიდან შეძენილ/ექსპლუატაციაში მიღებულ ძირითად საშუალებებზე. 2021 წლის 1 იანვრამდე შეძენილ/ექსპლუატაციაში მიღებულ ძირითად საშუალებებზე ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის 9^1 ნაწილი.

41. ამ ინსტრუქციის 47^1 მუხლის მოქმედება შეჩერდეს 2021 წლის 1 ოქტომბრამდე.

42. პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 115-ე ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე საქმიანობას, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს ელექტრონული ფორმით წარუდგინოს აღნიშნული ინფორმაცია, რათა ამავე მუხლის 130-ე ნაწილის მიხედვით, შეუმცირდეს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული საშემოსავლო გადასახადი (გადასახადი, რომელზეც გაგრძელებულია საშემოსავლო გადასახადის გადახდისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადა).

43. ამ მუხლის 42-ე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო განახორციელებს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე იმ საშემოსავლო გადასახადის შემცირებას, რომელზეც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის მიხედვით გაგრძელებული იყო გადასახადის გადახდისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადა.

44. ამ მუხლის 42-ე პუნქტით განსაზღვრული წესით წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე აღდგება ამავე მუხლის 43-ე პუნქტის შესაბამისად შემცირებული საშემოსავლო გადასახადი.

45. 2021 წლის 1 მარტამდე დამქირავებელი ვალდებულია 11^2 მუხლის შესაბამისად „დაქირავებულ პირთა რეესტრში" ელექტრონულად ასახოს 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით 11^2 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე დაქირავებული პირების შესახებ ინფორმაცია.

46. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა განხორციელებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, ხოლო სანაცვლო საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ხორციელდება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში, ამ ოპერაციის თითოეული მხარისათვის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ამ ოპერაციის ფარგლებში მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით, დღგ-ის გარეშე, ხოლო დღგ-ით დაბეგვრის დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტი.

47. ამ მუხლის 46-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ორივე მხარე წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ დასაბეგრ პირს და ეს ოპერაცია იბეგრება დღგ-ით, ამ ოპერაციის თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ჩაითვალოს მის მიერ მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული და შესაბამის დღგ-ის დეკლარაციაში ასახული

დღგ-ის თანხა სანაცვლო საქონლის/მომსახურების მიღების მომენტში. ამ შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლის მიღების საფუძველია ამ ოპერაციაზე დარიცხული და შესაბამისი პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა, რა დროსაც, დასაბეგრ პირებს შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არ გამოიწერება.

48. თუ უძრავი ნივთის შემძენზე საკუთრების უფლება მშენებარე ობიექტზე მარეგისტრირებელ ორგანოში დარეგისტრირდა 2021 წლამდე, ხოლო ამ ნივთზე უძრავი ნივთის მიმწოდებლის მიერ 2021 წელს ან შემდგომ პერიოდში დასრულდა სამშენებლო, სამონტაჟო ან/და სარემონტო მომსახურება, აღნიშნული მომსახურება განიხილება უძრავი ნივთის მიწოდების ნაწილად, ხოლო ამ ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება უძრავი ნივთის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში, თუ არ დადგა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უძრავი ნივთის მიწოდება დაბეგრილია დღგ-ით 2021 წლამდე პერიოდში, მისი ექსპლუატაციაში მიღება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების გარემოებას და ექვემდებარება კორექტირებას შესაბამისი უძრავი ნივთის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში.

49. სატრანსპორტო და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა, რომლის ღირებულება შეიტანება საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ საქონლის საბაჟო ღირებულებაში, განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციების ნაწილად და ექვემდებარება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას.

50. თუ 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენა და მოსაკრებლის გადახდა განხორციელებულია ლიცენზიის იჯარით მიმღები პირის მიერ, ამ ნაწილში ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება ლიცენზიის მესაკუთრის მიერ.

მაგალითი:

პირზე (ლიცენზიის მესაკუთრეზე) გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზია, რომელზეც დამტკიცებულია ათვისების შესაბამისი გეგმა. პირს (ლიცენზიის მესაკუთრეს) 2018 წლის პირველი იანვრიდან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია სრულად იჯარით აქვს გადაცემული სხვა პირზე (ლიცენზიის იჯარით მიმღებ პირზე).

ვარიანტი პირველი:

2018 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშება წარდგენილია და ამ გაანგარიშების საფუძველზე დარიცხული მოსაკრებლის თანხა გადახდილია ლიცენზიის იჯარით მიმღები პირის მიერ.

ვარიანტი მეორე:

2018 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშებები საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი არ არის. ამასთან, არ არის გადახდილი კუთვნილი მოსაკრებლის თანხა.

პირველ ვარიანტში:

ლიცენზიის იჯარით მიმღები პირის მიერ 2021 წლის პირველ იანვრამდე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენა და ამ გაანგარიშების საფუძველზე დარიცხული მოსაკრებლის თანხის გადახდა, ამ ნაწილში ჩაეთვლება ლიცენზიის მესაკუთრეს შესრულებულად.

მეორე ვარიანტში:

იჯარით გაცემულ ლიცენზიაზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენა და ამ გაანგარიშების საფუძველზე დარიცხული მოსაკრებლის თანხის გადახდის ვალდებულება დაეკისრება ლიცენზიის მესაკუთრეს.

51. 2022 წლის 1 მაისამდე დასაშვებია, თამბაქოს ნაწარმის მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება განხორციელდეს ამ ინსტრუქციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტისგან განსხვავებული წესით, პოლიეთილენის საფარველის გარედან. აღნიშნულ შემთხვევაში, თამბაქოს ნაწარმის მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება საქართველოს საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე.

52. ამ მუხლის 51-ე პუნქტითა და „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან (გარდა გასახურებელი თამბაქოსი) გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი გაზომვისა და რეგულირების წესებისა და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის/კონტეინერის მოცულობის, მასში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმებისა და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებებისა და მათი დატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დროებითი რეგულაციის ფარგლებში, 2022 წლის 1 ივნისამდე პერიოდში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის 1^1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასახადების ადმინისტრირების მიზნებისთვის, თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორი საგადასახადო ორგანოს წინასწარ, საქონლის იმპორტამდე, წერილობით წარუდგენს მის მიერ იმპორტისთვის

განკუთვნილი იმ დასახელების/ქვედასახელების ფილტრიანი ან/და უფილტრო სიგარეტების შესახებ ინფორმაციას, რომელთა იმპორტისას შესაბამის დოკუმენტაციაში მითითებული სახელწოდება მოიცავს „2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე და 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის №314 ბრძანებით გათვალისწინებულ დასახელებას/ქვედასახელებას და რომელიც, შესაძლოა, არ იყოს მასთან სრულ შესაბამისობაში, თუმცა წარმოადგენს აღნიშნული დასახელების/ქვედასახელების პროდუქციას.

53. ამ მუხლის 52-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რის საფუძველზეც, შესაბამისი მონაცემები აისახება „2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე და 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის №314 ბრძანებაში.

54. ამ მუხლის 53-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გაგზავნა და „2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე და 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის №314 ბრძანებაში შესაბამისი მონაცემების ასახვა ხორციელდება თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორის მიერ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურში წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №57 – ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის ბრძანება №287 – ვებგვერდი, 30.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის ბრძანება №84 – ვებგვერდი, 29.03.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 30 აპრილის ბრძანება №128 – ვებგვერდი, 08.05.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 30.09.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №322 - ვებგვერდი, 30.09.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №330 - ვებგვერდი, 10.11.2014 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 მარტის ბრძანება №82 – ვებგვერდი, 18.03.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 22 ივნისის ბრძანება №188 – ვებგვერდი, 17.06.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.08.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №461 – ვებგვერდი, 30.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №470- ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 მარტის ბრძანება №55 – ვებგვერდი, 23.06.2016 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 25 მარტის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 28.03.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 06.07.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტერის 2016 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №311 - ვებგვერდი, 12.12.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 16.01.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 იანვრის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 31.01.2017წ.
საქარველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 14 თებერვლის ბრძანება №48 - ვებგვერდი, 15.02.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 5 ივნისის ბრძანება №184 - ვებგვერდი, 07.06.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №300 - ვებგვერდი, 04.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №315 - ვებგვერდი, 13.09.2017წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 10 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 30 მარტის ბრძანება №131 - ვებგვერდი, 02.04.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 18 მაისის ბრძანება №195 - ვებგვერდი, 18.05.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №445 - ვებგვერდი, 10.12.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №356 - ვებგვერდი, 26.11.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №371 - ვებგვერდი, 06.12.2019წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 23 ივნისის ბრძანება №137 - ვებგვერდი, 24.06.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება №248 - ვებგვერდი, 07.10.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 21 დეკემბრის ბრძანება №315 - ვებგვერდი, 22.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №326 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №331 - ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 12 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 12.01.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 5 მარტის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 09.03.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №170 - ვებგვერდი, 19.07.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 27 ივლისის ბრძანება №184 - ვებგვერდი, 28.07.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №233 - ვებგვერდი, 15.09.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №275 - ვებგვერდი, 21.10.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №299 - ვებგვერდი, 15.11.2021წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 15 მარტის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 16.03.2022წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 30 მარტის ბრძანება №90 - ვებგვერდი, 01.04.2022წ.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

_____

საიდენტიფიკაციო ნომერი

განცხადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 წაწილით გათვალისწინებული დარიცხული აქციზის გადაანგარიშების შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 წაწილის შესაბამისად, გთხოვთ, გადამიანგარიშოთ და შემიმციროთ _____ სანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხული

(წელი, თვე)

აქციზის თანხა _____ ლარის ოდენობით.

(თანხა სიტყვიერად)

ინფორმაცია აქციზურ მარკებზე, რომლის წიმანდებითაც განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 წაწილით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი შესაბამის სანგარიშო პერიოდში

№	საბაჟო დეკლარაციის		საბაჟო დეკლარაციის მიხედვით შესამცირებელი აქციზის თანხა	სეს ესნ კოდი	იმპორტირებული საქონლის რაოდენობა	მიღებული აქციზური მარკების რაოდენობა, რომლითაც განხორციელდა იმპორტირებული საქონლის ნიშანდება	მიღებული აქციზური მარკების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ასეთის არსებობის შემთხვევაში		
	რეგისტრაციის თარიღი	ნომერი					სერია	ნომერი	შეფუთვის შტრიხკოდი

საწარმოს ხელმძღვანელი/იწდ.მეწარმე

_____

(ხელმოწერა)“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 06.07.2016წ.

დანართი №VIII-02

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №445 - ვებგვერდი, 10.12.2018წ.

სპეციფიკაცია იდენტიფიცირების საშუალებების მოთხოვნაზე

№	სეს ესნ-ის კოდი	საქონლის დასახელება	გამოყენებული ნაწარმის მოცულობა	იდენტიფიცირების საშუალებების რაოდენობა